

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სა. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი



H 186 398
3 +

თეზიზი პაპუაშვილი

**რანთა და პანთა სამეფო
(VIII—XI სს.)**

142



გაომცემლობა „მეცნიერება“

10001

სსრკ, თბილისი

100-001

M 601 (00) 706 M

1982

(ს. 222) " 05-1 + 3 (ს. 22) 10

9(C-4)
63-3(2-F)
9(47.922)
189

1. 5 ახგია
2. ს. ჩახივჯოს ისტორია



ლოგან 3-11 საფ. - 27

გამოცემა მიძღვნილია „რანთა და კახთა“ სამეფოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხების მეცნიერული შესწავლისადმი VIII—XI საუკუნეებში. ნაშრომში ანტიკურ, ძველ ქართულ, ძველ სომხურ და არაბულ წყაროებში დაცული ცნობების შესწავლის საფუძველზე გარკვეულია კახეთის სამეფოს ეთნიკური სტრუქტურის საკითხები. მასში კახეთის სამეფოს პოლიტიკური ევოლუციის პარალელურად მკაფიოდ არის ნაჩვენები კახეთის ძველი მოსახლეობის ეთნიკური სახის ჩამოყალიბების პროცესი; კახები, კუხები, გარდაბნელები, წანარნი, თუშნი, ფხოვლნი, ღურპუკნი და ღლიღვნი — აი, დაახლოებით ის ეთნიკური ერთეულნი, რომელთა ბრძოლისა და თანამშრომლობის შერწყმა-შეჯვარების“ ისტორიული სარბიელი იყო კახეთის სამეფო. ნაჩვენებია თითოეული ზემოთ დასახელებული ტომის წვლილი „რანთა და კახთა“ სამეფოს წარმოქმნასა და ჩამოყალიბებაში.

მონოგრაფიის მიზანია გვიჩვენოს, თუ როგორ და რა პირობებში წარმოიშვა „რანთა და კახთა“ სამეფო როგორც გარკვეული საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ერთეული, როგორია მისი განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები, როგორ წარმოგვიდგება ამ სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზმის შინაგანი საბუთის კონსტრუქციის ინსტიტუტი და სხვ.).

წიგნი განუთვნილია როგორც ისტორიკოსებისათვის, ისე საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულნი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

სპეგ-2000
შეგროვებულია

K186398

10602
M 607 (06) — 82 160—82

© შპს „საბჭოთავი“
ბარ. საბჭოთავი
რედაქციის
სამსახური

1982

წინასიტყვაობა

რანთა და კახთა სამეფოს ისტორიის შესწავლა ერთ მეტად საყურადღებო ფურცელს შლის ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან აღმოსავლეთ საქართველოში. კახეთი, როგორც სამამასახლისო ქვეყანა, კახეთის საერისთავო, კახეთის აღრეფეოდალური სამთავრო, „რანთა და კახთა“ სამეფო, „რანთა და კახთა“ სამეფო „ყოველი საქართველოს“ შემადგენელი ნაწილი, გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფო, ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება XVIII ს. მეორე ნახევარში (1762 წ.), აღმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე (კაკუნისელი resp. კარ-ბელაქანი) XVIII ს. I მეოთხედში ლეკთა „უბატონო თემების“ ჩამოყალიბება („საინგილოს“ გაჩენა) — ასეთია კახეთის ქვეყნის განვითარების ძირითადი ეტაპები (XIX ს. დამდეგამდის) წმინდა პოლიტიკური — მაშასადამე გარეგანი — ისტორიის თვალსაზრისით. მაგრამ ცხადია, რომ ამ პოლიტიკური კალენდოსკოპის მიღმა იმალება საზოგადოების შინაგანი განვითარების რთული პროცესი, რომლის მეცნიერული შეგნებაა სწორედ ჩვენი მთავარი ამოცანა.

აღნიშნული განვითარების ჯაჭვში „რანთა და კახთა“ სამეფო მნიშვნელოვანი რგოლია, თუნდაც იმიტომ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის გენეზისის საკითხის კვლევისას ჩვენ მას ვერცერთ შემთხვევაში გვერდს ვერ ავუვლით. სწორედ „რანთა და კახთა“ სამეფო და მისი წინამორბედი წარმონაქმნები (კახოსის სამამასახლისო ქვეყანა, კახეთის საერისთავო, კახეთის აღრეფეოდალური სამთავრო) წარმოადგენს ხიდს, რომლითაც ეს ქვეყანა ძველი სამყაროდან ფეოდალურში გადავიდა უკვე საბოლოოდ.

მაგრამ, რამდენადაც საინტერესოა და მნიშვნელოვანი ამ თავისებური სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზმის აღწავლა და მისი გაჩენის პირობები, იმდენადვე ერთობ ძნელია მათი სრულყოფილად

რანთა და კახთა სამეფოს ეთნიკური შემადგენლობისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

როგორც საქართველოს სხვა მხარეები, კახეთიც რთული ისტორიული პროცესის შედეგად წარმოქმნილი ქვეყანაა. დღევანდელი კახეთი, რა თქმა უნდა, მუდამ ასეთი არ ყოფილა არც ტერიტორიულად, არც მეურნეობის თვალსაზრისით და არც მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის მხრივ. მისი ისტორიის უძველეს პერიოდს რომ თავი გავანებოთ, რომელსაც არქეოლოგია იკვლევს, წერილობითი წყაროების მიხედვით კახეთის დღევანდელ ტერიტორიაზე რამდენიმე ეთნიკურ კოლექტივს, რამდენიმე „ქვეყანას“ ვხედავთ, რომლებიც დასახლებულია ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული და მონათესავე ტომებით. ეს ქვეყნებია: კუხეთი, რომელიც მოიცავდა ნაწილობრივ არაგვის ხეობას და გარე კახეთს; საკუთრივ კახეთი, რომელიც მოიცავდა ივრის ხეობის ზემო წელს და ალაზნის ზემო წელს მთიანეთითურთ; პერეთი — დაახლოებით დღევანდელი შიდა-კახეთი და გაღმამხარი დალისტნის მთიანეთითურთ; წუქეთი — დაახლოებით დღევანდელი აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთი მხარე (ძველი საინჯილო) დალისტნის მთიანეთითურთ; სუჯეთი — ივრის მარცხენა სანაპირო, მის შუა წელზე (დაახლოებით დღევანდელი გარეკახეთი); კამბეჩანი — დაახლოებით დღევანდელი ქიზიყი¹.

¹ ნ. ბერძენიშვილი, ექსპედიცია ივრის ხეობაში 1935 წელს, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964; მისივე, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966; ლ. კილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958; დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, თბ., 1966; მისივე, კახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1965; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963; თ. პაპუაშვილი, პერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

VIII ს. I ნახევარში აწინდელი კახეთის ტერიტორიაზე წარმოიქმნა კახეთის ადრეფეოდალური სამთავრო. VIII ს. II ნახევრისა და IX ს. დასაწყისისათვის კახეთის სამთავრო, გარდა ზედა ქვეყნის ტერიტორიისა, მოიცავს შიდა ქართლის გარკვეულ ნაწილს ქსნის ნებამდე. სამხრეთ-აღმოსავლეთით მის ფარგლებში შემოდიოდა მტკვრის ვალმა მხარე — ე. წ. ქართული გარდაბანი. ჩრდილოეთით კახეთის სამთავრო მოიცავდა ხევს ანუ საკუთრივ წანარეთს, თუშეთს, ფხოეთს (ფშავ-ხევსურეთი) და აგრეთვე ღურძუკეთსა და ღლიღვეთს. ეს არის კავკასიის მთიანეთის გარკვეული ნაწილი, რომელსაც ქართული წყაროებით ეწოდება „მთეულეთი კახეთისა“².

როგორც ცნობილია, IX—X სს. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში აღინიშნება განუწყვეტელი ბრძოლები ადრეფეოდალურ სამეფო-სამთავროთა შორის. თითქმის ორი საუკუნის სიგრძეზე წარმოებდა „ბრძოლა გაერთიანებისათვის“, ე. ი. მიმდინარეობდა ისტორიული მოვლენა, პროცესი, რომლის წარმატებით დაგვირგვინება საქართველოს ცალკეულ კუთხეთა ერთი ფეოდალური ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებას, ერთიან ფეოდალურ მონარქიად ქცევას გულისხმობდა. რა თქმა უნდა, ეს იყო სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ამავე დროს იდეოლოგიური პროცესი. ამ პროცესში აქტიურად იყო ჩაბმული კახეთიც, რომელმაც ერთობ რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების გზა გაიარა. ჯერ კახეთ-კუხეთ-გარდაბანი გაერთიანდა; X ს. დასასრულისათვის კი უკვე სავსებით შემზადდა პირობები კახეთ-ქერეთის შეერთებისათვის. XI ს. დასაწყისში კახეთის მმართველმა კვირიკე დიდმა საბოლოოდ დაიპყრო ქერეთის მიწები. წარმოიშვა „რანთა და კახთა“ სამეფო.)

ასეთი პოლიტიკური ევოლუციის პარალელურად მიმდინარეობდა დღევანდელი კახეთის ძველი მოსახლეობის ეთნიკური სახის ჩამოყალიბების პროცესიც. ამ მხრივაც „რანთა და კახთა“ სამეფო მეტად საინტერესო რეგიონია. უძველესი დროიდანვე მისთვის დამახასიათებელია მკვეთრი ინტენსიფიკაცია ეთნიკური პროცესებისა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა ქართული და არაქართული მოსახლეობა. საუკუნეთა მანძილზე კახეთის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი მასების მიგრაციას, ეთნიკური ერთობების ფორმირებასა და დაშლა-გაქრობას; აწინდელი კახე-

² ქუანშე რი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტომი I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 205.

თის ბარსა თუ მთიანეთში მიმდინარეობდა ეთნოგენეზისა და ერთი კური ისტორიის ურთულესი პროცესები. ხოლო ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ხდებოდა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მისი კულტურის განვითარების ფონზე. (ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის კახეთის ტერიტორიაზე უკვე არსებობდა მოსახლეობა, რომელსაც გააჩნდა ნათლად გამოხატული ეთნოკულტურული სპეციფიკა და რომელიც უკვე ატარებდა ხანგრძლივ მალაგანვითარებულ კულტურულ ტრადიციებს.) სწორედ ეს იყო ამოსავალი ეთნოკულტურული სუბსტრატი მომდევნო ხანის ეთნიკური პროცესებისათვის.

აკად. ნ. ბერძენიშვილი, მსჯელობს რა კახეთის ტერიტორიაზე მიმდინარე რთული ეთნიკური ხასიათის პროცესების შესახებ, აღნიშნავს: „კახნი, კოხნი, წანარნი, გარდაბანელნი, პერნი, სოჯნი, ფხოველ-ფშაველნი, ხევსურნი, თუშები, ქისტები — ყველა ამათ შერწყმა—„შეჯვარების“ (ბრძოლისა და თანამშრომლობის) ისტორიული სარბიელი იყო ეს შედარებით პატარა, მაგრამ დიდი შესაძლებლობების ქვეყანა. თითოეულ ამათგანს თავისი წვლილი შეუტანია აწინდელი კახეთის შექმნაში“³.

(ეთნიკური ისტორიის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა კახეთის ტერიტორიაზე (იორ-ალაზნის აუზი) შექმნილი ეთარება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის დასაწყის საუკუნეებში. აღნიშნული პერიოდი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი „კრიტიკული“ ეტაპია კახეთის ისტორიაში.) კახეთისათვის ეს ეტაპი იყო ბრინჯაოს საუკუნის ფინალა, როდესაც მწიფდებოდა წანამძღვრები რკინის მეტალურგიის განვითარებისათვის და საზოგადოების შიგნით ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცვლილებებს.

ჩვენთვის საინტერესოა (სრეგიონის ისტორიული ცივილიზაცია, უეპველია, შექმნეს აბორიგენმა ტომებმა, რომელნიც აქ ცხოვრობდნენ, რამდენადაც შესაძლებელია თვალის მიდევნება, უკვე ზრდივლეს ხანაშივე.) არქეოლოგიური მასალების მიხედვით აქ ადამიანის პირველ ნაკვალევს პალეოლითის დროიდან ვხვდებით⁴. (მოსახლეობის მატება და ბინადარ სამოსახლოთა ძლიერი კერების აღმოცენება განსაკუთ-

³ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 175.

⁴ Т. В. Бугиана швили, Палеолитические памятники Иоро-Алазанского бассейна, Труды кахетинской археологической экспедиции, I, 1969, გვ. 26—33.

რებით ბრინჯაოს ხანიდან შეიმჩნევა⁵ საჩწყავი მიწათმოქმედება და ინტენსიური მეურნეობის განვითარებით ეს მხარე ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩასახვისთანავე ძლიერი სამოსახლოებეფი დეფენსაჲ-

სრული უეჭველობით მტკიცდება, რომ ძვ. წ. I ს. და II ს. ათასწლეულთა მიჯნაზე და უფრო გვიანაც იორ-ალაზნის ტერიტორიაზე ავტოქტონური ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენდნენ დომინირებულ ეთნოკულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალას. ამ ეთნიკურ ჯგუფებს შორის წამყვანი როლი კახებსა და კუხებს უნდა შეესრულებინათ. მეტად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ (ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნაზე იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მკაფიოდ შეინიშნება მატერიალური კულტურის უწყვეტი განვითარება) როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, იორ-ალაზნის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური კულტურა ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან კმძლავრ გარე ზემოქმედებას არ განიცდის, ყოველ შემთხვევაში ისეთს, რომ მისი მშვიდობიანი განვითარების გზა შეწყვიტოს, როგორც ჩანს, ვერავითარმა შემოდწევაში ვერ მოსპო ძველი ადგილობრივი ტომები, მათი კულტურა და ვერ შეცვალა ამ კულტურების ძველადვე შემუშავებული საზღვრები. ამის მანიშნებლად ისიც გამოდგება, რომ ადრეფეოდალურ ხანაში, ყოველ შემთხვევაში VIII საუკუნემდე, ის დაახლოებით ისევე ისეთივე რჩება, როგორც იყო ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულსა და ძვ. წ. I ათასწლეულში⁶.

საინტერესოა, რომ არსებობს შესაძლებლობა, იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე ძვ. წ. XI—X სს. არსებული მატერიალური კულტურის ცალკეული ლოკალური ვარიანტები დაკავშირებულ იქნეს ლეონტი მროველბს თხზულებაში („ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“) მოხსენიებულ ამავე იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებთან: კახებთან, კუხებთან, ჰერებთან. ეს კი ნვენ შესაძლებლობას გვაძლევს, „რანთა და კახთა“ სამეფოს გაბმული ეთნიკური ისტორიკული ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან დავიწყოთ და ამ გამოვლენილი არქეოლოგიური კულტურები მხოლოდ გეოგრაფიულ

კონტაქტის მიხედვით სინტიზირებულს ითვუქმოს ამ რეგიონში⁷.

5 კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები, თბ., 1973.

6 ი. ნ. ბერიძე, კახეთის მიწათმოქმედება და სამეწარმეო კულტურა ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 90—117.

7 კ. ფიცხელაური, დასახ. ნაშრ., გვ. 197.

ლი საზღვრების საშუალებით კი არ გამოვეყოთ, არამედ ეთნიკური თვალსაზრისითაც და მათ სრულიად განსაზღვრული ეთნიკური სახელები მივცეთ⁸. ყოველივე აქედან გამომდინარე დავესკვნათ, რომ იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე ძვ. წ. XI—X სს. არსებული არქეოლოგიური კულტურის მატარებელ წამყვან ეთნიკურ ჯგუფებად ჩვენ უნდა მივიჩნიოთ კახები, კუხები და ჰერები. სწორედ ამ ტომებმა ჩაუყარეს საფუძველი მომავალი „რანთა და კახთა“ სამეფოს მოსახლეობის ძირითად ბირთვს. ამავე კულტურის არეალში უნდა ვივარაუდოთ გარდაბნელთა, წანართა, თუშთა, ფხოვლთა ეთნიკური ელემენტების არსებობაც. იორ-ალაზნის გვიანი ბრინჯაოს არქეოლოგიური კულტურის გავლენა უნდა განეცადა ზოგიერთ ვეინახურ (ჩაჩხურ-ინგუშურ) ტომებსაც: დურძეკები, ლლილვები და სხვ. დურძეკეთი და ლლილვეთი, როგორც ცნობილია, „რანთა და კახთა“ სამეფოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ეთნიკურ კომპონენტებს შეადგენდნენ. ამგვარად, ყველა მონაცემი არსებობს იმისათვის, რომ გამოითქვას ვარაუდი: იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე ძვ. წ. II—I ათასწლეულში არსებული არქეოლოგიური კულტურა ძირითადად უკვე ფეოდალური ხანის „რანთა და კახთა“ სამეფოს მოსახლეობის უშუალო წინაპარი ეთნიკური ჯგუფების კულტურა უნდა ყოფილიყო. ამ მეტად საგულისხმოდ ისტორიული მოვლენის დადასტურება იმითაც არის საყურადღებო, რომ იგი მყარ მატერიალურ საფუძველს უქმნის სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „...უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან მაინც კავკასიის, კერძოდ ამიერკავკასიის, მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა ძირითადად ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც შემდეგში“⁹.

„რანთა და კახთა“ სამეფოს ეთნიკური ისტორიის საკითხების შესწავლისა და გარკვევისათვის საისტორიოდ წყაროებში არცთუ ისე უხვი ცნობები მოიპოვება. ცნობილია, რომ არსებული ძველდროსაველი წერილობითი წყაროები აღმოსავლეთ საქართველოს ჩვენთვის საინტერესო საკვლევ რეგიონში მოსახლე ტომთა შესახებ თითქმის დუმან; რაც შეეხება ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ქართველი, სომეხი და არაბი ისტორიკოსების თხზულებებში დაცულ ცნო-

⁸ კ. ფ. ცხელაური, დასახ. ნაშრ., გვ. 197.

⁹ გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 103.



ბებს, ისინი ერთობ მწირია და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს შეიცავენ. ამას თან ერთვის ისიც, რომ ამ ავტორთა ცნობები ქრონოლოგიურად გვიანდელ ამბებს ასახავენ, ვინაიდან იქნება, რა თქმა უნდა, კახეთის ეთნიკური ისტორიის მკვლევარს რთულ ვითარებაში აყენებს.

ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში ზოგჯერ გვხვდება ეთნოგენეზის პრობლემის კვლევისადმი გაუდიფერენცირებელი მიდგომა, რაც საკითხის არსებითად გაუბრალოებას იწვევს. ეთნიკური ისტორიის კვლევის მეთოდოკით თუ ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ეთნოგენეზს შემდეგი თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ: (I) ენობრივი (რაც ნიშნავს იმას, რომ გამოვლენილ იქნეს მოცემული ეთნოსის ენის გენეზისი), (II) ისტორიულ-კულტურული (მატერიალური და სულიერი კულტურის გენეზისის დადგენა, მათ შორის რელიგიისაც) და (III) ანთროპოლოგიური (ამა თუ იმ ტომის, ხალხის ბიოლოგიური წინაპრების ძირითადი მასის გამოვლენა და მის შემადგენლობაში ანთროპოლოგიური უმცირესობის დადგენა). როგორც წესი, ეთნოგენეტიკური საკითხის სწორი და მართებული გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა სახის მონაცემები აღმოჩნდება ჩვენს განკარგულებაში ზემოთ დასახელებული სამი თვალსაზრისის პრაქტიკულად გამოყენების დროს.

„რანთა და კახთა“ სამეფოს შემადგენლობაში შემავალ ტომთა ეთნოგენეზთან დაკავშირებული ფაქტების კვლევისას ჩვენ მხოლოდ აწინდელი კახეთის ფარგლებით არ ვიზღუდებით. აუცილებელი ხდება ამ ტომთა ეთნოგენეზის საკითხების კვლევა ფართო — საქართველოს, მისი მეზობელი თუ შორეული მხარეების და საერთოდ კავკასიის ისტორიის ფონზე.

წინამდებარე ნარკვევში ჩვენ ვეხებით „რანთა და კახთა“ სამეფოს ტერიტორიაზე მოზინადრე ცალკეული ტომების განსახლების საკითხს, ვცდილობთ, ვიმსჯელოთ ამ ქვეყანაში მოსახლე ტომების ეთნიკური ვინაობის საკითხზე, აგრეთვე თვალი გავადევნოთ აქ მიმდინარე ეთნოგენეტიკური განვითარების პროცესს, განსაკუთრებით ცალკეული ეთნიკური ჯგუფების ურთიერთმოქმედებას და სხვ., რომელთაც საბოლოოდ ფეოდალური კახეთის წარმოქმნამდე მიგვიყვანეს.

ერთოა ქართველური ტომების აღმნიშვნელი სახელებიათუ არა—მედ იმ ისტორიული მთლიანობით, რომელიც ამ ორ მოსახლურ ტომს ახასიათებდა. კახეთ-კუხეთის ურთიერთობა მათი არსებობის შედეგად მანძილზე აშკარად ადასტურებს იმ ეთნიკურ სიახლოვესა და მართკობას, რაც კარგად ჩანს მათი სახელების შედარებისას. ყოველივე ამის შემდეგ სავსებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ჩვენთვის საინტერესო სახელებში მკვლევარნი ეთნიკურ აზრს ხედავენ და მათ წარმომავლობით ქართველურ ტომებს უკავშირებენ².

ლეონტის თხზულებაში დაცულია აგრეთვე საყურადღებო ცნობები კახეთისა და კუხეთის თავდაპირველი ცენტრებისა და უძველესი სამოსახლოების შესახებ. მოვიტანოთ სათანადო ამონაწერები, ლეონტი წერს: „და ამან კახოს ალაშენა ჩელეთი; კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა. რამეთუ დედა-ციხე კახოსის ხუდრი იყო. და მისცა კახოს შეწევნისათვის და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქუა პირველ შენებულსა კახეთისასა“³. დედა-ციხე, როგორც ამას იგივე ლეონტი მროველი გვამცნობს, აუშენებია ქართლოსის ცოლს, მისივე აშენებულია კუხოსის კუთვნილი ბოსტან-ქალაქი: „შემდგომად ამისა ცოლმან მისმან (ე. ი. ქართლოსისამან—თ. პ.) ალაშენა დედა-ციხე. და მანვე ალაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აჲ ჰქუან რუსთაი“⁴. ამავე ამბების შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „იორის პირზედ არს, აღმოსავლით კერძ, ქალეთი, შენობა დიდი და შემუსრვილი. ვგონებთ ამას ჩელეთად, რომელი ალაშენა კახოს ქალაქი, რომელსა პირველ ბერ ერქუა“⁵. „ხოლო ბოკორმა ალაშენა ცოლმან ქართლოსისამან და უწოდა დედა-ციხე... (ესე არს, რომელი წილად ხუდა კახოსს და შენებასა ჩელეთისასა მისცა კუხოსს) და შეეწია კუხოს შენებასა ჩელეთისასა კახოს“⁶.

აპრიგად, როგორც ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებიდან ირკვევა, კახეთის თავდაპირველ ცენტრს წარმოადგენდა ბერ-ი ანუ უფრო გვიანდელი ჩელეთი, რომელიც ვახუშტის მიერ ქალეთთან არის გაიგივებული. ლეონტის ამ ჩვენებაში განსაკუთრებით ის არის საყურადღებო, რომ „ბერ ერქუა პირველ შენებულ“

2 ლ. ქილაშვილი, ქალაქი რუსთაი, გვ. 15.
 3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 9.
 4 იქვე, გვ. 8.
 5 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ტომი IV, ს. ვახუშტიშვილის რედ., თბ., 1973, გვ. 531.
 6 იქვე, გვ. 530—531.

ლსა კახეთისასა“. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღიარებული, „ბერ“ იგივე „იბერის“ ექვივალენტია. ეს ფაქტი კი ერთხელ კიდევ მიგვიტოთებს იმ გარემოებაზე, რომ კახეთის ტერიტორიაზე უძველესი მოსახლე იბერული ტომი იყო ანტიკური ხანის ბერ-ჩელეთი ანუ პერმინდელი ქალეთი დედა-ციხის ანუ ბოკორმის შემდეგ (დედა-ციხის აშენება ქრონოლოგიურად წინ უნდა უსწრებდეს ბერ-ჩელეთს, რადგან იგი, როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ ქართლოსის ცოლს დაუარსებია, ე. ი. ეს უნდა მომხდარიყო მანამდე, სანამ კახოსი თავის წილხვდომილ ქვეყანაში დაემკვიდრებოდა) ერთი ყველაზე უფრო ძლიერი, მნიშვნელოვანი და უძველესი სამოსახლო უნდა ყოფილიყო ივრის ხეობაში.

(ასეთივე თავდაპირველ და უძველეს სამოსახლოდ გვევლინება კუხეთისათვის ქართლოსის ცოლის მიერ აშენებული ბოსტან-ქალაქი. ლეონტი მროველის ამ ცნობას უფრო მეტ სანდოობას სძენენ რუსთავის მიდამოებში აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლთა ნაშთები. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალები ნიშნავს მისთვის დასტურდება, რომ გვიანბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანაში რუსთავის მიდამოებში უძველეს სამოსახლართა რამდენიმე კერა ყოფილა (მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ე. წ. „ციხის გორა“, არსის ნაპირზე, ნაქალაქარზე, სოცქალაქის მშენებლობის უბნებზე და ჩათმა)⁷.

(ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ისტორიული ტრადიციის თანახმად, კახები და კუხები ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნისთანავე ორგანულ ნაწილად შედიან მასში და ხშირად კიდევაც მის ერთ-მთლიან საერისთავოდ არიან წარმოდგენილნი. ლეონტი მროველის ცნობის მიხედვით, როდესაც ფარნავაზ მეფის დროს (დაახლ. ძვ. წ. IV ს. ბოლო და III ს. დასაწყისი) ქართლის ქვეყნის საერისთავოებად დაყოფა მომხდარა, იმავე ავტორის გადმოცემით, ფარნავაზმა „გავზავნა მეორე კახეთისა ერისთავად, და მისცა არავთვან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი“⁸. ფარნავაზის დროს ქვეყნის საერისთავოებად დაყოფა, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ნიშნის მიხედვით უნდა მომხდარიყო, რომელთა შორის ერთ-ერთი არსებითი და წამყვანი როლი ეთნიკურ ნიშანს უნდა შეესრულებინა. კახები და კუხები (კახების მეთაურობით) ქართლის სამეფოს ერთ საერისთავოში ჩანან გაერთიანებული ამაზასპის დროსაც, „მაშინ

⁷ ლ. კილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 32.

⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24.

ამაზას მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათჳს და მოუღეს ერისთავნი აღმოსავლისანი: ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა, ერისთავი სამშვილდისა. და შემოკრბეს მკედარნი სპასიტელნი მათ, როგორც ვხედავთ, ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, რომ კახეთი და კუხეთი კვლავაც ერთ საერისთავოში არიან წარმოდგენილნი. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა ალბათ კუხეთის ერისთავიც⁹.

ბაქარ მეფის დროს (IV ს.) კუხეთი უკვე ცალკე ქვეყნად ჩანს. ბაქარს მოუყვანია რევის ძენი, „მისწულნი მისნი და მისცა კუხეთი, და დასხნა რუსთავს ერისთავად“. ე. ი. ამჟერად ქართლის სამეფოში შემავალი კუხეთი რევის ძეთა სამფლობელოდ ქცეულა. როგორც წყაროებიდან ჩანს, ქართლის მეფე ბაქარი იძულებული გამხდარა რევის ძეთა მიმართ დათმობაზე წასულიყო. იგი მათ აძლევს კუხეთს სამფლობელოდ იმ განზრახვით, რომ ისინი არ შეეცილებიან სამეფო ტახტს.

V ს. ვახტანგ გორგასალის მეფობის პირველ წლებში, როგორც ეს ჟუანშერთან დაცული ჩვენებიდან ჩანს, კუხეთი ცალკე პოლიტიკური ერთეულია. ჟუანშერს შემონახული აქვს კუხეთის მფლობელთა მირიანის და გრიგოლის სახელებიც: „ხოლო მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესავისაგან რევისა, მირიანისვე ძისა, და აქუნდა მათ კუხეთი“¹¹. მაგრამ შემდეგ, გორგასალის მეფობის ბოლო წლებში, უკვე სხვა ვითარება იქმნება. ამ პერიოდში წყაროებში იხსენიება „დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა“, რომელსაც სხვებთან ერთად ვახტანგმა „შეჰკედრა ძე თვისი დაჩი, და უბრძანა აღშენება უჯარმისა და მუნ შინა ზრდა დაჩი მეფისა“¹². ე. ი. ფაქტიურად აქ კვლავ კახეთი და კუხეთი ერთ საერისთავოშია წარმოდგენილი.

VI ს. II ნახევრისათვის ჟუანშერს (თუ მის წყაროს) დაცული აქვს ცნობა იმის შესახებ, რომ მაშინ როდესაც გურამ კურაპალატი ქართლის ერისმთავრად დაჯდა მცხეთას, „შვილნი ბაკურ მეფისანი, ნათესავნი დაჩისნი, ვახტანგის ძისანი, რომლისადა მიეცა მეფობა ვახტანგ მეფესა, იგინი დარჩეს კახეთს. და დაიპყრეს კუხეთი და პერეთი იორითგან, და დასხდეს უჯარმოს, და იყვნეს მორჩილებასა გურამ კურაპალატისასა“¹³. როგორც ჩანს, კუხეთი აქაც კახეთთან ერთად

⁹ იქვე, გვ. 55.

¹⁰ ლ. კილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 52.

¹¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 159.

¹² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 185.

¹³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 219.



ერთ ერთეულად იგულისხმება, რომლის ცენტრი ამჟამად უკვე
მაშია¹⁴.

VII ს. შუა ხანებისათვის, როგორც ჰაბიბ იბნ მასლუმა და მისი
სიგელიდან სავარაუდო ხდება, კუხეთი კვლავ ცალკე ერთეულია —
კახეთისაგან გამოყოფილი¹⁵.

VIII ს. ბოლოს, 787 წელს, ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცე-
მით, „მოკუდა ჭუანშერ ერისთავთერისთავი და შემდგომად მისსა გა-
ნდგა გრიგორი მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდა-
ბანი. ამანვე მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ
ქორიკოზად“¹⁶. ამიერიდან, როგორც ვხედავთ, კუხეთი უკვე საბო-
ლოდ კახეთთან ერთადაა წარმოდგენილი და გარდაბანთან ერთად
ერთ სამთავროს შეადგენს. ე. ი. კუხეთის ცნებას უკვე კახეთი ფა-
რავს; იგი, როგორც ცალკე ერთეული, არსებობას წყვეტს, ხოლო წე-
რილობით წყაროებში „კუხეთი“ უკანასკნელად XII ს. I ნახევარში
იხსენიება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან.

ამრიგად, როგორც ზემოთ მოტანილი მოკლე მიმოხილვიდან და-
ვინახეთ, „რანთა და კახთა სამეფოს“ შემადგენლობაში შემავალი
ორი ძირეული ქართველური ტომი — კახები და კუხები ერთმანეთ-
თან მჭიდროდ დაკავშირებულნი იყვნენ არა მარტო მსგავსი ეთნიკუ-
რი წარმომავლობით (ე. ი. „ქართლოსიანობით“), არამედ იმ ისტო-
რიული ბედ-იღბლის მთლიანობითაც, რომელიც ამ ორ მოსახლვრე
ტომს ახასიათებდა. ჩვენს მიერ ზემოთ ზოგადად მოხაზული ისტო-
რიული სურათი კახ-კუხების ურთიერთობისა მათი არსებობის
მთელს მანძილზე ერთხელ კიდევ სავსებით აშკარად ადასტურებს
მათ ეთნიკურ სიახლოვესა და ნათესაობას.

ბარდაბანელი

ქართულ საისტორიო წყაროებს („მატიანე ქართლისა“) IX—X სს.
ამბების გადმოცემისას არაერთხელ აქვთ დასახელებული „გარდაბა-
ნელი“ ან „კახნი გარდაბანელი“, რომელნიც „რანთა და კახთა სა-
მეფოს“ ისტორიაში და საერთოდ, ფეოდალური კახეთის წარმოსაქ-

¹⁴ დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ქერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის
საკითხები XII—XIII სს-ში, — იხ.: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის
კრებული, III, თბ., 1967, გვ. 62.

¹⁵ დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 84. Баладзори—Жузе, გვ. 11—13.

¹⁶ ვახუშტი, აღწერა, გვ. 357.



შნელად წარმოებულ დიდსა და ხანგრძლივი ბრძოლის პროცესში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ¹⁷. ეს კი უნდა იქნებოდეს, რომ გარდაბანი ამ დროს კახეთის სამთავროში შედიოდა და კაცი ვახუშტიც გვამცნობს: „განდგა გრიგოლ მთავარი და დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდაბანი“¹⁸. ამიერიდან მოყოლებული, უკვე მეორე ქორეპისკოპოსის დაჩის მმართველობის პერიოდიდან, გარდაბანელი აქტიურ შინაპოლიტიკას ეწევიან „ჩანთა და კახთა სამეფოში“.

ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, სახელი „გარდაბანი“ (და აქედან მიღებული სატომო სახელწოდება „გარდაბანელი“) ქართველთა ერთ-ერთი ეპონიმის „გარდაბოსისაგან“ მომდინარეობს. ხოლო თვით გარდაბოსი (და აქედან გამომდინარე თვით გარდაბანელიც) ქართველთა საერთო და უშუალო ეთნარქის ქართლოსის შთამომავალია. იმავე ლეონტი მროველთან დაცული ისტორიული ტრადიციით, გარდაბნის ქვეყნის ცენტრი მტუერის ციხე ანუ იგივე ხუნანი უშუალოდ თვით ქართლოსის მიერ არის აშენებული: „ამავე ქართლოს... აღაშენა მტუერის ციხე, რომელსა აწ ჰქვან ხუნანი“¹⁹. ლეონტი მროველთან შემონახული ეს საყურადღებო ჩვენება ერთხელ კიდევ მკაფიოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ გარდაბნის ქვეყანა თავდაპირველად ქართლოსის ქართლში შედიოდა და რომ იგი უძველესი დროიდანვე ქართველის საცხოვრისს წარმოადგენდა. ყოველივე ეს კი იმას მოწმობს, რომ „ჩანთა და კახთა სამეფოს“ შემადგენლობაში შემავალ ეთნიკურ ერთეულებს შორის გარდაბანელი მიეკუთვნებიან „ქართლოსიან“ (ე. ი. ძირეულ ქართველურ) ტომთა რიგს. ე. ი. ამ ჩვენებით გამოდის, რომ ქართლოსს აუშენებია გარდაბოსის სამფლობელოს ცენტრი ხუნანი, ისევე როგორც „ქართლი“. ყოველივე ამასთან დაკავშირებით საყურადღებო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა დაკვირვება თვით ამ მხარის სახელწოდებაზე — „გარდაბანი“. აკად. ნ. მარი ამ სახელწოდების ფუძეში ხედავს ქართულ ეთნიკურ ტერმინს—„ქართი“. ანალოგიურ შეხედულებას გამოთქვამს კ. თუმანოვი. მისი აზრით, ქართული სახელწოდება „გარდაბანი“ თავისი წარმოშობით უკავშირდება ისეთ უძვე-

17 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 175, 356; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 137—170.

18 ვახუშტი, აღწერა, გვ. 557.

19 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 8.

ლეს ეთნიკურ სახელთა ფორმებს, როგორც არის: „ხალღ“-ი,
„ქალღ“-ი, „ქარღ“-უ-ხი, „ქართ“-ი²⁰.

3. ინგოროყვა იზიარებს ნ. მარის ზემომოტანილ მთავარ მოსაზრებას
ამავე დროს იძლევა ამ სახელწოდების პირველდელი ფორმის აღდგე-
ნის ცდას. მისი აზრით, იგი ასე უნდა იქნეს აღდგენილი: „ქართ-აბა-
ნი“, ე. ი. ქართველთა მხარე („აბანი“ — მხარეს ნიშნავს). სახესხვაო-
ბა სიტყვისა „აბანი“ არის „ობანი“, იგივე „უბანი“. 3. ინგოროყვა
აღნიშნავს, რომ ამ სიტყვის სამივე ფორმა გვხვდება ქართულ გეოგ-
რაფიულ სახელწოდებებში. სიტყვა „აბანი“, რომელსაც არქაულ
ქართულში „მხარის“ მნიშვნელობა ჰქონია, დამოწმებულია, გარდა
ქართულისა, ურარტულში (ფორმით „უბანი“), სადაც ეს სიტყვა „მხა-
რე“-ს ნიშნავს²¹.

7 (გარდაბანელთა ეთნიკური წარმომავლობის საკითხთან დაკავში-
რებით აქვე გვინდა ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ უკა-
ნასკნელ ხანებში სომხურ ისტორიოგრაფიაში ზოგიერთი მკვლევარი,
ეხება რა კახეთის სამთავროს ეთნიკური შემადგენლობის საკითხებს,
გარდაბანელებს მიიჩნევს ვეინახური ჯგუფის ტომად²², რაც ჩვენს
მიერ ზემოთ მოტანილი მასალების გათვალისწინებით არავითარ შემ-
თხვევაში არ დასტურდება და სრულიად უსაფუძვლოდ გამოიყურება.


როდესაც ჩვენ „რანთა და კახთა სამეფოს“ შემადგენლობაში
შემაველ გარდაბანსა და გარდაბანელებზე ვმსჯელობთ, აქვე გვინდა
ყურადღება გავამახვილოთ ერთ მომენტზე. საქმე ის არის, რომ არ-
სებობს ორი გარდაბანი: ერთი ეს არის ე. წ. ქართული გარდაბანი,
რომელიც, როგორც ვიცით, „რანთა და კახთა სამეფოს“ შემადგენლ-
ობაშია გარკვეული დროიდან; ხოლო მეორე არის სომხურ წყაროე-
ბში მოხსენიებული, ალბანური მიწა-წყლისაგან შემდგარი ოლქი,
გარდმანი (*Գարդման*), რომლის შესატყვისად ქართულ წყაროებში
იხმარება ასევე სახელწოდება „გარდაბანი“. ბუნებრივია: აუცილებ-
ლად საჭიროა ზუსტი გამიჯვნა ამ ორი, ანალოგიური სახელწოდებე-
ბის მქონე, მაგრამ ეთნიკურად და გეოგრაფიულად დიამეტრალუ-
რად განსხვავებული შინაარსის მატარებელი ოლქებისა. სულ სხვანი
იყვნენ „კახნი გარდაბანელი“, სულ სხვა წარმოშობისა იყო მათი დი-

²⁰ С. Toumanoff, Introduction to christian Caucasian History. Traditio, 15, (1959), p. 52, 33-114.

²¹ 3. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 469.

²² А. Г. Мкртумян, К вопросу об образовании феодального княжества Кахетии, Историко-филологический журнал, Ереван, 1972, № 1, 33-231.

2. თ. პაპუაშვილი



ნასტია: ასევე სულ სხვა იყო სომხური „გარდმანი“ და სულ სხვა იყო მისი მფლობელი დინასტია მიხრანიდებისა. ამ უკანასკნელთა დაფუძნება უნდა, არავითარი წვლილი არ შეუტანიათ და არავითარნიც არ უთამაშიათ „რანთა და კახთა სამეფოს“ წარმოქმნასა და შექმნაში. ყოველივე ამას იმიტომ ვამბობთ, რომ თვით საისტორიო წყაროებშიც ზუსტად არ არის გამოჩნული ეს ორი მსგავსი სახელწოდების მქონე ტერიტორია — ქართული გარდაბანი და სომხურ წყაროებში მოხსენიებული ალბანური ოლქი — გარდმანი. მაგალითად, თუ ლეონტი მროველი, რომელსაც უეჭველია, რაღაც ძველი წყაროები ჰქონდა ხელთ, მკაფიოდ განსაზღვრავს ქართულ გარდაბანს, სამაგიეროდ „მატიანე ქართლისა“ და სუმბატ დავითის-ძე არ ასხვავებენ ორ გარდაბანს, რის გამოც ხშირად სპეციალური კვლევის ჩატარება ხდება საჭირო იმის გამოსარკვევად, თუ რომელ გარდაბანს გულისხმობს მემატიანე. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურაშიც ხშირად ერთ მთლიან ერთეულად არის წარმოდგენილი ეს ორი სულ სხვადასხვა ტერიტორია.

(მიწა-წყალი, რომელიც შედიოდა ქართულ გარდაბანში, შედგებოდა ხუნანის საერისთავოს კუთვნილი ტერიტორიებისაგან. მის ცენტრს წარმოადგენდა ციხესიმაგრე ხუნანი, რომელიც, როგორც ეს ვახუშტის მიხედვით არის ცნობილი, მდებარეობდა ქცია (ხრამი)-მტკვრის შესართავში²³ და წარმოადგენდა ქართლის (ე. ი. ქართლოსის წილის) უკიდურეს აღმოსავლეთ პუნქტს. ამჟამად ამ ციხესიმაგრის ნანგრევები მდებარეობს აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაზე. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ასეთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ობიექტი დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი არქეოლოგიურად. ხუნანი, რომელიც თავდაპირველად ცნობილი იყო მტუერის-ციხის სახელწოდებით, უფრო მოგვიანებით მას უწოდებდნენ არაბულ-თურქულ სახელს — ყიზ-ყალა)

გარდაბნის ქვეყნის გეოგრაფიულ საზღვრებს ლეონტი მროველი შემდეგნაირად ადგენს: „გარდაბოსს მისცა ხუნანი და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მდინარე ბერდუჯისი (ეხლანდელი მდ. დებედა), დასავლით ქალაქი გაჩიანი, და სამხრით მთა პირველ ხსენებული (ე. ი. სადაც ქართლის სამხრეთი საზღვარი იყო აღნიშნული — სომხითის

²³ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 324; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 31; ი. ჯ ა ვ ა - ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 31; იხ. აგრეთვე, C. Toumanoff, The Bagratides of Iberia from the Eighth to Eleventh century, Le Museon, № 74, 3—4, 1961, გვ. 237, 243, 245 — 246.



მთები), და ჩრდილოთ მტკუარი“²⁴. იგივე ლეონტი მროველი მოგვითხრობს: ფარნავაზმა „მესამე გაგზავნა ხუნანისა ერისთავად, და მისცა ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდაბანი“²⁵. ვახუშტი ასე განსაზღვრავს გარდაბნის ქვეყანას: „რამეთუ გარდაბანი არს საზღვრით: აღმოსავლეთით მტკუარი და, ხუნანის გამართებით, ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთა; სამხრით შულაერისა, ქაპალისა და ბოლნისის გორაები; ჩრდილოთ მტკურიდამ ტფილისის გორაები ტაგნაგეთამდე; დასავლით კვეი ასურეთისა, წინწყაროს გამომართებით ნაჯიდურამდე და ბოლნისის მცირეს მთამდე. იწოდების ქართლოსის ძის გარდაბნის გამო, რომელსა მისცა დედამან თვსმან ხუნანი და ესენი, და მან უწოდა სახელი თვაი“²⁶. როგორც ჩანს, ვახუშტის არ გააჩნდა ჩვენზე მეტი რაიმე საბუთი და ისიც „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოდიოდა. კერძოდ, ექვი არ არის, რომ გარდაბნის ძირითადი ტერიტორიის განსაზღვრისას მას ლეონტი მროველის გარდა სხვა წყარო არა აქვს. მისი ამოსავალი ამ შემთხვევაში „ქართლის ცხოვრების“ ცნობაა: „ბერდუჯის მდინარითგან (ე. ი. ხუნანიდან) ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდაბანი“²⁷. როგორც ვხედავთ, აქ, სამსავე შემთხვევაში, ერთი და იგივე საზღვრებია დასახელებული; ამრიგად, ლეონტი მროველის მიხედვით, გარდაბნის ქვეყანა ჩრდილოეთით ისაზღვრებოდა მტკურითა და თბილისით, სამხრეთით — სომხეთის მთებით, აღმოსავლეთით — მტკურითა და ბერდუჯით, ხოლო დასავლეთით — ქალქ გაჩიანით²⁸. აღნიშნული ფარგლებით გარდაბნის ქვეყანა, ს. ერემიანის აზრით, ემთხვეოდა საქართველოს სსრ ბორჩალოს რაიონს²⁹. ქართულ გარდაბანს სომხური წყაროების გარდამანის ქვეყნიდან ყოფდა მდ. ბერდუჯის ქვემო დინება და სასაზღვრო ციხესიმაგრე ხუნანი.

ამის შემდეგ გადავიდეთ სომხურ წყაროებში მოხსენიებული ალბანური ოლქის გარდამანის ადგილმდებარეობის საკითხის განხილვაზე.

24 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 8.
 25 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24.
 26 ვახუშტი, აღწერა, გვ. 330.
 27 დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII სს-ში, გვ. 63—64.
 28 ი. ჯაფარიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 31.
 29 С. Т. Еремян. Заметки к тексту «Хроники Сумбата», — «Изв. АН Арм. ССР», 9/14, 1941, გვ. 28—29.



გარდმანის სამთავროს მიწა-წყალი შედიოდა ალბანური პროვინციის უტის შემადგენლობაში. მისი ტერიტორია სამხრეთით გზნდალის მთამდე ვრცელდებოდა, ხოლო ჩრდილოეთით იგი აღწევდა მდ. მტკვრამდე. მის დედაქალაქს ეწოდებოდა ქართამანიკი, უფრო მოგვიანებით კი ქოთმანიკი ანუ ქრთმანიკი. იგი მდებარეობდა მდინარე შამქორჩაას მარჯვენა შენაკადის გარდმანჩაას სანაპიროზე³⁰. გარდმანის აღმოსავლეთ საზღვარს მდ. განჯაჩაი წარმოადგენდა, დასავლეთი საზღვარი კი ხშირად იცვლებოდა პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, მაგრამ მუდმივად იგი მაინც მდ. აქსტაფაჩააზე იდგო. გარდმანის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე პარისოსის, კუსტისა და ზავეს ოლქები. ქართული გარდაბანი და ალბანური გარდმანის სამთავრო ერთმანეთისაგან გამოყოფილი იყო ორი ოლქით — კოლბით ანუ კოლბაფორით, რომელიც მდებარეობდა მდინარეების: დებედასა და ინჯაჩაას შორის, და ჯორი, ანუ ჯორაფორით, რომელსაც ინჯაჩაასა და აქსტაფაჩაას შორის მდებარე მიწა-წყალი ეკავა.

ფაუსტოს ბიზანტიელის ცნობით, კოლბაფორისა და ჯორაფორის ოლქები IV ს-ში დამოუკიდებელ სამთავროებს წარმოადგენდნენ³¹. 363 წლის შემდეგ ორივე ოლქი გარდმანთან ერთად მოექცა ალბანეთის სამეფოს შემადგენლობაში დამოუკიდებელი სამთავროების სახით, ხოლო VII—VIII ს-დან ისინი გარდმანის სამთავროში შედიან.

ადგილმდებარეობა თვით ციხე-ქალაქ გარდმანისა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ამავე სახელწოდების მქონე ფეოდალური სამთავროს დედაქალაქს წარმოადგენდა, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მაგალითად, ს. ერემიანი, ეყრდნობა რა სუმბატ დავითის-ძის ქრონიკაში დაცულ ცნობას, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ციხე-ქალაქი გარდმანი მდებარეობდა თანამედროვე ყაზახის რაიონში, სოფელ ხუზაშენის ადგილას (აზერბაიჯანის სსრ)³². ასეთსავე შეხედულებას ავითარებს გარდმანის ლოკალიზაციის საკითხზე კ. ტრევერი³³.

³⁰ М. Бархударян, Арцах, Баку, 1895, 33. 258—305; 428, შენიშვნა 45; Н. Hübschman, Die altarmenische Ortsnamen, Strasburg, 1904, 33. 352.

³¹ Ф. Бузанд, История Армении, Пер. М. А. Геворгияна, Ереван, 1953, 33. 26, 123.

³² С. Т. Еремян, Заметки к тексту «Хроники Сумбата», 33. 28—29.

³³ К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, М. - Л., 1959, 33. 235, სქოლიო 2.

გარდმანის ლოკალიზაციის საკითხის ანალიზისას შედგება დაკრძალვა აგრეთვე ი. მარკვარტმა. ერთ-ერთ თავის ნაშრომში³⁴ იგი აღწერდა არაბი ავტორების ხუნანისა და სომხური წყაროების მხარეებში იდენტიფიკაციას იმასთან დაკავშირებით, რომ ორივეს მდებარეობდა ერთ გზაზე, ბარდავსა და თბილისს შორის. გარდა ამისა, ი. მარკვარტი ერთმანეთთან აიგივებდა ისთახრთან მოხსენებულ ყალ'ა იბნ ქანდამანს, რომელიც ხუნანსა (ჰნარაკერტსა) და თბილისს შორის მდებარეობდა, და ყიზ-ყალას, რომელიც თავის მხრივ ქცია (ხრამი) — მტკვრის შესართავში მდებარეობდა³⁵. ასეთი ძალდატანება წყაროთა ჩვენებებზე შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ ამის შემდეგ ი. მარკვარტს უფრო მეტი აღრევა არ შეეძლო გარდმანის ლოკალიზაციის საკითხში. შეასწორა რა ყალ'ა იბნ ქანდამანის წაკითხვა ყალ'ა იბნ გარდმანად, მან წამოაყენ ასეთი მოსაზრება: ყიზ-ყალა ეს არის არა ციხე-ქალაქ ხუნანის, ქართული გარდაბნის ქვეყნის დედაქალაქის, ნაშთები, არამედ იგი უნდა ჩაითვალოს ციხე-ქალაქ გარდმანის ნაშთებად, რომელიც წარმოადგენდაო ამავე სახელწოდების ალბანური სამთავროს ცენტრსო.

მეორე უკიდურესობაში ჩავარდა აღნიშნული საკითხის კვლევისას პ. ინგოროყვა: მან ქართული გარდაბნის მიწა-წყალი გადაიტანა ალბანეთის ტერიტორიაზე. ხუნან-ხნარაკერტის ი. მარკვარტისეული იდენტიფიკაციის შესაბამისად, პ. ინგოროყვა ხუნანის საერისთავოს ცენტრის ლოკალიზაციას ახდენს მდ. აქსტაფაჩაას მტკვართან შეერთების ადგილას, ე. ი. მას ხუნანის (გარდაბანის) ტერიტორია გადააქვს უფრო შორს, აღმოსავლეთით.

როგორც ცნობილია, ვახუშტი ბერდუჯის აღწერაში აღნიშნავს, რომ მდ. ბერდუჯის ერთ-ერთი სახელწოდება იყო საგიმი, ცოტა უფრო ქვემოთ კი აკეთებს ასეთ შენიშვნას: „არამედ საგიმს ვგონებ ინჯას ანუ აღისტევს“ (ე. ი. ინჯაჩაას ანუ აქსტაფაჩაას—თ. პ)³⁶. პ. ინგოროყვამ ხელი ჩასჭიდა რა ვახუშტის ამ შენიშვნას, მდ. ბერდუჯი (საგიმი) გააიგივა მდ. ძეგამჩაასთან, რომელიც მდ. აქსტაფაჩაას უფრო აღმოსავლეთით მდებარეობს. ამ გზით პ. ინგოროყვამ ქართული გარდაბანის აღმოსავლეთი საზღვარი კიდევ უფრო აღმოსავლეთით

³⁴ J. Marquart, Skizzen zu historischen Topographie und geschichte von Kaukasien, Vienna, 1928, 33. 23—27, 33—34.

³⁵ J. Marquart, Skizzen, 33. 28—31. V. Minorsky, Hudud, 33. 398; A. Я. Манандян, О торговле и городах Армении, 33. 224—247, 253—258.

³⁶ ვახუშტი, აღწერა, 33. 306.

გადაიტანა და ერთ მთლიან ერთეულში მოათავსა ორი სხვა სხვა ტერიტორია³⁷.

ციხე-ქალაქ გარდმანის ლოკალიზაციის საკითხს განვიხილავთ ხანობში სპეციალურად შიხო ზ. მ. ბუნიატოვი. სხვა მკვლევართაგან განსხვავებით, მან უპრადღობა მიაქცია მ. ბარხუდარიანის ცნობებს, რომელმაც პირადად მიმოიხილა მთელი ტერიტორია გარდმანისა. სწორედ ამის გამო, ზ. ბუნიატოვის აზრით, მ. ბარხუდარიანის დაკვირვებანი უფრო მეტ სანდოობას იმსახურებენ³⁸. აი რას ვვამცნობს მ. ბარხუდარიანი გარდმანის შესახებ: «Гардман. Находится напротив западной стороны развалин Агюсашен, на левом берегу реки Гардман (восточный приток реки Шамхор). Именно этот поселок и был центром округа Гардман, а также был резиденцией князей округа. Ныне (1890 г. — т. 3.) поселок этот в развалинах и называется Гртманик»³⁹.

და აი, ზ. ბუნიატოვის აზრით, სწორედ ეს გრტმანიკი უნდა იყოს ციხე-ქალაქი გარდმანი⁴⁰. ჩვენი აზრითაც, ზემოაღნიშნული ლოკალიზაცია ყველაზე უფრო დამაჯერებელი ჩანს. ასე რომ, დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში შეწყნარებულია საბოლოოდ ის აზრი, რომ სომხურ წყაროებში მოხსენიებული ალბანური სამთავროს გარდმანის ცენტრი შამქორის ხეობაში მდებარეობდა. ყოველივე ამის შემდეგ კი სავსებით ცხადი ხდება, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ერთმანეთში გაევიგიეოთ ქართული გარდაბანი და სომხური გარდმანი. ისინი ორ სულ სხვადასხვა ტერიტორიებს წარმოადგენენ. ასეთი ზუსტი გამიჯვნის გარეშე ჩვენ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა გვექნებოდა „რანთა და კახთა სამეფოს“ ისტორიის ერთი მეტად პრინციპული პრობლემის შესახებ. ე. ი. საკითხზე იმის შესახებ, თუ რომელი გარდაბანი იყო, რანთა და კახთა სამეფოში რომ შედიოდა; რომელი დინასტია იყო, რანთა და კახთა სამეფოს წარმოქმნასა და აშენებაში ასეთ აქტიურ როლს რომ თამაშობდა. ამჟამად კი ჩვენთვის სავსებით ნათელი ხდება, რომ ალბანური სამთავროს გარდმანის მფლობელ მიხრანიდებს არავითარი კავშირი არ

³⁷ ზ. ბუნიატოვი, გიორგი მერჩულე, გვ. 50, 451—477. იხ. აგრეთვე რუკა, გვ. 455.

³⁸ ზ. მ. ბუნიატოვი, *Albanica* III, იხ. Изв. АН Азерб. ССР, серия общественных наук, 1964, № 4, გვ. 90.

³⁹ მ. ბარხუდარიანი, *Арцах*, გვ. 301.

⁴⁰ ზ. მ. ბუნიატოვი, იქვე, გვ. 90.

ჰქონდათ რანთა და კახთა სამეფოს ისტორიასთან. ეს რომ უფრო ცხადი გახდეს, მოკლედ, რამდენიმე სიტყვით შევეხთ მებრძოლებს საგვარეულოს გამოჩენას ისტორიულ სარბიელზე.

მიხრანილების გამოჩენას გარდმანში, მათ აღზევებას და მათ მიერ ალბანეთის სამეფო ტახტის მიტაცებას ადგილი ჰქონდა VI ს. დასასრულსა და VII ს. დასაწყისში. მოსე კალანკატუელის მოწმობით, ალბანეთის მომავალი სამეფო დინასტიის ფუძემდებელი მიხრანი სასანიანთა ირანის მეფის ხოსრო II ნათესავი იყო. მისი ირანიდან გარდმანში გადმოხვეწა დაკავშირებული იყო იმ პოლიტიკურ ამბებთან, რომელთაც ადგილი ჰქონდა ირანში აღნიშნულ ხანაში. მიხრანილები, როგორც მ. კალანკატუელი გვაუწყებს, ხოსრო II შურისძიებას გამოეცქნენ; ეს ის ხოსრო II იყო, რომელიც ცეცხლითა და მახვილით გაუსწორდა თავისი მამის, ურმიზდ IV (579—590) მკვლელებს; მიხრანილები კი, როგორც ჩანს, რალაცნაირად გარეული იყვნენ ამ საქმეში. ალბანეთის მემკვიდრე ვადმოგვცემს: „მიხრანი, ნათესავი ხოსროსი, ლტოლვილ იქმნა, გარდაიხვეწა ალბანეთში, თან წაიყვანა რა 30000-მდე ოჯახი. იგი მოვიდა უტის პროვინციაში და შეჩერდა დიდ ქალაქ ბარდავის მახლობლად და სურდა გამგზავრება ხაზართა ქვეყანაში, რათა თავის მხარეზე გადმოეყვანა ირანის ეს მტრები“⁴¹.

მიხრანილებს ირანის მონარქიის შეიღწეულ წარჩინებულ საგვარეულოთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკავათ. ამ გვარის წარმომადგენლებს თავიანთი სამფლობელოებიც კი ჰქონდათ სამხრეთ აზერბაიჯანში⁴². მიხრანილების დინასტიის სასანიური წარმომავლობა მტკიცდება იმით, რომ მ. კალანკატუელის მოწმობით, მიხრანილები სასანის გვარის განშტოებას წარმოადგენდნენ⁴³. ეს მტკიცდება აგრეთვე იმითაც, რომ გარდმანის მთავარი, მიხრანიდი ვარაზ-გრიგორი (გევანშირის მამა) წყაროებში იწოდება „არდაშირის გვარის წარჩინებულ კაცად“. არდაშირ პაპაკანი კი იყო სასანიანთა დინასტიის დამაარსებლის სასანის შვილი⁴⁴.

დამკვიდრდა რა გარდმანში, მიხრანი ამის შემდეგ „გაემგზავრა ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში, იქ მან მოიპატიჟა 12 წარჩინებული, ვერაგულად ამოხოცა ისინი და დაიპყრო მათი ქვეყანა“⁴⁵. ასე იქნა

⁴¹ М. Каганкатвацц, История Арван, СПб., 1861, 33. 135.

⁴² А. Christensen, L'Iran sous les Sasanides, Copenhagen, 1944, 33. 103—110; Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 33. 440.

⁴³ М. Каганкатвацц, История Арван, 33. 276.

⁴⁴ М. Каганкатвацц, 33. 137; შტრ. I. Marquart, Skizzen, 33. 24.

⁴⁵ М. Каганкатвацц, 33. 136.

განხორციელებული პირველი ეტაპი მიხრანიდების ბატონობის დას-
ყარებისა ალბანეთის ნაწილზე — გარდმანზე.

მომდევნო ეტაპი მიხრანიდების აღზევებისა უკვე ^{ქართული} და ^{საქართველო} ბუღია მიხრანის შვილიშვილ „ვარდან მამაცი“ სახელთან. ალბანე-
თის მემკვიდრის გადმოცემით, გარდმანის მფლობელი მიხრანიდე-
ბის წარმომადგენელმა „ვარდან მამაცმა“ გულში მტრობა ჩაიდო ალ-
ბანეთის ძველი სამეფო დინასტიის მიმართ. მან ვერაგულად მიიბა-
ტიცა ისინი სადილზე და სულ ერთიანად ამოხოცა. არშაკიდების ძვე-
ლი სამეფო დინასტიის წარმომადგენელთა რიცხვიდან მან ცოცხალი
დატოვა მხოლოდ ერთი მათგანი, თავისი სიძე არმირხ ერან (ანუ არან)
შაჰიკი, შეუღლე მიხრანიდების საგვარეულოს ერთ-ერთი ქალისა⁴⁶.
აი ასე, ქორწინების გზით (ე. ი. დაქორწინება არშაკიდების ძველი სა-
მეფო დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლისა მიხრანიანთა გვა-
რეულობის ქალზე) წარმოიქმნა ახალი დინასტიური გვარი მიხრანი-
დებისა, რომელნიც გახდნენ მთელი ალბანეთის ხელმწიფენი.

ვარდან მამაციის შვილიშვილის ვარაზ-გრიგორის (ქართული
წყაროების ვარაზ გაგელი — თ. პ.) მმართველობის (628—636 წწ.)
პერიოდში, 628 წ. ადგილი აქვს მიხრანიდებისა და მთელი მათი ერის
„მოქცევას“ — „ნათლისცემას“ ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლე
I-ის მიერ. ეს „მოქცევა“ თუ „ნათლისცემა“, რა თქმა უნდა, გარდმა-
ნის მიხრანიდების გაქალაქედონიტებას ემსახურებოდა. ამის შესახებ
მოგვითხრობს ქართველი მემკვიდრე სუმბატ დავითის ძე. იგი წერს,
რომ როდესაც ერეკლე კეისარი წარემართა ბაღდადს, „მივიდა გარ-
დაბანს (— გარდმანს — თ. პ.), ვარაზ გაგელისასა... და ნათელ-სცა
ერეკლე ვარაზ გაგელსა და ყოველსა ერსა მისსა. და იწყო შენებად
ეკლესიასა, რომელი იგი უბრწყინვალეს არს ყოველთა ეკლესიათა“⁴⁷.
სუმბატ დავითის ძის ქრონიკიდან ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ ნაწ-
ყვეტში მოხსენიებული გარდაბანი შეესატყვისება სომხური წყაროე-
ბის ალბანურ სამთავრო გარდმანს, ამის შესაბამისად „მოქცევა“ თუ
„ნათლისცემა“ შეეხება გარდმანის მფლობელ მიხრანიდებს და მათ
ერს. რაც შეეხება სუმბატ დავითის ძის გარდაბანის მფლობელ ვა-
რაზ გაგელს, იგი არის მოსე კალანკატუელის „ალბანეთის მატრიანე-
ში“ მოხსენიებული „ალბანეთის პირველი მთავარი“ (და ამავე დროს
გარდმანის მფლობელი)⁴⁸ ვარაზ-გრიგორი, მიხრანიდების დინასტიის
წარმომადგენელი, რომელიც სწორედ აღნიშნულ ხანაში მოღვაწეობ-

⁴⁶ М. Каганкатвацци, История Агван, გვ. 136.

⁴⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 375.

⁴⁸ М. Каганкатвацци, История Агван, გვ. 137, 267, 277.

და. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სუმბატ დავითის-ძის ზემოაღნიშნულ ცნობაში მოხსენიებულ გარდაბანს ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს ქართულ გარდაბანად; აქედან გამომდინარე, „მოქცევასა“ თუ „ნათლისცემაშიც“ ქართველ გარდაბანელებს გულისხმობს; რომ თითქოს ამ „მოქცევა“ — გაქალაქედონიტებისა და „გაქართველების“ შემდეგ ეს გარდაბნელნი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ქართულ სამთავროებთან, კერძოდ კახეთთან, აქტიურ მონაწილეობას იღებენ მის პოლიტიკურ ცხოვრებაში და საქმე იქამდისაც კი მიდის, რომ გარდაბნელნი ხელში იგდებენ სამთვროს ხელისუფლებასაც კი⁴⁹. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, სინამდვილეს არ შეეფერება. ზემოთ სრული სიცხადით ვაჩვენეთ, რომ სუმბატ დავითის ძის ცნობაში მოხსენიებულია და საქმე ეხება სომხურ გარდმანს (შამქორის ხეობაში რომ მდებარეობდა), რომ ამ გარდმანს ფლობდნენ ალბანეთის მთავრები მიხრანიდების დინასტიიდან და რომ „მოქცევა“ — გაქალაქედონიტებაც სწორედ ამ მიხრანიდებს შეეხება. ხოლო თუ ყოველივე ამას ვირწმუნებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ სრულიად გამორიცხულია ამ გარდმანელებისა და მიხრანიდების რაიმე აქტიური მონაწილეობა „რანთა და კახთა სამეფოს“ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიხრანიდების დინასტიას არასოდეს ჩაუგდია ხელში კახეთის სამთავროს ხელისუფლება. ეს არ დასტურდება არცერთი ისტორიული წყაროს ჩვენებებით.

VII—IX სს -ში გარდმანის მთავარი ამავე დროს ჩვენ გვევლინება მთელი ალბანეთის მთავრად, მის ხელმწიფედ⁵⁰. საკუთრივ გარდმანი კი წარმოადგენდა მიხრანიდების პირად სამფლობელოს, ალბანეთის სამეფო დინასტიის დომენს, სეფე-სახლის უშუალო საკუთრებას. მიხრანიდები მას განაგებდნენ საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით.

ამრიგად, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, „რანთა და კახთა სამეფოს“ ისტორიის შესწავლისას, მისი ეთნიკური შემადგენლობის საკითხების კვლევისას, ერთმანეთისაგან ზუსტად უნდა გაიმიჯნოს ქართული გარდაბანი და სომხური გარდმანი, ქართველ (კახი) გარდაბნელთა დინასტია და ალბანური მიხრანიდების დინასტია.

⁴⁹ იხ. ლ. ტილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 187—188.

⁵⁰ М. Каганкатвацци, История Агван, гв. 145.



(„რანთა და კახთა სამეფოს“ შემადგენლობაში შემავალი ექვსეკურ ჯგუფებს შორის წანარებს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირათ. უფრო მეტიც, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღიარებული ზოგიერთი ავტორის მიერ, VIII ს. დასასრულსა და IX ს. დასაწყისში თვით კახეთის სამთავროს ჩამოყალიბება წანართა მოთავეობით ხდება და, ამასთანავე, წანარების მიერ არაბებთან წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად იმავე ხანებში უნდა განთავისუფლებულიყო იგი ამ უკანასკნელთა ულლისაგან⁵¹. და რადგანაც „რანთა და კახთა სამეფოს“ ჩამოყალიბების საწყის ეტაპს სწორედ წანარებს და მათ ჰეგემონობას უკავშირებენ, ბუნებრივია, წანართა ეთნიკური ვინაობის გარკვევა ერთ-ერთი უაღრესად დიდი მნიშვნელობისა და აქტუალური ელერადობის მქონე საკითხი ხდება ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ანტიკური, ქართული, სომხური და არაბული წყაროების მონაცემების მიხედვით, წანართა ტომის სამოსახლო ადგილად ცენტრალური კავკასიონი, დარიალის ხეობის რაიონია საგულგებელი⁵². აქედან (ე. ი. საკუთრივ წანარეთიდან) ეს მთიელი წანარები უტყვევებარს, სამხრეთს და იქვემდებარებენ მას⁵³.

ეთნონიმ „წანარის“ (სანარი) ყველაზე ადრეულ მოხსენიებას ვხვდებით პტოლემეის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“, სადაც ძალზე შოკლედ და ლატენტრად აღნიშნულია, რომ „...ალბანის იქით — სანარები (Σαναρῆσι)“ ცხოვრობენ⁵⁴. ამ უძველეს

⁵¹ მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 141.

⁵² ი. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 43; С. Какабадзе, О племени Цанар, საისტორიო კრებული, 1928, წ. III, გვ. 100—104; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 137—150; დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 103—105; V. Minorsky, Hudud al Alam, 1937, გვ. 144; მისივე, caucasica, IV, BSOAS, 1953, vol. XV, part. 3, გვ. 506; მისივე, История Ширвана и Дербенда, Москва, 1963, გვ. 210—211; С. Джанашиа, К критике Моисея Хоренского, მას. საქ. და კავ. ისტ., 1937, წიგნი 6, გვ. 500 და სხვ.

⁵³ მ. ლორთქიფანიძე, დასაბ. ნაშრ., გვ. 147.

⁵⁴ ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეისი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი თარგმანითურთ, წინასიტყვაობა და განმარტებები, იბ. მას. საქ. და კავ. ისტ., ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 44.

სი ცნობიდან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ წა-
ნარები II ს-ში კავკასიონის მთიანეთში სახლობენ. /

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ერთ-ერთ ცნობაში, რომელშიც
30-40-იან წლებს უნდა ეხებოდეს, მოხსენიებულია „წანარეთის ზე-
ვი“: „და ვითარცა მეფობაჲ დაესრულა ქართლსა შინა, სპარსნი განძ-
ლიერდეს და ერეთი და სომხითი დაიპყრეს, ზოლო ქართლი უმე-
ტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგ-
ნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთვე და ორნი დვალეთს და ერთი პარ-
კუანს ღურძქეთისასა და იგი მთიულნი გომარდად დაადგინეს და
სხუაჲ ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად წანარეთისა გვესა და მორჩი-
ლებაჲ დასდევს მისი“⁵⁵. როგორც ვხედავთ, აქ ეს ტოპონიმი ისეთ
კონტექსტშია მოცემული, რომ შესაძლებელი ხდება, პტოლემეოსთან
შედარებით, უფრო დაზუსტდეს წანართა სამოსახლოს არე. კერძოდ,
როგორც ეს ს. ჯანაშიამ დაასაბუთა, აქ ცენტრალური კავკასიონი
უნდა იგულისხმებოდეს: დარიალანი, ლიახვ-არდონის წყალთგასაყა-
რი ქედის ზეკარი და ფშავ-ხევსურეთიდან ჩაჩან-ქისტეთში მიმავალი
გზა⁵⁶.

შემდეგი წყარო, რომელშიც ეთნონიმი „წანარი“ გვაქვს და-
დასტურებული, არის VII ს. სომხური ანონიმური გეოგრაფია. აქ
წანართა ტომი წანარ-(ქ)-ის (*Մանարք*) ფორმითაა მოხსენიებული.
ანონიმი ავტორი ამბობს: „იმავე მთასთან (კავკასიის მთასთან —
თ. პ.)... ბინადრობენ რაქველები, დვალეები... ოსობი, წანარები,
სადაც მდებარეობს ალანთა კარი და მეორე კარი, რომელიც წელქა-
ნად იწოდება იმავე სახელწოდების ტომის (შესაბამისად). შემდეგ
არიან თუშები, ხუნძები... ქისტები, შემდეგ ცხავატელნი, გულა-
მაყრელნი, ღურძქენი, დიდოელნი, ლეკნი“⁵⁷. აღნიშნულ ძეგ-
ლში წანარები ალანების, დვალეების, თუშებისა და დიდოელთა გეო-
გრაფიულ გარემოცვაში არიან მოქცეულნი. მოტანილი ნაწყევტი-
დან აგრეთვე ირკვევა, რომ წანარები სხვა მეზობელი ტომებისაგან
გამოირჩევიან, როგორც თერგისა და არაგვის ხეობებში გაბატონე-
ბული ტომი, რომელიც ფლობს ალანთა (ანუ დარიალის) კარს და
აგრეთვე ე.წ. წელქანის კარს (*դուნიორ ასի მსկრან*), რომელსაც

⁵⁵ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტე-
რატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1963, გვ. 94—95.

⁵⁶ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 4.

⁵⁷ *У. Н. Берекван, Закавказьян раян „Աղխարნայեց“-ի, ხრესქან, 1963.*
გვ. 102.

ი. ჭავჭავიძევილი წილკანის კარად კითხულობს⁵⁸. ქართველ საისტო-
რიო წყაროებსა („მოქცევაჲ ქართლისაჲ“) და სომხურ ქრონიკურ
გეოგრაფიაში შემონახული ცნობების შესწავლის (საქმეძღვანი) ი.
ჭავჭავიძევილი აღნიშნავს, რომ „წანარებს არაგვის ხეობაში“ უკონ-
დათ მკვიდრობა და თითქოს ამ ხეობის მცხოვრებთა საზოგადო სა-
ხელადაც გამოდის, მაგრამ ჩვენი ძველი მატანე (ივლისხმება „მოქ-
ცევაჲ ქართლისაჲ“ — თ. პ.) ამტკიცებს, რომ წანართა ქვეყანა
არაგვის ხეობის ერთი კუთხეთაგანი იყო და მათი მკვიდრობის აღ-
გილს „წანარეთის კევი“ რქმევია; იქნებ წანარეთის კევი იმ აღ-
გილს ეწოდებოდა, სადაც წილკანის კარი იყო? ⁵⁹ VII ს.
„სომხური გეოგრაფიის“ უკანასკნელ, ს. ტ. ერემიანისეულ გამო-
ცემაში წანარები განსახლებულნი არიან კავკასიონის ქედის
ცენტრალურ ნაწილში, ყაზბეგის რაიონსა და მდ. თერგის ხეობა
დინების აუზში⁶⁰. ს. ტ. ერემიანი მათ ტერიტორიას დაახლოებით
945 კვ. კმ-ით განსაზღვრავს.

სომხურ საისტორიო მწერლობაში წანართა შესახებ საინტერე-
სო ცნობები გვხვდება მომდევნო ხანაშიაც⁶¹. ამ მხრივ განსაკუთ-
რებით აღსანიშნავია თომა არწრუნის (IX—X სს.) თხზულება „არ-
წრუნთა სახლის ისტორია“, რომელშიაც წანარებს ცალკე თავი აქვთ
დათმობილი—„წანართა თავგადასავლის შესახებ“. თომა არწრუნის
ცნობით, წანარები ცხოვრობენ ჩრდილოეთის მხარეში, „ქვეყანაში,
რომელსაც წანაკი ეწოდება. ისინი დამკვიდრებულნი არიან მთის სი-
მაგრეებში, უზრუნველად და მშვიდად გარეშე მტრების (საფრთხისა-
გან). სამეფო ხარკი და გადასახადი მათვე რჩებათ, მხოლოდ თავიან-
თი სურვილისამებრ თავის გამგებლად ერთ კაცს აყენებენ. ისინი შე-
თანხმებითა დ ერთსულოვნად ცხოვრობენ ურთიერთ შორის. ტომი
ტომთანაა დამკვიდრებული ერთმანეთისაგან მოშორებით. მათ ახლოს
არის კავკასიის მთა, სადაც დამკვიდრებულნი არიან ტომები, რომ-

⁵⁸ ი. ჭავჭავიძევილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ.,
1948, გვ. 39.

⁵⁹ ი. ჭავჭავიძევილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 39.

⁶⁰ С. Т. Еремян, Армения по Ашхарацуни'у. Опыт реконструк-
ции карты на современной картографической основе, Ереван, 1963, (სომ-
ხურ ენაზე), იხ. თანადართული რუკა.

⁶¹ აღნიშნული ცნობები შესწავლილი და გაანალიზებული აქვს ე. ცაგარ-
ეიშვილს, იხ. მისი ნაშრომი — „თომა არწრუნისა და ანონიმი ისტორიკოსის
ცნობები საქართველოს შესახებ“, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიებანი, IV, თბ., 1975, გვ. 261—265.



ლებიც ენების მიხედვით განიყოფებიან 72 ტომად და ცხოვრობენ წინამძღოლის გარეშე⁶².

წანარნი მოხსენიებულნი არიან იოანე დრასხანაკერტელი (IX სს.) „სომხეთის ისტორიაში“. ერთი ცნობის თანახმად, სუმბატმა „(დაიმორჩილა) გუგარელნი და წანარნი ალანთა კარამდის და მათი მცველი კარის სიმაგრე თავად აიღო“⁶³.

მეორე ცნობაში იოანე დრასხანაკერტელი ლაპარაკობს რა „წანართა დიდ ქორეპისკოპოსზე“, იქვე აღნიშნავს, რომ იგი „ალანთა კარის ახლოს გუგარეთის ნაწილს ფლობდა“⁶⁴.

მეტად საინტერესო კონტექსტში იხსენიებს წანარეთს X ს. სომეხი ისტორიკოსი უხტანესი. მოგვითხრობს რა ივერიელთა ტომებზე და მათს ქვეყანაზე, იგი ჩამოთვლის მასში შემავალ სხვადასხვა გავარებს და შემდეგ წერს: „ურიცხვია სახელი თითოეული გავარისა, რომლებიც მის გარშემოა, და სხვა გავარებისა ქალაქ თბილისის გარშემო, რომელთაც ეწოდებათ: წანარეთი, ჯავახეთი, თრიალეთი“⁶⁵.

XIII ს. სომეხი ავტორის ვარდან დიდის მიხედვით, წანართა ტომის პირვანდელი ადგილსაცხოვრისი კავკასიის მთის ძირას მდებარეობდა და მათ ქვეყანას წანარქი (*Մանարք*) ანუ წანარეთი ეწოდებოდა⁶⁶.

ამრიგად, ზემოა. განხილული სომხური წყაროების შესწავლის და მათი ერთმანეთთან შეჯერების შედეგად ირკვევა, რომ წანარების ქვეყანა ძირითადად ალანთა (დარიალის) კარის მიდამოებში ლოკალიზდება. რაც შეეხება ცნობას წანართა მიერ წილენის ანუ წელქანის კარის მფლობელობის შესახებ, იგი VII ს. სომხური გეოგრაფიის გარდა, სხვა სომხურ წყაროებში არ მოიპოვება.

უთონიმ „წანარს“ კარგად იცნობენ არაბი ავტორებიც. ამჟერად აქ ჩვენ დაკვამყოფილდებით მხოლოდ X ს. ერთ-ერთი არაბი ავტორის მასუღის ცნობის მოტანით.

62 ვ. ცაგარეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 270.

63 იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკლევითა და საძიებლებით გამოსცა ვ. ცაგარეიშვილმა, თბ., 1965, გვ. 64.

64 იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 233—234.

65 უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975, გვ. 65.

66 Всеобщая история Вардана Великого. Перевел Н. Эмин. Москва, 1861, გვ. 126.



ვ. ფ. მინორსკი მასუდის ცნობას წანარების შესახებ ასე თარგმნის: „სასაზღვრო ციხე-სიმაგრე ტფილისსა და უკვე შემოხსენებულ ციხე-სიმაგრე ალანთა კარს შორის მდებარეობს წანარები... მასუდის მეფესაც ეწოდება ქორისქუსი... ისინი ქრისტიანები არიან, მაგრამ პრეტენზია აქვთ, რომ თავიანთი თავი წარმოშობით არაბებს დაუკავშირონ... ამ ქვეყანაში ისინი (ე. ი. წანარები — თ. პ.) ბატონობენ მრავალ ადგილობრივ ხალხებზე. წანარეთის სამეფოს იქით მდებარეობს შაკი“⁶⁷... როგორც ვხედავთ, მასუდის თხზულებაში, შედარებით ზევს მიერ შემომოტანილ ანტიკურ, ქართულ და სომხურ წყაროებთან, დაცულია ზოგიერთი ახალი ცნობა, რომელიც ძირითადად წანართა ლოკალიზაციის საკითხს შეეხება.

წანარების სახელი გვხვდება აგრეთვე X ს. სპარსულ ანონიმურ წყაროში — „ჰუდუდ ალ-ალამ“-ში. მისი ავტორი წანარებს წარმართებს უწოდებს და ათავსებს მათ, როგორც ჩანს, მასუდის ცნობებზე დაყრდნობით, ტფილისსა და შექს შორის. მისი ცნობებით, ამ ტომთა ქვეყანა გადაჭიმული იყო 20 ფარსახის მანძილზე სივრცით⁶⁸.

X ს. შუა ხანებს განეკუთვნება აგრეთვე ბიზანტიელი მწერლის კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა წანართა ქვეყნის შესახებ. როგორც ცნობილია, კონსტანტინე პორფიროგენეტი თავის შრომაში «De caerimoniis aulae byzantinae» აგვიწერს სამეფო კარზე სხვადასხვა შემთხვევების დროს მიღებულ წესებს. კერძოდ, აქ საუბარია, თუ როგორი ფორმით და რა ტიტულით მიმართავდნენ ბიზანტიის კეისრები უცხო სახელმწიფოთა მეთაურებს, და აი, ამიერკავკასიის სხვა პოლიტიკურ ერთეულთა შორის კონსტანტინე პორფიროგენეტი ასახელებს „წანარიის ერისთავსაც“ ასეთ კონტექსტში: „ალბანიის ერისთავს; კრევატადთა ერისთავს, ანუ იგროთწოდებულ კრევატასს; კელონიის ერისთავს; წანარიის ერისთავებს (ἐξ ἑταρῶν ἀρχόντων Τσαναριῶν). — ერისთავს შირვანისას, რომელიც მდებარეობს ალანიასა და წანარიას შუა“⁶⁹. კონსტანტინე პორფიროგენეტის ამ ცნობიდან გამომდინარე მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ წანარია ალანთა ქვეყნის მახლობლად მდებარეობდა.

⁶⁷ В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI веков, Москва, 1963, гл. 210—211.

⁶⁸ «Худуд ал-алам». Рук. Туманского. Введение и указатель В. Бартольда, Л., 1930, гл. 33а.

⁶⁹ გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი IV, ნაკვეთი II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოცემა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1952, გვ. 292.

ზემოთ ერთხელ უკვე აღნიშნული იყო, რომ ანტიკური, ქართული, სომხური, ბიზანტიური და არაბული წყაროების მონაცემების მიხედვით, წანართა ტომის სამოსახლო ადგილად ცენტრალურ კასიონი, დარიალის ხეობის რაიონი უნდა ვიგულოთ. თუმცა აქვე უნდა დავსძინოთ — საისტორიო მეცნიერებაში იყო ცდები იმისა, რომ წანართა განსახლების არე, მათი გავლენისა და მფლობელობის გავრცელება საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე წარმოადგინონ; მაგალითად, მ. ბროსემ შეისწავლა და ერთმანეთს შეუჯერა რა წანართა შესახებ არსებული სხვადასხვა ცნობები, დაწყებული პტოლემეოსით და დამთავრებული ბიზანტიელი მწერლებით, მოიხმო რა აგრეთვე მასუდის, ქართული და სომხური წყაროების მონაცემებიც, გააკეთა დასკვნა, რომ წანარების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ მოსახლეობა, რომელიც გავრცელებული იყო მდ. მტკვარზე, არაგვის შესართავს ქვემოთ, ნუხის ჩრდილოეთით, კერძოდ ელისუს რაიონში, ხოლო აქედან აღმოსავლეთის მიმართულებით ვიდრე დერბენდამდე⁷⁰. ი. მარკარტიც ერთობ ზოგადად და ფართო ტერიტორიაზე განსაზღვრავს წანარების ადგილსამყოფელს. იგი აღნიშნავს, რომ წანარები (Canark) ბინადრობენ თბილისის ჩრდილოეთით მთებში⁷¹.

(ქართულ საისტორიო წყაროთაგან წანარების ადგილსამყოფელის უველაზე უფრო ნიშანდობლივი განსაზღვრა მოცემული აქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონიკის ავტორს, რომელიც წანართა საცხოვრებელ ადგილად „წანარეთის ხევს“ ასახელებს. ამ ცნობაზე დაყრდნობით ი. ჯავახიშვილი დაასკვნია, რომ წანარების მკვიდრობის ადგილს „წანარეთის ხევი“ უნდა რქმეოდა და თანაც იქვე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „იქნებ წანარეთის ხევი იმ ადგილს ეწოდებოდა, სადაც წილკნის კარი იყო“? (იხ. ზემოთ). აღნიშნულ ცნობას ყურადღება მიაქცია აგრეთვე ს. კაკაბაძემ. მას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „წანარეთის ხევის“ ერთგვარ გადმონაშთად მიაჩნია გვიანდელი ხანის ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენებული „კევი“.) იგი წერს: «В XIII. в. бывшая область расселения цанаров в верховьях Терека до Дарьял носит уже груз. название кеву удержанное по сей день»⁷².

⁷⁰ M. Brosset, Sur les Dzanars, Collections d'historiens arméniens, I, SPB, 1876, pp. 609—613.

⁷¹ J. Marquart, Osteuropäische und ostasiatische streifzüge, Ethnologische und Historisch-Topographische studien zur geschichte des 9. und 10. jahrhunderts (ca. 840—940), Darmstadt, 1961, pp. 200, 424.

⁷² С. Н. Какабадзе, О племени цанар, pp. 112.

უკანასკნელ ხანებში ანალოგიური მოსაზრება წანართის ტომის ლოკალიზაციის შესახებ გამოთქვა ს. ერემიანმა. მისი მოსაზრებით, წანართა ტომი «Населяло верховье реки Терек в области, занимаемой грузинами Цанаретис-хеви, а позже просто Хеви. На карте Птолемея к северу от санареев-цанар находится Sarmaticae portae, который должен соответствовать Дарьяльскому ущелью — Аланским воротам античных и раннесредневековых источников — Дури Аланац գուրն սրանայ «Армянской географии»⁷³.

შემოთ მოტანილ მოსაზრებას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „წანართის ხევისა“ და შემდეგდროინდელ წყაროებში მოხსენიებული „კევის“ იდენტურობის შესახებ, ჩვენი აზრით, სავსებით რეალური საფუძველი გააჩნია. საკმარისია, ყურადღებით განვიხილოთ გვიანდელი ხანის ქართული ისტორიული ძეგლების ცნობები „კევის“ ადგილმდებარეობის შესახებ, რომ დაერწმუნდეთ მათ სრულ ურთიერთშესატყვისობაში.

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს: „...შევიდეს გზასა ხუარაზმის კევისასა, და განვიდეს მთასა შორის ცხავატსა და ცხრაზმის კევთა, რომელ არს ლომისა. და ვითარ ცნა დავით ორგულობა შალვა ქუენიფლეველისა, შედგა ციკარეს, რამეთუ ციკარე მტერთაგან შეუვალ იყო. ჩაელო ხუტულბულა, და განვიდეს ჯადას, და გარდვიდეს კევისა“⁷⁴. იგივე „კევი“ მოხსენიებულია ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებაში (პირველი ტექსტი)“: „რამეთუ მაშინ ის ქალი არშას ციხეში ჰყვანდათ, რომელ არს ციხე კევისა“⁷⁵. უფრო ნათელი და ზუსტი წარმოდგენა რომ ვიჭონიოთ „კევის“ (წანართის ხევი) ადგილმდებარეობაზე, მივმართოთ ვახუშტი ბაგრატიონს: „ხოლო გუდამაყარის-კევის შესართავს ზეით, დასაველეთ-ჩრდილოს შუა, არს მთიულეთი... ხოლო მთიულეთის ჩრდილოთ არს კევი. გარდავალს გზა კევის, აღის დასაველეთიღამ, კაკასსა ზედა... მდინარესა კევისასა ეწოდების არაგვევ ჩერქეზამდე და მუნ ლომეკის მდინარე ძუელადვე, და აწ უწოდებენ თერგსა; გამოსდის ქურთაულისა, ზაბისა და მალ-

⁷³ С. Т. Еремян, Расселение горских народов Кавказа по Птолемею и «Армянской географии» VII в., Труды VII международного конгресса антропологических и этнографических наук, том 8, Москва, 1970, გვ. 406.

⁷⁴ ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ვველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 305.

⁷⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 409.

რან-დვალეთისა შუათს, აღმოსავლეთიდან, კავკასის მკრინამ, დის
აღმოსავლეთად ჩასავალამდე⁷⁶. მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ
ვახუშტის მიხედვით „კევი“ შეცვლილი სახელია. იგი წერს: „^{სახელი კევი}
კევი, რომელი აღესწერეთ ქართლსა ზედა, არს დუალეთისავე, გარხა
ვინათგან მტკიცედ დაიპყრეს. მეფეთა ქართლისათა, იგი უწოდეს
შეცვლილითა სახელითა კევად, ვინათგან არს კევი შუენიერი“⁷⁷.
ვახუშტის სიტყვები—„უწოდეს შეცვლილითა სახელითა კევად“, ბუ-
ნებრივია, უნდა ნიშნავდეს იმას, რომ „კევს“ ადრე სხვა სახელწო-
დება ჰქონია. ეს სხვა სახელწოდება კი უნდა ყოფილიყო „წანარეთის
კევი“.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი წერილობითი წყაროების შესწავ-
ლისა და მათი ურთიერთშეჭერების საფუძველზე ნათლად იკვეთება
ის არეალი, სადაც „წანარეთის კევი“ და აქედან გამომდინარე თვით
წანარები უნდა ვივარაუდოთ. ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ წანარ-
თა ადგილსამყოფელს დარიალის კარისა და მისი მიმდგომი მთიანე-
თის რაიონით შემოვფარგლავთ.

თუ ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ ანტიკურ, ქართულ, სომხურ,
ბიზანტიურ, არაბულ და სპარსულ წყაროებში შემონახული მწირი
ცნობების მიხედვით ერთგვარად შესაძლებელი ხდება განისაზღვროს
წანართა ადგილსაცხოვრისი, სამაგიეროდ იგივე ცნობები სრულიად
არაფერს არ იძლევა წანართა ეთნიკური ან ენობრივი კუთვნილების
საკითხის შესახებ. ეს გარემოება კი საგრძნობლად აძნელებს აღნიშ-
ნულ საკითხის კვლევას. ერთადერთი გზა, რომელიც აღნიშნული სა-
კითხით დაინტერესებულ მკვლევართ დარჩენიათ, ეს არის ეთნონი-
მიკური და ტოპონიმიკური მასალის მოშველიება და მათზე დაკვირ-
ვება: ხოლო ამის შემდეგ ლინგვისტური ანალიზის მეთოდის გამო-
ყენებით გარკვეული მოსაზრებებისა და დასკვნების გამოტანა შესაძ-
ლებლობის ფარგლებში.

(წანარების ვინაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვა-
დასხვა აზრია გამოთქმული.

ჯერ კიდევ 1913—1916 წლებში ნ. მარი ცდილობდა, ეთნონიმი
„წანარი“ ქართული სამყაროსადმი დაეკავშირებინა და იგი სვა-

⁷⁶ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იხ. ქართლის ცხოვრება,
ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩი-
შვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 355—356.

⁷⁷ იქვე, გვ. 634.

ნურის ნიადაგზე აეხსნა. ნ. მარის აზრით, ეთნიკური ტერმინი „წანარი“ წარმოადგენს მრავლობითი რიცხვის ფორმას, რომელიც ეუბნება ალნიშნავს სიტყვა «ian»-ი ხოლო «ara» კი არის მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსი. და აი, ამის შემდეგ ნ. მარის მთელი მიდაკავასიონის ჩრდილო ნაწილში, რომელიც მას მიაჩნდა წანართა ტომის განსახლების არეალად, ეძებს მათ ნაკვალევს. უპირველეს ყოვლისა, იგი ყურადღებას აქცევს ტოპონიმ „ერწოს“. მასში იგი გამოყოფს ფუძე «io»-ს, რომელიც ნ. მარის აზრით, «ian»-ის სახესხვაობაა, მისი ვარიანტი, ხოლო «Er»-კი არის ადგილის აღმნიშვნელი პრეფიქსი. ასე რომ, საბოლოოდ ტოპონიმი «Er-io» ნიშნავს სიტყვასიტყვით «ianar-თა ქვეყანას». ნ. მარის ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ეთნონიმ «io-ra»-ზე. ამ ეთნიკური ტერმინით, — წერს ნ. მარის, — აღნიშნავენ იმ ხალხს, რომელთაც დაიკავეს ის ადგილები, აადაც წინათ წანარები ცხოვრობდნენო. სახელდობრ, «io-ra»-ს უწოდებენ ავარები კახლებს და საერთოდ კახეთსო. ანდიელებიც კახეთის აღსანიშნავად ხმარობენ სიტყვა «ior»-ს. ესევე სიტყვა «io-r<io-ra» ნ. მარის ცოტადენი სახესხვაობით დადასტურებული აქვს თვით კავკასიონის ქედის უღელტეხილის მისადგომებთან: ეს არის «-sor», რომელიც შემონახულია სატომო სახელწოდება «qevsur<qev-sor»-ში. ლინგვისტურადაც და ეთნიკურადაც qevsur-ები ქართველებს წარმოადგენენ. აი, ასე, სხვადასხვა ეთნონიმებისა და ტოპონიმების მოშველიებით ნ. მარს დადასტურებული აქვს წანართა ტომის ნაკვალევი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობიდან მოყოლებული ვიდრე თვით მის უღელტეხილამდე (ianar, io-ra>ior, sor სახელწოდებათა სახით⁷⁸. ერთ სხვა ნაშრომში ნ. მარის კიდევ უფრო ავითარებს თავის შეხედულებას წანარებზე და იგი მათ თითქმის სვანურ ტომად მიიჩნევს. მსჯელობს რა ეთნიკურ ტერმინ „სვან“-ზე, იგი აღნიშნავს, რომ სვანებს უწოდებდნენ აგრეთვე «ian-ara»-ს, რომ სვანეთის ერთ-ერთმა მთამ დღემდე შემოინახა სახელწოდება «ianara»-ი. ნ. მარის ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ ეთნონიმი «ian-ara»-ი არის საესეებით გამართული და სწორი სვანური ფორმა მრავლობითი რიცხვისა და ნაწარმოებია სიტყვა «ian»-იდან. წანართა სვანური წარმოშობის თეორია, რომელიც ზემოთ

⁷⁸ Н. Я. Марр, К истории передвижения ифетических народов с юга на север Кавказа. Известия Императорской Академии наук, 1916, гв. 1397—1398.



განვიხილეთ, ნ. მარმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა მას შემდეგ, რაც მან სპეციალური და საგანგებო ექსპედიცია მოაწყო საქართველოში (უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე ს. ჯანაშიას მტკიცედ სმება იჩნვედა ნ. მარის თეორიას წანართა ეთნოგენეზის შესახებ. იგი წერდა: „ნ. მარი „წანარ“-საც სვანების სახელად თვლის, Из поездок в Сванию, 32, შენშ., მაგრამ ეს დებულება დაუმტკიცებელი რჩება, რაც შეეხება ავტორის განცხადებას, წანარ-ს სვანებს ეძახდნენო, იქვე, ეს უკვე ფაქტიურადაც არ არის სწორი“⁷⁹).

წანარების სვანური წარმომავლის თეორიას მხარს უჭერს ს. კაკაბაძეც. მისი ძირითადი ამოსავალი ამ შემთხვევაში ისევ ეთნონიმი „წანარი“-ა, რომელიც მას მიაჩნია სვანური ენისათვის დამახასიათებელ ტიპურ სატომო სახელწოდებად. იგი მასში გამოყოფს ფუძე „წან“-ს, ხოლო სუფიქსი „არ“-კი, მისი აზრითაც, არის სვანური მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ფორმა. ს. კაკაბაძის მტკიცებით ისე გამოდის, რომ ქართველები სვანებს წანარებს უწოდებდნენ. იგი ყურადღებას აქცევს აგრეთვე წანარების ისტორიული სინამდვილისათვის დამახასიათებელ ტიტულს — „ქორიკოზს“, რომლის ინტერპრეტაციაც სვანურ ენაზე ნიშნავს ოჯახის უფროსს. კერძოდ, მისი აზრით, წანარული „ქორიკოზის“ სახესხვაობას უნდა წარმოადგენდეს სვანური „ქორა ხოშა“ (ოჯახის უფროსი⁸¹). /

ს. კაკაბაძის შეზღუდულებასთან დაკავშირებით ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს, გვეცნოთ ნ. ბერძენიშვილის შინაწერებსა და შენიშვნებს ს. კაკაბაძის წერილზე «О племени цанар», გვ. 100. იგი წერს: „ის ვარემოება, რომ ამ ტომს ქართულად წანარები ეწოდებათ, ყოველად საეჭვოს ხდის მათ იგივეობას სვანებთან. ავტორით ისე გამოდის, რომ ქართველები სვანებს წანარებს უწოდებდნენ, ხოლო უცხოელები (ოსები და გადამთიელები) სონებს?...“

ეს ცნობა ს. კაკაბაძეს გამორჩა: გიორგი მეფემ „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით, „მოიერთო ძალი კახეთისა და ჰერეთისა“. სუმბატ დავითის ძის ცნობით კი, გიორგი მეფემ „მოიყვანნა წანარნი და შაქნი“, თითქო ისე გამოდის, რომ ძალი კახეთისა ესაა წანარნი“⁸².

⁷⁹ Н. Я. Марр, Из поездок в Сванию, Христианский Восток, том II, вып. 1, СПб., 1913, გვ. 32, სქოლიო 1.

⁸⁰ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 29, შენიშვნა I.

⁸¹ С. Н. Какабадзе, О племени Цанар, საისტორიო კრებული, წიგნი III, 1928, გვ. III. იხ. აგრეთვე ამავე გვერდის სქოლიო I.

⁸² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 623.



ნ. მარისა და ს. კაკაბაძის თვალსაზრისი წანარების ქართულ ტომად — სვანებად — მიჩნევის შესახებ შემდგომში წინასწარმა მკვლევარმა არ გაიზიარა. წარმოიშვა შეხედულებანი წანარების ვეინახური (ჩეჩნურ-ინგუშური) წარმოშობის შესახებ. ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც წანარების ვეინახური წარმოშობის იდეა წამოაყენა, იყო ა. გენკო. იგი არა მარტო წანარებს მიიჩნევდა ჩეჩნურ-ინგუშური წარმოშობის ტომად, არამედ თავის ნაშრომში ყოველგვარი მტკცებისა და საბუთების მოტანის გარეშე საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მობინადრე მოსახლეობაზე ლაპარაკობს, როგორც ვეინახური მოდგმის ხალხებზე. აი მისი სიტყვებიც: «Весь район Военно-грузинской дороги входил в сферу древнейшего расселения чеченских (ингушских) племен, ныне разделяющих свое пребывание здесь с осетинами и грузинами — мохевцами»⁸³.

ყოველგვარი კომენტარის გაცემების გარეშეც სავსებით ცხადია ა. გენკოს მოსაზრების სრული უსაფუძვლოება.

ვ. ვ. ბარტოლდმა, მუშაობდა რა X ს. სპარსული წყაროს — „ქულუდ ალ-ალამ“-ის ხელნაწერზე, ყურადღება მიაქცია მასში მოხსენიებულ ეთნონიმ „წანარ“-ს და გამოთქვა მოსაზრება, რომ წანარებს გარკვეული გენეტიური კავშირი უნდა ჰქონდეთ ჩრდილო დაღისტნის ხალხებთან⁸⁴.

წანართა ეთნიკური წარმომავლობის ძიების გზაზე ახალი ეტაპი შექმნა ვ. ფ. მინორსკიმ. არაბულ წყაროებში (მასულთან) მოხსენიებულ ეთნონიმ „წანარ“-ზე მუშაობის პროცესში მან წამოაყენა ამ ეთნიკური ტერმინის ვეინახური წარმოშობის იდეა. უკეთებს, რა კომენტარს მასულის ტექსტს, იგი აღნიშნავს: ქართულად „წანარ“ ნიშნავს — ვაეკაცურ მთიელებს, რომელნიც ცხოვრობდნენ კავკასიონის გადასასვლელთან, ხოლო უფრო მოგვიანებით მათ გააფართოვეს თავიანთი სამფლობელოები აღმოსავლეთით, კახეთში. მასული მათ თვლის შაქის მეზობლებად, ე. ი. იგი მათ ურევს კახელებში, რაც არ არის სწორი. საკუთრივ წანარები, — განაგრძობს ვ. მინორსკი, — უთუოდ უნდა იყვნენ ჩეჩნური წარმოშობისანი. მათ, რა თქმა უნდა, არავითარი საერთო არ ჰქონდათ არაბულ ტომებთან, როგორც ამას

⁸³ А. Н. Генко. Из культурного прошлого ингушей. «Записки Коллегии востоковедов при Азиатском музее АН СССР», т. V, 1930, зз. 706.

⁸⁴ «Худуд ал-алам». Рук. Туманского. Введение и указатель В. Бартольда, Л., 1930, зз. 33а.

მასული გვაუწყებს⁸⁵. ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ვ. მინორსკის მსჯელობიდან სავსებით აშკარაა, რომ იგი წანარებს ეკუთვნის თვლის.

ბიზლიჩიძე

წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხით სპეციალურად დაინტერესდა აგრეთვე ქართველი მკვლევარი ჯ. გვასალია. მან მხარს დაუჭირა თავის დროზე ნ. მარისა და შემდეგ ს. კაკაბაძის მიერ ეთნონიმ „წანარ“-ის სვანურის საფუძველზე ახსნას და წანარების სვანურ ტომად მიჩნევას. მისი შეხედულებით, მოსაზრება ქართული სამყაროსადმი წანართა ეთნიკური კუთვნილების შესახებ უსაფუძვლო არ ჩანს. ამის საილუსტრაციოდ თავის მხრივ მას მოაქვს მეტად საყურადღებო მასალა. უმთავრესად ეს არის „წან“ ფუძის შემცველი ტოპონიმები სვანეთის ტერიტორიაზე. მკვლევარმა მსგავსი ფუძის შემცველი ტოპონიმები დაადასტურა: სოფ. წანაში, უღელტეხილი წანური, მთა წანერი (მულახის თემი), მთა წანარი (კალას თემი), საძოვარი წანი (ლახამულის თემი), სათიბი წარანი (ცხუმარის თემი). ამ უკანასკნელი ტოპონიმის ამოსავალი ფორმა, ჯ. გვასალიას აზრით, შესაძლოა იყო წანარი და ფორმა მიღებულია რ-ს მეტათეზისის შედეგად. აღარებს რა ზემოჩამოთვლილ ტოპონიმებს ეთნონიმ „წანარს“-ს, ავტორი აღნიშნავს, რომ აქ ფუძეა „წან“-ს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო არ // ერ მრ. რიცხვის მაწარმოებლები. სიტყვა „წანი“, როგორც ავტორი გვამცნობს, სვანურში დღესაც ცოცხალია. ასეთია ის მასალა, რომელიც ჯ. გვასალიას მოაქვს თავის ნაშრომში ეთნიკური წარმოშობის ასახსნელად წანართა ტომისა⁸⁶.

ა. პ. ნოვოსელცევი აბასიათებს რა ამიერკავკასიის ქვეყნების ეთნიკურ სტრუქტურას და ჩამოთვლის იბერულ-კავკასიურ ენათა ჯგუფში შემავალ ხალხებსა და ტომებს, გაკვრით ეხება წანართა საკითხსაც. იგი წერს, რომ IX—X სს. არაბულ წყაროებში მოხსენიებული წანარები მოსახლეობდნენ სადღაც კახეთში, დარიალის მახლობლად და, შესაძლებელია, ეკუთვნოდნენ ვეინახებს; ისინი ენათესავენ ბიან თუშებსაც⁸⁷.

⁸⁵ В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI веков, Москва, 1963, გვ. 210—211, სქოლიო 100; შდრ. V. Minorsky, *Caucasica* (IV), — BSOAS, 1953, XV/3, გვ. 505—512.

⁸⁶ ჯ. გვასალია, წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 59, № 3, 1970, გვ. 753; მისივე, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, III, თბ., 1971; მისივე, არაგვის კარი (დარიალანი), ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.

⁸⁷ А. П. Новосельцев и др., Пути развития феодализма, Москва, 1972, გვ. 40.



წანართა ეთნოგენეზის საკითხი საგანგებო შესწავლის საგნად გახდა რუს მკვლევარ ნ. გ. ვოლკოვასათვის. იგი უფრადღებდას ამბავებს უპირველეს ყოვლისა იმაზე, რომ ეთნონიმი „წანარე“ უფრო ადრეულ სად გავრცელებულია ცენტრალური კავკასიის ეთნონიმიკაში და ტოპონიმიკაში. კერძოდ, მას მოაქვს კლაპროტის ცნობა იმის თაობაზე, რომ ოსები მოხევეებს უწოდებდნენ „წონა“-ს, ხოლო დარიალსა და კობს შორის მდებარე რაიონს „სონა-სენა“-ს სახელწოდებით აღნიშნავდნენ⁸⁸. 1970 წელს ნ. ვოლკოვამ ოსების სოფელ კობში ჩაიწერა ერთი მეტად საყურადღებო ტოპონიმი „სონა“, რომელიც წარმოადგენს ყაზბეგის მთის ძველ სახელწოდებას. საყურადღებოა, რომ ჩრდილოეთ ოსეთის სხვა რაიონების ოსებისათვის სახელი „სონა“ სრულიად უცნობია. ამ ტოპონიმთან დაკავშირებით ნ. ვოლკოვა მიუთითებს აგრეთვე ყაბარდოულ სიტყვა „სონე“-ზე, რომელიც აღნიშნავს სვანების ეთნიკურ სახელწოდებას და აგრეთვე მთელს იმ მოსახლეობას, რომელიც ცხოვრობს ჭვრის უღელტეხილის სამხრეთით. და აი, ნ. ვოლკოვა უშვებს შესაძლებლობას, რომ ოსურ და ყაბარდოულ ენებში დღემდე შემონახული ტოპონიმი „სონა“ და ეთნონიმი „სონე“ დაკავშირებულ იქნეს ანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ხანის წყაროებში მოხსენებულ „სან(არ)-წან(არ)“-ებთან. ნ. ვოლკოვა იქვე აღნიშნავს, რომ თუ სახელწოდებანი „სონა“-„სონე“ XIX ს-ში და ამჟამადაც მიმართებაში იმყოფებიან სვანებთან, ოსებთან და მოხევეებთან, მაშინ ძველ წანარებს შეეძლოთ არც კი აღენიშნათ ეს ხალხები, რადგანაც მათი ეთნიკური არსი თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში, ბუნებრივია, შეიძლებოდა რომ შეცვლილიყო. საბოლოოდ ნ. ვოლკოვა დაასკვნის: ვინაიდან არ გავაჩნია პირდაპირი ჩვენებანი წანარების ენობრივი კუთვნილების შესახებ, ჩვენ შესაძლებლობა არა გვაქვს დაუფკავშიროთ ეს ხალხი ვეინახების, დალისტნელების ან ქართველების წინაპრებს. გამოვდივართ რა კავკასიის. ჩვენთვის საინტერესო რეგიონში არსებული ეთნიკური სიტუაციიდან ანტიკურ და ადრეშუასაუკუნეების პერიოდებში, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ წანარები ლაპარაკობდნენ იბერულ-კავკასიურ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ ენაზე⁸⁹.

სულ უკანასკნელ ხანებში წანართა ეთნოგენეზის საკითხი კვლავ კვლევის საგანი გახდა. ამჟერად მას ხელი მოჰკიდა სომეხმა მკვლევარ-

⁸⁸ Klapproth J., Reise in den Kaukasus und nach Georgien unternommen in den Jahren 1807 u 1809, Bd. I, Halle und Berlin, 1812, გვ. 676.

⁸⁹ Н. Г. Волкова, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, Москва, 1973, გვ. 126—127.



რმა ა. მკრტუმიანმა. მის ერთ-ერთ გამოქვეყნებულ ნაშრომში წაწარმნილია ვანარების, გარდაბანელებთან და თუშებთან ერთად, გამოცხადებული არიან ვეინახურ ტომად⁹⁰. საამისო არგუმენტად მას მოჰქვს ვანარების განსახლების არეალი — მდ. თერგის ზემო წელის აუზი (ვევი წაწარმნისა), რომელიც, მისი აზრით, ვეინახური ეთნიკური სამყაროს კუთვნილებას შეადგენდა. ხოლო იმის გამო, რომ ცენტრალური კავკასიის რაიონი წარმოადგენდა ერთგვარ შესაყარს ქართველურ და ვეინახურ ეთნიკურ სამყაროთა, წაწარმნილი და აგრეთვე მთელი რიგი სხვა ეთნიკური ჯგუფები, ფეოდალური საქართველოს ფორმირების პროცესის შედეგად, ქართველი ხალხის შემადგენლობაში შევიდნენ⁹¹.

წაწარმნილი ეთნიკური კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით ჩვენ თავს ნებას მივცემთ გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება ვარაუდის სახით და გავუზიაროთ იგი მკითხველს (ამ მიმართებით ჩვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ XIII ს. სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის „მსოფლიო ისტორიაში“ წაწარმნილი შესახებ დაცულ ერთ ცნობაზე, რომელსაც, ჩვენი აზრით, გარკვეული ღირებულება უნდა ჰქონდეს წაწარმნილი ეთნოგენეზის საკითხის გასარკვევად. ამას მით უფრო ეთვლით საჭიროდ, რომ წაწარმნილი წარმოშობით დაინტერესებული ავტორები, რომელნიც ზემოთ გავიყანით, რატომღაც მხედველობის გარეშე ტოვებენ ვარდანის ამ ცნობას და არ განიხილავენ მას ჩვენთვის საინტერესო ასპექტში — ე. ი. წაწარმნილი ეთნიკური ისტორიისათვის. უპირველეს ყოვლისა, მოვიტანოთ თვით ეს ცნობა:

„ზოგიერთი ვინმე აცნი ხალხებისა (გაიყვანეს), გამოსულნი თავიანთი სამშობლოდან, მოვიდნენ გარდმანში და მიმართეს გარდმანის იშხანს — „დავეითმე ჩვენ ნაწილი იმ ქვისა, რომელიც ირაკლისაგან გაქვს მიღებული, ხოლო ჩვენ მივიღებთ ქრისტეს რჯულს და გავხდებით შენი მსახურნი“. ეს კიდევაც აღსრულებულ იქნა. ბაღდადის ამირამ, შეიტყო რა ეს ამბავი, დაემუქრა მათ: და ისინი შეშინებულნი გაემართნენ კავკასიის მთის ძირას. ქრისტეს შემწეობით, რომელიც მათ ირწმუნეს, ისინი დაეპატრონნენ მთელს იქაურ მეზობელ მხარეებს, ისე რომ ერთი მათგანი, სახელად

⁹⁰ А. Г. Мкртумян, К вопросу об образовании феодального княжества Кахети, Историко-филологический журнал, Ереван, 1972, № 1, 33-231.

⁹¹ А. Г. Мкртумян, Этнический состав населения центрального Кавказа в IX—XI вв., Историко-филологический журнал, Ереван, 1976, № 4, 33-172—173.



დავითი, შეუკავშირდა რა ძოროვეტის მეფეს, სამეფო ტახტზეც კი ავიდა. ამ (ხალღებმა) თავიანთ მხარეს უწოდეს წანარქი (წანარქი) იმ საფუძველზე, რომ მასში მათ შეიკნეს თავიანთი პირიანდელი ადგილსაცხოვრისი. და რადგანაც ისინი (ე. ი. ხალღები) ლაპარაკობდნენ ქართული ენით, ამიტომ გარდმანის იშხანმა მოიწვია მათთვის ქორეპისკოპოსი (სა. ჩქვასან ზარეძანაჲ ჯიჯხაჲ გზითა გიქსიჲს-სიყიჲს ჟასან ქსიჲს ჟკავს)⁹².

მიუხედავად იმისა, რომ ვარდანის ზემომოტანილ ცნობაში ჩვენ ვხვდებით ცნობილი ისტორიული ფაქტების დამახინჯებას (მაგ., წანარეთის მფლობელთა წარმოშობა, ქორეპისკოპოზის ინსტიტუტის დაარსება წანარებში და სხვ.), იგი მაინც შეიცავს რეალური სინამდვილის ნაპერწკალს და გამოძახილს წანართა ეთნოგენეზის საკითხისათვის.

პირველ რიგში, ვარდანის ამ ცნობაში ჩვენთვის საინტერესოა ის ამბავი, რომ ხალდიიდან resp. ქალდიიდან (ქაღყესაჲს) გამოსულებს, გარკვეულ ხანაში, კავკასიის მთის ძირას დაუარსობიათ თავიანთი ქვეყანა და მისთვის წანარქი (წანარქი) ანუ წანარეთი უწოდებიათ. ე. ი. გამოდის, რომ XIII ს. სომეხ ავტორს ზღლთ ჰქონდა რაღაც ცნობა, ან იცნობდა რაიმე ისტორიულ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც წანარების წინაპრები ხალდიიდან resp. ქალდიიდან იყვნენ გამოსულნი. ამისათვის საჭიროა გაირკვეს: თუ რა ქვეყანა იყო ეს ხალდია resp. ქალდია; ვინ იყვნენ ხალღები, რომელთა წრიდანაც გამოსულებს წანარეთი დაუარსებიათ; საჭიროა დადგინდეს, თუ რის აღმნიშვნელად იხმარება ისტორიულ წყაროებში ეთნიკური ტერმინი „ხალდი“.

ხალდია resp. ქალდია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარი ქვეყანას ერქვა (უფრო გვიანდელი ქანითი ანუ ლაზისტანი). ამ ჩვენთვის საინტერესო რეგიონში ანტიკური წყაროები ასახელებენ მრავალ სხვადასხვა ტომს (ტიბარენიბი, ხალღები, მოსინიკები, მაკრონები, სანები (ქანები) და სხვ.). უძველეს პერიოდში აქ მობინადრე მოსახლეობას შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილი ეკავა ტომთა იმ ჯგუფს, რომელიც ხალღების სახელს ატარებდა. სტრაბონის მიხედვით: „ტრაპეზუნტისა და ფარ-

⁹² ზარეძან ზარეძეჲს: შხპინ ჟარეძანაჲ ზარეძეჲსიჲსი ჟათიჲს-ქიჲს თხიღეჲსიჲს შიჲსიჲს, 1861, გვ. 135.; იხ. რუსული თარგმანი—Всеобщая история Вардана Великого. Перевал Н. Эмин, Москва, 1861, გვ. 126.



ნაკის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები. ქალები (Χαλδαίαι) და
 სანები...“⁹³ ცოტა უფრო ქვემოთ სტრაბონი უმატებს: „ქალღმერთი
 ლი ქალები (Χαλδαίαι) ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ“⁹⁴.
 ამათ შორის მდებარეობს ფარნაკია⁹⁴“. საყურადღებოა, რომ სტრა-
 ბონზე გაცილებით ადრე, ძვ. წ. VII ს. წყაროებში სწორედ ამავე
 რაიონში ფიგურირებს სახელწოდება, რომელსაც, ი. მ. დიაკონო-
 ვის აზრით, უეჭველი კავშირი აქვს „ხალდიის“ სახელწოდებასთან.
 ეს არის „ხალიტუ“, მოხსენიებული ურარტუს მეფის რუსა II-ის
 ე. წ. ადილჩევაზის წარწერაში ძვ. წ. 776 წ. ამბიბის აღწერისას⁹⁵.
 ეს გარემოება კი უდავო მოწმობაა სახელწოდება „ხალი“-ს რეა-
 ლურობისა. და აი, ამ უძველესი დროიდან მოკიდებული სახელწო-
 დება „ხალია“ resp. „ქალია“ საქმოდ მტკიცედ იკიდებს ფეხს
 აღნიშნულ ტერიტორიაზე და ხანგრძლივადაც ცოცხლობს. ეს სა-
 ხელწოდება ცნობილი იყო აგრეთვე ძველი სომხებისათვის. დამა-
 ხასიათებელია ამ მხრივ VII ს. სომხური გეოგრაფიის შემდეგი ცნო-
 ბა: „ქანეთი, რომელიც არის იგივე ხალიტი (ხალია)“ — *Քանիք*
 (მოსე ხორენელთან, II, 76: *Քանիք որք են խալդիք*)⁹⁶.

ხალია resp. ქალია ზემოაღნიშნული ქვეყნის აღსანიშნა-
 ვად ქართულ საისტორიო წყაროებშიც გვაქვს დადასტურებული.
 პირველ რიგში მივმართოთ იოანე საბანისძეს (VIII ს), რომელსაც
 თავის თხზულებაში „აფხაზეთის“ საქმფოს საზღვრების აღწერი-
 სს ნათქვამი აქვს: „რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღუად იგი პონ-
 ტოჲსა, სამკვიდრებელი ყოვლადვე ქრისტიანეთა, მოსაზღვრად-
 მდე ქალიაჲსა, ტრაპეზენტისაჲ მუნ არს, საყოფელი იგი აფსარე-
 აჲსაჲ და ნაფსაჲ ნავთსადგური“⁹⁷.

„მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი აღნიშნავს: ბასილ კეისარი
 თრიალეთის, ჯავახეთისა და არტანის მოხრების შემდეგ, წარვიდა
 და დაიხამთრა ქვეყანასა ხალიისასა, მახლობელად ქალაქსა ტრაპი-
 ზონთასა“⁹⁸. ამავე ამბავთან დაკავშირებით სუმბატ დავითის ძე წერს:

⁹³ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, XII, 3, 18, თბ., 1957, 23-203.
⁹⁴ სტრაბონი, XII, 3, 19.
⁹⁵ И. М. Дьяконов, «Эпиграфика Востока», VI, 1952, გვ. 111—112.
⁹⁶ Армянская география VII века, თარგმანი გვ. 39, სომხური ტექსტი 83-16.
⁹⁷ იოანე საბანისძე, მარტვილობა აბო ტფილელისა, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, კ. კეკელიძის რედ., თბ., 1935, გვ. 66.
⁹⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 285.



მეფე „ბასილი, შეიქცა თრიალეთით და უკუმოვლო ჯავახეთი და არტანი დღეთა შინა ზამთრისათა, და კუალად უბოროტეჲდუფუ მოქოჯრა. და წარვიდა და დაიზამთრა ხალდიასა“⁹⁹. სახელწოდება „ხალდია“ იმდენად გამძლე აღმოჩნდა, რომ როდესაც ჩვენთვის საინტერესო რეგიონი მთლიანად ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში აღმოჩნდა ადმინისტრაციულად და აქ ჩამოყალიბდა წმინდა ბიზანტიური პროვინცია (თემი), მაშინაც კი ეს პროვინცია ბიზანტიური წყაროების მოწმობით (კონსტანტინე პორფიროგენეტი და სხვ.) „ხალდიის თემის“ სახელწოდებას ატარებდა. ამრიგად, ზემოთ განხილული ისტორიული წყაროების მიხედვით, „ხალდია“ resp. „ქალდია“ არის შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქვეყანა, მთავარი ქალაქი ტრაპიზონით.

მაგრამ ვინლა იყვნენ ეთნიკურად ეს „ხალდები“? ამ საკითხის გამოსარკვევად მეტად მნიშვნელოვანია ზემოთ მოტანილი ცნობა ძველი სომხური წყაროებიდან, კერძოდ კი VII ს. ანონიმური სომხური გეოგრაფიიდან. ამ შემთხვევაში უპირველესად სომხურ წყაროებს მივმართავთ, იმიტომ რომ სწორედ სომხურ წყაროშია (ვარდან დიდის „მსოფლიო ისტორია“) დაცული ჩვენება წინართა წინაპრების ხალდიადან წარმომავლობის შესახებ. ამისათვის კი საჭიროა გაირკვეს, თუ რა ეთნიკური შინაარსის შემცველია ტერმინი „ხალდი“.

როგორც ცნობილია, სომხური გეოგრაფია ბევრი რამით არის დამოკიდებული ბერძნულ, ხოლო ქართული მიწა-წყლის აღწერისას კი ქართულ წყაროებზე. მაგალითად, კოლხეთს იგი უწოდებს „*სყს*“-ს (მდრ. ქართული „ეგრისი“). მის ოლქებად იგი ასახელებს „*ყაყი*“-ს (ლაზივი), ჭანეთს (*ჭანსქ*). როგორც ეხედავთ, ზოგიერთი ამ სახელწოდებებიდან წარმოგვიდგება ქართული დაბოლოებებით („ეთ“ და „ივ“). ამიტომაც მეტად დამახასიათებელია, რომ „გეოგრაფიის“ ავტორი საჭიროდ თელის განმარტოს ქართულბერძნული ტერმინი „ჭანეთი“ და შეხიშნავს: ეს არისო იგივე „ხალდია“ (*խალდი*) — „ხალტიქი“. ნათლად ჩანს, რომ „ხალდ“ (ხალტ) წარმოადგენს სომხურ სახელწოდებას იმ ეთნიკური ჯგუფისა, რომელიც ბერძნულ-ქართულ სამყაროში არის ჭანების-სანების აღმნიშვნელი სახელი. ჭანები კი ჩვენ გვევლინებიან დასავლურ-ქართულ ტომებად. საფიქრებელია, რომ მეზობელი სომხები სახელწოდება „ხალტიქ“-„ხალდი“-თ აღნიშნავდნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ დასავლურ-

⁹⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 383.

ქართულ ტომებს საერთოდ. ამ სახელწოდებაში „ქ“ წარმოადგენს/სომხური მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ ნაწილაკს. ეფ. ი. ე. სუფ. 11 ხური „ხალტიკი“ — „ხალდი“ შეესატყვისება ქართულ ქანები იყვნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ერთ-ერთი ტომი, ისინი მოსახლეობდნენ ჩრდილოეთ ანატოლიის მთებში. ამ ტომმა საუკუნეების განმავლობაში სხვებზე უკეთესად შეინარჩუნა თავისი თვითმყოფობა, და ჩვეხი წელთაღრიცხვის მიჯნაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამ მხარეში. ამიტომაც მათი სახელწოდება გავრცელდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და საერთოდ აქ მცხოვრებ დასავლურ ქართულ მოსახლეობაზე. მაგრამ ასეთმა ცვლილებამ სომხებში ასახვა ვერ პოვა, რადგანაც ისინი უძველესი დროიდანვე აღნიშნული მოსახლეობისათვის ხმარობდნენ თავიანთ საკუთარ სახელწოდებას — „ხალტიკი“ — „ხალდი“, რომელიც მომდინარეობდა ამ ტერიტორიაზე მოსახლე, სომხების მეზობლების, დასავლურ ქართული ტომების სახელიდან¹⁰⁰. ამრიგად, ზემოთ ჩატარებული მცირე ისტორიული ექსკურსის შემდეგ საუბრით ნათელი ხდება, თუ რა ეთნიკური შინაარსი უნდა ჩაიდოს სომხურ წყაროებში დამოწმებულ ტერმინ „ხალტიკ“ — „ხალდში“. აქედან გამომდინარე კი გარკვეული შუქი ეფინება ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ ვარდან დიდის „მსოფლიო ისტორიაში“ დაცულ ცნობას იმის შესახებ, რომ წანარების წინაპრები გამოსულნი არიან „ხალდიის“ resp. „ჭალდიის“ ქვეყნიდან, რომელიც, როგორც დავინახეთ, წარმოადგენდა დასავლურ-ქართული ტომების, ხალდების საცხოვრისს. ჩვენი საბოლოო დასკვნა ასეთია: XIII ს. სომხურ წყაროებში (ვარდან დიდის „მსოფლიო ისტორია“) ჩვენ შემონახული გვაქვს ზეპირი გადმოცემა თუ ისტორიული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც აშკარად ჩანს, რომ ცენტრალური ავკასოხის რაიონში მცხოვრები წანარების წინაპრები იყვნენ დასავლურ-ქართული ტომი „ხალდები“, ჩვენი აზრით, არსებობს რეალური საფუძველი იმისა, რომ წანარების ეთნიკური ენობა დაკავშირებულ იქნეს დასავლურ-ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან (ქანებთან, სანებთან, რომელთა აღმნიშვნელიც ძველ სომხურ წყაროებში, როგორც ზემოთ დავინახეთ, იყო ეთნიკური ტერმინი „ხალტიკი“ — „ხალდი“).

წანარების წინაპრების ხალდების საკითხთან დაკავშირებით ყურადღება გვინდა შევაჩეროთ კიდევ ერთ მეტად საყურადღებო დე-

¹⁰⁰ Г. А. Меликишвили, К истории Древней Грузии, 33- 252.



ტალზე. ცნობილია, რომ ჭერ კიდევ ი. ჭავჭავაძის მიერ აღნიშნულა: სვანეთში ეხლაც მოიპოვება რამდენიმე სოფლის საზოგადოებრივ-ქალაქისა და „ქალდე“ ანუ ხალდე ჰქვია“-ო და იგი იქვე გვხვდება. ქალდელები ხალდე, ქართლ ანუ იგივე კართლ „ქართველი ტომების საზოგადო სახელწოდება იყო (ქართული, კარდუ-ხი)“, და რომ ეს ქალდეები (resp. ხალდეები) ქართველების ღვიძლი ძმები იყვნენ¹⁰¹. ი. ჭავჭავაძის მიერ შენიშნული ეს გარემოება ერთხელ კიდევ დამატებით მხარს უჭერს ჩვენს მოსაზრებას — წანარების ეთნიკურად ქართული სამყაროსადმი მიკუთვნების შესახებ.

მართო შემოაღნიშნულით არ ამოიწურება ეთნიკური ტერმინის წანარის („წან“-ის) დაკავშირება დასავლურ-ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან (ქანებთან, სანებთან). ეთნიკური ტერმინი „წან“-ი ისტორიული გადმონაშთის სახით დაცულია აფხაზურშიც. კერძოდ, აფხაზთა ხალხური გადმოცემით, ძველთაძველ დროში აფხაზეთის მთებში ცხოვრობდა ხალხი, რომელიც ეკუთვნოდა წან-ის (აფხაზური ფორმა) ანუ წანისა (სამურზაყანული ფორმა) გვარს. იმ ბედნიერ დროში არ იცოდა არც წვიმა-თოვლი, არც ქარი და სიცივე, არც დღე-ღამე იყო ერთმანეთში გარჩეული. წანები (აფხ. წანა) მეგობრები იყვნენ, თავს რძეულითა და უმი ხორციით ირჩენდნენ. მაგრამ რადგანც წანები უსჯულონი იყვნენ და ღმერთს არაფრად აგებდნენ, ღმერთმა ისინი დასაჯა. ერთხელ როცა წანები წრედ ისხდნენ, ერთმა მათგანმა შეამჩნია, რომ იქვე მდგომ თხას წვერი ერხეოდა. ეს ღმერთმა პირველად გამოგზავნა ქვეყნად ქარი. ქარს მოჰყვა შავი ღრუბლები და ბამბის წვიმა. ბამბამ თოვლივით დაფარა მთელი მიწა. შემდეგ ღმერთმა ცეცხლი გაუჩინა ბამბას და მასთან ერთად უსჯულო წანებიც გადაბუგა. როგორც ფიქრობენ, ეს გადმოცემა დაკავშირებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ თავისებურ არქეოლოგიურ ნაშთებთან, რომელნიც ნახევრად ციკლოპურ-მეგალითური ხსიათისა არიან და ვრცელდებიან ბზიფიდან ენგურამდე. ეს ძეგლები გვხვდება მთებში 2133-დან 2286 მეტრის სიმაღლეზე და წარმოადგენენ ყოველგვარ ნაგებ ობიექტებს ან არასწორი წრის სახის მქონე „ბაკებს“. მათ აფხაზები „წან-იგუარა“-ს ეძახიან, რაც „წანის სადგომს“ ნიშნავს¹⁰².

წანები ქვეყნად ქარი

¹⁰¹ ი. ჭავჭავაძის მიერ, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1961 (მეოთხე გამოცემა), გვ. 403, 430—431.

¹⁰² ეს ძეგლები პირველად აღწერა ლიტერატურაში და გადმოცემაც გამოქვეყნა ნ. ალბოვმა, იხ. მისი Ботанико-географические исследования в Зап. Закавказье в 1898 г., ЗКОРГО, кн. XVI, გვ. 144—145.

თუ რა უნდა იგულისხმებოდეს ზემოთ მოტანილ გადმოცემაში რეალურ-ისტორიულად, ამის შესახებ თავის დროზე ს. ჯანაშია შენიშნავდა: „საკუთრივ აფხაზებს მათი დღევანდელი ტერიტორია ნაწილზე, წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა, ერთი მხრით, სვანური შტოსი, მეორე მხრით—ქანურ-მეგრულისა. მოკვანილ გადმოცემაში, ჩვენი აზრით, სწორედ ამ ფაქტის ანარეკლი გვაქვს. ჩვენ უეჭველად მიგვაჩნია, რომ წანი ზანისა და ჰანის ბუღეს ეკუთვნის. „წანი“, ამ შემთხვევაში, ქანურ-მეგრულ ფენას გულისხმობს... სახელწოდება „წან“ შეუძლებელია მიჩნეული იყოს ზან-ის ან ჰან-ის აფხაზური გამოთქმის ფაქტად, აფხაზურ ვარიანტად. ასეთი ფონეტიკური გადასვლისათვის აფხაზურში ჩვენ საფუძველს ვერ ვხედავთ, იმიტომ, რომ აფხაზურს თავისუფლად შეეძლო შეეთვისებინა როგორც ზან, ისე ჰან ფორმები“. საბოლოოდ ს. ჯანაშია დაასკვნის, რომ ფორმა „წან“ აფხაზურმა მზამზარეულად შეითვისა, და არ გადააკეთა თავის ფონეტიკის ყაიდაზე“¹⁰³.

ტერმინ წან-ის ეთნიკურ მნიშვნელობას გარკვეულად შექსა ჰქვენს და თვით ამ ტერმინის ვარიანტების ისტორიისათვის ძალზე საყურადღებოა ერთი ფაქტი, იმავე ქანურ-მეგრული სამყაროდან, რომელიც საკმაოდ მოულოდნელ კონტექსტში არის შემონახული: სამხრეთის ქარს სამეგრელოში წანი-ბორიას, ე. ი. წანის ანუ ჰანის ქარს ეძახიან¹⁰⁴. ამ გამოთქმის სწორი გაგებისათვის გასათვალისწინებელია სხვა ქართა ისეთი მეგრული სახელები, როგორიცაა: გურული ბორია — გურული ქარი, ჯვარული ბორია — ჯვარის ქარი და სხვ.¹⁰⁵.

სატომო სახელ „წან“-თან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უეჭველად მიჩნეულია ის ფაქტი, რომ რიგი ქართველი ტომები ატარებდნენ (და ზოგი ეხლაც ატარებს) ისეთ სატომო სახელებს (სვან-ი, ზან-ი, ჰან-ი და მათი პროტოტიპები თუ ვარიანტული ფორმები — სან-ი, წან-ი და სხვ.), რომელთაც ერთგვარი სტრუქტურა, კერძოდ ერთგვარი ფორმა ჰქონდათ. შეიძლება ამიტომ ვიფიქროთ, რომ განვითარების გარკვეულ საფეხურზე ეს ფორმა საერთოდ ქართველური ფორმა იყო სატომო სახელთა წარმოებისათვის¹⁰⁶.

¹⁰³ ს. ჯანაშია, შრომები, III, თბ., 1959, გვ. 15—16.

¹⁰⁴ იქვე, გვ. 19.

¹⁰⁵ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (инверского) языка, Хрестоматия и мингрельско-русский словарь, СПб., 1914, лекსიკონი, „ბორია“ სიტყვის ქვეშ.

¹⁰⁶ ს. ჯანაშია, შრომები, III, გვ. 47.



Handwritten notes in the left margin, including the word 'წილი' and other illegible characters.

ამრიგად, სატომო სახელის „წანარის“ („წანის“) ისტორიული ფორმების განხილვა ერთობ ცხადად ამკლავებს მიუკეციქვე- შირს ჰანურ-მეგრულ ფენასთან. რა თქმა უნდა, შემოფუძვლული ერთ უნდა გავიგოთ, „წან“-ებში („წანარ“-ებში) საკუთრივ ჰანები ან ხანები ვიგულისხმობთ. ჩვენი აზრით, „წან“-ი იყო ერთ-ერთი ტომთა- განი ჰანურ-მეგრული განშტოებისა. თუ როდის ჩნდება „წან“-ების (წანარების) ეთნიკური ელემენტი ჩვენთვის საინტერესო რეგიონში, ცენტრალურ კავკასიონში (დარიალის კარი, „წანარეთის ხევი“), ამის ქრონოლოგიურად განსაზღვრა ფრიად ძნელია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით ფაქტი „წან“-ების გამოყოფისა ჰანურ-მეგრულის ძირითადი მასიდან საკმაოდ ძველ დროში უნდა მომხდარიყო. კერძოდ, თუ გავითვალისწინებთ პროლემაიოსის (II ს.) ჩვენებას (იხ. ზემოთ), მაშინ წანარები („წან“-ები) ანტიკურ ხანაში და, საფიქრებელია, ამაზე უფრო ადრეც, უკვე ცენტრალური კავკასიონის (დარიალის კარი და მისი მიმდგომი მთიანეთი) რაიონში უნდა ვიგულებოთ. ამის შემდეგ წანართა ისტორიული ბედ-იღბალი სხვა გზით წაიძარათა: ისინი ცხოვრობენ აღმოსავლურ-ქართული მოსახელობის გარემოცვაში, განიცდიან ამ უკანასკნელთა ენის ძლიერ გავლენას. ყოველივე ეს კი იწვევს მათს სრულ მოწყვეტას ჰანურ-მეგრული ეთნიკური სამყაროსაგან.

წანარების ქართველურ ტომად მიჩნევას სხვა ისტორიული რეა- ლიებიც უჭერენ მხარს. აქ ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ ჩვენს მიერ ზემოთ განხილული უხტანესის (X ს.) ცნობა, რომლის მიხედ- ვითაც წანარები წმინდა ივერიელ ტომად არიან გამოცხადებული. ამ- ასვე ადასტურებს XI ს. არაბული ანონიმური ისტორია „ტარხ ბაბ ალ-აბვაბი“, რომელშიც ვკითხულობთ: 205/820 წელს „ქართველები აუჯანყდნენ მას (ხალიდ იბნ იაზიდს—თ. პ.). იგი დაიძრა მათ წი- ნაალმდეგ და იქ წანარებთან იბრძოდა“¹⁰⁷.

ამ მიმართებით ფრიად საინტერესოა აგრეთვე ჩვენთვის ის ფაქ- ტი, რომ ვარდან დიდის ზემოგანხილულ ცნობაში წანარების შე- სახებ კიდევ ერთი მეტად საგულისხმო ჩვენებაა დაკული, რომელიც შეიძლება რალაცნაირად მიგვანიშნებდეს წანართა ენობრივი კლთვ- ნილების საკითხზე დაც. როგორც ვნახეთ, იქ აღნიშნულია: „და რად- ვანაც ისინი (ე. ი. წანარები) ლაპარაკობდნენ ქართული ენით, ამიტომ გარდმანის იმხანაში მოიწვია მათთვის ჭორეპისკოპოსი“ (ს. *Рцхан*

¹⁰⁷ В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI веков, стр. 44—45.

წარემანაქცისაჲ განაა ვიხეხისიყიი ჟანს სეციხნ-ქოთი 108
აღნიშნული წინადადება, როგორც ეს ჯერ კიდევ მის რუსულ
ლად მთარგმნელმა ნ. ემინმა დაადგინა, შეიცავს გრამატიკულ
სტობას, რის გამოც აზრიც ბუნდოვანი ხდება. მისი სიტყვა-სიტყვითი
მთარგმანი ასეთი იქნება: „გარდმანის იშხანმა მოუყვანა მათ (წა-
ნარებს — თ. პ.) ქორეპისკოპოსი ქართული ენისათვის.“ როგორც
ვხედავთ, აქ ავტორი აზრის დაქერა მეტად ძნელდება. სიტყვები
„ქართული ენა“ წანარებისადმი მიმართებაში უნდა განვიხილოთ,
თუ იგი ქორეპისკოპოსს უნდა მივაკუთვნოთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ
ამ შემთხვევაში უფრო მისაღებია ნ. ემინის მთარგმანი და აქ ნამდვი-
ლად საქმე უნდა ეხებოდეს წანარების ქართულ ენაზე ლაპარაკს.
და თუ ვარდან დიდის ცნობის ამ წინადადებას ასე გავიგებთ, მაშინ
წანარების ეთნოგრაფიული კუთვნილების საკითხთან ერთად გარკვეული
იქნება მათი ენობრივი კუთვნილების საკითხიც. ამასთან დაკავში-
რებით გვახსენდება ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი რუსი მკვლევარ-
ის ნ. ვოლკოვას მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ წანარები
ლაპარაკობდნენ იბერულ-კავკასიურ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ
ენაზე. ამჟრად კი, თუ გავიზიარებთ ვარდან დიდის ცნობის ჩვე-
ნებურ ინტერპრეტაციას, ასევე ვარაუდის სახით შეიძლება ითქ-
ვას, რომ ეს ერთ-ერთი ენა რომელიმე ქართველური ენა უნდა
ყოფილიყო.

ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ წანარები ქართულენოვან
ტომს წარმოადგენდნენ, მხარს უჭერს წანარების განსახლების ტერი-
ტორიაზე ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების არსებობა. მხედვე-
ლობაში გვაქვს გარბანის ეკლესიის ეპიგრაფიკული მასალა. სოფელ
გარბანი დღევანდელი რაიონული ცენტრის ყაზბეგის სამხრეთით
მდებარეობს და მისგან 8 კმ-ითაა დაშორებული. იგი გაშენებულია სა-
ქართველოს სამხედრო გზის ორივე მხარეზე, სოფ. სიონსა და ანდე-
ზიტს შორის. როგორც ვხედავთ, გარბანი მდებარეობს საკუთრივ
ისტორიული ქვეის ტერიტორიაზე. ქვეი კი, როგორც ზემოთ
გვაქვს აღნიშნული, გვიანდელი შეცვლილი სახელია და იგი თავისი
გეოგრაფიული მდებარეობით შეესაბამება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს
„წანარეთის ქვეს“. ეს უკანასკნელი კი, როგორც ვიცით, წარმოად-
გენდა წანარების ძირითად სამოსახლო ადგილს. გარბანის ხუროთმო-
ძღვრული ძეგლის მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზი ტაძრის აგე-

108 *წ ხ ბ ქ ნ ჟ ა ნ ი ა ნ ა*, *წ ა ა მ ი ა ქ ს ნ ი ხ ე ხ რ ა ს ხ ა ნ*, გვ. 135.

ბის ხანას განსაზღვრავს IX ს. მიწურულით და X ს. დასაწყისით¹⁰⁹. აღნიშნულ ხანაში წანარები და მათი ქვეყანა კახეთის სამთავროს რეგანულ შემადგენელ ნაწილს შეადგენდა. გარბანის ტარაჩხაშვილებზე შემორჩენილია ქართული წარწერები, რომელნიც თავისთავად აგრძელებს ნიშნებით, შესრულების სტილით IX—X სს. თარიღდება¹¹⁰. ე. ი. განეკუთვნება იმ ხანას, რომელშიც გარბანის ეკლესია აგებული. მოვიტანოთ ეს ქართული წარწერები მხედრული ტრანსკრიპციით:

I. ტაძრის სამხრეთის შესასვლელის ზემოთ გარედან ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „ესე ნავე ნაფუშევი მე უღირსმან“... წარწერის შინაარსის დაკავშირება ძეგლის ზუროთმოძღვრებასთან გაურკვეველი რჩება¹¹¹.

II. ეკლესიის შიგნით ჩრდილო შესასვლელის დასავლეთის წიროთხლის ერთ ქვაზე მოთავსებულია სამსტრიქონიანი ნუსხური ამოკაწრული წარწერა:

ღირს მყო წმინდამან
გიორგი მე...ე
სა დაწყებით¹¹².

III. ასომთავრული წარწერა აღმოსავლეთის კედელზე სარკმელთან: თევდორე¹¹³.

IV. იმავე სარკმლიდან მარჯვნივ ზემოთ მეექვსე რიგში ასომთავრული წარწერა: გრიგოლ¹¹⁴.

V. ჩრდილო ფასადის აღმოსავლეთ ნაწილში იგივე ასომთავრული წარწერაა განმეორებული¹¹⁵.

VI. აღმოსავლეთის ფასადზე, მის მარცხენა ნაწილში, ქვევიდან ზემოთ, მეხუთე რიგში, ორსტრიქონიანი ნუსხური წარწერა:

წდის გიორგის
ოქრო¹¹⁶. აქ, როგორც ჩანს, შეწირულობის შინაარსის წარწერა უნდა იყოს.

109 ვ. დოლიძე, გარბანი, ქართული ზუროთმოძღვრების IX—X სს. ძეგლი ხევი, თბ., 1958, გვ. 95.

110 იქვე, გვ. 89—91.

111 იქვე, გვ. 42—43.

112 იქვე, გვ. 43.

113 იქვე.

114 იქვე.

115 იქვე.

116 იქვე.

ჰ ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი IX—X სს. ქართული წარწერების მოთავსებული ისტორიული წანარეთის ტერიტორიაზე მდებარე გარბანის ხუროთმოძღვრულ ძეგლზე, აშკარად მეტყველებს თქვენი წინააღმდეგ ამ პერიოდში წანარეთში ქართული ენა იყო გაბატონებული და გილობრივი წანარული მოსახლეობა საეკლესიო მღვდელთმსახურებას ქართულ ენაზე ისმენდა. ეს კი, თავის მხრივ, იმის მოწმობაა, რომ წანარები ქართულენოვან ტომს წარმოადგენდა და ისინი მტკიცედ და ორგანულად იყვნენ შერწყმულნი ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან¹¹⁷.

წანართა ეთნიკური წარმოშობისა და მათი ენობრივი კუთვნილების საკითხის განხილვის შემდეგ, საჭიროდ მიგვაჩნია სპეციალურად შეეჩერდეთ თვით ტერმინ „წანარებ“-ისა და „წანარეთ“-ის საკითხზე. ისევე როგორც ზოგი სხვა ქვეყნის სახელებს, ასევე „წანარეთ“-საც რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, ვიწრო და ზოგადი. „წანარეთი“ თავისი ვიწრო მნიშვნელობით მოიცავს ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილ ფარგლებს: დარიალის კარისა და მისი მიმდგომი მთიანეთის რაიონს — „წანარეთის ქვეს“. ასეთივე ვითარება სავარაუდებელია ანტიკურ ხანასა და ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში. შემდეგ ხანებში, VII ს-დან, განსაკუთრებით კი VIII—IX სს-ში, როდესაც ადგილი აქვს წანართა ტომის პოლიტიკურ გაძლიერებას და დაწინაურებას, ტერმინი „წანარეთი“ ჩვენ გვევლინება, როგორც ზოგადი, კრებითი მნიშვნელობის შინაარსის შემცველი ეთნოპოლიტიკური სახელწოდება კახეთის მთიანეთის მოსახლეობისა ქართულ წყაროებში ამ სახელწოდების შესატყვისად იხმარება მეტად მკაფიო და კოლორიტული გამოთქმა „მთეულეთი კახეთისა“¹¹⁸. ზოლო არაბულ და სომხურ წყაროთა მონაცემების შესწავლის საფუძველზე, სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია გამოთქმულია მოსაზრება, რომ პოლიტიკური აზრით „წანარნი“ და „წანარეთი“ ეწოდება არა მხოლოდ კახეთის მთიელებს, არამედ საერთოდ მთელ კახეთს¹¹⁹.

¹¹⁷ გარბანის ქართული წარწერების შესახებ იხ. აგრეთვე: Klaproth. Reise in den Kaukasus und nach Georgien unternommen in den Jahren 1807 und 1808, B. I, Halle und Berlin, 1812—1814, გვ. 687 Dubois de Montpeireux. Voyage autour du Caucase.... t. IV, Paris, 1840, გვ. 264; П. С. Уваров а. Кавказ, Путевые заметки, М., 1887, გვ. 100—101.

¹¹⁸ ქუთაისური, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 217.

¹¹⁹ J. Marquart. Osteuropäische und ostasiatische streifzüge, გვ. 409—411; ი. ქავთაისივილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 94; ს. ქანაშია, შრომები, II, გვ. 403, 406; შ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ვაერთიანების ისტორიიდან (კახეთის სამთავრო VIII—XI სს.), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 31, თბ. 1954, გვ. 12, 36.

საფიქრებელია, რომ წანართა პოლიტიკური დაწინაურება VIII — IX სს-ზე უფრო ადრეულ ხანაში უნდა მომხდარიყო, ვერძოდ მაშინ, როდესაც ისინი ძირითადად მთაში, წანარეთის ხეგში ცხოვრობდნენ. წანარების დაწინაურებასა და განსაკუთრებულ კულტურულ მოპოვების საქმეში გადამწყვეტი ფაქტორის როლს ასრულებდა დარიალის ხეობის დაცვისა და გამაგრების პრობლემა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაშივე წანართა ტომის ბელადს დაკისრებული ჰქონდა დარიალის ხეობის დაცვის მოვალეობა. შეიძლება ითქვას, ეს იყო წანართა ტომის ბელადის მემკვიდრეობითი თანამდებობა, რომელსაც ადრე თუ გვიან უნდა გამოეწვია წანართა პოლიტიკურად წინ წამოწევა და სხვა მეზობელ ტომთა შორის ჰეგემონობის მოპოვება.

სასანიანთა ბატონობის დროს, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობის მიხედვით (იხ. ზემოთ), ირანელებმა „სხუა ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად წანარეთის ჳეესა და მორჩილებაჲ დასდევს მისი“. ეს ამბავი, როგორც ცნობილია, ზღბება ირანის შაჰის ხოსრო I ანუ შირვანის (531—578 წწ.) დროს. როგორც ვხედავთ, VI ს-ში წანარეთის მთავრის მეთვალყურეობისა და კონტროლის ჳეეშ მოქცეულია სტრატეგიულად ისეთი მნიშვნელოვანი გადასასვლელი, როგორიც დარიალის კარი იყო. წანარების ასეთი წამყვანი როლი კავკასიონის მთავარი ჳედის ცენტრალურ ნაწილში მდებარე უმნიშვნელოვანესი გადასასვლელის, დარიალის კარის, დაცვაში, საიდანაც ადგილი ჳქონდა წინა კავკასიიდან მომთაბარე ტომების შემოჭრას, ბუნებრივია, მათ დიდ წონასა და პოლიტიკურ მნიშვნელობას სძენდა, ზრდიდა მათს ავტორიტეტს სხვა ტომთა შორის.

სასანიანთა ირანის ბატონობის დამხობის შემდეგ ქართლის საერისმთავრო, რომელიც მოიცავდა აგრეთვე არაგვის ხეობასა და თერგის ზემო წელის ტერიტორიას, დასუსტდა. სწორედ ამ პერიოდში მიმდინარეობს კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების პროცესი, რომლის შემადგენლობაშიც ექცევა მთელი ზემოალნიშნული ტერიტორია, ე. ი. წანარების სამოსახლო. და აი, ამიერიდან წანარები სათავეში უდგებიან ახალი დამპყრობლების — არაბების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ ბრძოლაში მათ გაიერთიანეს არა მარტო კახეთის მთიულები, არამედ არაბთა სახალიფოს ბატონობით უკმაყოფილო ყველა ტომი, მათვე უერთდებიან ჩრდილოკავკასიელი ტომებიც. ათეული წლების განმავლობაში წანარები წარმოადგენდნენ ანტიარაბული ფრონტის მრისხანე ძალას.

არაბთა მფლობელობის პერიოდში წანართა წამყვანი როლი მათი გაზრდილი პოლიტიკური მნიშვნელობა წერილობით წყაროებშიც აისახა. სწორედ აღნიშნული ხანის არაბულ წყაროებში აღნიშნული ტერმინი «Sanaria» და სომხური წყაროების «წანარქი» (Մանարք) პოლიტიკური აზრით უდრის მთელ კახეთს. ასე შეიძინეს ტერმინებმა „წანარქი“ და „წანარქეთი“ თავიანთი უფრო ფართო, ზოგადი და კრებითი მნიშვნელობა.

დებულება იმის შესახებ, რომ გარკვეულ პერიოდში სომხურ-არაბული წყაროების „წანარქეთი“ პოლიტიკურად გაგებულ იდენტურია „კახეთის სამთავროსი“, სამეცნიერო ლიტერატურაში ერთერთმა პირველთაგანმა წამოაყენა და დაასაბუთა ი. მარკვარტმა. იგი აღნიშნავს, რომ იოანე კათალიკოსთან და X ს. სხვა სომხურ-არაბულენოვან მწერლებთან მოხსენიებული წანარქი და მათი ქორეპისკოპოზი (die Canark' mit ihrem chorbischof) ისეთივე პოლიტიკური როლის შემსრულებელნი ჩანან, როგორც ქართული ქორნიკების კახეთი და მისი ქორეპისკოპოსო (die chorbischöfe von Kachet)¹²⁰. ამ მოსაზრების ნათელსაყოფად ი. მარკვარტს მოაქვს სამი შემდეგი ადგილი იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორიიდან“.

I. „ამგვარად, გაიზიდა და გაიზარდა მისი (მეფე სუმბატის — თ. პ.). სამფლობელოს საზღვარი ჩრდილო დასავლეთიდან კარნუ ქალაქამდე და კიდევ უფრო იქით, კლარჯეთამდე, მიღწეა დიდი ზღვის ნაპირამდე, ეგრისის (ქვეყნის) საზღვრამდეც და დიდი მთის კავკასიის ძირამდის, (დაიმორჩილა) გუგარელნი და წანარქი ალანთა კარამდის და მათი მცველი კარის სიმაგრე თავად აიღო. იქიდან კი სამხრეთის მხარეს (დაჰყვა) და მდინარე მტკვრით ქალაქ თბილისამდე (მოვიდა). (შემდეგ კი დაეუფლა) უტის გავარს ქალაქ ჰუნარაკერტამდის, ტუსამდისა და შამქორამდის“¹²¹.

II. „დიდი ქორეპისკოპოსი, რომელიც ალანთა კარის ახლოს გუგარეთის ნაწილს ფლობდა, მოვიდა დიდძალი ჯარით მეფის (აშოტ II-ის — თ. პ.) დასახმარებლად“¹²².

¹²⁰ J. Marquart, Osteuropäische und ostasiatische streifzüge, გვ. 409.

¹²¹ ქართული თარგმანი ე. ცაგარეიშვილისა, იხ. იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 64.

¹²² იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 233.



III. „მოსე უეცრად გამოვიდა სისაყანის მხარეებიდან და განიზრაბა წანართა დიდ ქორეპისკოპოსთან წასელა“¹²³.

ი. მარკვარტის მიერ მოტანილი სამი ცნობა იოანე კლემენტის „სომხეთის ისტორიიდან“ სრულებით ცხადდება, რომ მასში მოხსენიებული წანარნი და მათი ქორეპისკოპოსი, მართლაც, იდენტურია კახეთისა და მისი ქორეპისკოპოსისა.

რომ არაბული წყაროების „წანარეთი“ უდრის „კახეთის სამთავროს“, ამის დასამტკიცებლად ი. მარკვარტს მოაქვს იაკუბის ცნობა იმის შესახებ, რომ ხალიფა არ-რაშიდის მიერ (786—809 წწ.) მმართველად დაყენებული ხუზაიმა იბნ-ხაზიმის მტარვალობამ გამოიწვია აღშფოთება ჯურზანისა და სანარიაში. აჯანყებულთა წინააღმდეგ ხალიფამ გაგზავნა დიდი ლაშქარი საიდ იბნ-ხაისამის მეთაურობით, რომელიც იქამდე ებრძოდა ჯურზანისა და სანარიის მცხოვრებლებს, ვიდრე არ დაატოვებინა მათ თავიანთი ქვეყნები¹²⁴. იაკუბის ამ ცნობიდანაც კარგად დასტურდება ი. მარკვარტის დებულების სისწორე. აქაც ერთობ ნათელი უნდა იყოს, რომ „წანარეთი“ (სანარია) პოლიტიკურად გაგებული ნიშნავს „კახეთის სამთავროს“¹²⁵.

ი. მარკვარტის არგუმენტაციას ჩვენი მხრივ დაეუმატებთ მხოლოდ პატარა ნაწყვეტს მასუდის (X ს.) მეტად ნიშანდობლივი ცნობიდან, რომელიც მთლიანად ერთხელ უკვე მოვიტანეთ ზემოთ. მასუდი თავის ცნობილ ისტორიულ-გეოგრაფიულ თხზულებაში „მურუჯ აღ-მახაბ“ წერს: სასაზღვრო ციხესიმაგრე ტფილისისა და უკვე ზემოხსენებულ ციხესიმაგრე ალანთა კარს შორის მდებარეობს წანართა სამეფო, რომლის მეფესაც ეწოდება ქორისქესი, რაც აქაური მეფეების ჩვეულებრივ ტიტულს წარმოადგენს. ისინი ქრისტიანები არიან. ამ ქვეყანაში ისინი (ე. ი. წანარები — თ. პ.) ბატონობენ მრავალ ადგილობრივ ხალხებზე¹²⁶. მასუდის ჩვენებიდან სრული უცილობლობით მტკიცდება, რომ ამ შემთხვევაშიც „წანართა სამეფო“ პოლიტიკური გაგებით კახეთის სამთავროზე უნდა მიგვიითივებდეს, ხოლო წანართა მეფეების ჩვეულებრივი ტიტული „ქორისქესი“ კი კახეთის მთავართა საეკლესიო-იერარქიულ ტიტულს „ქორეპისკოპოსის“ გულისხმობს.

¹²³ იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 234.

¹²⁴ Якуби. История, текст и перевод с арабского проф. П. К. Жузе, Баку, 1927, გვ. 12.

¹²⁵ J. Marquart, Osteuropäische und ostasiatische streifzüge, გვ. 411.

¹²⁶ В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, гв. 210—211.



მასუდის ცნობაში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე გამოქვეყნებული „წანარები ბატონობენ მრავალ ადგილობრივ ხალხებზე“ ეტიკეტები. ეტიკეტები ება კიდევ ერთი დამატებითი საბუთია იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ გარკვეულ პერიოდში (VIII—IX სს.) ტერმინი „წანარნი“ და „წანარეთი“ წარმოადგენდნენ ზოგადი, კრებითი მნიშვნელობის შინაარსის შემცველ სახელწოდებებს.

დებულებას იმის შესახებ, რომ გარკვეულ პერიოდში ეთნოპოლიტიკური ცნებები „წანარნი“ და „კახნი“ იდენტურნი არიან, მზარს უპერს და საფუძველს უმაგრებს ისტორიული წანარეთის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლებიც. ამ მიმართებით ერთი მეტად საგულისხმო მოვლენა იქცევს ყურადღებას: საქმე იმაშია, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება კახეთის მატერიალური კულტურის საერთო მასიდან ე. წ. „წანარული“ მატერიალური კულტურის გამოყოფა. კახეთის ხუროთმოძღვრებაში „წანარული“ კომპლექსების გამოყოფა არავის უცდია. ეს იმ დროს, როდესაც საუკუნეების განმავლობაში წანარები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ კახეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. წანარები აქ მრისხანე ძალას წარმოადგენდნენ არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. და უცბად ასეთ ვითარებაში ვხედავთ სრულიად მოულოდნელ შედეგს: არავითარი წმინდა, საკუთრივ „წანარული“ მატერიალური კულტურის კვალი. ეს, ერთი შეხედვით უცნაური მოვლენა აიხსნება იმით, რომ წანარეთის ტერიტორიაზე მდებარე მატერიალური კულტურის ძეგლები, ყველა ნიშნით, მსგავსი და იდენტურია კახეთის სინქრონული ძეგლებისა. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ წანარეთის შედარებით მცირე ტერიტორიაზე არსებული IX—X სს. ისეთი ხუროთმოძღვრული ძეგლები, როგორცაა სიონის სამნავიანი ბაზილიკა, სიონიდან 5—6 კმ სამხრეთ-აღმოსავლეთით შავ არაგვზე ახალციხის ბაზილიკური ეკლესია¹²⁷, იქვე სიონის ჩრდილოეთით 1,5 კმ გარბანის ეკლესია¹²⁸. სამივე ძეგლი თანამედროვე ყაზბეგის რაიონში მდებარეობს. ამათგან თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებით გამოირჩევა გარბანის ტაძარი, რომელიც თვალსაჩინო ადგილს იჭერს ქართული კულტურის, კერძოდ, არქიტექტურის განვითარების ისტორიაში.

ისტორიული კახეთის უკიდურეს ჩრდილო რაიონში, ქართველი

¹²⁷ В. Долидзе, Р. Шмерлинг, Военно-Грузинская дорога, путеводитель по архитектурным памятникам, Тб., 1956, გვ. 41—42, 48—51.

¹²⁸ ვ. დოლიძე, გარბანი, თბ., 1958.



მთიელი ტომის წინარების სამოსახლოში, მდებარე გარბანის ტაძარი გვიჩვენებს, რომ IX ს. მიწურულსა და X ს. დასაწყისში მსხვილნი შენობას, რომელსაც ისეთივე მხატვრული მისწრაფებანი ახასიათებს, როგორიც აღებული დროის დანარჩენ საქართველოს¹²⁹. გარბანის ეკლესია თავისი არქიტექტურული ხელოვნებით გენეტიკურად უკავშირდება კახეთის არქიტექტურას.

თუშაბი

როგორც ზემოთ არაერთხელ მივეუთითებდით, „რანთა და კახთა“ სამეფოს წარმოქმნა რთული ეთნოგენური პროცესის შედეგს წარმოადგენს, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ როგორც ქართული, ისე არაქართული, მთისა თუ ბარის ახლო თუ შორეული მონათესავე ეთნიკური ელემენტები. XI ს. დასაწყისში, როდესაც „რანთა და კახთა სამეფოს“ ჩამოყალიბება საბოლოოდ გაფორმდა და მისი ეთნიკური სტრუქტურაც ნათლად გამოიკვეთა, მის ჩრდილოეთ ნაწილში, სხვა მთიელ ტომთა რიცხვში ჩვენ ვხედავთ თუშებს, რომელნიც ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით მიეკუთვნებიან „მთეულთა კახეთისათ“-ას. კერძოდ, როგორც ვახუშტი გადმოგვცემს, თუშეთი შედიოდა „რანთა და კახთა სამეფოში“ შემავალ პანკისის ერისთავის გამგებლობაში. ვახუშტი წერს, რომ როდესაც „რანთა და კახთა“ მეფე კვირიკეს კახეთში მანამდე არსებული საერისთავოები განუმტკიცებია და თავისი ძალაუფლება დაუდგენია ამ საერისთავოებზე, მას პანკისის ერისთავისთვის მიუცია ტერიტორია „პერეთის საზღვრის ზეითი კავკასამდე და კახეთის მთამდე თუშეთითურთ“¹³⁰. ასე რომ, როგორც ვხედავთ, თუშები „რანთა და კახთა“ სამეფოს შემადგენლობაში შემავალ ეთნიკურ ერთეულთა შორის არიან; და რადგანაც ჩვენ ამ სამეფოში შემავალ ტომთა ეთნოგენეზის საკითხებს ვიკვლევთ, საჭიროდ ვცნობთ თუშებზედაც შევჩერდეთ.

თუშთა ეთნიკური წარმომავლობის საკითხზე საისტორიო წყაროებში რაიმე პირდაპირი მოწმობა არ გავგაჩნია. უპირველეს ყოვლისა, მივმართოთ ერთ-ერთ უძველეს წყაროს — კლავდიოს პტოლემეის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოს“ (II ს.). ეს უკანასკნელი თავისი ნაშრომის მერვე თავში აგვიწერს რა აზრის სარმატიის მდებარეობას, ამავე დროს ჩამოთვლის იმ ტომებსა და ხალხებს,

¹²⁹ ვ. დ. ლ. ი. ძე, გარბანი, გვ. 95.

¹³⁰ ვახუშტი, აღწერა, გვ. 561.



რომელნიც მოსახლობდნენ აზიის სარმატიაში. და აი, სხვადასხვა პტოლემეოსის წერს: „კავკასიის მთასა და კერაენის მთებამდეთი“ (ცხოვრობენ) ტუსკები (Τουσκαί) და დიდურები, კასპიის ზღვის გასწვრივ უდები, ოლონდები, ისონდები და გრები...“¹³¹ როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღიარებულია, პტოლემეოსის „Τουσκαί“ არიან ქართული წყაროების თუშები. ე. ი. აქ პტოლემეოსის თუშებს დიდურებთან (resp. დიდოელნი) ერთად ასახელებს, როგორც კავკასიისა და კერაენის მთებს შორის მოსახლე მთიელ ტომებს. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ისევ ვახუშტის ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც თუშები, სწორედ იმავე დიდოელებთან ერთად დასახელებულნი არიან ფარნავაზის მიერ ქართლის სამეფოში (ძვ. წ. IV—III სს.) დაწესებული ერთ-ერთი საერისთავოს შემადგენლობაში: „ხოლო მეფემან ფარნაოზ და-უა კახეთისა და კუხეთის ერისთავი ერთი და შემდგომად დასუეს პერეთის ერისთავი სხუა და თუშთა, დიდოთა და ხუნზახთა სხუა, ვითარცა იწერვის ქამსა შინა მ-დ მეფისა არჩილისასა“¹³².

VII ს. სომხური ანონიმური გეოგრაფია, პტოლემეოსის მსგავსად, თუშებს ასევე აზიის სარმატიაში მოსახლე ტომად თვლის. აქ გეოგრაფიის ავტორი თუშებს (Μουζρ-ის სახელწოდებით) ასახელებს სხვა ისეთ მთიელ ტომებთან ერთად, როგორიც იყვნენ: ალანები, დვალები, წანარები, ქისტები, ცხვატოლნი, გუდამაყრელნი, დიდონი და სხვანი¹³³.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ანტიკური და ძველი სომხური წყაროები თუშებს აზიის სარმატიაში მოსახლე ტომად თვლიან და არ შეპყავთ ისინი იბერიის შემადგენლობაში, რომლის გეოგრაფიული აღწერაც, როგორც ცნობილია, მათვე მოეპოვებათ. თუ რა ნიშნით ხელმძღვანელობდნენ ამ შემთხვევაში პტოლემეოსი და სომხური გეოგრაფიის ავტორი, ამის თქმა მეტად ძნელია. პოლიტიკური მომენტი აქ, ჩვენი აზრით, გამორიცხულია, რადგან სხვა წყაროებიდან კარგად ვიცით, რომ პტოლემეოსის (II ს.) და სომხური გეოგრაფიის ავტორის ხანაში (VII ს.) ზემოთ ჩამოთვლილი მთიელი ტომები, თუშებ-

¹³¹ ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ტექსტი თარგმანითურთ, წინასიტყვაობა და განმარტებები — შპს. საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 44.

¹³² ვახუშტი, აღწერა, გვ. 556.

¹³³ Армянская география VII века, თარგმანი, გვ. 37, სომხური ტექსტი, გვ. 16; С. Т. Еремян, Армения по Ашхарацуицу, გვ. 102.



თან ერთად, იბერიის შემადგენლობაში იგულისხმებიან, ეს რომ ასეა, ამაში გვშველის სტრაბონის ცნობა, რომელიც სწორედ ამ რეგიონის მთიელებს ეხება. როგორც ვიცით, სტრაბონი ამ უკანასკნელებს უკვე იბერიელებს უწოდებს (განსხვავებით პტოლემეაიოსისა და სომხური გეოგრაფიის ჩვენებისაგან, თითქოს ისინი სარმატიაში მოსახლეობდნენ), მიუხედავად იმისა, რომ ისინი სკვით-სარმატებს ენათესავებიან. ე. ი. სტრაბონი მთიელ ტომებს პოლიტიკურად უკვე იბერიაში თვლის, ოღონდ იგი ქართლის მთიანეთის მოსახლეობას ძვ. წ. I საუკუნეში განასხვავებს ბარის მოსახლეობისაგან არა მარტო სოციალურად, არამედ ეთნიკურადაც. განსხვავებულობის ნიშანი უნდა ჰქონოდათ მხედველობაში უფრო გვიან პტოლემეაიოსსა და სომხური გეოგრაფიის ავტორსაც, როდესაც ქართლის მთიელებს (დიდურები, წანარნი, წილენენი, ცხაეატნი, გუდამაყარნი, თუშნი და სხვ.) სარმატიაში მოსახლედ და ე. ი. სარმატებად გულისხმობენ. თუშების ცხოვრება „სარმატიაში“ და ამდენად მათი სარმატებად წარმოდგენა უნდა ასახავდეს არა რეალურ პოლიტიკურ ვითარებას იმ დროს, არამედ ეთნიკურ განსხვავებას ბარისა და მთის მოსახლეობას შორის.

შეტად საყურადღებოა ვახუშტი ბაგრატიონის შეხედულება თუშების ეთნიკური ვინაობის შესახებ. იგი წერს: „ხოლო თუშნი და დიდონი, უკეთუ არიან წილნი ლეკოსისა, არამედ შემდგომად მეფეთა ქართველთა დაპყრობილი... და მოხარკენი მათნი“¹³⁴. როგორც ვხედავთ, ვახუშტი თუშებს არ თვლის ეთნიკურად ქართველური წარმოშობის ტომად. იგი მათ განიხილავს ისეთ ეთნიკურ ჯგუფად, რომელიც ქართულ ეთნიკურ სამყაროში შემოსულია მხოლოდ და მხოლოდ ქართველ მეფეთა მიერ პოლიტიკური დამორჩილების შედეგად. ნამდვილი ეთნიკური წარმოშობით კი თუშები, დიდოელებთან ერთად, ვახუშტის მიაჩნია ლეკოსის შთამომავლებად; ე. ი. ვახუშტი ბაგრატიონი თუშებს მიაკუთვნებს დალისტნურ ეთნიკურ სამყაროს. ვახუშტის ამ შეხედულების გაზიარება უკომენტაროდ, რა თქმა უნდა, ძნელია; მით უმეტეს, რომ ჩვენ არ ვიცით, თუ რა ცნობები ჰქონდა ხელთ ვახუშტის, როდესაც ასეთ მოსაზრებას ავითარებდა. საჭიროა ამ ცნობის შემოწმება სხვა ისტორიული რეალებითაც.

ვახუშტისთან შედარებით სხვა შეხედულებას ავითარებს თეიმურაზ ბაგრატიონი. იგი თავის ნაშრომში „ისტორია ივერიისა“, აღწერს რა მდინარეების აბანთისა და ალაზნის სათავეებს, მოგვითხ-

¹³⁴ ვახუშტი, აღწერა, გვ. 552.



რობს „თუშთა, ფშეთა, ხევსურთა და ლლილუთა ქვეყანაზე“ და წერს, რომ აქაური „ერნი არიან ქართველნივე კავკასიისა მცხოვრებნი“¹³⁵. ე. ი. თეიმურაზ ბაგრატიონის მიხედვით, თუშეთის ქვეყნის მცხოვრებნი არიან ქართველნი, რომელნიც ცხოვრობენ კავკასიის მთებშიო.

ასეთია ის მონაცემები და ჩვენებანი, რომლებსაც ჩვენ ვნახულობთ ანტიკურ და ძველ ქართულ-სომხურ წყაროებში თუშების ეთნოგენეზის საკითხზე.

სათანადოდ აისახა თუშთა ეთნიკური ვინაობის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაშიც.

ჯერ კიდევ 1916 წ. ნ. მარმა წამოაყენა შეხედულება, რომ თუშები და აგრეთვე სხვა ქართველი მთიელი ტომები (ფშავ-ხევსურები) წარმოადგენენ „ქართველიზებულ ტომებს ჩეჩენი ხალხისა“¹³⁶. როგორც ვხედავთ, ნ. მარმა თუშებს მიიჩნევს ვეინახურ ტომად. მთავარ არგუმენტად ასეთი შეხედულების დასასაბუთებლად ნ. მარმა მოაქვს ის გარემოება, რომ ქართული ენის თუშურ კილოში შეიმჩნევა საკმაოდ ძლიერი ვეინახური ენობრივი ელემენტების არსებობა. ნ. მარმის მიერ წამოყენებული თუშთა ვეინახური (ჩეჩნური) წარმოშობის თეორიის ასეთ დასაბუთებას, რა თქმა უნდა, ვერ გავიზიარებთ. საქმე იმაშია, რომ ამა თუ იმ ხალხის თუ ტომის ენაში რომელიმე უცხო ენობრივი სუბსტრატის ძლიერი ნაკვალევის არსებობა სრულიადაც არ მოწმობს ამ ხალხისა თუ ტომის უცხო წარმომავლობას. ეს მით უმეტეს ითქმის ჩვენთვის საინტერესო არეალზე — თუშეთზე, სადაც ადგილი აქვს ქართული და ნახური ტომების შერევას, ხოლო აქედან გამომდინარე კი ქართული ენის თუშური კილოსა და ვეინახური ენების შერევას (ინტერფერენცია)¹³⁷. თუშეთში არსებულ ასეთ სუბსტრატულ და მიგრაციული ხასიათის მოვლენებზე, დაკავშირებულს ვეინახურ ეთნოსთან, ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ XVIII ს-ში ვახუშტი ბაგრატიონმა. იგი თუშეთის აღწერაში წერს: თუშნი... „რომელნი არიან მკარეთა ქისტთა და ლლილუთა, უწყიან ენანი უფროს მათნი, გარნა ფარსმანის კევისანი სარწმუნოებით და ენით შე-

¹³⁵ თეიმურაზ ბაგრატიონი, ისტორია ივერიისა... სპბ, 1848, გვ. 14.

¹³⁶ Н. Я. Марр, К истории передвижения ифетических народов с юга на север Кавказа. Известия Императорской Академии наук, II, 1916, № 13—15, გვ. 1395—1396.

¹³⁷ თ. უთურგაიძე, ქართული ენის შთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1966, გვ. 13—14.



რეულნი არიან, ვითარცა ქისტნი¹³⁸. ქართველი გეოგრაფის ეს ცნობა ორნაირად შეიძლება გავიგოთ 1. როგორც მიჯნულნი მცხოვრებელი ქისტებისა ამ რეგიონში; 2. როგორც პროცესი ქართველი ხალხისა აქ მცხოვრები ქისტური (ჩეჩნური) მოსახლეობისა. ამ მიმართებით უფრო მკაფიოდ გამოთქვა თავისი აზრი კლაპროტმა: „თუმის ქვეყანა, ქართული თუშეთი. მისი მცხოვრებნი, არსებითად, მისჯვეური ტომები არიან, რომელნიც ძლიერად შეერივნენ ქართველებს“¹³⁹. კლაპროტის ამ გამონათქვამისათვის რეალური ბაზა, რა თქმა უნდა, პირიქითი თუშეთი უნდა ყოფილიყო. თუშური ისტორიული გადმოცემები სწორედ აქაური მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს უკავშირებენ ვეინახებს; ასეთივე ეთნოგენეტურ კავშირებზე მიგვითითებს აქ არსებული ტომონიმიკა¹⁴⁰. ასე რომ, როგორც ვხედავთ, ვეინახური ეთნოსისათვის დამახასიათებელი ენობრივი თუ სხვა ხასიათის ელემენტების არსებობა თუშურ სინამდვილეში სრულიადაც არ მიგვითითებს თვით თუშების ეთნიკურად ვეინახურ (ჩაჩნურ) წარმოშობაზე, როგორც ამას ნ. მარი ამტკიცებს.

ხომ ცნობილია, რომ ქართულ კულტურას დიდი გავლენა ჰქონდა ჩრდილო კავკასიის ტომთა კულტურებზე და ამ მხრივ არც ნახური ტომები წარმოადგენენ გამონაკლისს. ნახებისა და თუშების ურთიერთობა ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ეპოქათა და საუკუნეთა განმავლობაში უთუოდ განსხვავებულ პირობებში მიმდინარეობდა და შესაბამისად განსხვავებულ შინაარსსაც ატარებდა; კერძოდ, სავარაუდებელია, რომ დროდადრო ადგილი ექნებოდა ორიდან რომელიმე კომპონენტის უფრო გაძლიერებას. ქართველთა (მათ შორის თუშთა) კულტურულ-ენობრივი გავლენა განსაკუთრებით უნდა გაზრდილყო VIII—XI სს-ში; ე. ი. „რანთა და კახთა სამეფოს“ პოლიტიკური ძლიერების ხანაში. სწორედ „რანთა და კახთა სამეფო“ უნდა ყოფილიყო ის მთავარი ბაზა, საიდანაც ხორციელდებოდა ქართველთა კულტურული ექსპანსია ვეინახურ (ჩეჩნურ-ინგუშურ) სამყაროში.

მომდევნო ხანაში (მონღოლებისა და ჯალალედინის შემოსევების შემდეგ) ქართული ფეოდალური მონარქია წინანდებურად ვეღარ

¹³⁸ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 555.

¹³⁹ J. Klaproth, Beschreibung des östlichen Kaukasus zwischen den Elussen Terek, Azagwi, Kur und dem Kaspischen Meere. «Bibliothek der neuesten und wichtigsten Reisebeschreibungen», Bd. 50, Weimar, 1814, გვ. 71.

¹⁴⁰ თ. უ თ თ რ გ ა ი ძ ე, ქართული ენის მთის კლთთა ზოგი თავისებურება, გვ. 115—117.



ახერხებს მთაზე კონტროლის შენარჩუნებას (არამც თუ არიქართველურ ტომებზე, არამედ თვით ქართველ მთიელებზე — მთიულეთში კი). ახლა, პირიქით, მთის კავკასიური (მათ შორის ვეინახო-საქართველო) ბი მიეძალნენ საქართველოს და მათი გავლენა ბარამდე აღწევს. ასეთ ვითარებაში ქართველ მთიელებს, თუშებს, შეიძლება ითქვას, ნახურ ტომებთან უფრო ცხოველი ურთიერთობა აქვთ, ვიდრე საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან; ე. ი. თუშთა და ნახთა ურთიერთობაში შეიძლება ვივარაუდოთ გარედან გავლენის ორმხრივი მიმართულების შესაძლებლობა. ამ ურთიერთობაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული კოლექტივების, როგორც კომპონენტების, რაოდენობრივ შეფარდებას და თითოეული მათგანის კულტურულ დონეს¹⁴¹. და თუ გავითვალისწინებთ ჩვენ მიერ ზემოთ მოხაზულ ზოგად სქემას თუშებისა და ნახების ურთიერთობისას, მაშინ მოულოდნელი აღარ იქნება თუშური კილოს ლექსიკაში ნახური ენობრივი პლასტების არსებობა, ხოლო ეს გარემოება კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არ მოასწავებს თუშების ეთნიკურად ვეინახობას.

ქართული ენის თუშური კილოს ლექსიკაში ძირითადი და წამყვანი კომპონენტი ყოველთვის მაინც ქართული ენა იყო. „ამ ლექსიკაში, ვიდრე რომელიმე სხვა დიალექტში ქართული ენისა, გაცილებით მეტია დამოწმებული ძველი ქართული ენის ლექსიკის ერთეულები. ეს ლექსიკა ასევე უხვად წარმოგვიდგენს ვეფხისტყაოსნის ლექსიკის ერთეულებს პირვანდელი სახით ან ბგერითი შედგენილობით შეცვლილს, მაგრამ ადრინდელი შინაარსით. იგი საყურადღებოა იმიტაც, რომ მასში დღემდე დაცულია ქართველი ერის მატერიალური კულტურის სხვადასხვა დარგის—ტანსაცმლის, იარაღის, წონა-ზომის და სხვათა სახელწოდებები, ლეთაებათა, დღეთა უძველესი სახელები, რომლებიც დღეს ქართულში გაუჩინარებულა“¹⁴². ასე რომ, ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ნ. მარის შეხედულება თუშების ეთნოგენეზის საკითხზე ცალმხრივია და მოწყვეტილია რეალური ვითარებისაგან. იგი თუშების ეთნიკური განვითარების პროცესის წარმოდგენისას ლინგვისტურ მონაცემებს სათანადოდ ვერ უფარდებს ისტორიულ სინამდვილეს.

თუშთა ვეინახური წარმოშობის თეორია უფრო გააღრმავა ა. გენკომ. იგი ამ მიმართებით იმდენად შორს მიდის, რომ აცხადებს: „ჩეჩენ-ინგუშების ეროვნული უფიქრების კერა იყო თუშეთი,

¹⁴¹ თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, გვ. 14.
¹⁴² ბ. ხუბუტია, თუშური კილო, თბ., 1969, გვ. 5.



რომელიც შემდეგ გაქართველდა“. საამისო არ გუშინდება მას მოაქვს ინგუშების რელიგიური სინამდვილე. ერთად, იგი ეთნიკურად უკავშირებს ინგუშურ რელიგიურ ტერმინს, ქალის ლეოქაბა «*ლუქაბა*»-ს, რომელიც წარმოადგენს ინგუშური მითოლოგიის პერსონაჟს¹⁴³. ვერც ა. გენკოს საბუთიანობაა დამაჯერებელი. ავტორის აზრით ისე გამოდის, რომ რადგანაც თუშეთი წარმოადგენდა ისტორიულ ადგილსაშუაფელს „თუშეთის“ კულტისა და მისი თაყვანისმცემელი ინგუშებისა, ამიტომ თუშებიც თავდაპირველი წარმოშობით ინგუშები იყვნენ და მხოლოდ შემდეგ გაქართველდნენ. ავტორი ვერ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ჩვენთვის საინტერესო რეგიონის საზღვრებში შესაძლებელია თანაარსებელი იყვნენ სხვა კულტებიც და მათი თაყვანისმცემლებიც. საკითხის ა. გენკოსეულ დაყენებას მივყავართ იმ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის უარყოფამდე, რომ ეთნიკური კულტურები და მათი მატარებელნი არ შეიძლება გავიზიაროთ ერთმანეთისაგან გამიჯნულნი მკაცრად მოხაზული ეთნოგრაფიული ზღვარით. არ შეიძლება ასე სქემატიზირება რთული ეთნიკური პროცესებისა. ა. გენკოს შეხედულება თუშთა ეთნოგენეზის საკითხზე ჯერ კიდევ 1934 წ. უარყო ვ. დონდუამ¹⁴⁴.

უკანასკნელ ხანებში თუშთა ეთნიკური ვინაობის საკითხით სხვა მკვლევარნიც დაინტერესდნენ, რომელნიც ასევე მხარს უჭერენ მათ ვეინახურ წარმომავლობას. მაგალითად, ა. ნოვოსელცევის ვარუდით თუშები არიან „ქართველიზებული“ ვეინახები¹⁴⁵. აღსანიშნავია აგრეთვე სომეხი მკვლევარი ა. გ. მერტუმიანი, რომელიც სპეციალურად შეეხო კახეთის ფეოდალური სამთავროს წარმოქმნას. იგი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ამტკიცებს, რომ კახეთის სამთავროს შემადგენლობაში შემავალი ვეინახური ჯგუფის ტომებს, წინარეშთან და გარდაბანელებთან ერთად, ეჭუთვნოდნენ თუშებიც¹⁴⁶.

ჩვენ განვიხილეთ თუშთა ეთნიკური წარმოშობის შესახებ არსებული შეხედულებანი. დავინახეთ, რომ უმრავლესობა ამ შეხედუ-

¹⁴³ А. И. Генко, Из культурного прошлого Ингушей, Записки Коллегии Востоковедов, V, Москва, 1930, с. 710.
¹⁴⁴ В. Д. Дондуа, А. Генко, Из культурного прошлого Ингушей, Язык и мышление, II, Ленинград, 1934, с. 146.
¹⁴⁵ А. П. Новосельцев и др., Пути развития феодализма, 33-40.
¹⁴⁶ А. Г. Мкртумян, К вопросу об образовании феодального княжества Кахетии, с. 231.

ლებათა ავტორებისა თუშებს მიიჩნევს ვეინახური წარმოშობის ტერმინად.

თუშების ეთნიკური ვინაობის საკითხის კვლევისას, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისტორიული განვითარების პროცესის ის თავისებურებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა ჩვენთვის საინტერესო რეგიონში. თუ განვიხილავთ თუშების ჩრდილოეთ ეთნიკურ საზღვარს, აქ ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება: 1. უძველესი დროიდანვე კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ ფერდობების ზოგიერთ ხეობაში (არდოთის და შატილ — მიღმახევის) შეიმჩნევა ვეინახური ეთნოსის არსებობა; 2. ვეინახური ეთნიკური ელემენტის არსებობა ქედის სამხრეთ კალთებზე. ეს უკანასკნელი გამოწვეული იყო ჩეჩენთა ხანგრძლივი მიგრაციით. ყოველივე ამის გამო თუშეთში მკაფიოდ შეიმჩნევა სუბსტრატული ხასიათის ნახური ელემენტები. ეს დასტურდება ენობრივი მონაცემებით¹⁴⁷, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალით¹⁴⁸ და აგრეთვე წერილობითი წყაროების ძუნწი ცნობებითაც.

ვეინახების თუშეთის ტერიტორიაზე მიგრაციის საკითხის განხილვის დროს წოვა-თუშების საკითხიც წამოიჭრება ხოლმე. წოვებს დღეს უწოდებენ ვეინახებისაგან ტერიტორიულად მოწყვეტილ მცირე ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში ბაცებების ან წოვა-თუშების სახელწოდებით არიან ცნობილნი. ეთნოგენეტიკურ გადმოცემებში ამ ხალხის წინაარს სამშობლოდ მიჩნეულია ადგილი ვაბუა, რომელსაც უკავშირებენ ინგუშური წარმოშობის ტერმინს—„ვაპი“-ს¹⁴⁹. თუ როდის ჩნდებიან ვაპი-ელები ამიერკავკასიაში, ეს ჭეჭერობით გაურკვეველია. თუმცა, როგორც ფიქრობენ, მათი გამოყოფა ვეინახთა დანარჩენი მასიდან საკმაოდ ძველ დროში უნდა მომხდარიყო. ეს მტკიცდება ბაცებურ ენაში მთელი რიგი საერთოვეინახური ნიშნების არსებობით, რომლებიც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ფუჟე-ენის პერიოდისათვის. ბაცებების შემდგომი ისტორიული განვითარება, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს ქართული მოსახლეობის გარემოცვაში, ქართული ენის ძლიერმა გავლენამ

¹⁴⁷ თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კლთა ზოვი თავისებურება, თბ., 1966.

¹⁴⁸ თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967, გვ. 25, 26.

¹⁴⁹ Н. Г. Волкова, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, Москва, 1973, гв. 161.

გამოიწვია ბაცბური ენის კიდევ უფრო ჩამოშორება ჩენურ-ინგუშურისაგან¹⁵⁰.

ბაცბები თავის თავს „ბაცაე“-ს უწოდებენ. ჩეჩენურ-ინგუშურის ისინი ცნობილი არიან „ბოაცოი“-ს სახელწოდებით. ბაცბებს წოვა-თუშებს უწოდებენ, ხოლო დიდოელები კი წუე-აკ-ს (სიტყვა-სიტყვით წოვა-კაზი) და ჩალმა-აკ-ს¹⁵¹. XVIII—XIX სს. კავკასიოლოგიურ ლიტერატურაში ბაცბები თუშების სახელწოდებით არიან ცნობილი. სწორედ თუშების სახელწოდებით მოიხსენიებს მათ გიულდენშტედტიც და მხოლოდ მის მიერ ბაცბური სოფლების (წარო, ინდურთა, საგირთა, ეთელთა) ჩამოთვლისა და თუშების იმ ნაწილის ენაზე, რომელიც ჩენურ-ინგუშურთან ერთად ერთიან ოჯახს შეადგენდა, გამოთქმული შენიშვნების მიხედვით, შესაძლებელი ხდება ბაცბების გამოყოფა თუშური მოსახლეობისაგან¹⁵².

საინტერესოა ვახუშტი ბაგრატიონის ცნობები წოვასა და წოვების შესახებ. იგი წერს: „ხოლო პანკისის გარდასწორ, კავკასს იქით, არს წოვა; წოვას ქუეით გომეწარი და მის ქვეით ჩალმა. და ჩალმიდამ გარდავალს გზა თორღასა ლოპოტის კევეზედ... ამის ჩრდილოთ არს ფრსმანის თუშეთის კევი, რომელთა უძეს შორის კავკასივე... და განპყოფს ფარსმანსა და წოვა-გომეწარ-ჩახმართის კევთა ქისტ-ლიღვიდამ წამოსული კავკასი, აღმოსავლეთ-ჩრდილოთ შუა მდებარე... ხოლო სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართულითა... ხოლო რომელნი არიან მგარეთა ქისტთა და ლიღლუთა, უწყიან ენანი უფროს მათნი. გარნა ფარსმანის კევისანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი“¹⁵³.

მართალია, ვახუშტის წოვა და წოვები თუშეთის აღწერაში აქვს შეტანილი, მაგრამ მისი დახასიათებიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ წოვები თუშური მოსახლეობისაგან გამოირჩევიან თავიანთი მჭიდრო ეთნიკური და ენობრივი კავშირებით ქისტურ-ბაცბურ სამყაროსთან. ეს კი, თავის მხრივ, იმას უნდა მოასწავებდეს, რომ თუშეთში ადგილი ჰქონდა ვეინახური წარმოშობის ტომების — წოვების resp. ბაცბების მიგრაციას და მათი ქართველიზაციის პროცესს.

¹⁵⁰ Ю. Д. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов, Грозный, 1963, გვ. 92—93.

¹⁵¹ Н. Я. Марр, Кавказские племенные названия и местные параллели, გვ. 32.

¹⁵² J. A. G ü l d e n s t ä d t, Reisen durch Rusland und im Kaukasischen Gebürge, St.-Pbg, Th. 1, 1787, გვ. 376—377.

¹⁵³ ვახუშტი, აღწერა, გვ. 554—555.

ეთნონიმ „წოვა“-სთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული. კერძოდ, შეიძლება აღინიშნოს ტერმინი „წოვა“ დაუკავშირონ ძვ. წ. ეგრეთვე სს. ურარტულ წარწერებში მოხსენებულ ერთ-ერთი ოლქის დასახელებას. წოდება „წუბა“-ს, სომხური წყაროების „წოფქ“-ს, ანტიკურ „სოფენე“-ს და ქართულ წყაროებში დადასტურებულ „წობენ“-ს, „ხატისწობენ“-ს, „წობანო-მთა“-ს და სხვ. ი. ჯავახიშვილის აზრით, ძნელი დასაჯერებელია, რომ აქ სხვადასხვა ტომის სრულებით მსგავს სახელებთან გვეკონდეს საქმე. ზემოაღნიშნული ტოპონიმები, მისი შეხედულებით, „წოვა“-თა ტომის ნაკვალევს უნდა წარმოადგენდნენ და, მაშასადამე, წოვები ჩრდილოეთით მდებარე თავიანთ მომავალს საცხოვრისზე დასახლებამდე, მრავალი საუკუნით უწინარეს, გაცილებით უფრო სამხრეთით, მდ. ტაგროსისა და მისი შენაკადების არეში, უნდა ყოფილიყვნენ დაბინავებულნი¹⁵⁴.

საყურადღებოა, რომ ბაცბთა შორის დღემდე შემონახულია წარმოდგენა ზემოხსენებულ ვაბუა-ზე, როგორც მათ წინარე სამშობლოზე. გარდა ამისა, თვით წოვა-თუშები ადგილ წოვათას უწოდებენ ვაბუას (ვაბუას)¹⁵⁵. თუშური მოსახლეობა ბაცბებს ლალაღან გადმოსახლებულებად თვლის. ვეინახური, უფრო ზუსტად ბაცბური, ეთნიკური ელემენტი განსაკუთრებით დამახასიათებელია პირიქითა თუშეთისათვის. სწორედ აქ, თუშური ისტორიული გადმოცემების მიხედვით, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თავისი წარმოშობით დაკავშირებულია ვეინახებთან. ეს ეთნოგენეტიკური კავშირები დასტურდება ტოპონიმიკური მასალებითაც. მაგალითად, ტოპონიმი ბაციე-მათე (ეკუთვნის თუშეთის სოფ. ჭონთიოს, პირიქითის ხეობაში) სიტყვასიტყვით უნდა ნიშნავდეს ბაცბთა ალაგს. რაიმე ისტორიული ცნობა წყაროებში ბაცბთა აქ სახლობის შესახებ თითქოს არ ჩანს, მაგრამ ხალხური გადმოცემით ბაცბები წოვათიდან თავის მიცვალებულს აქ მოასვენებდნენ თურმე. ეს ტოპონიმი ამ გადმოცემას უფრო სარწმუნოს ხდის¹⁵⁶. თვით თუშები პირიქითა თუშეთზე საუბრისას აღნიშ-

¹⁵⁴ ი. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 47—49; იხ. აგრეთვე, Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 120, 124, 167—168.

¹⁵⁵ Н. Г. Волкова, Этнический состав населения Северного Кавказа в XVIII — начале XX века, Москва, 1974, გვ. 153.

¹⁵⁶ თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, გვ. 101.

ნავენ, რომ მისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოშობით ქისტები არიან¹⁵⁷.

თუშეთის ისტორიული განვითარების ზემოაღნიშნულ ფაქტობრივებზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ მათი მნიშვნელობის ჭარბმა არსებობამ არ უნდა შეასრულოს გადამწყვეტი როლი თუშების წინაპრების ძიების დროს. ჩვენ ამ მომენტს იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ სწორედ ნახურ ეთნოსთან დაკავშირებული ელემენტების დადასტურებამ თუშეთში მისცა საფუძველი ზემოდასახელებულ მკვლევართ, თუშების წინაპრებად ვეინახები მიეჩნიათ.

ამა თუ იმ ხალხის, ტომის წარმოშობისა და ისტორიისა თუ ეთნოგენეზის პრობლემის გარკვევაში მკვლევარს დიდ დახმარებას უწყევს სათანადო ეთნონიმიკისა და ტოპონიმიკის შესწავლა. და რადგანაც ჩვენს მიზანს შეადგენს ქართველ მთიელთა ერთ-ერთი ეთნიკური ტერმინის — „თუშის“ ისტორია, ამიტომ ვცადოთ ამ და აგრეთვე სხვა ქართული ეთნიკური ტერმინების და ტოპონიმიკის ანალიზი, შევისწავლოთ ისინი ისტორიულ ასპექტში და იქნებ ყოველივე ამის საფუძველზე რაიმე მნიშვნელოვან შედეგს მივალწიოთ ქართველ მთიელ ტომთა — თუშების ეთნოგენეზის დადგენაში, რითაც ნათელი შუქი მოეფინებოდა თუშების უძველეს ისტორიას.

ი. ჯავახიშვილი ქართულ სატომო სახელწოდება „თუშ“-ს უკავშირებს ებრაული ბიბლიის „შესაქმეთა“ წიგნში მოხსენიებულ ერთ-ერთი ეთნარქის სახელს — „მეთუშაელ“ ანუ „მათუსალა“-ს. იგი წერს: „დაბადების“ სახელი „მეთუშაელ“ ანუ „მათუსალა“ შეიძლება თუშების სატომო სახელს უდრიდეს; იგი ნაწარმოებია ჩვეულებრივი თავსართ „მე“ და „მა“-საგან და ბოლოსართ „ელ“ დ „ალ“-ისაგან, იმგვარადვე, როგორც „მე-ევრ-ელი“, „მე-ევკატ-ელი“, და „მარგ-ალი“, მა-კრონ-ეს“ და სხვ.

ბერძნული მართლწერის „მათუსალა“-ს ძირი „თუსა“ უდრის ამ ტომის თუშების სახელს, როგორც მათ ბერძნები ეძახდნენ, პტოლემეის მიხედვით, თუშების სახელს „ტუსკო“-დ სწერს¹⁵⁸. თუ ი. ჯავახიშვილის ზემოაღნიშნული შედარებები სწორია და ჩვენ მათ ვირწმუნებთ, მაშინ უნდა ვალიაოთ, რომ ქართველ მთიელთა ერთ-ერთი ტომის — თუშების სახელი კარგად სცოდნია ჯერ კიდევ ებრაული ბიბლიის „შესაქმეთა“ წიგნის შემდგენელს.

ქართული ეთნიკური ტერმინის „თუშ“-ის ისტორიის კვლევით სს ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა მეტად მნიშვნელოვანმა დე-

¹⁵⁷ Н. Г. Волкова. Этнический состав населения Северного Кавказа в XVIII — начале XX века, გვ. 176.

¹⁵⁸ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1951, გვ. 402.



ტალმა. საქმე ის არის, რომ კავკასიურ ენებზე მომუშავე სპეციალისტებს ხუნძურში დადასტურებული აქვთ ეთნიკური ტერმინი „მოსოქ“ (პ. უსლარი), „მოსექ“ (ი. ჯავახიშვილი) და „მოსოქ“ (კლაპროტი).

„მოსოქ“-ის ვხედვით პ. უსლარის მიერ ჩაწარილ ხუნძურ სიმღერაში, რომელიც ხუნძების ქართველებზე თავდასხმასა და ერეკლე მეფესთან შეტაკებას აღწერს¹⁵⁹. ამ სიმღერაში „მოსოქ“ (უსლართან — Mosok) თუშებთან ერთადაა ნახსენები: ерѣкли-ханасул баірак бiһула, баірак сiрjун рjго тушгун мо Mosòk („ერეკლე მეფის დროშა მოჩანს, დროშა გარშემორტყმულია თუშებითა და მოსოქებით“)¹⁶⁰.

ამ „მოსოქების“ შესახებ პ. უსლარი წერს: „(Мосоки)... название весьма древнее на Кавказе: библейский Мосох, классические Moschi. Под этим названием горцы подразумевают вообще жителей нынешнего Туше-Пшаво-Хевсурского Округа, т. е. Пшавов и Хевсур“.¹⁶¹ ამრიგად, „მოსოქ“-ის ამ განმარტების მიხედვით, ხუნძური „მოსოქ“ კავკასიაში მეტად ძველი ტერმინია და შეესატყვისება ბიბლიურ „მოსოხ“-სა და ბერძნულ moschoi-ს (უსლართან — moschi-ს). ი. ჯავახიშვილი წერს: „ლექები თუშებს ვხლავ „მოსქ“-ებს, ე. ი. „მოსოხებს“ ეძახიან“¹⁶². კლაპროტი კი აღნიშნავს, რომ ლექები ქართველ თუშებს, რომელნიც ალაზნის სათავეების მიდამოებში ცხოვრობენ, „მოსოხ“-ს (Mossok) უწოდებენ¹⁶³.

ამრიგად, სავსებით ცხადია, რომ ხუნძურში დადასტურებული ქართველი მთიელების (თუშების) აღსანიშნავად ხმარებული „მოსოქ“-„მოსექ“-„მოსოხ“ ქართული ეთნიკური ტერმინია, შეესატყვისება ქართულ ტომობრივ სახელს „მესხს“ (ლკეთ. მის უ-ხმოვნთან ვარიანტს — „მესხს“) და ისევე აღერს, როგორც სათანადო ბერძნული სახელი μαίωχ¹⁶⁴.

¹⁵⁹ П. Услар, Этнография Кавказа. Языкознание, III, Аварский язык, Тифлис, 1889, გვ. 17—32.

¹⁶⁰ П. Услар, იქვე, გვ. 24.

¹⁶¹ П. Услар, იქვე, გვ. 26.

¹⁶² ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 393; შტრ. მიხევე, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, წიგნ. I, თბ., 1950, გვ. 51.

¹⁶³ J. Klapproth, V. II. 353.

¹⁶⁴ ე. წერეთელი, ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხ“-ის ისტორიისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XV, № 2, 1954, გვ. 116.



სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ ასურული წყაროების მუშკები, ებრაული ბიბლიის მუშკები, კლასიკური ხანის მოსხები-მესხები (Μοσχοι-Μέσχοι) ნეკისტურ სიახლოვეს იჩენს ქართულ ეთნიკურ ტერმინთან — „მესხი“ და რომ ყველა ზემოაღნიშნული სახელწოდებანი ქართული ეთნონიმიური და ტოპონიმიური მასალის საფუძველზე იხსნება (ი. ჯავახიშვილი¹⁶⁵, ს. ჯანაშია¹⁶⁶ და სხვ.). კერძოდ, „მესხ“ ძირიდან არის წარმოებული ქართული გეოგრაფიული სახელები: სამცხე, მოსხეთი, მცხეთა; ქართული გვარები: მესხი, მესხიშვილი და სხვ. ამასვე ემატება ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი კავკასიის ეთნონიმიკის მონაცემები: ხუნძურში თუშებისათვის ხმარებული ეთნიკური ტერმინები — „მოსოქ“ — „მოსექ“ — „მოსოხ“-ი. მუშკ-მუშხ-მოსხები-მესხების იდენტიფიკაციისათვის ლინგვისტური მონაცემების გარდა ანგარიშგასაწევი ალმოსავლეთ მცირე აზიასა და სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის არსებული ურთიერთობანი რელიგიურ სფეროში. ამ მხრივ საყურადღებოა ის გარემოება, რომ სწორედ მესხებს უკავშირებენ საქართველოში მცირეაზიელი (ხეთურ-ლუვიური) პანთეონის წარმომადგენლთა: არმაზისა და ზადენის კულტების შემოტანას¹⁶⁷. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე სპეციალისტების ერთმა ნაწილმა ასურული წყაროების „მუშკები“, „დაბადების“ „მუშხები“ და კლასიკური მწერლობის „მოსხები-მესხები“ (Μοσχοι—Μέσχοι) ქართველური წარმოშობის ტომებად ჩათვალა და ისინი ქართველ „მესხ“-ებს დაუკავშირა¹⁶⁸.

ამის შემდეგ ისევ დავუბრუნდეთ ხუნძურში თუშების აღსანიშნავად ხმარებულ «mosokh» (mosok)-ს. ამჟამად ეს ეთნონიმი ცოცხალი არ არის. ქართველ მთიელებს, ისევე როგორც საირთოდ ქარ-

¹⁶⁵ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, გვ. 392—393.

¹⁶⁶ ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 3, 7, 9, 65, 153 და სხვ.

¹⁶⁷ ნ. ხაზარაძე, ფრიგიის უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, იბ. კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებულები, II, თბ., 1962, გვ. 48—50.

¹⁶⁸ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, გვ. 392 და შპდ.; მისივე, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, გვ. 227, 7—8; Гр. Капанцян, Хайаса — колыбель армян, Ереван, 1948, გვ. 145—146; კ. წერეთელი, ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხ“-ის ისტორიისათვის, გვ. III და შპდ.; Г. Меликишвили, Наирн-Урарту, Тб., 1954, გვ. 410, 420; მისივე, К истории древней Грузии, გვ. 104, 105 და სხვ.; И. М. Дьяконов, Хетты. Фригицы и армяне, Изв. АН Арм. ССР, 1956, № 11, გვ. 354.



თველებს. ხუნძები „გურჯებს“ უწოდებენ. ტერმინი *mosok* (*mosok*) მხოლოდ ძველ სიმღერებში გვხვდება. პ. უსლარი (პ. Услар) ამ ტერმინის მიმართ, სადაც „მოსოქი“ იხმარება, შენიშნავს, რომ ეს სიმღერა XVIII ს. ბოლოს უნდა იყოს შეთხზული¹⁶⁹. ამიტომაც არის, რომ ძველ სიმღერებში თუშების აღსანიშნავად ხმარებულ „მოსოხს“ („მოსოქს“) მხოლოდ მოხუცები განმარტავენ. ახალ თაობას ეს ეთნონიმი არ ესმის.

თავის დროზე პ. უსლარი აღნიშნავდა: ხუნძურში თუშების აღსანიშნავად ხმარებული „მოსოხ“ (— „მესხ“) ეთნიკური ტერმინი იმ შორეული წარსულის ნაშთი უნდა იყოს, როდესაც ერთ-ერთი ქართველი ტომის სახელწოდება „მოსოხი“ — „მესხი“ „ქართველთა“ აღმნიშვნელი ზოგადი სახელი იყო¹⁷⁰. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პ. უსლარის მოსაზრება საჭიროებს გარკვეული კორექტივის შეტანას.

საიდან და რა გზით შემოვიდა ხუნძურში „მოსოხ“ — „მოსოქ“-ი თუშების აღმნიშვნელად? გ. მელიქიშვილი წერს: „ურარტუს სამეფოს დაკეცვამ, მუშქებს (რომელნიც მცირე აზიაში ცხოვრობდნენ და რომელნიც, როგორც ვიცით, უდრიან ქართველ „მესხებს“ — თ. პ.) გზა გაუხსნა აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით. მათ წამოიწიეს ჩრდილო-აღმოსავლეთით და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონში დასახლდნენ. მათი ნაწილი, ეტყობა, კიდევ უფრო ჩრდილოეთით გამოიჭრა. ამისი ნიშანია ის, რომ მცხეთის სახელი ამ ხალხის სახელიდან ნაწარმოები ჩანს (მცხე-თა, შდრ. სამცხე)“¹⁷¹. ცნობილია ისიც, რომ მესხური სამოსახლოები სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მრავალ ადგილას გაჩნდა. და აი, ჩვენ საცხებიტ შესაძლებლად მიგვაჩნია ვივარაუდოთ, რომ მუშქ-მესხების ერთ-ერთმა ტალღამ კიდევ უფრო ჩრდილოეთით გაიწია და ერთ-ერთი თავისი სამოსახლო კახეთის მთიანეთშიც შექმნა. სწორედ აქედან უნდა გავრცელებულიყო მთის კავკასიელ ხალხებში, კერძოდ ხუნძებში, თუშების აღსანიშნავად ეთნიკური ტერმინი „მოსოხ“ — „მოსოქი“- („მესხ“-ს). ასე რომ, ხუნძებმა თუშებს იმიტომ კი არ უწოდეს „მოსოხ“ — „მოსოქ“-ი, რომ ერთ-ერთი ქართველი ტომის სახელწოდება „მესხები“ გარკვეულ ეპოქაში „ქართველების“ აღმნიშვნელი ზოგადი სახელი თუშებზეც გაავრცელეს, როგორც ქართულ ტომზე (რო-

¹⁶⁹ П. Услар, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 17.

¹⁷⁰ Древнейшие сказания о Кавказе. Сборник свед. о Кавк. горцах, X, 33. 312.

¹⁷¹ გ. მელიქიშვილი, *ურარტუ*, 1951, გვ. 139.

გორც ამას პ. უსლარი ფიქრობდა)¹⁷², არამედ იმიტომ, რომ აქ, ზუს-
ძების მეზობლად დასახლებულ თუშებს, როგორც მუშაკებს, ტერ-
მის ერთ-ერთ ნაწილს, შემონახული ექნებოდათ თავიანთი ეთნიკურ-
ბის — „მესხების“ ეთნიკური სახელწოდება „მოსოხ“ „მოსოქ“-
ის ვარიანტი.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ თუშეთის ისტორიის
მკვლევართა მიერ თუშეთში ჩაწერილ ერთ-ერთ ტოპონიმზე — სა-
მციხი (სამცხე). ასეთ სახელწოდებას ატარებს თუშეთის პირიქითის
თემის მიერ დასახლებული ტერიტორია. იგი მოიცავს შემდეგ სოფ-
ლებს: ჩილო, დართლო, კვაკლო, დანო, ჭეშო. პირიქითის თემის სხვა
სოფლების თუშებისაგან განსხვავებით, ჩამოთვლილი სოფლის მცხოვ-
რებნი თავის თავს სამციხელებს ეძახდნენ და ახლაც ასე ეძახიან¹⁷³.
სახელწოდება სამციხი (სამცხე) იქნებ აქ შორეულ წარსულში არ-
სებულ მესხურ სამოსახლოსთან იყოს დაკავშირებული.

აი ასე გვესახება ჩვენ თუშების ეთნიკური წარმომავლობის სა-
კითხი.

რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ თუშეთის ტერიტორიაზე აღ-
მოჩენილი იმ არქეოლოგიური მასალის შესახებ, რომელსაც შეუძ-
ლია გარკვეული შუქი მოჰფინოს თუშთა ეთნიკური წარმოშობის სა-
კითხს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთათუშეთი არქეოლოგიურად
თითქმის სრულიად შეუსწავლელია. სისტემატური არქეოლოგიური
კვლევა-ძიება თუშეთში დღემდე არ ჩატარებულა. ამ მხარის არქეო-
ლოგიური მონაცემები საცდელი გათხრებით და შემთხვევით აღმოჩე-
ნილი მასალით ამოიწურება. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს წარმო-
ადგენს 1964 წ. მთათუშეთის სოფ. შენაქოში (ჩალმა ხევი, პირიქით
ალაზნისა და გომეწრის ალაზნის შეერთების აუზში) აღმოჩენილი
მდიდარი არქეოლოგიური მასალა. მასში შედის: გულსაკიდი ჯვრები,
ზოომორფული ქანდაკებები, ჭურჭლის ფრაგმენტები, სამკაული,
ცხენის აჯახულობის ელემენტები, VIII ს. მონეტა და სხვ. როგორც
ამ მასალის შემსწავლელი რ. დოლაბერიძე აღნიშნავს, შენაქოს კომ-
პლექსი სალოცავ ნიშთან — ხატთან ანუ ჯვართანაა დაკავშირებული
და ძირითადად შედგება მსხვერპლად შეწირული ნივთებისაგან. აღ-
ნიშნული კომპლექსი წარმოადგენს წარმართული კულტისა და ქრის-

¹⁷² იხ. აგრეთვე, კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხ“-ის
ისტორიისათვის, გვ. 117.

¹⁷³ ვ. ა. ვ ლ ა ნ ი ძ ე, თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფე-
ოდალიზმის ხანაში, თბ., 1968, გვ. 24 (ბელნაწერი).



ტიანული რელიგიის ელემენტების თანაარსებობის შესანიშნავი ილუსტრაციას. ქრისტიანული გულსაკიდი ჯვრები ფართოდ (ფიგურა 11) რებენ აქ წარმართულ ზოომორფულ ქანდაკებებთან და მსგავსებებთან, აგრეთვე რიტუალთან—ხატი, მსხვერპლად შეწირვა და სხვ. ეს მასალა მნიშვნელოვანი წყაროა თუშეთისა და, საზოგადოდ, მთიულთა რელიგიური მსოფლმხედველობის წარმოსადგენად ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ საფეხურზე. შენაქოს კომპლექსში შესული მასალა, კერძოდ, უმთავრესად კონკრეტულად დათარიღებული ნივთები, VIII—XI სს. მიეკუთვნებიან. ეს ქრონოლოგიური ჩარჩო ჩვენთვის განსაკუთრებით იმით არის საყურადღებო, რომ იგი მთლიანად ემთხვევა „რანთა და კახთა სამეფოს“ არსებობის პერიოდს (ე. ი. იმ ხანას, როდესაც თუშეთი კახეთის სამეფოს ორგანული შემადგენელი ნაწილია).

და აი, რაც ჩვენთვის ყველაზე უფრო საყურადღებოა — შენაქოს კომპლექსში შემავალი არქეოლოგიური მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი ძირითადი ნაწილი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს საკუთრივ ქართულ მასალასთან. ამავე დროს ნივთების ნაწილი (ცხენოსნის ფიგურა, ზოომორფული კერამიკა და სხვ.) თავისი ხასიათით დამახასიათებელი ჩანს ჩრდილო კავკასიის მატერიალური კულტურისათვის. კერძოდ, შენაქოში აღმოჩენილი ცხენოსნის ანალოგიური ფიგურები აღანთა ყოფის ერთ-ერთ დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენდა VII—IX სს-ში. შენაქოს ცხენოსანი ფიგურა სწორედ ამ ჩრდილოკავკასიურ ქანდაკებებს ეხმაურება და მათი მიხედვით ზოგადად VII—IX სს. უნდა დათარიღდეს. შენაქოს მასალის ეს ჩრდილოკავკასიური ანალოგები მიუთითებენ იმ მჭიდრო კულტურულ და იდეოლოგიურ სიახლოვეზე, რომელიც არსებობდა ადრეულ საშუალო საუკუნეებში თუშეთსა და ჩრდილო კავკასიას შორის¹⁷⁴. თუშეთის კონტაქტებს ჩრდილო კავკასიასთან ადასტურებს აგრეთვე ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ლინგვისტური მონაცემები.

ფხოელნი (ფშავ-ხევსურნი)

ფხოელნის საერთო სახელწოდებით ძველი ქართული ნარატიული წყაროები ფშავ-ხევსურებს იხსენიებენ. ვახუშტი წერს: „ხოლო მზღვრის ფშავს: აღმოსავლით მთა კავკასიიდან ჩამოსული; სამხრით

¹⁷⁴ რ. დოლაბერიძე, არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან, თბ., 1973, გვ. 14—58.



კავკასივე, იმასა და მახლოსკეცს შორის; სამხრით მთა, იმასა და თრანეთს შორის; ჩდილოთ კავკასი, ამასა და ლილიუს შორის; ჩრდილოთ მთა კავკასიდან ჩამოსული სამკრით, ამასა და ხევისჭყვიანობის შორის. არამედ ძველად ეწოდა ამ ორთა კეობათა ფხოელნი, და აწ უწოდებენ ესრეთ“. საერთოდ, ვახუშტის თხზულებაში ყველგან ფშავ-ხევსურეთი ძველ ფხოვთან არის გაიგივებული: „ფშავ-ხევსურსა, რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი“ და სხვ¹⁷⁵.

როგორც ცნობილია, უკვე ძვ. წ. III ს-დან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი ქართლის მეფეებმა თავიანთი დამოკიდებულების ქვეშ მოაქციეს. თავდაპირველად ეს დამოკიდებულება ძირითადად გამოიხატებოდა მხოლოდ ხარკის გადახდასა და სამხედრო დახმარებაში. კავკასიის მთიანეთზე ბატონობას, პირველ რიგში, ქართლის მმართველი წრეებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ფხოელთა (ფშავ-ხევსურეთი) მტკიცედ დაპყრობა და აქაური მოსახლეობის სოციალურად დაქვემდებარება ქართლის გაბატონებულმა წრეებმა ცოტა უფრო გვიან სცადეს. კერძოდ, ამ მხრივ აქტიური ნაბიჯები იქნა გადადგმული ქართლში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადებასთან (IV ს.) ერთად.

მთის რაიონების მცხოვრებლებმა („მთელთა კავკასიანთა“) სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ქრისტიანობის გავრცელებას. სწორედ ამ ამბებთან დაკავშირებით პირველად ჩნდება ქართულ წყაროებში ჩვენთვის საინტერესო ეთნიკური რეგიონის — ფშავ-ხევსურეთის (ფხოელთა) მოსახლეობის ხსენება. ლეონტი მროველი მოგვითხრობს: „და წარვიდა წმიდა ნინო და... მივიდეს და დადგეს წობენს და მოუწოდეს მთელთა, პირუტყუთა სახეთა მათ კაცთა, ჰართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა“. და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჰეშმარითი“... „ხოლო ფხოელთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თოშეთს“¹⁷⁶. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ამავე ამბავს ოდნავ განსხვავებით გადმოგვცემს: წმ. ნინო „წარვიდა და დადგა წობენს და მოუწოდა მთელთა: ჰართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა და უქადაგა სარწუნოვება“; და შემდეგ: „გარდავიდა ერწოდ და დადგა ქალეთს, დაბასა ედემს და ნათელსცა ერწუთიანელთა და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა“¹⁷⁷. როგორც

175 ვახუშტი, აღწერა, გვ. 523, 534.

176 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 125—126.

177 მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 88.



უხედავთ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ლეონტისაგან განსხვავებით „ფხო-
ელთა“ ნაცვლად ხმარობს „ყუარელთა“. ყუარელნი ფხოველდელი
ფხოველების წინაპრები იყვნენ და ფხოელთა განაყოფს წინაპრებს
ნდნენ. ყუარელთ თავიანთი ადგილმდებარეობით ივრის სათავეებში
ჰქონდათ სამოსახლო.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს და ლეონტი მროველის ცნობა
ფხოველთა ეთნიკური ელემენტის შეჭრის შესახებ თუშეთში რეალურ
ამბავს რომ ემყარება, ამას კარგად მოწმობს დღევანდელი ტოპონიმი-
კაც. ის გარემოება, რომ თუშეთში და ძველი ფხოვის ტერიტორიაზე
(ე. ი. ფშავ-ხევსურეთში) ერთი და იგივე სახელწოდების სოფლები
გვხვდება, ჩვენ სწორედ ამის უეჭველ საბუთად მიგვაჩნია; მაგალი-
თად, თუშეთში არის სოფლები და ნასოფლარები: ხახაბო, ბასო, ჩირ-
დილი, გოგრულთა, ბოქორმა, ალოტი და სხვ., რომელნიც თავიანთ
პარალელს ფშავ-ხევსურეთში პოულობენ.

ფხოელთა თუშეთში მიგრაციაზე და მათი ეთნიკური ელემენტის
თუშურ სამყაროში მძლავრ ნაკადად შეჭრაზე უნდა მიგვანიშნებდეს
ის ფაქტიც, რომ თუშური კილო ქართული ენის სხვა რომელიმე კი-
ლოს ისე არ ემსგავსება, როგორც ხევსურულს. თუშურ და ხევსუ-
რულ კილოთა მსგავსებაზე თ. ოჩიაური წერს: „ინტერესი ხსენებული
საკითხისადმი (თუშეთში ხევსურული წარმოშობის ხატების გაჩენის
საკითხი — თ. პ.) განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, როდესაც
თუშეთში ყოფნის დროს ადგილობრივ მკვიდრთა, განსაკუთრებით
ქალების მეტყველება გავიგონეთ და ხშირად გვეგონა, რომ ხევსუ-
რი დიალექტის საუბარს ვისმენდით. გასაოცარი დიალექტური მსგავსე-
ბა, ლექსიკა თუ ინტონაციის მხრივ, თავისთავად აღძრავდა საკითხს:
რა აკავშირებს ასე ძლიერად აღმოსავლეთ მთიანეთის ამ ორ კუთ-
ხეს“¹⁷⁸.

(ფხოელთა ეთნიკური ელემენტის მოძრაობა თუშეთისაკენ დასტ-
ურდება ეთნოგრაფიული მასალებითაც, კერძოდ, ამის მოწმობაა, რომ
უკანასკნელ დრომდე (XIX ს. 40-50-იან წლებამდე) ხევსურები ზა-
ფხულობით სალოცავად, ხატობაში დადიოდნენ თუშეთში) სახელ-
დობრ, აქ ხევსურეთიდან მოდიოდნენ ჯვარიონნი—ჯავმატიონნი და
კარატიონნი და ლოცულობდნენ თავიანთ ჯვარხატებზე, რომელთაც
სხვადასხვა სახელწოდებები აქვთ, ხოლო ხშირად კი მათ თუშები „ხე-
ვსურების ჯვარს“ უწოდებენ. ხევსურებს თითქმის თუშეთის ყველა

¹⁷⁸ თ. ო ჩ ი ა უ რ ი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართვე-
ლოს მთიანეთში, თბ., 1967, გვ. 60.

თეში და თემის სოფლებში ჰქონდათ ხატები. ეს ფაქტი იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ქრისტიანული სარწმუნოების მიღებას ვაძლე-
ქცულ ფხოელთ, რომელთაც თუშეთში შეაფარეს თვეჯ ღუფთშიც დაუწესებიათ თავიანთი ჯვარ-ხატები. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება გვინდა მივაპყროთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამო-
თქმულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სავსებით რეალურ ამბავად არის მიჩნეული ხევსურულ მითოლოგიურ გადმოცემებში შემონახული მოტივი: შუბნურის, ხახმატისა და კოპალას მიერ თუშეთის დაპყრობა, თუშებზე ხარკის დადება და იქ ხევსურული ხატების ამ გზით დაარსება¹⁷⁹. ვ. ბარდაველიძის ამ მოსაზრებას არ იწყნარებს თ. ოჩიაური. მისი შეხედულებით, „ხევსურული წარმოშობის ხატთა სიმრავლე თუშეთში ხევსურთა მასიური და ერთდროული ჩამოსახლების შედეგი უნდა იყოს“¹⁸⁰. ჩვენი აზრით, ფხოელთა ეთნიკური ელემენტის მძლავრად შეჭრა თუშეთის ტერიტორიაზე არ უნდა იყოს ექსპანსიის შედეგი. აქ საქმე უნდა გვექონდეს ჩვეულებრივი მიგრაციული ხასიათის მოვლენასთან, მოსახლეობის მოძრაობის ფაქტთან. ეს არის ფხოელთა მძლავრი ნაკადის დენა თუშეთის მიმართულებით და იგი დაკავშირებული უნდა იყოს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა და ლეონტი მროველთან მოთხრობილ ამბებთან, რომლის მიხედვითაც IV ს-ში ადგილი ჰქონდა ფხოელთა თუშეთში გარდახვეწას. ეს კი, თავის მხრივ, გამოწვეული იყო ქართლის სამეფოს მესვეურთა პოლიტიკით, რომლის მიზანს შეადგენდა ფხოელთა მტკიცედ დაპყრობა და აქაური მოსახლეობის სოციალურად დაქვემდებარება.

IV ს-დან მოკიდებული ფხოელთა ეთნიკური ისტორიის შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში საკმაოდ ხანგრძლივი ქრონოლოგიური პერიოდის მანძილზე თითქმის არაფერია ცნობა არ გვხვდება. ეთნონიმი „ფხოელნი“ კვლავ თავს იჩენს მხოლოდ XI ს. დასაწყისის ამბებთან დაკავშირებით. ვახუშტი ბაგრატიონის ერთი სარწმუნო ცნობის მიხედვით, კვირიკე კახთა და რანთა მეფემ თავის სამეფოში ახალი საერისთავოები განაწესა. ვახუშტით, კვირიკე მეფემ: „დასუა (ერისთავი — თ. პ.) კუეტერისა და მისცა უჭარმას ზემოთი ორთა მთათა შორისი, რომელ არიან კახეთისა და კუხეთისა, ვიდრე კაცკასამდე და გარდალმად. ესე არს ერწო-თიანეთი, ფხოელნი, ძურძუკნი

¹⁷⁹ В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1958, გვ. 9.

¹⁸⁰ თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, გვ. 64.



და დლილუ¹⁸¹. როგორც ვხედავთ, ფხოველებს „რანთა და კახთა“¹⁸² მეფოს“ ეთნიკურ სტრუქტურაში აღნიშნული ხანისათვის საკმარისი მყარი ადგილი უჭირავთ. ფხოვი სამეფოს ორგანული შემადგენელი ნაწილია როგორც პოლიტიკურად, ასევე ადმინისტრაციული თვალსაზრისით.

ეთნონიმი ფხოვ-ფხოელნი სომხურ საისტორიო მწერლობაშიც გვაქვს დადასტურებული. კერძოდ, ფაუსტოს ბიზანტიელთან იგი მოხსენიებულია „ფოხქ“-ის (*φωχ*) ფორმით¹⁸³. VII ს. სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში ფხოელნი (ფშავ-ხევსურნი), როგორც ს. ერემიანი ფიქრობს, მოხსენიებულნი არიან „ფასხ“-ის (*φασχ*) და „ფუსხ“-ის (*φουσχ*) სახელწოდებით¹⁸⁴. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ჩეჩნები ფშავებს „შუო“-ს უწოდებენ, ხოლო ხევსურებს „ფხო“-ს.¹⁸⁵ ფხოვის სახელი შემოინახეს აგრეთვე თანამედროვე ინგუშებმა. რომლებიც ასის ხეობის ზედანაწილს უწოდებენ „ფხიჩოი“-ს ანუ ფხის ხეობას (ე. ი. ხევსურთა ხეობას)¹⁸⁶.

ტერმინის „ფხოვის“ („ფხოველი“) გეოგრაფიული და ეთნოლოგიური ინტერპრეტაციისათვის ერთობ საყურადღებოა აგრეთვე ა. შანიძის მიერ ქისტეთში მოგზაურობის დროს შემჩნეული ერთი მეტად საგულისხმო გარემოება. იგი წერს: «Я узнал, как хевсур называется по кистинский. именно фхав /р/. ფხბ). а это обстоятельство очень помогает при толковании географического и этнографического термина фხოვი (ფხოველი) сохранный грузинскими летописями, равно и армянскими источниками, напр., Фауст. III, 7—*φωχ*»¹⁸⁶.

¹⁸¹ ვახუშტი, აღწერა, გვ. 561.

¹⁸² *Φωχιστῶν Πρωσωνήθενων, Ἡστορικῶν Λογιῶν, Μ.-Φωχιστῶν*, 1883, III, გვ. 14.

¹⁸³ С. Т. Еремян, Расселение горских народов Кавказа по Птоломею и «Армянской географии», VII в., გვ. 407.

¹⁸⁴ Н. Г. Волкова, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, გვ. 181.

¹⁸⁵ Р. Л. Харадзе, А. И. Робакидзе, К вопросу о нахской этнонимике, Кавказский этнографический сборник, II, Тб., 1968, გვ. 20.

¹⁸⁶ А. Шанидзе, Отчет о летней командировке 1913 г. в Душетский и Тианетский уезды Тифлисской губернии для изучения грузинских говоров; იბ. ა. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957, გვ. 6.



რა შეიძლება ითქვას ამ კანტი-კუნტი ცნობების მრხედლით ფხოველთა ეთნიკურ წარმომავლობაზე?

ნ. მარი ევრდნობოდა რა წმინდა ლინგვისტური ნასიათის ხანაცემებს, პირდაპირ წერდა: «Не скрою, что грузинские горы, в числе их хевсуры и пшавы мне... представляются... грузинизованными племенами чеченского народа»¹⁸⁷.

ერთადერთი ძირითადი ამოსავალი ფხოველთა ვეინახურ (ჩეჩნურ) ტომად მიჩნევაში ნ. მარისათვის იყო ნახური წარმომავლობის ჭარბი ლექსიკის არსებობა ქართული ენის ფშავ-ხევსურულ კილოში. ფხოველთა ეთნიკური ვინაობის არსის ნ. მარისეული გაგება, რა თქმა უნდა, ცალმხრივია და მოკლებულია დამაჯერებლობას.

ვახუშტი ბაგრატიონს ფხოველნი თავისი თხზულების იმ ნაწილში აქვს შეტანილი, რომელსაც ეწოდება: „აღწერა ჰერეთისა, სახეთისა და კუხეთისა. კელად თუშეთისა და დიდოეთისა“. ვახუშტი ფხოველთ მეტად ძუნწი. მაგრამ ამავე დროს ერთობ ნიშანდობლივი შტრიხებით ახასიათებს. იგი გვაუწყებს: „არიან ესენი სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა“. და იქვე დასძენს: „და არიან ყოვლითა, ვითარცა მთიელნი აღვსწერეთ“. როგორც ვხედავთ, ვახუშტის წარმოდგენაში ფხოველნი ენობრივი და ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით, იმავეთვე ქართველი მთიელები არიან. ამასვე ადასტურებს ის დიდძალი ლინგვისტური მასალა, რომელიც ა. შანიძემ შეაგროვა ქართული ენის მთის კილოების — ფშავურის, ხევსურულის, მოხეურის, თუშურის ლექსიკური და ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებების გამოსავლენად. ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ ა. შანიძემ ეს ოთხი დიალექტი ცალკე ვიწრო ჩგუფად გამოყო და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოსაზრებებით ქართული ენის ფხოველური ჩგუფი უწოდა. ა. შანიძე იქვე ხაზგასმით მოუთითებს აგრეთვე ფხოველში უღვლილების თავისებურებებზე და აღნიშნავს: «Особенности пховского спряжения проливают яркий свет на спряжение грузинских глаголов вообще, а синтаксические явления подтверждают и дополняют известные из древнегрузинского литературного языка факты»¹⁸⁸.

¹⁸⁷ Н. Я. Марр, К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа, 33. 1395.

¹⁸⁸ А. Шанидзе, Отчет о летней командировке 1913 г. в Душетский и Тионетский уезды Тифлисской губернии для изучения грузинских говоров, 33. 8.



ფხოვერ კილოზე დაკვირვების შედეგად მიღებული ეს ფაქტი საყურადღებო დასკვნა, ნ. მარისაგან განსხვავებით, ახლებურ მხარეზე ჰყენს ფხოველთა ეთნიკურ ისტორიას. და მართლაც, სრულყოფილად აღიარებულია ის ფაქტი, რომ ისტორიულ ხანაში, ყოველ შემთხვევაში ს. წ. IV საუკუნიდან მოკიდებული, ფხოველნი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ქართულ სამყაროსთან და ისინი ქართული ეთნოსის ორგანულ შემადგენელ ნაწილს შეადგენენ. რაც შეეხება ფხოველთა თავდაპირველ წარმომავლობას, ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად მეცნიერებაში მეტად საინტერესოდ დგას აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური სიახლოვის საკითხი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელ ტომებთან. აღმოსავლეთ ანატოლიაში ძვ. წ. II—I ათასწლეულში დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოს, და საერთოდ კავკასიის, მთიანეთის ტომთა მსგავსი არაერთი სახელი. მაგალითად, თუალი — დუალი (შდრ. „დვალ“-თა ტომის სახელი), წოფ (ანი) (შდრ. წოვების, წოვა თუშების ტომის სახელი), ფახუვა — ფხოვი, ჩვენთვის საინტერესოა ეს უკანასკნელი მაგალითი. ფახუვას ქვეყანა იხსენიება ძვ. წ. XIV ს. II ნახევრის ხეთურ დოკუმენტებში. როგორც გ. მელიქიშვილი შენიშნავს, ამ ქვეყნის სახელი თითქმის ზუსტად იმეორებს აღმ. საქართველოს მთიელ ტომთა შორის დასახლებულ „ფხოვ“-ტომის სახელს. ძველ ქართულ წყაროებში „ფხოვ“-სახელის ქვეშ ფშავ-ხევსურნი იგულისხმებიან¹⁸⁹. მართალია II—I ათასწლეულში ფხოველთა ტომი ესოდენ სამხრეთით ჩანან, მაგრამ ჩვენ შესაძლებლად გვეჩვენება ვიფიქროთ, რომ უფრო მოგვიანო ხანაში ისინი უკვე გავრცელებული უნდა ყოფილიყვნენ ჩრდილოეთითაც, სადაც ალბათ თანდათან ეუფლებოდნენ თავიანთ მომავალ საცხოვრისს, ერწყმოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და მათ მიერ დაკავებულ რაიონსაც საკუთარი სახელი „ფხოვ“-ი უწოდეს (შდრ. „ფახუვა“ — პირვანდელი ფორმა).

ფხოველთა ეთნიკური ისტორიისათვის ინტერესმოკლებული არ არის ის მცირე არქეოლოგიური მასალა, რომელიც ისტორიული ფხოვის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს შუაფხოს შემთხვევითი მონაპოვარი ფშავის არაგვის ხეობაში. აქაური მონაპოვრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (ირმის

¹⁸⁹ გ. მელიქიშვილი, აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნონიმიის შესწავლისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1961, № 3, გვ. 117—118; მისივე, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 100, 202.



ბრინჯაოს ქანდაკება და სხვ.), ისტორიული ფხოვეც კულტურის/იმავე წრეში შედის, რომელსაც მიეკუთვნება მცხეთა-წიშაძურ-ტყევეტრწოს „რკინის კალოს“ და სხვ. ძვ. წ. VIII—VI სს. სამაროვნებში¹⁹⁰ მატერიალური კულტურისათვის დამახასიათებელი აღნიშნული ნიშან-თვისება მომდევნო ხანებშიც ურყევად იჩენს თავს. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კართანის სამაროვანზე წარმოებულ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. კართანა მდებარეობს მდ. ფშავეის არაგვის ხეობაში, სოფ. მალაროსკარიდან ზემოთ 3-4 კმ-ის დაშორებით, ადგილ „კართანას“ მახლობლად, ცნობილი კოპალეს ზატის სიახლოვეს. კართანას სამაროვანზე მოპოვებული მასალა წარმოდგენილია ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინისა და მინის სამკაულით (საყურეები, ვერცხლის ვეშიანი ბეჭდები, ბრინჯაოს რგოლები, მინის ბეჭდები და სხვ.). კართანის სამაროვანი სამარხთა აღნაგობით, დაკრძალვის წესით და სამარხეული კომპლექსების შედგენილობით საგრძნობ სიახლოვეს ამჟღავნებს საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში გათხრილ სამაროვნებთან. კერძოდ, ლითონის სამკაული დიდ მსგავსებას იჩენს სამთავროს, რუსთავეის, ერწოს, სიონის, ყინვალის და სხვა ადრეფეოდალური ხანის სამაროვნებზე მოპოვებულ მასალასთან. რაც შეეხება მინის ბეჭდებს, ისინი ემსგავსებიან ორბუთის VIII—IX სს. მინის ბეჭდებს, ასევე ერწოს, დარიალის ხეობის, ყინვალის და სხვა იმავდროულ მასალებს¹⁹¹. კართანას სამაროვანზე გათხრილი სამარხები თარიღდება VIII—IX სს-ით. აქვე ზაზვასმით უნდა აღინიშნოს, რომ არ ჩანს არავითარი სხვაობა ბარში გათხრილ სინქრონულ სამარხებთან¹⁹².

უკანასკნელ ხანებში ყინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ისტორიული ფხოვის ტერიტორიაზე გამოვლენილ იქნა ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანული ხუროთმოძღვრების მრავალი საყურადღებო ძეგლი: ნეძიხის სამონასტრო კომპლექსის ორბასიდიანი ბაზილიკა, გუდრუხის, თვალივის, კართანის, ანატორის და სხვა ეკლესიები¹⁹³. ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლების უმრავლესობა VIII

190 რ. რამიშვილი, მთისა და ბარის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი არაგვის ხეობის ახალი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, იხ. კრებული „ყინვალის ექსპედიცია“, თბ., 1980, გვ. 107.

191 გ. რჩეულიშვილი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება კართანას სამაროვანზე, იხ. კრებული „ყინვალის ექსპედიცია“, თბ., 1980, გვ. 24—26.

192 გ. რჩეულიშვილი, იქვე, გვ. 27.

193 კ. წიკრეთელი, ფშავ-ხევსურეთის ადრეულ შუა საუკუნეთა ხუროთმოძღვრული ძეგლები, იხ. კრებული „ყინვალის ექსპედიცია“, თბ., 1980, გვ. 70—78.

—IX სს-ით თარიღდება. შედარებითი ანალიზის საფუძველზე თვალსაჩინო ხდება, რომ ფხოვის ხუროთმოძღვრება ყველა ნიშნით იდენტურია ბარისა, ხოლო უფრო კონკრეტულად, გენეტიკურად უკვე აღიარებულია კახეთის არქიტექტურას¹⁹⁴. ყოველივე ეს კი გარკვეულ შედეგს ქვენს ფხოველთა ეთნიკური განვითარების სურათს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქრისტიანულ ეკლესიათა ინტენსიური მშენებლობა გულისხმობს სათანადო კულტურის გავრცელებას, ცხადი გახდება, რომ ზემოხსენებულ ადრეულ შუა საუკუნეთა ხუროთმოძღვრული ძეგლების სახით ჩვენ გვეძლევა საბუთი ქართული კულტურის კიდევ უფრო მეტად განმტკიცებისა ფხოვში. ამასთან, თუ გავიხსენებთ, რომ „აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანული ეკლესიის ენა თავიდანვე ადგილობრივია, ეროვნული ქართული“¹⁹⁵, და რომ ე. ი. ფხოვის მოსახლეობის ოფიციალური ენაც, ამიტომ, რა თქმა უნდა, ქართული უნდა ყოფილიყო, მაშინ ნათელი იქნება, თუ რამდენად ორგანულად იყვნენ შერწყმულნი და შესულნი ფხოველნი ქართულ ეთნიკურ სამყაროში. ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილ მოვლენას ფხოველთა ეთნიკური განვითარების ისტორიაში ნიადაგი საუკუნეთა მანძილზე ჰქონდა შემუშავებული.

ფხოველნი, ლლილვნი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რანთა და კახთა სამეფოს წარმოქმნა რთული ეთნოგენური პროცესის შედეგს წარმოადგენს, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ როგორც ქართული, ისე არაქართული ახლო თუ შორეული მონათესავე ეთნიკური ელემენტები. და აი, ამ არაქართულ ეთნიკურ ერთეულთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ დურძუკებსა და ლლილვებს, რომელნიც თავიანთი ეთნიკური სახით სავსებით ამკარად ვეინახური (ჩეჩნურ-ინგუშური) წარმოშობის ტომებს მიეკუთვნებიან. (XI ს.-სთვის, როდესაც „რანთა და კახთა სამეფოს“ ეთნიკური სტრუქტურა მკაფიოდ გამოიკვეთა, დურძუკები და ლლილვები მის ორგანულ ნაწილს შეადგენდნენ; კერძოდ, ისინი ადმინისტრაციულად კვეტერის ერისთავის გამგებლობაში შედიოდნენ. ამ ხანიდან მოკიდებული ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე მყარად იკიდებს ფეხს ტრადიცია იმის შესახებ, რომ დურძუკნი და ლლილვნი კახეთის ნაწილნი არიან. აღნიშნული ისტორიული ტრა-

¹⁹⁴ ე. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77—78.

¹⁹⁵ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 244.



დიცია გვიანობამდის, XVIII საუკუნემდე და უფრო იქითაც არც-
 ლობს. მაგალითად, XVIII ს. II ნახევარში შედგენილ თხზულება-
 ში „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“ ვკითხულობთ შემ-
 რა დიდო-ქისტისა, ლლიღვისა, ძურძუქისა, თუშ-ფშავ-ხევსურისა და
 ხევისა — „კიდევ კახეთის სამეფოს ნაწილი, რომელიც კახეთზედ
 ჩრდილოს კერძო არიან ოთხი თემი: დიდოეთი, ქისტეთი, ლლიღვი
 და ძურძუქი, ლეკთაგან მიგვხმინან და გაუმაჰმადიანებიათ“¹⁹⁶. თეიმუ-
 რაზ ბაგრატიონი წერს: „...ლლიღვი და ძურძუქი პირველ იყვნეს
 ენითა ქართულითა მომზრახნი, შემდგომად აღერივნეს რა მათ შორის
 ხაზარნი და სხვა და სხვა ნათესავნი ენა მათი განირყვნა... ხოლო ძუ-
 რძუქთა და ლლიღვთა უმეტესთა ნაწილთა მათთ აქვსთ მიღებული
 სჯული მოჰმედისა ჩერქეზთა მახლობლობისა გამო“; და ბოლოს თე-
 იმურაზი ურთავს ასეთ განმარტებას—„ხოლო... ლლიღვი, ძურძუქი
 არიან ნაწილსა შინა კახეთისასა კავკასიის მთასა შინ მცხოვრებელ-
 ნი“¹⁹⁷. ამრიგად, წერილობით წყაროებში შემონახული ცნობებისა და
 ქართულ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული ტრადიციის მიხედვით,
 დურძუქებსა და ლლიღვებს „რანთა და კახთა სამეფოს“ ეთნიკურ
 სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირაეთ. აქედან გამომდი-
 ნარე, საკიროდ ვცნობთ, შევეხოთ მათი ეთნიკური ისტორიის საკით-
 ხებს. და რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, დურძუქები და ლლიღვები
 ვეინახური (ჩეჩნურ-ინგუშური) წარმოშობის ტომები არიან, ამიტო-
 მაც ჩვენ კვლევას ვიწყებთ ვეინახურ სამყაროსადმი კუთვნილ ეთ-
 ნონიმიებზე საუბრით.

თვით ჩეჩნები თავის თავს „ნოხჩო“-ს (ნოხჩი) უწოდებენ. ჩე-
 ჩენტა ეს თავისახელი საისტორიო წყაროებში მეტად იშვია-
 თად იხსენიება. XVIII საუკუნემდე ეთნონიმი „ნოხჩო“ ჩვენ მხო-
 ლოდ ორჯერ გვაქვს დადასტურებული: ერთი XIV ს. ქართულ დო-
 კუმენტში, ხოლო მეორე კი VII ს. სომხურ გეოგრაფიაში.

ქართული დოკუმენტი წარმოადგენს ერთ-ერთი სახარების მინა-
 წერს, ანუ როგორც თვით მისი გამომცემელი აღნიშნავს, კირილე
 დონაურის ანდერძს. მასში ვკითხულობთ: „ქ. ოდეს სანატრელმან
 მან პატრიარქმან ჩუენმან ექუთიმე მოიხილა კახეთს: ანწუხისა
 საეპისკოპოზოჲ და მიერთვან გარდმოვიდა წახურს, კაკ-ელისენს
 და მოვლო... საყდარნი ხუნძთა, ნახჩთა, თოშეთისა... ამან სანატ-
 რელმან ექუთიმე მიბრძანა ქურმუხისა მთავარეფისკოპოსსა და

196 ლ. მელიქსეთ-ბეგვი, „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“, XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა, ტფ., 1935, გვ. 27.

197 თეიმურაზ ბაგრატიონი, ისტორია ივერიისა, გვ. 36.

ყოვლისა მთეულისა წინამძღუარსა კვრილე დონაუტსა ვაჟ-
 დაწერინებად სახარებისა და წარგზავნად თუითეულისთჳს ეკლესი-
 სა... ქორონიკონსა ფლ, თუესა მაისსა იდ, დასაბამითგანთჳს წმინდ წმუნ
 ლთა“¹⁹⁸. ამრიგად, თვით დოკუმენტი გვაუწყებს, რომ მანამდე
 რილ მოვლენებს აღგილი ჰქონდა XIV ს. დასაწყისში, სახელდობრ
 1310 წელს. ჩვენს მიერ ციტირებული წყარო შეიცავს საკმაოდ დამა-
 ჯერებელსა და ზუსტად დათარიღებულ ჩვენებას ჩეჩენთა თავსახე-
 ლის შესახებ. ჩეჩენთა თავსახელი, როგორც დავინახეთ, დოკუმენტ-
 ში მოხსენიებულია „ნახჩთა“ (ნახჩი) ფორმით. ეთნიკური ნომენკ-
 ლატურა, რომელსაც გვაწვდის ქართული წყარო, პოლიტიკური სი-
 ტუაცია, რომელშიც მოხსენიებულია „ნახჩო“ ხალხის სახელი, მოწ-
 მობოს, რომ აღნიშნული ეთნონიმი ვეინახური სამყაროს კუთვნილ-
 ებას წარმოადგენს.

ამაზე უფრო ადრეული მოხსენიების ფაქტს ეთნონიმისა „ნახჩო“,
 ვხვდებით VII ს. სომხური გეოგრაფიის ტექსტში. აქ იგი გვხვდებ-
 ბა „ნახჭამატებ“-ის (*ნახჭამატებ*) ფორმით¹⁹⁹. მკვლევართა
 შეხედულებით, აღნიშნული სახელი შედგება „მატ“ (მოტ)-ისაგან,
 რაც ვეინახურად ნიშნავს „ენას“. და სომხური ენისათვის დამა-
 ხასიათებელი სუფიქსისაგან „იან“;²⁰⁰. ასეთი შეხედულებაა გავ-
 რცელებული ეთნონიმ „ნახჭამატებ“-ზე საისტორიო ლიტერატუ-
 რაში კ პატკანოვის შემდეგ. ეს მოსაზრება დღესაც მიღებულია.
 კრძოდ, ასევეა ახსნილი აღნიშნული ეთნონიმი სომხური გეოგრა-
 ფიის ს. ერემიანისეულ გამოცემაშიც²⁰¹.

როგორც ცნობილია, „სომხურ გეოგრაფიას“, მრავალ სხვა
 თხზულებებთან ერთად, საფუძვლად უდევს პტოლემეოსის „შრო-
 მაც, რომელიც თავისებურად არის შევსებული სომეხი ანონიმი ავ-
 ტორის მიერ იმ ნაწილში, სადაც კავკასიაზეა საუბარი. ნახჩმატები
 სომხური გეოგრაფიის ტექსტში დასახელებული არიან პტოლემეო-
 სის მიერ აღნიშნულ რეგიონში.

¹⁹⁸ ჯ. კეკელიძე, ეტიმოლოგიური ძეგლი ქართული ლიტერატურის ისტორი-
 იდან, II, თბ., 1945, გვ. 314—315.

¹⁹⁹ Армянская география VII века, გვ. სომხური ტექსტისა — 16, თარგ-
 მანის — 37.

²⁰⁰ В. Б. Виноградов, К. З. Чокаев, Древние свидетельства
 о названиях и размещении нахских племен; Археолого-этнографический
 сборник, 1966, т. VII, вып. I, История, გვ. 71—73; Очерки истории Чечено-
 Ингушской АССР, т. I, Грозный, 1967, გვ. 31; К. Патканов, Армянская
 география, გვ. 38.

²⁰¹ С. Т. Еремян, Армения по Ашхарацуйцу, გვ. 72.

ოსის იაკსამატების ნაცვლად და ლოკალიზებული არიან იმავე ადგილებში, ე. ი. დონის შესართავში. „ჩეჩენ-ინგუშეთის ისტორიის წარკვევების“ ავტორნი პტოლემეაიოსის იაკსამატების ტრანსლაციას ნახემატებად შემდეგნაირად ხსნიან: „როგორც ჩანს, ნახემატების ლოკალიზაცია დონის შესართავში უნდა იყოს II ს. ბერძენი გეოგრაფის პტოლემეაიოსის ცნობის თავისუფალი გამოყენების შედეგი. პტოლემეაიოსი იცნობდა ტანაისის შესართავის მახლობლად მცხოვრებ სარმატულ ხალხს იაკსამატებს, რომლის ბერძნული დაწერილობა სომეხ ანონიმ ავტორს აგონებდა მი სთვის კარგად ცნობილი მთიელი ხალხის ნახემატების სახელწოდებას“ (კურსივი ჩვენი—თ. 3.)²⁰². ავტორთა ამ უკანასკნელ მტკიცებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით. საეკვივოა, რომ სომეხებს, რომელთა ისტორიული განვითარება მკვიდროდ იყო დაკავშირებული სამხრეთკავკასიურ და წინააზიურ ეთნიკურ სამყაროსთან, ასე კარგად სცოდნოდათ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ეს ხალხი. ამა თუ იმ ეპოქის წყაროები ასახავენ რეალურ ისტორიულ კავშირებს. ასევე, ადრე შუასაუკუნეების სომხური წყაროები გვაწვდიან ძვირფას მასალას სომხეთის მეზობელი მხარეების: საქართველოს, ალბანეთის და მცირე აზიის ზოგიერთი ოლქის შესახებ. შუა საუკუნეების სომეხი ისტორიკოსებისათვის ცნობილია ალანები, ალბანეთის მთელი რიგი მთის ტომები, მაგრამ ჩრდილო კავკასია მათთვის შედარებით ნაკლებად არის ცნობილი.

სომხურ გეოგრაფიას ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი ტექსტი შეიცავს კავკასიის ხალხების სახელწოდებებს, რომელთაც სხვა სომეხი ავტორები არ იხსენიებენ. ამ სახელწოდებებს ვერ ვხვდებით ვერც პტოლემეაიოსის „გეოგრაფიულ საბელმძღვანელოში“. საკმე იმაშია, რომ „სომხურ გეოგრაფიაში“ მრავალი ამ ეთნიკური სახელთაგანი მოტანილია ქართული ფორმით (თუში, დუალი, ლეკი, დიდოელი, გუდამაყარი, ცხავატი). და აი, გამორიცხული არ არის, რომ VII საუკუნის „სომხური გეოგრაფიის“ შემქმნელი იცნობდა ქართულ წყაროებს, ისეცხა იქიდან მთელი რიგი ეთნიკური სახელები და მათ შორის მისთვის უცნობი ხალხის სახელიც— „ნოხჩო“. მართალია, ეს სახელწოდება „ნოხჩო“ ჩვენ ქართულ წყაროებში XIV საუკუნეზე ადრე არ გვხვდება, მაგრამ აქ საკმე უნდა გვკონდეს უფრო გვიანდელ ინტერპოლაციასთან VII ს. სომხური გეოგრაფიის ტექსტში. ეს რომ სავსებით ადვილი შესაძლებელია, ამას მოწმობს შემდეგი გარემოება. ი. ა. მანანდიანი, რომელიც სპეციალუ-

²⁰² Очерки истории Чечено-Ингушской АССР, გვ. 31.



რად იკვლევდა „სომხური გეოგრაფიის“ ავტორობის საკითხს, აღნიშნავს: „სომხური გეოგრაფია, სარგებლობდა რა ფართო პოპულარული ბით სომხეთში, შემონახული გვაქვს მრავალრიცხოვანი ტექსტები მის სახით; ხდებოდა მისი არაერთხელ ბეჭდვა დაწყებული XVII ს-დან. ყველზე უძველესი ხელნაწერი XIII ს-ზე იქით აღარ მისდის“²⁰³. ყოველივე აქედან გამომდინარე, ერთ-ერთმა გვიანდელმა ინტერპოლატორმა, რომელიც კარგად იცნობდა XIV ს. დასაწყისის ქართულ წყაროს, ისეხა მისგან ჩეჩენთა აღმნიშვნელი სახელწოდება „ნოხჩო“ („ნახჩოთა“) და შეიტანა იგი სომხური გეოგრაფიის ტექსტში. მაგრამ, რადგანაც მას არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა „ნოხჩო“-ს ტომის ადგილმდებარეობის შესახებ, იგი დაეყრდნო იმ ერთგვარ ბეჭრობრივ მსგავსებას, რომელიც არსებობდა ტერმინებს—იაკსამატებსა და ნახჰამატებს შორის, და ამ სახელის მატარებელი ხალხი მოათავსა იმ ადგილებში, სადაც პტოლემეაიოსს აღნიშნული ჰყავს იაკსამატები.

უფრო ხშირად, ვიდრე ჩეჩენთა თავსახელი „ნოხჩი“, წერილობით წყაროებში გვხვდება სხვადასხვა ეთნონიმები კრებითი მნიშვნელობისა, რომელნიც ხანდისხან აღნიშნავენ საერთოდ ჩეჩენებსა და ინგუშებს. ასეთია სწორედ ქართულ მატაიანებში მოხსენიებული ეთნონიმი „დურძუკი“ (ძურძუკი), რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ეთნონიმ „ქისტს“.

ყველაზე ადრეულ მოხსენიებას ეთნონიმ „დურძუკისა“ ჩვენ ვხვდებით IX ს. ისტორიულ წყაროებში. მხედველობაში გვაქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორის (IX ს.) ცნობა, რომელიც VI ს. 30-40-იან წლებს უნდა ეხებოდეს; ტექსტი მოგვყავს ჭელიშური ვარიანტის მიხედვით: „ვითა მეფობა დაესრულა, ქართლსა შინა სპარსნი განძლიერდეს და ერეთი და სომხითი დაიპყრეს. ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისნი აიგნეს, და ერთი დიდი კარი ოვსეთისევე და ორნი დვალეთს, და ერთი პარჭუანს დორძოკეთისსა“²⁰⁴. როგორც ამ საყურადღებო ცნობიდან ჩანს, ჩვენთვის საინტერესო ტომონიმი „დორძოკეთი“ ცენტრალურ კავკასიონში მდებარეობს. ხოლო კონკრეტულად თვით „კარი დორძოკეთისა“ არის კავკასიონის საუღელტეხილო გადასასვლელი (ძველი ქართული ტერმინოლოგიით „ზეკარი“), რომელიც კახეთიდან

²⁰³ Я. А. Манандян, Когда и кем была составлена «Армянская география», приписываемая Моисею Хоренскому, — «Византийский временник», М., 1947, т. I (XXVI), гл. 127.

²⁰⁴ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ექვთ. თაყაიშვილის გამოცემა; Описание рукописей, II, 723—724.

დურძუკთა ქვეყანაში მიემართებოდა. დურძუკეთის კარი, როგორც ფიქრობენ, ფშავ-ხევსურეთიდან ჩაჩან-ქისტეთში მიმავალი გზის მონათესავე ტავედა²⁰⁵.

ტერმინი „დურძუკი“ იხსენიება აგრეთვე IX ს. არაბულ წყაროში, არაბი მწერლის იბნ ალ-ფაკიჰის თხზულებაში. იბნ-ალ-ფაკიჰი მოგვითხრობს ხოსრო ანუ შირვანის (VI ს.) მიერ „დურზუკი“-ში 12 კარისა და ქვის სიმაგრეების აშენების შესახებ²⁰⁶. დურძუკების სახელის ხსენებას ვხვდებით აგრეთვე IX ს. მეორე არაბ ავტორთან ბალაძორთან. იაკუთი, რომელმაც თავისი „გეოგრაფიული ლექსიკონი“ 1227 წ. დაამთავრა და რომელიც თავის თხზულებაში იყენებს უფრო ადრეულ არაბულ წყაროთა (IX ს.) ცნობებს, ხოსრო ანუ შირვანის ამბების მოთხრობასთან დაკავშირებით იმეორებს ზემოაღნიშნულ ფაქტს. იგიც ამბობს, რომ ანუ შირვანმა „დურზუკი“-ში აავგო 12 კარი²⁰⁷. როგორც ვხვდავთ, არაბი ავტორების ცნობები ძირითადად ემთხვევა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჩვენებებს.

ჩვენ შესაძლებლობა გვძლევა ტერმინი „დურძუკეთი“ დავადასტუროთ უფრო ადრეულ წყაროშიც. ეს არის გრიგოლ განმანათლებლის (III ს. დასასრული და IV ს. დასაწყისი) ცხოვრების არაბული ვერსია, რომლის ტექსტიც, ნ. მარის აზრით, IX ს.-ზე ადრეული არ უნდა იყოს. ამ არაბული ცხოვრების სიტყვით, სრულიად სომხეთის კათალიკოსად გახდომის შემდგომ გრიგოლ განმანათლებელმა „წარავლინა მთელ სომხეთში ეპისკოპოსები, საქართველოში, დურძუკეთში და ალანებთან“. ნ. მარი ამ ტექსტში მოხსენებულ სიტყვა „დურზუკი“-ს წაუკითხავად ტოვებს; ნ. აღონცი მას „დურზუკთა“ ქვეყნად (в страну дурзуков) თარგმნის, მაგრამ არ ამბობს რომელი ქვეყანაა;²⁰⁸ ი. ჯავახიანი აზრით, აქ უეკველია ქართული „დურძუკეთი“, ან „დურძუკეთი“ ე. ი. ჩაჩანების ქვეყანა იგულისხმება²⁰⁹.

XI ს.-დან ტერმინი „დურძუკი“ ძალზე ხშირად ფიგურირებს ლეონტი მროველისა და ჭუანჭავაძის თხზულებებში.

²⁰⁵ ს. ჭაჩაძის, შრომები, I, გვ. 4—5.

²⁰⁶ Н. А. Караулов, Сведения арабских писателей о Кавказе, Армении, Азербайджане, — СМОМПК, 1901—1908, т. XXI, гв. 156, 288.

²⁰⁷ „Iacut's Geographisches wörterbuch“, т. I, Leipzig, 1924, гв. 221.

²⁰⁸ Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, гв. 328.

²⁰⁹ ი. ჯავახიანი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 188, სქოლოთ 7.



საგულისხმოა, რომ ლეონტი მროველის ცნობით, „დურძუკი... უწარჩინებულეს იყო შვილთა შორის კაცკასისთა“ და ის დაჯდა ნაპრალსა შინა მითისასა, და უწოდა სახელი თვნი „დურძუკით“²¹⁰. თუ ამ ჩვენების მიხედვით დურძუკი კაცკასოსის შვილად არის მიჩნეული, ამავე ისტორიკოსს ერთ სხვა ადგილას იგივე დურძუკი ტირეთის ძედ ჰყავს მოხსენებული. ლეონტი მროველი მოგვითხრობს რა ხაზართა გაძლიერებისა და მათი მუდმივი თავდასხმების შესახებ, წერს: „განძლიერდეს ხაზარნი, დაუწყეს ბრძოლად ნათესავთა ლეკისათა და კაცკასიოსთა. და ესე თარგამოხიანთა ყოველნი მას ეამსა იყვნეს მშვიდობით სიყუარულსა ერთმანერთისასა. ხოლო შვილთა ზედა კაცკასისთა იყო უფალი დურძუკ, ძე ტირეთისი“²¹¹. ამ ცნობის თანახმად, როგორც ვხედავთ, დურძუკი ტირეთის შვილი ყოფილა. ისტორიკოსის ნაამბობიდან არ ჩანს, ტირეთი კაცკასოსის შვილად არის ნაგულისხმევი, თუ ტირეთი და კაცკასოსი ერთი და იმავე ეპონიმის ორი სხვადასხვა სახელია. ყოველ შემთხვევაში, ლეონტის ცნობებიდან ერთი რამ მაინც ცხადია: დურძუკი კაცკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთ კალთებზე მოსახლე ტომის ეპონიმი. ლეონტის თხზულებაში შემონახული ცნობებიდან ირკვევა, რომ დურძუკეთს საქართველოსთან მჭიდრო ისტორიული კავშირი ჰქონდა. უკვე ანტიკურ ხანაშივე დურძუკეთი ქართლის სამეფოზე დამოკიდებული ქვეყანა იყო. ლეონტის გადმოცემით, ქართლის პირველმა მეფე ფარნავაზმა (ძვ. წ. IV—III სს.) „მოიყვანა ცოლი დურძუკელთა, ნათესავი კაცკასისი“²¹². ქართლის მეორე მეფე საურმაგი (ძვ. წ. III—II სს.) დედით დურძუკი ყოფილა. როდესაც საურმაგს ქართლის ერისთავები აუჯანყდნენ, იგი გაიქცა „ჭუეყანასა დურძუკთასა დედის ძმათა მისთა თანა“. დურძუკების მაშველი ჯარის დახმარებით მან სამეფო ტახტი დაიბრუნა. გამარჯვების შემდეგ, როდესაც საურმაგი სათანადოდ გაუსწორდა მტრებსა და მეგობარ-მოკავშირეებს, მემატთანე საგანგებოდ აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ მან „განმრავლებულ ყვნა დურძუკნი, ნათესავნი კაცკასისნი“²¹³. დურძუკეთი ადრეულ შუა საუკუნეებშიც ქართლის ვასალი იყო. ხოლო როდესაც ჯერ კახეთის სამთავრო (VIII ს. I ნახევარი), შემდეგ კი „რანთა და კახთა“ სამეფო (XI ს. დასაწყისი) წარმოიქმნა, დურძუკეთი პოლიტიკურად მისი შემადგენელი ნაწილი გახდა.

210 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 12.
 211 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 11.
 212 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 25.
 213 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 26—27.



დურძუკეთს იხსენიებს თამარის ანონიმი ისტორიკოსიც, „ისტორიანი და აზმანი შარავეანდედთანი“-ს ავტორი. ეს უკანასკნელი შეგვიტობს რა თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში (XIII ს. დასაწყისი) მოწყობილ ლაშქრობას აჯანყებული მთიელების წინააღმდეგ, ჩამოთვლის შემდეგ ოლქებს: დიდოეთი, ფხოეთი, დურძუკეთი.²¹⁴ ეს უკანასკნელი ოლქი, როგორც ჩანს, დიდოელებისა და ფხოელების მეზობლად მდებარე ტერიტორიას მოიცავდა. და რამდენადაც ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ XIII ს. დასაწყისში კავკასიის მთელი ეს ნაწილი დასახლებული იყო ვეინახებით, ამდენად უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ხანის ქართული წყაროების ტერმინი „დურძუკი“ აღნიშნავდა სწორედ ჩეჩნურ-ინგუშურ ტომებს. ასეთი ვითარება შეიძლება გავავრცელოთ აგრეთვე IX—XI სს-ზედაც, როდესაც სახელწოდება „დურძუკი“ პირველად ჩნდება წერილობით წყაროებში.

ტერმინი „დურძუკი“ ქართულ ისტორიოგრაფიაში არ ქრება არც XVIII ს-ში.

ვახუშტი ბაგრატიონი დურძუკების ისტორიას წინარეისტორიული პერიოდიდან იწყებს, იმ ხანიდან, როდესაც, მისი აზრით, ადგილი ჰქონდა კავკასიის თავდაპირველ დასახლებას. იგი გვამცნობს: „კავკასოს დაიპყრა ქუეყანა ლეკანის საზღვრიდამ, ვიდრე პონტოს ზღუამდე, კავკასიის მთის ჩდილოთი ველითურთ... ზოლო ძე ტინენისა, დურძუკოს, უწარჩინებულეს იყო ნათესავთა შორის კავკასოსთა, შემოვილტო კავკასიის მთასა შინა, აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი. ამის გამო უწოდა არაგვს (ე. ი. თერგს—თ. პ.) აღმოსავლის კერძს, ლეკეთის საზღვრამდე (ე. ი. დალისტნის — თ. პ.), ძურძუკეთი... ზოლო შემდგომად კუალად განიყო ძურძუკეთი ძურძუკად, ქისტად და ლლილუად“²¹⁵.

ზემომოტანილ ცნობას დურძუკთა ეთნოგენეზისა და განსახლების შესახებ თავისი ნაშრომის სხვა ადგილას ოდნავ განსხვავებული ვარიანტი გვაწვდის: „არამედ ძურძუკოს ძემან ტინენისმან, რომელი უწარჩინებულეს იყო ძეთა შორის კავკასოსთა, ჩამოვიდა ესე ძურძუკოს კავკასიასა შინა, და ჰპოვა ადგილი ფრიად მაგარი, და აღაშენა ქალაქი, და უწოდა სახელი თვისი ძურძუკი, ... და უწოდა შემდგომად მისსა ძურძუკეთი ჰევის (ე. ი. თერგის — თ. პ.) აღმოსავლეთთა კუობათა“²¹⁶.

214 ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, ს. უახუიშვილის რედ., გვ. 111.

215 ვახუშტი, აღწერა, გვ. 632—633.

216 ვახუშტი, აღწერა, გვ. 654.

ვახუშტი დურძუკეთს ასახელებს იმ ოლქთა რიცხვში, რომელიც დაკავშირებული არიან თანამედროვე ინგუშეთის ტერიტორიასთან (ქისტეთი, ჯარიეზი, ლლიღეთი). „ქისტეთს ზეით, შიგნის იგივე — არს ძურძუკი, შენობიანი, დაბნებიანი, კოშკოვანი ორნივე“²¹⁷. თუ ქისტეთს ვახუშტი ათავსებს მდ. არმზის შუა დინებაზე, მაშინ დურძუკეთს, რომელიც იმავე ავტორის სიტყვით ქისტეთს ზეით მდებარეობდა (ე. ი. მის სამხრეთით), უნდა სჭეროდა ამავე მდინარის ზედა წელი და ავრეთვე მდ. თერგის მარჯვენა შენაკადის, ოხკაროხის ხეობა, რომელიც მდ. არმზის სამხრეთით არის. ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში, XVIII ს-ში, ტერმინ „დურძუკის“ ეთნიკური შინაარსი XI ს. წყაროებთან შედარებით რამდენადმე იცვლება: თუ XI ს-ში „დურძუკებად“ იწოდებოდნენ ვეინახები საერთოდ, XVIII ს-ში ამ სახელწოდებით აღინიშნებოდნენ მხოლოდ ნაწილი ვეინახებისა, სახელდობრ, მისი დასავლეთი ეთნიკური ჯგუფები²¹⁸.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ტერმინი „დურძუკი“ შემოახული უნდა იყოს „სომხური გეოგრაფიის“ ტექსტშიც. კრძოდ, ისინი ყურადღებას აქცევენ აქ მოხსენებულ ხალხს — დურც(ქ)“-ს, რომელნიც ფიგურირებენ გუდამაყრელებსა და დიდოელებს შორის. ს. ერემიანი, აიგივებს რა „დურც(ქ)“-ის ხალხს ქართული წყაროების დურძუკებთან, წერს: „დურც(ქ)“ — ხალხი, ოლქი დურძ(უ)კ ქართულად დურძუკენი, დურძუკეთის ქვეყანა. ინგუშების წინაპრები, რომელნიც ცხოვრობდნენ მდ. ასისის ზემო წელზე“²¹⁹. ამრიგად, ს. ერემიანი დურძუკებს უკავშირებს მხოლოდ ნაწილს ვეინახური ეთნოსისა, სახელდობრ ინგუშებს. ჩვენი აზრით, ეს ნაკლებად არის სავარაუდებელი, რადგანაც ინგუშების აღსანიშნავად შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში იხმარება ეთნონიმი ქისტი და ლლიღვი. სომხური წყაროების „დურც(ქ)“-ს და ქართულ დურძუკებს (წარმოშობით ვეინახებს—თ. პ.) ერთმანეთთან აიგივებს ავრეთვე ი. ს. გაგლოითი²²⁰. ქართულ ისტორიოგრაფიაში ტერმინების „დურც(ქ)“-ისა და დურძუკების გაიგივებას ერთმანეთთან არ იწყნარებენ რ. ხარაძე და ა. რობაქიძე. მათი შეხედულებით, არ არ-

²¹⁷ ვახუშტი, აღწერა, გვ. 652.

²¹⁸ Н. Г. Волкова, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, გვ. 137.

²¹⁹ С. Т. Еремян, Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов по Tabula Peutingeriana. — ВДИ, 1939, № 1, გვ. 49.

²²⁰ Ю. С. Гаглойти, Аланы и вопросы этногенеза осетин, Тб., 1966, გვ. 164—165.

სებობს არავითარი საფუძველი ამ ტერმინების ერთმანეთთან დაკავშირებისა²²¹. საინტერესოა გ. მელიქიშვილის დაკვირვება ღურძლეების ეთნიკური კუთვნილების საკითხზე. იგი აღნიშნავს, რომ ღურძლეები, ისევე როგორც დვალეები, ლაპარაკობდნენ ბაციტურ-ქისტურ ჯგუფში შემავალ ენაზე. სახელდობრ, იგი წერს: «Несомненно, древнегрузинская традиция горные районы Восточной Грузии (южные отроги центральной части Большого Кавказского хребта) считает частично населенными племенами, родственными «Кавкасианам» (т. е. племенам бацбийско-кистинской и дагестанской групп), жившим в основном на северных склонах хребта»²²².

XVII—XVIII სს. წერილობით წყაროებში, უმთავრესად ქართულ დოკუმენტურ მასალებში, ცნობილია აგრეთვე ვეინახების აღმნიშვნელი სხვა საერთო ტერმინი — „ქისტი“. ეს უკანასკნელი უფრო ფართო ეთნიკური შინაარსის გამომხატველი ტერმინია. კერძოდ, „ქისტი“ აღნიშნავდა ან ინგუშების ნაწილს (მდ. ქისტეთის წყლისა და არმხის ხეობების მცხოვრებნი), ანდა ჩეჩენთა ერთ ჯგუფს, რომელნიც მოსახლეობდნენ მდ. ჩანთა — არლუნის ზემო წელზე. ვინაიდან ჩეჩენთვის საინტერესო ქრონოლოგიურ პერიოდში (VIII—XI სს. ე. ი. ჩანთა და კახთა სამეფოს არსებობის ხანაში) ვეინახების აღმნიშვნელი ტერმინი „ღურძლე“ იყო, ამიტომ ჩვენ ამჟერად ეთნონიმ „ქისტზე“ დაწვრილებით არ შეეჩერდებით.

ქართულ წყაროებში ვეინახების ერთი ჯგუფის — ინგუშების აღსანიშნავად იხმარება კიდევ ერთი ტერმინი — ლილივი, რომელიც შეესატყვისობა ინგუშების თავსახელს — ლალღას, ასე უწოდებენ თავიანთ თავს თვით ინგუშები. ამჟამად ლილივების resp. ლალღას განსახლების მთავარ კერას წარმოადგენს მდ. ასისის ხეობის შუა წილი. ქართულ ნარატიულ წყაროებში ტერმინი „ლილივი“, განსხვავებით ღურძლეისაგან, ძალზე იშვიათად გვხვდება. ყველაზე მყარად ამ ტერმინს ფეხი მოკიდებული აქვს ვახუშტი ბაგრატიონთან. იგი მას ხმარობს ფორმა „ლილივ“-ის სახით. ამ ეთნონიმს იგი იხსენიებს XI ს. დასაწყისის ამბებთან დაკავშირებით თავის „ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა“-ში, როდესაც იგი აღ-

²²¹ P. Л. Харадзе, А. И. Робакидзе, К вопросу о нахской этнонимике, «Кавказский этнографический сборник», II, Тб., 1968, გვ. 24—25.

²²² Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 294.

ნიშნავს, რომ ღლიღვთა ქვეყანა შედიოდა „რანთა და კახთა სამეფოს“ შეძადგენლობაში შემავალ კვეტრის საერისთავოს კავშირში;²²³ ვახუშტიზე ადრე ეს ეთნონიმი გვხვდება მხოლოდ ვიტიკის თულ დოკუმენტში; ეს არის კახეთის მეფის თეიმურაზის 1639 წელს შედგენილი ბერძნულენოვანი წერილი, მიმართული რუსთა ხელმწიფის — მიხეილ თევლორეს ძისადმი. აი ეს ნაწყვეტიც: „*ἤλιθα καὶ ἀνισα στρατῶν στὰ Βουγα τὸν τούτου, Ὑάβηδες Γλεγυσδες, καυσουράτῃδες, καὶ κίσηδες*“²²⁴. როგორც ვხედავთ, თეიმურაზის წერილის ამ ნაწყვეტში აღწერილია რუსეთისაკენ მიმავალი გზა თუშეთის, ფშავეხევესურეთის, ღლიღვთის და ქისტეთის ქვეყნებზე გავლით. უეჭველია, რომ აქ მოხსენიებული „*Γλεγυσδες*“ შეესატყვიება ქართული წყაროების „ღლიღვ“-ს.

სამეცნიერო ლიტერატურაში არის ცდები, რომ ინგუშების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინი „ღალღა“ (*ghalghaj*) დაუკავშირონ სტრახოვისეულ გარგარებს. საამისო მთავარ არგუმენტად მკვლევართ მთაქვთ ჩეჩნურში დღემდე შემონახული სიტყვა „გარგარ ნახ“. რაც ნიშნავს „მახლობელ ხალხს, ნათესავს“. ღალღასა და გარგარებს შორის არსებულ გენეტიკურ კავშირზე განსაკუთრებით დაბეჯითებით მსჯელობს ე. კრუპნოვი²²⁵. ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნულ მოსაზრებას არ უნდა ჰქონდეს მტკიცე საფუძველი. როგორც საგანგებო ლიტერატურაში დადგენილია, სტრახოვისეული გარგარები წარმოადგენენ კავკასიის ალბანელთა წინაპრებს. ისინი ძირეული ალბანური ტომები არიან; ღალღას ტომი კი ეეინახური ეთნოსის კუთვნილებას შეადგენს და მათი სამოსახლო ჩრდილო კავკასია არის; გარგარები კი კავკასიის ალბანეთის ტერიტორიაზე ლოკალიზდებიან. გარგართა ენა მიეკუთვნება კავკასიის ალბანეთში შემავალ ტომთა ერთერთ ენას, რომელიც მოიცავს აგრეთვე სამხრეთ დაღისტნის ტომებს.

იმ ფაქტს, რომ ღლიღვთის ქვეყანა ჩვენთვის საინტერესო ხანაში (VIII—XI სს.) „რანთა და კახთა სამეფოს“ ერთერთ ეთნიკურ ერთეულს წარმოადგენდა და მის ისტორიაში ორგანულად მონაწილეობდა, ადასტურებს აგრეთვე მატერიალური კულტურის ძეგლთა

²²³ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 561.

²²⁴ Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, от 1639 г. по 1770 г. СПб., 1861, გვ. 29, 45.

²²⁵ Е. И. Крупинов, Древняя история Северного Кавказа, М., 1960, 83- 72—74.



ნაშთებიც. მხედველობაში გვაქვს მთიან ინგუშეთში მდ. ასას ხეობაში (ე. ი. სწორედ ლალას resp. ლილვის განსახლების მთიან კერაში — თ. პ.), სოფ. ხაირახის მახლობლად მდებარე ქვეყნის სხვა-სხვა რომთომოდვრების ღირსშესანიშნავი ძეგლი ტყობა-ერდი (თობა-ერდი, თხაბა-ერდი). აღნიშნული ძეგლი შეისწავლეს ვ. მილერმა (1886 წ.)²²⁶, ლ. სემიონოვმა (1929 წ.)²²⁷, ე. კრუპნოვმა (1947 წ.)²²⁸. დ. ბაქრაძემ.

ძეგლის მეცნიერული კვლევის ახალ ეტაპს საფუძველი ჩაეყარა 1941 წელს, როდესაც იგი საფუძვლიანად შეისწავლა აკად. გ. ჩუბინა-შვილმა²²⁹. მან მოგვცა თხაბა-ერდის ხუროთმოძღვრული ძეგლის ზუსტი მეცნიერული ანალიზი. აღნიშნული ძეგლი სპეციალურად შეისწავლა აგრეთვე 1969 წელს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნომ. შესწავლის შედეგად გამოიჩინა, რომ ძეგლი წარმოადგენს სამეკლესიან ბაზილიკას.

ტაძარი შეიცავს მშენებლობის აშკარად სხვადასხვა პერიოდების ნიშნებს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ტყობა-ერდის არქიტექტურულ ძეგლს თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე არაერთგზის ნგრევა, აღდგენა და გადაკეთება განუცდია. ძეგლის კვლევამ აშკარა გახადა, რომ ამ ადგილას ჯერ კიდევ IX ს-მდეც ყოფილა ნაგებობა. გამოიყოფა ტაძრის მშენებლობის შემდეგი ძირითადი პერიოდები. I პერიოდი მოიცავს IX საუკუნემდეღ პერიოდს. ამ ხანისაა აქ აღმოჩენილი ადრინდელი ტაძრის საკურთხეველის საძირკველი.

ძეგლის მშენებლობის მეორე პერიოდი IX ს. თარიღდება, რასაც ადასტურებს ძეგლზე შემონახული ქართული წარწერაც (ინახება გროზნოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, წაკითხულია დ. ბაქრაძის მიერ). ამ პერიოდს მიეკუთვნება სწორედ დასავლეთის ფასადის კრონშტეინებზე დაყრდნობით დიდ თაღში მოთავსებული მრავალფიგურიანი სკულპტურული კომპოზიცია. კომპოზიციის ცენტრში წარმოდგენილია ტახტზე მჯდომი ქრისტეს ფიგურა, მის მარჯვნივ და მ-

²²⁶ В. Миллер, Археологическая экскурсия. Терская область. Материалы по археологии Кавказа, вып. I, Москва, 1888, 33. 18—20.

²²⁷ Л. П. Семенов, Археологические и этнографические разыскания в Ингушетии в 1925—1932 годах, Грозный, 1963, 33. 97—105.

²²⁸ Е. И. Крупнов, Грузинский храм «Тхаба-Ерды» на Северном Кавказе. Краткие сообщения Института истории материальной культуры им. Н. Я. Марра, 1947, вып. XV, 33. 116—125.

²²⁹ Г. Чубинашвили, К вопросу о культурных связях Грузии и Ингушетии, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. X სესიის თეზისები, თბ., 1941.



რცხნივ წმინდანების ფიგურებია. თაღს გარეთ, ზედა ნაწილში მარჯვ-
ხენა და მარჯვენა მხარეს გამოსახული ყოფილა ორი ანგელოზის ფიგურა.
შუა ადგილას ყოფილა ადამიანის, ალბათ ქტიტორის, სურათი. მის
ფური გამოსახულება. სიუჟეტის მიხედვით (ქტიტორს ქრისტესთან
ტაძრის მოდელი მიაქვს) ეს კომპოზიცია IX ს. უნდა მივაკუთვნოთ²³⁰.

ტაძრის მშენებლობის მესამე პერიოდი მოიცავს X—XII სს.
ამ პერიოდში ტყობა-ერდის ტაძარზე დიდი სარესტავრაციო სამუშაო-
ებები უწარმოებიათ. ძეგლზე საკმაო რაოდენობით შემორჩენილია
ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ხუროთმოძღვრული ელემენტე-
ბი²³¹.

ამრიგად, როგორც ძეგლის ხუროთმოძღვრული ანალიზიდან ჩანს,
ტყობა-ერდის მშენებლობის ძირითადი პერიოდები ემთხვევა „რან-
თა და კახთა სამეფოს“ დამოუკიდებელი არსებობის ხანას (VIII —
XI სს.), როდესაც ღლიღვეთის (ღალღას) ქვეყანა მის ორგანულ შე-
მადგენელ ნაწილს შეადგენდა.

აქვე უნდა შევჩერდეთ ტყობა-ერდის ტაძართან დაკავშირებულ
მეტად მნიშვნელოვან ძველი ქართული ეპიგრაფიკის ძეგლებზე. ტაძ-
რის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების დროს ეკლესიის შიგნით
თბრისას აღმოჩნდა კრამიტის ნატეხები, რომლებიც შეიცავენ ასომ-
თავრულ რელიეფურ წარწერებს. ერთ-ერთი მათგანი ასეთი შინაარ-
სისაა: „ქრისტე შეუნდვენ არსენიმ“. ხოლო მეორე კრამიტზე მოთა-
ვებული სამპწკარიანი ასომთავრული წარწერა კი ასე იკითხება: „ქრი-
სტე შეუნდვენ არსენს მ“. აღნიშნული წარწერები პალეოგრაფიულად
შეიძლება დათარიღდეს X ს. მეორე ნახევრით — XI ს. პირველი ნა-
ხევრით, უფრო კი X ს. მეორე ნახევრით²³². როგორც ვხედავთ, ასე-
თი დათარიღება მხარს უჭერს გ. ჩუბინაშვილის მიერ ტყობა-ერდის
მშენებლობის ისტორიის ერთერთ ხანად X—XII სს. გამოყოფას, რო-
დესაც ტაძარზე გარკვეული სარესტავრაციო სამუშაოები უწარმო-

²³⁰ ლ. ხიმშიაშვილი, მ. ანთაძე, ტყობა-ერდის სარესტავრაციო
სამუშაოების შედეგები, ძეგლის მეგობარი, 1971, კრებული, 26, თბ., გვ.
72—74.

²³¹ ლ. ხიმშიაშვილი, მ. ანთაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 74; ტყობა-ერ-
დის შესახებ იხ. აგრეთვე: გ. ლამბაშიძე, ინგუშეთის ქრისტიანულ ეკლესი-
ებში („თხაბა-ერდი“ და „ელბი-ერდი“) ჩატარებული არქეოლოგიური კვლე-
ვა-ძიებების ანგარიში, — კრებული: არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველო-
ში 1969 წელს, თბ., 1971, გვ. 104—109.

²³² გ. ლამბაშიძე, ინგუშეთის ქრისტიანულ ეკლესიებში („თხაბა-ერ-
დი“ და „ელბი-ერდი“) ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებების ანგარიში,
გვ. 105.

ეზიათ. კერძოდ, როგორც ფიქრობენ, X ს. II ნახევარში ან X/XI სს. მიწაზე ტყობა-ერდის ეკლესია გადაუხურავთ წარწერებით და ჯვრებით შემკული ბრტყელი კრამიტით²³³. ტაძრის დასაწყისში კედლის ერთ-ერთ წარწერაში იხსენიება „ეპისკოპოსი გიორგი“²³⁴.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეკლესიის დასავლეთ ფასადზე კედელში ჩატანებული ბარელეფის თავზე მოთავსებული წარწერა. თავის დროზე დ. ბაქრაძე ამ წარწერის შინაარსს ასე გადმოსცემდა: „ქრისტე აღადგე აღმშენებელი ტაძრისა პატრონი დავით (ერისთავი? ასისა?)... ქორთონიჯონი 50 (ე. ი. 830 წ.?)“²³⁵, ხოლო ვ. მილერისადმი გაგზავნილ წერილში კი ამ წარწერის ასეთ ანალიზს ვეთავაზობს: «В одном не сомневаюсь, что церковь построена каким-то Давидом, патроном-владельцем, вернее царем, ибо «патрон», в особенности же слово «прослав» относится во всех почти встречающихся грузинских надписях к царствующим лицам, и что на конец округом в котором построена церковь, заведывал епископ Георгии. Не знаю, верно ли воспроизвожу год основания церкви 830, хотя характер письма и в списке, сделаном археологической экспедицией, и в моем указывает на глубокую древность»²³⁶.

დ. ბაქრაძის შეხედულება ტყობა-ერდის შემოღობულ წარწერაზე გაიზიარა საბჭოთა არქეოლოგმა ვ. ვინოგრადოვმა. მისი დაბეჯითებითი ვარაუდით, «не исключено что сидящий на троне человек, над головой которого поместили модель храма — это и есть «патрон Давид», чье повеление определило строительство церкви. А по бокам от него знатное духовное лицо (епископ Георгии?) и сопровождающий военачальник, «богожелательные» усилия которого прилагались к насаждению христианства в среде инакомыслящих не только убеждением, но и оружием»²³⁷.

ის ქვა ტყობა-ერდიდან, რომელზედაც შემოაღობულ წარწერაა მოთავსებული, XX ს. დასაწყისში გადაუტანიათ და ამჟამად ქ.

²³³ ვ. ლამბაშიძე, ფასად. ნაშრ., გვ. 105—106.

²³⁴ В. Миллер. Археологические экскурсии. Терская область, 33-20, წარწერა № 1.

²³⁵ იქვე, 33-20, წარწერა № 2.

²³⁶ იქვე, 33-19.

²³⁷ В. В. Виноградов, Тайны минувших времен, Москва, 1966, 33-130.

გროზნოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არის დაცული. და აი, გ. მორჩვა ბაქრადისეული წაკითხვა არაა ზუსტი, როგორც ეს თავის დროზე გ. ჩუბინაშვილმა აღნიშნა. უკანასკნელ ხანებში ანტიკონსტანტინოპოლის მიერ გადმოღებულმა ასლმა წარწერისა ასეთი ტექსტი მოგვცა: „ქრისტე აღიღე აღმოსავლეთის პატრიარქი მქიზეც (მელქისედეკ) ამინ“²³⁸.

როგორც ვხედავთ, წარწერებში მოხსენიებული არიან სასულიერო პირები. კერძოდ, როგორც ფიქრობენ, კრამიტზე მოთავსებული წარწერის „არსენი მ“ მიჩნეულ უნდა იქნეს X ს. მეორე ნახევრის ცნობილ მოღვაწედ, ქართლის კათალიკოსად არსენ მეორედ (955—980 წწ.), ხოლო ასო „მ“ უნდა ამოიხსნას, როგორც „მამამთავარი“ ან მთავარეპისკოპოსი. ეპისკოპოსი გიორგი, თუ გავითვალისწინებთ წარწერის პალეოგრაფიას, X ს. მოღვაწედ უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება წარწერაში მოხსენებულ მელქისედეკს, იგი უნდა იყოს კათალიკოსი მელქისედეკ I (XI ს. I ნახევარი)²³⁹.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ. იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ვივარაუდოთ: X ს. მეორე ნახევარში კათალიკოსი არსენ II და ეპისკოპოსი გიორგი, კახეთის მმართველ ქორეპისკოპოსებთან კვირიკე II (929—976) ან დავითთან (976—1010) ერთად იყვნენ ინიციატორები იმ სააღმშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოებისა, რომელიც ჩაუტარებიათ ტყობა-ერდის ტაძარზე.

ტყობა-ერდის ტაძრის, როგორც ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება აქ აღმოჩენილ უძველესი ქართული ფსალმუნის ხელნაწერს, რომელიც X ს-ით თარიღდება²⁴⁰. ის ფაქტი, რომ ფსალმუნის ხელნაწერი X საუკუნისაა,

²³⁸ გ. ლაშბაშიძე, ინგუშეთის ქრისტიანულ ეკლესიებში („ტყობა-ერდი“ და „ელბი-ერდი“) ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში, გვ. 108.

²³⁹ Г. Гамбашидзе, К вопросу о культурно-исторических связях средневековой Грузии с народами Северного Кавказа, Тб., 1977, გვ. 9.

²⁴⁰ მ. შანიძე, ფსალმუნის ერთი ხელნაწერი ტყობა-ერდიდან, ხელნაწერთა ინსტიტუტის VII სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და თეზისები, თბ., 1971, გვ. 5; მისივე, ფსალმუნის ორი უძველესი ქართული ხელნაწერის შესახებ, მრავალთავი, VI, თბ., 1978, გვ. 67—71; გ. ლაშბაშიძე, X საუკუნის ქართული ფსალმუნი ინგუშეთში, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტთა და ახლგაზარდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, გეგმა და თეზისები, თბ., 1972, გვ. 21; Г. Г. Гамбашидзе, Древнегрузинские церковные книги из Ингушетии, Пятые крупновские чтения по археологии Кавказа, Махачкала, 1975, გვ. 115.

მხარს უჭერს გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას ამ ეკლესიის აღრეკმენების შესახებ. ტყობა-ერდის ტაძარი რომ მოქმედი არ ყოფილა, IX—X სს. ნაკლებ სავარაუდო იქნებოდა ქართულ ეკლესიურ კერებიდან ასე დაშორებულ პუნქტში ფსალმუნის ძველი რედაქციის ტექსტის მოხვედრა, რადგან XII ს-ში, როგორც ჩანს, ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში ჩვეულებრივ უკვე გიორგი მთაწმინდისეული ტექსტი იხმარებოდა ხოლმე²⁴¹.

ქართველებსა და ჩეჩენ-ინგუშებს (ვეინახებს) შორის არსებული კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შესახებ სხვა მრავალი საბუთიც არსებობს. ერთერთი ამათგანია ქართული ლექსიკური მასალის ჭარბი პლასტები ჩეჩნურ-ინგუშურში. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ქართულიდან არის შესული ვეინახთა ენაში შაბათის სისტემის ზოგიერთი დღის სახელწოდებაც. თუ გავითვალისწინებთ ი. ჭავჭავაძის დებულებას, რომლის თანახმად „შაბათის სისტემის შვიდეულის დღის სახელები ქართულში უკვე IV—V ს. ქ. შ. გაბატონებული ყოფილა“²⁴², მაშინ ქართველებისა და ვეინახების ურთიერთობის ფესვები საკმაოდ შორეულ წარსულში საძიებელი. საილუსტრაციოდ მოვიტანოთ რამდენიმე ნიმუში:

ქართული კვირა — ჩეჩნური ქირა (დ). კვირა დღეს კი ქირე დი ეწოდება. ქართ. კვირა — ინგუშური კირა (დ). კვირა დღე — კირი დე. სრულიად უეჭვოა ქართ. კვირას და ჩეჩნ.-ინგ. ქირა — კირ-ას იგივეობა.

ქართული ორშაბათი — ჩეჩნ.-ინგ. ორშოთ — ორშოთ (დ). აქაც ცხადია ქართ. ორშაბათი იგივეა, რაც ჩეჩნ.-ინგ. ორშოთ-ი.

ქართულიდანვეა შესული ჩეჩნურში პერისქა, რაც პარასკევს აღნიშნავს. ქართულ-ვეინახურ ენათა ლექსიკური შეხვედრების ზემოთ დასახელებული ნიმუშები, როგორც ფიქრობენ, VI ს-ზე აღრეული უნდა იყოს²⁴³.

ქართველებისაგან აქვთ შეთვისებული ვეინახებს სიტყვა „ჯვარი“ ჯერ — ჯარ-ის და შემდგომ სხვა კილოური ვარიანტების სახით. ჯერის თაყვანისმცემლობა, როგორც ქრისტიანული კულტის გამოხატულება, აღიბეჭდა ჩეჩენ-ინგუშთა ნივთიერი კულტურის ძეგლებში.

241 მ. შანიძე, ფსალმუნის ორი უძველესი ქართული ხელნაწერის შესახებ, გვ. 71.

242 ი. ჭავჭავაძის დედა, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 119.

243 თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან, ვნიშ-ის მოამბე, V—VI, თბ., 1940, გვ. 620—621, 623.



ამ ბოლო დროს გაიჩნდა, რომ ინგუშური „ელვიც“-ი („სასახლე, ბა-
ლატი, სამლოცველო, სახლი, სადგომი“) და მისი ფონეტიკური მნიშვნელობა
რინანტები იგივე ქართული (ბერძნული) „ეკლესია“-ა²⁴⁴.
ურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ქართული „ღმრთის მშობელი“ ჩე-
ჩენ-ინგუშეთში დადასტურებული გვაქვს თუშოლ-ის (ვარ. თიშოლ
//თიშოლ//თიშლ-ი) სახელწოდებით, რომელიც ვეინახების ერთ-ერთ
მთავარ ღვთაებას წარმოადგენს²⁴⁵.

ქართული კულტურის მძლავრი ნაკადის შექრა ინგუშეთში —
ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა, ქართული ეპიგრაფიკული ძე-
გლებისა და ხელნაწერების არსებობა, ქართული ლექსიკის ჰარბი ფე-
ნების დადასტურება ინგუშურში და სხვ., გვაძლევს საფუძველს ვი-
ვარაუდოთ, რომ გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში (VIII—XI სს.) ინ-
გუშეთის ქვეყანაში (ღლიღვეთი — ლალღა) გაბატონებული იყო ქარ-
თული ენა და დამწერლობა და რომ ღვთისმსახურებაც ქართულ ენა-
ზე წარმოებდა. ხოლო ყოველივე ეს კი იმის ნათელი დადასტურებაა,
რომ „რანთა და კახთა სამეფო“ იყო ის ძირითადი ბაზა, საიდანაც
ხორციელდებოდა ქართული კულტურის ექსპანსია ლალღას resp.
ღლიღვეთის ქვეყანაში (ინგუშეთში).

როდესაც ჩვენ „რანთა და კახთა სამეფოს“ ეთნიკური ისტორიის
საკითხებზე ვმსჯელობთ, აქვე არ შეიძლება ყურადღება არ გავამახ-
ვილოთ ანთროპოლოგიურ მონაცემებზედაც. ამ მხრივ ძალზე დიდ
ინტერესს იწვევს ისტორიული კახეთის (ერწო-თიანეთის) ტერიტო-
რიიდან მომდინარე ანთროპოლოგიური მასალა. კერძოდ, ამ თვალსა-
ზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია სიონის სამარხებიდან ამოღე-
ბული თავის ქალები და მათი კრანოლოგიური შესწავლის შედეგად
მიღებული დასკვნები. სიონის კრანოლოგიურ მასალებში გამოყო-
ფილია თავის ქალათა სამი სერია: 1. ადრეფეოდალური ხანის (IX—
X სს.), შუაფეოდალური ხანის (XI—XIV სს.), 3. გვიანფეოდალური
ხანის (XVI—XVIII სს.). ე. ჯავახიშვილი მასალის უფრო სრულყო-
ფილი ანალიზისათვის იყენებს ე. წ. „საშუალო პროცენტულ განსხვა-
ვებათა მეთოდს“ და კავკასიონის მთიანეთიდან მომდინარე სხვადა-
სხვა ასაკისა და ეთნიკური წარმომშობის მასალების 20 შესადარებელი

²⁴⁴ თ. გონიაშვილი, ქართველთა და ნახთა კულტურული კონტაქტი-
დან, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, III, თბ., 1971, გვ. 214—217.

²⁴⁵ ალ. ჭინჭარაული, ქართველებისა და ვაინახების კულტურულ-
ისტორიული ურთიერთობის ზოგი საკითხი (თუშოლი), იბ. კრებული — არნოდ
ჩიჭობავას, თბ., 1979, გვ. 240—248.



სერიის მოშველიებით, ახერხებს სიონის ყოველ ცალკეულ სერიას გამოუძებნოს მასთან ყველაზე უფრო ახლო მდგომარეობის სერიები²⁴⁶. ე. ჭავჭავაძის დასკვნით, სიონის პირველი სერიის (IX-1-X სს.) ყველაზე უფრო მახლობელია შატილის (პროცენტული სხვაობა — 11,2), დუშეთის (13,5), სიონის მეორე (14,2), სიონის მესამე (15,8) და ინგუშეთის (17,1) სერიები²⁴⁷.

სიონის IX—X ს. დათარიღებული თავის ქალების განსაკუთრებული სიახლოვე ხევისურეთისა და მისი მიმდგომი მთიანი მხარეების (ინგუშეთის) სერიებთან უაღრესად საყურადღებოა²⁴⁸. ჩვენი აზრით, შემომოტანილი ანთროპოლოგიური მასალა მთლიანად მხარს უჭერს და ავსებს კიდევაც იმ რთულ ეთნიკური ხასიათის პროცესებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა „რანთა და კახთა სამეფოს“ ტერიტორიაზე. კერძოდ, ანთროპოლოგიური მონაცემები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ჩვენთვის საინტერესო რეგიონში იმთავითვე ადგილი ჰქონდა კახების, კუხების, გარდაბანელთა, თუშების, წანარების, ფხოველების (ფშავ-ხევისურების), დურძუკთა, ღლიღების (ინგუშების) და სხვა ტომების თანდათანობითი შერწყმის პროცესს, რის შედეგადაც ასევე თანდათანობით იკვეთებოდა კახეთის ძველი მოსახლეობის ეთნიკური სახე.

„რანთა და კახთა სამეფოს“ ისტორიის შესწავლა ამ მხარის ტერიტორიის დაუდგენლად შეუძლებელია. ამიტომ სავსებით მიზანშეწონილი იქნება, თუ განვიხილავთ მის ისტორიულ საზღვრებს.

„რანთა და კახთა სამეფოს“ ისტორიული საზღვრების გასარკვევად ჩვენს განკარგულებაში საკმაო მასალა არსებობს. მაგრამ ძირითადად აღნიშნულ საკითხს მაინც ლეონტი შროველისა და ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებებიდან ვეცნობით. მართალია, ისინი უმთავრესად კახეთის ქვეყნის ბუნებრივ, თემობრივ-ეთნიკურ საზღვრებს იძლევიან, მაგრამ მოცემული აქვთ სხვადასხვა ეპოქის პოლიტიკური ვითარებაც; ასევეა მათი თანამედროვე პერიოდის გადმოცემის დროსაც, რასაც ორივე ისტორიკოსი ხაზგასმით და საგანგებოდ აღნიშნავს. ამ მიმართებით დიდად გვეხმარება აგრეთვე სხვა ქართულ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროთა ცნობებში ასახული პოლიტიკური მდგო-

²⁴⁶ М. Г. Абдушелишвили, К краииологии древнего и современного населения Кавказа, Тб., 1966; Э. Джавахишвили, Словская краииологическая серия, იქვე, გვ. 94.

²⁴⁷ Э. Джавахишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

²⁴⁸ რ. რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, სიონი, თბ., 1970, გვ. 139—140.



მარეობა, რომელიც ავსებს და აზუსტებს ლეონტისა და ვახუშტის ჩვენებებს.

ლეონტი მროველის გადმოცემით, როდესაც ქართლის მეფე მამია მეფემ ფარნავაზმა ქართლის სამეფო რვა საერისთავოდ (სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქად) დაჰყო, აღმოსავლეთში კახეთის საერისთავო დააწესა: „და გაგზავნა მეორე კახეთისა ერისთავად, და მისცა არაგვთგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი“²⁴⁹. როგორც ვხედავთ, ლეონტი მროველს აქ მოცემული აქვს კახეთის საერისთავოს ტერიტორიული ფარგლები, რომელიც დასავლეთით არაგვიდან იწყებოდა, ხოლო აღმოსავლეთით ჰერეთის საზღვრებამდე აღწევდა. ფარნავაზის დროინდელი კახეთის საერისთავო იყო ის ძირითადი ბაზისი, რომელზედაც ჯერ კახეთის სამთავრო, შემდეგ კი „რანთა და კახთა“ სამეფო წარმოიქმნა. ასე რომ, ფარნავაზის კახეთის საერისთავოში უნდა ვიგულისხმოთ თავდაპირველი კახეთი თავისი ვიწრო მნიშვნელობით, საკუთრივ კახეთი. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ლეონტი მროველი ფარნავაზისეული საერისთავო ქვეყნების ტერიტორიების განსაზღვრისას უმთავრესად ეთნიკურ-ტომობრივი წარმონაქმნობის პრინციპით ხელმძღვანელობდა. კახეთის საერისთავო შედგებოდა კახოსისა და კუხოსის (მშების, ქართლოსის შვილების) სამამასახლისო ქვეყნებისაგან, ე. ი. მასში პოლიტიკურად გაერთიანებული იყო ორი მონათესავე ტომი: კახები და კუხები²⁵⁰.

იმისათვის, რომ უფრო ზუსტი და კონკრეტული იყოს ჩვენი შეხედულება „რანთა და კახთა“ სამეფოს ისტორიულ საზღვრებზე, უმჯობესია მოვიტანოთ ყველა ის ცნობა, რომელიც მოიპოვება ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებებში კახეთის ადგილმდებარეობის შესახებ.

ლეონტი მროველი კახოსისა და კუხოსის სამფლობელოებს შემდეგნაირად აგვიწერს: „კუხოსს მისცა ბოსტან ქალქი, რომელსა აწჰქვან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე (...შესარ) თავადმდე, მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა. ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვთგან ვიდრე ტყებამდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა“²⁵¹. კახეთის აღმოსავლეთი საზღვ-

249 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24.

250 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 152—153.

251 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 9.



რის დასადგენად მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ცნობა, რომელიც ლეონტის ჰეროსის, ე. ი. ჰერეთის ეპონიმის სამფლობელოებში აქვს მოცემული: „ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა მტკურისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეებამდე, რომელსა აწ ჰქვან გულგულა“²⁵².

ვახუშტი ბაგრატიონი იძლევა ზოგიერთ დამატებით ჩვენებას კახეთის ადგილმდებარეობის შესახებ. კახეთის საზღვრები, ლეონტი მროველთან შედარებით, უფრო ზუსტად და ნათლად აქვს ნაჩვენები ვახუშტის იქ, სადაც მას კახოსისა და კუხოსის წილხედომილ ქვეყნებზე აქვს საუბარი. იგი მოგვითხრობს: „ხოლო კახეთი და კუხეთი არიან წილნი ქართლოსისა, რამეთუ, შემდგომად ქართლოსის სიკუდილისა, განუყო დედამან მათმან ძეთა თჳსთა ქართლოსის წილი ქუეყანა და მისცა კახოსს საზღვარი: აღმოსავლით მთა კავკასი; სამკრით: საზღვარი ჰერეთისა, თურდო-შტორის გევი, ვიდრე კავკასამდე; დასავლით მთა კახეთისა, რომელსა განჰკუეთს, ერწო-თიანეთს, იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგვ, და ჩდილოთ მთა კავკასი. და ამათ შორისი ქუეყანა არს კახეთი, წილი კახოსისა, და მისი სახელის გამო ეწოდა სახელი ესე, არამედ აწ უწოდებენ ფშავ-ხევსურსა (რომელთა პირველ ეწოდათ ფხოვლნი), თიანეთს, ერწოს, ირტოს ვეეს, პანკისის გეობას, საყდრიონს და ალონს.

ხოლო კუხოსს მისცა საზღვარი: აღმოსავლით მთა კახეთისა; სამხრით საზღვარი ჰერეთისა, რომელ არს ხუნანის გამოსწორივ გულგულამდე; დასავლეთი მტკუარი და არაგვ; ჩდილოთ იგივე მთა კახეთისა. და ამათ-შორის ქუეყანას ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო, არამედ აწ უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თეძმის ვეეს... კუალად გრდანი, მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამგორი, ჩადივარი, ომანის გევი, ყარაღაჯი და ნაგები და ყარაია. ხოლო ხოსროვანთ გარდაეღინებისა შემდგომად, განდგა რა გრიგოლი მთავარი, ამან მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად. და ამათ მთავრობასა შინა ჯუარს ქუეითს, სამკრის კერძს, ეწოდა გარდაბანად“²⁵³.

ვახუშტის გეოგრაფიაში კახეთის საზღვრების შესახებ კიდევ მოიპოვება რამდენიმე საყურადღებო ისტორიულ-გეოგრაფიული რეალია. გარეთ-კახეთის აღწერისას ვახუშტი გვაუწყებს: „წინოწმიდას ზეით ერთვის იორს სამების ვევი... ესევე გევი არს საზღვარი ჰე-

²⁵² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 5.

²⁵³ ვახუშტი, აღწერა, გვ. 523—524.

რეთისა და კახეთისა²⁵⁴. შიგნი-კახეთის აღწერილობაში ვახუშტი კახეთსა და ჰერეთს შორის არსებული საზღვრის შესახებ გვთხრობს შემდეგ ცნობას: „ლოპოტის წყლის შესართავს ზეით ალაზანს მოერთვის თურდოს გევი, გამომდინარე შუამთიდან. ამ ქვეყნად არს გულგულა, რომელსა ეწოდა პირველ ტყეტბა. ეს გევი არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა“²⁵⁵. „კულად თურდოს გევის შესართავს ზეით ალაზანს მოერთვის შტორის გევი, გამოსდის თუშეთსა და ამას შორის კავკასისა და მოდის აღმოსავლიდამ დასავლით... ამ შტორის-გევისა და თურდოს-გევის ჩდილოთი ქუეყანა არს კახეთი, ამათ სამკრთითი — ჰერეთი“²⁵⁶. ამრიგად, ვახუშტის მიხედვით, გულგულა ანუ ტყეტბა მდებარეობს სწორედ იმ ადგილის მახლობლად, სადაც ალაზანს თურდოს გევი შეერთვის სამხრეთიდან, ხოლო ჩრდილოეთიდან მდინარე შტორი.

ბოსტან-ქალაქისა და გარეჯის მთის აღწერისას ვახუშტი აღნიშნავს: „არამედ ესე ადგილნი ნაგებს ზეით (ე. ი. რუსთავს ზეით — თ. პ.) არს ძუელად კუხეთისა, რომელი მისცა დედამან კუხოსს. ხოლო ნაგებს ქუეითი ჰერეთისა არს, და აწ უწოდებენ ყარაიას, და გარეჯის მთას მასვე ძუელს სახელს“²⁵⁷. ვახუშტის ამ უკანასკნელი ცნობის მიხედვით, ყარაია და გარეჯის მთა ჰერეთში შედის. ვახუშტის ყარაიის შესახებ დაცული აქვს მეორე ცნობაც, რომელიც თითქოს განსხვავდება პირველისაგან. აღნიშნული ცნობა ჩვენ ერთხელ უკვე მოვიტანეთ ზემოთ და დავრწმუნდით, რომ ვახუშტი ნაგებსა და ყარაიას კუხეთში შემაგალ ქვეყნებად თვლის²⁵⁸. ერთი შეხედვით ეს ორი განსხვავებული ცნობა, როგორც ლ. კილაშვილი აღნიშნავს, ერთანხმებიან ერთმანეთს. „როდესაც ვახუშტი ამბობს „ნაგებს ქვეით ჰერეთისა არს“, არ იგულისხმება, რომ საზღვარი კუხეთისა უშუალოდ ნაგებს (რუსთავს) ეკვრის. უფრო ადრე ვახუშტი ნაგების საზღვრებს ჩამოთვლიდა და აღნიშნავდა, რომ „საზღვარი ამისი (რუსთავისა — ლ. კ.) არს: დასავლით მტკვარი, ჩდილოთ გევი ლოჭინისა, აღმოსავლით მთა გარეჯისა, ვიდრე მწარე-წყლამდე, სამხრით მწარე-წყალი (ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 331). ამ ცნობაზე დაყრდნობით იგულისხმება, რომ ვახუშტი სადაც ამბობს, ნაგებს ქვეით ჰერეთისაო, ნაგების ქვედა (სამხრეთის) საზღვრად ვარაუდობს მწარე-

254 ვახუშტი, აღწერა, გვ. 530.

255 იქვე, გვ. 547.

256 იქვე, გვ. 458.

257 იქვე, გვ. 332.

258 იქვე, გვ. 524.

წყალს. მის ქვევით კი ჰერეთია. ჰერეთისავეა ყარაიის ის ნაწილიც, რომელიც მწარე-წყლის სამხრეთით მდებარეობს²⁵⁹. მწარე-წყალი დღევანდელ ტოპონიმიკაში აღარ გვხვდება, ამიტომ მისი მდებარეობა კალიზაციის დადგენა ძნელია. მწარე-წყალთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ შეიძლება ეს მდინარე იყოს გვიანდელი ხანის ქართულ საისტორიო წყაროებში (ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრების მეორე ტექსტის ავტორი) მოხსენებული მტკვარის ერთ-ერთი შენაკადი აჯი-სუ. თურქულად აჯი-სუ ნიშნავს მწარე-წყალს. ბერი ეგნატაშვილის თხზულებიდან არ ჩანს, აჯი-სუ რომელი მხრიდან უერთდება მტკვარს. ახალი ქართლის ცხოვრების ტექსტის მიხედვით აჯი-სუ მტკვარს თითქოს ჩრდილოეთიდან ერთვის. 1905 წ. დაბეჭდილ ხუთვერსიან რუკაზე მტკვარს სამხრეთიდან ერთვის პატარა მდინარე, რომელსაც აწერია აჯი-სუ. იგი აღსტაფის წყლის შესართავიდან 15 კმ-ზე აღმოსავლეთით ერთვის მტკვარს. ვახუშტის რუკაზე აჯი-სუ ანუ მწარე-წყალი მტკვარს ერთვის ჩრდილოეთიდან აღსტაფის წყლის აღმოსავლეთით²⁶⁰. დაახლოებით ასევე ჩანს ეს ვახუშტის გეოგრაფიის ტექსტიდანაც.

მწარე-წყალი რომ გარკვეულ მონაკვეთზე კახეთის სასაზღვრო ხაზს წარმოადგენდა, ეს მკაფიოდ ჩანს ვახუშტის გეოგრაფიის იმ ადგილიდან, სადაც მას მოცემული აქვს თავისი საბოლოო და შემაჯამებელი დასკვნა მისი თანამედროვე კახეთის საზღვრებისა. იგი წერს: „და არს სრულიად აწინდელის კახეთის საზღვარი: სამკრით დიდის ალაზნისა და პატარას ალაზნის შესართავი და მუნიდამ ზაზი კავკასამდენ გავლილი. და კუალად ზაზი მტკურამდე მისული; აღმოსავლით მთა კავკასი, ლეკეთსა და კახეთს შორისი; დასავლით საზღვარი ქართლისა, რომელი აღესწერეთ, და მწარე-წყალს ქუეთით, მტკუარი, და ჩდილოთ მთა კავკასივე“²⁶¹.

დასასრულ, უფრო სრულყოფილი წარმოდგენა რომ გვქონდეს კახეთის საზღვრებზე, ამ მიზნით აქვე გვინდა მოვიტანოთ იმავე ვახუშტის ერთი სხვა ცნობა, რომელიც შემონახულია მის შრომაში „ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა“. ცნობა ეხება კახთა მეფის კვირიკე III დიდის მიერ კახეთის სამეფოში ჩატარებულ

259 ლ. კილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958, გვ. 12—13.

260 ჯ. გვასალია, თ. თოდროია, გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. IV, თბ., 1971, გვ. 36—37.

261 ვახუშტი, აღწერა, გვ. 524.

რეფორმებს, კერძოდ, ქვეყნის საერისთავოებად დაყოფას. ამასთან დაკავშირებით ვახუშტი გვაძლევს კახეთის თითოეული საერისთავოს კონკრეტულ გეოგრაფიულ საზღვრებს და ჩამოთვლის მათ ვახუშტის ცნობაში შემავალ ცალკეულ კანტონებს. ვინაიდან ამ თვალსაზრისით ცნობა ფრიად საინტერესოა, ამიტომ ჩვენ მას მთლიანად მოვიტანთ: კვირიკე მეფემ დასხა სამი ერისთავი კახეთს, „ერთი რუსთავს, და მისცა სრულად კუხეთი, რომელ არს ნგებში, ყარაია, ჩადივარ, სამგორი, უჯარმა, ლილო, მარტყოფი, გრდანი, კერკი და თიანეთი, არავს კერძო ქინვანამდე. მეორე დასუა კუეტერისა და მისცა უჯარმას ზემოთი ორთა მთათა შორისი, რომელ არიან კახეთისა და კუხეთისა, ვიდრე კავკასამდე და გარდალმად. ესე არს ერწო-თიანეთი, ფხოველნი, ძურძუკი და ლილუ. მესამე პანკისისა ანუ მარილისისა და მისცა ჰერეთის საზღვარს ზეითი კავკასამდე და კახეთის მთამდე თუშეთითურით“²⁶² ვახუშტის ზემომოტანილ ცნობაში კახეთის საერისთავოებად დაყოფის შესახებ კარგად ჩანს იმდროინდელი კახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრები.

ასეთია ძირითადად ის ცნობები, რომლებიც შემოგვინახეს ლეონტი მროველმა და ვახუშტი ბაგრატიონმა კახეთის ისტორიული საზღვრების შესახებ ზოგადად. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ საუკუნეთა სიგრძეზე ეს საზღვრები ყოველთვის ერთნაირი არ იყო. იგი იცვლებოდა დროის გარკვეულ მონაკვეთში, ცალკეულ ათწლეულებში, გარკვეულ პოლიტიკურ ვითარებაში. ამის გამო ეს საზღვრები სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირად უნდა იყოს გაგებული. ამ გარემოებას პირველად ყურადღება მიაქცია ი. ჯავახიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში სამსავე ტერმინს — „კახეთი“, „კუხეთი“ და „ჰერეთი“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა და რომ საქართველოს ამ სამი კუთხის საზღვრები ერთმანეთში ირევა და ძნელია გაგება იმისა, თუ რომელი პუნქტი სადაა, კახეთში, კუხეთში თუ ჰერეთში²⁶³. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ი. ჯავახიშვილის ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელო დებულებას იმის შესახებ, რომ კახეთის საზღვრები საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა პოლიტიკური ვითარების შესაბამისად ცვლილებებს განიცდიდა, მაშინ „რანთა და კახთა“ სამეფოს პოლიტიკური საზღვრები ჩვენთვის საინტერესო ხანაში (VIII—XI სს.) შემდეგი სახით წარმოგვიდგება.

²⁶² ვახუშტი, აღწერა, გვ. 561.

²⁶³ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 37.



დასავლეთი საზღვარი. ლეონტი მროველისა და ვახუშტი მაგრატიონის შემომოტანილ ცნობებში არაერთგზის არის აღნიშნული, რომ კახეთის დასავლეთი საზღვარი არაგვზე გადის. ქართველ-ისტორიკ-გრაფიამიცი ასევე უკვე დიდი ხანია რაც ცნობილია, რომ ჩვეულებრივ „კახეთ-კუხეთის დასავლეთის საზღვრად არაგვი ითვლებოდა“²⁶⁴. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ხანაში, როგორც ეს სათანადო წყაროთა ჩვენებებიდან ჩანს, კახეთის სამთავროს დასავლეთი საზღვარი გაცილებით უფრო დასავლეთით გადიოდა. კერძოდ, უკვე IX საუკუნიდანვე კახეთის სამთავრომ ქსანი დაიღო საზღვრად.

VIII—IX სს. მიჯნაზე კლარჯეთში, როგორც ცნობილია, აშოტ I კუროპალატი გაძლიერდა. კახეთში კი ამავე პერიოდში გრიგოლი მთავრობდა. მატთანე ქართლისას ავტორი მოგვითხრობს: „მას ეამსა გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან... მოვიდა გრიგოლ კახეთით... და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ, გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა, და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან. და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსანამდე“²⁶⁵. საესებით ცხადია, მატთანე ქართლისას ავტორი IX ს. დამდევისათვის ქართლსა და კახეთს შორის საზღვარს ქსანზე გულისხმობს.

ანალოგიური პოლიტიკური ვითარებაა X საუკუნის მეორე ნახევარშიც. ლეონ III (957—967) აფხაზთა მეფემ „კულად იწყო მტერობად კვირიკესა და ძებნად კახეთისა; გაილაშქრა სპითა დიდითა, ჩადგა არაგვს პირსა, ასწყუდა მუხრანი, ხერკი და ბაზალეთი“²⁶⁶. მუხრანი, ხერკი და ბაზალეთი არაგვისპირის ქვეყნებია და ისინი პოლიტიკურად კახთა ქორეპისკოპოსის სამფლობელოში შედიან უკვე IX ს-დანვე, როცა კახეთის სამთავრომ ქსანი დაიღო საზღვრად. როგორც შემატთანის ამ ცნობიდან ჩანს, ხერკი, მუხრანი და ბაზალეთი „კახეთადაა“ დასახელებული. „ეს არაგვისპირა ქვეყნები იყო ის „კახეთი“, რომელსაც ლეონ აფხაზთა მეფე ეძებდა“²⁶⁷.

ამავე პერიოდში ციხეები წირქვალი და გრუი ქსნის ხეობაში კახეთს ეკუთვნის. მატთანე ქართლისა გვაუწყებს: „კახთა მიუგზავნეს (დავით კუროპალატს — თ. პ.) მოციქული და მიუპყრეს პირი ზავისა: განუტევენს გურგენ და ბაგრატ და დედოფალი გურანდუხტ, და შეუქციეს ქართლი და უფლისციხე, ხოლო წირქვალის ციხე და გრუი

264 ი. ჯ ა ე ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 37.
 265 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 252—253.
 266 იქვე, გვ. 270.
 267 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII,

თვთ დაიჭირეს²⁶⁸. რამდენიმე ხნის შემდეგ, იმავე მატიაზე ქართლისას ცნობით, ბაგრატ აფხაზთა მეფემ „წარგზავნა მოციქული კახეთს, ითხოვნა ციხენი ქართლისანი, რომელნი მათ ჰქონდეს“ (მეფე კახეთს წირქვალი და გრუი ქსნის პირზე — თ. პ.). კახეთის ქორეპისკოპოსმა დავით უპასუხა: „უკეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩუენს შორის დამჭერებელ მკლავი და ომი. ხოლო მე წინა მოგეგებით ქსანსა ზედა“²⁶⁹. ამ შემთხვევაშიც სავსებით ნათლად ჩანს, რომ ქსანი იყო ქართლისა და კახეთის საზღვარი.

მუხრანი რომ XI ს-შიც კახთა ქორეპისკოპოსებს ეჭირათ, ეს კარგად ჩანს მატიაზე ქართლისას ცნობიდან, რომელიც XI ს. 60-იან წლებს (1065 — 1070) შეეხება. ბაგრატ IV დიდგორს იყო. განძის ამირა ფადლონი ქართლის წინააღმდეგ გამოემართა. იგი „მოვიდა ტფილისს და დაიბანაკა ველსა ისნისასა. ხოლო მუნ დაუტევნა კარავნი და აღმოვლო ღამე ყოველ მუხნარისა, და არბივნა ქართლსა ნაპირნი. ხოლო ცნა ტფილისით გაღმართ აფხაზთა მეფემან ქართლისა ვნება, წარმოსვლა ფადლონისა“, გაგზავნა რჩეული ლაშქარი ფადლონის წინააღმდეგ. „ხოლო ქართლს ვერღარა ჩამოესწრნეს, შექცეულთა გაუსწრეს მუხნარს წინა წილკნის გორათა თანა“²⁷⁰. მოტანილი ადგილი უეჭველად მოწმობს, რომ მატიაზე ქართლისას ავტორის წარმოდგენით მუხრანი, აღნიშნულ ხანაში, ქართლს არ ეკუთვნოდა და აკი ამიტომაც აღნიშნავს, რომ ქართველებმა მტერს „ქართლს ვერღარა ჩამოესწრნესო“. ამით ერთხელ კიდევ დასტურდება ის ფაქტი, რომ პოლიტიკური საზღვარი ქართლსა და კახეთს შორის ქსანი იყო. ამაზევე მიგვითითებს გამოთქმა: „ქართლის ნაპირთა“ რბევისაგან „შექცეულთა გაუსწრეს მუხნარსა წინა“.

კახეთის დასავლეთი საზღვრის დაზუსტებაში გარკვეულ დახმარებას გვიწევს მატიაზე ქართლისას ავტორის კიდევ ერთი ჩვენება. 1068 წელია. საქართველოში მეორედ შემოსული თურქ-სელჯუკთა სულტანი ალფ-არსლანი კახეთ-ჰერეთიდან „წარმოემართა აფხაზთა მეფესა ზედა. და მიერთნეს სომეხთა მეფე კვირიკე, და ტფილელი ამირა, და აღსართან (კახეთ-ჰერეთის მეფე — თ. პ.); შემოჰყვეს ქართლს თანა ჯაჭუთა“²⁷¹. როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, მემატიანის ბოლო წინადადება ასე უნდა გავიგოთ: კვირიკე სომეხთა

²⁶⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 274—275.

²⁶⁹ იქვე, გვ. 278.

²⁷⁰ იქვე, გვ. 310—311.

²⁷¹ იქვე, გვ. 309.



მეფე, ტფილელი ამირა და აღსართან კახთა მეფე აღფარსლანს (კახეთ-პერეთიდან მომავალს) შემოპყენენ თან ქართლში ჯაჭვზე ვეღღეთ ან ჯაჭვის გზით. ეს კი უნდა ნიშნავდეს, რომ სოფ. ჯაჭვზე (ქვემო ქართლში არ ითვლებოდა. ხოლო სოფ. ჯაჭუ მდებარეობდა სადღაც ჯვრის ტაძრის მახლობლად²⁷². აღსანიშნავია, რომ 1579 წ. ერთი გუჯარის მიხედვით, გვიან შუა საუკუნეებშიც, როდესაც ქართლისა და კახეთის საზღვარი კვლავ არავგზე დაიდო, „მონასტერი ჯვარისა თავისის მამულითა, სოფელი ფოსვი, სოფელი ჯაჭვი... ნასოფლარი ავკალა... გლდანი... და ლილო“²⁷³ კვლავ კახეთში შედიოდა. ი. ჯავახიშვილი, განიხილავდა რა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს, საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ უძველესი ტაძარი „ჯუარის მონასტერი“, „ციხე ზედა-ზადენი“ და „პაეკალა“ კახეთის ქვეყანას ეკუთვნოდნენ²⁷⁴.

კახეთის დასავლეთ საზღვართან დაკავშირებით საინტერესო ჩვენებას შეიცავს გიორგი III-ის 1170 წ. სიგელი შიომღვიმისადმი მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების თაობაზე. სიგელში ჩამოთვლილ შიომღვიმის კუთვნილ მამულთა შორის იხსენიება „...ივანწმიდაი ძუელადვე გოდერძისა შემოწირული; დაოთი— კვირიკე კახთა მეფისაგან შემოწირული“²⁷⁵. ეს გოდერძი, როგორც ფიქრობენ, შეიძლება იყოს XI ს. კახეთის ერთერთი ერისთავი, გავიკ კახთა მეფის თანამედროვე; ხოლო კვირიკე კახთა მეფის შემოწირულობა აშკარად მიუთითებს, რომ შიომღვიმე პოლიტიკურად კახეთში იმყოფება იმ დროს (XI ს.)²⁷⁶.

შიომღვიმის მონასტერი XI საუკუნეში რომ კახთა მეფეს ეკუთვნოდა, ამას უფრო მეტი სიცხადით გვიმტკიცებს ერთი სხვა საბუთიც: „დაწერილი შიომღვიმის კრებულისა ტოხაფსქეებისადმი (1190-1204 წწ.)“. საბუთში ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ კვირიკე კახთა მეფეს შიომღვიმის მონასტერში საკუთარი სამწირველო დაუარსებია, გაუჩენია მისთვის

272 დ. მუსხელიშვილი, კახეთ-პერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII სს-ში, გვ. 71.

273 საქართველოს სიძველენი, ტ. I, წიგნი I, ვ. თაყაიშვილის გამოცემა, თბ., 1920, გვ. 10—11.

274 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 42—43.

275 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ა. ლოლიძემ, თბ., 1965, გვ. 21.

276 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 342.

წესდება და თავის მწირველადაც მონასტრის ერთერთი ადგილობრივი ბერი, ვინმე ბასილი ტოხასძე დაუნიშნავს: „...სამწირველოდ გბოდებოდა სიგლითა (მკვდრა) და... კვრიკე კახთა მეფისაგან მოგვეცა მოგვეცით და მოგაცსენეთ სამამულოდ და მკვდრად. ამაღ რომე, თქვენისა გუარისა მოძღუარი ყოფილიყო კვრიკე კახთა მეფისაგან ბასილი ტოხასძე; და მას მისითა მოძღურებითა შემოეწირვინა წმიდისა შიოასთუს რჩევით მათათა შინა დაოთი და ბართა შინა რუეთი, და გაეჩინა მისისა სულისა სამლოცავად ერთი ფუტე გლეხი დაოთს — ვაჟმამაისძე და რუეთს — უშიშარაასძე“²⁷⁷... თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, კვრიკე კახთა მეფის მიერ შიომღვიმისადმი სოფლების — დაოთისა და რუეთის შემოწირულებას, ხოლო მეორე მხრივ, იმ გარემოებას, რომ სამწირველის პატრონი ზემოაღნიშნული უფლებებით სარგებლობდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მონასტერი მას ეკუთვნოდა²⁷⁸, მაშინ სრულიად უცილობელი გახდება ის ფაქტი, რომ შიომღვიმის მონასტერი XI ს-ში კახთა მეფეებს ეკუთვნოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იურიდიული თვალსაზრისით, სრულიად გაუპართლებლად მოგვეჩვენება კვრიკე კახთა მეფის (X—XI სს.) მოქმედება: სხვის კუთვნილებაში მყოფი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე შიომღვიმის მონასტერში თავისთვის სასულიეროდ საუკუნო სამწირველო სახლი გაეჩინა, მწირველად ბასილი ტოხასძე შეეწყალა და სათანადო სიგელის გაცემით მისთვის ებოძებინა საშვილიშვილოდ („სამამულოდ და მკვდრად“) ეს სახლიც.

ანალოგიური ვითარება გვაქვს კვრიკეს მიერ მონასტრისადმი შეწირული სოფლების: დაოთისა და რუეთის მიმართაც. დაოთი ერწოს სოფელი იყო, რუეთი კი მუხრანის ქვეყანაში შედიოდა. მუხრანი, ერწოს მსგავსად, კახთა მეფის უშუალო საკუთრება რომ არ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, იგი ვერ შესძლებდა რუეთი შიომღვიმისათვის შეეწირა. ცხადია, მუხრანი, მასში შემავალ რუეთთან ერთად, X—XI სს-ში კვრიკეს უშუალო მფლობელობაში იყო, რომელზედაც კახთა მეფის გარდა არავის მიუწევდებოდა ხელი.

ამრიგად, ზემომოტანილი ცნობების განხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ IX ს. დამდეგიდან ხერკი, მუხრანი და ბა-

²⁷⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 128—130.

²⁷⁸ ბ. ლომინაძე, სამწირველო XIII საუკუნეში, მიმომხილველი, I, თბ., 1949, გვ. 316.



ზალეთი (არაგვიდან ქსანამდე) პოლიტიკურად კახეთის სამეფოში შედის. ამიერიდან „რანთა და კახთა“ სამეფოს დამოუკიდებელი არსებობის მთელ მანძილზე, ე. ი. ვიდრე 1103 წლამდე კახეთისათვის ვით აღმაშენებელმა კახეთ-ჰერეთის სამეფო საბოლოოდ შემოიერთა, ქართლისა და კახეთის პოლიტიკური საზღვარი მდინარე ქსანზე გადიოდა²⁷⁹.

აღმოსავლეთი საზღვარი. თუ გავითვალისწინებთ და თავს მოვუყრით ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბაგრატიონის ყველა ზემოთ მოტანილ (ცნობილ) კახეთსა და ჰერეთს შორის გამავალი სასაზღვრო ხაზის შესახებ, მაშინ კახეთის აღმოსავლეთი საზღვრის კოორდინაცია შემდეგნაირად წარმოგვიდგება: იგი იწყებოდა ხუნანთან (ვახუშტის მიხედვით ხუნანი, როგორც ცნობილია, მდებარეობს ქცია-მტკვრის შესართავში. უკანასკნელ ხანებში ხუნანის ლოკალიზაციის შესახებ გამოითქვა აზრი, რომ იგი მდებარეობდა მდ. აღსტაფის მტკვართან შეერთების ადგილას, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას სადგურ ფოილოდან სამხრეთით დაახლოებით 6 კმ-ზე, მთა კალა-ბოზის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში)²⁸⁰. ქ. ხუნანიდან საზღვარი გადიოდა მტკვრის გასწვრივ იმ ადგილამდე, სადაც მას მწარე-წყალი ანუ აჯი-სუ შეერთვის. ამის შემდეგ საზღვარი გარკვეულ მონაკვეთზე მიჰყვებოდა მწარე-წყალს, გადაკვეთავდა ყარაიის ველს და მიაღწევდა მდ. იორამდე, იქ სადაც მას სამების ანუ ხაშმის ხევი ერთვის. აქედან სამების ხევით გომბორის გადასასვლელამდე, შემდეგ მიჰყვებოდა თურდოს ხეობას ალაზნამდე (ალბათ სწორედ აქვე, თურდოს ხეობის არეში არის საბიებელი ტყეება ანუ გულგულა — ლეონტი მროველისა და ვახუშტის მიერ მითითებული კახეთისა და ჰერეთის სასაზღვრო პუნქტი) და აქედან ზევით მდ. შტორის დინების აყოლებით, ვიდრე კავკასიონის ქედამდე²⁸¹.

კახეთსა და ჰერეთს შორის გამავალი სასაზღვრო ხაზის დადგენისას მკვლევართა ყურადღებას იპყრობს ლეონტი მროველისა და ვახუშტის მიერ ტყეების resp. გულგულის დასახელება კახეთის აღმოსავლეთ საზღვრად. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ უნდა

279 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 351; ი. ჭავჭავაძეშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 37, 91.

280 ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 195.

281 თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, გვ. 99—100; შტრ. დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 15; მისივე, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII სს-ში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967, გვ. 111.



იყოს შემთხვევითი და იგი უნდა მიუთითებდეს ტყეების resp-
 გულგულის, როგორც საკვანძო პუნქტის მნიშვნელობაზე.
 ტყეების resp- გულგულის ადგილმდებარეობა არის მიგნებულო. ტყეება-გულგულას, როგორც სასაზღვრო პუნქტს,
 თვალსაჩინო როლი უნდა შეესრულებინა კახეთ-ჰერეთის ისტორია-
 ში. სწორედ ამიტომ, რომ მისი ლოკალიზაციის საკითხი მკვლევარ-
 თა ყურადღებას იპყრობდა და იპყრობს. საკითხს საკმაოდ დიდი ხნის
 ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ 1849 წელს, მ. ბროსემ ყურადღება მიაქცია
 ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“-ს ტექსტში მოხსენე-
 ბულ ტყეებაგულგულას და აღნიშნა, რომ იგი თავს იკავებს აჩ-
 ვენოს გულგულას ადგილმდებარეობა კახეთის რუკაზე, და რომ,
 საერთოდ, მან არ იცის ამ პუნქტის ადგილსამყოფელი გეოგრაფიუ-
 ლად²⁸². ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, „ამ ადგილის (ტყეებას)
 მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს კახეთ-ჰერეთ-კუხეთის საზ-
 ღვრების გამორკვევისათვის და სხვადასხვა მოსაზრებათა გამო, ... ეკვი
 გვებადება, ლეონტი მროველი ხომ არ სცდება, როდესაც ძველი
 ტყეება მერმინდელ გულგულად იცნა?“²⁸³.

გ. ჩუბინაშვილი ტყეება-გულგულას ლოკალიზაციის დადგენი-
 სას ემყარება ი. ჭავჭავაძის მიერ შესწორებულ ქართლის ცხოვ-
 რების მარიამისეულ ნუსხაში შესულ ლეონტი მროველის ტექსტის
 იმ ადგილს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჰერეთი არის „ჭუყყანა-
 მტკვარისა ჩდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან (ნაცვლად
 მცირისა ალაზნისა თავითგან — თ. პ.) ვიდრე ტყეებამდე, რომელსა
 აწ ჰქვან გულგულა“-ო. მაშასადამე, ჰერეთად იწოდებოდა მტკვრის
 ჩრდილოეთით მდებარე ჭუყყანა, „მცირისა ალაზნისა“ ანუ იორის
 შესართავიდან მოყოლებული ვიდრე ტყეება-გულგულამდე. და აი,
 ამ კონტექსტიდან გამომდინარე გ. ჩუბინაშვილი ვარაუდობს, რომ
 ტყეება სადღაც ყარაიის ველის მაზლობლად უნდა ვეძებოთ. ეს ვა-
 რემოება კი, მისი აზრით, სავსებით გამორიცხავს მის გაიგივებას თე-
 ლავთან მდებარე გულგულასთან²⁸⁴. უფრო მეტი სიცხადე რომ შე-
 ვიტანოთ ტყეების გ. ჩუბინაშვილისეულ ლოკალიზაციაში, აქვე უნ-

²⁸² M. Brosset. Histoire de la Georgie, I, S.-Petersburg, 1849, 33-18, სქოლიო 2.

²⁸³ ი. ჭავჭავაძისეული, ქართველი ერის ისტორია, 11, 33-42.

²⁸⁴ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, текст, Тб., 1959, 23-2, სქოლიო 3.



და გავიხსენოთ თვით ყარაიის საზღვრები და მისი ადგილმდებარეობა. საამისო ცნობებს ვახუშტი გვაწვდის. იგი აღნიშნავს: ყნავეჭუჭუღაყი. რუსთავეის — თ. პ.) აღმოსავლით და სამკრით არს ვცდებ ლეონტი მროველისა“, რომელსაც, მისივე სიტყვებით, ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება „მთა გარეჯისა, ვიდრე მწარე-წყალამდე“, ხოლო „სამკრით მწარე-წყალი“²⁸⁵. ეს უნდა იყოს ის არეალი, რომელშიც, გ. ჩუბინაშვილის აზრით, მდებარეობდა ტყეტბა-გულგულა. ასეთი ვარაუდი, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება ლეონტი მროველისა და ვახუშტის მონაცემებს ტყეტბის, როგორც კახეთ-პერეთის სასაზღვრო პუნქტის, ადგილმდებარეობის შესახებ.

ამრიგად, როგორც ზემოთ მოტანილი სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებებიდან ჩანს, ტყეტბა-გულგულას ლოკალიზაცია მწელი დასადგენია, ამის მიზეზი კი საისტორიო წყაროებში შემონახული ცნობების ბუნდოვანობაში უნდა ვეძებოთ. არადა, მართლაც ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ რომელ პუნქტს ერქვა „ტყეტბა“.

ტოპონიმი „ტყეტბა“ საისტორიო წყაროებში უმთავრესად დადასტურებულია ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბაგრატიონთან. ამავე დროს, ისინი საგანგებოდ მიუთითებენ იმის შესახებ, რომ გეოგრაფიული სახელწოდება „ტყეტბა“ მათ დროს უკვე აღარ არსებობდა და რომ ეს სახელი შეცვალა „გულგულამ“. ჭუანშერი ამ პუნქტს მხოლოდ „გულგულას“ სახელწოდებით იცნობს²⁸⁶. ლეონტი მროველისა და ჭუანშერის ჩვენებანი არ შეიცავენ რაიმე კონკრეტულ მიუთითებს ტყეტბა-გულგულას ლოკალიზაციის დასადგენად. რაც შეეხება ვახუშტის, იგი თავის თხზულებაში ერთ ადგილას აღნიშნავს: „ლოპოტის წყლის შესართავს ზეით ალაზანს მიერთვის თურდოს ჭევი, გამომდინარე შუამთიდამ. ამ ჭევიზე არს გულგულა, რომელსა ეწოდა პირველ ტყეტბა. ეს ჭევი არს საზღვარი პერეთისა და კახეთისა“²⁸⁷. თუ ჩავუყვირდებით ვახუშტის მიერ მოცემულ ზოგადი ხასიათის ტოპოგრაფიულ ცნობებს, მაშინ ჩვენც ასევე ზოგადად უნდა მივიჩნიოთ, რომ გულგულა-ტყეტბა მდებარეობდა მდ. თურდოს-წყლის აუზში. შედარებით უფრო ნიშანდობლივ არის განსაზღვრული გულგულას მდებარეობა მ. ბროსეს რედაქციით გამოცემულ ვახუშტისეულ კახეთის რუკაზე: აქ იგი ნაჩვენებია მდ. თურდოს-წყლის

285 ვახუშტი, აღწერა, გვ. 331.
 286 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 244.
 287 ვახუშტი, აღწერა, გვ. 547.



„შუა დინების აუზში. ამ პუნქტის წინ დასმული პირობითი ნიშნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გულგულა სადაბო ტიპის დასახლებებია. რამოდგენდა²⁸⁸.

საქართველოს
გეოგრაფიული

ტოპონიმი „გულგულა“ დღესაც არსებობს კახეთში — თელავის რაიონის სოფელია. ეს დასახლება ალაზნის დაბლობზეა გაშლილი, მდ. თურდოს წყლის ქვემო წელის მარჯვენა ნაპირზე. როგორც ვხედავთ, გულგულას ვახუშტისეული ლოკალიზაცია არ შეესაბამება თანამედროვე გულგულას გეოგრაფიულ მდებარეობას. ყოველივე ამის გამო, ძველი „ტყეებისა“ და თანამედროვე „გულგულას“ იდენტიფიკაცია ექვის ქვეშ დგება.

უკანასკნელ ხანებში სპეციალურ ლიტერატურაში კახეთ-ჰერეთის საზღვრის გამყოფი პუნქტის—„ტყეება-გულგულას“ შესახებ გამოითქვა საყურადღებო მოსაზრება. მკვლევარ ალ. გვენცაძის აზრით, „ტყეება“ საძიებელია ცივ-შუამთა-გომბორის ქედის არეში. იგი წერს: „ყველგან, სადაც კი ლაპარაკია ცივ-შუამთა-გომბორის ქედის შესახებ, „ცივი“ მოემართება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ცხადია, სასაზღვრო გადაკვეთაც ქედზე უნდა მომხდარიყო. ასეთ ადგილად მიჩნეულ უნდა იქნას თანამედროვე „ნაქალაქარი“, რომელიც მდებარეობს მდ. თურდოს ხეობის სათავეში და წარმოადგენს „შუამთის“ ერთ-ერთ მხარეს... რა თქმა უნდა, „ტყეების“ ტერიტორიაზე მოსახლეობაც იქნებოდა, მაგრამ ძირითადად ეს ადგილი წარმოადგენდა ფორპოსტს, როგორც კახეთ-ჰერეთს შორის სასაზღვრო პუნქტი... ტოპონიმი „ნაქალაქარი“ უფრო გვიან შექმნილა და ხალხურ საწყისებზე უნდა იყოს აღმოცენებული. ძველი „გულგულა“, როგორც სამხედრო ფორპოსტი, უფრო ქალაქური ტიპის დასახლება უნდა ყოფილიყო. ხოლო როდესაც მოსახლეობა ბარში ჩამოვიდა და ახალ გულგულას ჩაეყარა საფუძველი, ხალხმა „მთის გულგულას“ უწოდა „ნაქალაქარი“. ამრიგად, მივიღეთ ასეთი საფუძვრები: „ტყეება“ — „გულგულა“ — „ნაქალაქარი“. როგორც ალ. გვენცაძე ფიქრობს, „ზემო-გულგულიდან მოსახლეობის გადმონაცვლება „ქვემო-გულგულაში“ ვახუშტი ბატონიშვილის დრომდე ბევრად ადრე უნდა დამთავრებულიყო. ამიტომ მისთვის არსებობს მართო ერთი გულგულა — ეს არის ბარის გულგულა, ანუ თანამედროვე გულგულა. ასეთმა ვითარებამ ნამდვილად გამოიწვია გარკვეული მცდარი თვალსაზ-

²⁸⁸ Description Géographique de la Georgie, par le Tsarevitch Wakhoucht, Publ., par M. Brosset, S.-Petersbourg, 1842, იხ. კახეთის რუკა.



რისი, როდესაც თანამედროვე გულგულა მიიჩნევს კახეთ-პერეთის სასაზღვრო ხაზის პუნქტად²⁸⁹.

ჩვენს მიერ ზემოთ ნაჩვენები კახეთის აღმოსავლეთ საზღვრო ხაზის კოორდინაცია არის ზოგადი, ერთერთი ბუნებრივ-თემობრივი ანუ ეთნიკურ-ტომობრივი საზღვარი კახეთისა. ჩვენთვის კი ცნობილია, რომ იგი არ იყო მუდმივი, რაღაც გადაულახავი ზღუდე. პირიქით, კახეთ-პერეთის პოლიტიკური ურთიერთობის სხვადასხვა პერიოდებში პოლიტიკური საზღვარი ხშირად არ ემთხვეოდა ზემოთ აღწერილს. ამიტომაც ამ საკითხზე მსჯელობისას გარკვეული ქრონოლოგიური ჩარჩოები უნდა იქნას დაცული, ჩვენს შემთხვევაში კი — VIII—XI სს. — სწორედ ამდროინდელი სხვა ცნობებით უნდა დაზუსტდეს და შესწორდეს იგი. სამწუხაროდ, კახეთის აღმოსავლეთი საზღვრის გამორკვევა ჩვენთვის საინტერესო ხანაში მხოლოდ დაახლოებით შეიძლება, იმიტომ, რომ ქართველ მემკვიდრეებს პირდაპირი ცნობები ამის შესახებ მოტანილი არა აქვთ. მაგრამ ჩვენს განკარგულებაში არსებული არაპირდაპირი, ირიბი ცნობების მიხედვითაც აშკარად ჩანს, რომ ეს ბუნებრივ-თემობრივი ზღუდე კახეთისა და პერეთის სამთავროებს შორის, კახეთის სამთავროს სასარგებლოდაა გაზრდილი. მივმართოთ წყაროებს:

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიაზე (IX ს.) მოგვითხრობს, რომ თავისი სამისიონერო მოღვაწეობის დროს წმ. ნინო „ვითარცა მოიწია კხოეთას: დაბასა, რომელსა ჰრქვან ბოდინი, ვერღარა ეძლო სლვად“ (ქელიშური ვარიანტი: „მოიწია კახეთად, დაბას, რომელსა ეწოდების ბოდისი“)²⁹⁰. ასევეა ერთგან წმ. ნინოს ცხოვრების შატბერდისეულ ნუსხაში: „ვითარ მოიწია ქუეყანასა კხოეთისასა, დაბასა ბუდს“²⁹¹, ხოლო ერთგან კი აქვე ასე გვხვდება: „დაბასა ბოდს კახეთისა ქუეყანასა“²⁹². ამრიგად, ამ ცნობებიდან ვგებულობთ, რომ თუ უფრო ადრე არა, IX ს-ში მაინც დაბა ბოდი//ბოდისი//ბოდინი//ბოდზე უკვე კა-

289 ალ. გვენცაძე, ტომონიშები, როგორც საისტორიო წყარო, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის სამეცნიერო სესიაზე (1980 წ. 17—19 მაისი, თელავი) წაკითხული მოხსენების ანოტაცია. იხ. გაზეთი „ალაზნის განთიადი“, საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომისა და სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო, 1980, 13. IX, გვ. 3.

290 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I-ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 89.

291 იქვე, გვ. 104.
292 იქვე, გვ. 161.



ხეთ-კუხეთშია და იგი ჰერეთში აღარ იგულისხმება. ასეთი ვითარება XI ს-შიც, რასაც კარგად გვიმოწმებს ლეონტი მროველი²⁹³ იმავე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანის ავტორი²⁹⁴ ნიშნავს, რომ IV ს. თრდატ მეფის დროს „ნეკრესს კახეთისასა ეკლესიაჲ აღიშენა განსრულებით“²⁹⁴. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (XI ს.) ასევე მოწმობს, რომ „ფარნაჯომ მეფემან... იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“, ან კიდევ, არშაყ ფარნავაზიანმა „განაშუენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი“²⁹⁵. ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ თვით ლეონტი მროველი, რომელმაც ძალზე კარგად იცოდა კახოსის წილზედომილი სამფლობელო რომ მხოლოდ ტყეებზე-გულგულამდე ვრცელდებოდა, ხოლო ნეკრესი კი ამ საზღვრიდან კარგა მოშორებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჰერეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა, ეხლა, IX—XI ს. იგივე ლეონტი იმავე ნეკრესს კახეთის ფარგლებს შიგნით ათავსებს. სავსებით ცხადია: ასეთ რამეს მას IX—X სს. შექმნილი რეალური პოლიტიკური ვითარება უკარნახებდა.

მატიანე ქართლისას ავტორი მოგვითხრობს რა აფხაზთა მეფის კონსტანტინე III (893—922 წწ.) და კახეთის კორეპისკოპოსის კვირიკე I (892—918 წწ.) ერთობლივი ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდს, წერს: „უჯგომ კვირიკე ქორეპისკოპოსმან კონსტანტი აფხაზთა მეფესა; ჩავიდეს ჰერეთად და მიადგეს ციხესა ვეფინისასა“²⁹⁶. როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევაში მემატიანე საკმაოდ გარკვეულად ვეფინის ციხეს X ს. დასაწყისში ჰერეთში ათავსებს.

ყველა ზემოთ მოტანილი ცნობების განხილვისა და შესწავლის საფუძველზე ი. ჭავჭავაძის დასკვნის, რომ IX—X სს. კახეთის აღმოსავლეთ საზღვრად დაახლოებით ჭერმის ხეობა შეიძლება ჩავთვალოთ²⁹⁷. დ. მუსხელიშვილი კიდევ უფრო აზუსტებს აღნიშნული საზღვრო ხაზის კოორდინაციას და აღნიშნავს, რომ კახეთის აღმოსა-

293 ი. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 37; დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII სს-ში, გვ. 112; თ. შაველაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, გვ. 126—127.

294 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 91.

295 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 29, 33.

296 იქვე, გვ. 264.

297 ი. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 37, 91—92, განსაკუთრებით გვ. 92.

ვლეთი საზღვარი ჰერეთის სამთავროსთან IX ს. და X ს. დასაწყისში გადიოდა ვეჯინის და გაეაზის დასავლეთით — ალაზნის ველზე, გარეჯის უდაბნოს და ბოდბეს აღმოსავლეთით — ივრეჯის მდინარეზე.

რადიკალურ ცვლილებებს განიცდის კახეთის აღმოსავლეთი პოლიტიკური საზღვარი XI ს.-ში. შეიძლება ითქვას, აღნიშნული ეპოქა იყო კახეთის პოლიტიკური საზღვრების გაფართოების ყველაზე უფრო მოგვიანო ეტაპი, მისი ფინალი რომელიც განპირობებული იყო კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებით XI ს.-ში. სახელდობრ, ჩვენ აქ ვგულისხმობთ იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ XI ს. 20-იან წლებში კახთა მეფე კვირიკე III დიდმა ჰერეთი პოლიტიკურად საბოლოოდ შემოიერთა, წარმოიქმნა „რანთა და კახთა“ სამეფო. ამ პოლიტიკური ფაქტორის შედეგი კი ის იყო, რომ ამიერიდან ჰერეთის ესა თუ ის პუნქტი „რანთა და კახთა“ სამეფოს პოლიტიკური ფარგლების შიგნით მოექცა. ეს ისტორიული მოვლენა კარგად აისახა წერილობით წყაროებშიც.

მევმართოთ ისევ პირველწყაროთა ჩვენებებს.

ჩვენ ზემოთ ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, რომ მატიაზე ქართლისას მიხედვით X ს. დასაწყისში ვეჯინი ჰერეთში მდებარეობდა. XI ს. იგივე წყარო სხვაგვარ ვითარებას ასახავს: 1068 წელს ალფარსლანმა „შემოვლო რანი და უგრძნეულად შევიდა ჰერეთად. და მის ქუეყანისა დიდებულნი იყვნეს მორთულ და ერთგული ბაგრატიისა და მას ეამსა იყო მცირედითა საქონლითა მეფე კახეთისა აღსართან, ძე გაგიკისი. და ყოველთა დაყარნეს ციხენი მათნი, და ივლტოდეს კავკასად. და იყო ბაგრატი გალაშქრებული აღებად კახეთისა და ლაშქარი მისი წინა გაგზავნილი იყო ვეჯინის ერისთავსა თანა წირქუალელსა“²⁹⁸. მოტანილი ნაწყვეტიდან ირკვევა, რომ ამ დროს ვეჯინის საერისთავო კახეთის ქვეყანაშია. უფრო ნიშანდობლივია ამ მხრივ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა: მელიქ შაჰმა გიორგი II-ს „მოსცა კახეთი და ჰერეთი... და ხარმოაყოლნა სპანი დიდნი... რათა აართევან კახეთი და ეამსა სთულისასა მოვიდეს კახეთად და მოადგეს ციხესა ვეჯინისასა“³⁰⁰. ამ ცნობიდანაც საუცხოოდ მტკიცდება, რომ

298 დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 125; მისივე, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII სს-ში, გვ. 111—112.

299 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 308.

300 იქვე, გვ. 321.

XI ს. 80-იან წლებში ვეფინის ციხე დავით აღმაშენებლის ისტორი-
კოსს კახეთში ეგულება³⁰¹.

თუ ჰერეთის რა ტერიტორია მოექცა პოლიტიკურად, ამაზე ნა-
იან წლებში „რანთა და კახთა“ სამეფოს შემადგენლობაში, ამაზე ნა-
თელ წარმოდგენას გვიქმნის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა კვირიკე
III დიდის მიერ კახეთის სამეფოში ჩატარებული აღმინისტრაციუ-
ლი რეფორმების შესახებ. კერძოდ, ამ ცნობიდან ჩვენს ყურადღებას
იპყრობს ყოფილი ჰერეთის ტერიტორიის საერისთავოებად დაყოფის
ამბავი. და რაც ყველაზე უფრო საინტერესოა ჩვენთვის, ვახუშტი
იძლევა თითოეული ამ საერისთავოთა გეოგრაფიულ ფარგლებს. ეს
უკანასკნელი კი ერთობ გვეხმარება XI ს. „რანთა და კახთა“ სამე-
ფოს აღმოსავლეთი პოლიტიკური საზღვრის დადგენაში. ვახუშტი-
წერს, რომ კვირიკემ „ჰერეთს დასუა“ ერისთავი „პირველი ხორან-
ბუჯს ანუ ხორანთას და მისცა ქისიყი და გარეთ-კახეთი კუხეთის
საზღვრამდე, ალაზანსა და მტკუარს შიგნით და ჰერეთის მთისა. მეო-
რე ვეჭინს და მისცა ქისიყის საზღვარს ზეთი თურღოს გევამდე და
ალაზანსა და ჰერეთის მთის შიგნითი, რომელ არს აწ შიგნით კახე-
თი. მესამე მაქისა და მისცა მაქის წყლის ქუეითი და ალაზნის აღმო-
სავლეთი შაკიხითურთ და ხუნზახითურთ. მეოთხე დასუა შტორისა
და მისცა შტორის გვეიდამ მაქის წყლამდე ალაზნის აღმოსავლეთი
დიდოეთითურთ, რომელ არს აწ გაღმა-მქარი, და ამანვე შეართა კა-
ხეთი და ჰერეთი“³⁰².

ზემოთ ციტირებული ცნობიდან ინტერესს იწვევს მაქის საერი-
სთავოს ფარგლები, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ „რანთა და კა-
ხთა“ სამეფოს შემადგენლობაში მოქცეულა ალაზნის აღმოსავლეთით
მდებარე შაკიხი ანუ შემდეგი დროის შაკი resp. გიში. აქედან გა-
ომომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ XI ს. დასაწყისიდან კახეთის სა-
მეფოს პოლიტიკურ საზღვარს აღმოსავლეთით ნუზის რაიონში გადაუ-
ნაცვლებია. ამ საზღვრის მდებარეობა უფრო ნათელი გახდება, თუ
გავეცნობით ვახუშტის გეოგრაფიაში მოცემულ ხორანთისა და გიშის
აღწერას. ვახუშტი გადმოგვცემს: „ხოლო აწ კუალად ვიწყებთ ალაზ-
ნის შესართავიდამ. სად არს ხორანთა, მას ქუეით დიდს ალაზანს მოე-
რთვის გიშის-წყალი, რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰე-

301 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 37; დ. მუს-
ხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—
XIII სს-ში, გვ. 115—116.

302 ვახუშტი, აღწერა, გვ. 561.

რეთს შორის, და მოდის გიშამდე ჩდილოდამ სამკრთო, მერძე აღ-
შოსავლიდამ დასავლით. არამედ გიში არს მთის ძირს, რომელსე ნყო
საერისთაო წუქეთისა, და ეკლესია დიდი, გუმბათიანი, ^{კაქუშისა} ^{წმინდა}
ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკიხისა ^{წმინდა} (ვახუშ-
ტი ბაგრატიონის) ზემოთ მოტანილ ცნობათა გათვალისწინების შემ-
დეგ, „რანთა და კახთა“ სამეფოს აღმოსავლეთი საზღვრის კოორდი-
ნაცია XI ს-ში ასეთი იქნება: იგი იწყებოდა იორისა და ალაზნის შე-
სართავთან, ხორანთასთან, შემდეგ საზღვარი მიდიოდა ალაზნის პირს
ჩრდილოეთის მიმართულებით იმ ადგილამდის, საცა ალაზნის გიშის-
წყალი ერთვის. აქედან სასაზღვრო ხაზი მდ. გიშის-წყალს გასწვრივ
მისდევდა ჯერ აღმოსავლეთის, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთის მიმარ-
თულებით, მის სათავემდე, რომელიც კავკასიონის მთავარ ქედში
იღო³⁰⁴.

სამხრეთის საზღვარი. (VIII—X სს-ში; როგორც) ეს ზემოთ მო-
ტანილ (ისტორიულ წყაროებში დადასტურებულ სათანადო ცნობების
ჩვენებებიდან ჩანს, კახეთის სამთავროს სამხრეთი საზღვარი მტკვარს
გასდევდა. მისი უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი პუნქტი ხუნანი
იყო, რომელიც მას ქართლისაგან გამოჰყოფდა. სამხრეთ-აღმოსავ-
ლეთით მის ფარგლებში შემოდიოდა ქართული გარდაბანი) (იხ. ზე-
მოთ). VIII ს. უკანასკნელი მეოთხედიდან გარდაბანი რომ კახეთშია,
ამის ნათელსაყოფად უნდა გავიხსენოთ ვახუშტის „ქმნულება და
ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა“-ში დაცული ცნობა: „ხოლო წელ-
სა ქსა ლჰჰ, ქარ. ზ მოკუდა ჟუანშერ ერისთავთერისთავი და შემდ-
გომად მისსა განდგა გრიგოლ მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი, კუ-
ხეთი და გარდაბანი“³⁰⁵. გარდაბანთან დაკავშირებით ვახუშტის სხვა
ცნობებიც მოვპოვება, საიდანაც ჩანს, რომ მას გარდაბნის ფარგლე-
ბი მტკვრის მარცხნივაც გადააქვს. გარდაბნის საერისთავოს აღწერი-
სას იგი დასძენს: „ამასვე (გარდაბანს — თ. პ.) უწოდეს შემდგომად
აგარანი. არამედ შემდგომად განდგომისა გრიგოლი მთავრისა, ამას
დაედვა გრდანი, ლილო და მარტყოფი, და იწოდებოდა ესენი გარ-
დაბანად“³⁰⁶. სხვა ადგილას იმავე გარდაბნის შესახებ ვახუშტი ასე
წერს: „ხოლო ხოსროვანთ გარდავლინებისა შემდგომად, განდგა რა
გრიგოლი მთავარი, ამან მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა

303 ვახუშტი, აღწერა, გვ. 539.

304 იხ. თ. პაპუაშვილი, ჰერეთი, გვ. 101.

305 ვახუშტი, აღწერა, 557.

306 იქვე, გვ. 330.

მთავრად ანუ ქორიკოზად. და ამათ მთავრობასა შინა ჭუარხ ქუეყის, სამკრის კერძს, ეწოდა გარდაბანად³⁰⁷. ამრიგად, ვახუშტის მიხედვით, გარდაბნის ჩრიდლოეთი საზღვარი მტკერის მარცხნივ გადმოდის და რაც იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ადგილი ჰქონდა გარდაბნის ისტორიული მიწაწყლის ზრდასა და გაფართოებას. ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებით ის არის საყურადღებო, რომ გარდაბნის ტერიტორიის ზრდა კახეთის სამთავროს ხარჯზე მომხდარა. ეს მოვლენა კი, რა თქმა უნდა, განპირობებული უნდა ყოფილიყო გარდაბანელთა მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლით კახეთის სამთავროს ისტორიაში. სწორედ ამ საგულისხმო ისტორიული ფაქტის ანარეკლია ის ამბავიც, რომ გარკვეულ ქრონოლოგიურ პერიოდში ქართულ საისტორიო წყაროებში (მატიანე ქართლისა) ხშირად ფიგურირებს ისეთი გამოთქმა, როგორცაა „კახნი გარდაბანელნი“.

IX ს. ოციანი წლებია: „კუალად მეორედ მოვიდა იგივე ხალილ არაბი. შეეზნეს გარდაბანელნი, გავაზს (კახეთშია — თ. პ.); და გააქციეს ხალილ, და მოსწყდა სიმრავლე ფრიადი“³⁰⁹. IX ს. ოცდაათიანი წლების ამბებთან დაკავშირებით მატიანე ქართლისა გადმოგვცემს: „და მოვიდეს კახნი გარდაბანელნი შეელად საპაკისა; შეიზნეს რეკს და იყო ბრძოლა მათ შორის: არცა იგინი გაიქცეს და არცა იგინი, ვიდრემდის გაიყარნეს“³¹⁰. IX ს. 50-იან წლები, იგივე მემატიანე მოგვითხრობს: „დაუდგეს წინა გარდაბანელნი ჭუარის-გუერდასა (მცხეთის მახლობლად, აღნიშნულ ხანაში კახეთს ეკუთვნოდა — თ. პ.), და აენეს დიდად ლაშქარსა. ვითარ ცნა ბულა, აღიყარა მუნით და მოვიდა ქართალეთს“³¹¹. X ს. გიორგი აფხაზთა მეფე კახეთის ქორეპისკოპოსს კვირიკეს გადაგდებას უპირებდა. მატიანე ქართლისას ავტორის სიტყვით, „გარდაიცვალა ფადლა ქორეპისკოპოსი, და დაჭდა კვირიკე ქორეპისკოპოსად. ამისა შემდგომად გადგეს აზნაურნი გარდაბანელნი. იწყეს ზრახვად გიორგი მეფისა. გამოილაშქრა გიორგი მეფემან, ჩავიდა კახეთად (ხაზგასმა ჩვენია—თ. პ.). მოსწულა და ასწყდა, და წარვიდა თუსადვე ქუეყანად“³¹².

307 იქვე, გვ. 524.

308 შტრ. ჟ. გვასალია, თ. თოდრია, გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, გვ. 38, სქოლიო 79.

309 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 254.

310 იქვე, გვ. 255.

311 იქვე, გვ. 256.

312 იქვე, გვ. 268.

ჩვენი აზრით, სრულიად წარმოუდგენელია, რომ მატრიანი ქართლისას შემომოტანილ ცნობებში მოხსენებული „გარდაბანელი“ და „კახნი გარდაბანელი“ და ამის შესაბამისად მათი ქვეყნის გარდაბანი იყოს ლეონტი მროველისეული გარდაბნის საერისთავო (იხ. ზემოთ). სავსებით ცხადია, რომ აქ, ამ გარდაბანში, როგორც ამას სამართლიანად ვარაუდობს ნ. ბერძენიშვილი, უნდა იგულისხმებოდეს თვით კახეთის სამთავროს შიგნით არსებული გარდაბანი³¹³.

X ს. შუა ხანებიდან კახეთის სამთავროს სამხრეთი საზღვარი პოლიტიკური სიტუაციის გართულების შედეგად ცვლილებებს განიცდის. როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, IX ს. მეორე ნახევრიდან გარდაბანი საცილობელი ტერიტორიაა თბილისის ამირას, კახეთის მთავარს, სომეხთა მეფეებისა და აღვანელ მთავართა შორის, ხოლო X ს. 50-იანი წლებიდან კახეთი კარგა ხნით კარგავს კიდევ მას³¹⁴.

XI ს. დასაწყისიდან სამხრეთი საზღვარი კვლავ გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. სახელდობრ, მას შემდეგ, რაც XI ს. ოციანი წლებში კვირიკე III „დაიპყრა რა ჰერეთიც“, სამხრეთის სასაზღვრო ხაზმა აღმოსავლეთის მიმართულებით ხორანთამდე, ე. ი. მტკვართან „მცირისა აღაზნის“ (იორის — თ. პ.) შესართავამდე მიაღწია. ამ რიგად, „რანთა და კახთა“ სამეფოს სამხრეთი საზღვარი, რომელიც მტკვარზე იდო, XI საუკუნეში დასავლეთით იწყებოდა ხუნანიდან და აღმოსავლეთით ხორანთამდე ვრცელდებოდა.

ჩრდილოეთის საზღვარი. კახეთის სამთავროს, ხოლო შემდეგ „რანთა და კახთა“ სამეფოს (ჩრდილოეთი საზღვარი) ჩვენთვის საინტერესო ხანაში (VIII—XI სს.) შედარებით სტაბილური იყო. იგი ძირითადად გასდევდა კავკასიონის მთავარ ქედს. ამ ხანაში კახეთის სამთავრო მოიცავდა საკუთრივ წანარეთს („წანარეთის ქვეი“ ანუ გვიანდელი ხანის ქართული წყაროების „ქვეი“—იხ. ზემოთ). გარდა ამისა, როგორც ეს ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებიდან ირკვევა, ჩრდილოეთით კახეთის სამთავროში შედის და მის განუყოფელ, ორგანულ ნაწილს შეადგენს: ფშავ-ხევსურეთი (ფხოვი), თუშეთი, აგრეთვე დურძუკეთი და ლლილეთი³¹⁵. ეს

³¹³ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 625.

³¹⁴ დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 133.

³¹⁵ ვახუშტი, აღწერა, გვ. 561.

არის კავკასიის მთიანეთის გარკვეული მონაკვეთი, რომელსაც ქართული საისტორიო წყაროები შეტად მკაფიო და კოლორიტულ სახელწოდებით (იხსენიებენ: „მთეულეთი კახეთისა“³¹⁶) კავკასიის მთიანეთის ეს ნაწილი რომ კახეთის კუთვნილებას წარმოადგენდა, ამას ვახუშტიზე გაცილებით ადრე ლეონტი მროველიც გვიდასტურებს. ეს ნათლად მტკიცდება იქიდან, რომ იგი კახეთის (კახოსის წილხვდომილი ქვეყნის—თ. პ.) ჩრდილოეთ საზღვრად „კავკასს“, „კავკასია“-ს, ე. ი. კავკასიონის მთავარ ქედს ასახელებს: „ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვთგან ვიდრე ტყეტბამდე“³¹⁷.

(XI ს. დასაწყისიდან, როდესაც წარმოიქმნა „რანთა და კახთა“ სამეფო, მის შემადგენლობაში შემოდის ყოფილი ჰერეთის მთიანეთიც. ვახუშტის მოწმობით, ეს არის „დიდოეთი“, „ხუნზაბი“ და „შაკიბი“³¹⁸.)

ასეთი სახით წარმოგვიდგება „რანთა და კახთა“ სამეფოს პოლიტიკური საზღვრები VIII—XI საუკუნეებში.

³¹⁶ ქუანშიერი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 205, 217; ი. ჭავჭავაძის მიერ, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 38—39; დ. მუსხელიშვილი, იქვე, გვ. 21.

³¹⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 9.

³¹⁸ ვახუშტი, აღწერა, გვ. 561.

რანთა და კახთა სამეფოს ისტორიის ძირითადი
მტკიცებნი VIII—X სს-ში

უძველესი დროიდანვე კახეთის ისტორია მჭიდროდ უკავშირდება აღმოსავლურ-ქართულ, ქართის (იბერიულ) სახელმწიფოებრიობის განვითარებას. ქართულ საისტორიო წყაროთა ტრადიციული გადმოცემით, კახოსის წილხედომილი ქვეყანა და თვით ეთნარქი კახოსი კუხოსთან, მცხეთოსთან, გარდაბოსთან და ვაჩიოსთან ერთად ქართლოსის შთამომავალია. ქვეყანა, რომელიც კახოსს ეკუთვნოდა, „კახეთის“ სახელითაა ცნობილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კახები და ამის შესაბამისად კახეთის ქვეყანა, იმთავითვე აღმოსავლურ-ქართულ, ქართის (იბერიულ) ეთნო-სოციალურ ერთობაში შედიოდა და თვით ამ ეთნო-სოციალური ერთობის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთ აქტიურ როლს ასრულებდა. ქართვებისა და კახების ტომთა ეს ეთნო-სოციალური ერთობა, ჩვენი აზრით, დამყარებული იყო საერთო წარმოშობის, თანაცხოვრებისა და ცხოველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურულ-რელიგიური კავშირთიერთობათა საფუძველზე. აქედან გამომდინარე ნათელი ზდება, რომ თვით ცნება „ეთნო-სოციალური ერთობა“ არის ამა თუ იმ კონკრეტული ერთობისადმი კუთვნილების თვითშეგნება, საერთო ენისა და კულტურის მქონე ადამიანთა მყარი ერთობა.

კახეთის ისტორიის საწყისი ეტაპი უკავშირდება ე. წ. მამასახლისობის ხანას. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, მისი წარმოქმნა-გაჩენა იწყება იმით, რომ კახოსი, სხვა ქართლოსიან ტომთა შეთაურების მსგავსად, ეუფლება თავის წილხედომილ ქვეყანას მეტად საინტერესო და შესანიშნავია ლეონტი მროველის მსჯელობა ამ მეფობის წინა ხანაზე (მამასახლისობის ხანა). შემდგომი პერიოდის ერისთავები (და მათ შორის, რა თქმა უნდა, კახეთის ერისთავიც) იქ „თავადები“ არიან, რომელნიც „იჩინიან“, ე. ი. მამასახლისები, ზოლო ის, ვინც ყველას აერთიანებს, ის მცხეთას ზის, „რეცა თავა-



დი“ — „მაზავებელ და ბჰე სხუათა ქართლოსიანთა“. მეტი სიტყვა-
 დისათვის მოვიტანოთ თვით ლეონტი მროველის დახასიათება სამამასახლისო
 „მამასახლისობის ხანისა“: „და არაეინ იყო უწარჩინებულეს და უნა-
 ელოვანეს, არამედ ადგილითი-ადგილად თავადნი იჩინიან. ხოლო
 ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თავადი იგი იყვის ყოველთა მათ სხვათა
 ზედა. და არცა სახელ-ედებოდათ მეფედ, არცა
 ერისთავად, არამედ მამასახლისები ეწოდე-
 ბოდათ და იგი იყვის მაზავებელ და ბჰე სხუათა ქართლოსიანთა“¹.
 სამწუხაროდ, ჩვენ არ გავაჩნია სხვა ცნობები იმის ნათლად წარმოსა-
 დგენად, თუ როგორი უნდა ყოფილიყო კახოსის სამამასახლისო ქვე-
 ყნის შინაგანი აღნაგობა და სოციალური ბუნება. ვარაუდის სახით კი
 შეიძლება ითქვას, რომ ლეონტი მროველის მიერ დახასიათებული
 ქართლოსიან ტომთა სამამასახლისო ქვეყნები, ალბათ, ტომურ-გვა-
 როვნულ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ, ე. ი. აღებული ხანის კა-
 ხეთის ქვეყანა (სამამასახლისო) ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ,
 როგორც ტომთა კავშირი, ტომური ორგანიზაცია, რომელსაც, ლეო-
 ნტი მროველის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, სათავეში ედგა „მამასახლი-
 სი“. ნ. ბერძენიშვილს ლეონტი მროველისეული „მამასახლისის“ შე-
 სატყვისად ანტიკური ხანის ბერძნულ მწერლობაში მიაჩნია „ბასი-
 ლეუსი“, „სკეპტუხი“.

„სკეპტუხი“ ქართული სინამდვილის (ყერძოდ კოლხეთის) მი-
 მართ ბერძენ მწერალთა შორის უმთავრესად სტრაბონს აქვს ნახმა-
 რი. აქ „სკეპტუხი“ ჩვენ გვევლინება კოლხეთის ცალკეული პროვინ-
 ციის გამგებლად: იგი კოლხეთის დიდი მოხელეა, სკიპტროსანი, რო-
 მელსაც თავისი წილხვდომილი პროვინციის მართვა ევალებოდა. ამ
 ტერმინს ჩრდილო კავკასიის ტომებთან დაკავშირებით რომაულ
 წყაროთმცოდნეობაში ტაციტუსთან ვხვდებით, სადაც „სკეპტუხი“
 ტომის ბელადის მნიშვნელობისა უნდა იყოს². ძველი კოლხეთის ვი-
 თარება სტრაბონს (თუ მის ერთ-ერთ წყაროს) სახელდობრ ასე აქვს
 აღწერილი: მედეას მამის, აეტის, შემდგომად „მომდევნო მეფეებს,
 რომელნიც „სკეპტუხიებად“ დაყოფილ ქვეყანას ფლობდნენ, უკვე
 ისეთი ძალა აღარ ჰქონდათ“³. თითქოს უეპველი უნდა იყოს, რომ ავ-
 ტორი რალაც შინაგან მიზეზს ხედავს კოლხეთის მეფეების დასუსტე-

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 11.
² თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყა-
 რობი, თბ., 1976, გვ. 143.
³ სტრაბონი, XI, 11, 18.



მაში და მათი ქვეყნის დაყოფას შორის. თუ ეს ასეა, მაშინ „სკეპტუხიებად დაყოფა“ ნიშნავს არა ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ დაწესებულებას (ასეთი დანაწილება არ შეიძლებოდა გამხდარიყო მსგავსი დასუსტების მიზეზი), არამედ მოასწავებს ცენტრალური ხელისუფლების დაქუცმაცებასა და დაქსაქსვას, გარკვეული სახის დეცენტრალიზაციას. და მართლაც, როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, „სკეპტუხია“ აღებული ხანის ბერძნულ ცნობებში კავკასიის შესახებ აღნიშნავს სატომო ორგანიზაციას. სტრაბონის ცნობა, მაშასადამე, მიგვითითებს კოლხეთის დანაწილებაზე ცალკეულ ტომურ ორგანიზაციებად (დასავლეთ საქართველო ყოველთვის მრავალტომიანი ქვეყანა იყო)⁴. ვფიქრობთ, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ლეონტი მროველის მიერ დახასიათებული კახოსის სამამასახლისო ქვეყანა წარმოვიდგინოთ სატომო ორგანიზაციად, რომელსაც გარკვეული ანალოგია მოეპოვებოდა სტრაბონის მიერ აღწერილ კოლხეთის „სკეპტუხიებთან“.

შემდგომი პერიოდი კახეთის ქვეყნის განვითარებაში ეს არის ის ხანა, როდესაც იგი თვისებრივად ახალ საფეხურზე აღის: კახეთის სამამასახლისო ეხლა უკვე კახეთის საერისთავოდ იქცევა. ეს, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი პროცესი იყო, იგი საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა. ქვეყნის დაყოფა საერისთავოებად, ე. ი. ქვეყნის ადმინისტრაციული დანაწილება სახელმწიფოს წარმოქმნის ნიშანია. ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით ასეთი დანაწილება ხდება არა ვინმეს (მეფის) ნებისმიერად, არამედ ისტორიულად წარმოიქმნება სხვადასხვა „ქვეყნების წარმოქმნის შედეგად“⁵. ცნობილია, რომ საუკუნეთა მანძილზე ესა თუ ის „ქვეყნები“ იბრძოდნენ, უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, ქრებოდნენ, ძლიერდებოდნენ, ითქვიფებოდნენ და ბოლოს და ბოლოს ყალიბდებოდნენ გარკვეულ მტკიცე ერთეულებად, რომელთა გაერთიანებას ახერხებდა გარკვეული უპირატესობის მქონე „ქვეყანა“ (ტომთა კავშირი), რომელიც ასეთ ერთეულებს სკეპტუხიების სახით გარს შემოიკრებდა. ასე რომ, საერისთავო უნდა განვიხილოთ როგორც ისტორიულად წარმონაქმნი ქვეყანა, რომლის გადაქცევა ადმინისტრაციულ ერთეულად იყო ამ ქვეყნის განვითარების ახალი საფეხური. როგორც საესეებით მართებულად შენიშნავს ნ. ბერძენიშვილი, „უძველესი ერისთავი ეს იგივე ბასილეუსია, „მა-

⁴ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 311.

⁵ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 150.



მასახლისი“, სეპტემბრი, რომელიც დროთა განმავლობაში თანდათან კარგავს ბასილევსობას ერთადერთი (პირველი) ბასილევსი ლიერების სასარგებლოდ, ვიდრე ბოლოს, უბრალო მოხელე ვად არ გადაიქცევა“⁶. და აი, სწორედ ეს თვისებრივად ახალი საფეხური არის ფიქსირებული იმავე ლეონტი მროველთან პირველი მეფის (ფარნავაზის) შესახებ მოთხრობაში. ლეონტი წერს: ფარნავაზმა (დაახლოებით ძვ. წ. IV ს. ბოლოს და III ს. დასაწყისი) „გაგზავნა მეორე კახეთისა ერისთავად, და მისცა არაგვდგან ვიდრე პერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი“⁷. თუ ჩვენ ჩაუყვირდებით ამ ახლად წარმოქმნილი კახეთის საერისთავოს ტერიტორიას, ამკარად დავინახავთ, რომ ეს საერისთავო ქვეყანა იგივე კახოსის სამამასახლისო ქვეყანაა. ცხადია, ფარნავაზი ამ თავისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოღვაწეობით ძველიდანვე არსებული ქვეყნის, ე. ი. ეთნიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნების, მონათესავე ტომების (ქართლოსის შვილების, ძმების) პოლიტიკური გაერთიანების ფაქტიდან ამოდის. კახოსისა და კუხოსის სამამასახლისოთა ერთ საერისთავოდ გადაქცევა სწორედ ეთნიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნობის პრინციპის დადასტურებაა. კახეთ-კუხეთი ისე ახლოს იდგნენ ურთიერთთან, რომ მათი ერთ ქვეყნად გაერთიანება, უნდა ვიფიქროთ, ბუნებრივად მოხდა. მართალია, ლეონტი მროველი აღნიშნავს, რომ ეს დაყოფა საერისთავოებად მომხდარა „მიმსგავსებულად სამეუფოსა სპარსთასა“, მაგრამ როგორც საფიქრებელია, ნიდაგი ქვეყნის ასეთი ადმინისტრაციული დაყოფისათვის კარგა ხნის მომზადებული უნდა ყოფილიყო და იგი (დაყოფა) სხვადასხვა ნიშნის ქვეშ (ეთნიკური, ეკონომიური, გეოგრაფიული) უნდა მომხდარიყო.

ლეონტი მროველის მიხედვით, თითოეულ ასეთ ერისთავს (და ე. ი. კახეთის ერისთავსაც) ემორჩილებოდა სპასალარი (სამხედრო საქმეების გამგებელი) და ათასისთავი, იგივე სპარსული ჰაზარაპეტი (სამოქალაქო საქმეების გამგებელი). საერისთავო ქვეყნებიდან, იმავე ლეონტის გადმოცემით, მეფეს „მოვიდოდა ხარკი სამეუფო და საერისთავო“⁸.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის შემდეგ შეგვიძლია კიდევ ერთი, ჩვენთვის მნიშვნელოვანი დასკვნა გავაკეთოთ: კახოსის სამფლობელოს ტერიტორიაზე ფარნავაზის დროს კახეთის საერისთავოს წარ-

⁶ იქვე, გვ. 150.

⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24.

⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 25.



მოქმნა არის ნაყოფი ამ ქვეყნის საკუთარი, შინაგანი განვითარებისა. იგი მიჩნეულ უნდა იქნეს რომელიღაც ადგილობრივი სპორადული ელემენტის ძალების თვითორგანიზაციის, შეკრებისა და გატანის შედეგად. ცხადია, ეს ინტეგრაცია, ძველ წესწყობილებასთან შედარებით, ახალ საფეხურზე ხდება. |ლეონტი მროველის მიერ დახასიათებული კახეთის საერისთავო უკვე ტომურ-გვაროვნულ ორგანიზაციას კი არ წარმოადგენს, არამედ გარკვეული სოციალური დიფერენციაციის ნიადაგზე არის აღმოცენებული. |თვით ერისთავი კი სათანადო ტრანსფორმაციაქმნილ ძველ მამასახლისებად, ბასილევსებად, სკეპტუხოსებად გვეყავს წარმოდგენილი, რომელთაც თავიანთი საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე უზურპაცია უყვეს მათთვის ჩაბარებულ უფლებებს და მამასახლისებიდან ერისთავეებად იქცნენ.


ისტორიულ წყაროთა მოშველიებით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა, კახეთის ქვეყნის უძველესი პოლიტიკური ცენტრებიც დავადგინოთ. |ლეონტი მროველის მიხედვით, კახეთის უძველეს ცენტრად გვევლინება ბერ-ი, |უფრო მოგვიანო ხანის ჩელეთი: |„და მან კახოს აღაშენა ჩელეთი; კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა. რამეთუ დედა-ციხე კახოსის ხუედრი იყო. და მისცა კახოს შეწევნისათვის და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელ ბერ ერქუა პირველ შენებულსა კახეთისასა“⁹. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ბერ-ი resp. ჩელეთი ვახუშტის მიერ ქალეთთანაა გაიგივებული: „იორის პირზედ, არს, აღმოსავლით კერძ, ქალეთი... ვგონებთ ამას ჩელეთად, რომელი აღაშენა კახოს ქალაქი, რომელსა პირველ ბერ ერქუა“¹⁰. ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც: ლეონტი მროველისეულ დედაციხეს, რომელიც ქართლოსის ცოლმა აღაშენა¹¹, იგივე ვახუშტი ბოჰორმად თვლის: „უჯარმას ზეით, ჩრდილოთ, და იორის აღმოსავლით არს ბოჰორმა ციხე“, რომელიც „აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან და უწოდა დედა-ციხე“¹². კახეთის ქვეყნის უძველესი პოლიტიკური ცენტრი ბერ-ჩელეთი ანუ მერმინდელი ქალეთი, ყველა ნიშნის მიხედვით, ციხე-ქალაქი უნდა ყოფილიყო და დედაციხის ანუ ბოჰორმის შემდეგ ერთი ყველაზე უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი სამოსახლო მთელს

⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 9.

¹⁰ ვახუშტი, აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კვლად თუშეთისა, იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1973, გვ. 531.

¹¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 8.

¹² ვახუშტი, იქვე, გვ. 530.



იგობის ხეობაში. ბერ-ჩელეთს ანუ ეალეთს კახეთის ქვეყნის პოლიტიკური მესვეურის როლი უნდა შეენარჩუნებინა აბ. წ. 111-ე წელს დადებული წინამდებ, ვიდრე ასფაგურ ფარნავაზიანმა არ ააშენა ქ. უჯრამის მონასტერი. მირიან მეფემ კი IV ს. დამდეგს იგი არ აქცია კახეთ-კუხეთის პოლიტიკურ ცენტრად.

ამრიგად, კახეთის ქვეყნის უძველეს პოლიტიკურ ცენტრებად გვევლინებიან ბერ ანუ ჩელეთი და (ვახუშტის მიხედვით) დედაციხე ანუ ბოქორმა. ესენი უნდა ყოფილიყვნენ ის „კახეთის ქალაქნი“, აღექვსანდრე მაკედონელმა რომ „პოვნა“ ქართლში შემოსელისას¹³. ზემოთქმულთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ლეონტი მროველის ფრაზა: „ბერ ერქუა პირველშენებულსა კახეთისასა“. როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული „ბერ“ იგივე „იბერის“ ექვივალენტია (იბერ—ჰბერ—ბერ), ეს კი ერთხელ კიდევ ძლიერად ადასტურებს იმ ურყევ ფაქტს, რომ კახეთის ტერიტორიაზე უძველესი მოსახლე („პირველშენებული“) იბერულა ტომი იყო ანუ ლეონტისვე კონცეფციის მიხედვით, კახები და რომ, ისტორიული ტრადიციის მიხედვით, კახები აღმოსავლურ-ქართული, ქართის (იბერიულ) ეთნო-სოციალური ერთობის ორგანულ კომპონენტს წარმოადგენდნენ.

როგორც აღნიშნული გვაქვს, წინაფეოდალური ხანის კახეთის ქვეყნის შესახებ მეტად ფრაგმენტული წერილობითი ცნობებია შემორჩენილი, რაც არაა საკმარისი ასეთი მნიშვნელოვანი ქვეყნის ისტორიის შესასწავლად.

კახეთ-კუხეთი (კახეთის მოთავეობით) ერთ საერისთავოშია წარმოდგენილი ამაზასპ I-ის დროსაც (როგორც ფიქრობენ, ეს ამაზასპი სასანელი მეფის შაბურის თანამედროვე იყო — 242—272): „მაშინ ამაზასპ მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა. და მოვიდეს ერისთავნი აღმოსავლისანი: ერისთავი კახეთისა, ერისთავი ზუნანისა, ერისთავი სამშვილდისა და შემოკრბეს მხედარნი სპასპეტისანი“¹⁴. ლეონტი მროველის აღნიშნული ცნობის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კახეთი და კუხეთი კვლავ ერთ საერისთავოში არიან წარმოდგენილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ალბათ კუხეთის ერისთავიც იქნებოდა დასახელებული.

კახეთის საერისთავოს ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო

¹³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 18; შდრ. დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯრამა, თბ., 1966, გვ. 27.

¹⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 55.



III—IV სს. მიჯნაზე ქალაქ უჯარმის აშენება, რომელიც მიეწერება ფარნავაზიანთა უკანასკნელ მეფე ასფაგურს (ამ ასფაგურს მკვლავლობის ზეობა განისაზღვრება III ს. დასასრულითა და IV ს. დასაწყისით): „ამან ასფაგურ აღაშენა ციხე-ქალაქი უჯარმა“¹⁵. ცოტა უფრო მოგვიანებით, IV ს. პირველ ნახევარში, უჯარმა ხდება კახეთის (და კუხეთის) პოლიტიკური ცენტრი. ამაზე მიგვითითებს მირიანის საქმიანობა: მირიანმა „მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი, და დასუა იგი უჯარმას“¹⁶. ამრიგად, ლეონტი მროველის შემომოტანილი ცნობის მიხედვით, IV ს. პირველ ნახევარში კახეთი და კუხეთი კვლავ ერთ პოლიტიკურ ერთეულად (საერისთავოდ) განიხილება. მდგომარეობა ერთგვარად იცვლება მირიანის ძის ბაქარის დროიდან ვიდრე ვახტანგ გორგასალამდე.

ბაქარის მეფობის ხანაში კახეთის საერისთავომ კუხეთი დაკარგა, რის გამოც ეს უკანასკნელი ცალკე ერთეულად არის წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ბაქარმა დროებით აღადგინა კუხეთის დამოუკიდებლობა კახეთისაგან. ლეონტი მროველის გადმოცემით, ბაქარს მოუყვანია რევის ძენი, „ძმისწულნი მისნი და მისცა კუხეთი, და დასხნა რუსთავს ერისთავად“¹⁷. ამიერიდან რუსთავი რევის ძეთა სამფლობელოდ იქცა. ბაქარი თავისი ძმისწულების (რევ მირიანის ძის შვილების) მიმართ იძულებულია დათმობაზე წავიდეს. იგი აძლევს მათ კუხეთს (ცენტრით რუსთავი) მფლობელობაში იმ განზრახვით, რომ ისინი არ შეეცილებიან სამეფო ტახტს: „მაშინ მეფემან ბაქარ, შეამდგომელობითა ბერძენთა მეფისა და სპარსთა მეფისათა, დაწერა კელით-წერილი ძმისწულთა მისთა და დედისა მათისა სალომესგან ესრეთ ვითარმედ: „ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რომელსაც ეძლოს პყრობა მეფობისა. მისი იყოს მეფობა, და არაოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევისთა“¹⁸.

ვახტანგ გორგასალის მეფობის დასაწყისში კუხეთი კვლავ დამოუკიდებელია კახეთის ერისთავისაგან. ჟღანშერი მოგვითხრობს „ხოლო მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესავისაგან რევისა, მირიანისვე ძისა, და აქუნდა მათ კუხეთი, და ცხოვრდებოდეს რუსთავს ციხე-

15 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 59.
 16 იქვე, გვ. 70—71.
 17 იქვე, გვ. 131.
 18 იქვე, გვ. 130.



ქალაქსა. რამეთუ შემცირებულ იყვნეს ურთიერთსა კლვითა¹⁹. ე. ი. ამ დროსაც კუხეთის მფლობელებად კვლავ რევიანი გვეყვინებოდნენ. გორგასალის მეფობის მეორე პერიოდში კი კახეთ-კუხეთის ურთი-საერისთავოშია წარმოდგენილი, ე. ი. ამ დროს, მსგავსად მირიან მეფის ხანისა, კახეთ-კუხეთი ერთ ერთეულად გვევლინება. მეფედ ახლად კურთხეულ დაჩის ვახტანგმა „...დაუტყვნა მის თანა შვიდნი წარჩინებულნი მისნი“, მათ შორისაა მოხსენებული „დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა“²⁰. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გორგასალის დროინდელი კახეთის საერისთავოს ცენტრი ისევ ქალაქი უჯარმაა: ერისთავებს ვახტანგმა „შეავედრა ძე თვისი დაჩი, და უბრძანა აღშენება უჯარმისა. და მუნ შინა ზრდა დაჩი მეფისა“²¹. ი. ჭავჭავიძე ილი, ეყრდნობა რა წა ნინოს უძველეს ცხოვრებას. მოქცევაჲ ქართლისაჲს და ჭუანშერის ცნობებს, ქალაქ უჯარმას აღნიშნული ხანის კახეთის ქვეყნის თითქმის დედაქალაქად თვლის²².

ვახტანგ გორგასალის მეფობის ხანა ფეოდალური ფორმაციის ძლევამოსილი აღმავლობის ხანაა. ფეოდალური ურთიერთობის ზრდა-განვითარების ნიშნები საკმაოდ ძლიერად იჩენდა თავს ჩვენთვის საინტერესო რეგიონში, კახეთის საერისთავოში. აქ ფეოდალური ძალების ზრდა თავს იჩენდა არა მარტო საერო ცხოვრებაში, არამედ საეკლესიო სფეროშიც. ვახტანგ გორგასალის საეკლესიო რეფორმით ქართული ეკლესია რთულ აპარატად იქცა. ს. ჭანაშიას სიტყვებით, „ეს ფაქტი იმ მხრივაც საყურადღებო, რომ იგი მიუთითებს იმ ცენტრალურ პუნქტთა რიცხვის ზრდაზე, რომელთა გარშემოც ჯგუფდებოდნენ ქართლის ახალგაზრდა ფეოდალური ძალები“²³. ს. ჭანაშია საეკლესიო კათედრებთან მეტ-ნაკლებად განვითარებულ სენიორიულ ცენტრებს გულისხმობდა²⁴. V ს. ბოლოსა და VI ს. დასაწყისისათვის კახეთის საერისთავოს ტერიტორიაზე დასტურდება შემდეგი საეპისკოპოსო ცენტრები: რუსთავი, ნინოწმინდა, უჯარმა, ჩელეთი²⁵. ეს ნუსხა შეიძლება სრული არც იყოს. ერთი რამ კი უდავოდ ცხადია, რომ გორგასალის დროინდელ კახეთის საერისთავოში ჩვენ სახეზე გვაქვს მოგვიანო ხანაში არსებული თითქმის ყველა საეპისკოპოსო

19 იქვე, გვ. 159.
 20 იქვე, გვ. 185.
 21 იქვე.
 22 ი. ჭავჭავიძე ილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 43.
 23 ს. ჭანაშია, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 229.
 24 იქვე.
 25 ი. ჭავჭავიძე ილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1951, გვ. 301.



იმდენად, რამდენადაც გვიანფეოდალურ ხანაში კახეთის ტერიტორიაზე ჩნდებიან მხოლოდ ალავერდის, კაწარეთის („სამეგრეთსაჲსა და ხარჭაშენლის საეპისკოპოსო კათედრები.“

თუ ჩვენ ვახტანგ გორგასალის დროინდელ კახეთის ერისთავს ფარნავაზისეულ კახეთის ერისთავს შევეუდარებთ, აშკარად გამოჩნდება, რომ გორგასალის ეპოქის კახეთის ერისთავი უკვე ახალ, ფეოდალურ საწყისებზეა აღმოცენებული. ეხლა, V ს. იგი ცალკე ფეოდალურ სახლს, სენიორიას, საფეოდალოს წარმოადგენდა, მსგავსად იმავე V ს. „პიტიახშის სახლისა“. ცალკეული ფეოდალური სახლების, ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი იყვნენ ვახტანგ გორგასალის დროინდელი სხვა ერისთავებიც: მაგალითად: შიდა ქართლის მპყრობელი ჭუანშერ სპასპეტი, გრიგოლ, ერისთავი პერეთისა; ნერსარან, ერისთავი ზუნანისა; ადარნასე, ერისთავი სამშვილდისა და სხვ. ჭუანშერის ამ სიას თამამად შეიძლება დამატოს წუქეთის მთავრის სახლი. ამ საერისთავოს იმავე V ს. სწორედ ვახტანგ გორგასალმა ჩაუყარა საფუძველი, როდესაც მან აქ, წუქეთში, თავისი კაცი დასვა.

ზემოთ ჩამოთვლილი დიდმოხელე ერისთავები იგივე მთავრები იყვნენ, გარკვეული სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების, „ხევთა“, გამგებელი. ეს კარგად ჩანს თვით ქართული წყაროების მიხედვით, რომელთა მოწმობითაც ერისთავის კომპენტეცია იყო „მთავრობა... მათ გვეთა“ და რომ მას ეძლეოდა „ესე ქვენი განსაგებლად“²⁶.

ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ საერისთავოთა სათავეში წარჩინებულთა სახლები დგას. ეს ერისთავები წარჩინებულ აზნაურთა უმაღლეს კატეგორიას განეკუთვნებოდნენ. ერისთავები, სომხური ტერმინი რომ ვიხმაროთ, იგივე ნახარებები იყვნენ. მეტად მოსწრებულად ხმარობს ნ. ბერძენიშვილი ამ ერისთავების შესატყვისად „ლაზურ ლოგიმონებს“²⁷. და მართლაც, ბიზანტიურ მწერლობაში ქართულ „წარჩინებულს“, რომელიც საერისთავოს სათავეში იდგა, ჩვეულებრივად უკვე „ლოგიმონი“ უდრის, რაც სრული სემანტიკური კორესპონდენტია ქართული ტერმინისა (მაგალითად, პროკოფი კესარიელი VI ს-ისათვის იხსენიებს ლაზთა მეფის გუბაზის დროინდელ

²⁶ ძველი ერისთავთა, შ. მესხიას გამოცემა, გვ. 346.

²⁷ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 161.

ერთ-ერთ ლაზ ლოგიმონს ტერდეტესს, რომელსაც ეგრეთწოდებულ
 ლი მაგისტროსის ძალაუფლება ეპყრა ამ ხალხშიო, ე. ი. ლაზებში²⁸
 აღნიშნულ ხანაში ესა თუ ის ერისთავი (იგივე ფეოდალი²⁹)
 ლი) უმთავრესად სამეფო ხელისუფლებისაგან დროებით წარგე-
 ლობაში გადაცემულ „ნაწყალობევ“ („მოძრავ“) მიწებს ფლობს. ერ-
 ისთავი (resp. მთავარი) ამ დროს წარმოადგენდა მეტ-ნაკლებად
 მსხვილი საფეოდალოს პატრონს, რომელიც მეფის ვასალი იყო. ვახუ-
 შტის შესანიშნავად აქვს გაგებულთა ამბავი, რომ ერისთავნი სწო-
 რედ მთავართა და წარჩინებულთა წრიდან ინიშნებოდნენ მეფის მი-
 ერ რომელიმე მხარის სამართავად: „წესი ერისთავთა იყო მეფისა
 მიერ განწესება ქუეყანათა მიმართ და მის მიერ მოურნეობა. სამარ-
 თალი და ლაშქარნი მის ქუეყნისანი მის ქუეშევე იყვნენ, და იგინი
 მოკრეფდნენ ხარკთა სამეუფოთა. ხოლო ესე ერისთავნი დაიდგინე-
 ბოდნენ მთავარნი და წარჩინებულნი, და ძენი მათნი შეცვალებით“²⁹.
 ე. ი. ერისთავი მეფის სამსახურში თავისი დიდმოხელეობით სხვა მთა-
 ვრებთან შედარებით უფრო დაწინაურებული იყო მეფის მიერ. ფეო-
 დალური ურთიერთობის ამ საფეხურისათვის დამახასიათებელია
 „ნაწყალობევი“, პირობითი მიწათსაკუთრება, ბენეფიციუმი, რომე-
 ლიც დაკავშირებული იყო რაიმე ვალდებულებასთან (სამხედრო სა-
 მსახური და სხვ.). „ნაწყალობევი“ — ბენეფიციუმი ეძლეოდა სიცო-
 ცხლის განმავლობაში. მაგრამ უკვე ამ პერიოდშივე აშკარად თავს
 იჩენს ტენდენცია ნაწყალობევის და სამკვიდროს გაიგივებისა. ნ. ბე-
 რძენიშვილის სიტყვით, „ფეოდალი (ერისთავი) სულ იმის ცდაშია,
 რათა ნაწყალობევი სამკვიდროდ აქციოს, მეფე სულ იმის ცდაშია, რა-
 თა სამკვიდრო ნაწყალობევად აქციოს. ჩვენში ეს ბრძოლა არასოდეს
 დამთავრებულა და ფეოდალიზმის პირობებში ის ვერც დასრულდე-
 ბოდა“³⁰.

VI ს-დან (მეფობის გაუქმების შემდეგ) საერისთავოთა ისტორია-
 ში (მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩვენთვის საინტერესო კახეთის საერ-
 ისთავოს ისტორიაშიც) მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. ამიერი-
 დან იწყება ცალკეულ ერისთავთა (ფეოდალური სახლები) მიერ „მა-
 მულების შვილითი შვილამდე დაწერა“ ერისთავთა განცალკევება,

²⁸ გეორგიკა, ტ. II, ტექსტები ქართული თარგმანით გამოსცა და განმარ-
 ტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, გვ. 162.

²⁹ ვახუშტი, ზენი და ჩვეულებანი საქართველოსანი, იხ. ქართლის
 ცხოვრება, IV, გვ. 17.

³⁰ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII,
 გვ. 141.

განდგომა „თსთსად“ და საერისთავო მიწების მისაღწერება; რაც რომ, აზნაურთა ახალმა ხელისუფალმა, ქართლის ერისმთავარმა, „ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთავოთნა მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიძველნი მკვიდრობისათვის საერისთავოთა“³¹. საქმე იქამდის მიდის, რომ უკვე VII ს. დამდეგისათვის „ერისთავნი იგი თსს-თსსა საერისთავოსა შინა მკვდრობდეს შეუცვალელებლად“³². როგორც ვხედავთ, ამიერიდან ეს ერისთავები უბრალო მოხელეებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ისინი შეიქმნენ თავისებურ „ხელმწიფეებად“ თავიანთ საბრძანებელ საერისთავოებში; ისინი სრულუფლებიან მემამულეებად გვევლინებიან. აღნიშნული ხანის ქართლი სწორედ ასეთ მსხვილ და წვრილ სამფლობელოთა ერთობლიობას წარმოადგენს. ერთი სიტყვით, საერისთავო სამოხელეო ქვეყანა სამთავროდ იქცა, ამის შესაბამისად კი მოხელე ერისთავები მთავრები ხდებიან. ფეოდალური ურთიერთობის ამ ეტაპზე მიწის საკუთრების ისეთი ფორმა, როგორიც იყო „ნაწყალობევი“ — ბენეფიციუმი, შეიქცალა ფეოდალთა ან ლენით, რომელსაც მემკვიდრეობითი ხასიათი ჰქონდა. ყოველივე ამან თავისი ასახვა პოვა საისტორიო წყაროებშიც, სადაც უკვე ხშირად გვხვდება ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: „მთავარი წარჩინებული“, „მთავარი ერისთავი“ („დავით და ჭირიქანის“ წამება, IX ს. II ნახევარი. მასში ასახულია VII ს. შუა ხანების ვითარება).

ამრიგად, დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ უკვე VI ს. დასაწყისში მყარი საფუძველი ეყრება იმ მოვლენას, რომელმაც ცოტა მოგვიანებით (დაახლოებით ორი საუკუნის შემდეგ) კახეთის ადრე-ფეოდალური სამთავროს ჩამოყალიბებაში იჩინა თავი. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის (VI ს. — თ. 3.) შესახებ ს. ჯანაშია წერს: „აღებული პერიოდის მეორე ნახევრისათვის აქ (ე. ი. ქართლში — თ. 3.) უკვე ახალ ნიადაგზე ადგილობრივ ფეოდალურ სახელმწიფოებრიობასაც გაკვეთილი წარმატებისათვის მიუღწევია და აშკარად მოჩანს, ან უკვე წარმოქმნილ ან ჯერ ჩანასახად მოცემულ, ახალი ფეოდალური პოლიტიკური ერთეულების კონტურები“³³.

და მართლაც, ამ მცირე ისტორიული ექსკურსის შემდეგ, თუ ჩვენ ისევ კახეთის საერისთავოს მიუვბრუნდებით, ნათლად დავინა-

31 ქუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 221.

32 ქუანშერი, იქვე, გვ. 226.

33 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ.

ხათ, რომ აქაც ზემოთ აღწერილ მოვლენებს ჰქონდა ადგილი, ვერ
ძოდ, კახეთის საერისთავოს ტერიტორიაზე უკვე მკაფიოდ შეინიშნე-
ბა მსხვილი პოლიტიკური ერთეულების შექმნა. აგვიწერს ვი-
ვითარებას, ჟუანშერი გვაუწყებს „და შეიღნი ბაკურ მეფისანი, ნა-
თესაენი დაჩისნი, ვახტანგის ძისანი, რომელსადა მიეცა მეფობა ვახ-
ტანგ მეფესა, იგინი დარჩეს კახეთს. და დაიპყრეს კუხეთი და ჰერეთი
იორითგან, და დასხდეს უჯარმოს, და იყვნეს მორჩილებასა გუარამ
კურაპალატისასა“³⁴. ჟუანშერის ამ მეტად ნიშანდობლივი ჩვენებიდან
ის საგულისხმო დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ აქ ჩვენ საქმე უნ-
და გვქონდეს კახეთის საერისთავოს ტერიტორიაზე წარმოქმნილ
ისეთ მსხვილ პოლიტიკურ ერთეულთან, რომლისგანაც შემდეგში
ადრეფეოდალური კახეთის სამთავრო გაჩნდება. გადაუჭარბებლად
შეიძლება ითქვას, რომ აქ ჩანასახის სახით უკვე მოხაზულია მომავალ-
ი „რანთა და კახთა“ სამეფოს კონტურებიც. ამას მოწმობს ის ფაქ-
ტი, რომ ამ ერთეულში კახეთისა და კუხეთის გარდა, გაერთიანებუ-
ლია ჰერეთიც. საგარეო ხასიათის პოლიტიკურმა ფაქტორებმა დააბ-
რკოლეს ამ ერთეულის სამთავროდ ჩამოყალიბება, მისმა ხელისუფ-
ლებმა ვერ მოახერხეს მოპოვებული მდგომარეობის სტაბილირება.
სამთავროს შექმნის საკითხი ახლო მომავლისათვის გადაიდო.

§ VII ს. კახეთის საერისთავოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ეს
მსხვილი პოლიტიკური ერთეული დაიშალა: მას დროებით ისევ ჩა-
მოსცილდა კუხეთი და ჰერეთი. ასეთი ვითარება კარგად აისახა VII
ს. ერთ-ერთ არაბულ დოკუმენტში. ეს არის ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაც-
ვის სიგელი“, რომელშიც დაცულია VII ს. ქართლის პროვინციების
ნუსხა. აქ სრულიად გარკვევით ჩანს, რომ არაბებს საქმე აქვთ რიგ
პოლიტიკურ ერთეულებთან, ქვეყნებთან. ესენი არიან ისეთივე „სამ-
თავრო“-„სახელმწიფო“ ქვეყნები, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქო-
ნდა საუბარი. თითოეული მათგანი ცალკე, როგორც სრული ბატონ-
პატრონი თავისი სამფლობელოსი, მოდის არაბთა მხედართმთავარ-
თან და დამოუკიდებელ ხელშეკრულებას დებს. და აი, ამ ზემოხსე-
ნებულ არაბულ დოკუმენტში, რომელიც შემონახულია არაბი გეოგ-
რაფის ბალახურის თხზულებაში³⁵, აღნიშნულია, რომ ჰაბიბმა ზავი
დაუდო... კლარჯეთის ხალხს, თრიალეთის ხალხს, კახეთს, კუხეთს,

³⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 219.

³⁵ Баладзори, Книга завоевания стран, Текст и перевод. Перевод с арабского проф. П. К. Жузе, Баку, 1927, გვ. 18.



არტანს, დარიალანს, წანარს და დიდოელს³⁶. როგორც ვხედავთ, ამ დოკუმენტის მიხედვით, კახეთი და კუხეთი ცალ-ცალკეა წარმოდგენილი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, კახეთის ცალკე, დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროდ ჩამოყალიბება ქრონოლოგიურად განისაზღვრება VIII ს. უკანასკნელი მეოთხედითა და IX ს. დასაწყისით; სამწუხაროდ, საისტორიო წყაროებმა ვერ შემოგვიჩვენეს ცნობები, რომელნიც დაგვეხმარებოდნენ თვით ამ გამოცალკევების პროცესის შესწავლაში. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი თავის თხზულებაში ამ მოვლენასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთ მეტად მოკლე და მშრალ ფრაზას ხმარობს: „და გრიგოლი მთავრობდა კახეთს“³⁷. იგი საერთოდ არაფერს გვეუბნება, თუ როგორ და რა პირობებში მოხდა კახეთის ცალკე სამთავროდ გამოყოფა. მისი ცნობიდან ცხადი ხდება მხოლოდ ის ფაქტი, რომ ეს გრიგოლი აშოტ ბაგრატიონის (კუროპალატის — 786—826) თანამედროვე იყო. ჭერ კიდევ ი. ჯავახიშვილი საესებით სამართლიანად მიუთითებდა ადრეფეოდალური კახეთის სამთავროს ისტორიის ამ მეტად მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ. იგი წერს: „აშოტ კუროპალატის (787—826) დროსვე ცხოვრობდა გრიგოლი, რომელიც „მთავრობდა კახეთს“. მემათიანე დუმს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში იყო კახეთი წინათ, ან რომელ გვარეულობას ეკუთვნოდა გრიგოლი და როდის გამოცოცხლდა კახეთი. ამიტომ მკვლევარი იძულებულია კახეთის მაშინდელ მდგომარეობაში წარსული დროის ამბავი ამოიკითხოს. კახეთი, სახელდობრ, გრიგოლის დროს იმდენად ძლიერი იყო, ...რომ უეჭველია იქ ხალხი გრიგოლზე უწინ უნდა ამოძრავებულ იყო“³⁸. ი. ჯავახიშვილის ამ ღრმა მეცნიერული და სწორი დაკვირ-

³⁶ M. C. D'ohsson, Des peuples du Caucase, Paris, 1828, გვ. 53—54; M. Chazarian, Armenien unter der arabischen Herrschaft, გვ. 27, 80—82; იხ. აგრეთვე, ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 73; მ. ლორთქიფანიძე, ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელი“, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბ., 1951, გვ. 81; ე. სიხარულიძე, არაბულ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. არაბული „დაცვის სიგელები“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 73, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბ., 1959, გვ. 175; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 28; A. H. Тер-Гевондян, Армения и арабский халифат, Ереван, 1977, გვ. 43.

³⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 252.

³⁸ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 91.

ვებიდან ჩვენ ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ კახეთის ადგილ-
ფეოდალური დამოუკიდებელი სამთავროს ჩამოყალიბება ქრონოლო-
გიურად გრიგოლის მთავრობაზე გაცილებით უფრო ადრე უნდა და-
ჩიოდეს უნდა მივაკუთვნოთ. ბიზანტიის მხრიდან მომდინარე შფარ-
ველობის გავრცელება კახეთზე, რა თქმა უნდა, არ იყო მოსალოდ-
ნელი და მისი მმართველნი ვერ გამოიყენებდნენ მას თავიანთი პოლი-
ტიკური ინტერესების სასარგებლოდ. აქ, ჩვენის აზრით, მხოლოდ ვა-
ჩაულის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ კახეთის ხელისუფალთა
მიერ ადგილი ჰქონდა ხაზართა და, საერთოდ, კავკასიის მთიელთა (მათ
შორის, უპირველეს ყოვლისა, წანართა) დამხმარე ძალების გამოყე-
ნებას. ანალოგიური მოვლენა შეიმჩნევა, მაგალითად, ვახტანგ გორ-
გასალის ეპოქაში. ძირითადი და გადამწყვეტი ფაქტორის როლს კა-
ხეთის სამთავროს, როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-სახე-
ლმწიფოებრივი ერთეულის, წარმოქმნა-ჩამოყალიბების პროცესში
ასრულებდა, ერთის მხრივ, თვით კახეთის ქვეყნის შინაგანი განვითარ-
ება, ხოლო, მეორე მხრივ, საგარეო პოლიტიკური ვითარება. დავი-
წყოთ ამ უკანასკნელი ფაქტორის განხილვით.

ჯერ კიდევ VII ს. დასასრულს არაბთა სახალიფო უაღრესად
მწვევე შინაპოლიტიკურმა წინააღმდეგობებმა მოიციევს. VIII ს. სო-
მეხი ისტორიკოსის ლევონდის გადმოცემით, ხალიფა აბდ-ალ-მალიქის
მეფობაში (685—705 წწ.) „არაბეთში ამტყდარი შინაური შფო-
თის დროს სომეხებმა, ქართველებმა და ალბანელებმა, ოცდაათი წლის
მორჩილების შემდეგ, უარი სთქვეს არაბებისათვის ხარკის ძღვევაზე“.
იმავე ლევონდის მოთხრობით, შფოთი და კავკასიელი ხალხების გან-
დგომა მომხდარა აბდ-ალ-მალიქის მმართველობის მეორე წელს, ე. ი.
686 წ. სომეხ-ქართველ-ალბანელთა ურჩობა, განაგრძობს ლევონ-
დი, სამ წელიწადს (ე. ი. 689 წლამდე — თ. პ.) გაგრძელდა³⁹.

ხალიფა აბდ-ალ-მალიქმა დროებით შეძლო ჩაექრო სახალი-
ფოს შიგნით ხუთი წლის განმავლობაში ხელისუფლების ხელში
ჩაგდებისათვის მიმდინარე შინაომი და იმ მიზნით, რომ განემტკი-
ეებინა თავისი მდგომარეობა, დააჩქარა ბიზანტიასთან სამშვიდობო
ხელშეკრულების დადება. ბიზანტიელი ისტორიკოსის თეოფანე
ქრონოგრაფის მოწმობით, 686 წელს ბიზანტიის კეისარს იუსტინი-
ანი II (685—695) და აბდ-ალ-მალიქს ზავი შეუკრავთ. საზავო პი-
რობების მიხედვით, არაბებსა და ბიზანტიელებს ერთდროულად

³⁹ История халифов вардапета Гевонда, писателя VIII в., Русск. пер. К. Патканяна, СПб., 1862, гл. 9—10.



უნდა ებატონათ კუნძულ კვიპროსის, სომხეთისა და იბერიის (ქართლის) ქვეყნებზე, ე. ი. ხარკი ამ ქვეყნებიდან შემოსულს უნდა ეხდინათ უნდა გაენაწილებინათ. ზავი დადებულ იქნა ათიზ წლებში⁴⁰. ცხადია, როცა არაბები ბიზანტიელებს წილს უდებენ ამ ქვეყნების ხარკში, ამით ისინი სწორედ ადასტურებენ ლევონდის მიერ მოთხოვნილ ამბავს ხსენებული ხალხების ამბოხების შესახებ⁴¹. მაგრამ სამშვიდობო ხელშეკრულების დადებიდან მესამე წელს, ე. ი. 688 წ., იუსტინიანე კეისარს ამიერკავკასიაში გაუგზავნია სტრატეგი ლეონტი, რომელსაც, თეოფანე ქრონოგრაფის ვადმოცემით, გაუტელეტია აქაური არაბული გარნიზონები და დაუპყრია სომხეთი, ქართლი, ალბანეთი და მოვჯანი (Βουχαγια, უნდა იყოს „მუჯანია“ — თ. პ.)⁴².

ზემოთ აღწერილი რთული პოლიტიკური ვითარებით და ამიერკავკასიის ქვეყნებში ხალიფატის ძალაუფლების შესუსტებით მოხერხებულად სარგებლობდნენ ხაზარებიც. ხალიფა აბდ-ალ-მალიქის ზეობის მეოთხე წელს (689 წ. — თ. პ.), როგორც ლევონდი გვაუწყებს, ხაზარებმა დაიმორჩილეს სომხეთი, მოკლეს ბრძოლაში მთავარი გრიგოლი და აგრეთვე ქართლისა და ალბანეთის ნახარაბები და მთავრები⁴³. ხაზართა ამ შემოსევის შესახებ მოგვითხრობს აგრეთვე მეორე სომეხი მემატთანე ასოლიკი (სტეფანოს ტარონაცი, X—XI სს.), რომელიც აღნიშნავს, რომ გრიგოლ მამიკონიანის დაღუპვის შემდეგ სომხეთის მთავრად დანიშნულ იქნა პატრიკიოზი აშოტ ბაგრატიუნი (685—688), რომლის დროსაც ხაზარებმა სასტიკად ააოხრეს და მოარბიეს სომხეთის ქვეყანა. მათ (ე. ი. ხაზარებმა — თ. პ.) 685 წელს (როგორც ვხედავთ, ასოლიკი ლევონდისთან შედარებით მცირედ განსხვავებულ თარიღს უჩვენებს—თ. პ.) ხელში ჩაიგდეს სომხეთი, იბერია, ალბანეთი და ბრძოლაში მოკლეს სომხეთისა და ქართლის მთავრები⁴⁴.

VIII ს. დასაწყისისათვის ომაიანებმა ერთგვარად შეძლეს განემტკიცებინათ თავიანთი ძალაუფლება სომხეთში, ქართლში და ალ-

⁴⁰ Ю. Кулаковский, История Византии, Киев, 1915, т. III, 33-254.

⁴¹ ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 366.

⁴² Ю. Кулаковский, История Византии, III, 257.

⁴³ Гевонд, 33-10.

⁴⁴ Всеобщая история Степного Таронского Асохика по прованию, русск.-пер. Н. Эмина, кн. II, гл. II, Москва, 1864, 33-72.



ბანეთში. უნდა აღინიშნოს, რომ თავიანთი საომარი ოპერაციების დაწყებისთანავე როგორც სახალიფო, ასევე ხაზარები მიმდინარეობდა: ნენ ჩრდილო კავკასიის რაიონებისაკენ, განსაკუთრებით ყაზახეთისაკენ — დარიალის გასასვლელში, დარუბანდის (ბაბ-ალ-აბვაბ) ყელსა და სხვა ზეკარებთან, რის გამოც მათ შორის მიმდინარეობდა შეურიგებელი ბრძოლა. ხალიფატის ლტოლვა თავის ხელში მოექცია კონტროლი ამ გასასვლელზე, საკმაოდ მკაფიოდ შეიმჩნევა არაბულ წყაროებში⁴⁵. როგორც არაბები, ასევე ხაზარები მთელი თავიანთი სამხედრო ძალებით ყოველნაირად ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ეს „ზეკარები“, რომელთაც მათთვის უაღრესად დიდი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდათ. აღნიშნული „ზეკარები“ წარმოადგენდნენ შემაერთებელ რგოლებს, რომელნიც ერთმანეთთან აკავშირებდნენ კავკასიის სხვადასხვა რაიონებს, იმერ და ამიერკავკასიას. კავკასიონზე გამავალი ამ გასასვლელების ხასიათი, დანიშნულება და მნიშვნელობა სწორედ ხაზარების მაგალითზე შესანიშნავად აქვს განსაზღვრული ლეონტი მროველს: „და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღვს-კარი დარუბანდი და არავს-კარი, რომელ არს დარიალი. და განამრავლეს ხაზართა გამოსლვა და ტყუენვა მათი და ვერღარა წინააღუდგეს“⁴⁶. და აი, ეხლაც, ჩვენთვის საინტერესო ხანაშიაც (VII—VIII სს.) ხალიფატის შესვეურებში ერთობ დიდ შემოფოთებას იწვევდა ჩრდილოეთის მხრიდან ხაზართა შემოსევების მუდმივი საფრთხე და აიძულებდა მათ დაუყოვნებლივ მიეღოთ სპასუხო ღონისძიებანი.

725/6 წ. ხალიფა ჰიშამმა (724—743 წწ.) ხალიფატის ჩრდილო მხარეთა ნაცვლის თანამდებობიდან გადააყენა ჭარაპ იბნ-აბდულაჰ ალ-ჰაკამი და მის ადგილზე დანიშნა სარდალი მასლამა (725—729 წწ.). უკვე 727/8 წ. ხაზარეთში ირანის აზერბაიჯანის მხრიდან იგზავნება დიდი სამხედრო ექსპედიცია, რომელსაც სათავეში უდგება მასლამა. არაბი ავტორების იბნ-ალ-ასირისა და იაკუბის მოწმობით, მასლამა ხაზარეთის ლაშქრობიდან დაბრუნდა ნადავლითა და ტყვეებით. ერთი წლის შემდეგ, 728/9 წ. მასლამა კვლავ აწყობს ლაშქრობას ხაზარეთში, ამჯერად დარიალის ხეობის გავლით. შეიჭრა რა ხაზარეთში, მას-

⁴⁵ Баладзори, Книга завоевания стран. Текст и перевод с арабского П. К. Жузе, «Материалы по истории Азербайджана», Баку, 1927, 33-13, 17—18; Якубн, История, пер. П. К. Жузе, 133, 33-6—7.

⁴⁶ ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 12.



ლამა შეხვდა ხაკანს და თითქმის ერთი თვის განმავლობაში ერთ-ერთა მას; მაგრამ კოკისპირული წვიმების გამო არაბებმა რაიმე არაქებით წარმატებებს ვერ მიაღწიეს და უკან დაბრუნდნენ⁴⁷. ლოპნოცეში გრაფი მასუდი (X ს.) დაწერილებით მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ დაიპყრო მასლამამ ამ ლაშქრობის დროს დარიალის ხეობაში მდებარე ერთ-ერთი უძველესი ციხესიმაგრე, რომელიც სახელგანთქმული ყოფილა თავისი მიუდგომლობით. მასუდის ცნობით, მასლამას ამ ციხეში არაბთა გარნიზონი ჩაუყენებია, მათი სურსათ-სანოვაგით მომარაგება ხდებოდა თბილისიდან, რომელიც ამ ციხესიმაგრიდან თურმე ხუთი დღის სავალზე მდებარეობდა⁴⁸.

არაბთა ამ ლაშქრობებმა მაინც ვერ შეუშალეს ხელი ხაზარებს. სისტემატურად თავს დასხმოდნენ არაბთა სამფლობელოებს ამიერკავკასიაში. 729/30 წ. ხალიფა ჰიშამმა მასლამა უკან გაიწვია და ამიერკავკასიის საქმეები ისევ ჯარაჰს ჩააბარა. იზნ ალ-ასირის ცნობებით, იმავე წელს ჯარაჰი თბილისიდან დარიალის ხეობის გავლით შევიდა ხაზარეთში და მიაღწია ქალაქ ალბეიდა-მდე, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ლოკალიზდება მდ. ვოლგის ქვემო წელზე, და მშვიდობიანად დაბრუნდა უკან⁴⁹.

ამრიგად, თითქმის VIII ს. მთელი პირველი მესამედის განმავლობაში ხალიფატი აწარმოებს შეურთგებელ ბრძოლას ხაზარების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მიზანი სავსებით ცხადი იყო: სახალიფოს მიერ გაბატონებული მდგომარეობის მოპოვება როგორც კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალურ რაიონებში, ასევე ამიერკავკასიაში. არაბთა ასეთი განუწყვეტელი იერიშების საპასუხოდ ხაზარებმაც დაიწყეს მზადება სერიოზული შეტევითი საომარი ოპერაციების ორგანიზებისათვის. 730 წ. ხაზარები მთელს არმინიას მოედნენ (ტერმინი „არმინია“ აქ ამიერკავკასიის მნიშვნელობით არის ნახმარი—თ. პ.). ამავე წელს, ლევონდის გადმოცემით, ხაზართა ლაშქარმა გამოიარა ჰუნების მიწა-წყალი, განვლო დარუბანდის კარი, მასკუტთა ქვეყანა, გადალაზა მდ. არაქსი და ფაიტაკარანში შეიჭრა: გზადაგზა, სადაც კი

⁴⁷ М. И. Артамонов, История Хазар, Ленинград, 1962, сс. 209—210; А. Н. Тер-Гевондян, Армения и арабский халифат, Ереван, 1977, сс. 87.

⁴⁸ Масуди, Из книги «Луга золота и рудники драгоценных камней»; Н. А. Караулов, Сведения арабских географов IX—X вв. о Кавказе, Армении и Азербайджане, СМОМПК, вып. XXXVIII, Тбилиси, 1908, сс. 53—54.

⁴⁹ М. И. Артамонов, История Хазар, сс. 211.



შეხედებოდნენ, ყველა მუსლიმანს ელექტდნენ⁵⁰. ჭარაპი, რომელიც ამ დროს შაქში იდგა გამოსახამთრებლად, შეიტყო რა ხაზარებელთა ქრის გამოჩენა, უმალვე დაიძრა ბარდავისაკენ, ხოლო აქედან მარტვიკის ბილისაკენ გასწია, რათა იქ დალოდებოდა მტრებთან შეხედრას. მთელი ამ ხნის განმავლობაში ხაზარები კარგად იყვნენ გაცნობილი არმინიაში შექმნილ მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ ამის შესახებ ინფორმაციას მათ, როგორც ამას ბალაძორი გვატყობინებს, ქართლის მთავარი აწვდიდა⁵¹. ხაზარებმა ალყა შემოარტყეს ვარდანაკერტს (ვარსანი) მდ. არაქსზე, ხოლო ჭარაპი იძულებული შეიქნა უკან დაეხია. არდებილის ველზე გამართულ ბრძოლაში ხაზართა მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა არაბებზე, თვით ჭარაპი ამ ბრძოლაში მოიკლა. მისი 25-ათასიანი არმიიდან მხოლოდ მცირე ნაწილია უშველა თავს გაქცევით⁵². ასეთი კატასტროფით დაშთავრდა არაბთა სარდლის ჭარაპ იბნ-აბდულაჰ ალ-ჰაკამის საომარი ოპერაციები ხაზართა წინააღმდეგ.

როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, სახალიფო შედარებით მტკიცედ იკიდებს ფეხს ამიერკავკასიაში მასლამას შემკვიდრის — ამირასა და მხედართმთავრის მარვან იბნ მუჰამად II-ის (მურვან ყრუს) დროს. მარვან იბნ მუჰამად II-ის ამიერკავკასიაში ხალიფას ნაცვლის თანამდებობაზე ყოფნა მოიცავს 732—743 წლებს. სწორედ აღნიშნულ პერიოდში) ჰქონდა ადგილი მურვან ყრუს ლაშქრობებს სომხეთში (732 წ.), ხაზარეთში (735 წ.), ქართლსა (736—738 წწ.) და ალბანეთში (737/8 წ.). 743—744 წწ. მარვანი საბოლოოდ ტოვებს ამიერკავკასიას⁵³ და მიემართება სირიაში, სადაც მის პოლიტიკურ მოღვაწეობაში ახალი ხანა იწყება. აქ იგი გვევლინება როგორც ომაიანთა დინასტიის უკანასკნელი ხალიფა (744—750). მარვანის ამიერკავკასიიდან წასვლის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში შეიმჩნევა პოლიტიკური მდგომარეობის ერთგვარი სტაბილიზაცია, რომელიც გაგრძელდა სახალიფოს ტახტზე აბასიანთა დინასტიის ფუძემდებლის აბუ-ჟაფარის (754 — 775 წწ.) ასვლამდე.

⁵⁰ Гевонд, История Халифов, гл. 71—72.
⁵¹ Баладзори, Книга завоевания стран, гл. 16.
⁵² Ибн ал-Асир, Из Тарих-ал-Камил (Полного свода истории), «Материалы по истории Азербайджана», Баку, 1940, гл. 26; Баладзори-Жузе, гл. 16; М. Н. Артамонов, История хазар, гл. 212—213; А. Н. Тер-Гевондян, Армения и арабский халифат, гл. 87—88.
⁵³ ი. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 76; ს. ჭავჭავაძის შრომები, II, გვ. 375—376.



და აი, ერთობ საყურადღებოა ის გარემოება, რომ სწორედ შემოთ აღნიშნული პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის, განსათვის, სახელდობრ კი, VIII ს. 40-50-იანი წლებში სწორედ ეს განკარგულებაშია ქართულ საისტორიო წყაროთა მეტად საგულისხმო ჩვენებანი, რომელნიც ნათლად მეტყველებენ კახეთის სახელმწიფოსა და მისი მესვეურების სიძლიერეზე, მათი ძალების ზრდაზე. ეს ცნობები შემონახულია VIII ს. ანონიმურ მატეიანეში, რომელიც ექსცერპტის სახით ჩართულია ჯუანშერის სახელით ცნობილ თხზულებაში, და ეხებიან მურვან ყრუს შემოსევათა ეპოქას, აფხაზეთში კეისრის ერისთავის ლეონის („ერისთავი კეისრისა ლეონ“) მმართველობის ხანას, ე. ი. VIII ს. მეორე მეოთხედს. ანონიმი მემატეიანის თხზულების ტექსტის იმ ნაწილს, რომელშიც აღწერილია მირისა და არჩილის საომარი ოპერაციები მურვანის წინააღმდეგ და მათი გახიზნვა აფხაზეთში, მოსდევს საინტერესო თხრობა არჩილის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესახებ კახეთში.

გარდა ზემოხსენებული VIII ს. ანონიმური მატეიანისა, არჩილის მთავრობის ისტორიისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ისეთი საგანგებოდ დაწერილი თხზულება, როგორიცაა „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი იყო მეფე ქართლისა“. ეს თხზულება, რომელსაც ლეონტი მროველს მიაწერენ, არჩილის შესახებ შეიცავს ანგარიშგასაწევ ფაქტიურ მასალას, ნიშანდობლივი ხასიათის ცნობებსა და დეტალებს. არჩილთან დაკავშირებით საგულისხმო ჩვენებებს გვაწვდის ზოგიერთი გვიანდელი დოკუმენტური წყაროც. დასასრულ, არჩილის ეპოქის შესწავლის საქმეში გარკვეულ დახმარებას გვიწევენ მატერიალური კულტურის ძეგლები.

არჩილის ზეობის ქრონოლოგიის დადგენის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტად ძნელი გადასაჭრელი აღმოჩნდა. დღემდე ზუსტად არ არის განსაზღვრული არჩილის მმართველობის პერიოდი და მის შესახებ მკვლევართა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არჩილის ზეობის თარიღზე სხვადასხვა მკვლევართა მიერ გამოთქმული შეხედულებებისათვის დამახასიათებელია ურთიერთ საწინააღმდეგო და ურთიერთის გამომრიცხველი საბუთიანობა⁵⁴. პირადად ჩვენ არჩილი VIII ს. 30-50-იანი წლების მოღ-

⁵⁴ ვახუშტი, მისი ქრონოლოგიით, არჩილი მოღვაწეობდა 668—718 წწ., იხ. საქართველოს ძველი ისტორია, აღწერა, გვ. 125—126; დ. ბაქრაძე ევრდნობა ვახუშტი ბავრატონს და მის მსგავსად არჩილის მოღვაწეობას 668—718 წწ. სდებს, იხ. მისი, საქართველოს ისტორია, ტფილისი, 1889, გვ. 199;

ვაწედ გვესახება, როგორც ამას პ. ინგოროყვაც ფიქრობს. ეს განსაკუთრებული წერს: „რა დროს ეკუთვნის არჩილის მთავრობა? ვახუშტი, ბატონიშვილის ქრონოლოგიით არჩილის მთავრობა მეფე დედოფანის 668—718 წლებს და არჩილის წამების თარიღად 718 წელი არის მიჩნეული. სხვა ქართველი ისტორიკოსები არჩილის წამების თარიღის განსაზღვრის დროს მერყეობენ მთელი 70 წლის მანძილით: 718 წლიდან — მე-8 საუკუნის ოთხმოციან წლებამდე. პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე შესაძლო ხდება საკმაო ზედმიწევნით დადგენილ იქნეს არჩილის მთავრობის წლები: მე-8 საუკუნის 30-იანი წლებიდან 50-იან წლებამდე (ანუ უფრო მიახლოებით 732 — 759 წლები)“⁵⁵.

არჩილის ზეობის ქრონოლოგიის განსაზღვრისას ამოსავალ ვითარებად უნდა მივიჩნიოთ ჯუანშერის ქრონიკაში ჩართული VIII ს. ანონიმის ზოგადი ქრონოლოგიური მითითება. კერძოდ, ანონიმის ჩვენების თანახმად, არჩილი მურვან ყრუს შემოსევების თანამედროვე პირია. ამასვე ადასტურებს აგრეთვე „დავითისა და კონსტანტინეს“ მარტვილობაც. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მურვანი კავკასიაში ხალიფას ნაცვლად იყო 732—744 წწ., მაშინ არჩილის ზეობის დასაწყისი და მისი მმართველობის მომდევნო 12 წელი შეიძლება სწორედ ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთს დაეუკავშიროთ. ყოველივე ზემოთქმული კი საფუძველს გვაძლევს, უარვესოთ ვახუშტისა და მასზე დამყარებით იმ მკვლევართა შეხედულებანი, რომელ-

პ. ინგოროყვა — 732—759 წწ., იხ. ლეონტი მროველი — ქართველი ისტორიკოსი, „მამბავთა მწერალი“, მე-8 საუკუნისა, ენიშკ-ის მოამბე, X, თბ., 1951, გვ. 143; კ. კეკელიძე — მისი აზრით, არჩილის წამებას ადგილი უქონდა 787 წლის შემდგომ, იხ. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, თბ., 1951, გვ. 222—223; მ. ლორთქიფანიძე იმეორებს კ. კეკელიძის შეხედულებას, იხ. ფოთალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 15—16; ნ. ბერძენიშვილი — VIII ს-ის 40—50-იანი წლები, იხ. საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 120; დ. მუსხელიშვილი — 705—745 წწ., იხ. უჩარმა, გვ. 99; გ. აბრამიშვილი, 719—745 წწ., იხ. სტეფანოზ მამყალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977, გვ. 35; ა. ბოგვერაძე — VIII ს-ის 40—50-იანი წლები, იხ. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII სს-ში, თბ., 1979, გვ. 104; იხ. აგრეთვე ჩემი „პერეთი“ — გვ. 173—175.

⁵⁵ პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი — ქართველი ისტორიკოსი „მამბავთა მწერალი“, გვ. 143.

ნიც არჩილის მოღვაწეობის ხანას 668 — 718 წწ. შემოთავაზდნენ.

თუ როდემდის გავრძელდა არჩილის ზეობა, ამ კვლევად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მატიანე ქართლისას ზოგადი ხასიათის ქრონოლოგიური მითითება, რომლის თანახმადაც არჩილი 761 წლისათვის უკვე გარდაცვალებულად მოიხსენიება. როგორც ცნობილია, მატიანე ქართლისას ავტორი თბრობას იწყებს არჩილის წამების შემდეგდროინდელი ამბებით. იგი აღნიშნავს: „რაცამს აღესრულა წმიდა მოწამე არჩილ, დაშთეს შვილნი მისნი იოვანე და ჟუანშერ. წარვიდა იოვანე ეგრისად... ხოლო ჟუანშერ და ორნი დანი მისნი დაშთეს ქუეყანასა ქართლისასა და კახეთისასა“⁵⁶. ჟუანშერის კახეთში მმართველობის შესამე წელს, იმავე მემატიანის ცნობით, აღმოსავლეთ საქართველოში ადგილი ჰქონია ხაზართა ლაშქრობას, რომლის მიზეზად მემატიანეს ამ ჟუანშერის დის შუშანისადმი ხაზართა ხაკანის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი დაუდევს საფუძვლად. მატიანე ქართლისას ავტორი მოგვითხრობს: „შემდგომად სამისა წლისა მოგზავნა ხაკანმა სპასალარი თუსი ბლუჩან: გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად; მოადგა ციხესა, რომელსა შინა იყვნეს ჟუანშერ და დაჲ მისი შუშან, და მცირედთა დღეთა წარილო და ტყუე ყვნა იგინი: შემუსრა ქალაქი ტფილისი, წარტყუნა ქართლი და ყოველივე ესე ქვეყანა“⁵⁷. ხაზართა ამ შემოსევის თარიღი ქართულ ისტორიოგრაფიაში ზუსტად არის დადგენილი. როგორც ი. ჯავახიშვილი ფიქრობდა, აქ სომხური და არაბული წყაროებით კარგად ცნობილი ხაზართა 764 წ. შემოსევა უნდა იგულისხმებოდეს⁵⁸. და მართლაც, სომეხი ისტორიკოსის ლევონდის ცნობით 764 წელს, მეორე აბასიდი ხალიფა მანსურის დროს (754—775), ხაზართა ხაკანის მრავალრიცხოვანი ლაშქარი მხედართმთავარ რაყთარხანის წინამძღოლობით ალბანეთსა და აღმოსავლეთ საქათველოს შემოსევია. სომეხი მემატიანის ცნობაში ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ხაზარებს ამ შემოსევისას კახეთი და მასში შემავალი ოლქები: ჩელეთი, ველისციხე, თიანეთი, (ხერკი დაულაშქრავთ და მრავალი ტყვითა და ალაფით უკან გაბრუნებულან⁵⁹. ქართველ-სომეხ მემატიანეთა ზემომოტანილ ცნობებს ხაზართა მიერ აღმოსავლეთ საქარ-

⁵⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 249.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 77—78.

⁵⁹ Гевонд, История халифов, гв. 92—93.



თველოს აოხრების შესახებ არაბი ისტორიკოსები იბნ ალ-ასირი და იაკუბიცი ამოწმებენ. იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ 761 წელს (ჰიჯრ. 147 წ.) თურქთა (ანუ ხაზართა — თ. პ.) ლაშქარმა ასთარხანის წინამძღოლობით დარუბანდით გამოვიდა, ტფილისში შეიჭრა და გაძარცვა იგი. შემდეგ ხაზარები თავს დასხმიან სომხეთში მყოფ მუსლიმანებს და დიდძალი ტყვე ჩაუვდიათ ხელში. ხალიფა მანსურმა თავისი ჯარი გაგზავნა მათ წინააღმდეგ, მაგრამ არაბები დამარცხდნენ⁶⁰. იაკუბი ადასტურებს იბნ ალ-ასირისა და ლევონდის მონაცემებს მცირეოდენი განსხვავებით: იგი ხაზართა მხედართმთავარს იხსენიებს რასთარხანის სახელით⁶¹, რაც, ჩვენი აზრით, უფრო ახლო შეესატყვისება ლევონდის რაფთარხანს, ვიდრე იბნ ალ-ასირის ასთარხანს, როგორც ვხედავთ, არაბულ წყაროთა მონაცემები შესანიშნავად ეთანხმებიან მართლაც ქართლისას ცნობას ხაზართა შემოსევის მიმართულების შესახებაც: ქართველი მემკვიდრის გადმოცემით, ხაზარნი ლეკეთის გზით შემოვიდნენ, არაბული წყაროების ცნობებითაც ისინი დარუბანდით შემოსევიან; შემდეგ, ქართული წყაროს მიხედვით, ისინი კახეთში შემოსულან და იქიდან ტფილისში; ხოლო რაკი არაბი ისტორიკოსი ადასტურებს ტფილისის აღებას, თავისთავად ცხადია, რომ ხაზარებს დარუბანდიდან კახეთზე უნდა გამოეკლათ⁶².

ხაზართა კახეთში შემოსევის ზუსტი თარიღის დადგენის შემდეგ ისევ დავებრუნდეთ მართლაც ქართლისას ქრონოლოგიურ მითითებას არჩილის ზეობის საკითხთან დაკავშირებით. ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, რომ 764 წლის ხაზართა შემოსევას კახეთში ადგილი ჰქონდა ჟუანშერის მმართველობის მესამე წელს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, უნდა ვიფიქროთ: ჟუანშერმა, როგორც არჩილის მემკვიდრემ, დამოუკიდებელი მმართველობა კახეთში დაიწყო 761 წელს. ხოლო ამ წლისათვის ან ამ წლის მახლობელ ხანაში, როგორც ამას მართლაც ქართლისას ავტორი აღნიშნავს, არჩილის გარდაცვალება უკვე მომხდარი ფაქტია. სამწუხაროდ, მართლაც ქართლისას გამოთქმა „რაჟამს აღესრულა წმიდა მოწამე არჩილ“ უფრო ზედმიწევნით დათარიღების უფლებას არ გვაძლევს. „რაჟამს აღესრულა“ სრულიად არ ნიშნავს, თითქოს არჩილი სწორედ 761 წელს აწამეს. ამიტომ შესაძლებელია პ. ინგოროვყას თარიღი არჩილის წამებისა — 759 წელი — უფრო სწორიც იყოს, ვიდრე, ვთქვათ, ვახუშტის თარი-

⁶⁰ Ибн а-л-Асир, Из Тарих-ал-Камилъ, гл. 34.

⁶¹ Якуби-Жузе, гл. 9.

⁶² ი. ჭავჭავიძეილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 78.



ლი (718 წ.) ან სხვა მკვლევარებისა (იხ. ზემოთ). ყოველივე ზემოთ-
 კმული საფუძველს გვაძლევს, რომ ვივარაუდოთ: არჩილის ზეობა
 50-იანი წლების ბოლომდე უნდა გაგრძელებულიყო. ამას
 თავის დროზე პ. ინგოროყვა და ნ. ბერძენიშვილიც ვარაუდობდნენ.
 ამ უკანასკნელის შეხედულებით, არჩილი ქვეყანას მართავდა VIII ს.
 40-50-იან წლებში⁶³. ამგვარად, ჩვენი შეხედულებით, არჩილის ზეო-
 ბის ხანა შეიძლება განისაზღვროს დაახლოებით VIII ს. 30-50-იანი
 წლებით.

VIII ს. ანონიმური წყარო არჩილის სახელს უკავშირებს ფარ-
 თო მასშტაბის სახელმწიფოებრივი მშენებლობის წარმოებას კახეთ-
 ში; არჩილი თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე ქვეყნის შიგნით
 შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო (მარვან იბნ მუ-
 ჰამად II-ის ლაშქრობანი და მისი კავკასიაში ხალიფას ნაცვლად ყო-
 ფნის პერიოდი — 732—744 წწ.) იძულებულია მიატოვოს მკვიდრი
 სამფლობელო და ეგრისში გაიხიზნოს. მემატიანის გადმოცემით, მუ-
 რვანის მოახლოებისთანავე არჩილმა „დააფლა საგანძური უფროსი
 ქვესა კახეთისასა; ხოლო სამსახურებელნი ოქროსა და ვერცხლისანი
 ქვესა უჯარმისასა“⁶⁴. მურვანის საბოლოოდ წასვლის შემდეგ (743—
 744 წწ.) გახიზნული არჩილი უბრუნდება თავის მკვიდრ მამულს კა-
 ხეთში. ანონიმი ისტორიკოსი გვაუწყებს: „წარჯდა ამით შინა წელი-
 წადი თორმეტი (აქ უნდა იგულისხმებოდეს მურვანის კავკასიაში ყო-
 ფნის წლები 732—744 — თ. პ.), და იწყო შენებად ქართლმან. ხოლო
 განრყუნელ იყო საყოფელად მცხეთა. გარდამოვიდა არჩილ ეგრისით,
 და დაჯდა ნაციხარსა კიდრისასა“⁶⁵. ზემომოტანილ ცნობაში ინტე-
 რესს იწვევს არჩილის საჯდომ ადგილად ციხე ხიდრისის ანუ იგივე
 ხიდარის დასახელების ფაქტი. ციხე ხიდრისი resp. ხიდარი გვხვდე-
 ბა ლეონტი მროველთან და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მათიანეშიც.
 ლეონტი მოგვითხრობს რა ქართლში ვარაზ — ბაქარის (IV ს.) დროს
 ირანელთა ერისთავის შემოსვლას, წერს: „უკუჯდა იგი (ვარაზ-ბაქა-
 რი—თ. პ.) ქვესა კახეთისასა, და აღაშენა ციხე კიდარს“⁶⁶. ამავე
 ამბებთან დაკავშირებით „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორი აღნიშ-
 ნავს: „დადგა ვარაზ-ბაქურ მეფედ. და მისა ზევე სპარსთა მეფისა მა-

63 ნ. ბერძენიშვილი, ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფო
 VIII ს-ის შუა წლებში, საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანე-
 ლო, თბ., 1958, გვ. 120.

64 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 232—233.

65 იქვე, გვ. 243.

66 იქვე, გვ. 136.



რზაპანნი შემოვიდეს სივნიეთა და იგი კიღარდ უკუჯდა⁶⁷, როგორც ჩანს, ხიღარისი resp. ხიღარი მღებარეობდა „ქვესა კახეთისაჲს“ მისი ლოკალიზაციის უფრო დაზუსტებაში გვეხმარება ვახუშტის⁶⁸ მელიც არაგვისპირისა და ბაზალეთის აღწერაში განმარტავს: „კუალად არაგვს პირს არს ოკერ კიღა, რომელსა ეწოდა პირველ კიღარი, სადაცა აღაშენა ვარაზ ბაქარ ციხე და უკუჯდა ქვესა კახეთისასა და არაგვს პირს“⁶⁸.

საიდან იცის ვახუშტიმ, რომ ოხერხიდას პირველად ხიღარი ეწოდებოდა და რომ იგი კახეთის ხევში მღებარეობდა? უშეკვლია, ეს გამოთქმა „ქვეი კახეთისა“ ვახუშტის აღებული აქვს ლეონტისაგან. ხიღარი იხსენიება აგრეთვე ერთ გვიანდელი ხანის დოკუმენტურ წყაროში. კერძოდ, ერწო-თიანეთის სარგოს გარიგების წიგნში (XII—XIII სს.) ხიღარი დასახელებულია არაგვს გაღმა (მარცხენა სანაპირო) მღებარე ერწო-თიანეთის პროვინციისადმი კუთვნილ სოფელთა რიცხვში⁶⁹.

როგორც ჩანს, „ქვეი კახეთისა“-ში, სადაც ხიღარი მღებარეობდა, ქველი, ისტორიული კახეთი უნდა იგულისხმებოდეს. მაგრამ ამ შემთხვევაში ის, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდ ქვეყანას ნიშნავს, არაგვის მარცხენა და ივრის ორივე სანაპიროებს⁷⁰. ყოველივე ზემოთქმულიდან ის მნიშვნელოვანი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ VIII ს. 40-იან წლებში ქვეყანა „ქვეი კახეთისა“ არჩილის სამფლობელოს შეადგენდა, ხოლო თვით ხიღარი კი, არჩილის ეგრიისიდან გადმოსვლის პირველ ხანებში (744 წ.), მისი რეზიდენცია უნდა ყოფილიყო.

VIII ს. ანონიმური მატეანის მიხედვით, ამავე პერიოდში არჩილს ერთობ აქტიური და ენერგიული საქმიანობა გაუჩაღებია: „მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ ყვნა იგინი, აღაშენა ეკლესია საძმორს, შეირთო ცოლი ასული გუარამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა, ბერძნის ცოლისა ნაშობთა“⁷¹. ვახუშტი საძმორთან

67 შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 325.

68 ვახუშტი, აღწერა, გვ. 353.

69 თიანეთისა და ერწოს საკათალიკოზო გამოსაღების წესხა, იხ. საისტორიო კრებული, წიგნი IV, ტფილისი, 1929, გვ. 4.

70 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 72.

71 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243.



დაკავშირებით კიდევ გვაწვდის დამატებით ცნობას, საიდანაც ირკვევა, რომ არჩილს აქ, ეკლესიის გარდა, ციხეც აუშენებდა. ამასვე ვხედავთ (არჩილმა—თ. 3.) ალაშენა სამშორის ციხეც და ლაქუასტისა⁷². ეს სამშორი, ვახუშტის ჩვენებით, ალაზნის გაღმა-მხარში მდებარეობდა: ალაზნის შენაკად მაწის-წყლის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში⁷³. ამ ნიშანდობლივი ცნობიდან კარგად ირკვევა, რომ არჩილის ხელისუფლება ალაზნის გაღმა ჰერეთის ტერიტორიაზედაც ვრცელდებოდა.

არჩილის მოღვაწეობის მომდევნო ეტაპი იწყება იმ პერიოდში, როდესაც მისი რეზიდენცია ხიდარიდან წუქეთში ინაცვლებს. არჩილის მოღვაწეობის ამ ხანაზედაც საინტერესო ფაქტებს გვაწვდის VIII ს. ანონიმი ისტორიკოსი, რომელიც, როგორც ჩანს, მის მიერ აღწერილი ამბების თვითმხილველი და თანადამხდური უნდა იყოს. და აი, მისი გადმოცემით, არჩილი „დაჯდა წუქეთს, და ალაშენა კასრი, და ჰვესა ლაქუასტისასა ალაშენა ციხე. და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოდა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი. და ალაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი..., არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი. და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი“⁷⁴.

წუქეთი ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ თემს წარმოადგენდა. ამავე ცნობიდან ცხადი ხდება, რომ წუქეთის მთავრის სამფლობელო მოიცავდა აგრეთვე დალისტნის მთიანეთის გარკვეულ ნაწილს (ხუნზახს)⁷⁵. გეოგრაფიული პუნქტი კასრი ლოკალიზდება თანამედროვე კახის რაიონში. კერძოდ, იგი მდებარეობს სოფელ თოფახის სამხრეთ-დასავლეთით. აქ, მაღალ ქედზე, ე. წ. საყარაულოს მთაზე, დღემდე შემორჩენილია ძველი ეკლესიის ნაშთი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა კასრის საყდარს უწოდებს. არჩილის მიერ ლაქუასტის ხევში აშენებული ციხე უნდა იყოს იგივე ციხე ლაკვათისა, რომელსაც გვიან ლაკოეთი resp. ლაკოდები ეწოდა. ვახუშტის აღწერით, ლაკვათის ციხე მდებარეობდა მაწის-წყლის ჩრდილოეთით

72 ვახუშტი, აღწერა, გვ. 544.

73 იქვე, გვ. 543—544.

74 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243—244.

75 წუქეთის შესახებ დაწვრილებით იხ., ჩემი „ჰერეთი“, გვ. 46—52.



კორნის-კევი, გამომდინარე-მომდინარე მისვე მთისა ეგრეთვე, ამის თავეს არს ნოკორნა, მონასტერი გუნბათიანი, კეთილ შენეთ, დიდეს ვხუი ალაშენა მდ. მეფემან არჩილ და ყო მონასტრად. შემდგომად წამქმნაჲს სა მისისა, ცოლმან მისმან დაფლა წმიდა გვამი მისი მუნ⁸². ნოტკორა საქართველოს ისტორიის პირველწყაროებში ვარიანტული სახესხვაობებით გვხვდება: ნოტკორა//ნოტკორა// ნოკორნა//ნოდოკრა. ასე მაგ., ერწო-თიანეთის სარგოს გარიგების წიგნში (XII--XIII სს.) იგი ნოდოკრას ვარიანტით გვხვდება⁸³. ნოტკორა, სადაც არჩილის სამარხი ადგილი იყო, ეხლაც ცნობილია ერწოში. ადგილობრივ მოსახლეობაში დღემდე შემონახული ზეპირი გადმოცემა მიუთითებს არჩილის მიერ აშენებულ ეკლესიას მის სამარხთან ერთად ჰატრა სოფელ ნოდოკრადან 2 კმ-ის დაშორებით მდებარე სიონის გორაზე.

ერწო, და საერთოდ ისტორიული კუთხის ტერიტორია, არჩილის სამფლობელოში რომ შედიოდა, ეს ნათლად ჩანს აგრეთვე ერთი გვიანდელი ხანის დოკუმენტური წყაროდან. ეს არის კახეთის მეფის დავით II იმამყულიხანის მიერ 1722 წ. მარტყოფის მონასტრისადმი ბოძებული ღმრთაების გუჯარი, საიდანაც ირკვევა, რომ არჩილს მარტყოფის ღვთაებისათვის შეუწირავს ერწოს მრავალი სოფელი. სახელდობრ, გუჯარში ნათქვამია: „აგრეთვე ერწოთა შინა მიმერთმევენეს აგარაკნი, სოფელნი და შენნი და უშენნი, მიერთმივენეს ძველად ხვასროიანთა არჩილს და ძეთა მათთა. და ჩვენთაცა ტომთა თამარს და აღმაშენებელსა დავითს: და ყოველთავე ჩვენცა განუახლეთ და დაუმტყციეთ გუჯართა ამით და არა დავაკნინეთ პატივი ხატისა ამის“⁸⁴.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: საიდან აქვს ასეთი ცნობა დავით იმამყულიხანს? რა თქმა უნდა, ასეთ რამეს მონასტრის ბერების ზეპირ მონათხრობად ვერ წარმოვიდგენთ. ერთადერთი საამისო წყარო სათანადო იურიდიული დოკუმენტი უნდა ყოფილიყო. და თუ ეს ასეა, გამოდის, რომ XVIII ს. მარტყოფის მონასტერში დაცული ყოფილა VIII ს. შეწირულობის საბუთი, საიდანაც ირკვეოდა, რომ ერწოს მრავალი აგარაკნი და სოფელნი არჩილის დროიდანვე მისი „საქონელი“ იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ მარტყოფში ამ დროს დაცული იყო: ან არჩილის შეწირულობის საბუთი, ან უფრო გვიანი საბუთი ერწოს ამავე სოფლების კუთვნილების შესახებ, სადაც მოიპოვებოდა

82 ვახუშტი, აღწერა, გვ. 534.
 83 საისტორიო კრებული, წიგნი IV, გვ. 5.
 84 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 365.

ცნობა არჩილის მიერ ამ სოფელთა შეწირულობის შესახებ, ე. ა. ს. ს. და ც არჩილის შეწირულობის საბუთი იურიდიულ საფუძვლად გამოყენებული.

ამრიგად, როგორც დაეინახეთ, VIII ს. 40-50-იან წლებში კახეთის მთავრის არჩილის ხელისუფლება, საკუთრივ კახეთის გარდა, ვრცელდებოდა კუხეთზე, პერეთზე, წუქეთსა და შაქზეც. გარდა ამისა, არჩილის სამფლობელოს გავლენის ზონაში მოქცეული იყო დალისტნის ზოგიერთი თემიც — ხუნზაბი, რომელიც არჩილის ვასალის აბუხუასროს საერისთავოში შედიოდა. როგორც ჩანს, მხოლოდ ვარდაბანი არ შედიოდა არჩილის დროინდელ კახეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში. ვარდაბანი რომ არჩილის სამფლობელოს გარეთაა და რომ აქაურ მთავარსა და არჩილს შორის მტრული ურთიერთობა სუფევს, საამისო ცნობა შემონახული გვაქვს „არჩილის წამების“ მოკლერედაქციის ავტორთან. ამ ცნობის მიხედვით, შუილი ვარდაბანელებსა და არჩილს შორის გამოწვეული ყოფილა იმის გამო, რომ ვარდაბანელი მთავრის მამის ძმა წანარებს მოუკლავთ: „მთავარი ერთი ვარდაბანელი, მიქცეული სარკინოზად, რომლისა მამის ძმა მოეკლა წანართა და მკლველნი მისნი განერივნეს მშუდობით პაპასა არჩილისსა, აღარნასე მეფესა“⁸⁵. ამავე ცნობიდან ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის ერთი სხვა მეტად საგულისხმო დასკვნაც გამომდინარეობს: წანარეთი ამ დროს უკვე კახეთის სამთავროში შემოდის და მასთან არჩილსა და მის წინაპრებს მშვიდობიანი ურთიერთობა აქვთ.

VIII ს. 50-იანი წლების მეორე ნახევარში კახეთის სამთავროში რთული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. დასრულდა ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის პერიოდი, რომელიც, როგორც ჩვენ ვაჩვენეთ, დაიწყო მარვან იბნ-მუჰამად II-ის კავკასიიდან წასვლის შემდეგ (744 წ.) და გაგრძელდა აბასიანთა დინასტიის წარმომადგენელის აბუ-ჯაფარის (754—775 წწ.) გახალიფებამდე.

აბასიანთა ახალი დინასტიის ფუძემდებელი აბუ-ჯაფარი თავგამოდებული აქტიურობით ცდილობდა განემტკიცებინა სახალიფოს პოლიტიკური ძლიერება აღმოსავლეთ საქართველოში. ხალიფას ტახტზე ასვლისთანავე აბუ-ჯაფარმა სამეფო ზედწოდება — აღ-მანსური მიიღო, რაც „ძლევა მოსილს“ ნიშნავს⁸⁶. მანვე „არმინიაში“ ხალიფას

⁸⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 246.

⁸⁶ Е. А. Беляев, Арабы, ислам и арабский халифат в раннее средневековье, Москва, 1966, გვ. 213.

ნაცვლის თანამდებობაზე დანიშნა იაზიდ იბნ უსაიდ ას-სულამი (752—765), რომელმაც ხაზართა მორიგი თავდასხმების საფრთხის თავიდან აცილების მიზნით უმაღლეს საომარი ოპერაციები გააჩვენა. როგორც ბალაძორი მოგვითხრობს, „როდესაც ვახტანგმა სურია, დანიშნა მან არმენიის ვალიდ იაზიდ იბნ უსაიდ ას-სულამი. დაიპყრო მან ალანთა კარი და ჩააყენა იქ მცველებად დიენის ხალხი, დაიმორჩილა წანარები და დააქისრა მათ ხარაჯა“⁸⁸. არაბი გეოგრაფი იბნ ალ-ფაკიჰიც ადასტურებს, რომ VIII ს. 50-იან წლებში, როდესაც ხალიფატის ჯარებმა მოაწყვეს სამხედრო ექსპედიცია კავკასიის ჩრდილო რაიონებში, მაშინ მათ, სხვა ტომებთან ერთად, ზავი დაუდევიათ აგრეთვე წანარებთან იმ პირობით, რომ ისინი გადაიხდიდნენ ხარკს⁸⁹. ზემოაღწერილ მოვლენებს, როგორც ფიქრობენ, ადგილი უნდა ჰქონოდა დაახლოებით 754 წლის ახლო ხანებში⁹⁰. ეს არის ის ხანა, როდესაც, როგორც ეს ზემოთ მოტანილი არაბი მწერლების—ბალაძორისა და იბნ ალ-ფაკიჰის ცნობებიდან დაეინახეთ, კახეთის სამთავროს პოლიტიკურ ისტორიაში წანარები აქტიური როლის შესრულებას იწყებენ. „წანარების ბედი ამ დროს მჭიდროდ არის დაკავშირებული კახეთთან“⁹¹. წანარები ამიერიდან კახეთის სამთავროს მესვეურთათვის წარმოადგენენ მნიშვნელოვან დამხმარე, „მეშველ“ (გაეიხსენოთ მათიანე ქართლისას გამოთქმა: „გრიგიალს (კახეთის მთავარს — თ. პ.) უმუშელეს წანართა“⁹²) პოლიტიკურ ძალას არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ამჟერად ჩვენ ამ საკითხის სულ სხვა ასპექტი გვაინტერესებს.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, წანარები გვევლინებიან კახეთის სახელმწიფოებრიობის მშენებლებად. ვარაუდობენ, რომ VIII ს. დასასრულსა და IX ს. დასაწყისში კახეთის ქვეყანა წარმოადგენდა „ტომთა კავშირს“ წანარების მოთავეობით, და, რომ ქრონოლოგიურად ამავე

⁸⁷ М. И. Артамонов, История Хазар, გვ. 241.

⁸⁸ Баладзори Жузе, გვ. 20; Ибн-ал-Факих, Из книги о странах СМОМПК, вып. XXXI, Тифлис, 1902, გვ. 31; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ვერტიკალის ისტორიიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 36.

⁸⁹ Ибн ал-Факих, გვ. 27.

⁹⁰ მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ვერტიკალის ისტორიიდან, მასალები..., გვ. 12.

⁹¹ ს. ჟანაშია, შრომები, II, გვ. 378.

⁹² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 252.

პერიოდში ეს „ტომთა კავშირი“ თანდათან, იმავე წანარების მათა-
ვეობით, სამთავროდ გადაიზარდა⁹³. ერთი სიტყვით, კახეთის გერ-
თიანება და მისი სახელმწიფოებრივ ერთეულად შექმნა
მთლიანად წანარებს მიეწერება.

ზემოაღნიშნულმა მოსაზრებამ განსაკუთრებით მტკიცედ მოი-
კიდა ფეხი უკანასკნელი ხანის სომხურ ისტორიოგრაფიაში (მხედვე-
ლობაში გვაქვს სომეხი მკვლევარის ა. გ. შერტუმიანის სტატიები),
იმ განსხვავებით, რომ აქ ეს დებულება უფრო გამახვილებული და
გაძლიერებულია.

სომეხი მკვლევარი ა. გ. შერტუმიანი შემდეგნაირად წარმო-
გვიდგენს VIII ს. 70-იანი წლების კახეთის ქვეყანას: იგი წარმოად-
გენდა ეთნიკურად სხვადასხვა წარმოშობის ცალკეულ ტომთა ეფე-
მერულ კონგლომერატს; აღებულ ხანაში კახეთის ქვეყნის ტერი-
ტორიაზე მიმდინარეობდა ტომთა კონსოლიდაციის პროცესი, აქ
ჯერ არ არსებობდა სახელმწიფო ორგანიზაცია; და აი, ასპარეზზე
გამოდის წანართა მთიელი ტომი. საყურადღებოა, რომ ა. გ. შერტუ-
მიანს წანარები, გარდაბანელებთან ერთად, ვეინახურ ტომად მია-
ჩნია. ეს ვეინახი წანარები სათავეში უდგებიან კახეთის ტომთა
კავშირს და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება თვისებრივი ნახტომი:
კახეთის ტომთა კავშირი გადაიზრდება სახელმწიფოებრივ წარმონა-
ქმნად. სურათი ნათელია: ადრეფეოდალური კახეთის სახელმწიფო
ვეინახურ ტომებს შეუქმნიათ. უფრო მეტი გარკვეულობისათვის
მოვიტანოთ თვით სომეხი მკვლევარის სიტყვები: «Этнический со-
став населения Кахети был довольно пестрым. Наряду с кар-
твельскими (грузинскими) племенами (кахи, пховели, или
пшавы, хевсуры, сваны и другие), здесь жили племена ве-
инахской группы (вероятно, цанары, гардабанцы, тушины и другие), находив-
шиеся в стадии образования классов и государств и испытывавшие на себе грузин-
ское влияние (ხაზგასმა ჩვენია — თ. პ.). В силу ряда
благоприятных условий первоначально ведущую
роль играло племя цанаров, а позже, надо поло-
гать, и племя кахов» (ხაზგასმა ჩვენია — თ. პ.), ერთ სხვა შრო-

⁹³ მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გა-
ერთიანების ისტორიიდან (კახეთის სამთავრო VIII—XI სს.), მასალები საქარ-
თველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1954, ნაკვ. 31, გვ. 14.



მაში იგივე ავტორი წერს: «На территории Кахетии протекал процесс консолидации племен, которая, конечно, не исключала межплеменной борьбы, следствием чего должна была быть организация государства—объединение Кахетии, как результат выделения наиболее сильного племени, сумевшего подчинить себе другие... В период, когда цанары вели борьбу с Амиром Ибн-Исмаилом ал-Хариси (70-е годы V III в.), Кахетия представляла собой союз племен во главе сцанарами... Это племенный союз в дальнейшем перерос в отдельное государственное образование во главе с племенным вождем—«Хорепнископом»⁹⁴.

კახეთის სახელმწიფოებრიობის შექმნის ისტორიული მისიის წინარეზზე დაკისრებას, ვფიქრობთ, მყარი საფუძველი არ გააჩნია.

დავიწყებთ იმის აღნიშვნით, რომ VIII—IX სს. მიჯნის კახეთი თავისი საზოგადოებრივი და სოციალური განვითარების დონით დიდი ხანია, რაც გამოსული იყო „ტომთა კავშირის“ სტადიიდან. იგი ამ დროისათვის ტიპურ ფეოდალურ ქვეყანას წარმოადგენდა მისთვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტით. ისეთი ცნება, როგორც „ტომთა კავშირია“, წინაკლასობრივი გაერთიანებაა, სამხედრო დემოკრატიის ხანაში რომ არსებობდა⁹⁵. კახეთის ტომურ ორგანიზაციად არსებობა მხოლოდ „მამასახლისობის ხანაშია“ სავარაუდებელი (იხ. ზემოთ).

მივუბრუნდეთ ისევ წინართა ისტორიული როლის საკითხს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ უარყოფთ წინართა მნიშვნელოვან როლს კახეთის ქვეყნის ისტორიაში. პირიქით, IX—X სს. კახეთის სამთავროს პოლიტიკური სიძლიერე წინართა დამხმარე, „მეშველ“ ძალაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. ჩვენ არც იმის შესაძლებლობას გამოვირიცხავთ, რომ IX—X სს. არაბული წყაროების „სანარია“ კახეთის სამთავროს გულისხმობდეს პოლიტიკური მნიშვნელობით.

⁹⁴ А. Г. Мкртумян, К вопросу об образовании феодального княжества Кахетии, *იხ. Историко-филологический журнал*, 1 (56), Ереван, 1972, გვ. 231; მისივე, Борьба халифата за овладение главными кавказскими проходами, *იხ. Историко-филологический журнал*, 2 (69), Ереван, 1975, გვ. 213—214.

⁹⁵ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, 83-161.



თუმცა მცირე ეჭვის საფუძველი აქაც არსებობს. ჯერ კიდევ ვ. თ. მინორსკი მიუთითებდა, რომ არაბი ავტორები (მასედი) წინარეობს და კახელებს ერთმანეთში ურევენ, მაშინ როდესაც საქმეა მწიფე წინარეობი («Основные цанары») ჩეჩნური წარმოშობისანი არიან და მათ, რა თქმა უნდა, არაფერი საერთო არ ჰქონდათ არაბ ტომებთან⁹⁶. ქართულ წყაროებშიც მოიპოვება ზოგიერთი საყურადღებო ისტორიული რეალია, რომელიც აგრეთვე ხელს უშლის წინარეობის და კახელების გაიგივებას თუნდაც პოლიტიკური მნიშვნელობით. მხედველობაში გვაქვს „კელმწიფის კარის გარიგების“ ის ადგილი, სადაც ჩამოთვლილია დავით აღმაშენებლის ვასალები. აქ სრულიად გარკვევით, ცალკე-ცალკე და დამოუკიდებლად იხსენიებიან კახეთისა და წინარეთის მეფენი, რაც, ჩვენი აზრით, არ უნდა ნიშნავდეს მათ იგივეობას პოლიტიკური მნიშვნელობით. აი ეს ადგილიც: „მაშინ ორნი ოსთა მეფენი და კახთა მეფე და აღვანთა მეფე, წინართა მეფე, სამნი ტაოელნი მეფენი და სომეხთა მეფე და ტრაპიზონელნი და შარვან-შაჰენი, ესენი ჩაესხნეს ნაქარმაგვეს და თორმეტნი დასხდეს, და ოთხნი რად ვერ დაეტეოდეს“⁹⁷. ცნობილია, რომ „კელმწიფის კარის გარიგების“ ავტორი საერთოდ ძველი დროის წყაროებსაც იყენებს. პ. ინგოროყვამ, თავი რომ ვერ დააღწია ამ გაურკვევლობიდან, გამოსავალი იმაში ჰპოვა, რომ გააერთიანა წინართა მეფის ტიტული აღვანთა მეფესთან და მიაკუთვნა ის ალაზანგალმა მდებარე გიშის ქვეყნის მფლობელებს — ასათ და შოთა გრიგოლის ძეებს⁹⁸.

მაგრამ სულ სხვა საქმეა, როდესაც წინარებს კახეთის ფეოდალური სამთავროს შემქმნელებად და დამაარსებლად თვლიან. ჩვენ ხომ ზემოთ თვალი მივადევნეთ კახეთის ქვეყნის განვითარების ძირითად ისტორიულ ეტაპებს და ნათლად დაეინახეთ, რომ კახეთის პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე წინარეობის აქტიურად გამოჩენაზე გაცილებით ადრე კახეთი უკვე წარმოადგენდა სავსებით ჩამოყალიბებულ და დასრულებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს. ჯერ კიდევ VI ს-ში იგი ჩვენ გვევლინება მტკიცედ გაერთიანებულ პოლიტიკურ ერთეულად, ხოლო VIII ს. პირველ ნახევარში, არჩილის დროს, საბოლოოდ გაფორმებული, ღრმად ფესვებგადგმული ფეოდალური

⁹⁶ В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, Москва, 1963, гл. 210—211, შენიშვნა 100; შდრ. V. Minorsky, Caucasica (IV), — BSOAS, 1953, XV/3, გვ. 505—512.

⁹⁷ ვ. თაყაიშვილი, კელმწიფის კარის გარიგება, 1920, გვ. 12_{გვ}.

⁹⁸ პ. ინგოროყვა, Rustveliana, I, 1926, გვ. 192—194.



სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია. ჩვენი აზრით, წანარების ისტორიული როლი კახეთის ისტორიაში იმით განისაზღვრებდა, როდესაც იყვნენ კახეთის მფლობელთათვის მნიშვნელოვანი დამმსახურელები“ პოლიტიკური ძალა; ეს გარემოება კი საფუძველს არ იძლევა წანარების კახეთის ფეოდალური სამთავროს შექმნელებად გამოცხადებისათვის. საქართველოს ისტორიაში ანალოგიურ მოვლენას სხვა დროსაც ჰქონია ადგილი. გავიხსენოთ ანტიკური ხანის ავტორების (კერძოდ სტრაბონის) ცნობები იმის შესახებ, თუ რა დიდ როლს ასრულებდნენ მთიელები და კიდევ უფრო ჩრდილოეთით, კავკასიონს გადაღმა მცხოვრები მომთაბარეები, იბერთა მმართველების სამხედრო პოლიტიკაში. იბერიის საგარეო-პოლიტიკური ძლიერება მნიშვნელოვანწილად სწორედ აღნიშნულ მთიელთა და მომთაბარეთა ძალების გამოყენებას ემყარებოდა. მაგრამ ვანა ვინმე იმას იტყვის, რომ იბერიის სამეფო მთიელებმა და მომთაბარეებმა შექმნეს? ასე გვესახება ჩვენ წანართა ისტორიული როლის მნიშვნელობა კახეთის სამთავროს ისტორიაში.

არაბულ საისტორიო წყაროებში (ბალაძორი, იბნ ალ-ფაკიჰი) მოთხრობილ იაზიდ იბნ უსაიდ ას-სულამის ლაშქრობას აღმოსავლეთ საქართველოში და მის ბრძოლას წანარებთან 754 წლის ახლო ხანებში, ჩვენი აზრით, ქართულ წყაროთა მონაცემებიც ადასტურებენ. მხედველობაში გვაქვს „არჩილის წამების“ მოკლე რედაქციაში აღწერილი ასიმ-ად წოდებული კიქნაუმ მოჰამედის-ძის ლაშქრობა ქართლსა და კახეთში (წანარეთში). აი რას გადმოგვცემს „არჩილის წამების“ აღმწერელი: „კუალად მოვიდა კიქნაუმ, ძე მოჰამედისი, მოაოჯრა და შემუსრა ყოველი შენებული ქართლისა, და მიმართა შესლვად კახეთად, რათამცა მოაოჯრა და ყოველითურთ უმკედრო ყო. და იყო შიში დიდი მეფეთა და მთავართა და ყოვლისა ერისა, და არა შემძლებელ იყვნეს წინააღმდეგობად“⁹⁹.

როდესაც არაბთა სამხედრო ძალები კახეთს მოადგნენ, მისი მთავარი არჩილი არაბი მხედართმთავრის ასიმის წინაშე გამოცხადებულა: „არჩილ განიზრახა გონებასა თუსსა, სიმკნითა გულისა მისისათა, რათა მივიდეს და ნახოს, და ითხოვოს მისგან მშუდობა ქუეყანისა“¹⁰⁰. არჩილს, რომელიც თვითმხილველი და თანადამხდური იყო მურვან ყრუს შემოსევებისა, რამაც ნანგრევებად აქცია აღმოსავლეთ საქართველო და „განრყუნა ქუეყანა ესე“, კარგად ჰქონდა გათვა-

⁹⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 245.

¹⁰⁰ იქვე.



ლისწინებულო, თუ რას მოასწავებდა არაბობა კახეთის სამთავროსათვის და რას ნიშნავდა არაბთა ლაშქრის თარეში. მაგრამ უკვე მთავარმა არჩილმა ვერ მიიღწია თავის მიზანს, ვერ დაამარცხა ბი სარდლის ნდობა და იგი არაბებმა სიკვდილით დასაჯეს. როდის უნდა ეწამებინათ არჩილი? ჩვენის ვარაუდით, არჩილის წამებას ადგილი უნდა ჰქონოდა VIII ს. 50-იანი წლების მეორე ნახევარში, უფრო სწორად, ამავე საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს.

ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ ვფიქრობთ, რომ „არჩილის მარტვილობის“ ჰიქნაუმი, რომელსაც ეწოდება ასიმი, და არაბული წყაროების, ბალაძორისა და იბნ ალ-ფაჰიჰის, იაზიდ იბნ უსაიდ ას-სულამი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს და სწორედ მას უნდა დაესაჯა სიკვდილით არჩილი. ამის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ აბუ-ჯაფარ-მანსურის (754—775) მიერ ამიერკავკასიაში („არმინია“) ხალიფას ნაცვლად დანიშნულ იაზიდ იბნ უსაიდ ას-სულამის მმართველობის წლები (752—765) ქრონოლოგიურად ემთხვევა ჩვენს მიერ ნაგარაუდევ არჩილის წამების თარიღს¹⁰¹.

არჩილის ეპოქის კახეთის სამთავროს ისტორიის შესწავლის საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელნიც კიდევ უფრო რეალურ შინაარსს სძენენ წერილობითი წყაროების ცნობებს არჩილის მოღვაწეობის შესახებ. VIII ს. ანონიმური მატიანის ცნობით, არჩილის დროს კახეთის სამთავროს ჩრდილო აღმოსავლეთ პროვინციაში, პერეთის ტერიტორიაზე ადგილი აქვს ციხე-ქალაქების, ციხესიმაგრეების და საერთოდ თავდაცვითი, საფორტიფიკაციო დანიშნულების ნაგებობათა ინტენსიურ მშენებ-

101 თუ ვინ იყო არჩილის სიკვდილით დასჯელი არაბი სარდალი, ამის შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს; ეს საკითხი მეტად ბუნდოვანი და ძნელად გასარკვევია, რადგან ჟღანშურის ქრონიკაში ჩართულ VIII ს. ანონიმის და „არჩილის მარტვილობის“ ავტორის გარდა, სხვა ძველი ისტორიკოსები არჩილს საერთოდ არ იხსენიებენ. ი. მარკვარტზე დაყრდნობით კ. კეკელიძე ფიქრობდა, რომ არჩილის სიკვდილით დასჯელი არაბი სარდალი იყო ზუნაიმა იბნ-ზაზიმი (ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 222); ამასვე იმეორებს მ. ლორთქიფანიძე (მასალები..., გვ. 15—16); პ. ინგოროყვას აზრით, არჩილი უნდა ეწამებინა ჰასან იბნ-კაჰტაბას (ენიშვილის მოამბე, X, გვ. 147); დ. მუსხელიშვილის შეხედულებით, არჩილი სიკვდილით დასაჯა ასიმ იბნ-აბდულამმა (უჯარმა, გვ. 95). ამ საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური განვითარება IV—VIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 101—103.



ლობას (ლაკვათის ციხე, სამშორის ციხე, ციხე-ქალაქი ნუხპატე)¹⁰².
 ვრჩილის სააღმშენებლო მოღვაწეობასთან დაკავშირებით უტყობილად
 გას იპყრობს ე. წ. კავკასიის დიდი კედელი, ანუ, როგორც უტყობილად
 ციკლოპურ სამშენებლო ლიტერატურაში უწოდებენ, ზაქათალის „გრძე-
 ლი კედელი“, რომლის ნაშთები ისტორიული პერეთის ტერიტორია-
 ზე დღემდე არის შემორჩენილი. აღნიშნულ კედელს ჯერ კიდევ
 XIX ს. 90-იან წლებში ყურადღება მიაქცია ა. ხახანაშვილმა. იგი აღ-
 ნიშნავდა, რომ ზაქათალის ოლქში საკულტო დანიშნულების ძეგლთა
 გარდა, არქეოლოგიური თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იწვევს
 ცნობილი კედელი, რომელიც, გადმოცემის თანახმად, კავკასიონის
 მთავარი ქედის პარალელურად მიემართებოდა: მდ. ყანი-ყობიდან
 დაწყებული ვიდრე სოფელ კატეხამდე¹⁰³. ზაქათალის „გრძელი კედ-
 ლის“ პირველი სასიხვი არქეოლოგიური გათხრები ჩატარებულ იქ-
 ნა 1936 წ. ეს გათხრები არ ყოფილა დიდი მასშტაბისა, რის გამოც
 ექსპედიციამ ვერ შეძლო აღნიშნული კედლის ტრასის მთელი სის-
 რულით აღდგენა. უნდა აღინიშნოს, რომ ძეგლის ნაშთების კვალი,
 გარკვეულ პერიოდამდე, დიდ მანძილზე შეინიშნებოდა დაწყებული
 ლაგოდეხიდან ნუხამდე, მაგრამ შემდეგში თანდათანობითმა ნგრევამ
 და მოსახლეობაში სახლების მშენებლობისათვის და გზების გასაყუა-
 ნად მისმა გამოყენებამ ამ კედლის კვალი ბევრგან წაშალა. ე. პახო-
 მოვის ხელმძღვანელობით წარმოებული არქეოლოგიური გათხრების
 შედეგებმა კი ასეთი სურათი მოგვცა: კედელი იწყებოდა ბელაქანსა
 და ზაქათალას შუა მდებარე პუნქტიდან და 30 კმ-ის მანძილზე მი-
 მართებოდა შემდეგი მიმართულებით — კატეხი, მაწეხი, თალა, მუ-
 ხახი, გულლუგი¹⁰⁴. ყველაზე კარგად ამ კედლის ნაშთები ბელაქანისა
 და ზაქათალის რაიონებში — სოფ. კატეხისა და სოფ. მაწეხის ახლო-
 საა შემორჩენილი. ეს არის აშკარად ძველი იერის გრანდიოზული კე-
 დლის ფრაგმენტები.

ასაშენ მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის რიყის ქვა.
 საყურადღებოა, რომ კედლის წყობაში შემამჭიდროებელ მასალად
 გამოყენებულია მსხვილმარცლოვანი ფრაქციის ქვიშისა და კირის
 სქელფენოვანი დუღაბი, რაც მისი სამშენებლო ტექნიკის არქაულო-

¹⁰² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243—244.

¹⁰³ А. С. Х а х а н о в, Экспедиции на Кавказ 1892—1893 и 1895 г.,
 Материалы по археологии Кавказа, вып. VII, гв. 37.

¹⁰⁴ Е. А. Па х о м о в, Закавказская «длинная стена», Труды Азербай-
 джанского Гос. университета, серия историческая, вып. I, Баку, гв. 68—
 88.



ბაზე მეტყველებს. დღეობი დროთა ვითარებაში ისეა განმტკიცებული, რომ კედელი „ქვითკირად“ ქცეულ ერთიან მკვიდრ ხანას წარმოადგენს. ქვა სხვადასხვა ჯიშისაა: გრანიტის, ბაზალტის, აქვარეული ფერების სხვადასხვა კვარცოვანი და სხვ. მათ შორის ყველაზე მეტად ჭარბობს გრანიტი¹⁰⁵.

ე. პახომოვის მიერ წარმოებული ზათხრების დროს ზაქათალის „გრძელი კედლის“ გასწვრივ გამოვლენილ იქნა აგრეთვე ერთი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც გეგმის კომპოზიციის მიხედვით, უეჭველად სამლოცველოს ტიპის ნაგებობას უნდა წარმოადგენდეს¹⁰⁶.

ძეგლის არქიტექტურული ანალიზის საფუძველზე და აგრეთვე წერილობითი წყაროების (არაბული) მოშველიებით, ე. პახომოვი ზაქათალის „გრძელ კედელს“ V—VII სს-ით ათარიღებს და მას მიაკუთვნებს სასანელთა ბატონობის ხანას¹⁰⁷. ი. აღამიას აზრით, ეს კედელი აშენებული უნდა იყოს ქვეყნის თავდაცვის მიზნით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში, დაახლოებით V—VI სს. მიჯნაზე¹⁰⁸. ჩვენი შეხედულებით, ძეგლის ასეთი დათარიღება ერთგვარ გადასინჯვას მოითხოვს.

ე. პახომოვი აღნიშნული კედლის დათარიღების დროს ძირითადად ეყრდნობა იბნ ალ-ფაკიჰის (X ს.) იმ ცნობას, რომელშიც მოთხრობილია, რომ სასანიანმა ხოსრო I ანუ შირვანმა (531—578 წწ.) არანის ქვეყანაში ააგო აბეაბ შაქი და აბეაბ დუდანი... მანვე ააშენა აგრეთვე აღ-დურძუქია (ვარიანტები: აღ-დურდურენა და აღ-დურდუნია), რომელიც 12 კარისაგან შედგებოდა¹⁰⁹. მოტანილი ცნობის კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ აქ ლაპარაკია VI ს. ირანელთა მიერ სამხედრო-გადამლობი ნაგებობების შექმნაზე აბეაბ შაქის, აბეაბ დუდანიისა და დურძუქეთის რაიონებში, რომლებიც დაშორებული არიან იმ არეალისაგან, სადაც ზაქათალის „გრძელი კედელი“ მდებარეობდა. „აბეაბ“-ის ქვეშ არაბი გეოგრაფები ჩვეულებრივ საულელტეხილო გადასასვლელებს გულისხმობენ ხოლმე, სადაც ჩამ-

¹⁰⁵ ი. აღამია, ქართული ხალხური ხელოვნების აღწერა, წიგნი III (საინგილო), თბ., 1979, გვ. 117—118.

¹⁰⁶ E. A. Пахомов, Закатальская «длинная стена», გვ. 87.

¹⁰⁷ იქვე, გვ. 89—90.

¹⁰⁸ ი. აღამია, ქართული ხალხური ხელოვნების აღწერა, III, გვ. 120.

¹⁰⁹ Н. А. Караулов, Сведения арабских писателей..., СМОМПК, вып. 31, გვ. 15; E. A. Пахомов, დასახ. ნაშრ., გვ. 89—90.



კეტავ „ზეკარებს“ აგებდნენ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ზემოთ აღწერილი ძეგლის სასაზღვრო არქიტექტურული კომპლექსისადმი მიკუთვნებას მყარ საფუძველს არ უნდა ჰქონდეს.

როდის და ვის მიერაა აშენებული ზაქათალის „გრძელი კედელი“? ჩვენი აზრით, იგი აშენებული უნდა იყოს VIII ს-ში კახეთის სამთავროს ხელისუფალთა მიერ. ამ შემთხვევაში ჩვენ ვითვალისწინებთ VIII ს. ანონიმური ბატონის ნიშანდობლივ ჩვენებებს კახეთის სამთავროს ტერიტორიაზე არჩილის მიერ ინტენსიური სამშენებლო მუშაობის წარმოების შესახებ. არჩილმა, როგორც ზემოთ ვნახეთ, მდ. მაწისწყლის ხეობაში აავი სამშორის და ლაკუასტის (ლაკვათის) ციხესიმაგრენი, მდ. ბელაქნის-წყლის აუზში ააშენა ციხე-ქალაქი ნუხპატი¹¹⁰. სწორედ ამ რეგიონში გადიოდა ზაქათალის კედლის ტრასის გარკვეული მონაკვეთი. ამიტომ არ შეეცდებით, თუ ამ უნიკალური არქიტექტურული ნაგებობის აშენებას დაუკავშირებთ კახეთის მთავრის არჩილის სახელს. ეს არქიტექტურული ძეგლი ნათლად მეტყველებს აღნიშნული ხანის კახეთის სამთავროში სააღმშენებლო ხელოვნების დაწინაურებაზე. ცხადია ისიც, რომ ამ კედლის აღმშენებელნი, რომლებიც საფიქრებელია ადგილობრივი ოსტატები იყვნენ, კარგად იცნობდნენ იმდროინდელ საფორტიფიკაციო არქიტექტურას. გარდა საერო არქიტექტურისა, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში კახეთის სამთავროში განვითარების მაღალ საფეხურზე იმყოფებოდა საეკლესიო ხუროთმოძღვრებაც. ამის მკერამეტყველური მოწმობაა საკულტო არქიტექტურის ისეთი შესანიშნავი ძეგლების არსებობა, როგორიცაა: ყუმის სამეკლესიანი ბაზილიკა (VIII ს.) და ლეჭეთის ტეტრაკონქი (VIII—IX სს.) კახის რაიონში¹¹¹. ზემოთ ჩამოთვლილი მატერიალური კულტურის ძეგლები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან არჩილის დროინდელი კახეთის სამთავროს კულტურული განვითარების შესახებ.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი უაღრესად ძუნწი, არასრული და ფრაგმენტული ცნობები არჩილის მოღვაწეობის შესახებ კახეთის ქვეყანას გვისურათებენ უკვე სავსებით დამოუკიდებელ ფეოდალურ-პოლიტიკურ ერთეულად, რომელიც გამოყოფილია დანარჩენი ქართლისაგან გრიგოლ კახეთის მთავრის მმართველობის ხანაზე

¹¹⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243—244.
¹¹¹ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кახетии, Тб., 1959, გვ. 130—132, 226—228.



გაცილებით ადრე, სახელდობრ, ჯერ კიდევ VIII ს. პირველ ნახევარში. აღებული ხანის კახეთის სახელმწიფო, რომელიც შედარებით აკლებად დაზარალდა არაბთა შემოსევებისაგან, ვიდრე ქვემო ქართლსა და იმერეთს, წარმოადგენდა ეკონომიურად და პოლიტიკურად ძლიერ ორგანიზმს.

ამ სახლად წარმოქმნილ და ჩამოყალიბებულ კახეთის სამთავროს შემქმნელად გვევლინება არჩილი, რომელიც, როგორც ამას „არჩილის წამების“ მოკლე რედაქციის ავტორი გვაუწყებს: „იყო სტეფანოზისი, ნათესავი დიდისა მეფისა ვახტანგისი, რომელი იყო ნათესავისაგან მირიანისა“¹¹². „არჩილის წამების“ ეს ცნობა ერთგვარად ეხმაურება ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ ჟუანშერის ცნობას იმის შესახებ, რომ VI ს-ში „შვილი ბაკურ მეფისანი, ნათესავნი დაჩისნი, ვახტანგის ძისანი, ... დაჩხეს კახეთს. და დაიპყრეს კუხეთი და პერეთი იორითგან“. საგარეო ხასიათის პოლიტიკურმა ფაქტორებმა იმ ხანად დააბრკოლეს ამ ერთეულის სამთავროდ ჩამოყალიბება, მისმა ხელისუფლებმა ვერ შეძლეს მოპოვებული მდგომარეობის სტაბილიზაცია, რის გამოც სამთავროს შექმნის საკითხი მომავლისათვის გადაიდო. და აი, ესაა, VIII ს. პირველ ნახევარში, სწორედ იმავე ვახტანგ გორგასალის ნათესავმა არჩილმა წარმატებით დააგვირგვინა მისი სახელოვანი წინაპრების წამოწყებული საქმე და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა კახეთის სახელმწიფოს.

არჩილმა კარგად გაართვა თავი საკუთარი სახელმწიფოს სტაბილიზაციის ამოცანას და წარმატებით შეუდგა სამფლობელოს გაფართოებას. იგი განაგრძობდა თავის სამფლობელოს გაფართოებას სისტემატურად, ვიდრე არ დაეუფლა მთლიანად მისი წინაპრების მიერ ნაანდერძე ქვეყანას. არჩილი კახეთის ადრეფეოდალური სახელმწიფოს პირველი მმართველია, რომელიც განსაკუთრებული ენერჯიულობით და სახელმწიფოს გაფართოება-განმტკიცებისათვის დაუცხრომელი ბრძოლით გამოირჩეოდა. იგი მდიდარი ბიოგრაფიისა და პირადი მამაცობით ცნობილი პიროვნება იყო. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისების გამო, არჩილი სავსებით დამსახურებულად ითვლება კახეთის სამთავროს ფუძემდებლად.

არჩილის წამების შემდეგ კახეთის მთავრად მისი შვილი ჟუანშერი ჩანს. ჟუანშერი, ისევე როგორც მამამისი არჩილი, რომ სწორედ კახეთის მთავარია და არა მთელი ქართლის ერისმთავარი, ეს ფაქტი კარგად ირკვევა ქართულ საისტორიო წყაროთა მონაცემებიდან.

¹¹² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 246.

უპირველს ყოვლისა, აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში დაცული საკმაოდ მწყობრი და გაბმული ნუსხა. ქართლის ერისმთავრებისა, რომელნიც თბილისში იხსენიებიან ერთობ საინატერესოა, რომ ამ ნუსხაში არ იხსენიებიან არც შირი, არც არჩილი და არც ჭუანჭერი¹¹³. წყაროები VIII ს. 60-70-იანი წლები-სათვის ერთსულოვნად ასახელებენ ნერსეს, რაც დასტურდება აგრეთვე სხვა რიგის მასალებითაც (იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე). ნერსე 772—773 წწ. ხალიფა ალ-მანსურს ბაღდადში დაუბარებია და რაღაც დანაშაულისათვის საპყრობილეში ჩაუვდია. სამი წლის შემდეგ (775 წ.) ახალმა ხალიფამ მაჰდიმ ნერსე გაათავისუფლა და ქართლში გამოგზავნა. მაგრამ ქართლის ერისმთავარმა, ეტყობა, ვერც მისი ნდობა მოიპოვა და როცა სარკინოზები მას კვლავ განურისხდნენ, მათთან სასტიკი შეტაკების შემდეგ ის იძულებული შეიქნა ქართლიდან დარიალის გზით ჭერ ხაზარეთში გაქცეულიყო, ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) გადასულიყო. ნერსეს ნაცვლად არაბებმა ქართლის ერისმთავრად მისი დისწული სტეფანოზ გურგენის ძე დანიშნეს. ეს მოხდა დაახლოებით 781 წელს¹¹⁴. ნერსე ერისმთავარს გიორგი მერჩულეც იცნობს. იგი მოგვითხრობს: გრიგოლ ხანძთელი, რომელიც დაიბადა 759—760 წ., „სახლსა შინა სამეფოსა დიდისა ნერსე ერისთავისასა აღზრდილ იყო კელითა კეთილად-მსახურისა დედოფლისა ნერსეს ცოლისაითა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი“-ო. ნერსეს, რომელიც 772 წლამდე ქართლის ერისმთავარი იყო და შემდეგ 775—781 წლებშიც კვლავ ერისმთავრობა ეპყრა, რასაკვირველია, თავისუფლად შეეძლო თავისთან აღეზარდა 759—760 წ. დაბადებული თავისი ცოლის ძმისწული გრიგოლ ხანძთელი¹¹⁵. ზემოთ მოტანილი ქრონოლოგიური მასალა ქართლის ერისმთავართა ზეობის შესახებ ცხადად გვიჩვენებს, რომ ჭუანჭერი არ შეიძლება ქართლის ერისმთავრად მივიჩნიოთ, იგი კახეთის ხელისუფალია და მოღვაწეობს VIII ს. 60—70-იან წლებში. შესაძლებელი ხდება ჭუანჭერის ზეობის კიდევ უფრო დაზუსტება. იგი თავისი მოღვაწეობის გარკვეული პერიოდის მან-

¹¹³ მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატერდის კრებული X საუკუნისა, გვ. 325—327.

¹¹⁴ ი. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 78—80, 90; ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII სს-ში, გვ. 106; კ. კეკელიძე, აღრიხიანი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ტფ., 1935; გვ. 19—21.

¹¹⁵ ი. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 80.



ძილზე ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ გურგენის-ძის თანამედროვე იყო. ეს უკანასკნელი კი, როგორც ამას იოანე საბუნისძე უდმოგვცემს, ერისმთავრად ყოფილა „სარკინოზთა შორის მკაცრმამისმცხე ამირა-მუმნისასა, ძისა მაჰდისა“¹¹⁶. ხალიფა მაჰდის მმართველობის წლებია 775—785. ე. ი. სტეფანოზ გურგენისძე ქართლში დაახლოებით 785 წლამდე ერისმთავრობდა. აქედან გამომდინარე, ჭუანშერის კახეთში ზეობაც 785 წლის ახლო ხანებამდე უნდა გაგრძელებულიყო. როგორც ცნობილია, ვახუშტი ჭუანშერის გარდაცვალების თარიღს სწორედ ამ პერიოდში სდებს, სახელდობრ 787 წელს¹¹⁷.

მოგვეპოვება ზოგიერთი ცნობა იმ პოლიტიკური მოვლენების შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდა კახეთში ჭუანშერის მთავრობის წლებში (დაახლ. 761—787 წწ).

აბასიანთა სახალიფოს პოლიტიკური ძლიერების შემქმნელი აბუ-ჯაფარ ალ-მანსური ყოველგვარ საშუალებას ეძებდა, რათა არ დაეშვა ზაზართა მტრული გამოსვლები. ამ მიზნით ხალიფას ნაცვალმა ამიერკავკასიაში იაზიდ იბნ უსაიდ ას-სულამმა დარიალის ხეობაში არაბთა გარნიზონი ჩააყენა, დაიმორჩილა წანარნი და ხარკიც დაადო მათ¹¹⁸. ეს ამბავი ჭუანშერის მმართველობის პირველ წლებში უნდა მომხდარიყო¹¹⁹. როგორც ლევონდი და იაკუბი მოწმობენ, ზაზარებთან სამშვიდობო ურთიერთობის დამყარების მიზნითვე იყო ნაკარნახევი იაზიდ იბნ უსაიდ ას-სულამის დაქორწინება ზაზართა ხაკანის ბალათურის ასულ ხათუნზე¹²⁰. მაგრამ ეს დინასტიური ქორწინებითი კავშირი მოკლე ხანში დაირღვა ხაკანის ასულის გარდაცვალების გამო. რომელიც ზაზარებმა არაბთა მზაკვრობას მიაწერეს¹²¹. ეს უკანასკნელი გარემოება, ლევონდის გადმოცემით, გახდა საბაბი ზაზართა ახალი შემოსევებისა არაბთა ამიერკავკასიულ სამფლობელოებში. 763—764 წწ. მათ ცეცხლითა და მახვილით გადაუარეს აღბანეთის ჩრდილო რაიონებს, რის შემდეგაც ისინი კახეთში შეიჭრნენ და დაიკავეს აქაური ოლქები: ჩელთი, წუქეთი, ველისციხე, თიანეთი, (ბ)

¹¹⁶ კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 68.

¹¹⁷ ვახუშტი, აღწერა, გვ. 557.

¹¹⁸ Баладзори-Жузе, გვ. 20.

¹¹⁹ შდრ. ი. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 77; А. Н. Тер-Гевондян, Армения и арабский халифат, გვ. 100.

¹²⁰ Гевонд, გვ. 92; Якуби-Жузе, გვ. 8; Баладзори-Жузе, გვ. 20; М. И. Артамонов, История хазар, გვ. 241.

¹²¹ Гевонд, გვ. 92.

ერკი¹²². ხაზართა ამ შემოსევას უკავშირებს ი. ჯავახიშვილი მატიანე ქართლისას ავტორის მიერ მონათხრობ ხაზართა ხაკანის ტომის კული სიყვარულის ამბავს კახეთის მთავარ ჭუანჭერის სიღვაძის ნათქმული უმცროსი დის შუშანისადმი, რომელიც ტრაგიკულად და-
 მთავრდა. შუშანის სიმშვენიერის ამბავი ხაზართა ხაკანის ყურამდევ მისულა. ხაკანმა ჭუანჭერს მოციქული გამოუგზავნა და შუშანი ცო-
 ლადსთხოვა, სამაგიეროდ, არაბების წინააღმდეგ დახმარებას პირდებოდა. შუშანმა და მისმა დედამ ხაკანის გულის წადილი შორს დაი-
 კირეს, წარმართის ცოლობა არ იქნებო. შეურაცხყოფილმა ხაკანმა ბლუჩანის სარდლობით დიდი ლაშქარი გამოგზავნა, რომელიც კახე-
 თში შემოიჭრა და იმ ციხეს გარშემოადგა, სადაც ჭუანჭერი და მისი და იყვნენ შეფარებული. ხაზარებმა ციხე აიღეს და ჭუანჭერი და შუშანი შეიპყრეს. როცა ტყვეები ხაზარეთის გზას გაუყვნეს, შუშან-
 მა თვალი ამოუგდო ბეჭედს, რაშიც საწამლავი ჰქონდა შენახული და თავი მოიწამლა. ბლუჩანი ხელცარიელი მივიდა ხაზართა ხაკანის წინაშე. ხაკანი გაწყრა, რატომ შუშანის გვამი არ მომიტანე, რომ მი-
 ცვალეზულის სახე მაინც მენახაო. ბლუჩანი შეიპყრეს, გამოაბეს ყელზე საბელი და მისცეს ორ ცხენოსანს აქეთ-იქით განსაზიდად. ასე მოწყვიტეს მას თავი. თვით ჭუანჭერმა ხაზართა ტყვეობაში შეიდი წელი დაჰყო, რის შემდეგაც ხაკანმა იგი დიდად დასაჩუქრებული თავის ქვეყანაში გამოისტუმრა¹²³. ვფიქრობთ, არ უნდა არსებობდეს საფუძველი იმისა, რომ მთელი ეს ისტორია შეთხზულად მივიჩნიოთ. ჭუანჭერი სავსებით რეალური ისტორიული პიროვნებაა; ცნობილია ისიც, რომ ხაზართა ხაკანი აბსოლუტური ხელისუფლებით სარგებლობდა თავის მხედარმთავართა სიცოცხლესა და სიკვდილზე. რაც შეეხება თვით ხაზართა კახეთში შემოსევის ფაქტს 764 წლისათვის და მათ მიერ აქაური მთავრისა და მისი დის ტყვედ ჩავდებას, ესეც სავსებით დამაჯერებელია, მით უმეტეს, რომ ხაზართა კახეთში შემოჭრას სომეხი ისტორიკოსი ლევონდიც გვიდასტურებს. ყოველივე ეს საფუძველად დაედო ლეგენდას, რომელიც მატიანე ქართლისას ავტორმა თავის თხზულებაში შეიტანა.

771 წლისათვის ჭუანჭერი ხაზართა ტყვეობიდან კახეთში დაბრუნდა. სწორედ ამ ხანებში, მატიანე ქართლისას მოთხრობით, ჭუანჭერმა „შეირთო ცოლი ნათესავი ბაგრატონიანთა, ასული ადარნა-

¹²² Гевонд, იქვე.

¹²³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 249—250; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 77—78.

სესი, სახელით ლატაერი¹²⁴. საფიქრებელია, რომ ეს ადარსაგ ბაგრატიონი, რომლის ასულიც შეირთო ჯუანშერ არჩილის ძემ, იყო პერეთში არჩილის დროს გადმოსახლებულ ბაგრატიონთა ერთ-ერთი წამომადგენელი, კერძოდ კი, იმ უსახელო სამ ძმათაგანი, რომელსაც არჩილმა შაკიხთან ერთად მისცა წუქეთის მთავრის აბუხუასაროს ქვრივი და სწორედ მისი ასული შეირთო ჯუანშერმა¹²⁵.

VIII ს. 70-იან წლებში კახეთის სამთავრო შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლას კახეთის მთიანეთში მოსახლე წანართა ტომი მეთაურობს. ჯერ კიდევ ჯუანშერის მმართველობის პირველ წლებში არაბებმა წანართა ქვეყანაში თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს, დაიმორჩილეს წანარნი და ხარკიც დაადვეს, რასაც, ბუნებრივია, წანარებში მღელვარება უნდა გამოეწვია. იაკუბი შედარებით ვრცლად მოგვითხრობს 70-იან წლებში წანართა აჯანყების შესახებ. ხალიფა აბუ-ჯაფარ ალ-მანსურს მათ წინააღმდეგ ამიერკავკასიის ვალი ალ-ჰასან იბნ-კაჰტაბა (771-775) გაუგზავნია, მაგრამ მისი მისია წარუმატებლად დამთავრებულა. ამის შესახებ და, აგრეთვე, წანართა მრავალრიცხოვნობის შესახებაც, ალ-ჰასანმა შეატყობინა აბუ-ჯაფარს, რომელმაც ჰასანის საშველად გაგზავნა ამირ იბნ-ისმაილ ალ-ჰარისი 20000 მეომრით. ამირი შეხვდა წანარებს და სასტიკი ბრძოლა აუტეხა მათ. ომი რამდენიმე დღე გაგრძელდა და მუსლიმის გამარჯვებით დამთავრდა ბოლოსდაბოლოს. ამირმა ერთ დღეს 16000 კაცი გაელიტა, წანართა ლაშქრიდან. შემდეგ იგი ტფილისისაკენ გაემართა, გზაში ამოხოცა ყველა ტყვე, ვინც თან ჰყავდა და ყოველი მხრით მღვეარი გამოუყენა წანარებს¹²⁶. იაკუბის ეს უკანასკნელი წინადადება, ვფიქრობთ, ასე უნდა გავიგოთ: გამარჯვებულმა ალ-ჰარისმა არაბთა ლაშქრის რაზმები სათარეშოდ მიუშვა კახეთის (წანარეთის) თემებზე. ასე დამთავრდა ეს სისხლისმღვრელი და უთანასწორო ბრძოლა. როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს აჯანყება კახეთში არაბთა წინააღმდეგ 770/1 — 774/5 წწ. უნდა მომხდარიყო¹²⁷.

იაკუბის ზემომოტანილი ცნობის განხილვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ პოლიტიკური აზრით „წანარნი“

¹²⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 251.

¹²⁵ იხ. ჩემი „პერეთი“, გვ. 177—178; ა. ბოგვერაძე, დსახ. ნაშრ., გვ. 104—105.

¹²⁶ Якуби-Жузе, გვ. 8—9; ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 403—404; მ. ლორთქიფანიძე, მასალები..., გვ. 13.

¹²⁷ მ. ლორთქიფანიძე, მასალები..., გვ. 13.

კახეთის სამთავროს გულისხმობს და ამიტომ აქ აღმოსავლეთ საქართველოს ამ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის შესახებ საუბარი¹²⁸. ისეთი დასკვნის გამოტანის უფლებას თვით ცნობის ტექსტი იძლევა. უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემია წინააღმდეგობა ლიერე და მათი ძალების მრავალრიცხოვნობა. ხალიფას ნაცვალ ალ-ჰასანს, რომელსაც ამიერკავკასიაში მდგომი მთელი არაბული ჯარ-ემორჩილება, არ ყავს საკმაო ძალა იმისათვის, რომ აჯანყებულ წანარებს ებრძოლოს. იგი ხალიფასაგან დამხმარე, მეშველ ძალას მოითხოვს. საშველად გამოგზავნილ ამირა იბნ-ისმაილ ალ-ჰარისს აქ 20000-იანი ლაშქარი მოჰყავს, ებრძვის წანარებს და ერთობ უძნელდება მათი დამარცხება. ამირმა მხოლოდ ერთ დღეს 16000 მეომარი გაელიტა წანართა ლაშქრიდან. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც იმდენი დარჩენილან, რომ არაბებს მათთვის მდევრები გაუყენებიათ. ყოველივე ამის გამო, რა თქმა უნდა, საეჭვოა ასეთი დიდი რაოდენობის სამხედრო ძალა მარტო წანარებს ჰყოლოდათ. ამიტომ სავსებით სამართლიანად ვარაუდობენ, რომ იაკუბთან მოხსენებულ აჯანყებულ სანარიელების resp. წანარების ქვეშ კახეთის სამთავრო და ამის შესაბამისად მთელი აჯანყებული კახელებიც უნდა ვიგულისხმოთ¹²⁹. საფიქრებელია აგრეთვე ისიც, რომ არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ აჯანყებულ წანარებს resp. კახელებს მხარში უნდა ამოსდგომოდნენ მათი ჩრდილოკავკასიელი მეზობლები¹³⁰, რომელნიც ასევე აბასიანთა სახალიფოს მძიმე უღლის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი.

771—775 წწ. აჯანყება კახეთის სამთავროში ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო ეპიზოდია იმ დიდი საერთო ბრძოლისა, რომელსაც ამიერკავკასიის ხალხები აწარმოებდნენ არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ. აჯანყების გამომწვევი მიზეზები, ცხადია, მარტო კახეთის სამთავროში შექმნილ ვითარებაში კი არ უნდა იყოს დამარბული, არამედ ისინი ჩვენ საერთოდ იმ დაპყრობით პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ, რომელსაც აბასიანთა ხალიფები ატარებდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებში.

ცნობილია, რომ აბასიანთა ხელისუფლების სათავეში მოქცევისთანავე ძირეულად შეიცვალა მდგომარეობა სახალიფოს სხვადასხვა რეგიონებში, განსაკუთრებით კი ქრისტიანულ ქვეყნებში. ერთ-ერთი

¹²⁸ შტრ. ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 403.

¹²⁹ ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 403—404; მ. ლორთქიფანიძე, მასალები..., გვ. 14.

¹³⁰ А. В. Гадло, Этническая история Северного Кавказа IV—X вв., Ленинград, 1979, გვ. 163.

ყველაზე უფრო მთავარი თავისებურება, რომელიც განასხვავებდა აბასიანთა სახალიფოს ომაიანთა სახელმწიფოსაგან, ეს იყო მისი საერთო მუსლიმანური ხასიათი, მკაცრი სარწმუნოებრივი მართლმადიდებრი მიმართულება პოლიტიკაში¹³¹. ახალი დინასტიის წინასწარმეტყველ მუჰამედის ბიძისაგან — აბასიდან და ეყუთვნოდნენ „ალაჰის მოციქულის სახლს“. აბასიანთა სახალიფო იმთავითვე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისუფალი მონაწილეობის უფლებას აძლევდა ყველა იმ ხალხს, რომელნიც მიიღებდნენ ისლამს. ამ ხალხთა შორის განსაკუთრებით ირანელები უნდა დაეასახელოთ. პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში ირანელები მეტოქეობას უწევდნენ არაბებს. ომაიანთა დროს ირანში ძალზე ცოტანი იყვნენ ისეთნი, რომელთაც ისლამი ჰქონდათ მიღებული, მოსახლეობის ძირითადი მასა ზოროასტრულ რელიგიას აღიარებდა. მკვეთრად შეიცვალა სურათი აბასიანების დროს. ირანულენოვანმა ხალხებმა თანდათანობით მიიღეს ისლამი და უკვე ადგილობრივი მუსლიმანები არაბების თანასწორუფლებიანები გახდნენ.

ომიანების დროს ყველა არა არაბი ხალხები არსებითად დაპყრობილებად ითვლებოდნენ და, მაშასადამე, ირანელები, სირიელები, ქართველები, სომხები, კოპტები და სხვ. თავიანთი მდგომარეობით თანაბარნი იყვნენ და სახალიფოს ოპოზიციას შეადგენდნენ. აბასიანებმა კი თავის მხარეზე გადაიყვანეს ირანელები და ის სხვა ხალხები, რომელთაც ისლამი მიიღეს; ხოლო რაც შეეხებოდა სირიელებს და კოპტებს, ისინი უკვე ძალზე დასუსტებული იყვნენ (ნაწილობრივ არაბიზირებულნიც). და აი, ასეთ პირობებში ქართველები და სომხები, სხვა ხალხებთან ერთად, დაპყრობილებად რჩებოდნენ. ასეთ მკაცრ სარწმუნოებრივ პოლიტიკასთან ერთად, აბასიანთა მმართველობის ხანაში ადგილი ჰქონდა დაპყრობილ ხალხებზე გაწერილი ხარკისა და საერთოდ ყოველგვარი სახის გადასახადების მეტისმეტად დამძიმებას. მკაცრი სარწმუნოებრივი პოლიტიკა, აუტანელი ხარკი, დაპყრობილი ხალხების საპასუხო ღონისძიებებს იწვევდა და სასოწარკვეთილ მოსახლეობას ამბოხების და აჯანყებისაკენ უბიძგებდა.

მეორე აბასიანი ხალიფას დროს, ე. ი. სწორედ იმ ხალიფა აბუჯაფარ ალ-მანსურის ზეობაში, როდესაც კახეთში (წინარეთში) ამბოხებამ იფეთქა, არაბთა უსამართლობა და ძალმომრეობა ამიერკავკასიის ქვეყნებში არ შეწყვეტილა. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერა-

¹³¹ А. Мюллер, История ислама, II, СПб., 1896, стр. 147—148.

ტურაში შემუშავებული დახასიათებით, ალ-მანსური იყო მაკიაჯის ტიპის დესპოტი¹³². ისტორიკოსი ლევონდი მეტად ხატონად მოგვითხრობს მისი სიხარბის შესახებ: „იგი (ალ-მანსური) გარებამ იმ ზომამდე მიიყვანა, რომ თავისავე ხალხმა შეარქვა, იმიტომ რომ, სიძარტლე უნდა ითქვას, იგი ფულს უფრო მეტ პატივს სცემდა, ვიდრე ღმერთს“¹³³.

სამწუხაროდ, იაკუბთან არაფერია ნათქვამი კახეთში შექმნილი კონკრეტული ვითარებისა და აჯანყების გამომწვევი მიზეზების შესახებ. მაგრამ ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია კახეთის სამთავროს მეზობელი სომხეთის მდგომარეობა იმავე ხანაში, აღწერილი ჟუანშერის თანამედროვე სომეხი მემატიანის ლევონდის მიერ. ლევონდის „ხალიფთა ისტორიაში“ აღწერილი ისტორიული მოვლენები ქრონოლოგიურად მოიცავს 661—788 წწ. ამ თითქმის 127 წლიანი პერიოდიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა VIII ს. 50—70-იანი წლები (749—775), აბასიანთა პირველი ორი ხალიფას მმართველობის ხანა, რომლის თვითმხილველი და თანადამხდურიც ავტორი იყო. ლევონდი დაწვრილებით მოგვითხრობს აბასიანთა დაპყრობითი პოლიტიკის შესახებ ამიერკავკასიის ხალხების მიმართ, ხალიფა ალ-მანსურის ზეობაში სომხეთში მომხდარ აჯანყებაზე, აუტანელ ხარკზე, მოსახლეობის შევიწროებისა და გალატაკების შესახებ. ლევონდის „ისტორიის“ ამ ნაწილში მოიპოვება ისეთი ხასიათის ცნობები, რომელნიც სხვა წყაროებიდან არ არის ცნობილი¹³⁴.

უკვე პირველი აბასიანი ხალიფა აბუ-ლ-აბასის დროს (749—754) ჩრდილო მხარეთა ნაცვალმა აბუ-ჯაფარმა (ხალიფას ძმა) პირადად შემოიარა მთელი სომხეთი და, როგორც ლევონდი გადმოგვცემს, მოსახლეობისაგან ხარკს მოითხოვდა. საშინლად ტანჯავდა გლეხებს, სამღვდლოებასა და ფეოდალებს. იგი გლეხობას მათი ოჯახის მკვდარ სულელებზე კი ვერცხლს ახდევინებდა, სოფლის სამღვდლო პირებს სთხოვდა მიცვალებულთა და მათი ოჯახის წევრების (სახლეულების) სახელების გამოჩენას; იღებდა რა კაცის თავზე მრავალ ზუზე (ფულის სახელი) ვერცხლს, მან გლეხებს უბრძანა, რათა ყველას ტყვიის ბეჭედი შეებათ ქედზე; ნახარარებს (მთაერებს) ნებით თუ უნებლიეთ, აბასიანთა ნაცვალთან „ძღვნად“ მიჰქონდათ და მიჰყვდათ შესანიშნავი სამოსელი, ოქრო და ვერცხლი, ცხენები, ჯო-

¹³² E. A. Беляев, Арабы, ислам и арабский халифат, გვ. 213.

¹³³ Гевонд, გვ. 128.

¹³⁴ К. Патканов, Предисловие к «Истории халифов вардапета Гевонда», გვ. VII; მისივე, Библиографический очерк армянской исторической литературы, СПб., 1880, გვ. 34.



რები, რათა როგორმე ამოვესოთ ამ უძღვები ურჩხულის პირი, რომელიც ქვეყნის წასაბილწად მოსულიყო¹³⁵.

ხალიფა ალ-მანსურის ზეობაში მწარმოებელ საზოგადოებრივ მოძრაობებში მძიმე გადასახადებმა, გაუციოთხაობისა და თვითნებობის პოლიტიკამ, სამღვდლოებისა და ფეოდალების შევიწროებამ უკიდურეს ზომას მიადწია. ყოველივე ეს კი ნიადაგს უმზადებდა იმ დიდ, საერთო აჯანყებას, რომელმაც იფეთქა სომხეთში 774—775 წ. ლევონდი გვაუწყებს, რომ ალ-მანსურმა ხარკის უღელი მეტისმეტად დაუშობია სომხეთს. გლეხობა უკანასკნელ სარჩო-საბადებელს იძლეოდა, მრავალი გარბოდა და თავს აფარებდა მიუვალ გამოქვაბულებსა და ხეობებში. ვერცხლი გაქრა ქვეყნიდან. ყოველი მონაგებისაგან გაძარცვული, შეზოჭილი იყო სომხეთი სილატაკითა და სივლახაკით, მათ შორის ნახარაბებიც და დიდებულებიც. ყველას სტანჯავდნენ — სამღვდლო პირებს, მთაერებს, უბრალო ხალხს. ცემა, სხვადასხვა საშინელი სასჯელი, შეურაცხყოფა — ყველაფერი მიმართული იყო ხარკის ასაკრეფად¹³⁶.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში აბასიანთა სახალიფო თავისი ძლიერების მწვერვალზე იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, ლევონდის სიტყვით, აუტანელი ძნელბედობისაგან სასოწარკვეთილებათაში ჩაფარდნილმა სომეხმა ნახარაბებმა გადაწყვიტეს აჯანყების მოწყობა. გამუდმებულ საფრთხეში მყოფ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი არჩიეს. არტავაზდ მამიკონიანის მეთაურობით ისინი თავს დაესხნენ შირაკის პროვინციის სოფელ კუმაირში გადასახადების ამკრეფ მოხელეს და მოკლეს იგი, რის შემდეგაც ჩრდილოეთ რაიონებში გაიქცნენ¹³⁷. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაამძვინეარა არმინიის მმართველი ალ-ჰასანი, რომელმაც გადასახადების ამკრეფ მოხელეებს უბრძანა ყოველგვარი ძალადობის გამოყენებით აეღოთ ხარკი მოსახლეობისაგან. მაგრამ მოსახლეობას არათუ არ ძალუძდა ამ მოხელეთა მოთხოვნების დაკმაყოფილება, არამედ, საერთოდ, მთელს სომხეთში სრულებით აღარ იშოვებოდა ვერცხლი. ამან მოსახლეობის ახალი აზვირთება გამოიწვია, იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც სათავეში მუშელ მამიკონიანი ჩაუდგა. აჯანყებულებმა უარი განაცხადეს მორჩილებაზე, თავს დაესხნენ გადასახადების ამკრეფთ და ერთიანად გაყლიტეს¹³⁸.

¹³⁵ Гевонд, 33. 127—128; ს. ჯანაშია, შრომები, II, 33. 399; А. Н. Тер-Гевондян, Армения и арабский халифат, 33. 99.
¹³⁶ Гевонд, 33. 135—137; ს. ჯანაშია, შრომები, II, 33. 400; А. Н. Тер-Гевондян, დასახ. ნაშრ., 33. 102.
¹³⁷ Гевонд, 33. 137—138; Тер-Гевондян, დასახ. ნაშრ., 33. 105.
¹³⁸ Гевонд, 33. 139; Тер-Гевондян, დასახ. ნაშრ., 105—106.



აბასიანთა ხალიფა ალ-მანსურის დროს სომხეთში ^{შექმნილი} მდგომარეობა, 774—775 წწ. მრისხანე აჯანყება, მისი გამომწვევე მიზეზები და საერთოდ აბასიანების დაპყრობითი პოლიტიკის შედეგად მშვენიერად აქვს აღწერილი იმდროინდელ სომეხ მემკვიდრე ლევონდს, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქრონოლოგიურად ამავე ხანაში (771—775 წწ.) კახეთის სამთავროში ჭუანშერის მმართველობის პერიოდში მომხდარ აჯანყებაზეც. ლევონდის ცნობები ერთგვარად აესებენ იაკუბის მასალებს კახეთის (წანარეთის) აჯანყების შესახებ და სრულყოფილად გვისახავენ მის გამომწვევე ფაქტორებს, მსვლელობას და მასშტაბს.

ჭუანშერის გარდაცვალების შემდეგ (დაახლ. 787 წ.) VIII ს. უკანასკნელი ათწლეულისა და IX ს. დამდეგის კახეთის სამთავროს ისტორიის შესახებ მატრიანე ქართლისას ავტორი მხოლოდ ერთ მცირე, უაღრესად ძუნწ ცნობას გვაწვდის, იგი წერს: „განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა. რამეთუ მათვე ეამთა შესრულ იყო მასლამა საბერძნეთად, და შეიქცა მოუძღურებული და განწილებული. მაშინ ბერძენთა მეფემან მოუბოძა კურაპალატობა აშოტს, და მოუძღურებულ იყვნეს სარკინოზნი, და განდიდნა აშოტ კურაპალატი. ხოლო ტფილისს არავინ დარჩა სარკინოზთაგანი თუნიერ ალი შუაბის ძისა. და გრიგოლ მთავრობდა კახეთს“¹³⁹. ამ ცნობის მიხედვით ჩანს, რომ თბილისში არაბთა ძალაუფლების შესუსტების დროს ადგილი აქვს აშოტ ადარნასეს ძე ბაგრატიონის აღზევებას, რომელსაც ბიზანტიასთან ხელსაყრელი ურთიერთობა დაუშვარებია და კურაპალატის ტიტული მიუღია. ამავე ცნობიდან ირკვევა, რომ სწორედ ამავე ხანებში კახეთში დაწინაურებულა ერთერთი წარჩინებული საგვარეულო, რომელიც გრიგოლის სახით წარმოადგენს კახეთის ადგილობრივ მთავართა მმართველ სახლს: „და გრიგოლ მთავრობდა კახეთს“. მაგრამ ამ ცნობიდან გრიგოლის გენეალოგია ჩვენთვის უცნობი რჩება. მემკვიდრე სდუმს იმის შესახებ, თუ, სახელდობრ, რომელ გვარეულობას ეკუთვნოდა გრიგოლი. ვერაფერს გვეუბნება გარკვევით გრიგოლის გენეალოგიის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონიც. ამ საკითხის შესახებ იგი მხოლოდ შემდეგს აღნიშნავს: „ხოლო ხოსროვანთ გარდავლინებისა შემდგომად (ხოსროიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო ჭუანშერი—თ. პ.)... განდგა გრიგოლი და მას ეამსა შინა სხუანი არლარავინ იყო მეფეთა ნათესავი“. თავისი შრომის სხვა ადგილას ვახუშტი

¹³⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 252.



გრიგოლის შესახებ დასძენს: „ზოლო უკეთუ გრიგოლისას იტყუ, იგი იყო თუთ კახეთის ერისთავი და დაიპყრა კახეთი“¹⁴⁰. ამნივე კახეთში მატიაზე მართლისას ავტორის ცნობას ერთ საგულისხმო დეტალს უმატებს: გრიგოლს, ვიდრე იგი კახეთის ადგილობრივ მთავართა ხელისუფლებას მიიტაცებდა, ამავე ქვეყანაში ერისთავობა ეპყრა.

*ჯუანშერის შემდეგ კახეთში გამთავრებული გრიგოლსა და საერთოდ კახეთის მმართველი სამთავრო სახლის ზუსტი წარმომობისა და გენეალოგიის დადგენა ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვან სიმძვინვარებას წარმოადგენს. ეს გარემოება, უპირველეს ყოვლისა, წყაროების სიმწირით აიხსნება. კახთა ქორეპისკოპოსების საგვარეულო მატიაზე, რომლის არსებობა ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, ჟერჯერობით დაკარგულად ითვლება. რაც შეეხება მატიაზე ქართლისას, როგორც ეს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, იგი ძირითადად VIII—XI სს. საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას მოგვითხრობს, მისი ყურადღების ცენტრში ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიაა მოქცეული, ზოლო რაკი გაერთიანებისათვის ბრძოლა უმთავრესად იყო ბრძოლა „ქართლისათვის“, ამიტომ მის მოთხრობაში მთავარი ადგილიც ქართლს უკავია: სხვა კუთხეებს, კერძოდ კახეთს, ნაკლებად ეხება, იმდენად, რამდენადაც იქ მომხდარი ამბები საქართველოს გაერთიანების პროცესთან ასე თუ ისე დაკავშირებული იყო. ამას გარდა, მემატიაზე, ვითარცა წარმომობით ქართლელს, თავისი კუთხის ისტორია უფრო უკეთ სცოდნია. ვიდრე საქართველოს დანარჩენი ნაწილებისა. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ნაწარმოებში კახეთის სამთავროს ისტორია მეტად სქემატურად არის ასახული. კახეთის მმართველ ქორეპისკოპოსთა სახელებისა და პოლიტიკური ისტორიის რამდენიმე ეპიზოდის გარდა, მასში ჩვენ სხვა ხასიათის ისტორიულ მასალას ვერ ვპოულობთ. ყოველივე ამას ზედ ერთვის ავტორის თხრობის სტილი და მანერა: უაღრესად მოკლე და შეკუმშული. მისი ასეთი სიტყვაძვირობით არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას იგი რამდენიმე სიტყვით გადმოგვცემს¹⁴¹. ასეთ ვითარებას აქვს ადგილი ჩვენს შემთხვევაშიც. კახეთის სამთავროს ისტორიის ისეთი საკვანძო საკითხი, როგორიცაა აქაური მმართველი დინასტიის წარმომობა-გენეალოგია, მატიაზე ქართლისას ავტორის ყურადღების

¹⁴⁰ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 524, 565—566.

¹⁴¹ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვთო I, თბ., 1928, გვ. 4—5.

გარეშე რჩება. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი მხოლოდ აღნიშნავს: „და გრივოლ მთავრობდა კახეთს“. რა პირობებში მთელი კახეთი გოლს გამთავრება, ან რომელი საგვარეულო სახლის წარმომადგენელი იყო იგი, ამაზე ავტორი არაფერს გვეუბნება. ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ არსებული წყაროები ვერ იძლევიან ჩვენთვის საინტერესო საკითხის სასურველი სისრულით გადაწყვეტის საშუალებას.

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში კახეთის მმართველი სამთავრო სახლის წარმოშობისა და გენეალოგიის საკითხის კვლევას არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. 1926 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „რუსთველიანა“ პ. ინგოროყვა წერს: „ბაგრატიონთა ამაღლება საქართველოში იწყება VI ს-დან, ხოლო განსაკუთრებით ძლიერდებიან ისინი VIII ს. მეორე ნახევრიდან მოკიდებული, როდესაც არაბთა მფლობელობის შესუსტების შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველოში აღმოცენდა დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროები: ქართლისა (მესხეთით), კახეთისა და ჰერეთისა. ამ სამეფო-სამთავროების სათავეში მოექცა ერთი და იგივე ბაგრატიონთა გვარი“¹⁴². როგორც ვხედავთ, პ. ინგოროყვას აზრით, VIII ს-ში აღმოცენებული კახეთის სამთავროს სათავეში ბაგრატიონთა გვარი მოქცეულა. აღნიშნული დასკვნა პ. ინგოროყვას დამყარებული აქვს ჯუანშერის ქრონიკაში ჩართულ VIII ს. ანონიმისა და სუმბატ დავითისძის ჩვენებებზე.

აღნიშნულ საკითხზე მოსაზრება გამოთქვა მ. ლორთქიფანიძემ. გარდაბანელთა და წანართა საკითხთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს: „არაბ-კახელთა დაძაბული ბრძოლის დროს, როგორც ჩანს, ყველაზე ძლიერი და გაბატონებული ტომი კახეთში წანარების ტომია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამთავრო სახლიც წანარებიდანაა გამოსული“¹⁴³.

ანალოგიურ მოსაზრებას ანვითარებს შ. ბადრიძე. მისი შეხედულებით, კახეთის საზღვრებში მოქცეულ პოლიტიკურ ორგანიზმში წანარები წარმმართველ ძალას წარმოადგენენ, მათივე მოთავეობითაა შექმნილი კახეთის სამთავრო და ამიტომ კახეთის მმართველი ქორეპისკოპოსების წარმოშობაც წანართა წრეში და მათი მოქმედების არეში უნდა ვეძებოთ¹⁴⁴.

¹⁴² პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. 1, თბ., 1963, გვ. 112.

¹⁴³ მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, მასალები..., გვ. 35.

¹⁴⁴ შ. ბადრიძე, მმართველი ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის საკითხისათვის კახეთის სამთავროში, მაცნე, № 5, თბ., 1964, გვ. 89, 91, 96—97; მისივე,

უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში კახეთის მთავართა დინასტიის გენეალოგიის საკითხს შეეხო სომეხი მკვლევარი ტ. მ. ჯუღაშვილი, რომელიც ავრთვე კახეთის ქორეპისკოპოსის ფეოდალური წარმოშობის იდეას იზიარებს. იგი წერს: «Из родоплеменной знати цанаров и вышел правящий род Кахетин в лице хорепископа Григола, объявившего себя наследственным владельцем Кахетин»¹⁴⁵.

ჩვენი აზრით, კახეთის მთავართა დინასტიის გენეალოგიური ფესვების ძიება წინართა წილში არ უნდა იყოს მართებული. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ უარვყოფთ კახეთის მთიანეთში მცხოვრებ წინართა ტომის აქტიურ როლს კახეთის სამთავროს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ ამ საკითხს სხვა ასპექტიც გააჩნია: ეს არის წინართა სოციალური განვითარების დონე. თვით ზემოაღნიშნულ მკვლევართა დახასიათებით, წინართა სახით ჩვენ გვაროვნულ-ტომობრივი წყობის პირობებში მცხოვრებ მთიელ ტომებთან გვაქვს საქმე. კახეთში კი ამ დროს (VIII—IX სს. მიჯნა) ფეოდალური ურთიერთობის განვითარების დონის თვალსაზრისით, საკმაოდ მაღალი საფეხური გვაქვს. აქედან გამომდინარე საფიქრებელია, რომ კახეთის სამთავროს ფეოდალური საზოგადოება ვერ შეეგუებოდა ქვეყნის სათავეში სოციალური მდგომარეობით განსხვავებული ფენის მოქცევას. ჩვენი შეხედულებით, გრიგოლ კახეთის მთავარი რომელიმე ადგილობრივი ფეოდალური საგვარეულო სახლის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. კახეთის წარჩინებულთაგან მთავრის ხელისუფლების მიტაცება სრულიად კანონზომიერი და ლოგიკური მომენტი იყო ქვეყნის საერთო განვითარებისა. რომელი ფეოდალური სახლიდან (საგვარეულოდან) უნდა იყოს გამოსული გრიგოლი? წინასწარვე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ამ დროისათვის ძველი სამეფო დინასტია ხოსროიანებისა უკვე «გარდავლინებული» იყო. ვახუშტი აკი გვამცნობს: «გარნა უკეთუ განდგა გრიგოლი და მას ეამსა შინა სხუანი არლარა ვინ იყო მეფეთა ნათესავი»¹⁴⁶. ამის შემდეგ მივმართოთ წყაროთა სხვა ჩვენებებს.

Из истории государственного строя грузинских политических объединений IX—X вв. Автореферат кандидатской диссертации, Тб., 1965, гл. 13.

¹⁴⁵ А. Г. Мкртумян, К вопросу об образовании феодального княжества Кахетин, гл. 232.

¹⁴⁶ ვახუშტი, აღწერა, გვ. 565.



თავდაპირველად მოვიტანოთ სუმბატ დავითის ძის გადმოცემა ქართლში პირველ ბაგრატიონთა მოსვლის შესახებ. „ქუეჭინის წიგნი“¹⁴⁷ ლისტომით“ წამოსული შვიდი ძმიდან სამი სომხეთში რჩება...¹⁴⁸ „ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს: ხოლო ერთი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა. და ესე ქართლისა ბაგრატიონიანნი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი. ხოლო ძმა მისი, სახელით საპაჲ, წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს. და სხუანი ორნი იგი ძმანი ამათნი, სახელით ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს...“ ცოტა უფრო ქვემოთ იგივე ამბავი ოღნავი განსხვავებითაა მოთხრობილი: „ხოლო ოთხნი ესე ძმანი წარმოემართნეს ქართლს, ვითა ზემო ვახსენეთ, და გუარამ განაჩინეს ერისთავად... ხოლო სამნი ესე ძმანი წარვიდეს კახეთს და საპაჲ დაუზახა ბაკურს, ძესა ნერსესსა, ხოლო ასამ და ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩოანს“¹⁴⁷....

ამრიგად, სუმბატ დავითის ძის მიხედვით, VI ს-ში ოთხი ძმა, ჩამომავლობით ბაგრატიონები, მოდის ქართლში. ერთი იმკვიდრებს ქართლის ერისმთავრობას, მეორე, საპაჲ ბაგრატიონი, მიდის კახეთში და უმოყვრდება ადგილობრივ მთავართა გვარეულობას. ჭუანჭერის ჩვენებით, სწორედ VI ს. მეორე ნახევარში კახეთში სხედან ძველი სამეფო დინასტიის, ხოსროიანების წარმომადგენელი: „და შვილნი ბაკურ მეფისანი, ნათესავნი დაჩისნი, ვახტანგის ძისანი, რომლისადა მიეცა მეფობა ვახტანგ მეფესა, ივინი დარჩეს კახეთს. და დაიპყრეს კუხეთი და ჰერეთი იორითგან, და დასხდეს უჯარმოს, და იყვნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისასა“¹⁴⁸. მოტანილი ცნობების ურთიერთშეჭერების შემდეგ ნათელი ხდება, რომ კახეთში დამკვიდრებული საპაჲ ბაგრატიონის შთამომავალი დედით ხოსროიანნი, ხოლო მამის ხაზით კი ბაგრატიონები უნდა ყოფილიყვნენ.

ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის საყურადღებო ჩვენება მოეპოვება აგრეთვე VIII ს. ანონიმს, რომელიც მოგვითხრობს კახეთში არჩილის მთავრობის დროს ტარონიდან მოსულ ბაგრატიონთა გვარის სამი ძმის დამკვიდრების შესახებ¹⁴⁹. „წარმოვიდეს ტარონით შაკიხად, სამნი ძმანი, და დაემკუდრნეს მუნ, ბრძანებითა არჩილისათა, რამეთუ ყოველი პირი კაცკასიისა, რანით კერძი, უმკვდრო ქმნილიყო. ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარ-

147 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 373—374.
 148 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 219.
 149 იხ. ჩემი „ჰერეთი“, გვ. 180—184.



ჩომილ იყო, და დამკვიდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის¹⁵⁰. როგორც ვხედავთ, VIII ს. არჩილის ნებართვით დამკვიდრებულნი არა მარტო შაქში (ქერეთში) კარგად შეწყვეტენ კახეთშიც (ალაზნის მარჯვენა სანაპირო) თურდოს ხევაამდე (გულგულამდე). არჩილს მიუბოძებია მათთვის მთელი რიგი მიწები კახეთში ლენურ სამფლობელოებად (ვასალური ურთიერთობის საფუძველზე).

ამრიგად, ჭუანშერის, სუმბატ დავითის ძის და VIII ს. ანონიმის მიხედვით, კახეთში VI—VIII სს. მხოლოდ ორი წარჩინებულთა სახელია (გვარი) საზოგადოებრივ ცხოვრებაში წინა პლანზე: ვახტანგ გორგასალის ჩამომავალნი, ხოსროიანები, რომელნიც გრიგოლის გამთავრების ეპისოპოსის უკვე გადაშენებულნი იყვნენ, და ბაგრატიონები. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვვარაუდობთ: გრიგოლი კახეთის წარჩინებულთა იმ შტოს ეკუთვნოდა, რომელსაც სუმბატ დავითის ძე და VIII ს. ანონიმი ბაგრატიონებს უწოდებენ.

რაც შეეხება იმ პირობებს, რომელშიც მოუხდა გრიგოლ ბაგრატიონს გამთავრება, სწორედ რომ ხელსაყრელი იყო. მატიანე ქართლისას ავტორი არჩილისა და ჭუანშერის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანაში შექმნილ ვითარებას ასე ახასიათებს: „იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასროანთამან... იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას და უკეთუ ვინმე გამოჩნდის შვილთა შორის ვახტანგისათა, რომელიმცა ღირს იყო მეფედ, იქმნის შემცირებულ სარკინოზთაგან“¹⁵¹. ასეთი ვითარება ამ მემატიანის თანახმად გაგრძელებულა ვიდრე აშოტ კუროპალატამდე ანუ ქართლში, ჩვენის მხრით დავუმატებდით, კახეთშიც, ბაგრატიონთა გვარის მთავრების დამკვიდრებამდე.

„მთავართა სიმრავლეში“ მემატიანე იმ გარემოებას გულისხმობს, რომ ყოფილი საერისთავოები სამთავრო ქვეყნად გადაიქცა და ერისთავები გამთავრდნენ (ვახუშტის აზრით, გრიგოლიც ზომ კახეთის ერისთავი უნდა ყოფილიყო — იხ. ზემოთ) ამ პროცესის შესაფერისად. „მთავართა სიმრავლე“, როგორც გარკვეული ისტორიული მოვლენა, „შედეგი იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური შეუჩერებელი განვითარების, შედეგი იყო ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების, შედეგი იყო სოციალური რევოლუციის, რომელიც აუცი-

¹⁵⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 244.

¹⁵¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 250.

ლებელი შეიქმნა საწარმოო ძალთა განვითარების ახალ ბაზისზე¹⁵². ერისთავების მიერ ქვეყნების სამთავროდ მიტაცება, სამთავროთა ჩამოქმნა და მათი გამსხვილება ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების ნიადაგზე ხდებოდა. ახალი საწარმოო ურთიერთობა კი სათანადო პოლიტიკური ზედნაშენის შექმნის აუცილებლობას იწვევდა. სამთავროთა გამსხვილების შედეგად წარმოიქმნა აფხაზთა სამეფო (იოანე არჩილის ძის გადაშენება), ტაო-კლარჯეთის სამთავრო (ვახტანგ გორგასალის ჩამომავალთა გადაშენება), კახეთის სამთავრო — გრიგოლ მთავარი (ჯუანშერ არჩილის ძის გადაშენება), პერეთის სამთავრო¹⁵³.

მატიანე ქართლისას ავტორის ცნობა „შევრია ბრძოლა და იქმნეს მტერ ურთიერთას“ საინტერესოა იმ მხრით, რომ იგი აღნიშნავს ფეოდალური მოზარდი ქვეყნის დამახასიათებელ ხაზს¹⁵⁴. იგი გულისხმობს ფეოდალური სახლების ამოძრავებას, ამა თუ იმ ქვეყნის სათავეში ახალი მფლობელი გვარის ჩადგომას. ზოლო ასეთი რამ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში და ჩვენთვის საინტერესო რეგიონში რომ რეალური ფაქტია, ამას კარგად გვიდასტურებს გრიგოლ ბაგრატიონის კახეთში გამთავრების ამბავი. შექმნილ პირობებში თავისი სოციალური წარმოშობით გრიგოლი სავსებით შესაფერისი კანდიდატურა იყო კახეთის მთავრის ტახტზე.

ვახუშტი გრიგოლის ზეობას 787—827 წწ. განსაზღვრავს¹⁵⁵. საისტორიო წყაროები კახეთის ისტორიის შესახებ გრიგოლიდან დაწყებული ვიდრე X ს. დასასრულამდე, წინა პერიოდთან შედარებით, განსხვავებულ სურათს გვაძლევენ. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება კახეთის სახელმწიფოს ტერიტორიული მოცულობის მასშტაბს. ირკვევა, რომ გაერთიანებულ სახელმწიფო ორგანიზმს გრიგოლის მთავრობის პირველივე ხანებში ჩამოსცილებია პერეთი. როგორც ვახუშტი გადმოგვცემს, „პერეთი დაიპყრეს ძმისწულთა ადარნასე ბრმისათა, რომელთა დასწუნეს თუალნი მამის ძმისა და არჩილ მოწამემან მიუბოძა ამას შაკიხი და ცოლი აბუხოსროსი; და ამის ძეთა დაიპყრეს შაკიხიდან გულგულამდე და შემდგომად ჯუანშერისა სიკუდილისა (787 წ. — თ. პ.) დაიპყრეს სრულიად პერეთი და იწოდეს მე-

152 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX, თბ., 1979, გვ. 57.

153 შტრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX, გვ. 60.

154 ნ. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 58.

155 ვახუშტი, აღწერა, გვ. 557—558.



ფედ და დასხნეს ერისთავნი, ვითარცა იწერვის¹⁵⁶. პერეთი ამიერი-
დან ვიდრე XI ს. დასაწყისამდე კახეთის სახელმწიფოში, როგორც
ფარგლებს გარეთაა და წარმოადგენს დამოუკიდებელ პოლიტიკურ
ერთეულს. ბუნებრივია, რომ ამ გარემოებამ ერთგვარად განსაზღვრა
კახეთის სახელმწიფოში ისტორიული პროცესის შემდგომი მსვლე-
ლობა. იგი მთლიანად გამსჭვალულია დაუცხრომელი ბრძოლით,
რომელიც წარმოებს ამ დაკარგული ტერიტორიის ხელახლა შემოერ-
თებისათვის. სამგიეროდ კახეთის სამთავროს საზღვრები გაფართოე-
ბულა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. გრიგოლის დროს მის
ფარგლებში შემოსულა ქართული გარდაბანი. ამის თაობაზე ვახუშ-
ტი გვაუწყებს: „ხოლო წელსა ქსა ღპზ, ქარ.ზ“ (787 წ.)... განდგა
გრიგორი მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდაბა-
ნი¹⁵⁷. გარდა ამისა, კახეთის მესვეურნი საბავენ სხვა პოლიტიკურ
ამოცანასაც — სამთავროს მიწა-წყლის გაფართოება დასავლეთის
მიმართულებით. ეს უკანასკნელი მიზანი კახეთის ხელისუფლებმა კი-
დევაც განახორციელეს. VIII ს. უკანასკნელ მეოთხედში კახეთის
სამთავროს ექვემდებარება არაგვისა და ქსნის ხეობათა რაიონები და
აგრეთვე ქსნის დასავლეთით მდებარე შიდა ქართლის მიწები. ქსნის
ხეობის დაპყრობას კახეთის მთავართათვის დიდი სარგებლობა მოჰ-
ქონდა. იგი მათ საშუალებას აძლევდა გაეძლიერებინათ კონტროლი
ამიერკავკასიის სავაჭრო გზის იმ მონაკვეთზე, რომელიც გადიოდა
მდინარეების: ალაზნის, იორის და არაგვის ველებსა და ხეობებზე.
ეს კი, თავის მხრივ, გზას უხსნიდა მათ დაღისტნისა და ჩრდილო კა-
ვკასიისაკენ. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა განსაკუთრებით კახე-
თის მთავართა მხრიდან დარიალის კარებზე კონტროლის დაწესე-
ბას¹⁵⁸.

/ VIII ს. დამლევისა და IX ს. დამდგვისათვის არაბები ვაცხოვე-
ლებულ ბრძოლებს აწარმოებენ კახეთის სამთავროს (წანარეთის) წი-
ნააღმდეგ. ეს არის სახალიფოში პარუნ არ-რაშიდის (786—809 წწ.)
მეფობის ხანა. არმინიის (ამიერკავკასიის) მმართველად (ვალი) ამ
პერიოდში ეხედავთ ხუზაიმა იბნ-ხაზიმ ათ-თამიმს (803—806). რამ-
დენადაც უღმობელნი იყვნენ არმინიის მმართველნი ამიერკავკასიის

¹⁵⁶ ვახუშტი, აღწერა, გვ. 557.

¹⁵⁷ იქვე.

¹⁵⁸ Н. А. Бердзенишвили, В. Д. Дондуа, Грузинские земли в VII—IX вв., Очерки истории СССР, III—IX вв., Москва, 1958, გვ. 510—511.

დაპყრობილი ხალხების მიმართ, მით უფრო ხშირად ჰქონდა აღვილი აქაური მოსახლეობის აჯანყებებს სახალიფოს წინააღმდეგ; განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა ზემოხსენებული ხალხების წინააღმდეგ. ვალი ხუზაიმა ათ-თამიმიკი იაკუბი გვიამბობს: არ-რაშიდმა არმინიის მმართველად დანიშნა ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმი, რომელმაც შეიპყრა პატრიკები და მეფის წულები, დასჭრა მათ თავები და, საერთოდ, ისე ცუდად ეპყრობოდა მათ, რომ უარესი აღარ შეიძლებოდა. ამან გამოიწვია აჯანყება ჯურზანსა და სანარიაში (ე. ი. ქართლსა და კახეთში (წანარეთში) — თ. პ.). მმართველმა (ხუზაიმამ) გაგზავნა მათ წინააღმდეგ ლაშქარი, მაგრამ მათ ის გაწყვიტეს. მაშინ მან მათ (წანარების) წინააღმდეგ გაგზავნა საიდ იბნ ალ-ხაისამ ათ-თამიმი დიდი ჯარით. იგი მანამ ეომებოდა ჯურზანისა და სანარიის (ქართლ-კახეთის) მცხოვრებთ, სანამ არ გადაარეკა ისინი ქვეყნის ფარგლებიდან. ამის შემდეგ ხუზაიმა წავიდა თბილისში, სადაც ერთ წელზე ნაკლები დაპყო, რადგანაც გადაყენებულ იქნა. მის მაგიერ დანიშნა სულაიმან ალ-ამირი. ეს უკანასკნელი ღრმა მოხუცი იყო და სრულიად უძლური აღმოჩნდა აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი არცერთი განკარგულება არ სრულდებოდა, ისე რომ, ქვეყანა კინალამ გადაუდგა მას. ასეთივე უძლური აღმოჩნდნენ ყველა მისი შეწყველნი და ეს გრძელდებოდა ხალიფა ჰარუნის მმართველობის ბოლომდის¹²⁰. იაკუბის ზემომოტანილი ცნობიდან ნათელი ხდება, თუ როგორი შეუპოვრობით იბრძოდა კახეთის სამთავრო (წანარეთი) არაბების წინააღმდეგ და რა აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ ბრძოლებში, რომელსაც ამიერკავკასიის ხალხები მუსლიმანთა წინააღმდეგ ეწეოდნენ.

როგორც მატიანე ქართლისას ავტორი ვადმოგვცემს, VIII ს. ბოლოს, თბილისში არაბთა ძალაუფლების შესუსტების დროს, ქართლში აღვილი აქვს აშოტ ადარნასეს ძე ბაგრატიონის აღზევებას, რომელიც კახეთის მთავრის გრიგოლის თანამედროვე იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც თბილისის საამირო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა, აქაური ამირა, რა თქმა უნდა, თავის სამფლობელოში ვერ შეეგუებოდა ისეთ ხელისუფალს, რომელიც ქართლის ერთიანობას განასახიერებდა. ამიტომ ქართლის ერისმთავარი აშოტი (786—826 წწ.) იძულებული შეიქნა ქართლი მიეტოვებინა

¹²⁰ Якуби-Жузе. გვ. 12; შდრ. ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 404; მ. ლორთქიფანიძე, მასალები..., გვ. 36—37; А. Н. Тер-Гевон-Дян, Армения и арабский халифат, გვ. 121.

და ბიზანტიის მფარველობით თავის მამულში კლარჯეთში დასჯედ-
რებულ იყო, სადაც იგი, როგორც ცნობილია, კურაპალატის ტიტულ-
საც იღებს. კახეთის მთავარი გრიგოლი სარგებლობს მცქენსტა: მო-
ლიტიკური მდგომარეობით და იპყრობს არა მარტო მცქენსტა: მო-
სამედ უფრო დასავლეთით მდებარე ქართლის რაიონებს, რითაც
იგი საგრძნობლად აფართოებს თავის სახელმწიფოს საზღვრებს. მა-
გრამ აშოტი, მომძლავრებული ახალ ადგილზე, უფლებებს აცხადებს
ქართლის მიმართ და თავის სიძე, აფხაზთა მეფე თეოდოს II (798—
825) კავშირში ბრძოლას იწყებს კახეთის მფლობელის წინააღმდეგ.
აფხაზთა მეფის თეოდოს II-ის ასეთი აქტიური მონაწილეობა ამ
ბრძოლაში, ჩვენის აზრით, განპირობებული იყო არა მარტო იმ გან-
ზრახვით, რომ ხელი შეეწყოს თავისი სიმამრისათვის დაპყრობითი
გეგმების განხორციელებაში, არამედ უფრო მეტად იგი ნაკარნახე-
ვი იყო სურვილით ქართლიდან განედევნა საშიში მეტოქე — კახეთის
მთავარი. ამ უკანასკნელმაც, თავის მხრივ, გამოქვინა მოკავშირენი
მთიულთა, წანართა და თბილისის ამირა ალი შუაბის ძის სახით. მა-
ტიანე ქართლისა ამ ბრძოლის შესახებ ასე მოგვითხრობს: „მას ეამსა
გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან, და უშუელა თეოდოსი აფხაზთა
მეფემან, ბემან მეორისა ლეონისმან, რომელი იგი სიძე იყო აშოტ
კურაპალატისა. მოვიდა გრიგოლ კახეთით, და გრიგოლს უშუელეს
მთიულთა და წანართა და ამირამან ტფილელმან (ალი შუაბის ძე —
თ. პ.). და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ. გააქციეს გრი-
გოლ, მთავარი კახეთისა, და დაიპყრეს ქუეყანა, რომელ ჰქონდა ქარ-
თლისაგან. და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსანამდე“¹⁶⁰.
ი. ჯავახიშვილის ვარაუდით, ეს ბრძოლა 791—818 წწ. შუა უნდა
მომხდარიყო¹⁶¹.

როგორც ვხედავთ, კახეთის მთავარი (გრიგოლი მარცხდება) ბრძო-
ლაში, მაგრამ მას მაინც შეუნარჩუნებია სამთავროს მიწა-წყალი
ქსნის ხეობამდე. შემოაღწერილ ბრძოლაში, რომელიც მიმდინარეო-
ბდა ქართლის ერისმთავარ აშოტს და კახეთის მთავარ გრიგოლს შო-
რის, როგორც დავინახეთ, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს თბი-
ლისის ამირა; იგი აქ გვევლინება, როგორც საესვებით დამოუკიდებე-
ლი ფეოდალური მფლობელი, რომელიც ხალიფას დაუკითხავად სა-
კუთარ პოლიტიკას აწარმოებს და მხარს უჭერს კახეთის მთავარს.
თბილისის ამირების ასეთი პარტიკულარიისტული ტენდენციები მკა-

¹⁶⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 252—253.

¹⁶¹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 92.



ფიოდ შესამჩნევი ხდება ხალიფა ალ-მამუნის (813—833) დროიდან, როდესაც სახალიფოს ცენტრსა და პერიფერიებშიც საშინელო ტიპური კრიზისი სუფევდა. ხანგრძლივმა ანარქიამ თითქმის განუწყვეტებლად უკველგვარი კავშირი სახალიფოსა და განაპირა მხარეებს შორის. ამ უკანასკნელთა ამირები ხშირად გამოდიოდნენ ხალიფას მორჩილებიდან და ახდენდნენ ხელისუფლების უზურპაციას. ასე მაგალითად, IX ს. ოციან წლებში, იაკუბის გადმოცემით, გამდგარა თბილისის ამირა მუჰამად იბნ-ატაბი, რომელსაც ხელში ჩაუვდია ჭურზანი (ქართლი). და აი, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხალიფას წინააღმდეგ ბრძოლაში „ქართველი ტომებიდან მას მხარს უჭერდნენ წანარები“, ე. ი. კახელები. ურჩი ამირას წინააღმდეგ აბასიანებმა სარდალი აბდულა-ალი გაავზავნეს, მაგრამ ამირამ იგი უკან გააქცია. ამის შემდეგ აქ მოდის ახალი დამსჯელი ექსპედიცია ხალიფ იბნ იაზიდ აშ-შაიბანის ხელმძღვანელობით, რომელმაც შეძლო თბილისის ამირას დამორჩილება. იბნ-ატაბი იძულებული შეიქმნა ხალიფთან გამოცხადებულიყო და თავისი დანაშაული ელიარებინა. როგორც არაბი ისტორიკოსი იაკუბი მოგვითხრობს, ხალიფი თბილისის ამირას შეეკითხა: „გემორჩილებიან თუ არა შენ წანარები?“ ამ კითხვაზე მუჰამად იბნ-ატაბს უპასუხნია: „არა, ისინი მე არ შემორჩილებიანო“. მაშინ, — განაგრძობს იაკუბი, — ხალიფი გაემართა წანარების, ე. ი. კახეთის წინააღმდეგ, თავს დაესხა მას. ხალიფი „მედგრად ებრძოდა მათ (წანარებს) ჭურზანში (ქართლში), გააქცია ისინი, ხელთ ჩაიგდო მათი ჯოგები და, ბოლოს ზავისაკენ მოუწოდა იმ პირობით, რომ ისინი (წანარები) მისცემდნენ 3000 ფაშატ ცხენსა და 20000 ცხვარს“¹⁸².

გრიგოლ ბაგრატიონის დროს კახეთის სამთავროში არაბთა აგრესიისა და აქ ხალიფის წინააღმდეგ მომხდარი აჯანყების შესახებ ცნობები შემონახულია აგრეთვე XI ს. ანონიმი არაბი ავტორის ქრონიკაში — „თარხ ალ-ბაბ ვა შირვან“. მასში ვკითხულობთ, რომ 820 წელს ქართველები აუჯანყდნენ ხალიფ იბნ-იაზიდის ძეს, იგი გაემართა მათ წინააღმდეგ და იქ შეებრძოლა წანარებს - (კახელებს), დაამარცხა ისინი და მრავალი მათგანიც გაჟლიტა. შემდეგ მან წანარებისაგან (კახელებისაგან) მძევლები წამოიყვანა და ისინი ჯვარზე გააქრა (ჩამოახრჩო). აქედან ის (ხალიფი) დაბილისაკენ (დვინი) დაი-

¹⁸² Якуби-Жузе, გვ. 15; ს. ჯანაშია, შრომები, II გვ. 405; მ. ლორთქიფანიძე, მასალები..., გვ. 19; А. Н. Тер-Гевондян, Армения и арабский халифат, გვ. 132.



ძრა და იქ დარჩა დაახლ. 835 წლამდე, ე. ი. მანამდე, სანამ იგი/არ გადააყენეს ხალიფა ალ-მამუნის სიკვდილის შემდეგ¹⁶³ ანუ სანამ იგი/არ დაიბრუნდა, რომ ამავე 820 წლისათვის ხალიფ იბნ-იაზიდ ამ-შაჰინმა წინააღმდეგ აჯანყებას ჰქონია ადგილი ჰერეთის სამთავროში (შაქში). იგივე XI ს. უცნობი არაბი ავტორი მოგვითხრობს: 820 წელს შაქელები (პერებუ) აჯანყდნენ ხალიფ იბნ-იაზიდის წინააღმდეგ და მოკლეს მისი წარმომადგენელი (ამილ). ხალიფი დაიძრა მათ დასასჯელად, დაამარცხა ისინი და მრავალნიც დახოცა. შაქელებმა (პერებმა) ზავი ითხოვეს; ამაზე ხალიფი დათანხმდა იმ პირობით, რომ შაქელებს (პერებს) ყოველწლიურად ხარკი უნდა გადაეხადათ 500 ათასი დირჰემის რაოდენობით. ხალიფმა მათგან მძევლები წაიყვანა და წავიდა¹⁶⁴.

ხალიფ იბნ-იაზიდის პირველ შემოსევას აღმოსავლეთ საქართველოში IX ს. ოციან წლებში ქართული წყაროც ადასტურებს, მაგრამ რატომღაც იგი არაფერს გვეუბნება ხალიფის ბრძოლაზე წანარეზის, ე. ი. კახელების წინააღმდეგ. სამაგიეროდ, იგი სავანგებოდ აღნიშნავს ხალიფის მიერ კახეთის მეზობელი ჰერეთის სამთავროს დაპყრობის ამბავს. მათიანე ქართლისას ავტორი წერს: „შემდგომად ამისა (კახეთის მთავარ გრიგოლის ქსანზე დამარცხების შემდეგ — თ. პ.) მოვიდა ხალიფ იზიდის ძე არაბიელი და დაიპყრა სომხეთი, ქართლი და ჰერეთი“¹⁶⁵.

ამრიგად, ჩვენს წინაშე იშლება „ბრძოლა ქართლსა ზედა“-ს საინტერესო სურათი, რომელიც საკმაოდ დიდხანს განსაზღვრავდა მთელი იმდროინდელი პოლიტიკის მიმართულებას. ჰეგემონობისათვის წარმოებულ ამ ბრძოლისათვის იქმნება კოალიციები, საკმაოდ მყარი თავისი შემადგენლობით. ამ უაღრესად საგულისხმო ისტორიული პროცესის ხასიათის შესახებ ი. ჯავახიშვილი შემდეგს წერს: „მთაერებს შორის იყო გამწვავებული ბრძოლა უპირატესობისა და ბატონობის გამო; თითოეული მათგანი ყოველ ღონეს ხმარობდა... თუ როგორ გაეფართოებინა თავისი სამფლობელო და სხვისი ხელში ჩაეგდო, როგორ შეერთებინა სხვადასხვა სამთავროები და თითონ ერთადერთ ბატონად გამხდარიყო; თითოეული მათგანი ცდილობდა თავისთვის და სხვის მოქმედებას აფერხებდა; კახეთის ქორებისყო-

¹⁶³ იხ. „თარხ ალ-ბაბ ვა შირვან“, § 2, წიგნი — В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI вв., Москва, 1963, გვ. 44—45.

¹⁶⁴ იხ. „თარხ ალ-ბაბ ვა შირვან“, § 2, გვ. 44.

¹⁶⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 253.

პოსი, ტაო-კლარჯეთისა და „ქართველთა მეფეები“, აფხაზთა მეფეები და სომეხთა მეფეებიც ამისთვის იბრძოდნენ, ზოგჯერ ცალ-ცალკე, ზოგჯერ ჯგუფ-ჯგუფად შეკავშირებულნი და თანდათანობით გრამ მდგრად ამ მიზნის განხორციელებას ცდილობდნენ. დიდი უკუბრძოლებს ღირსია ეს შეუჩერებელი, ზოგჯერ ჩუმი, ზოგჯერ პირდაპირი ბრძოლა ბატონობის მოპოების და ქვეყნის გაერთიანების გულისათვის! 166.

1 გრიგოლის გარდაცვალების (დაახლ. 827 წ.) შემდეგ კახეთის სამთავროში ბაგრატიონები დროებით კარგავენ მთავრის ხელისუფლებას. როგორც წყაროებიდან ჩანს, ძალაუფლება ხელში ჩაუვდიათ გარდაბანელ მთავრებს დონაურების საგვარეულოდან. გადატრიალება მთავრის კარზე შეთქმულების შედეგი ყოფილა. ეს შეთქმულება გრიგოლის ქსანზე დამარცხების შემდეგ მალევე უნდა მომხდარიყო და, საფიქრებელია, ამ საქმეში თბილისის ამირას ხელიც ერია. მათიანე ქართლისას ავტორი წერს: „ხოლო კულადცა ეუფლნეს სარკინიზონი ქართლსა. და ვითარ წარვიდა ხალილ (იგულისხმება ხალილ იბნ იაზიდ აშ-შაიბანის პირველი ლაშქრობა — თ. პ.), დაუტევა ამირად ალი შუაბის ძე. მას ჟამსა შეითქუნეს გარდაბანელნი და განაჩინეს ქორეპისკოპოსად დაჩი, ძე იოვანე ქუაბულის ძისა და შემდგომად ამისსა დასუეს ქორეპისკოპოსად სამოელ დონაური“. ცოტა უფრო ქვემოთ იგივე მემათიანე ასახელებს დონაურთა დინასტიის მესამე წარმომადგენელს: „და ქორეპისკოპოსი იყო გაბრიელ დონაური, ძმა სამოელ ქორეპისკოპოსისა“¹⁶⁷. ვახუშტი ძირითადად იმეორებს მათიანე ქართლისას ჩვენებებს და იქვე გვაძლევს თითოეული ამ გარდაბანელი მთავრის ზეობის ქრონოლოგიას: დაჩი, ვახუშტის მიხედვით, ვაჩე (827—839), სამოელი (839—861), გაბრიელ (861—881). ეს უკანასკნელი, ვახუშტის მიხედვით, არის ძმისწული სამოელ დონაურისა და არა ძმა, როგორც ამას მათიანე ქართლისას ავტორი ვეიდასტურებს¹⁶⁸. ამრიგად IX ს. 30—80-იან წლებში, 54 წლის მანძილზე, პოლიტიკური ძალაუფლება კახეთის სამთავროში გარდაბანიდან გამოსულ დონაურთა საგვარეულოს მთავრებს უპყრიათ მტუნებრივია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში კახეთის სახელმწიფოს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც გარდაბანელები წამყვან როლს ასრულებდნენ.

166 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 91.

167 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 254, 257.

168 ვახუშტი, აღწერა, გვ. 558.



დონაურთა დინასტია კახეთის სამთავროს მმართველობის სათავეში იღგა იმ პერიოდში, როდესაც არაბთა სახალიფო კავკასიურ შეუპოვარ ცდებს მიმართავდა, რათა ტერორისა და უკუგვერდების გზით როგორმე შეენარჩუნებინა თავისი ხელისუფლება ამიერკავკასიის ქვეყნებში.

გარდაბანელთა მმართველობის პირველივე წლებში, ქორეპისკოპოს ვაჩე დონაურის დროს, კახეთში კვლავ აჯანყებაა არაბების წინააღმდეგ. იაკუბის ცნობით, ხალიდ იბნ-იაზიდის პირველი ლაშქრობიდან დიდი დრო არც კი გასულიყო, რომ წანარები (კახელები) კვლავ აჯანყდნენ. ხალიდი დახლ. 829—832 წწ. ამჯერად უკვე მეორედ, მრავალრიცხოვანი ლაშქრით გაემართა წანარების (კახელების) წინააღმდეგ და შეხვდა მათ ჟურზანში, დაამარცხა ისინი¹⁶⁹... ქართული წყარო ამ ბრძოლის შესახებ განსხვავებულ ცნობებს გვაწვდის; არაბების წინააღმდეგ მებრძოლ კახეთის სამთავროს ლაშქარს სათავეში გარდაბანელნი უდგანან და ისინი ხალიდს ამარცხებენ: „კუალად მეორედ მოვიდა იგივე ხალილ არაბი. შეებნეს გარდაბანელნი, გავაზს; და გააქციეს ხალილ, და მოსწყდა სიმრავლე ფრიადი“¹⁷⁰.

მატიანე ქართლისას ზემომოტანილ ცნობაში გასარკვევია გავაზის ადგილმდებარეობა. ტოპონიმი „გავაზი“ საკმაოდ გავრცელებული ჩანს საქართველოში. ასეთი სახელწოდების სოფელი გვხვდება ქსნის ხეობის ზემო წელზე, ჭურთის ხევზე. ტოპონიმი „გავაზი“ დასტურდება აგრეთვე ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზეც. კერძოდ, დღევანდელი კახეთის გაღმამხარში, ალაზნის ველზე, სოფ. მთისძირის დასავლეთით 7 კმ-ზე მდებარეობს სოფ. ძველი გავაზი, რომელსაც დღეს ახალსოფელს უწოდებენ. რომელ გავაზს გულისხმობს მატიანე ქართლისას ავტორი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ უფრო ქსნის ხეობის გავაზი უნდა ივარაუდებოდეს და აი რატომ: არაბთა სარდალ ხალიდ იბნ-იაზიდს გარდაბანელები ამარცხებენ, გარდაბანელებში კი აქ მემატიანე კახეთის სამთავროს ლაშქარს გულისხმობს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, იგი შემოსეულ მტერს თავისივე ქვეყანაში შეებმოდა. ქსნის ხეობა, როგორც უკვე ვიცით, აღნიშნულ ხანაში კახეთის სამთავროს ეკუთვნოდა. რაც შეეხება კახეთის გაღმამხარის გავაზს, იგი შედიოდა ჰერეთის სამთავროში, რომელიც ჩვენთვის საინტერესო პერიოდში დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულს წარმოადგენდა.

¹⁶⁹ Я куб и-Жузе, გვ. 15; А. Н. Тер-Гевондян, დასახ. ნაშრ., გვ. 134.

¹⁷⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 254.

ხალიდ იბნ-იაზიდის გავაზთან დამარცხების შემდეგ არაბთა მდგომარეობა ქართლში კიდევ უფრო გაუარესდა. თბილისის ახალი ამირა საჰაკ ისმელის ძე იმთავითვე არ ემორჩილება ხალიდს (წმინდა) (842—847), ითვისებს აქაურ ხარაკს და არ აგზავნის მას სახლში. ცენტრალურ ხაზინაში¹⁷¹. ხალიფას მიერ საჰაკის წინააღმდეგ გამოგზავნილი, ქართლში მესამეჯერ მოსული ხალიდ იბნ-იაზიდი მოკლულ იქნა ჭავჭავთში. როგორც სომეხი მემკვიდრე ასოლიკი ვადმოგვეცემს, ხალიდ იაზიდის ძე ქართლში 841—842 წელს მოსულა და „მომკვდარა ჭავჭავთში, სოფელში, რომელსაც ჰქვიან ხოზაბირ (თანამედროვე ხოზაბავრა)“. სომეხი მემკვიდრის ამ ცნობას არაბი ისტორიკოსი იაკუბიც ამოწმებს და ადასტურებს. იგი წერს, რომ ხალიდი კავკასიაში მესამეჯერ მოსვლისას ავად გახდა და რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა, ჩადეს ის კუბოში, წაიღეს დაბილში და იქ დაასაფლავეს¹⁷². XI ს. ანონიმი არაბი ისტორიკოსიც თავის თხზულებაში — „თარის ალ-ბაბ ვა შირვან“ — წერს: ის (ხალიდი) მოვიდა პროვინცია (ამალ) ჭურზანში (ქართლში) და გაემართა იმ ადგილისაკენ, რომელსაც ეწოდება ჭავახი. აქ იგი ავად გახდა და ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა. იგი უკან წაიღეს და დაასაფლავეს სომხეთის დაბილში (დვინი)... როგორც ამბობენ ეს ამბავი მოხდა 842 წელს¹⁷³.

ხალიდის მაგიერ ხალიფამ გამოგზავნა მისი შვილი მოჰამედი. მატთან ქართლისა მოგვეთხრობს: „ხალიდ მოვიდა მესამედ, და მოკლეს ჭავახეთს. და ძე მისი მოჰამედ მოვიდა ქართლს. მოერთო მას ბავრატ, ძე აშოტ კურაპალატისა, და მისცა მას ქართლი. გამოვიდა საჰაკ, ამირა ტფილელი, ლაშქრითა და დადგა რეგს (თანამედროვე გორის მახლობლად — თ. პ.), ხოლო მოჰამედ და ბავრატ წარიღეს უფლისციხე. და მოვიდეს კახნი გარდაბანელნი შუელად საჰაკისა; შეიბნეს რეგს და იყო ბრძოლა მათ შორის: არცა იგინი გაიქცეს და არცა იგინი, ვიდრემდის გაიყარნეს. აიყარა მოჰამედ და წარვიდა ბარდავს“¹⁷⁴. ბრძოლა რეხთან უნდა მომხდარიყო 842 წლის შემდგომ. ე. ი. იმავე წლის ახლო ხანებში, როცა მოჰამედი მამის სიკვდილის შემდგომ ქართლში მოვიდოდა. იაკუბი ამ ბრძოლის საბოლოო შედეგ-

¹⁷¹ M. Chazarian, Armenien unter der Arabischen Herrschaft, Marburg, 1903, გვ. 50.

¹⁷² ი. ჭავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 94; მ. ლორთქიფანიძე, მასალები..., გვ. 42.

¹⁷³ თარის ალ-ბაბ ვა შირვან, § 4, გვ. 45.

¹⁷⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 255.

გის შესახებ განსხვავებულ ჩვენებას გვაძლევს. იგი გვამცნობს: დანიშნა ხალიფა ალ-ვასიყმა მუჰამად იბნ-ხალიდი მამამისის ადგილზე, შეებრძოლა ის წანარებს (უდრის ქართ. წყაროს „ქახთა-განაღმანელთ“ — თ. პ.) და ისპაკს (თბილისის ამირა ისპაკ ბენ-სონმეისი — თ. პ.). მუჰამადი იმდენხანს ებრძოდა მათ, სანამ არ გააგდო იგი (ისპაკი) იმ ქვეყნიდან და ისინიც (წანარები) არ გააქციათ¹⁷⁵. მაგრამ, როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ქართველი მემატიანის ცნობა უფრო სწორია და თბილისის ამირა დამარცხებული არ ყოფილა, ამას ბულა თურქის ლაშქრობაც ამტკიცებს. ამირა საპაკი რომ დამარცხებული ყოფილიყო, მისი საგანგებო დამორჩილება საჭირო აღარ იქნებოდა¹⁷⁶. ქართული წყაროს სინამდვილეს XI ს. უსახელო არაბი ისტორიკოსიც ადასტურებს. იგი გადმოგვცემს, რომ ხალიფა ვასიყმა მუჰამადს სამძიმარი გაუგზავნა მამის (ხალიდის) გარდაცვალების გამო, უბრძანა მას დაეკავებინა მამამისის ადგილი და დაეწყო ბრძოლა ისპაკის (თბილისის ამირას — თ. პ.) წინააღმდეგ. მუჰამადი რამდენიმეჯერ შეებრძოლა ისპაკს, მაგრამ ვერაფერს გახდა და მარცხი განიცადა. ამის შემდეგ იგი აქაურობას გაეცალა და ბარდაეში წავიდა¹⁷⁷.

ზემოთ მოტანილ ქართულ-არაბულ წყაროთა ცნობებში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ აჯანყებულ თბილისის ამირას, ისპაკ იბნ-ისმაილს, ხალიფას ჯარებთან ბრძოლაში კახეთის სამთავრო ეხმარება. როგორც ჩანს, კახთა ქორეპისკოპოსს სამოელ დონაურს ისპაკ იბნ-ისმაილთან მჭიდრო კავშირი აქვს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ ბრძოლაში გარდაბანელნი (კახნი-გარდაბანელნი) ენერგიულ და აქტიურ მონაწილეობას ლებულობენ. ეს სავსებით ბუნებრივი და გასაგებია: აღნიშნულ ხანაში კახეთის სამთავროში ზომ გარდაბანელ დონაურთა დინასტიკაა გაბატონებული. ზემომოტანილი ცნობები ნათლად გვიჩვენებენ აგრეთვე იმასაც, რომ კახეთის სამთავრო კავკასიის მასშტაბით წარმოადგენდა პოლიტიკურად მძლავრ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს, თბილისის ამირასათვის მის მხარდაჭერას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ცხადია, თბილისის ამირა კახეთის სამთავროს დახმარების გარეშე სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას ვერ გაუმკლავდებოდა.

¹⁷⁵ Якуби-Жузе, გვ. 19.

¹⁷⁶ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 94; ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 406.

¹⁷⁷ თარის ალ-ბაბ ვა შირვან, § 5, გვ. 46.

IX ს. მეორე ნახევრიდან სახალიფოს საშინაო მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულდა. ფეოდალური დაშლის პროცესი კვლავ შეუჩინებლად მიმდინარეობდა, რაც ხელს უწყობდა ქვეყნის რატიკული მოძრაობის გაძლიერებას. ხალიფა მუთავეაჟილმა (847-861), ცდილობდა რა შეეჩერებინა სახელმწიფოს დაშლის პროცესი, მთელი თავისი ყურადღება „ურწმუნოთა“ („ქიაფირებას“) დევნაზე გადაიტანა და ამით აპირებდა მუსლიმთა შორის მშვიდობის დამყარებას და სახელმწიფოში წესრიგის აღდგენას. იგი მართლმორწმუნე მაჰმადიანობის მხურვალე დამცველად გადაიქცა. მის დროს ორთოდოქსალური ისლამის ყველა მოწინააღმდეგე სასტიკ დევნას განიცდიდა. შემოღებულ იქნა საგანგებო წესები, რომლებიც ქრისტიანებსა და იუდეველებს დამამცირებელ და შეურაცხყოფელ მდგომარეობაში აყენებდნენ. ხელახლა აღსდგა არამუსლიმანებთან დამოკიდებულების ის წესები, რომელიც არაბთა შემოსევების პირველი ხანისათვის იყო დამახასიათებელი¹⁷⁷ა...

ასეთ ვითარებაში ახალი ძალით იფეთქა დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელმა ბრძოლამ არაბთა ბატონობის წინააღმდეგ. ხალიფა მუთავეაჟილი ჯერ კიდევ არ კარგავდა ძველი უფლებების აღდგენის იმედს და დამსჯელ რაზმებს გზავნიდა როგორც ურჩ არაბ მოხელეთა, ასევე აჯანყებული ქვეყნების წინააღმდეგ. სწორედ არაბთა მფლობელობის შერყეული პოზიციების აღდგენის მიზნით იყო გამოგზავნილი ამიერკავკასიაში ხალიფას მიერ ის დიდი დამსჯელი ექსპედიცია, რომელსაც სათავეში ბულა თურქი ედგა. 850—852 წწ. სომხეთში, სასუნის პროვინციაში, არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ მომხდარ მრისხანე აჯანყების ჩაქრობისა და სომხეთის მთელი რიგი ადგილების სასტიკად აოხრებისა და დარბევის შემდეგ¹⁷⁸, 853 წ. გაზაფხულზე ბულამ თბილისისაკენ აიღო გეზი, რათა იქ ხალიფასაგან განმდგარ ამირა საჰაკ იბნ-ისმაილს გასწორებოდა. თბილისის საამიროს დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებაც, როგორც ცნობილია, აბასელთა სახალიფოში მიმდინარე ფეოდალური დაშლის საერთო პროცესის გამოვლინებას წარმოადგენდა.

¹⁷⁷ A. Tritton, *The Caliphs and their non Muslim Subjects*, London, 1930, გვ. 25, 50; ვ. ვაბაშვილი, სახალიფოს ფეოდალური დაშლა, იხ., ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, ვ. ვაბაშვილის რედაქციით თბ., 1957, გვ. 107—113; A. H. Тер-Гевондян, *Армения и арабский халифат*, გვ. 138—139.

¹⁷⁸ A. H. Тер-Гевондян, *Армения и арабский халифат*, გვ. 138—146.



კახეთის სამთავროს მოკავშირე თბილისის ამირა საჰაკის სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისადმი ურჩობისა და მდგრადი ადგილობრივ აკრედილი ხარკის მითვისების ამბავზე დაწერილ ათეულ წელს გრძელდებოდა. მის წინააღმდეგ აღრე გამოგზავნილ დამსჯელ ექსპედიციებს წარმატება არ მოჰყოლია. და აი, ეხლა, 853 წლის აგვისტოს თვეში¹⁷⁹, სომხეთში მოწყობილი გამანადგურებელი ლაშქრობის შემდეგ, „მოვიდა ბულა თურქი... და მოადგა ქალაქსა ტფილისსა, რამეთუ არა მორჩილებდა ამირა სააკ; მოკლა სააკ, შემუსრა ტფილისი, დაწუა ცეცხლითა და მოაოგრნა ყოველნი არენი მისნი“¹⁸⁰. მატთანე ქართლისას ავტორის გარდა, თბილისის აღებას და აქაური ამირას, საჰაკ იბნ ისმაილის დასჯას არაბულ-სომხური წყაროებიც ადასტურებენ¹⁸¹.

თბილისის აღებისა და განადგურების შემდეგ ბულას ჯარები სიკვდილით დასჯილ ამირა საჰაკის მთავარი მოკავშირის, კახეთის მთავრის წინააღმდეგ დაიძრნენ. კახეთის ქორეპისკოპოსი სამოელ დონაური კვლავინდებურად მედგრად განაგრძობდა ბრძოლას სახალიფოსთან. ბულას წინააღმდეგ კახეთის სამთავროს ლაშქარს სათავეში გარდაბანელნი უდგანან. მატთანე ქართლისას ავტორი მოგვითხრობს: „ქულად უკუმოქცეულთა (ბულას ჯარს — თ. პ.) დაუდგეს წინა გარდაბანელნი ჯუარის-გუერდსა, და აენეს დიდად ლაშქარსა“. მემატთანის „ჯუარის-გუერდსა“-ში აქ მცხეთის ჯვრის მონასტრის მიღამოები იგულისხმება, რომელიც აღნიშნულ ხანაში კახეთის მთავრის სამფლობელოში შედიოდა. კახეთის სამთავროს დასავლეთი საზღვარი, როგორც უკვე ვიცით, ქსანზე გადიოდა (იხ. ზემოთ). ჯუარისგუერდთან მიყენებული მძიმე დარტყმის შემდეგ ბულა ჩრდილოეთიდან ცდილობს განავითაროს საომარი ოპერაციები კახეთის სამთავროს წინააღმდეგ. ამ მიზნით ბულა, როგორც მატთანე ქართლისას ავტორი გვაუწყებს, „ალიყარა მუნით და მოვიდა ქართალეთს, და დადგა მუნ შინა; ალიყვანნა მთიულთაგან მძევალნი, კაცი სამასი; და ლამობდა შესლვასა ოვსეთად, და შევიდა ცხავატამდის. ხოლო აბუ-

¹⁷⁹ ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 96.

¹⁸⁰ მატთანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 256.

¹⁸¹ Я куб и-Жузе გვ. 20—21; თ ა რ ი ხ ა ლ ბ ა ბ ვ ა შ ი რ ვ ა ნ, §5, გვ. 46; თომა არწრუნე, „არწრუნთა სახლის ისტორია“, ნაწილი III, თავი IX, თარგმანი ე. ცაგარეიშვილისა, იხ. მრავალთავე, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ტ. IV, თბ., 1975, გვ. 269; ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 94—96; ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 406—407; А. Н. Тер-Гевондян, Армения и арабский халифат, გვ. 146.



ლაბაზ სომეხთა ერისთავმან და გუარამ აშოტის ძემან მითიულთა, რათა არა შეუშუან. ხოლო მათ გაწირნეს მძევლები უშუელა ღმერთმან: რამეთუ მოვიდა თოვლი, დაუდგეს წინა და შეე-
ბნეს. მოსცა ღმერთმან ძლევა, და მოკუდა ურიცხვ ერი სარკინოზთა; და ცხენმან მათმან ძოვა იელი, და დაიზოცა ფრიად. ხოლო სიმრავლისაგან ლაშქრისა არა აჩნდა დაკლება, რამეთუ იყო სიმრავლე მისი ვითარ ასოცი ათასი¹⁸².

ქართველი მემატიანის ზემომოტანილ ცნობაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სომეხთა ერისთავის აბულაბაზისა და გუარამ აშოტის ძის საქმიანობა. როგორც დავინახეთ, მათ საიდუმლო ურთიერთობა დაუმყარებიათ მითიულებთან (იგულისხმებიან წანარკები) და ფარულად მათთვის საბრძოლო მოწოდების შინაარსის შემცველი წერილი გაუგზავნიათ: მედგრად დამდგარიყვნენ და შემოსეული მტერთა ვიანთ ქვეყანაში არ შეეშვათ. მატიანე ქართლისას აბულაბაზი ეს არის სომეხეთის მთავარი (იშხანი) სმბატ ბაგრატიუნი (824-855), რომელიც, მართალია, ფორმალურად და სათვალმწენოდ მონაწილეობდა ბუღას ლაშქრობებში, მაგრამ მთელი თავისი არსებით იგი არაბთა წინააღმდეგ აჯანყებული წანარების (კახელების) მხარეზე იყო. კახეთის ქორეპისკოპოსის მომხრეთა რიგებში იმყოფებოდა აგრეთვე აშოტ კუროპალატის უმცროსი ძე, კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი გუარამ მამფალი. როგორც ჩანს, ბუღას წინააღმდეგ კახეთის მთავარ სამოელ დონაურს საკმაოდ ძლიერი სამხედრო კოალიცია შეუქმნია. ზემომოთხრობილი ეპიზოდი ნათელი დადასტურებაა იმ ერთობლივი ბრძოლისა, რომელსაც ამიერკავკასიის ხალხები აწარმოებდნენ მათი საერთო მტრის, არაბი დამპყრობლების მძიმე უღლისაგან განთავისუფლებისათვის. მატიანე ქართლისას ცნობას ბუღას წანარეთში (კახეთში) ლაშქრობისა და მისი აქ დამარცხების შესახებ იაკუბიც ამოწმებს. იგი გადმოგვცემს: ბუღა გაემართა წანარებისაკენ და შეებრძოლა მათ, გაქაციეს და დაამარცხეს წანარებმა ბუღა და გასცილდა ის მათ დამარცხებული¹⁸³.

IX ს. 50-იანი წლების დასაწყისში კახეთის სამთავროს მიერ სახალიფოს წინააღმდეგ წარმოებული განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ საინტერესო და საგულისხმო ცნობები აქვს შემონახული სომეხ ისტორიკოსს თომა არწრუნს. შეიძლება ითქვას, ამ საკით-

¹⁸² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 256.

¹⁸³ Якуби-Жузе, გვ. 20—21; მ. ლორთქიფანიძე, მასალები..., გვ. 43; А. Н. Тер-Гевондян, Армения и арабский халифат, გვ. 146.



ხზე არსებულ წყაროთაგან მას ყველაზე უფრო დაწერილებით და
 ვრცლად აქვს აღწერილი ის გმირული და თავგანწირული მანძაღლის
 ეპიზოდები, რომლებითაც აღსავეს იყო აქანყებულ წინააღმდეგობას
 (თა) მოძრაობა ბუღა თურქის დაპყრობითი პოლიტიკის მიმართ. წა-
 ნარების (კახელების) ბუღა თურქთან ბრძოლის ამბავს თომა არწ-
 რუნის თხზულებაში — „არწრუნთა სახლის ისტორია“—ცალკე თა-
 ვი აქვს დათმობილი („წინართა თავგადასავლის შესახებ“). როგორც
 ცნობილია, თომა არწრუნის თხზულებაში შემონახულ ცნობათაგან
 განსაკუთრებით საყურადღებო და სანდოა მისი თანამედროვე ხანის
 ამსახველი მასალა. სწორედ ამ მასალათა რიგს განეკუთვნება წა-
 ნარების ბუღა თურქთან ბრძოლის საკითხი. ეს მასალა ავსებს და უფ-
 რო სრულყოფილს ხდის „მატიანე ქართლისა“-ს იმავე შინაარსის
 შემცველ მოკლე და ლაკონურ ცნობებს.

თომა არწრუნის თხზულებაში არაბთა მხედართმთავარ ბუღა თუ-
 რქის წინააღმდეგ წანართა ბრძოლის აღწერა უშუალოდ მოსდევს
 თბილისის განადგურებისა და აქანყებულ ამირა საპაქის სიკვდილით
 დასჯის ამბავს. ე. ი. ქრონოლოგიური თვალსაზრისით ზემოაღნიშნუ-
 ლი ბრძოლა წარმოებს 853 წ. აგვისტოს თვის ახლო ხანებში.

თომა არწრუნი წერს: „ბუღამ ხელი მიჰყო აღმოსავლეთის ქვეყ-
 ნების (დაპყრობას) და უშიშრად და გაბედულად ზვიადობით საცსემ
 მარბიელი მოჰვინა მათი სამეფოს ყველა მზარეს. წავიდა და მიად-
 წია ჩრდილოეთის მზარეებს, ქვეყანას, რომელსაც წანაკი (წანარეთი—
 თ. პ.) ეწოდება... ხოლო როდესაც ბუღა დიდძალი ჯარით მიუახლოვ-
 და მათ საზღვრებს, სამშვიდობო მიმართვა მიწერა მათ, (რომელშიც
 მოითხოვდა), რომ სიყვარულითა და ერთგულებით მობრუნებულიყუ-
 ნენ მეფის მორჩილების ქვეშ, მიეღოთ პატივი და მისი საშუალებით
 დაუფლებოდნენ ძლიერ ხელისუფლებას. მაგრამ ისინი თავშეფარე-
 ბულნი იყვნენ საიმედო ციხე-სიმაგრეებში და ჯართა სიმამაცესა და
 მებრძოლ სიმხნევეზე (დანდობილნი) მცირედითაც არ დაეთანხმნენ
 მის სიტყვებს და არ გასცეს პასუხი. არამედ უკან გააბრუნეს მოცი-
 ქულები ლანძღვა-გინებით, სასტიკად ცემეს (ისინი), თვითონ კი მთე-
 ბში გადავიდნენ. დამკვიდრდნენ მთების კალთებზე და განემზადნენ
 საბრძოლველად. მათ დაიკავეს და ჩაკეტეს ციხე და ხეობების გასას-
 ვლულები, რომ თავიანთ ქვეყანას განშორებოდნენ და ციხე-სიმაგ-
 რეებში შეეფარებინათ თავი“.

როგორც ვხედავთ, ბუღა გარკვეულ მოლაპარაკებას აწარმოებს
 წანარებთან (კახელებთან) და მოუწოდებს მათ უბრძოლველად და-
 მორჩილებისაკენ, მაგრამ ისინი უარს უცხადებენ ბუღას მორჩილე-



ზახე. უფრო მეტიც, მათ იუკადრისეს კიდევ ბუღას ზვიადობით აღსავსე და ქედმაღლური წინადადება მორჩილების შესახებ მარანაძის სარდალს პასუხიც არ შეუთვალეს, ხოლო მის მიერ გაგზავნილი მოქმედებები, რომლებიც ალბათ ბუღას კაცები იყვნენ, ლანძღვითა და გინებით სასტიკად ნაცემნი უკან გაისტუმრეს. ჩვენის აზრით, სამშვიდობო მოლაპარაკებას ბუღა უშუალოდ კახეთის მთავართან, ქორეპისკოპოსის სამოელ დონაურთან აწარმოებს. ხალიფას ძალაუფლების ცნობაზე უარიც, რა თქმა უნდა, უშუალოდ თვით სამოელ კახთა ქორეპისკოპოსმა განუცხადა არაბთა სარდალს. ბუღას წინააღმდეგ საბრძოლველად გამზადების ბრძანებაც უშუალოდ თვით კახეთის მთავარმა სამოელ დონაურმა გასცა.

კახთა ქორეპისკოპოსის მტკიცე უარით განრისხებულმა სარდალმა ბუღამ, თომა არწრუნის სიტყვით, „უბრძანა თავის ჯარებს (წანარებთან) საბრძოლველად გამოსულიყვნენ. როცა (ბუღა) მათ მიუახლოვდა, განაწყვეს და გაამზადეს ჯარები და ბრძოლა გაუმართეს წანართა ჯარებს... მძინეარებდა ბრძოლა ვათენებიდან დღის დასასრულამდე 12 საათის განმავლობაში. დამარცხდნენ სამეფო ჯარები და დაბრუნდნენ თავიანთ ბანაკში“. მაგრამ არაბთა სარდალი მიიჩნევდა იღებს ხელს ბრძოლაზე. ამის შემდეგ მან კიდევ ორჯერ მიუსია მთელი თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქარი წანარებს (კახელებს), მაგრამ ორივეჯერ დამარცხებულ იქნა. თომა არწრუნის გადმოცემით, წანარებისაგან დამარცხებული არაბები დიდ მწუხარებაში ჩაცვივდნენ. „მათ არ სურდათ უკან დაბრუნება, რადგანაც უაღრესად დიდ სირცხვილად ითვლებოდა მომხდარი საქმე, მათ წინააღმდეგ დგომა და გაძლება კი მათ არ შეეძლოთ, რადგანაც მათი ჯარებიდან ბევრი დაეცა. შემდეგ კი გადაწყვიტეს კვლავ ეწარმოებინათ ბრძოლა. აღმართეს სანგრები, ააშენეს სადგომები და აქციეს საცხოვრებელ სახლებად, შეჩერდნენ იქ 9 დღე და შეებრძოლენ წანარებს 19-ჯერ უფრო მეტჯერ... დამარცხდნენ, ამოწყდნენ და შემცირდნენ სამეფო ჯარები წანართა ჯართაგან და გაბრუნდნენ სირცხვილუღნი, გაწბილებულნი, აბუჩად აგდებულნი და ძლიერ დამტვრეულნი“¹⁸⁴.

ამრიგად, იმ უაღრესად ძნელბედობის ქაშს, რომელიც კახეთის სამთავროს 853 წელს ბუღა თურქის დამსჯელი ექსპედიციის დროს დაუდგა, ქორეპისკოპოსის სამოელ დონაურმა შეძლო თავისი სამთავროს შინაგანი ძალების მაქსიმალური მობილიზაცია და მოზღვავე-

¹⁸⁴ თომა არწრუნი, „არწრუნთა სახლის ისტორია“, ნაწილი III, თავი X, გვ. 269—270.



ბულ მტერს ღირსეულად გაუმკლავდა. კახეთის სამთავრომ გმირულად დაიცვა თავი არაბთა აგრესიისაგან და შეინარჩუნა დამტკიცებული არსებობა. ბულა თურქის წინააღმდეგ ბრძოლაში მამოძრავებელმა გამარჯვებამ დაამტკიცა კახეთის სამთავროს ფეოდალური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობისა და პოლიტიკური სისტემის უპირატესობა, მისი სიცოცხლისუნარიანობა იმ ძალებთან შედარებით, რომლებიც წინ აღუდგნენ მის შემდგომ ზრდასა და განმტკიცებას; კიდევ უფრო გაიზარდა კახეთის სახელმწიფოს ავტორიტეტი მთელს კავკასიაში. ეს გამარჯვება, პირველ რიგში, ცხადია, იყო კახეთის სამთავროს გამარჯვება დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობისათვის ბრძოლაში, მაგრამ იგი ამასთანავე ეხმარებოდა ამიერკავკასიისა და საერთოდ კავკასიის ხალხთა საერთო ინტერესებს, მათ ერთობლივ ბრძოლას უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ. და მართლაც, მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბულა თურქის 853 წ. დამსჯელი ექსპედიციის დამარცხებამ კახეთში გამოიწვია მღელვარებათა ახალი ტალღები ალბანეთსა და სომხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებში. წანართა (კახელთა) მიერ გაწვილებული და დამარცხებული ბულა, რომელიც ალბანთა ქალაქ ბარდავში იყო დაბანაკებული, იძულებული შეიქნა ახალი სამხედრო ძალები გამოეყო ამ აჯანყებათა ჩასაქრობად. ასე მაგალითად, ბულას ერთერთი არმია გაგზავნილ იქნა აჯანყებული ალბანეთის მთავრის, ბაილაკანის მფლობელ ესაი აბუ მუსეს (ისა იბნ-ისტიფანუსი) წინააღმდეგ. თომა არწრუნის მოთხრობით, როდესაც ალბანეთის მთავარმა აპუშუსემ (ასე უწოდებს თომა არწრუნი ბაილაკანის მფლობელ ესაი აბუ მუსეს) შეიტყო, რომ ბულამ აიყვანა თავისი ჯარი მასზე გამოსალაშქრებლად, უბრძანა მთელ თავის ქვეყანას გამოსულიყო და სიძლიერითა და გულადი სიმამაცით წინააღმდეგობა ბულას, მით უფრო წანართაგან რომ იხილეს იგი დამარცხებული და ძლეული. „ნუ ვიქნებით წანარებზე უარესნი“ — მიმართაედა თავის ლაშქარს ალბანეთის ლეთისმოყვარე მთავარიო. ესაი აბუ მუსეს თავის ჯართან ერთად მიუვალ ციხესიმაგრე ქთიშში იყო გამაგრებული. როდესაც ბულა ციხის კედლებს მიადგა, თომა არწრუნის სიტყვით, მან იწყო ბრძლინვა და განიზრახაედა ბოროტების გესლის დანთხევას ალბანთა მთავარზე. გაუგზავნა მას მოწოდება დამორჩილებისათვის, მაგრამ მან მისი სიტყვები არად მიიჩნია. ესაი აბუ მუსეს მკაცრი პასუხით განრისხებულ ბულას შეუშფოთდა გონება, რადგანაც მრავალჯერ იბრძოლა და ვერაფრით ვერ შეძლო მიუდგომელი ციხესიმაგრისა და იქ მყოფ კაცთა სიმამაცის დაძლევა. მიუხედავად ხანგრძლივი ბრძოლისა არაბე-



ბმა ვერ დაიმორჩილეს აჯანყებული ბაილაკანის მფლობელი, ხოლო შემდეგ, როგორც თომა არწრუნი გადმოგვცემს, ესაი აბუ-მუსტანინმა ყოფლობით დაემორჩილა ხალიფასო¹⁸⁵.

ამრიგად, ზემოაღწერილი შემთხვევიდან ნათლად ჩანს, რომ წანარები (კახელები) და ალბანელები ურთიერთდამოუკიდებელი ბრძოლითაც დიდ დახმარებას უწევდნენ ერთმანეთს არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ბულა და მისი დამსჯელი რაზმები ბრძოლას აწარმოებდნენ ციხესიმაგრე ქთიშში გამაგრებულ ბაილაკანის მფლობელ ესაი აბუ მუსეს წინააღმდეგ, ახალმა აჯანყებამ იფეთქა სომხეთის პროვინცია ვასპურაკანში. ამჯერადაც ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ვასპურაკანში მომხდარი აჯანყების უშუალო იმპულსი გამხდარა წანართა (კახელთა) გამარჯვება ბულა თურქისა და მისი ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლაში. აი რას წერს ამის თაობაზე თომა არწრუნი: ვასპურაკანის მფლობელებს „არწრუნთა სახლიდან, როგორც კი ესმათ სამეფო ჯარის (ბულა თურქის ლაშქრის — თ. ჰ.) დამარცხება წანართაგან, მოვიდნენ ერთ ადგილს, შეადგინეს გუნდი ქვეითი თანამებრძოლებისა უბრალო ხალხის მასასთან ერთად, (სადაც) დაითვლებოდა 4000 კაცი. დაადგინეს თავიანთ წინამძღვრად აბუჯაფარ არწრუნი და მასთან ერთად სავაკ აბუმკდემი, აბუჯაფარის დისწული, კაცი მხნე და მეომარი... და აჯანყობისათვის გაემზადნენო¹⁸⁶. ამრიგად, ამიერკავკასიის ქვეყნების სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად, რაც ყველაზე უფრო ნათლად გამოვლინდა კახეთის სამთავროს მაგალითზე, არაბებმა ვერ შეძლეს მთლიანად შეენარჩუნებინათ დაპყრობილი ქვეყნები თავიანთი ძალაუფლების ქვეშ. IX ს. II ნახევარში კიდევ უფრო ძლიერდება სახალიფოს ფეოდალური დაშლის ტენდენციები, ქვეყნის შიგნით ადგილი აქვს სეპარატისტულ მოძრაობას, მისგან ჩამოცილებასა და დამოუკიდებლობის მოპოვებას იწყებს ბევრი ქვეყანა. ამიერკავკასიაში კი, არაბთა ბატონობის შესუსტების პერიოდში, ცალკეული ფეოდალური სამეფო-სამთავროები განმათავისუფლებელ ბრძოლასთან ერთად

¹⁸⁵ თომა არწრუნი, „არწრუნთა სახლის ისტორია“, ნაწილი III, თავი X, გვ. 271—275; З. Бунятов, Азербайджан в VII—IX вв., Баку, 1965, გვ. 191—194; V. Minorsky, *Caucasica* IV, BSOAS, 1953, XV/3, გვ. 512—514.

¹⁸⁶ თომა არწრუნი, „არწრუნთა სახლის ისტორია“, ნაწილი III, თავი XIII, გვ. 276; А. Н. Тер-Гевондян, Армения и арабский халифат, გვ. 147—148.



კიდევ უფრო ავითარებენ პოლიტიკური ჰეგემონობისკენ და ეროვნულ-ეთნოკრატიული ბრძოლას.

კახეთის მთავარ ქორეპისკოპოს სამოელ დონაურთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს მატიანე ქართლისას ავტორის ერთი ცნობა. იგი მოგვითხრობს, რომ წანართაგან დამარცხებული და უკუქცეული ბუღია „შეიქცა გარე და დაიზამორა ბარდაეს. და შეიპყრა ზუციისა ვინმე ძე, რომელ გამთავრებულ იყო, და შემუსრა გარდაბანი“¹⁸⁷. გ. ჩუბინაშვილის ვარაუდით. ბუღას შიგერ შეპყრობილ გარდაბნის მთავარში სამოელ დონაური უნდა იგულისხმებოდეს¹⁸⁸. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი გაიგივებისათვის არ უნდა არსებობდეს საფუძველი. მატიანე ქართლისას ზემომოტანილ ცნობაში მოხსენებული გარდაბანი არის არა ქართული გარდაბანი, კახეთის სამთავროს შემადგენლობაში რომ შედიოდა, არამედ ალბანური ოლქი გარდმანი (*გარდმან*). ეს რომ ასეა, ამას სავსებით ცხადად ადასტურებს თომა არწრუნის, 855 წელს, როგორც ცნობილია, ხალიფა მუთავაქილმა ბუღა კავკასიიდან უკან გაიწვია. სახალიფოს დედაქალაქ სამარისაკენ მიმავალმა ბუღამ თან წაიყვანა ამიერკავკასიაში შეპყრობილი მრავალი მთავარი და წარჩინებული ფეოდალი. და აი, თომა არწრუნი იმ შეპყრობილ მთავართა შორის ასახელებს გარდმანის მთავარ ვინმე ნერსესს. ყოველ შემთხვევაში, შეპყრობილ მთავართა იმ საკმაოდ გრძელ ნუსხაში, რომელიც დაცულია თომა არწრუნის თხზულებაში, კახეთის მთავარი სამოელ დონაური არ ჩანს¹⁸⁹. ეს უკანასკნელი შეპყრობილი რომ ყოფილიყო, ამის აღნიშვნა ისეთ სანდო ავტორს, როგორც თომა არწრუნი, არ დაავიწყდებოდა. მით უმეტეს, რომ თომა არწრუნი ერთობ კარგად იყო ჩახედული კახეთის სამთავროს შიგნით მიმდინარე ამბებში. მატიანე ქართლისას და ვახუშტის მონაცემების მიხედვით, 861 წლამდე სამოელ დონაური თავის სამთავროში ჩანს, ხოლო მის შემდეგ სამთავროს ტახტს გაბრიელ დონაური იკავებს (861—881 წწ.).

კახეთის ქორეპისკოპოს გაბრიელ დონაურის მმართველობის ხანა ერთობ მკრთალად არის ასახული ქართულ საისტორიო წყაროებში. მატიანე ქართლისას ავტორის და ვახუშტის მონაცემების მიხედ-

¹⁸⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 256.

¹⁸⁸ Г. Н. Чубинашвили. Архитектура Кахетии, Тб., 1959, გვ. 21, შენიშვნა 2.

¹⁸⁹ თომა არწრუნი, „არწრუნთა სახლის ისტორია“, ნაწილი III, თავი XII, გვ. 275—276.



ვით, ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ გაბრიელ დონაური თანამედროვეა თბილისის ამირა მუჰამედ იბნ ხალიდ I-ისა (853—870) გაბრიელ ქორეპისკოპოსი მოესწრო იმ პერიოდსაც, როდესაც დაამირ-მუმინან გარდაადგინა მუჰამედ ხალიდის ძე და მის ნაცვლად თბილისის ამირად „დაადგინა ისე შიხის ძე“. ეს ისე შიხის ძე მოხსენებულია სომხურ და არაბულ წყაროებში. მისი სრული სახელი იყო ისა ბენ-აშ-შეიხ აშ-შაიბანი. როგორც ი. ჯავახიშვილი ვარაუდობს, იგი აქ 870 წელს უნდა დანიშნულიყო. ვახუშტიც საგანგებოდ მიუთითებს, რომ გაბრიელ დონაური „ქორიკოსობდა ისე შიხის ძის ჟამსა შინა“. მატრიანე ქართლისას ავტორის ჩვენებით, გაბრიელ ქორეპისკოპოსის მმართველობის ბოლო წლები ემთხვევა თბილისში გაბულოცის ამირობას (878—882 წწ.)¹⁹⁰.

სწორედ ამ ეპოქაში, როდესაც კახეთის სამთავროს განაგებდნენ გარდაბანული წარმომშობის დონაურთა დინასტიიდან გამოსული მთავრები, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ილარიონ ქართველი (კახი, 822—875), რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართული კულტურის ისტორიაში. მისი ბიოგრაფი გვატყობინებს, რომ ილარიონი წარმომშობით იყო „ქუეყანით ქართლით, საზღვართაგან და კერძოთა კახეთისათა, შვილი აზნაურთა მდიდართა და წარჩინებულთა“¹⁹¹. დამახასიათებელია, რომ თვით ილარიონს და აგრეთვე მისი ცხოვრების აღმწერთ, ნათლად აქვთ შეგნებული ილარიონის საეკლესიო მოღვაწეობის ფართო ასპარეზის მნიშვნელობა მთელი საქართველოს მასშტაბით. ამას მოწმობს ილარიონის ზედწოდება „ქართველი“, რომელიც აქ ნახმარია ფართო შინაარსით, კულტურულ-ისტორიული ცნებით და არა კუთხური წარმომშობილობის შინაარსით. ქართული კულტურის სარბიელზე მოღვაწე კახი მონაზონი ქართველად გრძნობს თავს იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა ტომობრივი წარმომშობისა იყო იგი. მთელი მისი კულტურული მოღვაწეობის მიმართულება, დიდი აღმშენებლობითი მუშაობა, კულტურისა და განათლების ცენტრების შექმნა არა მარტო კახეთის სამთავროში, არამედ მის ფარგლებს გარეთ (იერუსალიმი, ოლიმპი, კონსტანტინეპოლი და სხვ.) ნათელი ილუსტრაციაა IX ს. კახეთის სამთავროს კულტურული განვითარების მაღალი დონისა.

¹⁹⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 257; ვახუშტი, აღწერა, გვ. 558; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 97; მ. ლორთქიფანიძე, მასალები..., გვ. 27—28.

¹⁹¹ ცხოვრება ილარიონ ქართველისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI—XV სს.), ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1967, გვ. 10.



ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ილარიონი ექვსი წლისა იყო (828 წ., ე. ი. დაჩი ქორეპისკოპოსის დროს) იმ დაბაში, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ და სადაც ილარიონი სწავლავდა, მშობლები იმდენად, მამამ „ველ-ყო ადგილისა მის აღშენებად მონასტრად. და შეკრბეს მუნ ძმანი რიცხუთ ვითარ ათექუსმეტნი ოდენ“¹⁹². განსაკუთრებით ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას კახეთის სამთავროში ილარიონი ეწევა 855—864 წლებში (სამოელ და გაბრიელ დონაურების მმართველობის ხანაში), როდესაც იგი იერუსალიმიდან სამშობლოში დაბრუნდა¹⁹³. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება მის მიერ კახეთში კტიტორული მონასტრების აშენება. 855 წელს, როგორც მისი ბიოგრაფი გადმოგვცემს, ილარიონმა დაქვრივებული დედისათვის „აღაშენა მონასტერი დედათათჳს, მოწესეთა ადგილსა კეთილსა და შეუენიერსა და შეიყვანა მას შინა ღირსი იგი დედაი თჳსი... და შეწირნა სოფელი რავედენნიმე, ვითარ შემძლებელი იყო. და განუწესა წესი და კანონი, ვითარცა ჯერ-არს მონასტერსა შინა ყოფისაჲ ლოცვისა და მარხვისა და ყოვლისავე წესიერად ქცევისაჲ“¹⁹⁴. ილარიონის მიერ თავის „მკვიდრ მამულში“ დაარსებული დედათა მონასტერი, როგორც ეს გ. ჩუბინაშვილმა დაადგინა, უნდა იყოს სოფ. აკურის (თელავთან) „მამა დაეთის“ ცნობილი ბაზილიკა. ტაძრის არქიტექტურული ანალიზიდან ჩანს, რომ მას ორგანული კავშირი აქვს შუა საუკუნეების კახეთის ხუროთმოძღვრების ძეგლებთან და, როგორც ამას ტაძრის საგანგებოდ შემსწავლელი გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, თარიღდება საკმაოდ მტკიცედ და ზუსტად IX საუკუნის შუა ხანებით (855 წ.)¹⁹⁵. ამავე ხანებში (855—მრ. წწ.) ილარიონს მეორე კტიტორული მონასტერიც აუშენებია. მისი ცხოვრების აღმწერი მოგვითხრობს: „და კუალად აღაშენა სხუად მონასტერი მამათათჳს და შეკრიბნა მას შინა ძმანი ვითარ სამოცდაათექუსმეტნი, ღირსნი და მოღუაწენი, რომელთაც სიწმიდესა და ღირსებასა ხედვიდა თუალითა სულიერითა. და განუწესა მათცა წესი და კანონი სიმკნისა მათის შემსგავსებული. და აღუშენა ეკლესიაჲ და შეამკო

¹⁹² ცხორებაჲ ილარიონ ქართველისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI—XV სს.), ილ. აბულაძის რედაქციით. თბ., 1967, გვ. 10—11.

¹⁹³ ე. კეკელიძე, ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველისა), ვტიულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. IV, თბ., 1957, გვ. 154.

¹⁹⁴ ცხორებაჲ ილარიონ ქართველისა, გვ. 15—16.

¹⁹⁵ Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давида-Гареджи, Тб., 1948, გვ. 41—42; მისივე, Архитектура Кахетии..., გვ. 121—122.

ყოველითავე სამკაულითა, და მოიგნა წმიდანი წიგნნი და დასხნა მას შინა და შეწირნა სოფელნი, რომელნი დაშთომილ იყვნეს მამულისაგან თვისისა“¹⁹⁶. სამწუხაროდ, ამ მონასტრის ზუსტი აღწერილობა არეობის დადგენა ვერ ხერხდება. მაგრამ ერთი რამ სავსებით ცხადი და უცილობელია: ეს მონასტერიც ილარიონს აუშენებია თავის „მამულში“, რომელიც იყო „საზღვართაგან და კერძოთა კახეთისათა“-ში.

ასეთი ფართო მასშტაბის სამონასტრო-საალმშენებლო მოღვაწეობის გამო ილარიონის სახელი გასცდა კახეთის სამთავროს ფარგლებს. მისი ბიოგრაფის სიტყვით, ამ პერიოდში (855-864 წწ.) „განი-თქუა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა ქართლისასა“¹⁹⁷.

კახეთის სამთავროს კულტურის ასპარეზზე ილარიონის მოღვაწეობასთან დაკავშირებით ერთობ საგულისხმოა აგიოგრაფის შემდეგი სიტყვები: „ენება ყოველსა ერსა და მთავარსაცა მის ქუეყანისასა, რამთამცა ყვეს იგი ეპისკოპოს“¹⁹⁸. „მთავარი მის ქვეყანისა“-ში, რა თქმა უნდა, ილარიონის თანამედროვე კახეთის მთავარი უნდა ვიგულისხმოთ, სახელდობრ აქ უფრო მეტად ქორეპისკოპოსი გაბრიელ დონაური (861—881) არის სავარაუდებელი. ზოლო რაც შეეხება, იმას, თუ რომელი საეპისკოპოსო კათედრის მღვდელთმთავრად აპირებდა ილარიონის დანიშვნას კახეთის მთავარი, ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებანი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ილარიონის „მკვიდრი მამული“ შიგნით კახეთში მდებარეობდა. შიგნით კახეთი კი იმთავითვე ჭერემის საეპისკოპოსოს იურისდიქციაში შედიოდა. ვახუშტის გადმოცემით, როდესაც ვახტანგ გორგასალმა V ს-ის მეორე ნახევარში ჭერემში ქალაქი ააშენა, მანვე აქ „დასვა ეპისკოპოსი, მწყემსი შიგნით კახეთისა“¹⁹⁹. ერთი ნაგვიანევი ხანის საბუთით, ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა უფრო კონკრეტული წარმოდგენა ვიჭონიოთ ჭერემის ეპარქიის ფარგლებზე. ეს არის თეიმურაზ II და ერეკლე II მიერ 1757 წ. გაცემული გუჯარი, რომელიც შეეხება საჭერემლო მამულების განაწილებას. 1757 წ., როდესაც ჭერემის საეპისკოპოსო გაუქმებულ იქნა, მისი სამწყსო გადაეცა ალავერდელს, ბოდბელ მიტროპოლიტს და ნინოწმინდელს. ამ განაწილების დროს ნათლად გამოვლინდა ჭერემის ეპარქიის საზღვრები. კერძოდ, როგორც ამ საბუთიდან ჩანს, ჭერემელის სამწყსო განლაგებუ-

¹⁹⁶ ცხოვრება ილარიონ ქართველისა, გვ. 16.

¹⁹⁷ იქვე, გვ. 17.

¹⁹⁸ იქვე, გვ. 17.

¹⁹⁹ ვახუშტი, აღწერა, გვ. 546.

ლი ყოფილა ჰერემის ხევის ორივე ნაპირზე, წინანდლიდან მოყოლებული ვიდრე ვეჯინამდე²⁰⁰ ამრიგად, შეიძლება გამოვიტყუდო- დი, რომ კახეთის ქორეპისკოპოს გაბრიელ დონაურს, სურდა, ელავი- ნის ჰერემის ეპისკოპოსად დანიშვნა. ილარიონ ქართველის (კახის) „ცხოვრების“ შემომოტანილი ცნობიდან ერთხელ კიდევ დასტურდება ის ფაქტი, რომ შიგნით კახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი ვიდრე ვე- ჯინამდე IX ს-ში კახეთის სამთავროს ეკუთვნოდა.

ილარიონ ქართველის კულტურულ-სასულიერო მოღვაწეობა მარტო კახეთის სამთავროს ფარგლებით არ შემოისაზღვრება. მის სახელთანაა დაკავშირებული ორი ქართული მონასტრის შექმნა ბიზანტიაში. ერთია ოლმპის ანუ ულუმბოს მონასტერი მცირე აზიის ბითინიაში, სადაც ილარიონი მოსულა 864 წელს. მეორე მონასტერი, ილარიონის სახელთან დაკავშირებული, არის „ქართველთა მონასტერი პრომანას“ კონსტანტინეპოლში. ეს მონასტერი 876 წ. აუშენებია იმპერატორ ბასილ I მაკედონელს (867—886 წწ.) ილარიონის მოწაფეთათვის. იმპერატორისავე ბრძანებით, ილარიონის ნეშტი თესალონიკიიდან კონსტანტინეპოლში გადმოუსვენებიათ და დაუსაფლავებიათ პრომანას მონასტერში²⁰¹.

ამრიგად, ილარიონ ქართველი, წარმოშობით კახი, ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია იმ ახალი, ძლიერი სამონასტრო მოძრაობისა, რომელიც დამახასიათებელი იყო VIII-IX სს. საქართველოს ისტორიისათვის. ეს იყო ის პერიოდი, როდესაც ადგილი ჰქონდა საქართველოს აოხრებულ, უშენ და უღვაწ კუთხეებში მონასტრების მშენებლობას, ახალი გზების გაყვანას, კულტურის ახალი კერების შექმნას. ილარიონი თავისი სამაგალითო მოღვაწეობით ხელს უწყობდა თანამემამულეთა შორის ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას ყოველგვარი კუთხური ან ფეოდალური განცალკევებისა და გამოჩენის გარეშე. იგი ქრისტიანული საეკლესიო ორგანიზაციის შემოქმედებით ცდილობდა დაემყარებინა კულტურული ერთიანობა და კავშირები ცალკეულ სახელმწიფოთა და ქვეყნებს შორის²⁰².

ილარიონ ქართველის (კახის) პოპულარობას ადასტურებს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ფორმით შედგენილი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემცველ თხზულებათა სიმრავლე, რომელთა უმე-

²⁰⁰ ა. ხახანაშვილი, ვეჯრები, ქუთაისი, 1891, გვ. 101—102.

²⁰¹ ე. კეკელიძე, ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველისა), გვ. 155—157.

²⁰² შტრ. ბ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 114—

ტესი ნაწილი დღეს ჩვენთვის კარგად არის ცნობილი. ვერ კიდევ ილარიონის თანამედროვე ბერძენ მწერალს ბასილი პროტოასკრეტს იმპერატორ ბასილ I დავალებით და ილარიონის მოწაფეთა მოწოდებული ცნობების საფუძველზე ბერძნულ ენაზე წყობილია ენკომია, რომელიც მას ილარიონის წმინდა ნაწილების თესალონიკიდან პრომანას მონასტერში გადმოსვენების დროს წარმოუთქვამს. ამ თხზულებას ჩვენამდის არ მოუღწევია. იგი საფუძველად დაედო ქართულ „ცხოვრებას“, რომლის სამი რედაქციაა შენახული: ძველი (ათონის), მეტაფრასტული და სვინაქსარული. ძველი, ათონური რედაქცია წარმოადგენს ნახევრად ორიგინალურ, ნახევრად ნათარგმნ ნაწარმოებს და დაწერილი უნდა იყოს ექვთიმე მთაწმინდელის მიერ 991 წელს.

გაბრიელ ქორეპისკოპოსის გარდაცვალების (881 წ.) შემდეგ კახეთის სამთავროში გარდაბანული წარმოშობის დონაურების დინასტია ხელისუფლებას კარგავს. მატთანე ქართლისა აღნიშნავს: „და ვითარ მოკუდა კახთა ქორეპისკოპოსი გაბრიელ დონაური, დაჰდა ქორეპისკოპოსად ფადლა არევმანელი, კაცი ბრძენი და საქმის მეცნიერი“²⁰⁴. მატთანედან არ ჩანს, თუ რა ვითარებაში მოხდა ფადლას გამთავრება. ამ მიმართებით, მხოლოდ ვარაუდის სახით, შეიძლება აღდგენილ იქნას მოვლენათა მსვლელობა. მატთანე ქართლისას ავტორი ფადლას მთავრობასთან დაკავშირებით გვაუწყებს, რომ „ფადლა ქორეპისკოპოსი განძლიერდა და დაიმორჩილა გარდაბანელნი“²⁰⁵. მემატანის ამ სიტყვების მიღმა საქმის ნამდვილი ვითარება მოჩანს: აშკარა ხდება, რომ დინასტიის შეცვლა უმტკივნეულოდ არ მომხდარა, ფადლას პოლიტიკური ძალაუფლება კახეთის სამთავროში ბრძოლით მოუპოვებია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფადლა ეკუთვნოდა ბაგრატიონთა საგვარეულოს იმ სახლს, რომლიდანაც კახეთის მთავარი გრიგოლი იყო გამოსული (იხ. ზემოთ), ე. ი. ფადლა ქორეპისკოპოსი გრიგოლ ბაგრატიონის შთამომავალი უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ დინასტიური ბრძოლა დონაურებსა და ბაგრატიონებს შორის ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დასრულდა. დონაურებმა დაკარგეს სამთავრო ტახტი, რასაც უშუალოდ მოჰყვა გარდაბანელების განდგომა. კახეთის სამთავროს ახალმა მფლობელმა ფადლა I ბაგრატიონმა მხოლოდ თავისი ძალაუფლების განმტკიცებისა და გაძლიერების შემდეგ შეძლო გარდაბანელთა დამორჩილება. ამრიგად,

²⁰³ კ. კ. კ. ლ. ი. ძე, ვტიულები..., ტ. IV, გვ. 144.

²⁰⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 259.

²⁰⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 262.

IX ს. 80-იანი წლების დასაწყისიდან კახეთის სამთავროს პოლიტიკურ ცხოვრებაში გარდაბანელი ალარ ასრულებენ წამყვან როლს. მათიანე ქართლისა ფაღლა I-ის (881—893 წწ.) მართლმადიდებლობის სამთავროს ისტორიის შესახებ, გარდა ზემოთხსენებულისა, ორიოდ ფაქტისა, სხვას, რაიმე მნიშვნელოვანს არაფერს გვაძლევს. ვახუშტიც ფაღლა I-ის შესახებ საბურისას მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რომ აღნიშნავს: „ამან კუალად დაიპყრა გარდაბანი“ და იქვე დასძენს: ფაღლას „ქუეითნი მპყრობელნი კახეთისანი ამისი ძენი და შთამომავალნი არიან, ვითარცა სახელით წარმოიჩინებიათ“²⁰⁶.

IX ს. დასასრულსა და X ს. დასაწყისში კახეთის სამთავროს ისტორიული განვითარების გზაზე ერთგვარი შემობრუნების მომენტი შეიმჩნევა. უპირველეს ყოვლისა, ამიერიდან კახეთის მფლობელნი იძულებული არიან თავი დაიცივან და შეაჩერონ დასავლეთის მხრიდან ეგრის-აფხაზეთის მეფეთა შემოტევები; ამავე დროს, ეს არის ის ხანა, როდესაც კახეთში ადგილი აქვს არაბთა სახალიფოს ჭარბების უკანასკნელ ლაშქრობებს, მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ შემოსევებმა მინც ვერ მოახერხეს აქ მუსლიმანთა ხელისუფლების აღდგენა; დასასრულ, ამ პერიოდში კახეთის სამთავროს მესვეურთა პოლიტიკურ პროგრამაში წინა პლანზეა წამოწეული საზღვრების გაფართოება მეზობელი პერეთის სამთავროს ტერიტორიების ხარჯზე.

ფაღლა I-ის შემდეგ კახეთში ქორეპისკოპოსად კვირიკე I (893 — 918 წწ.) დაჯდა. მისი მმართველობის ხანაში, დაახლოებით 912 წელს, კახეთის სამთავროს არაბი ამირა აბულ-კასიმ აბუ-საჯის ძე შემოესია. მათიანე ქართლისა მოგვითხრობს: „მოვიდა აბუ-საჯის ძე... და მოადგა უჯარმოს. შიგა დგა სამასი კაცი, და ჰბრძოდეს მრავალთა დღეთა. და ვითარ იხილეს, რამეთუ ვერ დაუდგმიდეს, დააგდეს ღამე და გარდაიხუეწნეს; რომელნიმე წარვიდეს და რომელთამე ეწივნეს და დაჯოცნეს. ვითარცა ცნეს ბოჭორმელთა ციხოვანთა წაღება უჯარმისა, დააგდეს ციხე და გარდაიხუეწნეს. რაჟამს მოვიდეს, პოვეს იგი უკაცური და თქუეს: „რომელი ბაკი იყო, მუნ შინა ფიცხლად შეგუებნეს; და რომელი ციხე არს, იგი უკაცურად დაუგდიათ“. „აიღეს ბოჭორმა და დაიპირეს ციხედვე, და უჯარმის ზღუდენი დაარღუნეს“²⁰⁷. როგორც ვხედავთ, არაბთა სარდალ აბულ-კასიმს უჯარმის ციხე ხანგრძლივი („მრავალთა დღეთა“) და შეუპოვარი ბრძოლების შედეგად აუღია. ციხის სამასკაციანი გარნიზონი მას თავგან-

²⁰⁶ ვახუშტი, აღწერა, გვ. 558.

²⁰⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 263.



წირულ წინააღმდეგობას უწევდა. რაც შეეხება უჯარმასთან შედარებით უფრო ძლიერ ციხესიმაგრე ბოჭორმას, რომელიც ამ დროსაც უკვე აქაური მთავრის რეზიდენციასაც წარმოადგენდა, მას უკვე მთლიანად აბარებენ მტერს. შექმნილ ვითარებაში კვირიკე I-ის ასეთი გადაწყვეტილება სავსებით გამართლებული იყო და, ჩვენი აზრით, პოლიტიკური შორსმჭვრეტელობითაც იყო ნაჯარნაბევი: გადაერჩინა ქვეყანა შემდგომი აოხრება-განადგურებისაგან. თუ რამდენად სწორი აღმოჩნდა კვირიკე I მიერ გადადგმული ნაბიჯი, ეს მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ გამოაშკარავა. კვირიკე I სამშვიდობო წინადადებაზე არაბთა სარდალი თანზიმობას აცხადებს და წყვეტს საომარ ოპერაციებს კახეთში. მათიანე ქართლისას ავტორი გადმოგვცემს: „ხოლო კვირიკე ქორეპისკოპოსმან ვითარ იხილა, რომელ არა იყო ღონე მისი, მიენდო ფიცითა, მივიდა და ნახა (აბულ-კასიმი — თ. 3.); და ჰკითხა მან: „ვინ გაწვა აქა მოსლვა?“ და უთხრა (კვირიკემ): „მაწვა დედამან ჩემმან“. და თქუა: „არა ვატყინო გული ერთისა შემხედვარსა“. და შეუყვარდა სიკეთისა მისისათუს და განუტევა, გარნა ბოჭორმა თვთ დაიჭირა“²⁰⁸.

ზემოთ მოტანილ მემატიაანის ცნობაში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის გარემოება, რომ არაბთა სარდალს ციხესიმაგრე უჯარმა „ბაკად“ ეჩვენება ბოჭორმასთან შედარებით. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, არაბთა სარდალი სიტყვა „ბაკით“ ხაზს უსვამს, საერთოდ, ბოჭორმის, როგორც თავდაცვითი ნაგებობის უპირატესობას უჯარმის მიმართ და არა იმას, რომ თითქოს უჯარმა სინამდვილეში „ბაკის“ შესადარ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. ეს რომ ასე არაა, ამას ნათლად მოწმობს უჯარმის ციხის დღემდე შემორჩენილი გრანდიოზული ნაგებობის ნანგრევები, რომლებიც სხვადასხვა ქრონოლოგიურ ფენებს შეიცავს, ძირითადად უფრო ძველს, ვიდრე IX—X საუკუნეებისას.

ამრიგად, ამირა აბულ-კასიმ აბუ საჯის ძის შემოსევებს კახეთის სამთავრო თითქმის უვნებლად გადაურჩა, რაც უაღრესად ხელსაყრელ წინაპირობად აქცია მისი შემდგომი გაძლიერება-განმტკიცებისათვის. მას შესაძლებლობა მიეცა ეზრუნა საკუთარი სამფლობელოს საზღვრების გაფართოებისათვის, კერძოდ, უკვე ქორეპისკოპოს კვირიკე I-ის დროს კახეთის სამთავრო ენერგიულად ანხორციელებს შეტევებს მეზობელი ჰერეთის სამთავროს წინააღმდეგ.

ვახუშტი მოგვითხრობს: „შეემტერა კვირიკე ქორიკოზი კახეთი-

²⁰⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 263.

სა აღარნასე პატრიკსა ჰერეთის ჰყრობელსა და ვინადგან შერწყნარა კვირიკევე ამირ აგარიან-მან (იგულისხმება ამირა აბულ-კაჰინ აბუ საჯის ძე — თ. პ.) და მოიცა ამირისგან კვირიკემ ძეგლ-ქუჩის მხარე I თავისი მმართველობის ბოლო წლებში (ვახუშტის ქრონოლოგიით 915 წ.) აწყობს ლაშქრობას ჰერეთის მთავარ აღარნასე პატრიკის წინააღმდეგ. საამისოდ იგი დაუკავშირდა ეგრის-აფხაზეთის მეფე კონსტანტინე III (893—929 წწ.). ვახუშტის სიტყვით, „ხოლო შემდგომად მტრად აღარნასესა მოიყვანა კვირიკემ მეფე აფხაზთა კონსტანტინე ქსა შიე, ქარ. რ. ლე. მერმე დაზავდნენ ვეჯინს, ვითარცა აღესწერეთ“²⁰⁹. მოკავშირეებმა ჰერეთი დაიპყრეს და გაინაწილეს. ამ ამბავს უფრო ვრცლად გადმოგვცემს „მატიანე ქართლისა“: „შემდგომად ამისა, ვითარ გარდახდეს წელნი რაოდენნიმე (აბულ-კასიმის კახეთში 912 წ. ლაშქრობის შემდეგ—თ. პ.). და მოეშენა ქუეყანა, მაშინ უკმო კვირიკე ქორეპისკოპოსმან კოსტანტი აფხაზთა მეფესა; ჩავიდეს ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეჯინისასა. აფხაზთა მეფე მოადგა ზედათ-კერძო, და კურიკე ქუეშოთ. და ვითარ მისწურეს წაღებად, მაშინ აღარნასე პატრიკი მოვიდა, პარასკევის ჭუარსა მიუპყრა ზავის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი, და კურიკეს ორკობი. ვითარ დაიზავნეს, და შემოიქცეს. მოვიდა კოსტანტი, აფხაზთა მეფე, ილოცა ალავერდს წმიდის გიორგის წინაშე, და შემოსა ხატი მისი ოქროთა. ხოლო ლაშქარი მისი უმრავლესი წარავლინა გზასა გარესა და ფრიად პატივ-სცა კურიკე ქორეპისკოპოსმან, და წარვიდა ქუეყანად თესად“²¹⁰. მოკავშირეთა მიერ ჰერეთში მოწყობილ ამავე ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობს 914 წ. ახლო ხანების ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა. მასში ვკითხულობთ: „...კელმწიფობასა ღმრთივდამყარებულისა წმიდისა კოსტანტინე მეფისასა, რომელმან ბრძანა და ჩავიდა ჰერეთს შიგან, ჰერთა მეფეა გააქცია და მუნით მშუდილობით იქცა, ცისკრად ალავერდს ილოცა, მწუხრი ბრემას გადაჰკთა; მეორედ კულა ავიდა, ვეჯინისა ციხე დალენა“²¹¹. როგორც ვხედავთ, წარწერაში მოთხრობილი ამბავი, რომელიც თანამედროვის მიერ არის აღბეჭდილი, ადასტურებს მატიანე ქართლისას ცნობას და ავსებს მას ზოგიერთი მნიშვნელო-

209 ვახუშტი, აღწერა, გვ. 559.

210 იქვე, გვ. 559.

211 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 264.

212 ლაზიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს.), შეადგინა და გამოსაყვემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1982, გვ. 172.



ვანი ისტორიული მონაცემებითაც. წარწერის ცნობებიდან სრულად ახალია შემდეგი: ეგრის-აფხაზეთის მეფე კონსტანტინეს რეზიდაცია ალავერდს ულოცია, მწუხრს იგი ქართლში გადმოსულა მწუხრს ბრძანს გადაჰკეთაო“. ზავს, ეტყობა, საკითხი საბოლოოდ არ გადაწყვეტია და საომარი მოქმედება ხელახლა დაწყებულა. ამას წარწერის მეხუთე სტრიქონის ბოლო სიტყვები გვამცნობს: „მეორედ კულა ავიდა ვეჭინისა ციხე დალუწა“. ამრიგად, კახთა ქორეპისკოპოსს კვირიკე I და ეგრის-აფხაზეთის მეფე კონსტანტინეს კოალიციური ლაშქრობის შედეგად დაუპყრიათ პერეთის მნიშვნელოვანი პუნქტები: არიში, გაეაზნი და ორჭობი. ამათგან „არიში და გაეაზნი“ კონსტანტინე ეგრის-აფხაზეთის მეფეს მიუთვისებია, ხოლო ორჭობი კი კვირიკეს. არიში (დღევანდელი მთისძირი) და გაეაზი (დღევანდელი ახალსოფელი) ალაზნის მარცხენა ნაპირზე, გალმა მხარეში მდებარეობენ; ორჭობის ადგილმდებარეობა გაურკვეველია, მაგრამ რადგანაც იგი ადარნასე პატრიკის სამფლობელო ყოფილა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ იგიც ისტორიული პერეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ი. ჭავჭავაძის მიერ აღწერილ მოვლენებს ასეთ კომენტარს უკეთებს: „კახთა ბატონი ბრძნულად იქცევოდა და მარტო თავის სამფლობელოს გაფართოებას ვერა ბედავდა, რომ აფხაზთა მეფის შური არ აღეძრა; გამარჯვების შემდეგაც მან დათმობილი ჭვეყნის მხოლოდ ერთი წილი აიღო, ორი წილი კი აფხაზთა მეფეს დაუთმო“²¹³.

კვირიკე I-ის გარდაცვალების (918 წ.) შემდეგ კახეთის მთავრის ტახტზე მისი მემკვიდრე ფადლა II ქორეპისკოპოსი (913—929 წწ.) დაჯდა. ერთ-ერთი პირველი ღონისძიებათაგანი, რომელიც ფადლა II-ს განუხორციელებია თავისი მმართველობის დასაწყისშივე, ეს იყო მის მიერ ციხე ლოწობანთას აგება: „ამან ალაგო ციხე ლოწობანთა“²¹⁴. — მოგვითხრობს მატეანე ქართლისას ავტორი. ლოწობანის ციხე, ანუ როგორც დღეს უწოდებენ ლორწომნის კლდე, მდებარეობს ქსნის ხეობაში, მდინარის მარცხენა სანაპიროზე, ალევს ჭვემოთ²¹⁵. მდ. ქსაზნე, როგორც ვიცით, გადიოდა საზღვარი „აფხაზთა სამეფოსა“ და კახთა სამთავროს შორის ანუ ქართლსა და კახეთს შო-

213 ი. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 102.

214 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 265.

215 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 69; ქ. გვასალია, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1967, გვ. 41—42; დ. მუსხელიშვილი, კახეთ-პერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII სს-ში, გვ. 81.



რის. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი გახდება, თუ რა შორს გამიზნული ღონისძიება იყო ფადლა II-ის (ე. ი. იუსტინიანე II) სამთავროს დასავლეთ სასაზღვრო ხაზზე ლოწობნის ტერიტორიაზე. ამ ციხეს სტრატეგიული თვალსაზრისით მოხერხებული ადგილმდებარეობა აქვს. იგი ბატონობს ქსან-არაგვის შორის მოქცეულ ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, ფადლა II ქორეპისკოპოსს ლოწობნის ციხე „აფხაზთა“ მეფეების საწინააღმდეგოდ აუგია. „ქართლსა ზედა“ ბრძოლის დროს ამ ციხის ფლობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ფადლა II მთავრობის ეამს კახეთის სამთავროში ადგილი ჰქონია „საჭთა“ სახლიდენ გამოსული ერთერთი არაბი ამირას შემოსევის: „ამასვე ეამსა (ე. ი. ფადლა II დროს — თ. პ.) მოვიდეს სარკინოზნი, რომელთა უკმობდეს საჭობით, და მოტყუენეს კახეთი, და დაწუეს ჟუარი და მცხეთა, და შეიქცეს“²¹⁶. ამ ამბავთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენის აზრით, უფრო სწორი და მისაღებია მატიანე ქართლისას შემომოტანილი ადგილის ნ. ბერძენიშვილისეული კონიექტურა: „მოტყუენეს კახეთი, დაწუეს ჟუარი მცხეთა (ს), და შეიქცეს“. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ამ შემოსევის დროს სარკინოზთ მცხეთა არ დაუწვავთ, მათ დაწვეს მცხეთის ჟვარი (ტაძარი), რადგანაც ეს იყო „კახეთის“ მორბევა და, როგორც ჩანს, ის ქართლს არ შეხებია²¹⁷. როგორც ვახუშტის გადმოცემიდან ჩანს, ფადლა II დროს კახეთის სამთავროს გარეპოლიტიკური ვითარების გართულებით უსარგებლია პერეთის მთავარ ადარნასე პატრიკს და უკან დაუბრუნებია კვირიკე I და კონსტანტინე III მიერ მიტაცებული პერეთის ტერიტორიები (არიში, გავაზნი და ორკობი)²¹⁸.

უნდა აღინიშნოს, რომ ფადლა II ქორეპისკოპოსის დროინდელ (918—929 წწ.) კახეთის სამთავროს ისტორიის საკითხებს ქართული ნარატიული წყაროები ძალზე ნაკლებად აშუქებენ. მატიანე ქართლისა და ვახუშტი თუ აღნიშნული ხანის წინა და მომდევნო პერიოდის ამბებს კიდევ რამდენადმე მაინც ვერცლად მოგვითხრობენ, X ს. 20-იანი წლებისათვის განსაკუთრებით სიტყვაძენწნი ხდებიან. ამასთან ეს წყაროები გვიანდელია. არ მოგვეპოვება ფადლა II თანამედროვე არცერთი ისეთი წყარო, რომელშიც ასახული იქნებოდა კახეთის ისტორიის მოვლენები. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნე-

216 მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 265.

217 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 262.

218 ვახუშტი, აღწერა, გვ. 560.

ლობა ენიჭება კახეთის ისტორიის ამსახველ სომხურ წყაროებს: ისინი ჩვენ გვაწვდიან ზოგიერთ საინტერესო ფაქტს X ს. ბიზანტიის კახეთის სამთავროს პოლიტიკური ისტორიისათვის, ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა იოანე დრასხანაქერტელის „სომხეთის ისტორიაში“ მოთხრობილი ერთი ეპიზოდი, რომელიც კახეთის სამთავროსა და სომხეთის პოლიტიკურ ურთიერთობას შეეხება. ეს ეპიზოდი ასახავს სომხეთის მეფის აშოტ II ერკათის (914—929 წწ.) და ურჩი მემბოხე უტიელი მთავრის მოსეს ურთიერთშორის ბრძოლის ამბავს. 922 წელს, როგორც იოანე დრასხანაქერტელი გვიამბობს, აშოტ II ერკათი თავისი ლაშქრით გაემართა უტიის გავარისაკენ, „რათა დაეთრგუნა სასტიკი განდგომილება მოსესი, რომელიც მას მთავრად და მბრძანებლად ჰყავდა დაყენებული უტიის გავარის... ტომებში“. და აი, იმავე მემბოხიანის გადმოცემით, აქვე (ე. ი. უტიის გავარში) მოვიდა „დიდი ქორეპისკოპოსი (იგულისხმება კახთა ქორეპისკოპოსი თ. პ.), რომელიც ალანთა კარის ახლოს გუგარეთის ნაწილს ფლობდა, დიდძალი ჭარით მეფის (ე. ი. აშოტ II ერკათის—თ. პ.) დასახმარებლად“²¹⁹.

სომხეთის მეფე აშოტ II, თავისი სიამამრის საპაე მთავრისა და წანართა (კახეთის) ქორეპისკოპოსის დახმარებით, შეძლო ამბოხების ჩაქრობა. დამარცხებული უტიის მთავარი მოსე „სასწრაფოდ გაიქცა და წევიდა სიენიეთის ქვეყანაში სუმბატ მთავართან, რომ როგორმე მისი დახმარებით მოეხერხებინა გასაჭირისაგან თავის დაღწევა“. მაგრამ, როგორც ჩანს, სიენიეთის მთავარმა არ მოისურვა ურთიერთობის გამწვავება თავის სუზერენთან, სომხეთის მეფესთან, და ამიტომ ლტოლვილი მოსე გზაშივე იძულებული შეიქნა დაეწყო ახალი მოკავშირის ძებნა. ამ მიზნით „მოსე უეცრად გამოვიდა სისაქანის მხარეებიდან და განიზრახა წანართა (კახეთის — თ. პ.) დიდ ქორეპისკოპოსთან წასვლა. სიკეთის აღთქმით (მოსეს) სურდა იგი თავის მოკავშირედ ექცია და ამით ეხსნა თავის სამფლობელო“²²⁰. მაგრამ მეფემ დროზე შეუტყო აჯანყებულ მთავარს განზრახვა, დაასწრო მას; გზაშივე წამოეწია, შეიპყრო და თვალეზი დასთხარა²²¹.

ზემომოტანილ ცნობაში ინტერესს აღძრავს ერთი დეტალი: როდესაც მემბოხიანე ლაპარაკობს „წანართა დიდ ქორეპისკოპოსზე“, იგი არ ახსენებს მის სახელს. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას,

²¹⁹ იოანე დრასხანაქერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 232—233.

²²⁰ იოანე დრასხანაქერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 234.

²²¹ იქვე, გვ. 235.

რომ ზემოაღნიშნულ მოვლენას ადგილი ჰქონდა 922 წელს, მაშინ, ვფიქრობთ, გვაქვს საფუძველი იმისა, რომ იოანე დრასხანაკორტელის „წინართა დიდ ქორეპისკოპოსში“ ვიგულისხმობთ კახეთის ქორეპისკოპოსის ფაღლა II. ამრიგად, როგორც დაეინახეთ, კახეთის სამთავრო ფაღლა II-ის დროს აქტიურ მონაწილეობას ღებულობს იმ პოლიტიკურ ამბებში, რომელთაც ადგილი ჰქონდა მეზობელ სამეფო-სამთავროებში.

თავისი მმართველობის ბოლო წლებში ფაღლა II დახმარებას უწევს ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგი II (929—957 წწ.) გამდგარი შვილის, კოსტანტინე ბატონიშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში. აჯანყებული ბატონიშვილი უფლისციხეში იყო გამაგრებული. მატთანე ქართლისას ავტორის მოთხოვნით, „გიორგი მეფემან ვითარ დაიდასტურა განდგომა ძისა თვისისა, გამოილაშქრა ყოვლითა ძალითა თვისითა, მოიყვანა ტაოელნი მეფენი და ფაღლა ქორეპისკოპოსი, და მოადგეს უფლისციხეს“²²². რამდენიმე თვის მედგარი ბრძოლის შედეგად, მოკავშირეთა დახმარებით გიორგი „აფხაზთა“ მეფემ გაიმარჯვა.

ფაღლა II-ის შემკვიდრე კვირიკე II ქორეპისკოპოსს (929—976 წწ.) მეტად რთულ პირობებში მოუხდა მთავრობა. ტახტზე ასვლისთანავე, როგორც მატთანე ქართლისას ავტორი გვაუწყებს, მას გარდაბანელი აზნაურნი გადაუდგნენ და გიორგი „აფხაზთა“ მეფეს მოუხმეს მის წინააღმდეგ. გიორგი მეფე კახეთში ჩავიდა და სულ ერთიანად ააოხრა და მოარბია იგი. ქართლის ერისთავად ამ დროს გიორგის შვილი ლეონი იყო, რომელსაც მეფემ კახეთში ახალი ლაშქრობის მოწყობა დაავალა, რათა მთლიანად დაეპყრო ეს ქვეყანა და ამავე დროს დაეტყვეებინა კვირიკე II დედაწული. მაგრამ ვიდრე მამაშვილი ამ განზრახვას სისრულეში მოიყვანდნენ, ქართლის აზნაურებმა, უღალატეს რა ამჯერად „აფხაზთა“ მეფეს, კვირიკე ქორეპისკოპოსი წინასწარ გააფრთხილეს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. კვირიკე, რომელიც „აფხაზთა“ მეფის წინაშე ზავის სათხოვნელად იყო მოსული, უმაღლვე კახეთში დაბრუნდა და მტრის შესახვედრად დაიწყო მზადება. მაგრამ სამაგიეროდ კვირიკე კახთა ქორეპისკოპოსს საკუთარ ქვეყანაში საკუთარმა ძმამ შურტამ უმტყუნა. იგი „აფხაზთა“ მეფის მხარეზე გადავიდა და, თანაც, კახეთის ერთერთი მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე უჭარმა გადასცა. „აფხაზთა“ მეფის ლაშქარი კახეთში შეიჭრა „და ეუფლნეს სხუათაცა ციხეთა კახეთისათა

²²² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 267.

თუნიერ სამთა ციხეთა: ნახჭევანისა, ბოჭორმისა და ლოწობანთა²²³.
როგორც ჩანს, „აფხაზთა“ მეფემ კახეთს სამთავროს მნიშვნელოვანი
ნაწილის ხელში ჩაგდება მოახერხა.

მემატიანის ცნობით, „ლოწობანნი ჰქონდეს ივანე არშის ძესა,
და გამავრდა შიგან, გაწირა პატრონი“. ნ. ბერძენიშვილის აზრით,
„გაწირა პატრონი“ ნიშნავს იმას, რომ ივანე არშის ძეს ციხე უნდა
ჩაებარებინა „აფხაზთა“ მეფისათვის, რაკი კვირიკე ქორეპისკოპოსი
(მისი პატრონი) მარცხდება გიორგი მეფესთან ბრძოლაში²²⁴. გიორგი
მეფის ლაშქარმა ლოწობნის ციხის საწინააღმდეგოდ სახელდახელოდ
აავო შურისციხე და „დააყენნეს შიგან ლაშქარი“. ივანე არშის ძის
მსგავსად მოიქცა მისი ძმაც, ხახუა არშისძე, რომელსაც ზაშინ ჰქონ-
და მარანის ციხე. ნახჭევნის ციხე „ჰქონდა ფადლასა (ფადლა III—
თ. პ.), ძესა კვირიკესსა. იგიცა გამავრდა შიგან“. ზემოთ ჩამოთვლილ
ციხის მფლობელთაგან ყველაზე საბედისწეროდ მაინც ხახუა არშის-
ძის საქმე წარიმართა. მარანის ციხე აიღო გიორგის ლაშქარმა, ხოლო
თვით ციხისთავი „აფხაზთა“ მეფემან „წარსცა პყრობილად ჳი-
ქეთს“²²⁵.

კვირიკე II ქორეპისკოპოსმა საქმე წაგებულად ჩათვალა და „და-
ულოცა კახეთი გიორგი მეფესა“ იმ პირობით, რომ ნახჭევნის ციხეს
ახლავე გადასცემდა „აფხაზთა“ მეფეს, შვილს — დავითს მძევლად
მისცემდა, ხოლო თვითონ ბოჭორმის ციხეში შევიდოდა და გარკვეულ
დრომდის იქ თავისუფლად იქნებოდა, რომ საბოლოოდ წასასვლე-
ლად მომზადებულიყო. და აი, როცა ამ პირობის თანახმად კვირიკე
ბოჭორმის ციხეში იყო და კახეთის დატოვებას აპირებდა, სწორედ
„მაშინ შეეზრახნეს აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გოდერ-
ძი მგდევური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე
სხვლოსელნი, სარა და გრიგოლ ძმანი ფხუენელნი, და მათ თანა ორ-
მოცდაათი აზნაური სხუა, და მიერთნეს კურიკეს. დაუწყეს ბრძოლად
ციხეთა, და მცირეთდა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი; დაარღ-
ვენეს შურის-ციხე და ლოწობანთა, და კუალად ეუფლა კვირიკე მამუ-
ლსა თუსსა“²²⁶. ზემომოტანილ ცნობაში სახელდებით ჩამოთვლილ
აზნაურთა შორის კახ აზნაურებად უნდა ჩაითვალოს გოდერძი მგდევ-
ური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი და სხვილოსელნი. ეს აზნაურ-
ნი დაკავშირებული არიან ქსნის მიდამოებთან; ქსნის ხეობა კი აღნიშ-

²²³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 268.

²²⁴ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII,
გვ. 121.

²²⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 268.

²²⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 269.

ნულ ხანაში კახეთს მიეკუთვნება. როგორც სპეციალურ სამეცნიერო
ლიტერატურაშია აღნიშნული, ქსნის ხეობაში X ს. ჩანს რამდენიმე
დაწინაურებული ფეოდალური სახლი. დადგენილია მათი სტრუქტურის
ბის ცენტრები: ვლუში, ყანჩაეთში, კორინთა-საძეგურში, სხვილო-
ში²²⁷. ყოველივე აქედან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ გიორგი
„აფხაზთა“ მეფის წინააღმდეგ კახეთში მომხდარი აჯანყების მონაწი-
ლეთა უმრავლესობას ქართლის აზნაურები შეადგენდნენ. რა მიზნე-
ბით იყო ნაკარნახევი მათი ასეთი აქტიური მონაწილეობა აჯანყებაში?
აი რას წერს ამ საკითხთან დაკავშირებით ი. ჭავჭავაძე: „რასაკვირ-
ველია, ქართლელ აზნაურებს კახეთის დამოუკიდებელი მეფობის მოს-
პობა პირადად არ შეეხებოდათ და, ეს შემთხვევა რომ მარტოოდენ
კახთა ცხოვრების მოვლენად ჩათვალათ, მაშინ ისინი თავიანთ ქერ-
ქში იქნებოდნენ; მაგრამ კახეთის დამოუკიდებლობის მოსპობა მათ,
რასაკვირველია, არ ენდომებოდათ; ეს ხომ აფხაზთა მეფის გაძლიე-
რებას მოასწავებდა! ხოლო რაკი იგი იმავე დროს ქართლის ბატონიც
იყო, მისი უფლების გაფართოება და გამტკიცება ქართლის დიდებულ
აზნაურთა წინანდელი პარპაშობისა და თვისნება მოქმედების ფრთე-
ბის შეკვეცას უქადდა; ამიტომაც იყო, რომ ქართლის აზნაურებმა
იმის მაგიერ, რომ თავიანთი მეფისათვის ხელი შეეწყოთ და კახეთის
შემოერთებაში მოჰხმარებოდნენ, იმათ, პირიქით, მოწყობილი და გა-
თავებული საქმე ხელმეორედ ჩაუშალეს, კახთა ბატონი აფხაზთა
მეფის საწინააღმდეგოდ წააქეზეს“²²⁸. აშკარაა, ეს არის გავლენიან
ფეოდალთა ძლიერი წრე, რომელთათვისაც არაა მიინცდამინც სა-
ხარბიელო კახეთის უშუალო შემოერთება, ისე როგორც ქართლისა,
და ამით „აფხაზთა“ მეფის უზომო გაძლიერება. სწორედ ამ უმაღლეს
აზნაურთა (მემატიანის მიხედვით სულ 57 გვარია დაახლოებით) კვი-
რივე II ქორეპისკოპოსის მხარეზე გადასვლის გამო მოხდა ის, რომ
გიორგი „აფხაზთა“ მეფეს დაპყრობილი კახეთი კვლავ დასაპყრობი
გაუხდა.

გიორგი „აფხაზთა“ მეფემ კახეთის სამთავროს ხელმეორედ და-
სამორჩილებლად თავისი შვილი ლეონი გაგზავნა, მაგრამ მამის გარ-
დაცვალების გამო იგი იძულებული ხდება შეწყვიტოს საომარი ოპე-
რაციები კახეთში და ზავი შეკრას კვირიკესთან. საზავო მოლაპარაკება
ლეონ III (957—967 წწ.) და კვირიკე II ქორეპისკოპოსს შორის წა-

227 ჟ. გვასალია, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ.
43—44.

228 ი. ჭავჭავაძე, ქართულა ერის ისტორია, II, გვ. 104.

რმოებდა ბაზალეთის ტბის პირას: კვირიკე II სცნო თავისი ლეონის ვასალად. მოლაპარაკებების ერთერთი პუნქტი შეეხებოდა კვირიკე II ვაჟის, დავითის, ლეონ III ასულზე დაქორწინების თუ გავითვალისწინებთ, რომ გიორგი „აფხაზთა“ მეფე გახდა 957 წელს, მაშინ საზავო ხელშეკრულების თარიღადაც იგივე წელი უნდა ვცნოთ. ამრიგად, კახეთის სამთავრომ რთულ პოლიტიკურ ვითარებას თავი გაართვა და შეინარჩუნა დამოუკიდებლობა.

მაგრამ ზავი ეგრის-აფხაზეთის სამეფოსა და კახეთის სამთავროს შორის ხანგრძლივი არ ყოფილა. ბრძოლა განახლდა მას შემდეგ, როდესაც გარდაიცვალა ლეონ მეფის ასული, რომელიც კვირიკე II ვაჟზე იყო გათხოვილი. ეგრის-აფხაზეთის მეფემ ისარგებლა ამ შემთხვევით და „კუალად იწყო მტერობად კვირიკესა და ძებნად კახეთისა; გაილაშქრა სპითა დიდითა, ჩადგა არაგვს პირსა, ასწყუდა მუხრანი, ხერკი და ბაზალეთი“, მაგრამ ლეონი „მასვე ლაშქრობასა დასწულდა, შეიქცა გარე და მოკუდა“²²⁹. მისი სიკვდილის შემდეგ კვირიკე II ქორეპისკოპოსმა, ეტყობა, მთლიანად აღადგინა თავისი სამფლობელო, რაც ჩანს იქიდან, რომ ქსან-არაგვს შორის მდებარე ტერიტორია (მუხრანი, ხერკი, ბაზალეთი) კვლავ მისი სამთავროს ფარგლებში შემოდიხ²³¹. ზემოაღწერილ მოვლენებს, როგორც დავინახეთ, ადგილი ჰქონდა ლეონ III აფხაზთა მეფის მმართველობის ხანაში, ე. ი. 957—967 წლებს შორის.

X ს. 70-იან წლებში კახეთის მთავარი უფრო აქტიურად ერევა „ქართლსა ზედა“. ბრძოლის პროცესში იგი სარგებლობს ეგრის-აფხაზეთის სამეფოს საშინაო მდგომარეობის გართულებით და ცდილობს ქართლში მტკიცედ ფეხის მოკიდებას. „მოვიდეს კახნი და მოადგეს უფლისციხესა“²³². მაგრამ ამჯერად კახეთის მთავრის მისწრაფებას ქართლის დაპყრობისადმი წინ აღუდგება დავით კუროპალატი, რომელიც „წარმოემართა ძალითა თვისითა ყოვლითა, და მოვიდა ქართლად. და რაჟამს ცნეს მოსვლვა მისი კახთა, წარვიდეს ვითარცა მეოტნი და დაუტევეს ქართლი“²³³. დაახლოებით 975 წელს კახეთის მთავარი ისევ ქართლის აზნაურთა დახმარებით კვლავ იპყრობს უფლისციხეს, უფრო მეტიც, კახელები ატყვევებენ მეფე გურგენს, მის ძეს ბაგრატს და დედოფალ გურანდუხტს. როდესაც ეს ამბავი დავით

229 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 269—270.

230 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 270.

231 მ. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ძ. შ. მასალები..., გვ. 47.

232 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 272.

233 იქვე.



კუროპალატმა შეიტყო, იგი უმაღლეს ქართლში ჩამოვიდა და კახეთში სალაშქროდ მოემზადა. კახეთის მთავარმა დავით კუროპალატთან შეხმა ვერ გაბედა და დაზავება არჩია. ამ ზავის თანახმად კახელებმა დატყვევებულნი გაათავისუფლეს, ქართლის ყველა დაპყრობილი ადგილები დააბრუნეს წირქუალის ციხესა და გრუას გარდა²³⁴. აღნიშნული ციხეები, რომელნიც ქსნის ხეობაში მდებარეობენ, ამის შემდეგაც კარგა ხნის განმავლობაში კახეთის სამთავროს მფლობელობაში დარჩა.

ზოგიერთი ეპიგრაფიკული ძეგლის ჩვენებიდან ირკვევა, რომ კახთა ქორეპისკოპოსი კვირიკე II (929—976 წწ.) ბიზანტიურ საკარისკო ტიტულს — „მაგისტროსი“ — ატარებდა. ამას გვაფიქრებინებს ხახლის კარელი ხატის (ტრიპტიქონი) ერთერთი მინაწერის ბერძნული წარწერა, რომელიც ასე იკითხება: + K(ῥ)ις, Βασιλῆ: τῷ σῶ Μάστῳ Κυρικῶ Μαγίστρω“ (ქ. უფალო, შეეწიე მონასა შესა კვირიკე მაგისტროსსა.). ქართულად აქვე წერია: „ქე აღიკე მფმ“ — ქრისტე აღიდე კვირიკე მეფე²³⁵. ნ. კონდაკოვი და დ. ბაქრაძე ერთერთ შრომაში ამ წარწერის შესახებ შემდეგს აღნიშნავენ: «Грузинская надпись соответствует греческой: «Господи, прослав царя Квирика!» Но это прибавка не облегчает, а только затрудняет до крайности понимание греческой, которая указывает на этот крест, как на тельник какого-то византийского магистра Кирика. Между тем, под именем «Царя Квирика» известен царь Абхазский Кирик или Куркен, которому император Роман, соправитель Константина Багрянородного, послал почетное звание магистра. Два другие Квирики известны между 1010—29 и 1084—1121 годами. Относить тельник к первому значило бы, до известной степени, противоречить характеру эмали, который имеет все особенности работ XI века, и поэтому мы предпочитаем думать, что это был византийский тельник, доставшийся одному из этих последних Квириков, и по сходству имени стал его тельником, затем рознят и наложен как пата, на Хахульскую икону»²³⁶.

²³⁴ იქვე, გვ. 274—275.

²³⁵ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 148.

²³⁶ Н. Кондаков, Д. Бакрадзе. Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, С.-Петербург, 1890, гв. 18—20.



როგორც თ. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, აქ ვითარება ხელოვნურად არის გართულებული: არაა არავითარი აუცილებლობა ვეძებოთ XI ს. ბიზანტიელი „კვირიკე მაგისტროსი და შემდეგ, XII ს. მისი მოწინააღმდეგე მოსახელე ქართველი „კვირიკე მეფე“. გარდა ამისა, არ ჩანს, რით ხსნიან ავტორები მინანქრის ცენტრალურ ადგილას, საგანგებოდ, თავიდანვე უფრო მსხვილი ასოებით შესრულებულ ქართულ წარწერას. ბიზანტიელი მაგისტროსი მას არ გააყეთებინებდა, მინანქარზე ქართული და ბერძნული წარწერების განლაგება კი მის თავიდანვე არსებობას გვაეარაულებინებს²³⁷.

ხელოვნებათმცოდნე დ. გორდევევი ზემოაღნიშნულ მინანქარს XI ს-ით ათარიღებს, ხოლო წარწერაში მოხსენებული კვირიკე მაგისტროსი მას მიაჩნია კვირიკე III დიდი, „რანთა და კახთა“ მეფედ²³⁸. შ. ამირანაშვილი ამ მინანქარს X ს-ით ათარიღებს და, მისი აზრით, იგი ქართველი მემინანქრე ოსტატის ნახელავად უნდა ვალიაროთ²³⁹.

თ. ყაუხჩიშვილი ბერძნულ-ქართულ წარწერათა პალეოგრაფიული თვალსაზრისით შედარებითი შესწავლის, ისტორიულ წყაროთა, ანალიზისა და რეალურ-ისტორიული ვითარების გათვალისწინების საფუძველზე ხახულის კარედი ხატის აღნიშნულ მინანქარს X საუკუნით ათარიღებს, ხოლო ბერძნულ-ქართული წარწერების გამკეთებლად მიიჩნევს X ს. კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკეს²⁴⁰. ჩვენის აზრით, ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულის, მაგისტროსობის მატარებელი კახეთის მფლობელი სწორედ კვირიკე II (929—976 წწ.) ქორეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. კახეთის მფლობელთა მიერ ბიზანტიური ტიტულის ტარება მოულოდნელ შემთხვევად არ უნდა ჩაითვალოს. ცნობილია, რომ კახეთის მეზობელი ჰერეთის სამთავროს ხელისუფალნი საისტორიო წყაროებში მოხსენებულნი არიან „პატრიკიოსის“ ტიტულით: საპლ იბნ სუმბატი (IX ს. I მეოთხედი), არაბი შერლის ბალაძორის მიხედვით „პატრიკად“ იწოდება; „პატრიკის“ ტიტულით იხსენიებს მატიანე ქართლისას ავტორი ჰერეთის მთავარს აღარნასეს (დაახლ. 906—943 წწ.)²⁴¹.

კვირიკე II-ის შემდეგ კახეთის სამთავროს ტახტზე მისი შვილი დავითი (976—1009 წწ.) ავიდა. დავითი უკანასკნელი კახეთის მთავა-

237 თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 143.
 238 Д. Гордеев, К вопросу разгруппирования эмалей Хахульского склада, Харьков, 1928, გვ. 158.
 239 შ. ამირანაშვილი, ხახულის კარედი, თბ., 1972, სურათი 33.
 240 თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 150.
 241 ივ. ჩემი „ჰერეთი“, გვ. 189, 198.



რია, რომელიც „ქორეპისკოპოსის“ ტიტულს ატარებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ კახეთის მფლობელი დავითი სულ ერთიანად დაქსტვალულია თავისი მოქარბებული ძალების შეგნებით. მთელი ქვეყნადღება მიმართული იყო ჰერეთის შემოერთებისაკენ, რომელიც კახეთმა დაკარგა არჩილის მომდევნო ხანაში. ამ საკითხის გადაწყვეტაში მისი ინტერესები მკვეთრად ეჯახებოდა „აფხაზთა“ მეფის ინტერესებს, რომელიც თავის მხრივ ასევე ძლიერად ეჭიდებოდა ჰერეთს. მაგრამ კახეთის ხელისუფლანი ჰერეთის მიმართ უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებენ და არ სთმობენ პოზიციებს.

1008 წ. გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III-მ საშინაო საქმეების მოგვარების შემდეგ „წარგზავნა მოციქული კახეთს, ითხოვა ციხენი ქართლისანი, რომელნი მათ ჰქონდეს“. დავით ქორეპისკოპოსმა „არა ინება მიცემა ციხეთა, არამედ მიუმცნო ესრეთ: „უკეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩვენ შორის დამაჯერებელ მკლავი და ომი. ხოლო მე წინა მოგვეგებო ქსანსა ზედა“. ასეთი კატეგორიული პასუხით განაწყენებული ბაგრატ III, რომელიც ამ დროს დღევს (ტაოშია — თ. პ.) იდგა, „თუთ წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო კიდი მცხეთისა. და მიერთნეს თანა აფხაზნი და ქართველნი. დადგა თიანეთს, და იწყო შემუსრვად კახეთისა. და ვერ წინააღუდგა დავით, რამეთუ იყო ძალი მისი ურიცხვ; იწყო ბრძოლად ციხეთა და მას ეამსა აღილო ქუეყანა ჰერეთისა, და განაჩინა მთავრად აბულალ და წარმოვიდა შინა“²⁴². როგორც ვხედავთ, 1008 წლის ლაშქრობის დროს ბაგრატ III კახეთი არ დაუპყრია, არც ის ჩანს, რომ მას ქსნის ხეობაში მდებარე ქართლის ციხეები (წირქეალის, გრუის და სხვ.) უკან დაებრუნებინოს. საფიქრებელია, ეს იყო ერთგვარი მანევრი, რომელზედაც უნდა გადაეტანა დავითის სამხედრო ძალების ყურადღება, რათა ამასობაში დაეპყრო ჰერეთი. ეს მიზანი ბაგრატ III კიდევაც განახორციელა: აიღო ჰერეთი და იქ თავისი კაცი, მთავარი, ვინმე აბულალი განაჩინა.

როგორც კი ბაგრატ III თავის სამეფოში დაბრუნდა, მაშინვე მოხდა ჰერეთის განდგომა. ჰერეთის ფეოდალებმა არ ცნეს „აფხაზთა“ მეფის ბაგრატ III მიერ ჰერეთში მმართველად დაყენებული „მთავარი აბულალი“ და დავით ქორეპისკოპოსს მიემხრნენ. ამ უკანასკნელმა აღარ დააყოვნა და ჰერეთი შემოიერთა. მატთანე ქართლისას ავტორი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „რამაჲს წარმოვიდა ბაგრატ აფხაზთა

²⁴² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 278—279.



მეფე, კულად მიიქცეს კაცნი ჰერეთისანი და მიერთნეს დავითსა აღი-
 ლო დავით ჰერეთი. შემდგომად მცირედისა ეამისა მიიქცა ჰერეთისა
 გასმით უნდა აღინიშნოს, რომ 1008 წლისათვის ჩვენ უკვე მატია-
 ნე კართლისას ზემომოტანილ ცნობაში ყურადღებას იპყრობს ავტორის
 სტილი ამ მნიშვნელოვანი მოვლენის გადმოცემაში: „მიიქცეს“ და „მი-
 ერთნეს“. მატიანის ამ სიტყვებში კარგად არის არეკლილი კახეთისა
 და ჰერეთის ურთიერთმიზიდულობა—მისწრაფება და მიდრეკილება.
 თუ „აფხაზთა“ მეფეებს ჰერეთის შემოერთებისათვის სკარდებოდათ
 სამხედრო ოპერაციები და, თავის მხრივ, ჰერეთის ფეოდალები არ
 ცნობენ „აფხაზთა“ მეფის ბაგრატ III მიერ ჰერეთში მმართველად
 დაყენებულ კაცს, დავით კახეთის ქორეპისკოპოსსა და ჰერეთის ფე-
 ოდალებს შორის იგივე ფაქტი საეცებით უმტკივნეულოდ მოხდა. ყო-
 ველივე ეს, რა თქმა უნდა, განპირობებული იყო კახეთისა და ჰერეთის
 კულტურულ-ეთნიკური ერთობა-ერთიანობით. ამ უკანასკნელის წი-
 ნაპირობა იყო აგრეთვე X ს. შუახანებში კახეთისა და ჰერეთის საეკ-
 ლესიო ორგანიზაციების გაერთიანება.

კახეთის სამთავროს ასეთი გაფართოება-გაძლიერება სრულია-
 დაც არ შედიოდა ბაგრატ III გეგმებში. მისი საბოლოოდ დაპყრობის
 მიზნით 1010 წ. იგი ხელახლა ლაშქრობს აქ. მეორედ ლაშქრობის
 დროს კახეთს 1009 წ. გარდაცვლილი დავით ქორეპისკოპოსის მა-
 გიერ უკვე მისი ძე კვირიკე III მართავდა, მატიანე კართლისა მო-
 გვიტობს: „კულად გამოვიდა ყოვლითა სპითა თუსითა ბაგრტ. აღი-
 ლო მეორედ ჰერეთი. დაიჭირა დინარ დედოფალი თუსად, იწყო ძებ-
 ნად კახეთისა, და ძალითა მისითა მიუწდომელითა ორ წელ წარიბუნა
 ყოველნი ციხენი კახეთისანი; შეაწყუდია კვირიკე ბოჭორმას, და დაუ-
 ყენნა ციხესა გარშემო მცველნი წელიწადმდი, წარილო ბოჭორმაცა.
 და დაიპყრა სრულად ჰერეთი და კახეთი, წარმოიყვანა კვირიკე და
 დაიჭირა თუსსა კარსა ზედა“²⁴⁴. როგორც ვხედავთ, საომარ ოპერა-
 ციებს და ნამდვილ ომს კახეთის დასაპყობად ბაგრატ III 1010 წ. იწ-
 ყებს. უპირველს ყოვლისა, იგი ახდენს ჰერეთის ხელმეორე ოკუპა-
 ციას და აქაური მმართველი დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენე-
 ლი დინარ დედოფალი „დაიჭირა თუსად“ (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).
 ამის შემდეგ ბაგრატ III გადადის კახეთში და ორწლიანი ბრძოლის
 შედეგად მთლიანად იპყრობს მას. 1011 წ. მან დაატყვევა კვირიკე
 III და სამფლობელოც ჩამოართვა.

²⁴³ კართლის ცხოვრება, I, გვ. 279.
²⁴⁴ კართლის ცხოვრება, I, გვ. 279.



ამრიგად, ბაგრატ III მიერ ჰერეთ-კახეთის მთლიანად შემოერთება 1010—1011 წლებში მომხდარა. ამიერიდან ვიდრე ბაგრატ III მეფობის ბოლო წლებამდე (1014 წ.) კახეთ-ჰერეთი მთლიანად დედოფალური საქართველოს მონარქიის შემადგენლობაშია. ასეთი პოლიტიკური ვითარება კარგად აისახა თვით ბაგრატ III ტიტულატურაში. კერძოდ, ჰერეთის დაპყრობის შემდეგ, როგორც ამას ნიკორწმინდის ტაძრის (ამბროლაურის რ-ნი) წარწერა მოწმობს, ბაგრატ III იხსენიება ასეთი ტიტულატურით: „ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატი“²⁴⁵. ხოლო მას შემდეგ, რაც ბაგრატ III კახეთიც შემოიერთა, მის ტიტულატურას შეემატა ახალი კომპონენტი „კახთა“. სახელდობრ, კაცხის (კითურის რ-ნი) წარწერის მიხედვით, მისი ტიტულატურა ასეთი სახით გამოიყურება: „ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე, ტაოესა, და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავალისა დიდი კურაპალატი“²⁴⁶.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1010 წ. როდესაც ბაგრატ III მოახდინა ჰერეთის ხელმეორე ოკუპაცია, მან აქაური მმართველი დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი დინარ დედოფალი „დაიქირა თუსად“. უკანასკნელ ხანებში ჰერეთის დედოფალ დინარის (X ს.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო ისტორიული სივნიეთის სამთავროს (სომხეთში) ტერიტორიაზე მდებარე ვაჰანავანქის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილმა სომხური ეპიგრაფიკის ძეგლებმა.

ვაჰანავანქი მდებარეობს სომხეთის სსრ ქალაქ კაფანის სამხრეთ-დასავლეთით, მისგან 8 კმ-ის დაშორებით, მდ. ოჩნის მარჯვენა ნაპირზე, ციხესიმაგრე ბალაბერდის მახლობლად. ამჟამად ვაჰანავანქის სამონასტრო კომპლექსი შედგება შემდეგი ნაგებობისაგან: I. მთავარი ტაძარი (911 წ.). ნანგრევების სახით დღემდე შემორჩენილია გრიგოლ განმანათლებლის სახელობის ეკლესია. II. საგვარეულო საძვალე. III. დიდი სატრაპეზოს კედლების ნანგრევები (მთავარი ტაძრის სამხრეთით). IV. ღვთისმშობლის ეკლესია კარიბჭით, მიშენებული სივნიეთის დედოფალ შაანდუხტის მიერ (1086 წ.). V. საცხოვრებელი სახლები და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი.

აღნიშნული სამონასტრო კომპლექსის მეცნიერული შესწავლის-

245 ლაიღარული წარწერები, II, ნაკვ. I (IX—XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგაეამ, თბ., 1980, გვ. 55.

246 ლაიღარული წარწერები, II, ნაკვ. I, გვ. 56.

მიზნით 1966 წელს მუშაობა დაიწყო სომხეთის სსრ მეცნიერებათა/აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ.

პირველი წერილობითი ცნობა ვაჰანავანქის მონასტრის მშენებლობის შესახებ მოეპოვება XIII ს. სომეხ ისტორიკოსს სტეფანოს ორბელიანს ნაშრომში — „სივნიეთის სახლის ისტორია“. მისი გადმოცემით, ვაჰანავანქი ააგო ძაგიკის უმცროსმა ვაჟმა ვაჰანმა, სომეხთა წელთაღრიცხვის 360 წელს (ე. ი. 911 წ.), როდესაც სომხეთში მეფობდა სუმბატ ბაგრატუნი და როდესაც ბაღქის მთავრის ტახტი ეკავა ჭევანშირს, ვაჰან ძაგიკიანის უფროს ძმას²⁴⁷.

მონასტრის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, იმავე სტეფანოს ორბელიანის მოთხრობით, ვაჰანმა თავისთან მიიწვია ასზე მეტი ბერი²⁴⁸, დააარსა საონასტრო ძმობა, აქვე მონასტერთან გახსნა აგრეთვე სკოლაც. ასე თანდათანობით, გადმოგვცემს სტ. ორბელიანი, ვაჰანავანქი გადაიქცა „ხალხმრავალ ქალაქად“²⁴⁹. დიდ განვითარებას და აღმავლობას განიცდის ვაჰანავანქი XI ს-შიც სივნიეთის მეფის გრიგორ I-ის მმართველობის ხანაში. გრიგორ I-ის მეუღლემ, ალბანეთის მეფის ასულმა, დეოფალმა შიანდუხტმა თავის უმცროს და კატასთან ერთად ვაჰანავანქში ააგო ორსართულიანი ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე (1086 წ.); მასვე მიეკუთვნება მონასტრის დასავლეთ მხარეს კარიბჭის აგება და სხვა სამონასტრო ნაგებობების მშენებლობა. ვაჰანავანქი ცნობილი ხდება იმითაც, რომ იგი გადაიქცა სივნიეთის მეფეთა და დედოფალთა საგვარეულო საძვალედ. თავდაპირველად, საფიქრებელია, რომ იგი წარმოადგენდა მხოლოდ თვით ძაგიკიანთა სამთავრო სახლის წევრთა საძვალეს. სტ. ორბელიანის ცნობით, ვაჰანავანქის მონასტრის ეზოში დაკრძალულნი არიან „ალბანეთის მრავალი მეფენი და დედოფალნი და აგრეთვე ბაღქისა და სივნიეთის მრავალი სახელგანთქმული მთავარნი“-ო²⁵⁰. და მართლაც, ვაჰანავანქში წარმოებულმა ხუთწლიანმა არქეოლოგიურმა კვლევადიებამ გამოავლინა მრავალი საყურადღებო ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელნიც შუქს ჰფენენ სივნიეთის სამეფოს ისტორიის მრავალ საინტერესო საკითხს. გათხრების შედეგად მიკვლეულ იქნა თვით ვაჰანავანქის მონასტრის პი-

²⁴⁷ შოხიანის ორბელიანი, ღათაძეძიან თანხმით, 1861, გვ. 175.

²⁴⁸ იქვე.

²⁴⁹ იქვე.

²⁵⁰ შოხიანის ორბელიანი, ღათაძეძიან..., გვ. 175.



რველმშენებლის და ქტიტორის ვაჟან ძაგვიანის საფლავის ქვა წარწერით; აქვე აღმოჩნდა კაპანისა და ბაღქის მთავრის, ვეჭქიქუთუღოქსი ძმის ჭევანშირის წარწერიანი საფლავის ქვა; სივნიებში მდებარე მსხვილბატიისა და მისი ძმის გრიგორის საფლავები, რომელთაც როგორც წარწერა გვაუწყებს, 1046 წ. დიდი სააღმშენებლო საქმიანობა უწარმოებიათ ვაჰანაევანქის მონასტერში. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მემორიალური წარწერა, რომელიც მიგვჩვენებს იქნა დედოფალ შაანდუბტის მიერ აგებულ ორსართულიანი ეკლესიის კარიბჭეში ჩატარებული ვათხრების შედეგად. როგორც გამოირკვა, ეს წარწერა ეკუთვნის ალბანეთის კათალიკოსს სტეფანოსს.

ახალ ეპიგრაფიკულ ძეგლთა აღმოჩენის მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო 1970 წელი, როდესაც მიმდინარეობდა ვაჰანაევანქის მონასტრის საგვარჯელო საძვალის ვაწმენდა. აქ მიკვლევულ იქნა ოთხი საფლავის ქვა სომხური წარწერებით. ამ წარწერიანი საფლავის ქვებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ერთმა, რომელიც აღმოჩნდა გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის სამხრეთ შესასვლელთან. წარწერა ერთი სტრიქონისაგან შედგება; მასში იკითხება მხოლოდ სახელი *Գրիգոր* (დინარ). წარწერა უთარილოა და არ შეიცავს რაიმე ცნობას მასში მოხსენიებული დინარის ვინაობის შესახებ.

აღნიშნული წარწერა აღმოჩენისთანავე სომეხი სპეციალისტების შესწავლის საგანი გახდა. კერძოდ, იგი საფუძვლიანად გამოიკვლია, კომენტარები დაურთო და გამოსცა, ვაჰანაევანქში აღმოჩენილ სხვა სომხურ წარწერებთან ერთად, სომეხმა მკვლევარმა გ. მ. გრიგორიანმა 1972 წ.²⁵¹

გ. გრიგორიანის დასკვნით, აღნიშნული საფლავის ქვა, რომელშიც იხსენიება სახელი დინარ, უნდა ეკუთვნოდეს ჰერეთის დედოფალ დინარს (X ს.)²⁵², რომელიც იყო ჰერეთის მეფის ადარნასე პატრიკის მეუღლე. წარმოშობით დინარ დედოფალი ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა (კლარჯეთის შტო) სახლის წარმომადგენელი იყო. იგი იყო ასული ადარნასე II-სა (გარდაიცვალა 896 წ.). მისი ძმა კი იყო ცნობილი გურგენ IV დიდი, ერისთავთ-ერისთავი, მაგისტროსი (გარდაიც. 941 წ.). დინარ დედოფალი, რომელიც X ს. გარკვეულ პერიოდში თავის შვილ იშხანიკთან ერთად მართავდა ჰერეთს, როგორც ამას

²⁵¹ Г. М. Григорян, Новонайденные надписи Ваанаванка. *Պատմա-բանասիրական հանդես*, № 1 (56), Ереван, 1972, გვ. 222—223.

²⁵² იქვე, გვ. 222.

თვით გ. გრიგორიანიც აღნიშნავს, ისტორიაში ცნობილია იგი იყო ქალკედონიზმის მხურვალე მებაირახტრე და დამცველი. მან თავისი შვილის იშხანიკის დახმარებით X ს. 40-იან წლებში საბოლოოდ მოაქცია ქალკედონიტურ მოძღვრებაზე. შემდეგ გ. გრიგორიანი საბოლოოდ დაასკვნის, რომ ჰერეთის ქართული სამეფოს დედოფალი, ქალკედონიზმის მხურვალე დამცველი დინარი დაკრძალული უნდა ყოფილიყო სომხური მონოფიზიტური ეკლესიის ისეთ მნიშვნელოვან ცენტრში, როგორსაც წარმოადგენდა სივნიეთის სამთავროს ტერიტორიაზე მდებარე ვაჰანავანქის მონასტერი²⁵³.

რაიმე დამაჯერებელი საბუთი ამ მოსაზრების შესამაგრებლად გ. გრიგორიანს, ჩვენის აზრით, ვერ მოაქვს. უპირველეს ყოვლისა, იგი მიმართავს სივნიეთის მემატიანე სტეფანოს ორბელიანს და სვამს კითხვას: რატომ არ იხსენიებს დინარ დედოფალს სტეფანოს ორბელიანი? მან ხომ კარგად იცოდა, — აღნიშნავს გ. გრიგორიანი, — რომ დინარი დაკრძალული იყო ვაჰანავანქის მონასტრის სავეარეულო სამკვალეში? ვაჰანავანქის მონასტერი ჯერ კიდევ ხომ მოქმედებდა XIII ს-ში, თვით სტეფანოს ორბელიანის სიცოცხლეში? მაგრამ ამ მნიშვნელოვან დაბრკოლებასაც, რომელიც მას გადაელობა თავისი მოსაზრების დასაბუთებაში, გ. გრიგორიანი მეტად ადვილად ლახავს და ასეთ პასუხს იძლევა: სტეფანოს ორბელიანს დინარი მიაჩნდა ქალკედონიზმის მხურვალე დამცველად, მონოფიზიტური სარწმუნოების „მოღალატედ“ და ამიტომ დუმს მის შესახებ. გ. გრიგორიანის აზრით, სხვანაირად არ შეიძლებოდა მოქცეულიყო სივნიეთის სახელგანთქმული მიტროპოლიტი და სომხური მონოფიზიტური ეკლესიის ერთ-ერთი მეთაური სტეფანოს ორბელიანი²⁵⁴. ვფიქრობთ, გ. გრიგორიანის მიერ მოტანილი არგუმენტები არ არის დამაჯერებელი და საკმარისი იმისათვის, რომ ვირწმუნოთ დინარის ვაჰანავანქის მონასტერში დაკრძალვის ფაქტი.

უპირველს ყოვლისა, რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ თვით სტეფანოს ორბელიანის თხზულების — „სივნიეთის სახლის ისტორია“, როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობაზე და ღირსებაზე. სომეხ ისტორიკოსთა შორის სტ. ორბელიანი არაჩვეულებივ მოვლენას წარმოადგენს. ის სხვა დანაჩენ სომეხ ისტორიკოსთაგან, როგორც საისტორიო მასალების შერჩევით, ასევე მოთხოვრების შინაარსით, თვალსაჩინოდ განსხვავდება. საქართველოს ისტორიაში ცნობილ ორბელთა

²⁵³ იქვე, გვ. 222—223.

²⁵⁴ Г. М. Григорян, Новонайденные надписи Ваанаванка, გვ. 223.



საგვარეულოს იმ შტოს ერთი ჩამომავალთაგანი, რომელიც სიონი-
 ვი III-საგან ექსორიაქმნის შემდგომ სომხეთში შეიხიზნა და გაქცე-
 და, სტ. ორბელიანი, XIII ს. დამლევს სიენიეთის ეპისკოპოსად კოფ-
 ნის დროს, თავისი სამწყსოსა და თემის ისტორიის აღწერას შეუდგა.
 სომხური საისტორიო წყაროების განხილვამ მალე დაარწმუნა, რომ
 იქ სიენიეთისა და მისი სამწყსოს შესახებ ძალიან მწირი ცნობები
 შობიძეობდა. რადგან მას მხოლოდ ამ თავისი თემის ისტორიის შე-
 დგენა სურდა, წერილობითი ნარატიული წყაროების უქონლობის გა-
 მო ამ განზრახული ამოცანის სისრულეში მოყვანისათვის თავი უნდა
 დაენებებინა და სხვაგვარი წყაროები მოეძებნა. სტ. ორბელიანმა
 სწორედ ეს მეორე გზა აირჩია. როგორც თვით სტ. ორბელიანი აღ-
 ნიშნავს, „სისაკანის ისტორიის“ შედგენისას იგი უმთავრესად საარ-
 ქივო და ეპიგრაფიკული ხასიათის მასალებით სარგებლობდა, ანუ,
 მისივე სიტყვები რომ ვიხმაროთ, იგი ისტორიულ მოვლენათა მსვლე-
 ლობის აღსადგენად ეკლესიების და ტაძრების კედლებზე შენახული
 წარწერებითა და მონასტრებში დაცული საბუთებით სარგებლობდა.
 მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ყველაზე უფრო საყურადღებოა ის გარე-
 მოება, რომ სტ. ორბელიანი მის მიერ მოპოვებული საარქივო და
 ეპიგრაფიკული მასალის ოპერირებისა და გამოყენების დროს იჩენს
 მაქსიმალურ კეთილსინდისიერებას. საქმე ის არის, რომ სტ. ორბე-
 ლიანმა ამ წარწერებისა და სიგელების მიხედვით მარტო საისტორიო
 თბრობა კი არ შეადგინა, არამედ მან თავის მკითხველს სრული საშუ-
 ალება მისცა მის მიერ აღდგენილი ისტორიული პროცესის კვშმარი-
 ტება თვით გამოერკვია. ეს უკანასკნელი კი იმაში გამოიხატა, რომ
 მან თავის შრომას მრავალ ადგილას გამოყენებული წყაროების, წარ-
 წერებისა თუ საბუთების სრული ტექსტიც დაურთო. რასაკვირველია,
 ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ სტ. ორბელიანმა ყველა ის ეპიგ-
 რაფიკული მასალა თუ დოკუმენტური წყარო, რომელიც ნახა, უკ-
 ლებლივ შეიტანა თავის თხზულებაში. ზოგიერთისათვისა მას შეიძ-
 ლება ყურადღება არ მიექცია, როგორც თავისი ისტორიისათვის გა-
 მოუსადეგარი მასალისათვის, ზოგი კი ისე დაზიანებული ყოფილა,
 რომ უკვე ძნელი გასარჩევი გამხდარა. მაგრამ ისიც, რაც სტ. ორბე-
 ლიანმა წარწერებისა თუ სიგელების სახით თავის თხზულებაში შეი-
 ტანა, უაღრესად მნიშვნელოვანია და საყურადღებო. სტ. ორბელიანის
 თხზულება სომხური დიპლომატიკის შესასწავლად ერთ-ერთ ძირი-
 თად წყაროს წამოადგენს²⁵⁴.

²⁵⁴ სტ. ორბელიანის თხზულებას — „სიენიეთის სახლის ისტორია“ — რო-
 გორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი,



ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, ძნელია გავიზიაროთ გ. გრიგორიანის არგუმენტი იმის შესახებ, რომ სტ. ორბელიანი იცოდა დინარის ვაჰანავანქის მონასტერში დაკრძალვის ფაქტის შესახებ. ნანახიც კი ჰქონდა დინარის საფლავის ქვა სომხური წარწერით, მაგრამ მან შეგნებულად დაუმალა ეს ამბავი თავის მკითხველს მხოლოდ იმიტომ, რომ დინარი ქალკედონიტი იყო. საკმარისია ყურადღებით გავეცნოთ სტ. ორბელიანის „სისაყანის ისტორიას“ და უმაღლვე დაერწმუნდებით, რომ ასეთი რამ თითქმის გამორიცხული იყო. სტ. ორბელიანი ერთობ დაწვრილებით მოგვიტხრობს იმ მწვავე კონფესიონალური ბრძოლის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნული ხანის სომხეთსა და სივნიეთში მონოფიზიტიზმსა და ქალკედონიზმს შორის. იგი ძალზე ხშირად იხსენიებს თავის თხზულებაში და არ უმაღავს მკითხველს ქალკედონიტ ეპისკოპოსებს და კათალიკოსებს, ქალკედონური მოძღვრების მიმდევარ საერო პირებს. უფრო მეტიც, სტ. ორბელიანი თავისი თხზულების ფურცლებზე იხსენიებს პერეთის მეფე იშხანიკს, რომელიც, როგორც ცნობილია, თავისი დედის დინარის მსგავსად ქალკედონიტი იყო.

დასკვნა მხოლოდ ერთია: სტ. ორბელიანი იმიტომ არ იხსენიებს თავის შრომაში დინარს, იმიტომ არ აღნიშნავს მის ვაჰანავანქში დაკრძალვის ფაქტს, რომ ასეთ რამეს საერთოდ არ ჰქონდა ადგილი ვაჰანავანქის მონასტრის ისტორიაში.

ზემოთ განხილული საკითხი დინარ დედოფლის ვაჰანავანქის მონასტერში დაკრძალვის თაობაზე ერთი შეხედვით შეიძლება ვიწრო მნიშვნელობის საკითხად მოგვეჩვენოს და იგი შეიძლება ზოგიერთმა აღიქვას, როგორც დინარის ბიოგრაფიის ერთი უმნიშვნელო დეტალი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ამ საკითხის სწორად გაშუქება მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული და სომხური სახელმწიფოების და ეკლესიების მესვეურთა პოლიტიკურ-იდეოლოგიური მრწამსის საკითხებთან. ეს საკითხი აქტიურად ეხმაურება იმ მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლის ძირითად ეტაპებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნული ხანის სომხეთსა და, საერთოდ, ამიერკავკასიის ქვეყნებში.

VI ს. დასასრულიდან სომხეთის ეკლესიის წიაღში მონოფიზიტთა (ანტიქალკედონიტთა) და დიოფიზიტთა (ქალკედონიტთა) შორის წარმოებდა მეტად მწვავე ბრძოლა, რომელიც საბოლოო ანგარიშით სხვა არა იყო რა, თუ არ პოლიტიკური ორიენტაციისათვის ბრძოლის

გლუხთა მოძრაობის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში, ტფილისის უნივერსიტეტის წიგნბუფ., ტ. II, ტფ., 1922 — 1923, გვ. 249—250.



გამოძახილი. მონოფიზიტობა დასავლურ ანუ ბერძნულ ორიენტაციას უარყოფდა, რაც ყოველთვის პოულობდა მხარდებულს. მონოფიზიტულმა აღმოსავლეთელ მოქიშპეებში, როგორც იქნა, მონოფიზიტობა და შემდეგ კი არაბები. VI—VII სს.-ში ეს ბრძოლა უმთავრესად მშობლიურ ნიადაგზე მიმდინარეობდა. მთელი VII ს. მანძილზე, ეზრა კათალიკოსიდან მოყოლებული სომხეთში საკათალიკოსო ტახტზე ხან ქალკედონიტები იყვნენ და ხან კი მონოფიზიტები. იყო შემთხვევები, მაგ., VII ს. შუაწლებში, როდესაც უპირატესობა ქალკედონიტებს აქვთ მოპოვებული კიდევ. მაგრამ მოწინააღმდეგეს ამით იარაღი არ დაუყრია და VIII ს. პირველი მეოთხედის გასულს მან ისევ შესძლო მორეოდა ქალკედონიტებს. მიიმე ბრძოლიდან გამარჯვებული გამოსული მონოფიზიტური სომხური ეკლესია უკვე სხვანაირად გაუსწორდა მოწინააღმდეგეს. იოანე ოძუნელის დროს 726 წელს მოწვეულმა მანაზკერტის საეკლესიო კრებამ ერთხელ კიდევ საბოლოოდ დაგმო ქალკედონიტობა და სათანადო ღონისძიებებიც გამოიმუშავა სომხური ეკლესიის „განწმენდისათვის“ ქალკედონიტთა მიერ დანერგილი სიახლეებისაგან. მანაზკერტის კრებაზე სომხურმა ეკლესიამ უკვე საბუნდამოდ მიიღო მონოფიზიტური დოგმატიკა და ლიტურგიკაც. როგორც ნ. აღონცი აღნიშნავს, „მანაზკერტის კრება სარგებლობდა პირველხარისხოვანი მნიშვნელობით და სომხური ეკლესიის ისტორიაში ახალი ხანის დაწყებას მოასწავებდა. კრებას დაუკავშირდა წარმოდგენა — სწორია თუ არასწორი, სხვა საქმეა — თითქოს მისი საქმე იყო რესტავრაცია სომხური საეკლესიო ტრადიციებისა, რომლებიც დანერგილი იყო თითქოს გრივოლ განმანათლებლის დროიდან, რაც დაარღვია და მიიწვევას მისცა VII ს. ქალკედონიტურმა მიმდინარეობამ“-ო²⁵⁵. ასე დაიწყო სომხური ანტიქალკედონიტური ეკლესიის ნაციონალიზაცია. აქვე უურადლებას იპყრობს მანაზკერტის კრების თარიღი—726 წელი. ეს ის პერიოდია, როდესაც ბიზანტიის პოლიტიკური გავლენა სომხეთის ქვეყნის შიგნით საგრძნობლად იყო შერყეული და მხოლოდ მის დასავლეთ პერიფერიებში ინარჩუნებდა ის მას რამდენადმე. აი, ასე მოახერხა სომხურმა მონოფიზიტურმა ეკლესიამ ქალკედონიტური მოძღვრების დამარცხება და ნაციონალური საეკლესიო პოლიტიკის გამოიმუშავება.

სომხური ეკლესიის ნაციონალიზაციამ მეტად ცუდ ვითარებაში ჩააყენა სომეხი ქალკედონიტები. მათი ნაღვაწის „წმენდა“ ცოტა აღმოჩნდა. გამარჯვებულ მონოფიზიტურ ფრთას მათი სრული

²⁵⁵ Н. Адонц, Армения в эпоху Юстиняна, 33. 338.



განადგურება ჰქონდა გადაწყვეტილი და ნაწილობრივ მიუღწევია კი-
დეცაც მიზნისათვის. მანაზკერტის კრების შემდეგ ქალკედონიტებმა
მეტად ყრუდ ისმის სომხეთში. თუ კი სადმე შეიმჩნეოდნენ ქალკედონიტები
ნური კერის აღმოცენება, ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. ასე
მაგალითად, როგორც ეს ნ. მარმა გამოარკვია, იმავე VIII ს-ში სომ-
ხეთში ჩნდება ვინმე ზოსროვიკ მთარგმნელის პოლემიკური ტრაქტა-
ტი, რომელშიც, ნ. მარის აზრით, შეინიშნება ისეთი პლას-
ტების არსებობა, საიდანაც ჩანს, თითქოს ზოსროვიკი გარ-
კვეულ კომპრომისზე მიდის ქალკედონიტებთან. ხოლო თუ საქმე
ეხებოდა სომხეთში მძლავრი ქალკედონური კერის აღმოცენებას,
მაშინ მონოფიზიტიური ეკლესია მას მედგარ წინააღმდეგობას უწევ-
და. ამ მიმართებით ყურადღებას იპყრობს სომეხი მონოფიზიტი ის-
ტორიკოსების მხითარ ამრივანელისა და ვარდანის ცნობები. აქ ჩვენ
მხედველობაში გვაქვს მათი გადმოცემა იმის შესახებ, რომ თითქოს
IX ს. დასაწყისში, დაახლოებით 821 წლისათვის, სომეხი ბაგრატუ-
ნების კარზე მაინც შეაღწია ქალკედონურმა მოძღვრებამ, და რომ
თითქოს აქ მან გარკვეული წარმატებაც მოიპოვა. აქ საქმე ეხება
მხითარ ამრივანელის (ქრონოგრაფიული ისტორია) და ვარდანის
(მსოფლიო ისტორია) გადმოცემას აშოტ ბაგრატუნის კარზე მახლო-
ბელ აღმოსავლეთში საყოველთაოდ ცნობილი საეკლესიო მოღვაწის,
ხარანელი ეპისკოპოსის თეოდორე აბუქურას მოღვაწეობას, რომე-
ლიც ქალკედონიტიური აღსარების მებაირახტრე იყო. ამ ამბავს სო-
მეხ მონოფიზიტთა წრეებში დიდი აღშფოთება გამოუწვევია.

აბუქურას დასამარცხებლად მათ საგანგებოდ მოუწვევიათ მე-
სოპოტამიიდან ნიზიზის იაკობიტური ეკლესიის არქიდიაკონი ნონ-
ნი. ამ უკანასკნელმა პაექრობაში შეძლო ქალკედონიტიური მოძღვრე-
ბის მიმდევარ აბუქურას დამარცხება, რის შემდეგაც აშოტ ბაგრა-
ტუნმა იგი სომხეთიდან განდევნა 821 წ. ამიტომაც იყო, რომ მონო-
ფიზიტი არქიდიაკონი ნონნი დიდი პოპულარობით სარგებლობდა
სომხეთში.

აი, ასე მედგრად იცავდნენ სომხური მონოფიზიტიური ეკლესიის
მესვეურნი თავიანთ მრწამსს. ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს
ის მომენტიც, რომ IX ს-ში ბაგრატუნიანთა კარზე ქალკედონიტიური
მოძღვრების შეღწევა მიმდინარეობს არა თვით ქვეყნის შიგნით მდე-
ბარე სომხეთის ეკლესიიდან, არამედ იგი შედგება გარედან მომდი-
ნარე ძალების მოქმედებისა. ქალკედონიტ თეოდორე აბუქურას არ-
ქიდიაკონ ნონნის მიერ დამარცხების შემდეგ, როგორც ნ. მარი აღ-
ნიშნავს, სომხური მონოფიზიტიური ეკლესიის ნაციონალიზაცია „გი-



განტური ნაბიჯით მიდის წინ²⁵⁶. სომეხი ქალკედონიტები სტენიდან ჩამოდიან. მათი ფართო მასები იძულებული ხდებიან ანკეფალის დიდ-დენე ვამარჯვებულთ, ანდა გაეცალნენ თავიანთ სამკვეთელ ქაღალდებს ლოდან აყრა და უცხო მხარეს დასახლება კი იწყებდა მათ თანდათანობით დენაციონალიზაციას. როგორც ნ. მარი აღნიშნავს, „გავლენის სფეროების მიხედვით ხდებოდა სომეხი ქალკედონიტების შერწყმა ქართველებთან, ბერძნებთან და სირიელებთან“²⁵⁷.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მანაზკერტის საეკლესიო კრების (726 წ.) შემდეგ სომხური მონოფიზიტური ეკლესია სამუდამოდ გაემიჯნა ქალკედონურ მოძღვრებას. მკვეთრად ჩამოყალიბდა სომხური მონოფიზიტური ეკლესიის დოგმატიკა, ლიტურგიკა და აქედან გამომდინარე, საწესო პრაქტიკაც. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებებს იპყრობს XI ს-ში ექვთიმე ათონელის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნი ერთი თხზულება, რომლის სახელწოდებაცაა „განგებამ მსოფლიოთა მღდელთათჳს“. ამ ძეგლს აშკარად ეტყობა კვალი იმ დაუსრულებელი ურთიერთქმედებისა და კამათისა, რომელიც მიმდინარეობდა ქალკედონიტ (ამ შემთხვევაში ქართველი) და მონოფიზიტ (სომეხი) კლერიკალებს შორის სარწმუნოებრივი საკითხების სფეროში. „განგებამ“ სასტიკად უკრძალავდა ქალკედონიტ (ე. ი. ქართველ) მღვდელს სომხის მკვდარს ლოცვა წაუკითხოს ან ჯვარი გადასწეროს, მხოლოდ ნებას რთავს დაიტეროს იგი, როგორც ჩვეულებრივმა ერისკაცმა. ასევე უნდა მოქცეოდა, თავის მხრივ, მონოფიზიტი (ე. ი. სომეხი) მღვდელიც ქართველ მკვდარს. „თუ სომეხსა მკვდარსა ზედა მიხვიდე, ვითარცა ერის კაცმან იტირე, ნუცა რას წაუკითხავ, ნუცა ჟუარსა დასწერ. და თუ სომეხი შენსა დახუდეს, ეგრეთვე მან ყოს“; „სომეხთა მზახობასა... ეკრძალე, მწვალებელსა ჟუარსა ნუ დასწერ, ნუცა სეფის-კუმრსა მისცემ“²⁵⁸. როგორც ექვთიმე ათონელის ზემოთ აღნიშნული ძეგლიდან ჩანს, ერთმანეთისაგან მკვეთრად იყო გამიჯნული მონოფიზიტური და ქალკედონური ეკლესიების საწესო პრაქტიკა.

ამრიგად, თუ თავს მოვეუყრით ყოველივე იმას, რაც ზემოთ ითქქვა, მაშინ, ჩვენის აზრით, ვაპანავანქის ახლად აღმოჩენილი სომხური წარწერა ისეთი შორს მიმავალი დასკვნის გამოტანის შესაძლებ-

²⁵⁶ Н. Марр, Аркаун, монгольское название христиан, в связи с вопросом об армянах-халкедонитах, Византийский временник, т. XII, СПб., 1906, გვ. 16.

²⁵⁷ Н. Марр, Аркаун..., გვ. 3.

²⁵⁸ ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1973, გვ. 52.

ლობას არ უნდა იძლეოდეს, როგორც გამოაქვს სომეხ მეცლენგარს გ. გრიგორიანს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დადგინდეს ქვეყნის ფაქტობრილი წარწერისა და აგრეთვე გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, რომლის ვის ეკუთვნოდა ის სასაფლაო, სადაც ეს წარწერა იყო მოთავსებული. ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ ჰერეთის დედოფლის დინარის რელიგიურ მრწამსს (ე. ი. ქალკედონიტობას), მის წარმოშობას, თუ მხედველობაში მივიღებთ ჰერეთის, სომხეთისა და აგრეთვე სივნიეთის პოლიტიკურ ვითარებას ჩვენთვის საინტერესო ხანაში და აგრეთვე თუ გავიხსენებთ იმ მძაფრ იდეოლოგიური ხასიათის ბრძოლას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მონოფიზიტებსა და ქალკედონიტებს შორის აღნიშნულ ქვეყნებში, მაშინ მთელი სიცხადით გამოვლინდება, რომ შეუძლებელი იყო ქართველი მართლმადიდებელი (ქალკედონიტი) დედოფლის დაკრძალვა სივნიეთის სომხურ მონოფიზიტურ მონასტერში. ჩვენს ამ მოსაზრებას საფუძველს უმაგრებს ქართული საისტორიო წყაროების მონაცემებიც.

როდესაც „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი მოგვითხრობს ბაგრატ III-ის ჰერეთში მეორედ ლაშქრობის ამბავს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1010 წ., იგი წერს: „კუალად გამოვიდა ყოვლითა სპითა თვისითა ბაგრატ, აღილო მეორედ ჰერეთი. დაიჭირა დინარ დედოფალი თუსად“²⁵⁹.

ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ მ. ბროსეს ერთი მეტად გონებამახვილური დაკვირვება. მისი განმარტებით, „მატიანე ქართლისაჲ“-ს გამოთქმა — ბაგრატმა „დაიჭირა დინარ დედოფალი თუსად“, ნიშნავს იმას, რომ ბაგრატმა მიითვისა წმინდანად აღიარებული დინარ დედოფლის ნეშტი და არა მისი ცოცხალი პიროვნება²⁶⁰. ე. ი. დინარის „წმინდა ნეშტი“ ბაგრატს, მ. ბროსეს აზრით, თავის სამფლობელოში გადაუსვენებია. ასეთსავე განმარტებას აძლევს „მატიანე ქართლისაჲ“-ს ამ ცნობას კ. თუმანოვი. მისი აზრით, 1010 წ. დინარ დედოფლის ნეშტი ჰერეთიდან აფხაზეთში გადაიტანეს²⁶¹. მ. ბროსე და კ. თუმანოვი აქ ალბათ იმას გულისხმობენ, რომ დინარის „წმინდა ნეშტი“ ბაგრატმა გადაასვენა იქ, სადაც თვით იყო, სადაც სამეფო კარი ჰქონდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავუშვათ, რომ დინარი სადმე იმერეთში დაკრძალულიყო ან ქუთაისს ან ბე-

²⁵⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 279.

²⁶⁰ M. Brosset, Histoire de la Georgie, I, S.-Petersbourg, 1849, გვ. 298—299.

²⁶¹ Toumanoff, C. The Bagratids of Iberia from the Eighth to the Eleventh century, Le Museon, LXXIV (74), 1—2, Louvain, 1961, გვ. 28.



დიას და როგორც მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურების მქონე, შეიძლება წმინდანადაც შერაცხულმყოფი²⁶² და მართლაც, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორმა²⁶³ ბაგრატ III ხომ ბედიის საყდრის აღმშენებელია და ბედიის საეპისკოპოსოს დამაარსებელი²⁶⁴. ბაგრატმავე აკურთხა ქუთაისის დიდებული საყდარი²⁶⁵. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „წმინდა დინარ დედოფლის ნეშტი“ ბაგრატ III-მ თავის სამფლობელოში დაასაფლავა: ან ბედიას, ან ქუთაისს. თვით ბაგრატიც ხომ ბედიაშია დაკრძალული²⁶⁴.

ზემოთ მოტანილი ქართული საისტორიო წყაროების მონაცემების განხილვისას ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმის ზუსტად დადგენას, ცოცხალი წაიყვანა აფხაზთა მეფე ბაგრატ III-მ დინარი, თუ მართლაც მხოლოდ მისი ნეშტი გადასვენა აფხაზეთში. ჩვენთვის აქ მთავარი ის არის, რომ დინარი XI საუკუნის დასაწყისისათვის „აფხაზთა და ქართველთა“ მეფის სამეფო კარზე იმყოფება. ეს კი, ჩვენის აზრით, ყოველგვარ საფუძველს აცლის სომეხ მკვლევართა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დინარი დაკრძალულია სივნიეთში, ვაჰანავანქის მონასტრის საფარეულო საძვალეში.

262 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 281.

263 იქვე.

264 იქვე, გვ. 283.

რანთა და კახთა სამეფო XI საუკუნეში

დავით კახეთის ქორეპისკოპოსის (976—1009 წწ.) დროს შექმნილი პრეცედენტი „რანთა და კახთა“ სამეფოს წარმოქმნისა (1008 წლისათვის) სულ რაღაც ათი-თორმეტი წლის შემდეგ კვირიკე III დიდმა (1009—1037 წწ.) დაასრულა. კახეთის მესვეურებმა ისარგებლეს პოლიტიკურად ახლად გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მეფის გიორგი I-ის საგარეო პოლიტიკური გართულებით (ბიზანტიის იმპერატორთან წარმოებული ხანგრძლივი ომი) და წარმატებით დააგვირგვინეს კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური შერწყმის პროცესი. სუმბატ დავითის-ძე მოგვითხრობს: „განუდგა ამას (გიორგი I-ს—თ. პ.) ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა, და ლადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი. მათ ქუეყანათ კულადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“¹. ასევე ეს ამბავი გადმოცემული „მატიანე ქართლისაჲ“-ს ჩანართში, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ თითქმის ყველა ნუსხაში მოიპოვება და ამოღებულია სუმბატის „ქრონიკიდან“². ამავე ფაქტთან უნდა იყოს დაკავშირებული ვახუშტის ცნობა, რომ „ამან კვირიკემ დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფეთ კახთა“³.

ზუსტი თარიღი წყაროებში „რანთა და კახთა სამეფოს“ წარმოქმნისა არ მოგვეპოვება. სუმბატ დავითის ძეს ეს ფაქტი გადმოცემული აქვს გიორგი I-ის ტახტზე ასვლისა (ე. ი. 1014) და იმავე გიორგი I-ის მეფობის მეშვიდე წელს (ე. ი. 1020) ბასილ ბერძენთა მეფის საქართველოზე გამოლაშქრების ამბებს შუა — ე. ი. 1014—1020 წწ. შორის. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ „რანთა და კახთა სამეფოს“ შექმნის თარიღად დაახლოებით 1020 წელი ვივარაუდოთ. ნ. ბერძენიშვილი კახეთისა და ჰერეთის პოლიტიკური შერწყ-

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 383.

² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 284.

³ ვახუშტი, კმეულემა და ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 561.



მის დასრულებას XI ს. ოციან წლებზე დებს⁴. კვირიკე III-ის მიერ შექმნილი სამეფო ფაქტიურად „კახეთის სამეფო“ დასაბუთების დამსახურებზე ამ საქმეში იმაში გამოიხატა, რომ მან აკმაყოფიანების ძველი ისტორიული საზღვრების ფარგლებში, ისე როგორც ეს VIII ს. პირველ ნახევარში, არჩილის დროს იყო, როდესაც პერეთი კახეთის სამთავროს განუყოფელ, ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. და მართლაც, მთელი XI ს. განმავლობაში ამ სამეფოს მმართველებს ჩვეულებრივ წყაროებში („მატიანე ქართლისაჲ“, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი) „კახთა მეფეები“ ან „კახეთის მეფეები“ ეწოდებათ. თვისებრივი განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ 1029 წელს პერეთის ხელახალი შემოერთების შემდეგ შეიცვალა მათი ოფიციალური ტიტული. ამიერიდან კახეთის სამეფოს ხელისუფალნი წყაროებში იწოდებიან ასე: „რანთა და კახთა“ მეფე. ასე მაგალითად, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი ერთგან ამბობს—„მოვიდა დიდი კვირიკე, რანთა და კახთა მეფე“⁵. ასევე იწოდებიან XI ს.-ში და ვიდრე XII ს. დასაწყისამდე კახეთის სამეფოს სხვა მმართველებიც, სახელდობრ, აღსართან II. თოლის (მაჭის) ციხიდან წამოღებულ ქვის ფილაზე ამოჭრილ ასომთავრულ წარწერაში კვითხულობთ: „ახსართან... რანთა და კახთა მფლობელი“⁶.

ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთოდ კახეთის მეფეთა ტიტულატურაში „რანთა მეფის“ სწორად გააზრებას. რა შინაარსით იხმარება ქართული საისტორიო წყაროების („მატიანე ქართლისაჲ“, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვ.) პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინი „რანთა მეფე“, ე. ი. რა აქცენტით ხმარობს ამ ტერმინს, მაგალითად, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი?

რადგანაც „რანთა მეფის“ ტიტული კვირიკე III პერეთის შემოერთების შემდეგ მიიღო, ბუნებრივია ისმის კითხვა: ფარავდა თუ არა პერეთის ცნება რანს. მაგრამ ცნობილია, რომ რანის ვეერდით ქართული საისტორიო წყაროები პერეთსაც ასახელებენ. მისი დამოუკიდებელი ხსენება უკვე მისსა და რანის ერთსა და იგივეობაზე არ მიგვიითითებს. გამოვრიცხეთ რა პერეთის ცნება რანიდან, ამის შემდეგ გასარკვევია, კონკრეტულად რა შინაარსი იღო ქართულ „რანთა მეფეში“ და გულისხმობდა თუ არა ქართული „რანი“ „არრანს“. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განისაზღვროს, რა ტერი-

4 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 254.

5 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 296.

6 თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ. 1961, გვ. 25.

ტორიას მოიხადა გეოგრაფიულად „რანი“ — „არანი“ ტერიტორია/ „არანი“ ქართულ საისტორიო წყაროებში უმთავრესად დასახლებულია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ტექსტებში⁷ „არანი“ მოხსენებულია აგრეთვე ჩახრუხაძის „თამარის“ (1, 29).

ლეონტი მროველის მიხედვით, რანის (არანის), ფარგლები მოიცავდა ბარდოსის შემკვიდრებობას. ამ უკანასკნელს ლეონტი მროველი ასე განსაზღვრავს: „ხოლო ბარდოს მისცა მტკუარი და რაქსი. ამან ბარდოს აღაშენა ქალაქი ბარდავი და დაეშენა მუნ“⁸. რომ რანი resp. არანი შეესაბამებოდა ბარდოსის კუთვნილ ქვეყანას, ამის შესახებ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი პირდაპირ მიუთითებს. მოგვითხრობს რა 1192—1193 წწ. ერთ-ერთი ლაშქრობის შესახებ, იგი აღნიშნავს: „ამომწყყედელთა არანისათა გამოიღეს დიდ ძალთა ომთა პირველ ნებროთისა პეროსის ძმისა ბარდოსისა მამული და შენებული“⁹. ცხადად ჩანს, რომ „არანი“ უდრის „ბარდოსის მამულს“ და ტერიტორიები რანი და არანი გეოგრაფიულად ერთმანეთს შეესატყვისებია. X საუკუნის არაბი გეოგრაფოსი ისთახრი ასე განმარტავდა „არანის“ ფარგლებს: „Арран простирался от Дербенда до Тбилиси и нахичевана на Араксе“¹⁰. ამრიგად, ქართული და აღმოსავლური წყაროების მიხედვით, რანი resp. არანი მოიცავდა გეოგრაფიულად ტერიტორიას, რომელიც მდებარეობდა მტკვრის სამხრეთით, კერძოდ, რანის ქვეყანაში უმთავრესად ივულისხმებოდა მტკვრისა და არაქსის შუამდინარეთის ველებიანი ზონა (თანამედროვე მილის ველი).

მას შემდეგ, რაც დავადგინეთ „არანის“ გეოგრაფიული პოცელობა, ისმის ასეთი საკითხი: ვის ეკუთვნოდა რანის ქვეყანა მაშინ, როდესაც XI ს. ოციან წლებში კახეთის მეფე კვირიკე III-მ „რანთა მეფის“ ტიტული მიიღო. ირკვევა, რომ X საუკუნის მეორე ნახევარსა და XI ს. 80-იანი წლების ბოლომდე (951—1088) რანის resp. არანის ქვეყანას ფლობდნენ განჯის შედადიანი ამირები. განჯელი შედადიანების ფეოდალურმა სახელმწიფომ თითქმის 137 წელი იარსება; მას ბოლო მოუღეს სელჩუკებმა. შედადიანთა ტერიტორია ძირითადად რანის resp არანის პროვინციისაგან შედგებოდა. შე-

⁷ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 38, 61—62, 63—64, 76—77.

⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 5.

⁹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 58.

¹⁰ М. Х. Шарфли, Феодальные государства Азербайджана второй половины IX—XI вв., Баку, 1965, გვ. 51.



დადიანთა სამფლობელოს ჩრდილოეთი საზღვარი მდ. მტკვარზე იდო, სამხრეთით—მდ. არაქსი, აღმოსავლეთით — ბეველიწყალი¹¹. დასავლეთით კი ციხე-ქალაქი ხუნანი¹¹. ამ ფეოდალურ-სამფლობელოს არსებობის ბოლომდე დედაქალაქი იყო განჯა, ბარდავის (resp. „პირტავი“) დაცემის შემდეგ არანის პროვინციაში პირველობა ქ. განჯამ მიითვისა. ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი შედადიანების სახელმწიფო კი, როგორც ცნობილია, არ შედიოდა კვირიკე III-ისა და მისი მომდევნო იმ მეფეების სამფლობელოში, რომელნიც „რანთა მეფის“ ტიტულს ატარებდნენ. მაშასადამე, ქართული „რანთა მეფე“ შედადიან მმართველ ამირებს არ უნდა ნიშნავდეს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად მხოლოდ ერთი გზაა რჩება: ხომ არ ატარებდნენ თვით პერთა მთავრები ან მეფეები მათი სამთავროს თუ სამეფოს დამოუკიდებელი არსებობის პერიოდში „რანთა მეფის“ ტიტულს? და მართლაც, როგორც ეს ჩვენ ერთ-ერთ ნაშრომში გვაქვს განმარტებული, პერთა მეფეები საჰლ-სუმბატი (IX ს. I მესამედი) და სხვ. ატარებდნენ „არანშაჰის“ ანუ „რანთა მეფის“ ტიტულს. აქედან გამომდინარე, ისინი რეალურად ფლობდნენ კიდევაც რანის ქვეყნის ზოგიერთ მიწა-წყალს. სახელდობრ, საჰლ-სუმბატს ეკუთვნოდა რანის ის ნაწილი, რომელიც მთიანი ყარაბაღის რაიონში მდებარეობდა¹². ასევე, პერეთის მეფე იშხანიკის (X ს.; 943—960?) სამფლობელო, საკუთრივ ქართული პერეთის გარდა, პოლიტიკურად მოიცავდა აგრეთვე რანის ქვეყანაში მდებარე ხაჩენ-გოროზის მიწა-წყალსაც¹³. და აი, მას შემდეგ, რაც XI საუკუნის ოციან წლებში კვირიკე III-ის დროს პერეთი კახეთის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა, კახთა მეფეებმა პერეთთან ერთად თვით პერეთის მეფის ტიტულიც („რანთა მეფე“) მიითვისეს და გახდნენ „რანთა და კახთა მეფეები“. ისევე როგორც „რანთა და კახთა სამეფოს“ ყოველი საქართველოს შემადგენლობაში შესვლის შემდეგ გაერთიანებული საქართველოს მეფენი „რანთა მეფის“ ტიტულის მატარებელნიც გახდნენ.

კახეთის მეფეები „რანთა მეფის“ ტიტულის მიღებით რეალურად ხელს ადებდნენ რანის ქვეყანას და მისი ფლობის პრეტენზიას აცხადებდნენ. ეს გარემოება კი იწვევდა ურთიერთბრძოლას კახეთსა და განჯის შედადიან ამირებს შორის.

¹¹ М. Х. Шарифли, დასახ. ნაშრ., გვ. 51.
¹² თ. პაპუაშვილი, პერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970, გვ. 190.
¹³ იქვე, გვ. 209.



კახეთის სამეფოში კვირიკე III მმართველობის წლებში გორც პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე ადმინისტრაციულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში აღინიშნება უდიდესი აღმშენებლობითი კვირიკე III საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ მოვლენებად

შეიძლება ჩაითვალოს: დიდი ლაშქრობის ორგანიზაცია განძის ამირას ფადლონის წინააღმდეგ (დაახლ. 1027—1032 წწ.) და მისი მონაწილეობა თბილისის ამირას წინააღმდეგ მოწყობილ სამხედრო ოპერაციებში (1032—1036 წწ.). აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლებში კახეთის სამეფო გაერთიანებული საქართველოს მეფეების მოკავშირედ გამოდის¹⁴. ამაზე უფრო უწინარეს კი, კვირიკე III ეხმარება საქართველოს მეფე გიორგი I ბიზანტიასთან წარმოებულ ბრძოლაში: „რამეთუ განძლიერდა გიორგი მეფე და მოირთო ძალი კახეთისა და პეტისა“¹⁵.

კვირიკე III გამოჩენა კახეთ-ჰერეთის სახელმწიფოს სათავეში ბუნებრივად შემზადებული მოვლენა იყო, რომელიც განაპირობა თვით კახეთის ქვეყნის ძლიერებამ და ზრდამ და რომელსაც კიდევ უფრო უმტკიცებდა საფუძველს ეროვნული ერთიანობის შეგნების ძლიერი ტენდენციები. სწორედ ამის გამოხატულებას წარმოადგენდა კვირიკე მეფისა და მისი სამხედრო ძალების აქტიური მონაწილეობა ბიზანტიელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. საამისო მკერ-მეტყველური მოწმობაა აგრეთვე კახეთის სამეფოს ცხოველი მონაწილეობა იმ დიდ მოძრაობაში, რომელიც კულტურის ასპარეზზე გააშალა საერთოდ საქართველოში X ს. ბოლოს და XI ს. დასაწყისში. ამ მხრივ საგანგებო აღნიშვნის ღირსია არსენ ნინოწმიდის ეპისკოპოსი, რომლის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა სცილდება კახეთის სამეფოს საზღვრებს და ფართო სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იღებს. არსენ ნინოწმიდელს (გარდაიცვალა 1018 წელს), იოანე და ექვთიმე ათონელების თანამოღვაწეს, გამოჩენილ მწიგნობარს, დიდი წვლილი მიუძღვის ქართული მწერლობის თარგმანებით გამდიდრების საქმეში. მან, როგორც გიორგი მთაწმინდელი გადმოგვცემს, თავისი ნებით „დაუტევა ეპისკოპოსობამ და დავით კურაპალატისა წინაშე მოვიდა, ხოლო მან კეთილად მოხსენებულმან ღირსად სიწმიდისა მისისა მოიკითხა და ოთხთა ეკლესიათა წარგზავნა“, სადაც იოანე ათონელთან ერთად „მრავალ ქამ იღუწიდეს“¹⁶.

14 იხ. თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, ჰერეთი, გვ. 224 — 225.

15 მატაიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 285.

16 გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოანესი და ეფთუმესი, ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, გვ. 56.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ კახი არსენ ნინოწმიდელი ქრისტიანულ ქართველად გრძნობს თავს ტაო-კლარჯეთის მეფის დავით აღმაშენებლის კარზე. იგი თავისი ეპოქის (X—XI სს. მიჯნაზე) მკვლევარ-მკვლევარს თავისი მოღვაწეობით ცდილობს დაასაფუძვლოს ის, რაც მის ეპოქას ახასიათებდა, აფიქრებდა, აზრუნებდა: ბრძოლა ქართული ეროვნული ერთიანობისათვის¹⁷.

ტაო-კლარჯეთიდან არსენ ნინოწმიდელი წავიდა ათონზე და ექვთიმე ათონელის ლიტერატურულ სკოლაში დაიწყო მოღვაწეობა იოანე გრძელისძესთან ერთად. ათონზე, სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული და პროგრესული ძალები, არსენ ნინოწმიდელმა დიდი დახმარება გაუწია ექვთიმეს „თარგმანებას შინა წმიდათა წერილთასა“. გარდა ამისა, მან „პრავალნი წიგნი ეკლესიისანი ქამსა სიბერისასა“ თავისი ხელით გადაწერა¹⁸. გარდაიცვალა იქვე ათონზე და დაკრძალეს ივერიის მონასტრის მთავარ ეკლესიაში.

კვირიკე III შემდეგ კახეთის სამეფო ტახტზე აღის მისი დისწული ვაგიკი. „ძე დავით სომეხთა მეფისა სამშელდარისა და ძორაკერტელისა“¹⁹. მატთანე ქართლისას „დავით სომეხთა მეფე“-ში იგულისხმება ტაშირ-ზორაკერტის მეფე დავით ბაგრატიანი, რომელიც სომხურ ისტორიოგრაფიაში დავით ანპოლინის (*Անპոլին*) ანუ დავით „უმეწაწყო“-ს სახელწოდებით არის ცნობილი. დავით ანპოლინი დაქორწინებული იყო კახეთის უკანასკნელი ქორეპისკოპოსის დავითის (976—1009 წწ.) ქალიშვილზე (ე. ი. კვირიკე III-ის დაზე), რომელიც მას აფხაზთა მეფის ლეონ III-ის ასულისაგან ეყოლა. აი სწორედ ამათი შვილი იყო ვაგიკი, რომელმაც კახეთის სამეფოში საფუძველი ჩაუყარა ტაშირ-ზორაკერტის ბაგრატიანთა ანუ ე. წ. სომეხ კვირიკიანთა საგვარეულო შტოს. როგორც ვხედავთ, კვირიკე III-ის შემდეგ კახეთში გამეფებული ვაგიკი (1037—1058 წწ.) ადგილობრივი (კახური) სამეფო დინასტიის, ბაგრატიანთა, უახლოესი ნათესავი (დედის ხაზით) იყო.

ვაგიკის მეფობიდან მოყოლებული (1037 წ.) მთელი 67 წლის მანძილზე (ე. ი. 1104 წლამდე, როდესაც კახეთის სამეფო საბოლოოდ

17 შტრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 379.

18 გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 133.

19 მატთანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 297.

მოქცეა გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს შემდგენლობაში) კახეთისა და ტაშირ-ზორაკერტის სამეფოებს შორის მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა დამყარდა. აქედან გამომდინარე და კახთა“ სამეფოს ისტორიაც XI ს.-ში, ვფიქრობთ, განხილულ უნდა იქნას კახეთ-სომხეთის ურთიერთობის საერთო ასპექტში. აღნიშნულ საკითხზე ყურადღების გამახვილება იმითაც არის განპირობებული, რომ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ზოგიერთი მკვლევარი მას ტენდენციურად, ცალმხრივად აშუქებს და მასზე დაყრდნობით, ქართული ისტორიული სინამდვილის გაუთვალისწინებლად, არასწორ და მეტად შორსმიმავალ დასკვნებს აკეთებენ. მოვიტანოთ ზოგიერთი მკვლევარის შეხედულებანი ჩვენს ნაშრომში წამოჭრილ საკვლევ საკითხებზე.

უპირველეს ყოვლისა, მივმართოთ ლევონდ მოვსესიანს, რომელსაც ეკუთვნის სპეციალური მონოგრაფია ლორე-ტაშირის კვირიკიანთა სამეფოს ისტორიის შესახებ. ხსენებული მონოგრაფია 1923 წ. სომხურ ენაზე გამოიცა ფენაში. ნაშრომში ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შემდეგი თავი: „სომეხი მეფეები კვირიკიანთა სახლიდან კახეთში“. ტაშირ-ზორაკერტის მეფეზე, დავით უმიწაწყლოზე ანუ დავით ანპოლინზე საუბრის დროს ლ. მოვსესიანი აღნიშნავს: ლორის კვირიკიანთა სამეფო გვარი მარტო ამ ქვეყნით არ შემოფარგლულა, არამედ იგი განშტოვდა კახეთისაკენ. თავისი საფუძვლებით ქართულად ცნობილ გავარში სომხური დინასტიის დამკვიდრებამ, ერთი შეხედვით, შეიძლება კიდევაც გაგვაკვიროს. აქედან გამომდინარე და ამავე მიზეზით შევეხოთ საკითხს: კახეთი სომხური ქვეყანა იყო თუ ქართული?! და აი, ამ კითხვას ლ. მოვსესიანი ასე პასუხობს: გავითვალისწინებთ რა ისტორიულ მონაცემებს, უფრო სიმართლეს შეეფერება იმ ავტორთა აზრი, რომელნიც მოსახლეობის უმრავლესობის მიხედვით ამ მხარეს სომხურად აცხადებენ. ამ დებულების დასასაბუთებლად ლ. მოვსესიანს მოაქვს შემდეგი ფაქტები: აღრეფეოდალური ხანის ჰერეთში (VIII—X სს. განმავლობაში) სომხური სარწმუნოების ანუ მონოფიზიტიზმის გავრცელება, კახეთისა და ჰერეთის მთავრების სომხური სახელები, რომელიც, მისი აზრით, აშკარად მოწმობს, რომ XI საუკუნემდეც ეს მთავრები სომხები იყვნენ და ხელისუფლებაც ამ ქვეყანაში სომხური იყო. ხოლო XI ს. და XII ს. დასაწყისში კი სავსებით უეჭველია, რომ კახეთის მთავრები სომხები არიან (სომეხ კვირიკიანთა სახლის წარმომადგენლები). მემატიანეთა ცნობებით, — განაგრძობს ლ. მოვსესიანი, — 1039—1105 წლამდე (?) კახეთში გაბატონებულია ლორეს კვირი-

კიანთა დინასტია, რომელიც ოთხი მეფისაგან იყო შემდგარი. / ლ. მოვსესიანის სიტყვით, სომეხ კვირიკიანების ამ ოთხმა მეფემ კავკაზ-რძელა ვახუშტის მიერ მოხსენებული ცხრა მეფის (792—1113 წწ.) მმართველობა. ამ მეფეთა ქართველობაც საეპქოა და შათი ვინაობა საძიებელია²⁰. როგორც ვხედავთ, ლ. მოვსესიანი XII ს. დასაწყისამდე კახეთს არ მიიჩნევს ქართულ ქვეყნად და ეპქის ქვეშ აყენებს კახეთის 787—1039 წწ. მმართველი დინასტიის ეროვნულ წარმოშობასაც.

მოვიტანოთ კიდევ ერთი ნიმუში იმის შესახებ, თუ როგორ არის გაშუქებული ჩვენთვის საინტერესო საკითხები უახლოესი ხანის სპეციალურ ლიტერატურაში. მხედველობაში გვაქვს ერეკლე II 1966 წელს სომხურად, ხოლო 1969 წელს კი რუსულად გამოცემული წიგნი — «О литературе Кавказской Албании». ამ წიგნის ავტორია სომეხი მეცნიერი ასატურ მნაცაკანიანი. ძირითადად ავტორი ალბანეთისა და სომხეთის ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებს მიმოიხილავს. შიგადაშიგ კი იგი საქართველოს, კერძოდ, კახეთ-პერეთის ისტორიასაც ეხება და ცდილობს დაამტკიცოს, რომ XI ს. -მდე კახეთი და პერეთი სომხურ პროვინციებს წარმოადგენდნენ. ა. მნაცაკანიანი საგანგებოდ განიხილავს ქართულ-სომხურ საისტორიო წყაროებში შემონახულ კახეთ-პერეთისა და სომხეთის ურთიერთობის ამსახველ ისეთ ფაქტებს, როგორცაა: Xს-მდე პერეთის მოსახლეობის მწველეობა, ე. ი. მის მიერ სომხური მონოფიზიტური სარწმუნოების აღიარება და XI—XII სს-ებში კახეთ-პერეთის სამეფო ხელისუფლების სათავეში ტაშირ-ზორაყერტელ სომეხ კვირიკიანთა სახლის წარმომადგენელთა ყოფნა. ამ ფაქტებზე დაყრდნობით და აგრეთვე სხვა ისტორიული ხასიათის მონაცემების გათვალისწინებით იგი დაასკვნის, რომ კახეთისა და პერეთის მოსახლეობა «сохраняло этническое единство и связи с Арменией вплоть до XI в., после чего, преимущественно под влиянием грузинской церкви, оно стало расслаиваться. переживая постепенный процесс растворения в окружающей грузинской среде. В дальнейшем гавар окончательно отошел к Грузии и навсегда остался в ее составе»²¹.

²⁰ ვ. ს. ნ. ვ. შიქიძის ხანა, ლიბის სერსისონ რედაქციისა და გამოცემის, «მეფეთა მათხნაყარან», ვ. ს. ნ. ვ., 1923, გვ. 93—85.

²¹ А. Ш. Мн а ц а к а н я н и, О литературе Кавказской Албании, Ереван, 1969, გვ. 40—41, 178.

ამრიგად, ა. მნაცავანიანი კიდევ უფრო აღრმავებს 20-იან წლებში ლ. მოვსესიანის მიერ გამოთქმულ შეხედულებას და მასში მკვეთრად მკაფიოდ შემოაქვს ეთნიკური მომენტი. მისი აზრით, კახეთში ეთნიკურად საერთოდ განუყოფელი იყო სომხეთისაგან და ამ ამბავმა გასტანა XI ს-მდე, რომლის შემდგომაც, ქართული ეკლესიის გავლენით, ეს სომხური გავარი (sic.) მოექცა ქართულ ეთნიკურ სამყაროში და თანდათანობით იწყო ქართველებთან შერწყმა.

კახეთ-სომხეთის ურთიერთობის საკითხებს საგანგებოდ შეეხო აგრეთვე ცნობილი რუსი ნუმისმატი ე. პახომოვი 1925 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში — «О монете Корике Куропалата». დასახელებულ ნაშრომში ავტორის მიერ გამოთქმული შეხედულება ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე თითქმის არაფრით განსხვავდება ზემოთ განხილულ მკვლევართა შეხედულებებისაგან. ე. პახომოვის აზრითაც, XI ს-მდე ძალზე ძნელია კახეთზე, როგორც წმინდა ქართულ ქვეყანაზე საუბარი და რომ ამ მხარის საბოლოო გაქართველებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ კვირიკე III-ის დროს. ნაშრომში ე. პახომოვი საკმაოდ ვრცლად განიხილავს კახეთის მმართველი დინასტიის სადაურობას და წარმოშობას, მისი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საკითხს, კახეთის ურთიერთობას ტაშირის სომხურ სამეფო სახლთან. კახეთ-პერეთში სომხური სარწმუნოების გავრცელებას, რომელიც, მისი აზრით, დაკავშირებული იყო ამ ქვეყანაში ღვთისმსახურების სომხურ ენაზე წარმოებასთან. აი მისი სიტყვებიც: «Вопрос о национальности династии, основанной Фадлом I, связан с еще невыясненной этнической историей Кахетии. Я считаю нужным лишь отметить, что повидимому, состав коренного населения был не армянским и не грузинским, но поочередно подвергался то арменизации, то грузинизации. В связи с этими изменениями были смены господства и вероисповедения. Судя по именам (Фадла — арабское Фадл, обычное у шедадилских эмиров, Квирике — арм. Корике, Употребительное у армянских Багратидов) и по родственным связям с таширским домом, династия Фадла была скорее армянской в начале, но именно к ее времени относится усиленная грузинизация Кахетии, население которой изменяет антихалкедонитству, уже тогда принявшему облик национально —



армянского вероисповедания, связанного с употреблением армянского языка²².

დასავლეთ ევროპის მკვლევართაგან კახეთ-ჰერეთის მხრის ურთიერთობის ამსახველ ფაქტებს თავის ნაშრომებში დეტალურად განიხილავს აკად. მ. ბროსე. კახეთისა და სომხეთის ურთიერთობის საკითხებზე მას ჩამოყალიბებული აქვს საკმაოდ მწყობრი და თანმიმდევრული შეხედულება. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მ. ბროსე კახეთ-სომხეთის ურთიერთობის საკითხების კვლევისას ერთნაირად კარგად იყენებს ქართულ და სომხურ საისტორიო წყაროების მონაცემებს. კახეთ-სომხეთის ურთიერთობის საკითხებზე მსჯელობისას მ. ბროსე ერთგვარ ანალოგიას მიმართავს და საკითხის უფრო სრულყოფილად გაშუქების მიზნით მას კახეთთან ერთად საქართველო-სომხეთის ურთიერთობის ასპექტში მეორე მხარეც შემოჰყავს — ეს არის ტაო. და აი, იგი აღნიშნავს, რომ კახეთი და ტაო ყოველთვის საცილობელ ობიექტს წარმოადგენდა ორ მეზობელ ხალხს შორის: ქართველებსა და სომხებს შორის. სომეხი ავტორები ამტკიცებენ, რომ ტაო ძველთაგანვე სომხური პროვინცია იყო და იგი ყოველთვის სომხეთს ეკუთვნოდა, ქართველები კი პირიქით, იმას ამბობდნენ, რომ სომხებს საერთოდ ფეხიც კი არ დაუდგამთ ტაოშიო. ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე კახეთის მიმართაცო. და მართლაც, — განაგრძობს მ. ბროსე, როგორც საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, კახეთი მუდამ ქართული ქვეყანა როდი იყო. ისტორიულ სიტუაციებთან დაკავშირებით იგი ხშირად იცვლიდა თავის გამგებლებს. თუ თვალს გავადევნებთ მის წარსულ ისტორიას, დავინახავთ, რომ კახეთი, პრინციპში, უფრო სომხური ქვეყანა იყო, ვიდრე ქართული. ამის საილუსტრაციოდ მ. ბროსე ჩამოთვლის შემდეგ ფაქტებს: კახეთის ხელისუფალთა სომხური სახელები, კახეთ-ჰერეთში სომხური სარწმუნოების გავრცელება, კახეთის მჭიდრო დინასტიური და ნათესაური კავშირი ტაშირ-ზორაკერტის სომხურ სამეფოსთან და, რაც ყველაზე მთავარია მისთვის, XI—XII სს-ში კახეთის სამეფო ტახტზე სომეხი მეფეების ქდომამ ფაქტებზე დაყრდნობით იგი დაასკვნის, რომ კახეთი უფრო ხშირად სომხეთს არის დაქვემდებარებული და რომ XIII ს-ზე ადრე

²² Е. Пахомов, О монете Корики куропалата, Известия Кавказского историко-археологического института в Тифлисе, том III, 1925, гв. 40—41.

ქართველებს არ შეიძლება ჰქონდეთ რაიმე პრეტენზია კახეთის მიმართ.²³

ასეთია ის შეხედულებანი ძირითადად, რომლებიც განმარტებული აქვს ზოგიერთ მკვლევარს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. კახეთ-სომხეთის ურთიერთობაზე მსჯელობისას, რა თქმა უნდა, ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ კახეთის ქვეყანას სომხეთი ძლიერად ეჭიდებოდა და ცდილობდა იქ თავისი პოზიციების განმტკიცებას, მაგრამ ზემოთ განხილულ მკვლევართაგან განსხვავებით, მთავარი აქ იმის დადგენა და გარკვევაა, თუ რა რეალური შედეგები მოჰქონდა სომხეთის ამ მცდელობას; საჭიროა გაირკვეს: ადგილი ჰქონდა თუ არა კახეთში სომხური ელემენტის იმდენად მყარად დამკვიდრებას, რომ მას აქ გამოეწვია ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური სახის შეცვლა და შეიძლება თუ არა, საერთოდ, ამ რეგიონის სომხურ ქვეყნად გამოცხადება თუნდაც XI—XII სს-მდე, როგორც ამას ზემოჩამოთვლილი მკვლევარნი გვთავაზობენ.

გადავიდეთ უშუალოდ კახეთ-სომხეთის ურთიერთობის ამსახველი ფაქტების ანალიზზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, კახეთ-სომხეთის ურთიერთობის ერთერთი კარდინალური საკითხია ტაშირ-ზორაყერტის სომეხ კვირიკიანთა დინასტიის შთამომავალთა მეფობა კახეთ-ჰერეთის სამეფოში. ვინაიდან კახეთსა და ტაშირ-ზორაყერტის სამეფოს შორის მკვიდრო პოლიტიკური ურთიერთობა არსებობდა და აგრეთვე ის გარემოება, რომ ეს ორი პოლიტიკური ერთეული ერთმანეთთან დინასტიურად და ნათესაურადაც იყვნენ დაკავშირებულნი, ბუნებრივია საჭირო ხდება მცირე ისტორიული ექსკურსის მოხდენა ტაშირ-ზორაყერტის სომხური სამეფოს შესახებ: როდის და რა პირობებში ხდება მისი წარმოქმნა, როდის გამოდის იგი პოლიტიკურ ასპარეზზე და რა როლს ასრულებდა ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში.

ტაშირ-ზორაყერტის სამეფოს ტერიტორია ქართლის, ანუ უფრო სწორედ, ქვემო ქართლის ძირძველი მიწა-წყლისაგან შედგებოდა. ეს არის სომეხ მწერალთა გუგარქი, ხოლო ბერძენი ავტორები (სტრაბონი) მას გოგარენეს უწოდებენ. ქართული წყაროების მიხედვით, ამ მხარეს ჩვენში სხვა სახელწოდებაც ჰქონდა: ტაშირი, აბოცი და სხვ. ეს ტერიტორიები იმ სამშვილდის საერისთავოში შედიოდნენ, რომელიც გვიან სომხითად იწოდებოდა. „სომხითი“ მას, რო-

²³ M. Brosset, Monographie des monnaies armeniennes, S.-Petersbourg, 1839, გვ. 34.



გორც ფიქრობენ, გვიან შეერქვა იმ ნიადაგზე, რომ აღრეფროდა-
 ლურ ხანაში აქ სომეხთა უპირატესობა დამყარდა, რაც სომეხთა
 ჯამში სომეხ კვირიკიანთა სამეფოს დაარსებაში გამოხატულია.
 შედეგად იყო, რომ ამ ქვეყანას სომხითი ეწოდა; თუ არ ასე, რო-
 გორ უნდა გავიგოთ, რომ ჰაიები ამ ქვეყანას გუგარქს, ქართლს, კან-
 გარს და რაგინდარას არ ეძახიან და არც ერთხელ არ მოიხსენებენ
 არც ქართული „სომხითით“, არც სომხური ჰაისტანით. „ჩრდილო
 მხარენი“ არამც და არამც ამ ქვეყნის ეთნიკური განსაზღვრა არ
 არის და ასეთი წმინდა გეოგრაფიული ტერმინით აღნიშნავენ, საფი-
 ქრებელია, ამ ქვეყანას იმიტომ, რომ ქართლის ამ ქვეყნისათვის სა-
 კუთარი სახელი არა აქვთ: მას არმენია არა ჰქვია იმიტომ, რომ აქ
 არმენია არ არის (ჩანს ესმით, რომ ამ ქვეყნის ქართული სახელი
 „სომხითი“ არმენიას არ ნიშნავს), იციან, რომ ეს არის ქართლი, ქვე-
 მო ქართლი..., ხოლო მათთვის კი „ჩრდილო მხარე“²⁴.

წყაროთა ანალიზის შედეგად მკვლევართა უმრავლესობა უცი-
 ლობლად დაასკვნის, რომ გოგარენე-გუგარქი ოდითგანვე ქართულ
 ქვეყნად ითვლებოდა და მისი ძირითადი მოსახლეობა ქართული
 იყო²⁵.

უფრო აღრე თუ არა, უკვე ძვ. წ. III ს-დან, ფარნავაზის დროს,
 ტაშირი სამშვილდის საერისთავოში შედის და აქედან გამომდინარე
 იგულისხმება, რომ იგი ქართლის ორგანული ნაწილია. ლეონტი
 მროველის ცნობით, ფარნავაზმა „მეოთხე გაგზავნა სამშვილდის ერ-
 ისთავად, და მისცა სკვირეთის მდინართგან ვიდრე მთამდე, რო-
 მელ არს ტაშირი და აბოცი“²⁶. როგორც ცნობილია, ფარნავაზი თა-
 ვის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოღვაწეობით ძველიდანვე არ-
 სებული ქვეყნების, ე. ი. ეთნიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნების,
 მონათესავე ტომების პოლიტიკური გაერთიანების ფაქტიდან ამოდის.

ძვ. წ. II ს. დასაწყისში, სტრაბონის ცნობით, გოგარენეს პრო-
 ვინცია ქართლის სამეფოს ჩამოაჭრეს სომხებმა²⁷. მაგრამ 387 წელს

24 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VIII, გვ. 304.

25 ლ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეტის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 176—177; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 152; დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1979, გვ. 21.

26 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24.

27 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 189.

ვოგარენე-გუგარქი საბოლოოდ ისევ ქართლის სამეფოს დაეკუთვნა²⁸.



V ს-თვის კვლავ მოგვეპოვება ჯუანშერის ცნობა, რომელშიც ირკვევა, რომ სამშვილდის საერისთავო (და, რა თქმა უნდა, მასთან ერთად ტაშირიც) კვლავ ქართლში შემავალი ქვეყანაა²⁹.

VII ს-ში ტაშირში (იგივე გუგარეთი, ბერძნულად გოგარენე) კვლავ ქართველები სხედან. ამას ადასტურებს VII ს. სომხური გეოგრაფიის ცნობა. გეოგრაფიის ავტორი აღნიშნავს: „გუგარეთი მდებარეობს უტიის დასავლეთით, აქვს 9 გავარი, რომელსაც ფლობენ ქართველები: ძოროფორი, წობოფორი, კოლბოფორი, ტაშირი, თრი-ალეთი, კანგარი, არტაანი, ჯაეახეთი, კლარჯეთი“.

VIII ს. შუა ხანებში ტაშირში მდგომარეობა უცვლელი რჩება: იგი კვლავ ქართლის ერთერთ საერისთავოში შემავალი ქვეყანაა: „არჩი-ლმა მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა, და მისცნა ძმისწულნი მისნი... მეორე მისცა პიტიახშისა ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთა-რობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს“³⁰.

მდგომარეობა შევეთრად იცვლება IX ს-ში. როგორც ეს ქართული და სომხური წყაროებიდან ირკვევა, IX ს. გარკვეული წლებიდან ტაშირი სომხეთის სამეფოს ფარგლებში შედის. გობრონის ბიოგრაფი სტეფანე მტბევაარი (მისი თხზულება დაიწერა 914—918 წლებში) ტაშირს უკვე სომხურ მხარეთა შორის იხსენიებს: „ესე არს საზღვარი მისი (ე. ი. სომხეთის — თ. პ.) და სახელები ჯევეთა მისთა: ვანანდი, აშორნია, ბაგრეანდი, აპაპუნისი, წალკოიტნი, ჭაკატი, კოგოვიტი — ორი ჯევი, შარური, ვასპურაკანი — ათორმეტი ჯევი, ვადძორი — ოთხი ჯევი, დვინადაშტი — სამი ჯევი, გელაქუნია — ოთხი ჯევი, სივნიეთი — ათი ჯევი, ტაშირი და კოლბოფორი. ესე ოთხმეოც და შეიღი ჯევი მოოჯრდა პირისაგან უფლისა, ძვრისაგან ეოდვითა მათთაჲსა ამისათჳს, რამეთუ არა იპოვა ამათ ჯევეთა შინა საყდარი მართლმადიდებელთა ეპისკოპოსთაჲ, არცა მონასტერი მართლმადიდებელთა მორწმუნეთა მონაზონთაჲ“³¹. მტბევაარი ეპისკოპოსის ეს ცნობა აშკარად ადასტურებს, რომ ტაშირი პოლიტიკურად უკვე სომხეთშია; გარდა ამისა, ესევე ცნობა გვიჩვენებს, რომ კონ-

²⁸ H. Hübschman, Die altarmenischen Ortsnamen, Strassburg, 1904, გვ. 275.

²⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 185.

³⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 241.

³¹ სტეფანე მტბევაარი, მარტილოზის გობრონისი, ძველი ქართული ბიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V—X სს.), თბ., 1964, გვ. 175.

ფესიურადაც ტაშირი სომხური ქვეყანაა: მასში გავრცელებულია სომხური სარწმუნოება — მონოფიზიტობა. ამასვე ადასტურებს სომხური მასალაც. ეთნიკური შემადგენლობის თვალსაზრისით, აღნიშნული ხანისათვის გუგარეთში უკვე შერეული (ალბათ ქართულ-სომხური) მოსახლეობა ჩნდება. სომეხი ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტელი (X ს.) სომეხთა მეფის ამოტის ძის მიერ ახალი ტერიტორიების დაპყრობის შესახებ საუბრისას შენიშნავს, რომ ამოტმა დაიქვემდებარა „გუგარეთის ნარევი მოსახლეობა“³². მიუხედავად სომეხი ისტორიკოსის სრულიად გარკვეული ცნობისა, პ. ინგოროყვა რატომღაც იოანე დრასხანაკერტელს ზემო აღნიშნულის სრულიად საწინააღმდეგო აზრს მიაწერს და აღნიშნავს, რომ „მე-10 საუკუნის ავტორმა იოანე კათალიკოზმა იცის, რომ გოგარენი ეთნიკურად იბერია იყო, რომ გოგარენის მოსახლეობას იბერიელები შეადგენდნენ“³³.

ამის შემდეგ განვიხილოთ ის პოლიტიკური სიტუაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა IX ს. და X ს. დასაწყისში სომხეთსა და ამიერკავკასიაში და ამავე დროს წარმოვაჩინოთ ის წანამძღვრები, რომელთაც ხელი შეუწყვეს გუგარქის ტერიტორიაზე ტაშირ-ზორაკერტის სამეფოს წარმოქმნას. როგორც ცნობილია, IX—X სს. დასაწყისი ეს არის პერიოდი ხალიფატის დასუსტებისა და დაშლისა. სახალიფოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარებამ, მწარმოებელი კლასის ბრძოლამ სულ უფრო და უფრო მზარდი ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ცენტრიდანული ძალების გაძლიერებამ და დაპყრობილი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გამოიწვიეს ის, რომ იწყება ხალიფატის დასუსტება და დაშლა. ხალიფატის ძლიერების შერყევას ხელს უწყობდა აგრეთვე ბიზანტიასთან ომის განახლება.

ყოველივე ამან აიძულა არაბები, რომ სომხეთის მიმართ ეწარმოებინათ შედარებით რბილი და დამთმობი პოლიტიკა. სომხეთის ფეოდალურმა სახლებმა, პირველ რიგში ბაგრატუნებმა, არწრუნებმა, სივნიეთმა და სხვ., შეძლეს კარგად გამოეყენებინათ ხელსაყრელი სიტუაცია და განიმტკიცეს თავიანთი პოზიციები. ჭერ კიდევ IX

³² იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია (786—925 წწ.), სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1965, გვ. 38.

³³ პ. ინგოროყვა, გიორგი მერაბლე, გვ. 463, 475.

ს. დასაწყისში სომხეთის მთავარმა აშოტ მსაკერმა და მისმა ძმამ შა-
პუხმა არაბებს გამოსტაცეს აშოცი, ტარონი, სპერი და სხვ.³⁴

850—852 წწ. სომხეთში იფეთქა მსხვილმა აჯანყებებმა. მათი
ლიც საბოლოო ჯამში ჩაქრობილ იქნა არაბთა მხედართმთავრის ბუ-
ლას მიერ, მაგრამ ბიზანტიასთან ომის წარუმატებლობამ აიძულა ხა-
ლიფატი შეეცვლა თავისი დამოკიდებულება სომხეთის მიმართ. არა-
ბებს აუცილებლად ესაჭიროებოდათ სომეხი ფეოდალების თავის
მხარეზე გადაყვანა, რათა მათი სამხედრო პოტენციალი ბიზანტიელ-
თა წინააღმდეგ გამოეყენებინათ. ითვალისწინებდა რა შექმნილ სი-
ტუაციას და სომეხი ხალხის შეუპოვარ ბრძოლას, ხალიფატმა გა-
დაწყვიტა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო. ტყვეობიდან დაბ-
რუნებულ იქნა მრავალი სომეხი მთავარი, ხოლო აშოტ ბაგრატიუნმა,
სპარაპეტ სმბატის შვილმა, მიიღო „ერისთავთ-ერისთავის“ ტიტული.
აშოტ ბაგრატიუნმა შეძლო თავის გარშემო გაეერთიანებინა სომეხი
ფეოდალები. მან მიიღწია იმას, რომ თანდათანობით გაწმინდა არა-
ბებისაგან შირაკი, არშარუნიკი, ვანანდი, არაგაწოტი, ბაგრევანდი
და სხვა რაიონები. 885 წელს სომხეთის წარჩინებულებმა სომხეთის
ერისთავთ-ერისთავი აშოტ ბაგრატიუნი ტახტზე აიყვანეს. იგი გამოც-
ხადებულ იქნა შირაკის სამეფოს მეფედ. ამ აქტით აღდგენილ იქნა
სომხური სახელმწიფოებრიობა.

და აი. იმ რაიონთარიცხვში, რომლებიც აშოტმა შეუერთა თავის
ახლად შექმნილ სომხურ სახელმწიფოს, გუგარქის პროვინციაც
იყო (მისი აღმოსავლეთი ნაწილი). ამის შესახებ ცნობას გვაწვდის
თანე დრასხანაკერტელი, რომელიც გვაუწყებს, რომ „აშოტი ახ-
ლადბოძებულ სამეფოში განადიდებდა თორგომის ტომს. შემდეგ
მან ხელი აღმართა ჩრდილოეთის მხარეზე... და ასე დაიქვემდებარა
მან გუგარეთის (*გუგარეთი*) ნარკვი მოსახლეობა და უტის გავარი“³⁵.
აშოტ I ბაგრატიუნის მომდევნო მეფის სმბატის (891—914 წწ.)
დროს გუგარქის მმართველებად დანიშნულ იქნენ ძმები ვნთუნები,
რომელთა რეზიდენციასაც წარმოადგენდა ციხესიმაგრე სამშვილდე.
ამის თაობაზე საყურადღებო ცნობას გვაწვდის იგივე იოანე დრას-
ხანაკერტელი. იგი შემდეგს გვატყობინებს: „მეფისწული აშოტ მეფე
(იგულისხმება აშოტ II — 915—928 წწ.) გაემართა, წავიდა და მია-

³⁴ В ардан, «Собрание истории вардапета Вардана», Венеция, 1862, გვ. 76, 78 (სომხურ ენაზე); Степанос Таронечи, «Всеобщая исто-
рия», СПб., 1885, გვ. 106.

³⁵ იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 38.

ღწია გუგართა მხარეს. დიდი სომეგრის მახლობლად, რომელსაც ქართულად შამშულდე, ე. ი. სამი შშვილდი ეწოდება. მამის სახელია სომეგრის ხმება სუმბატ I — 891—914 წწ.) ის ხალხი, ციხესიმაგრეების მქონეობდა, დასაკეთრებული ჰყავდა, ხოლო ორი ძმა — ვასაკი და აშოტი ვნთუნთა ტომისაგან — ციხის მცველებად და იმ ოლქის ზედამდგომელად ეყენა.³⁶ როგორც მოტანილი ცნობიდან ირავევა, აშოტი II-ის (915—928 წწ.) მამას სუმბატ I აშოტის ძეს (891—914 წწ.) ციხესიმაგრე საშვილდე დაუპყრია. ზუსტი თარიღი სომეგების მიერ საშვილდის დაპყრობის შესახებ იოანე დრასხანაჯრტელის თხზულებაში არ გვხვდება. მაგრამ საფიქრებელია, რომ ამ ამბავს ადგილი ჰქონდა სუმბატ I ბაგრატიუნის მეფობის პირველსავე წლებში, დაახლოებით 891—894 წლებში მაინც. ასე რომ, IX ს. 90-იანი წლებისათვის უნდა ვივარაუდოთ სომეგების მიერ საშვილდის პირველად დაპყრობა. ლ. მუსხელიშვილის ვარაუდითაც, სუმბატ I ბაგრატიუნი პირველი სომეგთა მეფეა, რომელმაც ფეხი შედგა საშვილდეში. ეს უნდა მომხდარიყო, ყველა ნიშნებით, ან IX ს. მიწურულში, უნდა უკეთ, X ს-ის დამდეგს³⁷.

როგორც ცნობილია, აშოტი I-ის შვილს სუმბატ I-ს უხდებოდა ხანგრძლივი ბრძოლის წარმოება ატრპატაკანის საამიროს გამგებელთა წინააღმდეგ. არაბი ოსტიკანები თავიანთი ადგილსამყოფელიდან, ატრპატაკანიდან (ადარბადაგანიდან), რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა სომეგთს, თვალყურს ადევნებდნენ საქმის მსვლელობას სომეგთში და ხშირად კიდევაც ერეოდნენ მათ საშინაო და საგარეო საქმეებში. კერძოდ, 895—896 წლებიდან დაწყებული ვიდრე სუმბატის მეფობის დასასრულამდე, ე. ი. 914 წლამდე სომეგთს ჯერ ატრპატაკანის ოსტიკანი აფშინი არბევდა, შემდეგ კი მისი ძმა იუსუფი. აღნიშნული პერიოდი სომეგებისათვის ყველაზე ძნელბედობის ხანას წარმოადგენდა. თვით სუმბატ I ბაგრატიუნი 914 წელს ამ ბრძოლას შეეწირა. მისი დაღუპვის შემდეგ სომეგთის ტახტზე ადის აშოტი II (915-928 წწ.). მეტად მძიმე დროს მოუხდა აშოტს მართვა-გამგეობის სადავეების ხელში აღება. ქვეყნა მოოხრებული იყო იუსუფის ლაშქრობების შედეგად, თავი წამოყვეს ცენტრიდანულმა ძალებმა. ამ უკანასკნელთა რიგებში ჩვენ ვხედავთ გუგარქის მმართველებსაც, რომელთაც ორჯერ სცადეს თავი ვაეთავისუფლებინათ

³⁶ იქვე, გვ. 224—225.

³⁷ ლ. მუსხელიშვილი, საშვილდის სიონის წარწერები და აუნების თარიღი, ენიშის-ს მოამბე, ტ. XIII, თბ., 1943, გვ. 103.

ცენტრალური ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებისაგან. მაგრამ აშოტ II-მ შეძლო თავისი ქვეყნიდან არაბების განდევნა და დიდი რაზმი ურჩი ფეოდალები, მათ შორის გუგარქის მმართველები, ვასაკ და აშოტ გნთუნები, როგორც იოანე დრასხანაკერტელი მოგვითხრობს, გუგართა მხარის ზედამდგომელი და სამშვილდის ციხის მცველი ძმები ვასაკ და აშოტ, გნთუნთა ტომისაგან, „გამამყდნენ, გადიდგულდნენ და ურჩობა დაუწყეს მას (აშოტს)“, მაგრამ აშოტმა „ისინი სრულიად აღმოფხვრა“³⁸.

ამრიგად, გუგარქი ისევ სომხეთის ფარგლებში დარჩა. X საუკუნის 70-იან წლებში აქ წარმოიქმნა ცალკე პოლიტიკური გაერთიანება—ტაშირ-ზორაკერტის კვირიკიანთა სამეფო.

ეხლა განვიხილოთ ის წანამძღვრები, რომელთაც ხელი შეუწყვეს აღმოსავლეთ გუგარქის ტერიტორიაზე ახალი პოლიტიკური ერთეულის — ლორე-ტაშირის სომეხ კვირიკიანთა სამეფოს წარმოქმნას, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ შირაკის ბაგრატუნთა გვერდითი შტოს წარმომადგენელი.

მართალია, აშოტ I და სუმბატ I დროს სომხეთი გაერთიანებულ იქნა შირაკის ბაგრატუნთა ცენტრალური ხელისუფლების ქვეშ, მაგრამ ქვეყნის ერთიანობა მაინც არ იყო მყარი. IX ს. მეორე ნახევრიდან სომხეთში იწყება განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქა. ირღვევა ნახარართა სისტემა და ყოფილი სეპუხები დამოუკიდებელ მფლობელებად იქცევიან. ადგილი აქვს მსხვილი ფეოდალური სახლების დაქუცმაცებას. ასე მაგალითად, თომა არწრუნის ცნობების მიხედვით, არწრუნთა ფეოდალური სახლი IX ს-ში თექვსმეტ შტოდ დანაწილდა³⁹. სივნიელთა ფეოდალური სახლი X ს-ში გაიყო ორ შტოდ: გრიგორ სუპანი და მისი შვილები საპაკი და ვასაკი ფლობდნენ გეგარკუნის, ხოლო მეორე შტოს — ვასაკს, აშოტს და მის შვილებს კი ეკუთვნოდათ ბაღქისა და ვაიოც ძორის რაიონები⁴⁰.

რაც შეეხება ბაგრატუნიანებს, მათი სხვადასხვა განშტოებები დამკვიდრდნენ შირაკში, ტარონში, სპერში და ა. შ. იოანე დრასხანაკერტელის მოწმობით, ბაგრატუნიანთა სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები მმართველებად ისხდნენ ცალკეულ ოლქებში. ასე მაგალითად, ვანანდი ეკუთვნოდა აშოტ I მეფის ძმას, სომხეთის სპა-

³⁸ იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 224—227.

³⁹ Товма Арцруни, История дома Арцруни, СПб., 1887, გვ. 109 (სომხურ ენაზე).

⁴⁰ Степанос Орбелян, История провинции Сисакан, Тифлис, 1910, გვ. 176 (სომხურ ენაზე).



რაპეტს აბასს, ერანზგავორი საკუთარი მამული იყო აშოტ I-ის შვილის სუმბატისა და ა. შ.⁴¹

მსხვილი ფეოდალური სამთავროები დამოუკიდებელი იყვნენ მთელს მთელს ერანზულს და მათი კავშირი ცენტრალურ ხელისუფლებასთან ძალზე სუსტი იყო. ბაგრატიონიანთა მეფეებს არ ჰქონდათ უზენაესი უფლება საკუთრებისა ფეოდალთა მიწაზე, ამიტომაც ამ უკანასკნელთა დამოკიდებულება მეფისადმი, როგორც ქვეყნის უზენაესი მმართველისადმი, ატარებდა პოლიტიკურ და არა ეკონომიურ ხასიათს. ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, IX—XI სს. სომხეთში ვერ წარმოიქმნა ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო.

X ს. შუახანებისათვის სომხეთში, გარდა შირაკის (ანისის) სამეფოსი, კიდევ არსებობდა სამი ისეთი სამეფო, როგორც იყო: ვასპურაკანის, ყარსის და სივნიეთის.

როგორც ზემოთ ვნახეთ, გუგარქის მმართველნი, სარგებლობდნენ რა თავიანთი მხარის ქვეყნის ცენტრიდან დაშორებულობით, ცდილობდნენ განთავისუფლებულიყვნენ შირაკის ბაგრატიონების დამოკიდებულებისაგან და გამოყოფოდნენ მათ სამეფოს.

ქვეყნის ჩრდილო მხარეების ცენტრალურ ხელისუფლებასთან უფრო მტკიცედ დაკავშირებისა და ამ რაიონების საგარეო საფრთხისაგან დაცვის მიზნით, შირაკის (ანისის) მეფე აშოტ III-მ, მწყალობელად წოდებულმა (953—977 წწ.), თავისი უმცროსი შვილი გურგენი დანიშნა გუგარქის მმართველად. წყაროთა ჩვენებით, ამ გურგენ ბაგრატიონმა მიიღო ტაშირი, ძორაგეტი, კენი, კაეწონი და სხვ. და აი, სწორედ ამ გურგენ I ბაგრატიონმა X ს. 70-იან წლებში საფუძველი ჩაუყარა ბაგრატიონიანთა ახალ დინასტიურ ხაზს — ლორის ანუ იგივე ტაშირ-ზორაკერტის ბაგრატიონების სახლს. ეს გურგენი ჩვენ გვევლინება, როგორც დამაარსებელი ტაშირ-ზორაკერტის კვირიკიანთა სომხური სამეფოსი. გუგარქის მმართველი ბაგრატიონთა დინასტიის სახელწოდება „კვირიკიანები“ წარმოადგენს ადგილობრივ (ლორე-ტაშირის) ფორმას და ნაწარმოებია ამ დინასტიის დამაარსებლის გურგენის ანუ იგივე კორიკე-კვირიკეს სახელისაგან.

ტაშირ-ზორაკერტის სამეფოს წარმოქმნის თარიღის შესახებ სომეხ მკვლევართა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. მ. ჩამჩიანი სამეფოს წარმოქმნის თარიღად თვლის 982 წ. ეს თარიღი შემდგომში მიიღეს მ. ბროსემ, სენ-მარტენმა, ვ. ლანგლუამ, ა. მანანდიანმა და

⁴¹ იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 43.



სხვ. ს. ერემიანი სამეფოს წარმოქმნის თარიღად გვთავაზობს 978 წ.
 გ. ალიშანი კი 980 წელს⁴². ლორის კვირიციანთა სომხური სამეფოს
 ისტორიის მკვლევარი გ. მოვსესიანი მხარს უჭერს 980 წელს⁴³ წარმოქმნილ
 სამეფოს თარიღს.

უკანასკნელ ხანებში კვირიციანთა სამეფოს წარმოქმნის თარიღის
 დადგენას სპეციალურად შეეხო სომეხი მკვლევარი რ. ი. მათევოსია-
 ნი, რომელმაც საისტორიო წყაროებისა და ეპიგრაფიკულ მონაცე-
 გებზე დაყრდნობით სამეფოს შექმნის თარიღად წამოაყენა 972 წე-
 ლი. მისი საბუთიანობა ასეთია: სანაინში ამენაპრკიკის ეკლესიის აღ-
 მოსაველეთ კედელზე ამოკვეთილია მეფეთა ბარელიეფები — ესენი
 არიან ძმები: სუმბატ II, ანისის მეფე, და გურგენ I, ლორეს მეფე
 — ამოტ III მწყალობელის ძენი. ბარელიეფთა ქვეშ მოთავსებულია
 წარწერა — „მეფე სუმბატი, მეფე კვირიკე“. ამენაპრკიკის ეკლესიის
 მშენებლობა დაწყებულ იქნა 967 წელს და დამთავრდა 972 წელს.
 გ. ი. წარწერა ბარელიეფთან ერთად 972 წელს უკვე ამოკვეთილი
 უნდა ყოფილიყო ეკლესიის კედელზე. რ. ი. მათევოსიანის აზრით,
 აქედან ის გამომდინარეობს, რომ 972 წლისათვის გურგენი (კვირიკე)
 უკვე ატარებდა მეფის ტიტულს. თავისი დებულების შესამაგრებ-
 ლად რ. მათევოსიანს სხვა დამატებითი მასალაც მოაქვს. ეს არის
 მათეოს ურჰაელის ცნობა იმის შესახებ, რომ 974 წელს სომხეთის
 მეფეებმა და მთავრებმა თავი მოიყარეს ანისის მეფე ამოტ III-სთან
 ბიზანტიის იმპერატორის აღმოსაველეთის ლაშქრობასთან დაკავში-
 რებით. ამ შეკრების მონაწილეთა შორის მათეოს ურჰაელი იხსენიებს
 გურგენსაც. ყველა ზემოჩამოთვლილი ფაქტის გათვალისწინების შე-
 მდეგ რ. მათევოსიანს შესაძლებლად მიაჩნია 872 წელი ჩათვალოს
 ტაშირ-ზორაკერტის სამეფოს წარმოქმნის თარიღად⁴⁴. გარდა ამისა,
 უფრადღებას იპყრობს რ. მათევოსიანის საინტერესო დაკვირვებანი
 თვით ტაშირ-ზორაკერტის სამეფოს წარმოქმნისა და ჩამოყალიბე-

⁴² შ. შ ა მ ე ჯ ა ნ ი, *Գատմարխან հայոց ի սկզբանէ աշխարհի ժխնէ ցամ
 տեան* 1784, წამ. Բ, Վենետիկ, 1785, გვ. 851; M. Brosset, *Monographie
 des monnaies Armeniennes*, SPB, 1839, გვ. 30. მისივე, *Additions et
 éclaircissements a L'histoire de la Georgie*, p. I, SPB, 1851, გვ. 277; Լ. Մ ա-
 ն ո ճ յ ա ն, *Գնահական տեսչական հայ ժողովրդի պատմության*, წამ. Բ,
 Մ, Բ, Ներքվան 1960, გვ. 47; С. Т. Е р е м я н, *Опыт периодизации истории
 Армении эпохи феодализма*, *Вопросы истории*, 1951, № 7, гв. 61; Գ. Ա լ ի-
 շ ա ն, *Հայաստանում, Վենետիկ*, 1901, გვ. 392.

⁴³ Գ. Մ ա լ ի շ ա ն, *Լորիի կյարիկյան...* გვ. 28.

⁴⁴ Բ. Ի. Մ ա թ ի Վ ի յ ա ն, *Քիտიզიკայունքր կյարիկյանքերի պատմու-
 լիան վերաբերյալ, Գատմտ բանասիրական հանդես*, 3 (42), 1968, Ներքվան,
 33-199—202.



ბის სოციალური ბუნების შესახებ. ბაგრატიანიანთა ეპოქის სომხეთის სხვა მხარეებისაგან (მაგ., სივნიეთი, ვასპურაკანე) განსხვავებით, სადაც სამეფოების წარმოქმნა ადგილობრივ მმართველობის საფუძველზე მოხდა, ხოლო მთელი მემკვიდრეობით მფლობელთა, სამხედრო და ეკონომიური გაძლიერების შედეგი იყო, ტაშირ-ზორაყერტის სამეფო წარმოიქმნა ცენტრალური ხელისუფლების ადმინისტრაციული გარდაქმნების შედეგად. ბაგრატიანთა სახლმა სამეფო დომენის მხარე ტაშირ-ზორაყერტი პირობით მფლობელობაში გადასცა მმართველი დინასტიის უმცროს წევრს, აშოტ III, მწყალობელად წოდებულის შვილს გურგენს და იცნო იგი მეფედ⁴⁵.

ტაშირ-ზორაყერტის სამეფოს ისტორიული საზღვრები X—XI სს. მიჯნაზე დაახლოებით ასე გამოიყურება: დასავლეთით იგი ესაზღვრებოდა შირაკის (ანისის) სამეფოს, ჩრდილოეთით მისი საზღვრები აღწევდა საქართველომდის და აქ მისი ტერიტორიის ფარგლებში შემოდიოდა ხოჯორნი და სამშვილდე. აღმოსავლეთით მისი მოსაზღვრე ოლქები იყო ძოროფორი და კანგარქი⁴⁶. დ. ბერძენიშვილის აზრით, ტაშირ-ზორაყერტის სამეფო თავდაპირველად მოიცავდა ქვემო ქართლის ერთ ნაწილს, ძირითად სამფლობელოს სომეხი კვირიკიანებისას — ტაშირ-ზორაყერტს, ე. ი. მდ. დებედის აუზს. აქვე იყო მათი მთავარი სავანეები — ოძენი, ახპატი, სანაინი... კვირიკიანთა პოლიტიკურ ექსპანსიას N და O მიმართულებით მოყვა მისი საზღვრების გაფართოება და მან თითქმის მთელი ქვემო ქართლი მოიცვა⁴⁷.

აი, ძირითადად ყოველივე ის, რაც შეიძლება ითქვას გუგარქის ტერიტორიაზე ახალი პოლიტიკური გაერთიანების — ტაშირ-ზორაყერტის სომხური სამეფოს წარმოქმნის შესახებ⁴⁸.

⁴⁵ P. И. Матевосян. Из истории образования Лорийского царства, Вестник общественных наук АН Арм. ССР, № 3, март, 1976, Ереван, 88-95.

⁴⁶ С. Т. Еремян, Атлас к книге «История армянского народа», часть первая, Ереван, 1952, ил. რუკა: სომხეთი X—XI სს. მიჯნაზე.

⁴⁷ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 41.

⁴⁸ სპეციალური ლიტერატურა ტაშირ-ზორაყერტის სამეფოს ისტორიის შესახებ: M. Brosset, Monographie des monnaies arméniennes, St.-Petersburg, 1839; მისივე, Additions et éclaircissements à L'histoire de la Georgie Spb, 1851, გვ. 277—279; მისივე, Description des monasteres arméniens d'Haghbat et de Sanahin, SPb., 1863; მისივე, Le Ruines d'Ani histoire et description SPb, 1860; ღ. შ ი ძ ი ხ ა ნ ი, Լուսի Կիսիկեան քաղաւորներէ,

კვირიკიანთა სამეფოს დამაარსებელის გურგენ I ბავრატუნის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცნობები თითქმის არ შენახულა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი 974 წ. მონაწილეობდა აშკენაზის III-ის სამეფო კარზე გამართულ ერთერთ სამხედრო თავაზირში (იხ. ზემოთ).

მისი გარდაცვალების წელიც უცნობია. უკანასკნელად იგი იხსენიება ახპატის ერთერთ წარწერაში 991 წლისათვის. იგი დაკრძალულია სანაინში; გურგენის სახე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის ძმასთან, ანისის მეფე სუმბატ II-თან ერთად გამოქანდაკებულია სანაინის ამენაპოკიკის ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის კედელზე, სამეფო ტანსაცმელში.

996 წლისათვის საისტორიო წყაროებში (ახპატის წარწერები) ტაშირ-ზორაყერტის მეფედ იხსენიება გურგენ I-ის შვილი და მემკვიდრე დავით ანპოლინი (უმიწაწყლოდ წოდებული). თუ რატომ ეწოდა დავით გურგენის-ძეს ანპოლინი, ე. ი. უმიწაწყლო, ამის ახნას ცდილობდნენ ჟურნალისტები ბროსე, ლ. მელიქსეთ-ბეგი და სხვა მიცნიერნი. ლ. მელიქსეთ-ბეგი ამ ამბავს ასე განმარტავს: „ამ დავითმა განიზრახა მოესპო ტაშირის დამოკიდებულება ანისთან, მაგრამ დამარცხებულ იქნა გაგიკის შირ (ანისის მეფე — თ. პ.), რომელსაც შედიგად ის მოჰყვა, რომ დავითი გააძევეს თავის „სამეფოდან“ და ამის გამო მას „უმიწაწყლო“ (Անწყին) უწოდეს“-ო.⁴⁹ უფრო დამაჯერებელი ახსნა ამ საკითხის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება.

დავით ანპოლინი ტაშირ-ზორაყერტის სომეხ კვირიკიანთა დინასტიის ერთერთი ყველაზე უფრო ძლიერი და ძლევაპოისილი მეფეა. მან შეძლო თავის სამფლობელოსათვის ახალი ტერიტორიების შე-

ყუთაძე, იქნა, 1923; А. Пахомов, О монете Корики Куропалата, Известия Кавказского историко-археологического института в Тифлисе, т. III, Тифлис, 1925; ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა, ტფილისი, 1928; Р. И. Матвеев, Замечания по истории Кюрикидов, «Историко-филологический журнал», 1968, № 3, Ереван, გვ. 199—208 (სომხურ ენაზე); მისივე, Восточный Гугарк в первой половине XI в., იქვე, 1969, № 2, გვ. 115—120 (სომხ. ენაზე); მისივე, Из истории образования лорчийского царства, Вестник общественных наук АН Арм. ССР, № 3, март, Ереван, 1976, გვ. 86—95 (სომხურ ენაზე); დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1979.

49 ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი, გვ. 28.



მოერთება და სამეფოს საზღვრების გაფართოება. იგი ეცოლებოდა თბილისის არაბ ამირას, დაეუფლა ქ. დმანისს, შემუსრა⁵⁰ გამამს-გმირი ფადლუნის⁵¹. დავით ანპოლინმა ჩაახშო ცენტრალური მსჯობის ქვეყნის შიგნით, დაიპყრო მარზპან დემეტრეს სამფლობელოები, ოოდესაც ეს უქანასკნელი ცდილობდა გამოსულიყო ტაშირ-ზორაკერტის მეფის წინააღმდეგ.

X ს. 90-იან წლებში დავით ანპოლინი იმდენად გაძლიერდა, რომ იგი შეეცადა განთავისუფლებულიყო ანისის მეფის ვასალური დამოკიდებულებისაგან. დავითი აუქანყდა ანისის მეფე გაგიკ I (990—1020 წწ.) და უარი განაცხადა ეცნო ანისის ბაგრატუნების სუვერენული უფლებები. მაგრამ გაგიკი დიდძალი ლაშქრით შეიჭრა გუგარქში და ალყა შემოარტყა სამშვილდეს, დავითის რეზიდენციას. სამი თვის განმავლობაში გაგიკმა დაამარცხა ურჩი ვასალი, რის შემდეგაც დავით ანპოლინი იძულებული გახდა ისევ ეცნო თავისი ვასალიტეტი⁵¹.

1040 წ. ტაშირ-ზორაკერტის სამეფოს თავს დაესხა დვინის ემირი აბულ-სუარი. ეს იყო ყველაზე უფრო კრიტიკული მომენტი დავით ანპოლინის მმართველობის მთელს პერიოდში. აბულ-სუარმა ერთი წლის განმავლობაში დაიპყრო მნიშვნელოვანი ნაწილი ტაშირ-ზორაკერტის სამეფოსი. დავითი იძულებული შეიქნა დახმარებისათვის მიემართა ანისის მეფე იოანე-სუმბატისათვის (1020—1041 წწ.) და, გარდა ამისა, კაპანისა და აფხაზთა მეფეებისთვისაც. მან შეკრიბა აგრეთვე სახალხო ლაშქარი. ძალების დიდი დაძაბვის შედეგად დავით ანპოლინმა შეძლო ძლიერი და საშიში მტრის დამარცხება და დაიკვა ქვეყნის დამოუკიდებლობა⁵².

უნდა აღინიშნოს, რომ ტაშირ-ზორაკერტის მეფენი, როგორც ბაგრატუნთა სახლის წარმომადგენელი, თავიანთ თავს ანისის ტახტის კანონიერ პრეტენდენტებადაც თვლიდნენ. იოანე-სუმბატის გარდაცვალების (1041 წ.) შემდეგ დავით ანპოლინმა 1041—42 წწ. ორჯერ სცადა ანისის ხელში ჩაგდება, მაგრამ ორივეჯერ მარცხი განიცადა⁵³.

⁵⁰ Степанос Таронци, Всеобщая история, гл. 256—257.

⁵¹ Степанос Таронци, гл. 279.

⁵² Р. И. Матевосян, Восточный Гугарк в IX—XIII вв., Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата ист. наук, Ереван, 1969, гл. 11.

⁵³ Маттеос Ураци, История, Иерусалим, 1869, гл. 98—99, 103 (სომხურ ენაზე).



დავით ანპოლინი გარდაიცვალა დაახლოებით 1048—1049 წელს. მან ტაბტი დაუტოვა თავის უფროს შვილს კვირიკე I-ს, რომელიც დროებით ვწყვეტთ ტაშირ-ზორაკერტის სამეფოს მომდევნო ისტორიის თხრობას და გადავდივართ კახეთისა და ტაშირ-ზორაკერტის სომხური სამეფოს ურთიერთობის ზოგიერთი იმ ფაქტის განხილვაზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სწორედ დავით ანპოლინის მმართველობის წლებში.

საქმე იმაშია, რომ დავით ანპოლინს კვირიკეს გარდა ჰყავდა მეორე მემკვიდრეც: ეს იყო მისი უმცროსი შვილი გაგიკი, რომელიც „რანთა და კახთა მეფის“, კვირიკე III დიდის (1009—1037 წწ.) გარდაცვალების შემდეგ კახეთ-ჰერეთის სამეფო ტაბტზე აღმოჩნდა. ამ აქტით კახეთში საფუძველი ეყრება ტაშირ-ზორაკერტელი სომეხი ბაგრატუნების ანუ კვირიკიანების დინასტიის ერთერთ შტოს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კახეთში იწყება სომეხ კვირიკიანთა სახლიდან გამოსული მეფეების მმართველობის ხანა (ე. წ. „კახელი კვირიკიანები“). ამ დინასტიის ფუძემდებელი კი, როგორც აღინიშნა, გახლდათ ტაშირ-ზორაკერტის მეფის დავით ანპოლინის ძე გაგიკი.

კახეთ-სომხეთის ურთიერთობის ზემოაღნიშნულ ფაქტებს ქართული წყაროებიც გვიდასტურებენ. კერძოდ, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი მოგვითხრობს, რომ კვირიკე III-ის გარდაცვალების შემდეგ „იყო მეფე კახეთს გაგიკ, ძე დავით სომეხთა მეფისა სამშვილდარისა და ძორაკერტელისა, დისწული კვირიკისი“⁵⁴. ქართულ მატიანეში მოხსენებული „დავით სომეხთა მეფე სამშვილდარი და ძორაკერტელი“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის იგივე დავით ანპოლინი (უმიწაწყლო) — ტაშირ-ზორაკერტის მეფე. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს მისი ზედწოდებიდანაც: „სამშვილდარი და ძორაკერტელი“. სამშვილდე დავით ანპოლინის რეზიდენცია იყო, ძორაკერტი კი მისი სამფლობელოს ერთერთი შემადგენელი ნაწილი. ამავე ცნობიდან იმასაც ვგებულობთ, რომ დავით ანპოლინი კვირიკე III-თან ნათესაურად არის დაკავშირებული, იგი მისი სიძეა — დის მეუღლე. გაგიკი კი კვირიკეს დისწულია. ე. ი., მართალია, გაგიკ დავითის-ძე კახეთში სათავეს უდებს სომეხ კვირიკიანთა დინასტიის ერთერთ შტოს, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი დედის მხრიდან მკვიდრო ნათესაურ კავშირში არის კახეთის წინარე ეროვნულ დინასტიასთან.

სამწუხაროდ, „რანთა და კახთა მეფის“ კვირიკე III-ის ბიოგრაფია ბურუსით არის მოცული. წყაროებიდან არ ჩანს, ჰყავდა თუ

⁵⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 297.

არა მას შეილება. ამ მიმართებით საყურადღებოა ვახუშტი ბაგრატიონის ჩვენება. იგი გვამცნობს: „ხოლო კვირიკე მეფისაჲსა დაჲსაჲ ძე, არამედ გაეშვილა დისწული თჳსი სომეხთა მეფისაჲსაჲსა დედლის დავითის ძე გაცი, და შემდგომად სიკუდილისა კვირიკე მეფისა დაჲსაჲ ესე გაცი (—გაგიკი—თ. პ.) კახთა მეფედ“⁵⁵. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ბერძენიშვილის აზრით, მცხეთის XI ს. საბუთის პელქისედეკის „დაწერილის“ დამამტკიცებელი „კვირიკე მეფე დისწული კვირიკე მეფისა“ არის იგივე გაგიკ ძე სომეხთა მეფისა დავითისი და დისწული კვირიკე რანთა და კახთა მეფისა. როგორც ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს, „კახეთში გამეფებულ გაგიკ დავითის ძეს ბიძის (დედის ძმის) და მამობილის სამფლობელოსთან ერთად მისი სახელიც დაუმკვიდრებია, კვირიკედ წოდებულა“⁵⁶. ეს გაგიკი resp. კვირიკე, კახეთ-პერეთის მეფე, ჩვენ არ უნდა ავურიოთ სომეხთა მეფე კვირიკე სამშვილდარ-ზორაყერტელთან, დავითის ძესთან, რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, გამეფდა 1048 წ. ის იყო ძმა კახთა მეფის გაგიკისა, დავით ანჰოლინის ძისა, კვირიკე დიდის დისწულისა. მაშასადამე, თვით ეს კვირიკე ტაშირ-ზორაყერტის მეფეც, შესაძლებელია, იყო კვირიკე დიდის დისწული.

შედარებით უფრო ნათელია ის ცნობები, რომლებიც კვირიკე III-ის ოჯახის სხვა წევრებს, კერძოდ მის დებს შეეხება. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორის ცნობით, კვირიკე III-ს ორი და ჰყოლია. ერთი ეს იყო გაგიკის დედა, რომელიც გათხოვდა ტაშირ-ზორაყერტის მეფე დავით ანჰოლინზე, ხოლო მეორე კი ცოლად ჰყოლია შარილელ მთავარს⁵⁷. სამწუხაროდ, წყაროებს არც კვირიკეს დების სახელები შემოუნახავს. ჩვენ არ ვიცით, თუ რა ერქვა გაგიკის დედას, ე. ი. დავით ანჰოლინის მეუღლეს, ამ მიმართებით ყურადღებას იპყრობს მ. ბროსეს დაკვირვება „მატიანე ქართლისაჲ“-ს იმ ცნობაზე, რომელიც ჩვენ ერთხელ უკვე მოვიტანეთ: „იყო მეფე კახეთს გაგიკ ძე დავით სომეხთა მეფე სამშვილდარისა და ზორაყერტელისა“. მ. ბროსეს შეხედულებით, ამ ცნობაში შემონახული უნდა გვეჩონდეს გაგიკის შობლების სახელები. მისი აზრით, „დავით სომეხთა მეფე სამშვილდარი“ არის გაგიკის მამა, იგივე დავით ანჰოლინი (უმეფაწყო), ხოლო „ზორაყერტელი“ კი გაგიკის დედაა, დავით

⁵⁵ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 562.

⁵⁶ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ. 1967, გვ. 237—238.

⁵⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 297, 298.

ანპოლინის მეუღლე. ამრიგად, მ. ბროსეს დაკვირვების მიხედვით კვირიკე III-ის იმ დას, რომელიც გათხოვილი იყო ტაშირ-ზორაკერტის მეფე დავით ანპოლინზე, ზორაკერტელი უნდა იყოს ^{სამხრეთ-დასავლეთით} უფრო მეტი ვარკვეულობისათვის მოვიტანოთ თვით მ. ბროსეს სიტყვები: «Cwirice III, dit le Grand, dont la soeur Zoracertel épousa Dawith-Aⁿhoghin ou sans terre, fils de Gourgen, le second des rois Coriciens arméniens de Tachir et d'Albanie: c'est ce dernier que L'annaliste nomme «roi d'Arménie»⁵⁸. ამავე შრომის სხვა ადგილას კვირიკე III-ის მომდევნო მეფის გაგიკის შესახებ მ. ბროსე წერს: «Gagic, fils de Dawith, roi arménien de Samchwilde, et neveu de Cwirice par sa mere Zoracertel, soeur de ce prince»⁵⁹. ერთ სხვა გამოკვლევაში, სადაც მ. ბროსეს მოცემული აქვს ტაშირ-ზორაკერტის სომეხ კვირიკიან მეფეთა გენეალოგია, იგი დავით ანპოლინის შესახებ წერს: «Dawith Sans Terre, marie a Zolacertel, soeur de Cwirice—le Grand, roi de Cakheth»⁶⁰. და საერთოდ, ყველა იმ შრომაში, რომელშიაც კი მ. ბროსე ეხება ტაშირ-ზორაკერტის სომეხ კვირიკიანთა სამეფოს ისტორიის საკითხებს, იგი, როგორც წესი, აღნიშნავს ხოლმე: კვირიკე III-ის დას, რომელიც გათხოვილი იყო დავით ანპოლინზე, ერქვა ზორაკერტელი: «Zolacertel, mariee a Dawith, roi arménien de Samchwilde»⁶¹.

მ. ბროსეს ეს შეხედულება გაიზიარა ქართველმა ისტორიკოსმა დ. ზ. ბაქრაძემ. ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს ისტორიის პირველი ნაწილის კომენტარებში, იქ, სადაც მას მოცემული აქვს კახეთის მთავართა და მეფეთა გენეალოგიური სია, იგი აღნიშნავს: კვირიკე III-ის და იყო ზოლაკერტელი, რომელიც ირთავს სამშვილდის სომხის მეფეს დავითს და რომ ამათი შვილია გაკი ანუ გაგიკ, კვირიკესაგან შვილობილი⁶².

ჩვენის აზრით, მ. ბროსეს ზემოთ განხილული შეხედულების გა-

⁵⁸ M. Brosset. Histoire de la Georgie, p. I, SPb, 1849, გვ. 316, სქოლო 4.

⁵⁹ M. Brosset. დასახ. ნაშრ., გვ. 317.

⁶⁰ M. Brosset, Additions et éclaircissements a L'histoire de la Georgie, SPb., 1851, გვ. 161, იხ. ტაბულა.

⁶¹ M. Brosset, Monographie des monnaies arméniennes, SPb., 1839, გვ. 33, იხ. გენეალოგიური ტაბულა.

⁶² ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწილი პირველი. განმარტებული და შევსებული ახლად შექმნილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ. ტფილისი, 1885, გვ. 325.

ზიარება ერთობ ძნელია. იგი მოკლებულია დამაჯერებლობას და სიბუთიანობასაც. მანდილოსნის (და ისიც სამეფო ოჯახის წევრის, დედოფლის) საკუთარი სახელის ისეთი ფორმა, როგორც *მანდილოსანი* კერტელი“, საისტორიო წყაროებში არსად ჩანს. „მანდილოსანი“-ს ცნობის კონტექსტიდან გამომდინარე უფრო საფიქრებელია, რომ „ზორაკერტელი“ არის ტაშირ-ზორაკერტის მეფის—დავით ანჰოლინის ტიტულატურის შემადგენელი კომპონენტი.

განსხვავებულად არის წარმოდგენილი კახეთში ტაშირ-ზორაკერტის სომეხ კვირიციანთა დინასტიის ერთერთი შტოს დამფუძნებლის, გაგიკის ვინაობასომხურ ისტორიოგრაფიაში. კერძოდ, ლევონ მოვსესიანის მიხედვით, გაგიკი იყო შვილი დავით ანჰოლინისა და კახეთის წინარე დინასტიის უკანასკნელი მეფის, კვირიკე III-ის ქალიშვილის ზორაკერტელისა⁶³. ამრიგად, თუ ქართული წყაროების მიხედვით გაგიკი არის კვირიკე III-ის დისწული, სომეხი მკვლევარის ცნობით, იგი კვირიკე III-ის შვილიშვილად გვევლინება (ქალის ხაზით). თუ რას ემყარება ლ. მოვსესიანის მოსაზრება, ეს მისი გამოკვლევიდან არ ჩანს. რაც შეეხება კვირიკე III-ის ქალიშვილის საკუთარ სახელს — „ზორაკერტელ“, იგი, ჩვენის აზრით, ბროსესეული ქართული „ზორაკერტელის“ დამახინჯებული სომხური ფორმა უნდა იყოს.

რა აზრთა სხვადასხვაობაც არ უნდა არსებობდეს გაგიკ დავითის ძის ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალის გარშემო, ერთი რამ მაინც სავსებით ცხადია: მისი სახით კახეთ-ჰერეთის სამეფო ტახტზე მკვიდრდება ტაშირ-ზორაკერტის ბაგრატუნების ანუ სომეხი კვირიციანების დინასტიის ერთერთი შტო.

ამ დინასტიის ბატონობის ხანგრძლივობა კახეთში სულ 67 წლით განისაზღვრება: 1037 წლიდან დაწყებული ვიდრე 1104 წლამდე და მოიცავს ოთხი მეფის მმართველობის პერიოდს. ესენი არიან: ტაშირ-ზორაკერტის მეფის დავით ანჰოლინის შვილი და კვირიკე III-ის დის შვილი გაგიკი (1037—1058 წწ.), შემდეგ არის მისი შვილი აღსართან I (1058—1084 წწ.), რომელსაც კახეთ-ჰერეთის სამეფო ტახტზე ენაცვლება მისივე შვილი კვირიკე IV (1084—1104 წწ.) და ბოლოს, მეოთხე მეფე კვირიციანებისა — აღსართან II, რომელიც, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის⁶⁴ ცნობით, ძმისწული, ხო-

⁶³ Ղ. Մ Վ Վ Ս Յ Ա Մ Ն, Լուիսի Կյուրիկյան, ... გვ. 86; Ս Ո Ս Յ Վ, Histoire de rois Kurikian de Lori, par le p. Lewond Movsesian, Revue des etudes armeniennes, tome VII, fascicule 2, Paris, 1927, გვ. 261.

⁶⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326.



ლო ვახუშტი ბაგრატიონის⁶⁵ მოწმობით კი შეიღია კვირიკე IV-სა-
 ამ აღსართან II-ის მეფობის ხანაში დავით აღმაშენებელი⁶⁶ აქტიურ
 ღონისძიებებს ხმარობს კახეთ-ჰერეთის სამეფოს საბოლოოდ შემოერთე-
 ერებისათვის. დავითმა „ჰერეთ-კახეთის შემოერთება საქართველ-
 ოსთან უპირველეს საქმედ დაისახა. დავითი შეესაქმა საქართველოს
 გაერთიანების მომხრე ჰერ დიდებულებს“⁶⁶. 1104 წ. ჰერეთის დიდე-
 ბულებმა ჰერეთ-კახეთის მეფე აღსართან II შეიპყრეს და დავითს
 მიჰგვარეს. დავითმა ჰერეთ-კახეთი აფხაზთა და ქართველთა სამეფოს
 შემოუერთა. კახეთის სამეფომ, როგორც დამოუკიდებელმა პოლი-
 ტიკურმა ერთეულმა, არსებობა შეწყვიტა და ამ აქტივითვე ბოლო მო-
 ელო აგრეთვე სომეხ კვირიკიანთა დინასტიის მმართველობას კახე-
 თში.

და აი, ყოველივე ამის შემდეგ ისმის კითხვა: რა ძირეული
 ცვლილებები გამოიწვია ტაშირ-ზორაკერტის სომეხ კვირიკიანთა
 დინასტიის წარმომადგენელთა მმართველობამ კახეთის სამეფოს პო-
 ლიტიკურსა და შინაგანი ცხოვრების სფეროში? ანდა, საერთოდ, 67
 წლის განმავლობაში, როდესაც კახეთს სომეხ კვირიკიანთა სახლი-
 დან გამოსული მეფეები განაგებდნენ, შესაძლებელი იქნებოდა თუ
 არა სომხური გავლენის ისე ღრმად შეჭრა ცხოვრების ყველა სფე-
 როში, რომ ამას გამოეწვია ქვეყნის ეროვნული სახის შეცვლა, რო-
 გორც ამას ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ზოგიერთი მკვლევარი
 ვარაუდობს?

ჰერ დავიწყით იმ ფაქტების განხილვით, რომლებიც ე. წ. პო-
 ლიტიკური რიგის საკითხებს განეკუთვნებიან.

როგორც ცნობილია, ჩვენთვის საინტერესო ხანაში აფხაზთა და
 ქართველთა მეფეები (ბაგრატ IV, გიორგი II, დავით აღმაშენებელი)
 აწარმოებენ შეუპოვარ და ენერგიულ ბრძოლას კახეთის სამეფოს
 შემოსაერთებლად. თავის მხრივ, კახთა მეფეები თავგამოდებით იცა-
 ვენ თავიანთი სამეფოს დამოუკიდებლობას და ყოველნაირად ცდი-
 ლობენ ხელი შეუშალონ საქართველოს გაერთიანებისათვის მებრ-
 ძოლ მეფეს მათ საკუთარ ქვეყანაში კუთხური ხელისუფლების ამო-
 გდებისა და ლიკვიდაციის საქმეში. და აი, თუ ჩვენ ყურადღებით გა-
 დავხედავთ სათანადო ფაქტებს, აშკარად შევამჩნევთ ერთ მეტად სა-
 ინტერესო მოვლენას: ამ ბრძოლაში კახთა მეფეს გვერდში უდგას ტა-

⁶⁵ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 563.

⁶⁶ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ.



შირ-ზორაყერტის სომხური სამეფოს მმართველი. ასე იყო ეს, მაგალითად, ბაგრატ IV-ის დროს, როდესაც კახეთში გაგვიქცეს მადიდ, ხოლო ტაშირ-ზორაყერტში კი მისი მამა დავით ანჰოლინის წინააღმდეგ გამოწვეული მათი ძალების გაერთიანება? განა მხოლოდ იმით, რომ ისინი ერთმანეთთან დინასტიურად და ნათესაობით (მამა-შვილობით) იყვნენ დაკავშირებულნი? განა იმიტომ, რომ ორივე წარმოშობით სომეხი კვირიკიანი იყო? რა თქმა უნდა, არა.

კახეთის მეფის დამხმარის როლში ტაშირ-ზორაყერტის მეფის გამოსვლა პოლიტიკური ინტერესებით იყო განპირობებული. ტაშირ-ზორაყერტის მეფის დავით ბაგრატუნის (ანჰოლინის) სამფლობელო საქართველოს სამეფოს ესაზღვრებოდა. ფეოდალურ საქართველოსა და ტაშირ-ზორაყერტის მმართველებს ბევრი რამ ჰქონდათ ურთიერთშორის სადავო. ჩვენ ხომ ზემოთ საგანგებოდ ვუჩვენეთ ის ამბავი, რომ ტაშირ-ზორაყერტის სამეფოს ტერიტორია ძირძველი ქართული მიწა-წყლისაგან შედგებოდა და ქართველი მეფეები მასზე ხელს არასოდეს არ იღებდნენ საშუღამოდ. მაგრამ ძირითადი, რამაც ტაშირ-ზორაყერტის მმართველი კახეთის მხარეზე დააყენა, ის უნდა ყოფილიყო, რომ მისთვის ყოველად მიუღებელი იყო კახეთის სამეფოზე საქართველოს მეფის ხელისუფლების გავრცელება და საქართველოსა და კახეთის სახით ერთიანი ძლიერი პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნა. ტაშირ-ზორაყერტის სამეფო კახეთისა და საქართველოს მეზობლად მდებარეობდა და ამ უკანასკნელთა გაერთიანებას შეიძლება ტაშირ-ზორაყერტის სამეფოს დამოუკიდებლობის დასასრულიც მოჰყოლოდა შედეგად. ჩვენი ამ მოსაზრების სისწორეს ისტორიულ მოვლენათა შემდგომი მსვლელობა სავსებით ადასტურებს. როგორც აღვნიშნეთ, დავით აღმაშენებლის მიერ კახეთის შემოერთებით დასრულდა კახეთში სომეხი კვირიკიანების სამეფო დინასტიის ისტორია, ხოლო ამის შემდეგ ორ ათეულ წელსაც კი არ გაუვლია, იმავე დავით აღმაშენებელმა 1118—1122 წლებში საქართველოს სამეფოს შემოუერთა ტაშირ-ზორაყერტის (აღმოსავლეთ გუგარქის, ძველი ქართული სამშვილდის საერისთავოს ქვეყანა) ტერიტორიები და ბოლო მოუღო თვით ტაშირ-ზორაყერტელ კვირიკიანთა დინასტიასაც. აღსრულდა ის, რისიც ასე ძალზე ეშინოდათ სომეხ კვირიკიანებს.

ეხლა შევეხოთ საკითხს: იმის შესახებ, თუ როგორი პოზიცია ეკავათ კახეთის მეფე ვაგიკს და ტაშირ-ზორაყერტის მბრძანებელს დავით ანჰოლინს იმ კონფლიქტის დროს, რომელიც წარმოიქმნა XI ს. 40-იან წლებში ბაგრატ IV და ლიპარიტ ბაღვაშს შორის. ცნო-

ბილია, რომ ლიპარიტი საქართველოს შიგნით სათავეში ტრიდანულ ძალებს. და აი, ამ შემთხვევაშიც (ეს ამბები ხდება 1047 წწ.) ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ მებრძოლ ლიპარიტს დასმი ჩვენ ვხედავთ კახეთის მეფე გაგიკს და ტაშირ-ზორაქრტის მმართველ დავით ანპოლინს. „მატიანე ქართლისაჲ“ მოგვითხრობს: „ხოლო ლიპარიტ შეკრიბნა კახნი და მოადგა ფოკათა... და იყუნეს თანამდგომ ლიპარიტისსა კახნი ძალითა მათითა და დავით სომეხთა მეფე (ივულისხმება ტაშირ-ზორაქრტის მეფე დავით ანპოლინი — თ. პ.) ძალითა მისითა... ლიპარიტ შეკრიბა თავისი ლაშქარი, და მოირთნა კახნი და სომეხნი და ბერძენნიცა თანა ჰყვეს“⁶⁷. ამრიგად, ლიპარიტის ძალას მართო კახელები და ტაშირ-ზორაქრტელები არ შეადგენენ, არამედ ბიზანტიის ლაშქარიც. ე. ი. ლიპარიტს სახეზე ჰყავდა საკმაოდ მსხვილი რეალური ძალა. რატომ აღმოჩნდა ტაშირ-ზორაქრტის მბრძანებელი დავით ანპოლინი ლიპარიტთან ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ ამ ბრძოლაში? პასუხი ერთია: იგი ისე უნდა ყოფილიყო დაინტერესებული მაშინ საქართველოს სამეფო ხელისუფლების დასუსტებით, როგორც „კახნი“. კახელების მოსვლაც ლიპარიტის ბანაკში იმის შედეგი უნდა იყოს, რომ ისინი ლიპარიტთან ბრძოლის მოგებისათვის საჭირო რეალურ ძალას ხედავენ. ამასთან დაკავშირებით სავესებით სამართლიანად წერს სომეხი მკვლევარი ს. ერემიანი: «Естественно, что интересы Гугарских и Кахетинских Кюрикидов совпадали. К ним и к Византии должен был примкнуть враждовавший с Багратом Липарит Липаритян»⁶⁸.

ამ ამბებიდან ერთი წლის გავლის შემდეგ გარდაიცვალა ტაშირ-ზორაქრტის მეფე დავით ანპოლინი და მის ნაცვლად იმავე 1048 წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტახტზე ადის მისი უფროსი შვილი კვირიკე I, ძმა კახეთის მეფის გაგიკისა. ამიერიდან მთელი ათი წლის განმავლობაში (ე. ი. 1058 წლამდე, როდესაც გარდაიცვალა გაგიკი) ძმები ერთდროულად განაგებენ თავიანთ ქვეყნებს: გაგიკი კახეთს, ხოლო კვირიკე კი ტაშირ-ზორაქრტს. გაგიკის გარდაცვალების შემდეგ კახეთ-ჰერეთის სამეფო ტახტზე ადის მისი შვილი აღსართან I (ვახუშტის ქრონოლოგიის მიხედვით 1058—1084 წწ.),

⁶⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 300—301.

⁶⁸ С. Е р е м я н, Полководец Липарит и его предшественники, Труды кабинета им. Н. Марра Ереванского гос. университета, 1946, № 2, გვ. 129.

რივით მეორე სომეხი კვირიკიანი მეფე კახეთში. იგი ძმისშვილია ტაშირ-ზორაყერტელი კვირიკე I-ისა.



კვირიკე I ტაშირ-ზორაყერტის სამეფოს სათავედ დააფუძნა დროს, როდესაც სომხეთში დაიწყო თურქ-სელჯუკების შემოსევები. მესამე შემოსევის დროს (1064 წ.) სულთანი ალფ-არსლანი შეიჭრა ქვეყნის ჩრდილოეთ და ცენტრალურ რაიონებში იმ მიზნით, რათა უზრუნველყო თავისი ზურგი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და საბოლოოდ განედევნა ბიზანტია მცირე აზიიდან. ალფ-არსლანი ტაშირ-ზორაყერტში შეიჭრა ალბანეთის გზით. პატარა ლორეს სამეფოს არ აღმოაჩნდა საკმარისი ძალები სელჯუკთა ურდოების გასამკლავებლად, ამის გამო კვირიკე I უფრო მიზანშეწონილად ჩათვალა ეცნო ალფ-არსლანის უზენაესი ხელისუფლებას, რათა ამით გადაეჩინა ქვეყანა ძარცვისა და სისხლისღვრისაგან.

სწორედ ამავე XI ს. 60-იანი წლების შუახანებში ადგილი აქვს კონფლიქტს ტაშირ-ზორაყერტის მეფე კვირიკე I და ბაგრატ IV-ს შორის. „მატიანე ქართლისაჲ“ მოგვითხრობს: სელჯუკთა სულტანმა ალფ-არსლანმა ბაგრატ მეფეს „სთხოვა დისწული ცოლად. და მიიქცა სულტანი ანისად, შემუსრა და წაიღო ანისი, მოსრნა და ტყუე ყვნა ურიცხვნი სულნი, და წარვიდა ქუეყანად თვსად სპარსეთად, და ანისი წარუღო ბერძენთა და მისცა მანუჩას, ძესა აბულასვარისსა.

ხოლო დისწული ბაგრატისი, რომელსა ითხოვდა სულტანი, იყო ძმისწული სომეხთა მეფისა კვირიკისი (იგულისხმება ტაშირ-ზორაყერტის მეფე—თ. პ.). სთხოვა ბაგრატ და არ მოსცა სომეხთა მეფემან. მიუგზავნა ბაგრატ მოციქულად დიდძალად ერისთავი ვარაზ-ბაკურ გამრეკელი. იბირნა კაცნი სომეხთა მეფისანიცა (იგულისხმება ტაშირ-ზორაყერტის მეფე—თ. პ.), და სამშვილდეს შემომავალი სომეხთა მეფე კვირიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრეს ქუეშის ჭალასა, და აცნობეს ბაგრატს. და წარვიდა ქვაკურელთათ მსწრაფლ, და მოგუარნეს პყრობილნი კლდეკართა ქუეშე. სთხოვა სამშვილდე და არა მოსცეს, რამეთუ ერთი ძმა მათი აღარნასე შესრულ იყო სამშვილდეს. ხოლო მიიყვანეს სამშვილდეს და ამართეს ძელი, და გასუეს სომეხთა მეფე კვირიკე სამ დღე: ითხოვეს შშვიდობა და მოსცეს სამშვილდე. ხოლო მოსრულ იყვნეს ორნი ერისთავნი სომეხთა მეფისანი: ლუკის ერისთავი და კაქვაქარისა. აძლედა და მოსცემდა სამთა ციხეთა სუმბატ, ძმა კვირიკისი: ოფრეთს და კოშკსა და ვარზაქარსა. ხოლო შეეწყალნეს ბაგრატ მეფესა: მისცნა და უთავისუფლნა ყოველი ციხენი თვნიერ სამშვილდისა; და არც სხუანი ციხეთა-უფალნი;

კაცნი ღიდებულნი, შემოუშვნა, არამედ სამსკლდე ოდენ სახლად თესად, და ეგრეთვე მონებდეს სომეხნი⁶⁹. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორის ამ მონათხრობში ჩვენ არ გვაინტერესებთ ის, თუ როგორ და რა დროს და ტაშირ-ზორაყერტის მეფის კვირიკე I-ის მინისწულის დაქორწინების ამბავი. აქ ჩვენთვის ის არის მთავარი და საყურადღებო, რომ 1064 თუ 1065 წ. ბაგრატ IV დაუპყრია ქ. სამშვილდე, რომელიც მან „იურვა სახლად თესად“, და აგრეთვე ისიც, რომ აფხაზთა და ქართველთა მეფეს „მონებდეს სომეხნი“ — ე. ი. ტაშირ-ზორაყერტელები. საქმე იმაშია, რომ ტაშირ-ზორაყერტის სამეფო ძირძველი ქართული მიწა-წყლისაგან შედგებოდა. როგორც ზემოთ ვნახეთ, IX ს-ში აქ სომეხთა უპირატესობა დამყარდა და იგი მოსწყდა ქართლს. პოლიტიკური თვალსაზრისით ქართლის ამ ტერიტორიაზე სომეხთა მფლობელობის დამყარებამ მძიმე შედეგები გამოიღო. ამ მიმართულებით საქართველოს მოერღვა საუცხოო საფარი და გარეშე მტერს ამ მხრიდან შემოსევა გაუადვილდა. მაგრამ ბრძოლა ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. ქართველი მეფეები არასოდეს არ ცნობდნენ ქვემო ქართლის ამ ტერიტორიების სომეხთაგან მითვისების ამ აქტს. მათ არასოდეს არ აუღიათ ხელი ხუნან-სამშვილდის საერისთავოთა ამ ძველისძველ მიწებზე. X—XI სს. და აგრეთვე XII ს. I მეოთხედში სომეხთა მიერ მითვისებული ქართლის მიწა-წყლის გამოხსნის საკითხი საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეებისათვის მეტად მწვავე და დიდად საზრუნავ საქმეს წარმოადგენდა. განსაკუთრებით აქტიურად დაისვა ამ მიწების შემოერთების საკითხი ბაგრატ IV და დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკაში. ეს საკითხი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ერთერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო. როგორც ბაგრატ IV-სათვის, ასევე დავით აღმაშენებლისათვის ამ საკითხის გადაწყვეტის მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობდა — მისი დაპყრობა, აქ „ქართველობის“ აღდგენა და მისი კვლავ საქართველოსათვის შემოერთება. ამ მიმართებით პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბაგრატ IV-მ გადადგა, როდესაც მან ტაშირ-ზორაყერტის მეფე კვირიკე I-ს სამშვილდე ჩამოართვა, ხოლო ცოტა მოგვიანებით კი ეს საქმე წარმატებით დაავგირკვინა დავით აღმაშენებელმა.

მას შემდეგ, რაც ბაგრატ IV-მ ტაშირ-ზორაყერტის მეფეს სამშვილდე წაართვა, მისი სამეფოს ცენტრი გახდა ქ. ლორე. კვირიკე I დროიდან ჩვენამდე მოაღწია ერთადერთმა მონეტამ სომეხი ბაგრა-

⁶⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 307.



ტუნების ეპოქიდან. მონეტაზე ასეთი შინაარსის სომხური წარწერაა — „უფალო, შეიწყალე კორიკე კუროპალატი“. კვირიკე I-ის ბიზანტიური ტიტულით „კუროპალატობით“ მოხსენიება, კუროპალატობის ე. პახომოვი აღნიშნავს, აიხსნება იმით, რომ ლორეს მეფე მიისწრაფოდა კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონოდა ბიზანტიელებთან, რომელნიც ამ დროისათვის უკვე დაუფლებოდნენ ანისს. ამისათვის კი, განაგრძობს ე. პახომოვი, აუცილებლად საჭირო იყო, რომ მას შესაფერისი ადგილი დაეკავებინა ბიზანტიის იმპერიის იერარქიაში ამა თუ იმ საკარისკაცო ტიტულის მიღების გზით⁷⁰. სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული მონეტაზე კვირიკე I-ის „კუროპალატობით“ მოხსენიება, ნაცვლად „მეფისა“.

საინტერესოა, თუ რა პოზიცია ეკავა კახეთის მეფე აღსართან I და ტაშირ-ზორაყერტის მეფე კვირიკე I იმ სიტუაციაში, როდესაც ბაგრატ IV-ს საგარეო საფრთხე დაემუქრა. მხედველობაში გვაქვს თურქ-სელჩუკთა შემოსევები. ამჟერადაც ორივენი, ძმისშვილი და ბიძა, გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს წინააღმდეგ გამოდიან. აფხაზთა და ქართველთა მეფისაგან თავდაცვის მიზნით, აღსართანი სულთან ალფ-არსლანს ეახლა, გამაჰმადიანდა და ამით შეინარჩუნა სამეფოს დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ კახეთ-ჰერეთის მეფეს ჩვენ სულთან ალფ-არსლანის მოკავშირეთა რიგებში ვხედავთ და იბრძვის აფხაზთა და ქართველთა მეფის, ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ. ეს გასაგებიცაა, რადგან ბაგრატ IV კახეთის სამეფოს ლიკვიდაციისაკენ მიისწრაფოდა. ალფ-არსლანის ერთ-ერთ ასეთ ლაშქრობაში, როგორც „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი მოგვითხრობს, აღსართან I გარდა მონაწილეობდა ტაშირ-ზორაყერტის მეფე კვირიკეც. რით იყო განპირობებული კახეთისა და ტაშირ-ზორაყერტის მმართველთა პოლიტიკური ინტერესების ერთიანობა? იმიტომ ხომ არა, რომ ორივე ისინი სომხური დინასტიის წარმომადგენელი იყვნენ წარმოშობით. რა თქმა უნდა, არა. იყო თუ არა მათ მიერ წარმოებულ პოლიტიკა წმინდა „სომხური“? რა თქმა უნდა, არა. მათი პოლიტიკური ინტერესების დამთხვევა ნაკარნახევი იყო იმდროისათვის ამიერკავკასიაში შექმნილი საერთაშორისო ვითარებით. ჩვენთვის საინტერესო ხანაში კახეთის სამეფოს სათავეში ეროვნული, ქართული („კახური“) დინასტიის წარმომადგენელი რომ ყოფილიყო, ისიც ისეთივე შეუპოვრობით იბრძოლებდა საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი ქართველი მეფის წინააღმდეგ, როგორც ამას სჩა-

⁷⁰ Е. Пахомов, О монете Корики куроалата, გვ. 44.



დიოდნენ სომეხი კვირიკიანები. ასეთი იყო ფეოდალური ურთიერთობის არსი, მისი სოციალური ბუნება. ასეთი დასკვნის კიდევ ერთი საფუძველი ეშლება იმ მკვლევართა დებულებების კომპლექსის მიხედვითაც კახეთი სომხურ ქვეყნად ინათლებოდა მხოლოდ იმის გამო, რომ მას 67 წლის მანძილზე სომეხ კვირიკიანთა სახლიდან გამოსული მეფენი განაგებდნენ.

როგორ დატრიალდა კვირიკიანთა დინასტიის შემდგომი ბედი? უკანასკნელად ტაშირ-ზორაყერტის მეფე კვირიკე I იხსენიება ახბატის ერთერთ წარწერაში 1089 წ. ზუსტი თარიღი მისი გარდაცვალებისა არ არის ცნობილი. მის შემდეგ ტაშირ-ზორაყერტის სამეფო ტახტს იკავებენ მისი შვილები, ძმები დავითი და აბასი. მათი თანამედროვენი კახეთის სამეფოში იყვნენ ჭერ კვირიკე IV (1084—1104 წწ.), ზოლო შემდეგ კი აღსართან II, რომლის დროსაც 1104 წ. კახეთი საბოლოოდ ექცევა გაერთიანებული საქართველოს ფეოდალური მონარქიის პოლიტიკურ ფარგალს შიგნით და ამით სამუდამოდ ბოლო მოეღო სომეხ კვირიკიანთა დინასტიის იმ განშტოებას, რომელმაც მხოლოდ 67 წელი იარსება კახეთში.

რაც შეეხება კვირიკიანთა დინასტიის ძირითად შტოს, ის კვლავ განაგრძობს არსებობას. კვირიკე I შემკვიდრეების დავით II და აბას I დროს სელჯუკთა შემოსევები კიდევ უფრო გაძლიერდა. 1105 წ. სელჯუკთა ემირი შემოიჭრა გუგარქში, დაიპყრო ქ. ლორე და აგრეთვე დაარბია სანაინი და ახბატი. მაგრამ ეს იყო ჩვეულებრივი მძარცველური ხასიათის შემოსევა, რის შემდეგაც ძმები დავითი და აბასი ჭერ კიდევ ინარჩუნებენ სამეფოს ცენტრალურ ნაწილს. თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში მკვლევარმა რ. მათევოსიანმა სცადა დაეზუსტებინა კვირიკიანთა სამეფოს დაცემის თარიღი. საისტორიო წყაროებში შემონახულ ცნობებში მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ 1110 წ. როდესაც სელჯუკები თავს დაესხნენ სანაინს, აქაურ მონასტერში იმყოფებოდა მეფე დავით II. აქედან გამომდინარე რ. მათევოსიანი დაასკვნის, რომ 1110 წ. ლორეს სამეფო ჭერ კიდევ არ იყო დაცემული. ვარდანი და კირაკოს განძაკელი გვატყობინებენ: დავითი და აბასი იძულებული შეიქნენ მიეტოვებინათ მშობლიური ადგილები და თავი შეეფარებინათ არრანის (ალბანეთის) ციხესიმაგრეებში ტაუშსა და მაწნაბერდში; სამწუხაროდ, ვარდანი და კირაკოსი თარიღს არ გვაწვდიან. სტეფანოს ორბელიანი მიუთითებს 1113 წ. მხითარ აბრიანელი კი 1111 წ. ყველა ამ მონაცემის გათვალისწინების საფუძველზე რ. მათევოსიანი ლორეს სამეფოს.

დაკავშირებული ქართლისა და პერეთ-კახეთის ბაგრატიონებთან, საქართველოს ფეოდალურ სახლებთან⁷⁴.

კვირიციანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი რდნენ თავუშისა და მაწნაბერდის ციხეებში, უტის პროვინციაში. თავუშის ციხე აბასის მფლობელობაში რჩება 1145 წლამდე, იგი მას წაართვა განძის ამირამ. აბასი თავს აფარებს თავის ძმასთან მაწნაბერდში, სადაც დავითმა საფუძველი ჩაუყარა ე. წ. მაწნაბერდის სამთავროს და ამით გახდა პირველი წარმომადგენელი კვირიციანთა დინასტიის ახალი შტოსი. დავით II და აბას I იყვნენ უკანასკნელი გვირგვინოსნები სომეხ კვირიციანთა სახლიდან. ორივენი გარდაიცვალნენ 1145 წ. მათი შთამომავალნი ერთხანს კიდევ რჩებიან მაწნაბერდისა და არჩანის სხვა ციხეთა მფლობელებად, მაგრამ მათი დღეები უკვე დათვლილია. მათი მამულები ქუცმაცდება მემკვიდრეებს შორის და სულ ჩქარა ისინი კარგავენ დამოუკიდებელ მნიშვნელობას. XIII ს. მეორე ნახევრიდან კვირიციანები ქრებიან ისტორიული ასპარეზიდან და ისტორიული წყაროებში მათ შესახებ ცნობები აღარ გვხვდება⁷⁵. ეს კი იმის ნათელი დადასტურება უნდა იყოს, რომ ამიერიდან ყოველად გამორიცხულია სომეხ კვირიციანთა დინასტიის წარმომადგენელთა რაიმე მონაწილეობა კახეთის ისტორიულ ცხოვრებაში. როდესაც ჩვენ ამ უკანასკნელ გარემოებას ხაზს ვუსვამთ, მხედველობაში გვაქვს ვახუშტი ბაგრატიონის ერთი მეტად საყურადღებო ცნობა. ვახუშტი თავის შრომაში — „აღმოჩენა და პყრობა აწინდელთა მეპატრონეთა კახეთისათა“ — იწყებს რა გვიანფეოდალური კახეთის ანუ, როგორც ამბობენ, კახეთის ახალი სამეფოს ისტორიას, იგი მოგვითხრობს, თუ როგორ ჩაუდგნენ მას სათავეში ქართველ ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლები. და აი, ამასთან დაკავშირებით ვახუშტი წერს: „კუალად ვინამენი იტყუან ჰეთა აღსართანისათა (აქ ვახუშტი გულისხმობს კახეთის სომეხ კვირიციანთა დინასტიის შთამომავლობას — თ. პ.) ყოფად მათ. არამედ ესე უმეტეს შეუშვანესბელ არს თქმად. ვინაიდან აღსართანის ნათესავე მოსწყდა ეამსავე დავით აღმაშენებელისასა, ვითარცა ითქუა. მეორედ

⁷⁴ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საზღვრები, ტფ., 1919, გვ. 20, 21. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა, ტფ., 1928, გვ. 26—27; დ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 104; მ ი ს ი ე ვ, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 72.

⁷⁵ P. И. Матевосян, დასახ. ნაშრ., გვ. 14—15; Е. Пахомов, Монете Корики куропалата, გვ. 42—43.

არა იქმნას გუარი ტ'აგ წელსა (ე. ი. 363 წ.), არათუ იყოს ჩრდილო-და დადგრეს მოსახსენებელად. მესამედ, რამეთუ არა სადამე ვიხილავთ კულად მოქსენებასა, ანუ ყოფნასა მათსა აღმაშენებელადამ ო'მ მეფის გიორგისამდე⁷⁶. ამკარად ჩანს, რომ ვახუშტის ცნობებს ეკამათება. მისი სიტყვები: „კულად ვინამენი იტყუან“, ამის დადასტურებაა. და იგი ეკამათება იმათ, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ კახეთის ახალი სამეფოს მმართველი დინასტიაც თავისი წარმოშობით აღსართანის ძეთა ანუ სომეხ კვირიკიანთა დინასტიის შთამომავალთაგან მომდინარეობსო. ვახუშტი ამას სრული კატეგორიულობით უარყოფს და მკაფიოდ აღნიშნავს: „ესე უმეტეს შეუმგზავსებელ არს თქმად“, რადგან საყოველთაოდ ცნობილიაო, რომ „აღსართანის ნათესავი მოსწყდა ქამსავე დავით აღმაშენებლისასა“-ო. ვახუშტი ბაგრატიონის ამ დებულების ქეშმარიტებას სავსებით ადასტურებს ჩვენს მიერ ზემოთ მოთხრობილი სომეხ კვირიკიანთა დინასტიის ისტორიული თავგადასავალი.

ამის შემდეგ გადავიდეთ იმ საკითხის განხილვაზე, თუ რა გავლენა შეიძლება მოეხდინა კახეთის სამეფოს შინაგან ცხოვრებაზე სომეხ კვირიკიანთა სახლიდან გამოსულ მეფეთა მმართველობას. შეიძლებოდა თუ არა ყოფილიყო კახეთის მმართველი დინასტიის სომხური წარმოშობა გადამწყვეტი ფაქტორი ამ უძველესი დროიდანვე თავისი საფუძვლებით ქართული ქვეყნის გასომხებისა, როგორც ამას ზემოთ ხსენებული მკვლევარნი ასაბუთებენ. რა თქმა უნდა, არა. საისტორიო წყაროებში ჩვენ არ მოგვეპოვება არცერთი სააშისო ჩვენება, პირიქით, ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა სახის ისტორიული მასალა უდავოდ იმას ადასტურებს, რომ, ისე როგორც ადრე, ასევე აღნიშნულ ხანაშიც კახეთი ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა. 67 წლის განმავლობაში სომხური წარმოშობის დინასტიამ ვერ შეძლო (ეს გამორიცხული იყო) მკვიდრი ქართული საფუძვლების მოშლა. აი, ზოგიერთი ფაქტიც.

კახეთ-პერეთის პირველი სომეხი კვირიკიანი მეფე ვაკიცი resp. კვირიკე, XI ს. მელქისედეკის დაწერილში იხსენიება, როგორც „ძლიერი მეფე“⁷⁷. იგი ქართველთა და აფხაზთა მეფე ბაგრატ IV-სთან ერთად მელქისედეკის „დაწერილის“ დამამტკიცებელია. თვით ეს ფაქტი ჩვენი საკითხისათვის თავისთავად მრავალმნიშვნელოვანია.

⁷⁶ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 565.

⁷⁷ ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV, თბ., 1967, გვ. 285.



მაგრამ კახეთის სამეფოსა და ქართლის კულტურული ერთიანობის თვალსაზრისით უფრო მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, შარში მწერლის ქინედუკის „დაწერილის“ (XI ს.) მიხედვით—მცხეთის მცხეთის მცხეთის სო ეკლესიას კახეთ-ჰერეთის სამეფოში ჰქონდა მთელი რიგი მამულებისა დასახლებული პუნქტებით, რომლებიც სვეტიცხოველისათვის მელქისედეკს შეუწირავს. როგორც საბუთში ვკითხულობთ, ესენი იყო „ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალითა ლაგოდები, და ჰერეთსავე კატეხისა ეკლესია შესაეალითა მისითა და კაცს ვაჰარნი იბ და ზიარი სოფელი დიდი“⁷⁸. ამრიგად, ზემოთ მოტანილი საბუთიდან ირკვევა, რომ მცხეთის საკათალიკოსოს (ქართლის ეკლესიას) XI ს. მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული კახეთის სამეფოში, აქაურ მოძმე ქართულ მოსახლეობაში უშუალოდ შეჰქონდა ქრისტიანული მოძღვრება და აქ მტკიცე პოზიციებს იპყრობდა. ამყარაა, რომ მცხეთა კახეთის სამეფოს კულტურულ-რელიგიური გაერთიანება-შემოერთებისათვის მიიწევდა. იმ დროს, როდესაც „აფხაზთა და ქართველთა“ მეფეები ქვეყნის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს, მცხეთა ამ პოლიტიკურ მთლიანობას ერთს და მთლიან კულტურულ შინაარსს აძლევდა. ვფიქრობთ, სურათი ნათელია. სომეხ კვირიციანთა დინასტიის პირველი მეფის გაგიკის დროს კახეთის სამეფოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მცხეთის ქალკედონიტური ეკლესიაა გაბატონებული. ეს უკანასკნელი გარემოება კი ყოველნაირად გამორიცხავს კახეთის მოსახლეობის სომხურობას, როგორც ამას ზოგიერთი ზემოთ ხსენებული მკვლევარი ვარაუდობს. აქაური მოსახლეობა საეკლესიო ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე იმეხნს. მოვიტანოთ კიდევ ერთი ფაქტი. ზირსის წმ. სტეფანეს ეკლესიის სამხრეთ ფასადზე, ზემო რელიეფური ჯვრის მარცხენა მკლავზე მოთავსებულ ქართულ ასომთავრულ წარწერაში იხსენიება კახეთის კვირიციანთა მეფე გაგიკი. აღნიშნული წარწერა იკითხება: „ქრისტე, აღიდე გაგიკ მეფე“⁷⁹. ამ წარწერაში ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ქართულ ეკლესიას გაგიკი მიიჩნია ისეთ პიროვნებად, რომელსაც კახეთის სამეფოს წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის და ამიტომ მას თვლის „დიდების“ ღირსად.

კახეთის სამეფოს მესამე კვირიციანი მეფის კვირიკე IV (1084—1104 წწ.) შესახებ ჩვენ მცირე ცნობები გავაჩნია. დავითის ისტო-

⁷⁸ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. IV, გვ. 283.
⁷⁹ თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962, გვ. 150.

რიკოსი და ვახუშტი ბაგრატიონი სულ რაღაც ორიოდ სიტყვით გადმოგვცემენ მისი მეფობის ხანას, მაგრამ მათ არ ავიწყდებათ საგანგებოდ გაუსვან ხაზი ერთ მეტად მნიშვნელოვან დეტალს, ანუ მეფობდა კვირიკე, (იგულისხმება კვირიციანთა დინასტიის კვირიკე IV — თ. პ.) კაცი ჭეშმარიტი ქრისტიანე⁸⁰. ე. ი. კვირიკე IV, რომელიც წარმოშობით სომეხ კვირიციანთა დინასტიიდან იყო, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თვალთახედვით, იგი ქართველი ხელისუფალია, იგი აღიარებს იმ სახელმწიფოს ოფიციალურ მსოფლმხედველობას, სადაც მას უხდება პოლიტიკური მოღვაწეობა. ასე უნდა გავიგოთ დავითის ისტორიკოსის ეპითეტი კვირიკე IV-ის მიმართ: „ჭეშმარიტი ქრისტიანე“. უფრო მეტიც, როგორც ზოგიერთი დოკუმენტური წყაროდან ჩანს, კვირიკე IV-ის მეფობის ხანისათვის კახეთ-ჰერეთისა და აფხაზთა და ქართველთა სამეფოების კულტურულ-რელიგიური ერთიანობა კიდევ უფრო განვითარებულა და მყარ საფუძველზე დამდგარა. ამის საუკეთესო მოწმობაა კახეთ-ჰერეთის მეფის კვირიკე IV-ის სამწირველოს არსებობა ქართლში — შიო მღვიმის მონასტერში⁸¹.

ზემოთ მოტანილი ისტორიული მონაცემებიდან აშკარად ჩანს, რომ კახეთის სამეფოში, სომეხ კვირიციანთა სახლიდან გამოსულ მეფეთა მმართველობის ხანაში, სომხური გავლენის არსებობაზე და აქაური მოსახლეობის გასომხებაზე ლაპარაკი საფუძველს მოკლებულია. აღნიშნული ხანის კახეთის სამეფოში ქართულ კულტურას ღრმად აქვს გაღვმული ფესვები, კახეთის სამეფო ისეთივე ძირძველი ქართული ქვეყანაა, როგორიც იყო ეგრის-აფხაზეთი, ტაო-კლარჯეთი, ჰერეთი.

⁸⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 563.

⁸¹ დაწერილი შიომღვიმის კრებულისა ტოხაისძეებისადმი (1190—1204); დაწერილი შიომღვიმის კრებულისა ზოსიმე ტოხაისძისადმი სამწირველოს ბოძების შესახებ (1260—1270 წწ.) — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 129—132; 165—172.

ქორეპისკოპოსის ინსტიტუტი

ი. ჭავჭავაძე, ეხებოდა რა ადრეფეოდალური ხანის ქართული პოლიტიკური ერთეულების სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხებს, აღნიშნავდა: „სანამ ბაგრატ III საქართველოს ერთ სამეფოდ შექმნიდა და დავით აღმაშენებელი ამ სახელმწიფოს სრულს გაერთიანებას დაამთავრებდა, ჩვენი ქვეყანა რამდენსამე პატარა სამეფოდ იყო გაყოფილი. კახთა და ჰერეთის სამეფო აღმოსავლეთით, უკვე გაერთიანებული აფხაზთა მეფეთა საბაძნებელი, რომელიც ლიხის მთამდე იყო გადმოქიმული, დასავლეთით, დასასრულ მესხეთისა და ქართლის მფლობელთა, „ქართველთა მეფედ“ წოდებულთა სამეფო,—აი, ის პატარა ქართული სახელმწიფო ერთეულები, რომელთაც თავიანთი საზოგადოებრივი წესწყობილებაც ჰქონდათ და სახელმწიფო დაწესებულებანიც. შეუძლებელია საერთო თვისებებს გარდა მათ ადგილობრივი, კუთხებრივი თავისებურებაც არ ჰქონოდათ, ზოგ რაშიმე განსხვავება არ ყოფილიყო... საფიქრებელია და ამის დამამტკიცებელი საბუთებიც გვაქვს, რომ სხვადასხვა სამეფოში, საერთო დაწესებულებებს გარდა, თვითთველში რამდენიმე ადგილობრივი, განსხვავებული თანამდებობაც იყო, იქნებ იმდენად არსებობდა არა, როგორც სახელებით მაინც. ამას ცხად-ჰყოფს თუნდაც კახთა სამეფოს „ქორეპისკოპოსობა“, კლარჯთა მფლობელობის „მამულაობა“, ტაო-კლარჯეთის „ტანუტერობა“, „ოთხმიზდურობა“ დასავლეთ საქართველოში და სხვა“¹. IX—X სს. ცალკეული ქართული პოლიტიკური ერთეულების სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის დამახასიათებელ კუთხურ თავისებურებათა შორის, რომელნიც შენიშნული აქვს ი. ჭავჭავაძეს, ჩვენს საგანგებო ყუადღებას იპყრობს კახეთის სამთავროში არსებული „ქორეპისკოპოსის“ ინსტიტუტი.

¹ ი. ჭავჭავაძე, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი 1, ტფ., 1928, გვ. 3, 201—202.



¹ როგორც ზემოთ მრავალგზის ვნახეთ, „ქორეპისკოპოსის“ საეკლესიო-იერარქიულ ტიტულს კახეთის სამთავროს პუბლიცისტურ-მეთურები ატარებდნენ. სახელდობრ, მათიანე ქართლსა და ქვემო ქართლში ტიტულით მოხსენებულნი არიან კახეთის შემდეგი მთავრები: დაჩი, ძე იოვანე ქუაბულის ძისა („განაჩინეს ქორეპისკოპოსად დაჩი, ძე იოვანე ქუაბულის ძისა“)², სამოელ დონაური („დასუეს ქორეპისკოპოსად სამოელ დონაური“)³, გაბრიელ დონაური — („და ქორეპისკოპოსი იყო გაბრიელ დონაური, ძმა სამოელ ქორეპისკოპოსისა“)⁴, ფაღლა I („დაჯდა ქორეპისკოპოსად ფაღლა არეგმანელი, კაცი ბრძენი და საქმის მეცნიერი“)⁵, კვირიყე I („შემდგომად მისსა დაჯდა კვირიყე ქორეპისკოპოსად“)⁶, ფაღლა II („დაჯდა ქორეპისკოპოსად ფაღლა, ძე კვირიკისი“)⁷, კვირიყე II („მოერთო შურტა, ძმა კვირიყე ქორეპისკოპოსისა“)⁸, დავით („მას ეამსა იყო ქორეპისკოპოსი დავით“)⁹. როგორც ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობს, კვირიყე III კახეთის მფლობელობის პირველ პერიოდში (1009—1011 წწ.) „ქორეპისკოპოსად“ იწოდებოდა¹⁰.

„ქორეპისკოპოს“-ად იწოდებიან კახეთის (წანარეთის) მფლობელი მთავრები შუა საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებშიც. იოანე დრასხანაკერტელი კახეთის resp. წანარეთის მმართველს „დიდ ქორეპისკოპოსად“ იხსენიებს (*აჲ ძსჲ გიჲსაქსიჲიჲის*)¹¹-ტერმინი „ქორეპისკოპოსი“ (*გიჲსაქსიჲიჲის*) დადასტურებული გვაქვს უხთანესთანაც¹².

„ქართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელი, რომლის თარგმანი XIII ს. ნუსხით არის ჩვენამდე მოღწეული (თარგმნილია კი XII ს. მეორე ნახევარში), ყველგან კახეთის მთავრებს გარ-

² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 254.
³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 254.
⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 257.
⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 259.
⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 262.
⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 265.
⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 268.
⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 278.

¹⁰ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 235—236.

¹¹ იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 234, 31.

¹² უხთანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, გვ. 21.



ვეულ პერიოდში იმავე ტატულით იხსენიებს, რაც ქართულშია, ე. ი. ღედანში (*ქრისტიანული*— ქორეპისკოპოსი).¹² ქართულში
გამოყენებულია

„ქორეპისკოპოსის“ ტიტულით მოიხსენიებდა ქახეთის resp. წანარეთის მმართველს ვარდან დიდი, თავის თხზულებაში ერთვან იგი აღნაშნავს, რომ ვარდმანის იმხანა წანარებისთვის (ე. ი. კახელებისთვის) მოიწვია „ქორეპისკოპოსი“ (*სა ქეჟათს ჯაყყმანსაჲ ჰიკსაჲ ღნთაჲ ქრისტიანულიაჲ აჟანს ესეთს ქვაჲ*)¹³.

ტერმინი „ქორეპისკოპოსი“ ქახეთის resp. წანარეთის მფლობელთა მიმართ დამოწმებული გვაქვს აგრეთვე არაბულ წყაროებში. მასული გვაუწყებს: „თბილისსა და უკვე ხსენებულ სიმაგრე „ალანთა კარს“ შორის მდებარეობს სანარიად წოდებული სამეფო, რომლის მეფესაც ეძახიან ქორისკუსს (ე. ი. ქორეპისკოპოსს — თ. პ.), რომელიც წარმოადგენს აქჟურ მეფეთა ჩვეულებრივ ტიტულს. აქჟური ხალხი ქრისტიანობას აღიარებს“.¹⁴

ამრიგად, როგორც საისტორიო წყაროების (ქართულ-სომხურ-არაბული) მცირე მიმოხილვიდან ირკვევა, ქახეთის სამთავროს პოლიტიკური მეთაური ატარებს ისეთ საეკლესიო-იერარქიულ ტიტულს, როგორც არის „ქორეპისკოპოსი“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში XVIII ს-დან თავს იჩენს ტერმინ „ქორეპისკოპოსის“ „ქორიკოზი“-თ შეცვლის მიდრეკილება. ტერმინ „ქორეპისკოპოსის“ მართებულობის ასეთი გადასინჯვა პირველად სულხან-საბა ორბელიანთან გვხვდება. გამოჩენილი ლექსიკოგრაფი იმ აზრს ავითარებს, რომ „საისტორიო წყაროებში, კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულ ისტორიკოსთა თხზულებებში (იგულისხმება „მატიანე ქართლისაჲ“ და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი) დაცული სახელწოდება „ქორეპისკოპოსი“ შეცდომას წარმოადგენს. მისი შეხედულებით, თვადპირველად უნდა წერებულყო „ქორიკოზი“, მაგრამ ეს ადგილი „უმეცარსა მწერალსა ქართლის ცხოვრებაში ვაურყუნია. ქორიკოზი ქარაგმით ქორეპისკოპოზი ჰგონებია“. და აი, იქვე საბა განმარტავს, რომ „ქორეპისკოპოზი უსამწყისო ეპისკოპოზს ეწოდების ბერძნულად და ქორიკოზი მეფის მონა-

¹² ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 216, 217, 218.

¹³ *წიგნები ქართლისაჲ, შათმარქინ თხზულებანი*, გვ. 135.

¹⁴ მასული, *მურჯ აღმაშენებელი*, § 25, იხ. В. Ф. Минорский, *История Ширвана и Дербенда*, გვ. 210—211.



ცელეს ჰქვან, რომელმან ვერ იკადროს მეფედ სახელის დგმა, რამედ გამოითარგმნების მწყემსად¹⁶. ხოლო სიტყვის კონკრეტული რედაქციებში (C.I) „ქორეპისკოპოსი“ ასეა განმარტებული: „ქორეპისკოპოსი არს ერთსა სამთავროსა აღვილსა მთავარი არა ჯდეს და მისდა მონაცვლედ ქორეპისკოპოსი ჯდეს, რათა თემთა მოურნეობდეს, არამედ მთავრობისა სახელი ვერ იკადროს“¹⁷. როგორც ვხედავთ, საბა თვლიდა, რომ კახეთის სამთავროს სუვერენი „ქორიკოზის“ (შეფის მონაცვლის) ტიტულს ატარებდა. ასევე აქვს გაგებული ეს ტერმინი ვახუშტი ბაგრატიონს, რომელიც თავის თხზულებებში „საქართველოს ძველი ისტორია“ და „ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა“, „ქორეპისკოპოსის“ ნაცვლად ყველგან „ქორიკოზს“ ხმარობს¹⁸.

ანალოგიურ თვალსაზრისზე დგას ზემოაღნიშნული საკითხის განხილვისას დ. ბაქრაძე. იგი წერს: სიტყვა „ქორიკოზს“ „ხმარობს ყოველთვის ვახუშტი, როდესაც ქ. — ცხბაში იხმარება ქორეპისკოპოსი. ეს სახელწოდება იხმარება კახეთში მე-VIII საუკ. ვიდრე XI საუკუნემდე, როდესაც ბაგრატ მე-IV-მ კახეთის მთავრები გააუქმა. ცხადია, რომ ქორეპისკოპოსი ქ. — ცხბაში შეცდომით არის ხმარებული და ამ შეცდომას ვახუშტი სამართლიანად ასწორებს. ამავე შეცდომას უჩვენებს თვით საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში“¹⁹. დ. ბაქრაძის მტკიცებით, „ქორიკოზი საერო და სამღვდელო მფლობელია კახეთისა“²⁰.

ს. კაკაბაძე ტერმინ „ქორეპისკოპოსის“ შინაარსის ამოხსნისას მთლიანად სულხან-საბა ორბელიანის და ვახუშტი ბაგრატიონის პოზიციებზე დგას. იგი აღნიშნავს: „ფრიად საინტერესოა კახეთის მთავრების ტერმინი — ქორიკოზი. მათიანის ბეჭდვით ან საგანძურებით ცნობილ ვარიანტებში სიტყვა ქორიკოზი ყველგან დამახინჯებულია ქორეპისკოპოსად. საბა თავის ლექსიკონში... და ვახუშტი

¹⁶ ს უ ლ ხ ა ნ ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, თბ., 1949, გვ. 374, სიტყვებითან: „ქორეპისკოპოსი“, „ქორიკოზი“.

¹⁷ ციტირებულია ილ. აბულაძის მიხედვით, იბ. მისი, ძველი ქართულის ლექსიკიდან, „ორიონი“, თბ., 1967, გვ. 83, სქოლიო 1.

¹⁸ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 129—140, 557—560.

¹⁹ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, განმარტებული და შეუსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურისა და ისტორიული ცნობებით დ. ბ. ბაქრაძის მიერ, ტფ., 1885, გვ. 123—124, სქოლიო 2.

²⁰ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე, ტფ., 1880, გვ. 6

თავის ისტორიაში სამართლიანად უჩვენებს ყველგან ქორიკოზს, იტყობა მას მათიანის კარგი ხელნაწერები კქონდა ხელთ. კოზი ექვს გარეშეა ძალიან ძველი ტერმინი უნდა იყოს. ქორიკოზი ნავს ეხლაც სვანურში სახლს, ოჯახს. სიტყვის ქორიკოზი მეორე ნახევარი საკმაოდ კარგად წარმოდგენილია ეხლანდელს ხუნძურში, სადაც, კოზზე ნიშნავს შემძღებელს — potens. ამავე ძირის შესატყვისი სიტყვა სვანურში — ხოშა ნიშნავს დიდებულს, დიდს. ქორიკოზი მამასადამე თავდაპირველად შესაძლებელია ნიშნავდა სახლის უფროსს (დიდს) და თვით ტერმინი, საფიქრებელია, სვანურის ერთ-ერთ ძველ შესატყვის კილოს ნაშთი უნდა იყოს... ქორიკოზი. მამასადამე, არის იმავე საგვარო წყობილებების ტერმინი, მამფალის და მამასანლისის არა თუ მნიშვნელობით, არამედ სოციალური წარმოშობითაც — სრული ექვივალენტი²¹.

შემდგომში ს. კაკაბაძემ კიდევ უფრო განავითარა თავისი აზრი ამ საკითხზე და საბოლოოდ მისმა შეხედულებამ ქორეპისკოპოზის, უფრო სწორად, „ქორიკოზის“ ინსტიტუტზე, ასეთი სახე მიიღო: «Титул хорепископа явно указывает на распространительное значение термина цанар и у Иоана каталикоса, так как груз. летописи упоминают с этим титулом лишь ках(етин)ских владетелей. Титул этот, впрочем, в такой форме, должно быть, продукт книжного искажения или искусственной переработки на почве восприятия христианских терминов. Нет основания предполагать, что-бы владетели целой, при том довольно значительной, области были духовные лица и носили церковно-иерархический титул». იგი იქვე დასძენს, რომ «Титул владетеля цанаров, перешедший затем к владетелям всей Кахетии звучит, как указано, qorikos (ქორიკოზი), что на сванском яз. интерпретируется как глава дома²²; ამ უკანასკნელის დამასაბუთებელ არგუმენტად ს. კაკაბაძეს მოაქვს ის გარემოება, რომ ქორიკოზი, როგორც ჩანს, არის სახეშეცვლილი სვანური „ქორი-ხოშა“, „სახლის უფროსი“ — «глава семьи».²³

ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრით, „ქორიკოზის“ წაკითხვა „ქორეპი-

²¹ ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, წიგნი I, თბ., 1924, გვ. 106—107.

²² С. К а к а б а д з е, О племени цанар, საისტორიო კრებული, წიგნი III, ტფ., 1928, გვ. 109, 111.

²³ იქვე, გვ. 111, სკოლომ 1.



სკოპოზად“, როგორც „მატიანე ქართლისაჲ“-ში იგი მოყვანილი და რომელსაც სხვათა შორის, ი. ჯავახიშვილი ეყრდნობოდა, მისი აზრით, „ქორეპისკოპოსის“ შედეგი უნდა იყოს ძველს ხელნაწერებში ნახმარებელი „ქორეპოზ“-ის ქარაგმიან სიტყვად მიღებისა და მის უმართებულოდ გახსნისა გამო; ამ გარემოებაზე პირველად საბა-სულხან ორბელიანმა მიაქცია ყურადღება“. იქვე, ამასთან დაკავშირებით, ლ. მელიქსეთ-ბეგი ასეთ მოსაზრებას გვთავაზობს: „საფიქრებელია, რომ საკუთარ სახელ „კვირიკე“//„კორიკე“-ს და წოდებას „ქორიკოზ“//„ქურისკუ“-ს რაიმე კავშირი ჰქონდესთ ერთმანეთთან“²⁴. ერთ სხვა შრომაში ლ. მელიქსეთ-ბეგი კვლავ უბრუნდება ამ საკითხის კვლევას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ქორეპისკოპოსის“ და „ქორიკოზის“ გაიგივება სრულიად დაუშვებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ტერმინი სულ განსხვავებულ თანამდებობათა აღმნიშვნელია, ერთი — საეროსი, ფეოდალური ურთიერთობის სისტემაში, ხოლო მეორე კი საეკლესიოსი, ე. წ. „ვიკარი“ (ვიკარის) გაგებით. ამავე დროს იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არ მოიპოვება რაიმე ისეთი მონაცემები, რომლებიც ადასტურებდნენ კახეთში ამ ე. წ. „ვიკარნი“ ეპისკოპოსების არსებობას²⁵.

„ქორიკოზის“ ტიტულით მოიხსენებენ კახეთის სამთავროს სუვერენებს ნ. ბერძენიშვილი²⁶ და გ. ჩუბინაშვილი²⁷.

3. ინგოროყვას „ქორეპისკოპოსი“ და „ქორიკოზი“ იდენტურ ცნებებად მიაჩნია. მისი აზრით, „ქორეპისკოპოსის“ ინსტიტუტი გენეტურად დაკავშირებულია ანტიკური ხანის პიტიახშის თანამდებობასთან. იგი მიუთითებს, რომ „კახეთის საპიტიახშოს ინსტიტუტის ტრადიციის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა უფრო გვიან ხანაში წარმოშობილი ინსტიტუტი კახეთის „ქორეპისკოპოზებისა“ ანუ „ქორიკოზებისა“ („ქორეპისკოპოზი“ —ძველი გაგებით ნიშნავდა ქვეყნის მმართველს. იგივე მნიშვნელობა აქვს სიტყვას „ქორიკოზი“)²⁸.

²⁴ ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, ტფ., 1928, გვ. 26, სქოლიო 6.

²⁵ ლ. მელიქსეთ-ბეგი, კახეთ-ჰერეთ-სომხეთის ისტორიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხის გარკვევისათვის („ქორეპისკოპოსი“ თუ „ქორიკოზი“. „გურჯენი“ თუ „კორიკე“?), თსუ სამეცნიერო სესიის თეზისები, 1951, 1—5 მარტი, გვ. 100—101.

²⁶ ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1966, გვ. 254.

²⁷ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кახетии, გვ. 22.

²⁸ პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1976, გვ. 544, სქოლიო 2.



კახეთის მთავრები „ქორეპისკოპოსებად“ ჰყავთ მოხსენებული
 ი. ჭავჭავაძის²⁹, ს. ჭანაშვილის³⁰, ილ. აბულაძის³¹, დ. მუსხელიშვილის³²
 ვილს³².

მ. ლორთქიფანიძის შეხედულებით, „ქორეპისკოპოსი არაა შერყვნილი ქორიკოზი. „ქართლის ცხოვრების“ არც ერთი ნუსხის არც ერთ შემთხვევაში ქორიკოზი არაა ხმარებული. არის ქორეპისკოპოსი, ქორეპისკოვზი, ქორაფისკოვზი. ეპისკოპოსის ელემენტი „ეპის“, „ეპის“ თუ „აფის“ სახით ყველგანაა შემორჩენილი... კახეთის მთავარი რომ ნამდვილად ქორეპისკოპოსია და არა ქორიკოზი, ამის საბუთად X ს. სომეხი ისტორიკოსის იოანე კათალიკოზის ცნობაც შეიძლება მოვიყვანოთ. იგი კახეთის მთავარს... „დიდ ქორეპისკოპოსს“ უწოდებს. იოანე კათალიკოსი აქ არ შეიძლება ცდებოდეს“³³.

შ. ბაღრიძე მხარს უჭერს კახეთის მმართველთა „ქორეპისკოპოსობას“. აბასთუმნის ეკლესიისა და ზედაზნის კანკელის ეპიგრაფიკულ ძეგლთა მონაცემების და აგრეთვე დაწერილობის წესების გათვალისწინების საფუძველზე იგი საბოლოოდ დაასკვნის, რომ კახეთის მფლობელი არის „ქორეპისკოპოსი“, ეს აზრი სადავო აღარ შეიძლება იყოს³⁴.

„ქორეპისკოპოსის“ ტიტულით იხსენიებს კახეთის მთავრებს გ. მელიქიშვილი. რაც შეეხება თვით ამ ინსტიტუტის შინაარსს, ამის შესახებ იგი ასე მსჯელობს: „ის, რომ სამთავროს სათავეში მდგომი პირი საეკლესიო ტიტულს ატარებს („ქორეპისკოპოსი“ — ბერძნულად უსამწყსო ეპისკოპოსის ერქვა), ახსნას ჰპოვებს მთიელთა შორის დამოწმებულ ვითარებაში, როდესაც ხალხის სათავეში მდგომი პირებისათვის (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში „ხევისბერებისათვის“) დამახასიათებელია სწორედ საერო და საეკლესიო მეთაურის ხელისუფლების გაერთიანება. კახეთის მთავრის ხელისუფლებაც, ეტყობა, მთიელთა (ამ შემთხვევაში — წანართა) ასეთი მეთაურის ხელისუფლებიდან არის წარმომდგარი“³⁵.

²⁹ ი. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 102—103 და შპდ.

³⁰ ს. ჭანაშვილი, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 422.

³¹ ილ. აბულაძე, ძველი ქართლის ლექსიკონი, გვ. 85.

³² დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 105.

³³ მ. ლორთქიფანიძე, მასალები..., გვ. 30.

³⁴ შ. ბაღრიძე, მართველი ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის საკითხისათვის კახეთის სამთავროში, „მაცნე“, № 5, თბ., 1964, გვ. 94—95.

³⁵ გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერ-



„ქორეპისკოპოსად“ თელიან კახეთის სამთავროს სუვერენებს დასაველეთ ევროპის მკვლევარნი: მ. სენ-მარტენი³⁶, მენდოსუ³⁷, მარკვარტი³⁸, ვ. მინორსკი³⁹, კ. თუმანოვი⁴⁰. ბიზლიჩიძე

იმისათვის, რომ საბოლოოდ გაირკვეს, თუ სახელდობრ რომელი ტიტულის მატარებელი იყო კახეთის სუვერენი „ქორეპისკოპოსის“ თუ „ქორიკოზ“-ის, ამისათვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, დადგინდეს თითოეული მათგანის შინაარსი, განისაზღვროს მათი მნიშვნელობა ცალ-ცალკე და მხოლოდ ამის შემდეგ დაისვას საკითხი მათი კახეთის მთავრისადმი მიკუთვნებისა. დავიწყეთ „ქორიკოზით“.

„ქორიკოზის“ ხმარება ძველ ქართულში მხოლოდ „მრავალთა-ვებში“ გვაქვს დადასტურებული, სახელდობრ, ამ კრებულში შემავალ ერთ ნაწარმოებში, რომელსაც ათონის მრავალთავის (№ II) მიხედვით ასეთი სათაური აქვს: „მიგებებაჲ შობითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა მეორმეოცესა დღესა, ოდეს მიიყვანეს ტამარად და მიიქვმიდა მას წმიდაჲ სუმეონ“. მის ავტორად დასახელებულია ევსუქი იერუსალიმელი ხუცესი („თქმული ევსუქი ხუცისა იმრუსელემელისაჲ“), რომელიც V ს-ში ცხოვრობდა.

კონტექსტი, რომელშიც ჩვენთვის საგულისხმო სიტყვას ვხვდებით, უდაბნოს მრავალთავში ასე იკითხება (ტექსტი მოგვყავს ილ. აბულაძის მიერ გამოქვეყნებული ნაწყვეტის მიხედვით): „უკეთუ ვინმე გლახაკი იყოს, იხილენინ მან ბაგასა შიდა სახუეველნი ქრისტმსნი. უკეთუ ვინმე პირუტყუთ-სახე იყოს, ბაგასავე მას მიისწრაფენ და გულისხმა-ყავნ, რამეთუ შენთვის ესრტთ დაიმდაბლა თავი თვისი ძემან ღმრთისამან. უკეთუ ვინმე ქორიკოზი იყოს უმეცარი, მიეედინ ბეთლემად და ისწავენ“ (46V, B)⁴¹.

თანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 53—54.

³⁶ M. J. Saint-Martin, Memoires historiques et Geographiques sur l'Armenie, t. I, Paris, 1818, გვ. 234.

³⁷ M. Brosset, Histoire de la Georgie, I, S.-Petersburg, 1849, გვ. 267, შენიშვნა 5: მ ი ს ი ე ვ ე, Additions et Eclaircissements a L'histoire de la Geographie, St.-Petersbourg, 1851, გვ. 168.

³⁸ J. Marquari, Osteuropäische und ostasiatische streifzüge, გვ. 178, 184.

³⁹ V. Minorsky, Caucasia IV, BSOAS, London, 1953, XV/3, გვ. 506.

⁴⁰ C. Toumanoff, Studies in christian caucasian history, Georgetown university Press, 1963, გვ. 417, შენიშვნა 37, გვ. 566.

⁴¹ ი. აბულაძე, ძველი ქართული ლექსიკონი, „ქორიკოზი“ და „ქორეპისკოპოსი“, იხ. „ორიონი“, კრებული — აკაკი შანიძეს, თბ., 1967, გვ. 84.

სიტყვა-სიტყვით გამეორებულია ეს ადგილი პარზლის მრავალ-
 თავში. მხოლოდ ოთხი სიტყვის დაწერილობაა, რომ ოდნავ განსხვავ-
 ედება უდაბნოს მრავალთავისაგან. ესენია: „შინა“ ნაცვლად „შინა“
 და“-სი, „გულისხმა-ყავნ“ მაგიერ „გულისხმაყავნ“-ისა, „ესრე“ ნა-
 ცვლად „ესრთ“-ისა და „ქორიკოზი“ „ქურიკოზ“-ის წილ⁴².

ამათ გარდა, ეს ადგილი მოეპოვება ათონის მრავალთავსაც (და-
 საწყისი წინადადების გარეშე, საბილდობრ: („უკუეთუ ვინმე აღა-
 ხაკი იყოს, იხილენინ მან ბაგასა შიდა საბუეველნი ქრისტესნი“):
 „უკუეთუ ვინმე პირუტყვ-სახე იყოს, ბაგასავე მას მიისწრაფდინ და
 გულისხმა-ყავნ, რამეთუ შენთვის ესრეთ დაიმდაბლა თავი თვისი ძე-
 მან ღმრთისამან. უკუეთუ ვინმე ხორიკოსი იყოს უმეცარი, მივედინ
 ბეთლემად და ისწავენ“ (4 Or)⁴³.

ერთმანეთს რომ ვუდარებთ მოტანილ ადგილებს, ვხედავთ, ისი-
 ნი იმეორებენ ურთიერთს სიტყვა-სიტყვით; პირველთაგან განსხვავ-
 ვებით უკანასკნელს ახასიათებს მხოლოდ მცირეოდენი სხვაობა, მე-
 ტწილად ორთოგრაფიული ხასიათისა; ასე მაგ., პირუტყუთ-სახე —
 პირუტყვ-სახე; მიისწრაფენ — მიისწრაფდინ; გულისხმა-ყავნ —
 გულისხმა-ყავნ; ესრთ /ესრე — ესრეთ/, ქურიკოზი /ქორიკოზი —
 ხორიკოსი. ერთი თვალის გადავლებით ხდება ნათელი, რომ წყვილ-
 თა პირველი ცალები უფრო არქაულია, ვიდრე მეორე⁴⁴.

დასახელებულ წყვილთაგან საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ უკან-
 ასკნელზე: ქურიკოზი /ქორიკოზი — ხორიკოსი. „ქურიკოზი“ და
 „ქორიკოზი“ თავისი „ქ“-თი უფრო აღრეულია, ვიდრე მისი ბადლის
 „ხორიკოს“-ის თავკიდური „ხ“. უკანასკნელის დაწერილობა „ქო-
 რიკოზ /ქურიკოზთან“ მიმართებით თვალნათლივ ამჟღავნებს ამ სი-
 ტყვის უცხოობას, კერძოდ ბერძნულობას⁴⁵.

როგორ ვაღმოვიცემა ეს სიტყვა ბერძნულად, რას ნიშნავს ის?
 „ხორიკოსი“ ზედმიწევნითი ტრანსლიტერაციაა ბერძნული χῶραξ-ისა,
 რაც ნიშნავს de paysan, campanard, rustique, деревенский,
 крестьянин, мужик.⁴⁶ ე. ი. „მდაბიოს“, „სოფელის“, „გლეხის“.

მოტანილ კონტექსტში „ქორიკოზ /ქურიკოზ“-ისა თუ „ხო-
 რიკოს“-ის ბერძნულისეული χῶραξ-ად გაგება, როგორც „მდა-

⁴² იქვე.
⁴³ იქვე.
⁴⁴ იქვე, გვ. 64.
⁴⁵ იქვე.

⁴⁶ Dictionnaire grec-français... par C. Alexandre, Paris, 1848, p. 1598—
 1599; А. А. Иоанидис, Новогреческо-русский словарь, М., 1950,
 33- 725.

ბიოსი“, „სოფლელისა“ ან „გლეხისა“, თავის ადგილს ვნახა იყოს: „უკეთუ ვინმე ქორიკოზი (resp. ქორიკოზი) იყოს შეწყვეტულ მკვლე-
დინ ბოლქვად და ისწავუნ“ ნიშნავს: „თუ ვინმე მკვლელობით და-
ლი ან გლეხი) იყოს უცოდინარი, მივიღეს ბეთლემს და ისწავლოს“⁴⁷.

ყოველივე ამის შემდეგ ცხადი ზდება, რომ სულხან-საბა ორბე-
ლიანის ზემოთ მოტანილი განმარტება მოტანილ კონტექსტს არ შეე-
საბამება. „ქორიკოზ-ზე“, თუ ის, საბას სიტყვით, „მეფის მონაცე-
ლუა“, შეუფერებელია თქმა „უმეცარი“-ო, რაც უფრო „მდაბიოს“,
„სოფლელს“ თუ „გლეხს“ შეეფენის⁴⁸.

საბას დაკვირვებით, „ქართლის ცხოვრებაში“, მის ადრინდელ
ნუსხებში, უნდა წერებულყო ქორიკოზი, რაც უმეცარ გადამწერთ
თითქოს დაქარაგმებულ სიტყვად მიუჩნევიათ და ქორეპისკოპოსად
გაუხსნიათ, საიდანაც წარმოდგაო ამ კრებულის მერმინდელ ნუსხებ-
ში „ქორეპისკოპოსები“.

სულხან-საბა ორბელიანის ასეთი დაბეჯითებითი ტონი იქიდან
უნდა მომდინარეობდეს, რომ მას „ქორეპისკოპოსი“ ესმის მხოლოდ
როგორც საეკლესიო ასპარეზის მოღვაწე. „ქორეპისკოპოსი უსამწყ-
ყსო ეპისკოპოზს ეწოდების ბერძნულადო“, განგვიმარტავს ლექსი-
კოგრაფი და ხაზს უსვამს იმას, რომ ეს სიტყვა ბერძნულია და ასე-
თი შინაარსით შემოსულად უნდა ვიგულოთ იგი ქართულშიცაო.
„ქორეპისკოპოსი“ რომ ბერძნული სიტყვაა, ეს საცილობელი არაა,
მაგრამ მას რომ შინაარსი ქართულ ენაში რამდენადმე განსხვავებუ-
ლი ჰქონია, ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ ქორეპისკოპოსად კითხუ-
ლობენ და აღიქვამენ ამ ტერმინს მეზობელი სომხეთის მწერლობის
ძველი წარმომადგენლები (იხ. ზემოთ).

სულხან-საბა ორბელიანს, როგორც ჩანს, ერთგვარად ეუბერბუ-
ლება ქვეყნის საერო მმართველის აღნიშვნა ძირითადად სასულიერო
წარმომავლობის ტერმინით და ამიტომ ტუნდა ფიქრობდეს, რომ „ქო-
რიკოზ“-ი, რომელიც ქარაგმით შეიძლება „ქორეპისკოპოს“-ად მიი-
ჩნიოს კაცმა, საერო ხელისუფლების აღმნიშვნელი იყოს. მსგავსად
„ქორეპისკოპოსისა“, რომელიც არასრულ ეპისკოპოსს აღნიშნავს,
„ქორიკოზ“-იც თურმე, ლექსიკოგრაფის სიტყვით, „მეფის მონაცე-
ლეს ჰქვან“ და არა, ვთქვათ, სრულ მეფეს. სესხებულ სიტყვად ეს-
მის თუ არა ეს სახელწოდება საბას, ისიც ბერძნულად, ნათელი არაა
განმარტებიდან. ვფიქრობთ, ესეც ბერძნულად უნდა მიაჩნდეს („ქო-

⁴⁷ ილ. აბუღაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 84—85.

⁴⁸ იქვე, გვ. 85.



რეპისკოპოსი უსამწყსო ეპისკოპოსს ეწოდების ბერძნულად და ქო-
რიკოზი მეფის მონაცვლეს ჰქვან⁴⁹).

ამრიგად, როგორც დავინახეთ, „ქორიკოზი“, რაც ძველად სწო-
როს ჩვენებით, იგივე „ხორიკოს“-ია, ბერძნული წარმომავლობის
სიტყვაა: პირველი უფრო ადრინდელი და ძველი ქართულისათვის
დამახასიათებელი ფორმით, ბოლო მეორე—შედარებით გვიანდელი.

„ქორიკოზის“ საბასეული განმარტება („ქორიკოზ“-ი მეფის
მონაცვლეს ჰქვან⁴⁹) იმის შემდეგ, რაც სავსებით ნათლად გამომ-
ქვანდა ამ სიტყვის პარალელური ფორმის („ხორიკოს“-ის) შინა-
არსი დედნის ენაზე (ჯაჟაჯა; „მდაბიო“, „სოფლელი“, „გლეხი“).
სწორი არა ჩანს. საფიქრებელია, რომ „ქორიკოზ“-ისათვის საბას
მიერ მოცემული განმარტება („მეფის მონაცვლე“) „ქორეპისკო-
პოსის“ შინაარსის („უსამწყსო ეპისკოპოსი“, ე. ი. არასრული
ეპისკოპოსი) ანალოგიით უნდა იყოს შემუშავებული (არასრული
მეფე, ანუ „მეფის მონაცვლე“)⁴⁹.

ზემოთ მოტანილი მსჯელობიდან სავსებით აშკარა ხდება, რომ
კახეთის მთავარი ატარებს „ქორეპისკოპოსის“ ტიტულს. რაც შეეხე-
ბა „ქორიკოზ“-ს, თუ გვითვალისწინებთ ამ ტერმინის შინაარსს (იხ.
ზემოთ), იგი კახეთის მმართველის ტიტულად ვერ გამოგვადგება.

ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, ჩვენს ამოცანას შეადგენს
განვიხილოთ „ქორეპისკოპოსის“, როგორც გარკვეული საეკლესიო-
იერარქიული ტიტულის, არსი და შინაარსი.

ქორეპისკოპოსის თანამდებობა უძველეს საეკლესიო კანონმ-
დებლობაში ჩანს (ანკვირიის კრების მე-13, ნეოკესარიის მე-14, ან-
ტიოქიის მე-8 და მე-10, ლაოდიკიის 57-ე, ბასილი დიდის 99-ე, I მსო-
ფლიო კრების მე-8 და VII მს. კრების მე-14 კანონები) და ეს თანა-
მდებობა ქრისტიანობის დაწყებიდან უნდა იყოს დაწესებული.

ძველი ქართული არქიპიტერატის მიხედვით, ეკლესიის მსა-
ხურთა იერარქიული კიბე ისე იყო მოწყობილი, რომ იყურთებოდ-
ნენ ხოლმე „ერისკაცობისაგან წიგნის მკითხველად, წიგნარსკითხვე-
ლისაგან მთავარ დიაკონად, მთავარდიაკონობისაგან მღვდელად,
მღვდელობისაგან ქორეპისკოპოსად, ქორეპისკოპოსობისაგან ეპის-
კოპოსად“⁵⁰.

⁴⁹ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ლექსიკონი, გვ. 86.

⁵⁰ Древне-грузинский Архидиакон, грузинский текст, изданный ко-
митетом церковного музея под редакцией и с предисловием К. С. Кекелидзе,
Тифлис, 1912, გვ. 3^თ.



„პატივი უმეტესი მღვდლობისაჲ“ ქორეპისკოპოსობა იყო⁵¹, იგი „წმიდათა ეკლესიათა... განმგებლად“ ითვლებოდა⁵² განსაკუთრებით კი სოფლის ეკლესიათა. ე. ი. მას სოფლის მღვდელმთავრის ნი ექვემდებარებოდნენ. ქორეპისკოპოსის მოვალეობას შეადგენდა „დაცვაჲ ყოველთავე საქრისტიანთა წესთაჲ“ და მისი მეთვალყურეობა⁵³. ქორეპისკოპოსი უნდა „ექმნეს მამა ობოლთა და მოღუაწე ქურიეთა“-ო, ნათქვამია არქიპიერატეონში⁵⁴. რადგანაც ასეთი დიდი უფლებებით იყო აღჭურვილი ქორეპისკოპოსი, ამიტომ, ბუნებრივია, საქორეპისკოპოსოდ ხელთდასხმადი „სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი“ უნდა ყოფილიყო⁵⁵.

ქორეპისკოპოსები (επίσκοποι κληρικοί) ანუ სოფლის ეპისკოპოსები თავდაპირველად ისეთივე უფლებებით სარგებლობდნენ თავიანთ სამწყოსში, როგორც ჩვეულებრივი ეპისკოპოსები (ქალაქის). ამ თანამდებობაზე დანიშნულ პირებს ჰქონდათ პრესვიტერის, ზოგჯერ ეპისკოპოსის ხარისხიც კი და სარგებლობდნენ საკმაოდ დიდი რწმუნებებით, რომელნიც მათ მინიჭებული ჰქონდათ ქალაქის ეპისკოპოსისაგან. მაგრამ როდესაც დაიწყო საეკლესიო იერარქიის ზუსტი განსაზღვრა, თანდათანობით მათ შორის ისეთი დამოკიდებულება დამყარდა, როგორც ეპარქიის პირველ ეპისკოპოსსა (მიტროპოლიტსა) და ეპარქიის დანარჩენ ეპისკოპოსებს შორის (მოციქულთა 34-ე კანონი). ე. ი. სოფლის ეპისკოპოსი ქალაქის ეპისკოპოსზე დამოკიდებული და დამორჩილებული გახდა. ქორეპისკოპოსებს ევალეზობდათ მომოსვლა ქალაქებსა და სოფლებში და სამწყოსს დამოძღვრა. ასეთი სტრატია გვაქვს უკვე ქორეპისკოპოსების შესახებ გამოტანულ პირველ საეკლესიო კანონებში.⁵⁶ †

ქორეპისკოპოსთა ფუნქციები განსაზღვრულია მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონებით, ადგილობრივ საეკლესიო კრებათა კანონებით და აგრეთვე ავტორიტეტულ საეკლესიო მოღვაწეთა ეპის-

⁵¹ ძველი ქართული არქიპიერატეონი, რ¹იზ.
⁵² ძველი ქართული არქიპიერატეონი, რ¹იზ.
⁵³ ძველსწერა რუის-ურბნისის კრებისა, § 11, დიდი სჯულის კანონი, გვ. 552.
⁵⁴ ძველი ქართული არქიპიერატეონი, რ¹იზ.
⁵⁵ ძველსწერა რუის-ურბნისის კრებისა, § 11, დიდი სჯულის კანონი, გვ. 552.
⁵⁶ ქორეპისკოპოსის, როგორც საეკლესიო თანამდებობის შესახებ იხ., Правила (Каноны) православной церкви с толкованиями Никодима, епископа Далматинско-истрийскаго, том II, перевод с сербскаго, С.-Петербург, 1912 г., გვ. 14—16; ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძველსწერა, თბ., 1978, გვ. 125—128.



ტოლარული კანონმდებლობით. I — IX სს. რიცხვმრავალ ადგილობრივ საეკლესიო კრებათაგან მხოლოდ რამდენიმე კვიდრა ადგილი ძირითად კანონიკურ კოდექსში. ეს ადგილობრივი კრებაა, რომელთა საეკლესიო კანონების ზოგადქრისტიანული მნიშვნელობის აღიარება მსოფლიო კრებათა სანქციით მოხდა. რაც შეეხება ავტორიტეტულ საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარულ კანონმდებლობას, ამის თაობაზე უნდა ითქვას შემდეგი: მართმადიდებლური ეკლესია ერთადერთ კომპეტენტურ საკანონმდებლო ორგანოდ საეკლესიო კრებას აღიარებდა, ხოლო ე. წ. „წმინდა მამათა“ კანონიანი ეპისტოლეები ერთპიროვნული კანონმდებლობის ნიმუშია; მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ წმიდა მამათა ეპისტოლეებში ჩამოყალიბებულმა საეკლესიო კანონებმა ზოგადქრისტიანული საეკლესიო ნორმის მნიშვნელობა მხოლოდ VI (ტრულის 691 წ.) მსოფლიო კრების სანქციის შემდეგ მოიპოვეს⁵⁷.

ანკვირიის 314 წ. ადგილობრივი საეკლესიო კრების მე-13 კანონის მიხედვით, „ხოვრებისკოპოსსა არა ჳელეწიფების ჳელთ-დასხმამ ხუცისა ანუ დიაკონისამ, არამედ არცა ხუცესთა ქალაქისათა, თუნიერ გარნა თუ წიგნითა უბრძანოს ეპისკოპოსმან სხუთა შინა სამრევლოთა“⁵⁸.

ნეოკესარიის 314—25 წწ. ადგილობრივი კრების მე-14 კანონის მიხედვით, „ხოლო ხორებისკოპოსთა უპყრიეს უყუე ადგილი სამეოცდაათთა, ხოლო ვითარცა თანამღელნი, გლახაკთა მიმართისათუს მოსწრაფებისა პატივემულნი შესწირვენ“⁵⁹.

ქალაქის ეპისკოპოსისა და სოფლის ეპისკოპოსის ურთიერთდამოკიდებულებისა და მათი ფუნქციების შესახებ საგანგებო მსჯელობას ჰქონდა ადგილი ნიკეის I მსოფლიო კრებაზე 325 წელს. ამაზე ნათლად მეტყველებს „კანონნი მამათა ნიკეას შეკრებულთან“-ის მე-8 მუხლი⁶⁰.

როდესაც გახშირდა ქორებისკოპოსების მიერ ეპისკოპოსთა ნებართვის გარეშე ხუცესთა და დიაკონთა ხელდასხმის შემთხვევები,

⁵⁷ ე. გაბიძაშვილი, 14-ტიტლოვანი ნომოკანონის ქართული თარგმანი — „დიდი სჯულისკანონი“, იბ. დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. ვიუნაშვილმა, მ. დოლაჭიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975, შესავალი წერილი, გვ. 6—7.

⁵⁸ დიდი სჯულის კანონი, გვ. 239.

⁵⁹ იქვე, გვ. 242.

⁶⁰ იქვე, გვ. 233.



ანტიოქიის 341 წლის საეკლესიო კრებამ მე-10 კანონით სცადა მოესპო ეს უწესრიგობა და დაადგინა, რომ ქორეპისკოპოსი უნდა დაქმონდეს მხოლოდ ერთი დიაკონს და უფრო დაბალი იერარქიის პირებს, ხოლო ხუცესისა და დიაკონის თანამდებობაზე ხელდასხმა მას მხოლოდ ქალაქის ეპისკოპოსის ნებართვით შეუძლია. ანტიოქიის საეკლესიო კრების კანონი ქორეპისკოპოსის ფუნქციების შესახებ, შეიძლება ითქვას, ყველაზე სრულია; აი ეს კანონიც: „დაბათა შინა ანუ სოფელთა ხორეპისკოპოსად სახელდებულთა მათ, დაღათუ ველთ-დასხმაჲ ეპისკოპოსთაჲ მიუღებიეს, სთნდა მათთუს წმიდასა კრებასა, რამთა თუსი საზომი უწყოდინ და განაგებდენ მათდა რწმუნებულთა ეკლესიათა და მათსა ხოლო კმა-იყოფდენ ზრუნვასა და ზედამდგომელობასა. ხოლო დაადგენდენ წიგნის-მკითხველთაცა და კერძო-დიაკონთა და მადუცებელთა და ამათი ხოლო კმა-ეყოფოდის მათ მოყვანებაჲ. ხოლო ნუმცა უკადრებიეს მათ ველთდასხმაჲ ნუცა ხუცისა, ნუცა დიაკონისაჲ თუნიერ ქალაქისა მის ეპისკოპოსისა, რომელსა მიმდგომ არს იგიცა და ადგილნიცა მის სოფლებისანი. ხოლო უკუეთუ ვინმე იკადროს გარდახლვად საზღვართაჲ ამათ, განიკუეთენ იგი ხუცედრებულისაგანცა მისდა პატივისა. ხოლო ხორეპისკოპოსი განიჩინებოდენ ეპისკოპოსისაგან მის ქალაქისა, რომლისა ქუეშე იყვნენ სოფელნი მისნი“⁶¹.

რამდენიმე წლის შემდეგ ლაოდიკიის 343 წლის ადგილობრივი საეკლესიო კრება იძულებული იყო უფრო მკაცრი დადგენილება გამოეტანა. ამიერიდან იკრძალებოდა ხორეპისკოპოსის თანამდებობაზე დანიშვნა სოფლად (57-ე კანონი) იმ მიზნით, რათა თანდათანობით სრულიად გაეუქმებინა ეს თანამდებობა. „კანონნი ლაოდიკიას ფრიგვისასა შეკრებულთა მამათანი“-ს 57-ე მუხლი ასე იკითხება: „ვითარმედ არა ჯერ-არს დაბათა შინა და სოფელთა დადგინებაჲ ეპისკოპოსთაჲ, არამედ მომხილველთაჲ. ხოლო რომელნიცა ეგერა პირველვე განჩინებისა ამის დადგინებულ არიან, ნუმცა რას იქმან თუნიერ კითხვისა ქალაქსა მათსა შინა მჭდომარისა ეპისკოპოსისა. ეგრეთვე ხუცესთა არარას უღირს ქმნად თუნიერ ცნობისა ეპისკოპოსისა მათისა“⁶².

მიუხედავად ზემომოტანილი მკაცრი დადგენილებისა, ისევ გრძელდებოდა პროცესი ხორეპისკოპოსების მისწრაფებისა მიეთუ-

⁶¹ დიდი სჯელის კანონი, გვ. 249.
⁶² იქვე, გვ. 259.



სებინათ ეპისკოპოსების უფლებები. ეს ნათლად ჩანს ბასილი დიდის კაპადუციელის (328—379 წწ.) ეპისტოლედანაც ხელქვეყნისა და „ხორეპისკოპოსების მიმართ, რადთა არა განიჩინებოდინს მისა მსახურნი სამღვდლოთანი გარეშე წამებისა კანონთაჲსა“ (370 წ.). ბასილი დიდის ეს ეპისტოლე მეტად საყურადღებო დოკუმენტია, რომლიდანაც კარგად ჩანს ქორეპისკოპოსების მისწრაფება აღზევებისაკენ და დამოუკიდებლობისაკენ, ანუ, დოკუმენტის ენით რომ ვთქვით, „ველმწიფობის მოხვეჭისაკენ“. ბასილი დიდი თავის ეპისტოლეში აღნიშნავს: „ყოვლითურთ მწუხარე ვარ მე, რამეთუ უგულუბელსკმნილ არიან კანონნი მამათანი და ყოველი უცთომელობაჲ ეკლესიათაჲ დავიწყებულ არს... და ამათ გამოიწულილვიდეს უკუე ხუცესნი და დიაკონნი მეზობელნი მათნი და მათ თანა დამკვდრებულნი, ხოლო მიაწევდეს ხორეპისკოპოსთან მიმართ, რომელნიცა კემარიტებისა მოწამეთა მათგან მითუალვიდეს გამორჩევასა მას და მიუთხოვდეს ეპისკოპოსსა და ესრეთ აღპრაცხვიდეს მსახურსა მას მწყობრთა თანა საეკლესიოთა. ხოლო აწ პირველად უკუე ჩუენ უგულუბელს გიქმნივართ და არცალა ჩუენდა მომართ თავსიღებთ მოღებასა გამორჩევისასა, არამედ თავთა მიმართ თვსთა მიხუფეთ ყოველსა ველმწიფებასა. ამისსა შემდგომათ უღებმყოფელნი მის საქმისანი ხუცესთა და დიაკონთა უბრძანებთ, რადთა ვიეთცა ენებოს გამოუწულილველისა ცხორებისაგან სიყუარულისათჳს კორციელისა ანუ ნათესაობისა ანუ სხუსა რაჲსმე მეგობრობისა, შეიყვანენ ეკლესიად უღირსნი მის მსახურებისანი, რომლისათჳსცა მრავალნი უკუე მსახურნი აღირუცხუვიან თითოეულთა დაბათა, ხოლო ღირსი საყურთხვევლისა მსახურებისაჲ — არცა ერთი... აწ უკუე, ვინაჲთგან საქმე ესე უძვრესისა მიმართ წარემატების, უფროსლა აწ, რაჲამს შიშითა მკედრობისაჲთა მრავალნი გამოირჩევენ მსახურად დაწესებასა თავთა თვსთასა, საჭიროდ მოუკედ განახლებასა მამათა კანონისასა... განწმიდეთ ეკლესიაჲ განჯდითა უღირსთა მისთაჲთა და ამიერიდან გამოეძიებდით ღირსთა და შეიწყნარებდით“⁶³...

ქორეპისკოპოსთა საკითხს ეხება VII მსოფლიო კრების (787 წ.) მე-14 კანონი („კანონნი მეორედ ნიკიას შეკრებულთა მამათანი“), რომელშიც საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ „ხორეპისკოპოსთაგანცა ჯერარს ხელთდასხმაჲ წიგნისმკითხველთაჲ ბრძანებითა ეპისკოპოსისაჲთა“⁶⁴. ამრიგად, ლაოდიკიის კრების ცდის შემდეგ, გაეუ-

⁶³ დიდი სწულის კანონი, გვ. 504.

⁶⁴ იქვე, გვ. 427.

ქმეზინათ ეს თანამდებობა, 400-ზე მეტმა წელმა განელო და ქორეპისკოპოსები კიდევ არსებობდნენ. მაგრამ ეს თანამდებობა უკვე განწირული იყო. ასე მაგალითოდ, ბალზამონი (XII ს.) ფიქვანის ეპისკოპოსტარში აღნიშნავს, რომ ანკვირიის ამ კანონის (მე-13) შესახებ შევიძლო მეტი დაეწერა, მაგრამ რადგან ზორეპისკოპოსის ხარისხი სრულებით გაუქმებულია (παυσιελος ἱεραρχησεν), მეც აღარ მინდა ტყუილებრივად ვიწრომოთ⁶².

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის არსებობა ქრისტიანობის ადრეულ პერიოდში ისტორიული წყაროებით არ დასტურდება, თუმცა იქაც, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო, რომ საეპისკოპოსო კათედრა არსებულობდა არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებსა და დაბებშიც. მხოლოდ VIII ს-დან ჩნდება ქორეპისკოპოსის თანამდებობა ფრანკთა სახელმწიფოში. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იქ ეს ინსტიტუტი განსხვავდებოდა აღმოსავლურ-ქრისტიანულ ქვეყნებში არსებული ქორეპისკოპოსის საეკლესიო-იერარქიული ტიტულისაგან. ჰქონდათ რა ეპისკოპოსის ხარისხი, დასავლეთის ქორეპისკოპოსობა არ წარმოადგენდა საეკლესიო თანამდებობას ერთი რომელიმე განსაზღვრული ოლქისათვის, არამედ ისინი მოქმედებდნენ როგორც მთავარეპისკოპოსების თანაშემწენი და წარმომადგენლნი ლეთისმსახურებაში და საეკლესიო წესწყობილებაში რომელიმე საეპისკოპოსო მხარის ამა თუ იმ ადგილზე.

საქართველოში ქორეპისკოპოსის ინსტიტუტი უნდა წარმოქმნილიყო ადრეული ხანებიდანვე, კერძოდ კი იმ პერიოდში, როდესაც ქართლის საეკლესიო ორგანიზაციამ დასრულებული და ჩამოყალიბებული სახე მიიღო. საფიქრებელია, რომ იგი ბერძნული ეკლესიის გავლენით და მიბაძვით ჩამოყალიბდა და თავდაპირველად იგი ძირითადად იმავე ფუნქციებს ასრულებდა, როგორც ბიზანტიაში: სოფლის სამრევლო ეკლესიებს ხელმძღვანელობდა. აღნიშნული თანამდებობა ერთობ კარგად შეეწყო საქართველოს ეკლესიის იერარქიულ სტრუქტურას და საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე იარსება (როგორც ჩანს, ბიზანტიის ეკლესიაში მომხდარი ამბების ეჭომ საქართველომდე ძალიან გვიან მოაღწია). როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქორეპისკოპოსის ინსტიტუტმა საქართ-

⁶² Никодим. Правила (kanones) православной церкви с толкованиями II, гл. 16; ვ. ვ ა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი, რუსი-ურბნისის კრების ძველისწერა, გვ. 127.



ველოში და აგრეთვე მეზობელ სომხეთში გარკვეული ეკოლოგია და ტრანსფორმაცია განიცადა. ამის მკაფიო დადასტურებაა ქსნის რეგნთის საინტერესო და ჩვენი კვლევის ობიექტი — კახეთის სომხეთში თავროში არსებული „ქორეპისკოპოსის“ საერო ტიტული.

ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის შესახებ ამჟამად ცნობილი და უტყუარი ისტორიული წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისი მოხსენიების ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელი ფაქტი დადასტურებული გვაქვს ისეთ ეპიგრაფიკულ ძეგლში, როგორიცაა აბასთუმნის ეკლესიის 685/711 წწ. წარწერა, რომელიც წარმოადგენს მამფალ არშუშა პატრიკიოსის მოსახსენებელს. ქვრის კვარცხლბეკის ფრაგმენტებზე (ქვის სწორკუთხოვანი ორი ფილა) გამოქანდაკებულია ასომთავრული, რელიეფური წარწერა. მასში ვკითხულობთ: „...ბრძანებითა ღვთივ დაცულისა მამფლისა არშუშა პატრიკიოსა (ათა) და ნებითა ღმრთისაითა, ჭაეთა (რ) ერთ (—ა), ქორეპისკოპოსის (ა) ციხისთა (ე) ობა (სა) მოღწულ ვიყავ და აღვ(კ)მართე პატრიოსანი ჯუარი წმიდისა ღმრთისმშობლისა სახელსა ზედა“⁶⁶. წარწერაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გამოთქმა: „ჭაეთარ ერისთავისა ქორეპისკოპოსისა ციხისთავობასა“, რაც, ბუნებრივია, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ჭაეთარ ერისთავი ერთდროულად ციხისთავიც ყოფილა. ე. ი. აქ ჩვენთვის საინტერესოა საერო და სასულიერო თანამდებობათა შერწყმის ფაქტი.

ქორეპისკოპოსის მოხსენიების შემდგომი ფაქტი ისევ ეპიგრაფიკულ ძეგლში გვაქვს დადასტურებული. ეს არის ზედაზნის კანკლის წარწერები. ზედაზნის კანკლი ქვის ორი ფილისაგან შედგება, ვინაიდან იმ ფილის გვარდის ჩარჩო, რომელზედაც მეფენი არიან გამოსახულნი, წარმოადგენს მეორე ფილის კადრს, ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელოვანია მეორე ფილა, რომელზედაც გამოსახულია მთელი ტანით საზეიმო სამეფო ტანაცმლით ორი მეფე. სამწუხაროდ, პირისახე და სახელის აღმნიშვნელი წარწერა დაზიანებულია. ნათელია ის გარემოება, რომ ორივე გამოსახულება მამაკაცებს ეკუთვნის და არა მეფესა და დედოფალს. ამას ადასტურებს სამეფო ტანაცმელი. ეს ითქმის, უპირველეს ყოვლისა, მარჯვენა ფიგურაზე,

⁶⁶ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, შედგენილი და დასაბუქდად მომზადებულია ა. ბაქრაძის და ს. ზოლქვაძის მიერ, თბ., 1953, გვ. 9—10; E. C. Такашвили, Археологические экспедиции, размышления и заметки, II, 1905, გვ. 63—66; შტრ. ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 103.



რომელიც აშკარად სამეფო სამოსელშია წარმოდგენილი, რაც მოწმობს, რომ აქ გამოსახულია სამეფო ხელისუფლებზე, კერძოდ, უფლები პირი. ამ ფიგურასთან არსებული წარწერიდან შეჩვენებულია მხოლოდ ასოები: „[K]L[...]" ე. ი. „... (ე)ბისკ(ო)...“⁶⁷

წარწერის მოტანილი ნაშთის გახსნიას უნდა გათვალისწინებულ იქნას, რომ მარჯვნივ გამოსახული პირი, ყველა ნიშნის მიხედვით, სამეფო ხელისუფლებით აღჭურვილი პირია, რომ ეს ძველი კახეთის ტერიტორიაზეა, რომ ფილაზე გამოსახულ პირთა შორის მოხსენებულია შურტა და ამ სახელით ცნობილია კვირიკე მეორის ძმა, და ბოლოს, ის გარემოებაც, რომ კახეთის მფლობელები იწოდებოდნენ „ქორეპისკოპოსებად“; ამ შემთხვევაში წარწერის ნაშთი „...ებისკო...“, რომელიც შერჩენილია მეფის გამოსახულებასთან, შეიძლება გაიხსნას როგორც ნაწილი სიტყვისა „(ქორ)ეპისკო(პოსი)“⁶⁸.

ქორეპისკოპოსის გვერდით გამოსახული უნდა იყოს აგრეთვე საჭართველოს რომელიმე მხარის მთავარი (მეფე). ამ ვარაუდის უფლებას გვაძლევს როგორც გამოსახულებაზე მოცემული უდავოდ სამეფო სამოსელი, ისე ამ პერსონაჟის დაყენება ორფიგურიან კომპოზიციაში ქორეპისკოპოსის (მეფის) გვერდით და მის თანატოლად. ვინ შეიძლება იყოს აქ გამოსახული პირი? ცხადია, რომ ეს უნდა იყოს კვირიკეს მოკავშირე, მისი თანამებრძოლი იმ ომებში, რომლებსაც კახეთის მფლობელნი აწარმოებდნენ აფხაზთა მეფეების წინააღმდეგ⁶⁹.

ამრიგად, მოტანილი წარწერის ანალიზი და საისტორიო წყაროების ცნობები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ ზედაზნის კანკელზე გამოსახული უნდა იყოს X ს. II ნახევრის კახეთის მმართველი ქორეპისკოპოსი კვირიკე II (929—976 წწ.)⁷⁰.

„ქორეპისკოპოსის“ ტიტულის შემდგომ მოხსენიებას ქრონოლოგიური რიგის მიხედვით ჩვენ ვხვდებით XI ს. ანონამი ავტორის ისეთ თხზულებაში, როგორცაა „მატიანე ქართლისაჲ“ (იხ. ზემოთ).

⁶⁷ თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962, გვ. 74.

⁶⁸ თ. ბარნაველი, დსახ. ნაშრ., გვ. 74.

⁶⁹ თ. ბარნაველი, იქვე, შტრ. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 220.

⁷⁰ შტრ. P. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, გვ. 113—115; ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 231.



მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც დავინახეთ, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი კმაყოფილდება მხოლოდ ზემოაღნიშნული ტიტულის მონახევრებით და არ გვაძლევს რაიმე ნიშანდობლივ ჩვენებას „ქორეპისკოპოსის კოპოსის“ ინსტიტუტის სტატუსისა და შინაარსის გასარკვევად.

საეკლესიო-იერარქიული ტიტული „ქორეპისკოპოსი“ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაშიც მოიხსენიება: „ულირსთა და უწესოთა... დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინეს...“⁷¹

ქორეპისკოპოსის თანამდებობის შესახებ რუის-ურბნისუს კრების „ძეგლისწერაში“ სპეციალური კანონია (მე-11) შეტანილი: „კათალიკოსისა და ეპისკოპოსთაგან ხორეპისკოპოსი სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი გამოირჩეოდედ მღვდელი ანუ დიაკონი და შიშითა ღმრთისაჲთა ემცნებოდედ მას უბიწოდ დაცვაჲ ყოველთავე საქრისტიანოთა წესთაჲ, რაჲთა არარაჲ მათგანი განსცეს ქრთამისათუს, არცა რაჲ განყიდოს ვეცხლად, ვითარცა იუდა უფალი, რაჲთა არა შიშთვილიცა მისი დაიმკვდროს“⁷². როგორც ვხედავთ, მოტანილი კანონი სპეციალურად ეხება საეკლესიო იერარქიის ისეთ ხარისხს, როგორიცაა ქორეპისკოპოსის ხარისხი, თუმცა კანონის ტექსტიდან მისი მოვალეობის შესახებ კონკრეტულად არაფერი ჩანს, რადგან აქ ჩამოთვლილი ღირსებები, რომელიც ქორეპისკოპოსს უნდა ახასიათებდეს, თანაბრად ეხება ქრისტიანული ეკლესიის თითქმის ყველა იერარქიის პირს. კანონის ტექსტიდან ნათელია მხოლოდ, რომ: 1. ქორეპისკოპოსის თანამდებობაზე შესაფერისი კანდიდატის შერჩევა კათალიკოსის და ეპისკოპოსის კომპენტენციას შეადგენს; 2. ქორეპისკოპოსის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მღვდლის (ანუ ხუცესის) ან დიაკონის ხარისხი მაინც.

ქორეპისკოპოსის მოხსენიება ამ ძეგლში სხვა ადგილასაც გვხვდება, მე-5 კანონში, რომელიც ხელთდასხმაში ქრთამის აღებას კრძალავს: „...და ნუმცა მიიღებენ რაჲთურთით ნურარას... ნუცა კათალიკოსი ეპისკოპოსთაგან, გინა ხუცეს-დიაკონისაგან და ხორეპისკოპოსთა, ნუცა ეპისკოპოსნი დიაკონთაგან და მღვდლთა და ხორეპისკოპოსთა“⁷³...

„ქორეპისკოპოსის“ ინსტიტუტის სტატუსის შესახებ საინტე-

⁷¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 327.
⁷² დიდი სჯულის კანონი, გვ. 552.
⁷³ დიდი სჯულის კანონი, გვ. 551.



რესო დეტალები გვხვდება მხითარ გოშის სამართლის წიგნის ქართულ ვერსიაში. როგორც ცნობილია, მხითარ გოში სამართლის წიგნი შედგენილია XII ს-ში (დაახლ. 1184 წელს). XVIII ს-ში იგი ვახტანგ VI საგანგებოდ ათარგმნინა და შეიტანა თავის სამართალში. მხითარ გოშის სამართლის წიგნი ფეოდალური სომხეთის საზოგადოებრივ ურთიერთობას, სომეხი ხალხის საეკლესიო წესებსა და სარწმუნოებრივ დოგმებს ასახავს. მაგრამ მასში განხილულია მრავალი ისეთი ინსტიტუტი, რომელიც ქართული სოციალური სინამდვილისთვისაც არის დამახასიათებელი. ერთერთი ასეთი ინსტიტუტია „ქორეპისკოპოსიც“. აღნიშნული სამართლის 284-ე მუხლში „ქორეპისკოპოსის“ შესახებ ვკითხულობთ: „ქ—დადგინება საძირკუელისა წმინდისა ეკლესიისა მთავარეპისკოპოთაგან არის მართებული და მან უნდა კურთხევით დაამტკიცოს. და ქორეპისკოპოზსა და სხვა იმისა ქუევით ბერსა და უფროს მღღღებსა, თუ მთავარეპისკოპოზმან უბრძანოს და ბრძანება მისცეს, შეუძლიათ შათაც მისი ბრძანებით. და თუ არც ბრძანდებოდეს იქ მთავარეპისკოპოზი და არც მისი ბრძანება ქონდესთ, ვერ შეუძლიათ. თუ ქნან, მთავარეპისკოპოზისაგან დაქვევა უნდა, და ხელახლა კურთხევა და დამტკიცება უნდა საძირკუელისა.

შესატყობია, ქორეპისკოპოზნი ორნი არიან: ერთი მიიღებს კურთხევასა და ერთი კი ვერა, ბერეტუტია“⁷⁴.

„ქორეპისკოპოსსავე“ ვხვდებით სამართლის წიგნის 302-ე მუხლში. „ქ. ქორეპისკოპოსნი არიან მგზავსობით და რიგით სამოცდათორმეტთა მეუღლეთ (მღღღეთა) და მოსაქმეთა (ეპისკოპოზთა), მათ მორჩენისათვის, რომელი სულიერს საქმეზედ გლახად კდებოდეს. ქვეყნის ნახევითა და დახედვით იქადაგოს და ითარგმნოს. ქორეპისკოპოზნი არიან მიმცემი მდაბალ-მდაბალ რივისა უფროსთა მთავარეპისკოპოზთა მორჩილობითა.

და თუ ქნას მღღღის რიგი, მტერია კანონისა და სამართლის წიგნისა. ეპისკოპოზისაგან და სხვის (არ იქნება) ერისკაცისაგან ქორეპისკოპოზთა შექნა, ანუ უცოდინარის მღღღის, (ანუ) მგლეჯელი გლახისაგან,—არ არის მნახველი, და ეპისკოპოზი მნახველად ითარგმნება და ისინი — მოსაქმენი“⁷⁵.

„ქორეპისკოპოსის“ თანამდებობის არსებობა საქართველოში უფრო გვიანდელ ძეგლებშიც დასტურდება. ასე მაგალითად, 1263 წლის საეკლესიო კრების დადგენილებაში ულუ დავითისადმი და

⁷⁴ ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 325—326.
⁷⁵ ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 333.



დიდებულებიდან ნათქვამია: „...არლარავისგან გვაქუს პატრივი, არც სჯულისა და არც ებისკოპოსთა... არც ქორეპისკოპოსთა...“⁷⁶ /

„ქორეპისკოპოსის“ თანამდებობის მოხსენიებას ვხვდებით აგრეთვე ქართული სამართლის ისეთ ძეგლში, როგორცაა „მცნება სასჯულოა“ (იხ. მუხლები 18, 27, 31, 38, 40)⁷⁷. ეს ძეგლი თარიღდება 1470—1474 წლებით.

ბიჭვინტის იადგარის (1525—1550) მე-15 მუხლი ასე იკითხება: „ვინცა ქორეპისკოპოსსა სცეს, ანუ კელითა შეიპყრას, ანუ ავად აგინოს, ანუ უპატიობა რამე ჰკადროს, თორმეტი გლეხი საყდარსა დაეურვოს და სამასი ათასი თეთრი იმას დაეურვოს“⁷⁸.

საყურადღებო ჩვენებებს შეიცავს „ქორეპისკოპოსის“ შესახებ „სამართალი კათალიკოზთა“. მკვლევართა ვარაუდით, ეს სამართლის წიგნი შედგენილი უნდა იყოს XVI ს. 40-იან წლებში იმერეთის მეფის ბაგრატის (1510—1565 წწ.) დროს. აღნიშნული სამართლის მე-7 მუხლში წერია: ეპისკოპოზი „მისსა სამწყსოსა შიგან ქორეპისკოპოზსა გაუწყუტელად არ არონინებდეს“⁷⁹. მე-12 მუხლით განსაზღვრულია ქორეპისკოპოსის ზოგიერთი ფუნქცია: „ქ. რომელსაც ეპისკოპოზისა ქორეპისკოპოზი სოფლის სოფლამდის და ეკლესიის ეკლესიამდის არ მივიდოდეს და იმ ეკლესიის შესავალსა კაცებსა არ შეპყრიდეს, უქმობასა, ნათესაობასა, ავგზისობასა, სვნაობასა, მარხვის ჭამასა მართლით საქმით არ გამოიკითხვიდეს და არ მართებდეს, შეჩუენებულ იყოს“. საინტერესოა აგრეთვე მე-13 და მე-14 მუხლები. მუხლი 13 — „ქ. რომელიცა, ანუ დიდი, ანუ თავადი, ანუ აზნაური, ანუ გლეხი, ეპისკოპოზსა წინააღუდგეს და მართლითა სამართლითა და განკითხვით ქორეპისკოპოზს სარჯულო არ მოაკითხვინოს, შეჩუენებული იყოს“. მუხლი 14 — „ქ. ვინცა ვინცა ეპისკოპოზსა და მისსა ქორეპისკოპოზსა წინააღმდეგობა ჰკადროს, მართლითა განკითხვითა და გამოძიებით რჯული არა მოჰკითხოს პატრონმან, შეფემან მისად სისხლად და შეცოდებად მოიკითხოს“⁸⁰.

ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის ზოგიერთი ნიუანსის დასადგენად მეტად საყურადღებო ჩვენებებს შეიცავს დავთარი ქუთათისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა (1578 წ.), კერძოდ, ამ დავთრის 44-ე

⁷⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 163.
⁷⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 226, 228, 229, 231, 232.
⁷⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 181.
⁷⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 394.
⁸⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 395.



მუხლი: ქუტირს „მართებს შატმახაშვილსა გელიასა ღვინით კოკა
 ოცი თორმეტიანითა; ქორეპისკოპოზობით ჟუართანს (სამსახურის) და
 შინაყმობაჲ“⁸¹. შემოხსენებული დაეთარი წარმოადგენს ქუთათელის
 საეპისკოპოზო სამწყსოს გამოსავლის წიგნს, რომელშიც ამ სამწყ-
 სოში შემავალი სოფლების მეხეგრე მცხოვრებთა გამოსაღებს ითვა-
 ლისწინებს. და აი, ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ერთერთ
 მეხეგრეს, შატმახაშვილს გელიას, „ქორეპისკოპოზობით ჟუართან სა-
 მსახური“ მართებს.

ქ „ქორეპისკოპოზი“ მოხსენებულია XVI ს. ბოლოს შედგენილ
 ხონის საყდრის გამოსავლის დაეთარში⁸², ხოლო XVII ს. (1616 —
 1621 წწ.) შედგენილ საცაიშლოს გამოსავლის მოსაყრებლობის და-
 ვთარში მოხსენიებულნი არიან ქორეპისკოპოსები გვარად ფათხავა
 თუ ფათხაები, რომელთაც ცაიშელის სასარგებლოდ დაკისრებული
 ჰქონდათ გარკვეული რაოდენობის ტილოს მირთმევა⁸³.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის „ქორეპისკოპოსის“ ინსტი-
 ტუტის შესახებ დ. ბაქრაძე. ქართულ საისტორიო წყაროთა მონა-
 ცემებზე დაყრდნობით იგი აღნიშნავს: «Цилканский епископ,
 титуловавшийся епископом мухранским, обеих Арагв и ба-
 залетским. имел в своем ведении двух хорепископов: одного
 в Сионе кавказском для ближайшего надзора до ворот дарья-
 льских, где оканчивалось грузинское население, а другого в Бо-
 дорне. Из хорепископов бодорнских пока известен по имени
 лишь один Афанасий, живший в XV в. Хорепископами и кори-
 козами еще в течении VIII—XI ст. именовались правители Ка-
 хетии и соседняго с нею Дзанари, — правители совмещавшие
 в своем лице светския и духовния обязанности. Светское зва-
 ние хорепископа исчезло, но самое название сохранилось и
 впоследствии; хорепископы были викариями своих епископов»⁸⁴.

ერთობ საგულისხმოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ სევანურ სულთა
 მატთანეში (XIII—XVI სს.) რამდენიმეჯერ მოხსენიებულია ქორეპის-
 კოპოზი (იოანე ხუცესი ქუჭრებისკოპოზი, გი ქვერებისკოპოზი, ქვე-

⁸¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 285.

⁸² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 358.

⁸³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 471—472.

⁸⁴ Д. Б а к р а д з е. Бодорна, Записки общества любителей кавказ-
 ской археологии, кн. I, изд. под редакциею Ад. Берже и Дм. Бакрадзе, Тиф-
 лис, 1875, გვ. 41.



რებისკოპოზი ბაბიანე და მეუღლე მისი). ამ ცნობებზე დაყრდნობით ე. თაყაიშვილი დაასკვნის, რომ სენათში მჯდარან ქორეპისკოპოსებს ე. ი. „ეპიკარნი“ ეპისკოპოსები და არა სრული ეპისკოპოსები. ზემოთქმული გადმოცემები და აგრეთვე საეკლესიო სამკაულიც (სამწერობელნი) მოწმობს, რომ მესტიის მჯდარა ეპისკოპოსი, მაგრამ, როგორც ჩანს, იქ ქორეპისკოპოსი ყოფილა და არა დამოუკიდებელი ეპისკოპოსი. სრული ეპისკოპოსი მატეანეში არ იხსენიება⁸⁵.

სამრიგად, ჩვენ თვალი მივადევნეთ ქორეპისკოპოსის თანამდებობის არსებობას საქართველოში ქართული ეკლესიის გარიყრაჟიდან ვიდრე XVII ს-მდე (ჩათვლით). ქდავინახეთ, რომ ეს თანამდებობა ერთობ კარგად შეეგუა ქართული ეკლესიის იერარქიულ სტრუქტურას და, განსხვავებით ბიზანტიისაგან, მან საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე იარსება და, როგორც ჩანს, მისი გაუქმება საჭირო არ გამხდარა. ზემოთ მოტანილმა მასალამ ნათლად დაგვანახვა აგრეთვე ისიც, რომ ზოგჯერ ქორეპისკოპოსის თანამდებობა ვერ ეტევა ვიწრო საეკლესიო-იერარქიულ რეგლამენტში და მას ახასიათებს მისწრაფება აღზევებისაკენ, წმინდა სასულიერო ფუნქციების გარდა, ხშირად ადგილზე სამოქალაქო ფუნქციების მატარებელიც გამოდის. წყაროების ენით რომ ვთქვათ, ქორეპისკოპოსებს ახასიათებთ მისწრაფება „ხელმწიფობის მიხვეჭისაკენ“. ვნახეთ აგრეთვე ისიც, რომ ზოგიერთი ქართული საისტორიო წყაროს ჩვენებით, საქართველოში ქორეპისკოპოსი სასულიეროსთან ერთად (პარალელურად) საერო ფუნქციებსაც ასრულებს (აბასთუმნის წარწერა). ზაზგასასმელია ერთი მომენტიც. ეს არის ის, რომ საეკლესიო იერარქიის ისეთი ხარისხი, როგორც არის ქორეპისკოპოსის ხარისხი, ჩვენ გვევლინება ზოგად ქართულ მოვლენად ქართულ ეკლესიაში. ზემოთ მოტანილი მასალებიდან დავინახეთ, ქორეპისკოპოსის თანამდებობა ერთდროულად დამახასიათებელია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წყობილებისათვის.

ამის შემდეგ გადავიდეთ იმის განხილვაზე, თუ როგორი სახით უნდა წარმოვიდგინოთ „ქორეპისკოპოსის“ სტატუსი, რა შინაარსი უნდა ჩავდოთ ამ თანამდებობაში. და, რაც მთავარია, გავარკვიოთ ამ ინსტიტუტის წარმომავლობა. ე. ი. აქ საკითხი შემდეგნაირად ისმის: კახეთის მთავრის ხელისუფლება (ქორეპისკოპოსობა) ადგილობრივ

⁸⁵ ე. თაყაიშვილი ი. სვანური სულთა მატეანე ეტრატიისა, ქ. კვეცილის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე. თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი, საქმე 166, ფურცელი 3.



ქართულ ნიადაგზეა წარმოქმნილი, თუ ეს თანამდებობა კახეთის სოციალურ სინამდვილეში ნასესხებ მოვლენად უნდა ჩაითვალოს და გარე სამყაროს გავლენით იქნა შეთვისებული? **ბიზლიძეთაძე**

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ ს. კაკაბაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ „ქორეპისკოპოსის“ (ის მის ნაცვლად, როგორც ზემოთ ვნახეთ, „ქორიკოზს“ ხმარობს) ტიტული კახეთის მფლობელებმა წანარებისაგან შეითვისეს⁸⁶. შემდგომში ეს აზრი კიდევ უფრო გააღრმავა შ. ბადრიძემ. იგი წერს: „კახეთის მმართველი ქორეპისკოპოსის ინსტიტუტი წარმოშობილი უნდა იყოს წანართა მოქმედების არეში ჩვეულებრივი საეკლესიო თანამდებობის — „ქორეპისკოპოსის“ ფეოდალიზაციისა და მის მიერ საერო ხელისუფლების მიტაცების გზით. ასეთი ქორეპისკოპოსის ძალაუფლების მოელ კახეთზე განმტკიცებისა და გაერცელებისათვის არსებობდა ხელსაყრელი ვითარება: საერო და სასულიერო ხელისუფლებათა შერწყმის დიდი ტენდენცია წანართა შორის, ამ უკანასკნელთა მიერ დიდი აქტივობა კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების პროცესში, წარმმართველ ფენად მათი მოქცევა ისტორიული კახეთის დაბლობ რაიონებში“⁸⁷. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს აგრეთვე მ. ლორთქიფანიძე. მას „კახეთის მმართველი ქორეპისკოპოსის“ თანამდებობა „წანართა ქორეპისკოპოსის“ ტრანსფორმაციის შედეგად მიღებულად მიჩნია⁸⁸. ზემოთ დასახელებულ მკვლევართ თავიანთი დებულების დასასაბუთებელ მთავარ არგუმენტად მოაქვთ ის გარემოება, რომ: 1. „ქორეპისკოპოსის“ თანამდებობის არსებობა დასტურდება წანართა მხარეში; 2. ის, რომ წანართა შორის აღვილი კონფლიქტები და საერო და სასულიერო ხელისუფლებათა შერწყმის დიდ ტენდენციას; 3. ის, რომ კახეთის სამთავროს სათავეში მდგომი პირი საეკლესიო ტიტულს ატარებს, ახსნას კპოვებს მთიელთა შორის დამოწმებულ ვითარებაში, როდესაც ხალხის სათავეში მდგომი პირებისათვის (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მაგ., ხევსურეთში, „ხევისბერებისათვის“) დამახასიათებელია სწორედ საერო და საეკლესიო მეთაურის ხელისუფლების გაერთიანება. ყოველივე ამის შედეგად ზემოთ დასახელებული ავტორები დაასკვნიან, რომ კახეთის მთავრის ხელისუფლებაც, ეტყობა, მთიელთა (მათ შემთხვევაში — წანართა) ასეთი მეთაურის ხელისუფლებიდან არის წარმომდგარი.

⁸⁶ ს. კაკაბაძე, О племени панар, გვ. 109, 111.

⁸⁷ შ. ბადრიძე, მმართველი ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის საკითხისათვის, გვ. 97.

⁸⁸ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 390.

ჩვენ არ ვიზიარებთ კახეთში არსებული „ქორეპისკოპოსის“ ინსტიტუტის წარმოქმნის შესახებ ზემოთ დასახელებულ მკვლევართა დებულებას.

ამ უაღრესად რთული სოციალური პრობლემის უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ აღნიშნულ ხანაში კახეთის სამთავრო დიდად დაწინაურებულ და მაღალკულტურულ ქვეყანას წარმოადგენდა. მას გააჩნდა ძველი სახელმწიფოებრივი ტრადიციები, რომელთა ფესვები უცილობლად ჩვენ უნდა ვეძებოთ ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) საზოგადოებაში, რომლის ორგანულ ნაწილსაც იგი წარმოადგენდა.

კახეთის ფეოდალური სამთავროს მრავალი სახელმწიფოებრივი თუ სოციალური ინსტიტუტი გენეტურად დაკავშირებული არის წინაფეოდალური ეპოქის ინსტიტუტებთან. და საერთოდ, კახეთის ფეოდალური სამთავროს სახელმწიფოებრიობის ფორმირება ბევრი რამით იყო დამოკიდებული იმ მემკვიდრეობისაგან, რომელიც მან მიიღო წინამორბედი ეპოქიდან, როდესაც იგი ჯერ ქართლის სამეფოში, ხოლო შემდეგ კი ქართლის საერისმთავროში შედიოდა. წინა ეპოქიდან მემკვიდრეობით მიღებული სოციალური ინსტიტუტები ფეოდალური წარმოების წესის პირობებში, რა თქმა უნდა, იცვლებიან, ახალ შინაარსს იძენენ. მაგრამ ეს პროცესი იმდენად ხანგრძლივია, რომ ფეოდალური ურთიერთობის საკმაოდ დიდ მანძილზე მათ ჯერ კიდევ თან დაჰყვებათ წინაფეოდალური ეპოქის საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

წინა ეპოქიდან მემკვიდრეობით მიღებულ სოციალურ ინსტიტუტთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს სწორედ „ქორეპისკოპოსის“ თანამდებობაც, რომელმაც ფეოდალური კახეთის სამთავროს სოციალურ სინამდვილეში გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა, მაგრამ იგი თავის თავში მაინც დიდხანს ატარებდა წინაფეოდალური ეპოქის ხანიდან მომდინარე ზოგიერთ ატრიბუტს. ამ მხრივ აღსანიშნავია თუნდაც ის ვარაუდობა, რომ კახეთის ქორეპისკოპოსისათვის გარკვეული პერიოდის მანძილზე დამახასიათებელი იყო საეკლესიო და საერო მეთაურის ხელისუფლების გაერთიანება. ამ მოვლენის ფესვები საძიებელია ჯერ კიდევ წინაფეოდალურ ხანაში. ვაგეხსენოთ ქართლის (იბერიის) კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნის საწყისი ხანა, როდესაც თეოკრატიული მომენტი მასში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ხომ ცნობილია, რომ იბერიის მეფის ხელისუფლება დიდხანს ატარებდა თეოკრატიულ ხასიათს, რადგანაც

მის (ე. ი. მონარქიის) სოციალურ დასაყრდენს ქურუმები წარმოადგენდნენ. თუ თავდაპირველად ქურუმები მონარქიისათვის ერთგული მსახურისა და მოკავშირის როლს ასრულებდნენ, შემდგომში, როცა თვით მონარქია ფეოდალური პოლიტიკური ორგანიზაციის სასიათს იღებს, ისინი გადაიქცევიან მის მთავარ სოციალურ საყრდენად⁸⁹.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ერთი მეტად კოლორიტული ცნობა, რომელიც აღრეფეოდალური პერიოდის ქართლს შეეხება. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მემატიანე ვახტანგ გორგასალის მამის მეფობისათვის აღნიშნავს: „და მერმე მეფობდა მირდატ და მთავარებისკოპოსი იყო გლონოქორ. და ესე მთავარებისკოპოსი ერისთავადცა იყო ქართლს და ჰერეთს“⁹⁰. მეტად ნიშანდობლივი ჩვენებაა ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის. ქართლის ეკლესიის მეთაური (ჯერ კათალიკოსობა არ არსებობს) ამავე დროს გვევლინება საერო მოხელედ, ჰერეთის ერისთავად. ცნობა ნიშანდობლივია იმითაც, რომ კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების დასაწყისში (VIII ს. I ნახევარში, არჩილის დროს) ჰერეთი კახეთის პოლიტიკურ ორგანიზმში შედიოდა. ასე რომ, როდესაც კახეთის სამთავროს სათავეში „ქორებისკოპოსი“ მოექცა, სასულიერო და საერო ხელისუფლების ერთი პირის ხელში გაერთიანების ასეთი ტრადიცია უცხო არ იყო კახეთ-ჰერეთის მოსახლეობისათვის. ქართლის მთავარებისკოპოსის და ჰერეთის ერისთავის გლონოქორის ისტორია მეტად ანგარიშგასაწევი ფაქტია „ქორებისკოპოსის“ თანამდებობის შესწავლის საქმეში. გლონოქორი თავისებური წინამორბედი კახთა „ქორებისკოპოსებისა“. კახეთის სამთავროს მმართველად „ქორებისკოპოსის“ დაყენება სრულიად კანონიერ და ლოგიკურ მომენტად გვეჩვენება ქვეყნის საერთო განვითარების ასპექტში. გარკვევით ჩანს, რომ ასეთი სიმპტომები აღრეც იყო (გლონოქორ-ერისთავი და მთავარებისკოპოსი) და რომ აშკარაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მხოლოდ ერთ კერძო შემთხვევას არ გულისხმობს.

განვავრძოთ ანალოგიების ძიება და გავიხსენოთ ქართლის კათალიკოსის კირონის (VI—VII სს.) ბიოგრაფია. ავიდა თუ არა ქართლის კათალიკოსის ტახტზე, კირონმა მაშინვე გამოაჩინა თავისი ძალა. უხტანესის მოთხრობით: „როცა მიაწია კირონმა თავისი სამთავროს სამწყსოს და თავის ქალაქს, რომელსაც მცხეთა ეწოდება, შე-

⁸⁹ ს. ყანაშვილი, შრომები, 1, თბ., 1949, გვ. 171.

⁹⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, გვ. 92.



მოიკრიბა ეპისკოპოსები, ქვეყნის წარჩინებულები, მთავრები და ერისთავები და დაიმორჩილა მათთან ერთად სრულიად მთელს ქვეყანას თვისი ხელმწიფების ქვეშ⁹¹. ქართლში ამ დროს უბუნებლად, ერისმთავარი და ერისთავები მისი გავლენის ქვეშ არიან. კირონი განაგებს ქართლის საეკლესიო და საერო ცხოვრებას და საკათალიკოსო საყდარი მცხეთაში, სეფე-სასახლესთან გადააქვს. კირონის მოღვაწეობაში საინტერესოა ჩვენთვის კიდევ ერთი გარემოება: ქართლის კათალიკოსად გახდომამდე იგი ერთხანობას, უბტანესის ცნობით, ღვინს დაესახლა. სომხეთის ამ ნაწილში ამ დროს კათალიკოსად იყო მოსე ელივარდელი. კირონი სწორედ მასთან გამოცხადდა და სწრაფად მიიწოდო კიდევ: „მან დააყენა იგი წმინდა კათოლიკე მონასტრის უბუცესად. აგრეთვე ქორეპისკოპოსად და მისცა აირარატის გავარი სამწყსოდ. ხლთი წელი იყო ამ ხარისხზე“⁹². როგორც ვხედავთ, კირონი სომხეთში საქმიანობის დროს იყო ღვინის კათოლიკე ეკლესიის უბუცესი და აირარატის გავარის ქორეპისკოპოსი. თუ ჩვენ აქ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „ქორეპისკოპოსს“ ტრადიციულად სოფლის ეპისკოპოსად გავიგებთ, მაშინ, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ზ. ალექსიძე, კათალიკოსთან პირადად დაახლოებული პირისათვის, რომელსაც მეტად მალალი საეკლესიო თანამდებობა ეკავა, რალა ბედენა იქნებოდა აირარატის გავარის ქორეპისკოპოსობა⁹³? აქ ჩვენ აუცილებლად საქმე გვაქვს „ქორეპისკოპოსის“ თანამდებობის ჩვენს მიერ ზემოთ შემჩნეულ ტენდენციასთან: აღზევებასთან, მნიშვნელოვან საერო და სასულიერო ფუნქციების აღმსრულებელ თანამდებობასთან. ასე რომ, საერო და სასულიერო ხელისუფლების შერწყმის იდეა თავის გამოხატულებას კირონის ქორეპისკოპოსობაშიც პოულობს. აქედან გამომდინარე კი, უბტანესის ცნობა კირონის აირარატის გავარის ქორეპისკოპოსობის შესახებ კახეთის ქორეპისკოპოსის სტატუსის გასახსნელად მეტად საყურადღებო ჩვენებას შეიცავს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ქორეპისკოპოსების ასეთ აღზევებას უნდა უსვამდეს ხაზს აირარატის გავარის ქორეპისკოპოსის კირონის დიდი გავლენა სომხეთის კათალიკოსის კარზე და მისი აღზევება ქართლის პატრიარქის ხარისხამდე. ამ მიმართებით ყურადღებას იპყრობს „სომხეთში (მცხოვრებ) სირიელ მართლმადიდებე-

⁹¹ უ ბ ტ ა ნ ე ს ი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975, გვ. 23.

⁹² უ ბ ტ ა ნ ე ს ი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, გვ. 21.

⁹³ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 252.



ლთა ეპისტოლე“, რომელშიც სამღვდლოთაგან წერსე II სომეხთა კათალიკოსის შემდეგ დასახელებულია სამუელ ქორეპისკოპოსი⁹⁴. აქაც, როგორც ვხედავთ, ქორეპისკოპოსის აღზევნების შესახებ გვკონდეს საქმე, რადგან იგი კათალიკოსის შემდეგ არის მოხსენიებული.

კახეთის ქორეპისკოპოსების სტატუსის გასახსნელად მეტად მნიშვნელოვანი ცნობა აქვს შემონახული ძველ ქართველ მწერალს არსენ საფარელს. მართალია, ეს ცნობა მეზობელი სომხეთის სოციალურ სინამდვილეს შეეხება, მაგრამ არსენ საფარელის ცნობებს ქორეპისკოპოსობის შესახებ ზოგადი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ საერთოდ და იგი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ქორეპისკოპოსის თანამდებობის შინაარსის შესასწავლად. მით უფრო, რომ მასში მეტად მკაფიოდ ჩანს ქორეპისკოპოსისთვის ქვეყნის საერო გამგებლობის ფუნქციების მინიჭების შემთხვევა. აი ეს ადგილიც არსენ საფარელის თხზულებიდან: „აქაითგან სპარსთა მარზპანთა დაიპყრეს სომხითი და შეურაცხ იქმნა წესი საქრისტიანოა, და ეკლესიათა განგებამ აღიკოცა, და აზნაურთა კელმწიფებამ დაეცა სპარსთა მარზპანთაგან, და კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი განდრკეს სიმართლისაგან და კადნიერებამ მოიღეს სპერსთაგან წინა-აღდგომად აზნაურთა, და ჯარკსა სოფელთასა თვით გარდაიკდიდეს, რამეთუ ეპისკოპოსთა და ქორეპისკოპოსთა მიანდევს ქუეყანამ, ვითარცა მორჩილთა მეფობისა სპარსთამსა, და რომელთამე კათალიკოზთა და ეპისკოპოსთა მეფენი სპარსთანი დაიშვილნეს და ძეობილად უწოდდეს კავადს და ხუასროს. რომლისათვისცა მსაჯულებამ მოაერობისა თვთ მიიტაცეს“⁹⁵... ქორეპისკოპოსების ასეთი აღზევნების შესახებ ცნობებს, როგორსაც გვაწვდის არსენი საფარელი, ჩვენ სხვა წყაროებში ვერ ვადასტურებთ. ქართველი მწერლის მიერ მოცემული მთელი ეს სურათი, როგორც აღვნიშნეთ, საკუთრივ სომხეთის ფეოდალურ სამყაროს ეკუთვნის და პირველ რიგში ამ სამყაროს განვითარებისათვის არის საინტერესო. მაგრამ მასში, რა თქმა უნდა, უმკველად არის დაცული ქორეპისკოპოსის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ზოგადი ელემენტები (ეს მით უფრო არსენი საფარელზე ითქმის, რომელიც სომხეთზე უკეთესად ქართულ სოციალურ სინამდვილეს იცნობდა). ამიტომაც არის, რომ არსენი საფა-

⁹⁴ ზქრე რევი, გვ. 51.

⁹⁵ არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 1980, გვ. 87.



რელის თხზულების ამ ადგილის, როგორც სოციალური ისტორიის დოკუმენტის, მნიშვნელობა სცილდება სომხეთის ფარგლებს და მას საანალოგიოდ უარესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

7 „აზნაურთა წინააღდგომა“, „მთავრობის მსაჯულების მიტაცება“, „კარკსა სოფელთასა თვთ გარდაივდიდეს“ და დასკვნითი ხასიათის ფრაზა — „ეპისკოპოსთა და ქორეპისკოპოსთა მიანდვეს ქუეყანა“. თუ კარგად ჩავუყვირდებით, აქ მკაფიოდ არის გამოვლენილი „ქორეპისკოპოსის“ სტატუსი, მისი ნიშან-თვისებები. არსენი საფარელის ცნობების მიხედვით, ქორეპისკოპოსი ფაქტიურად ჩვენ გვევლინება, როგორც ქვეყნის უზენაესი საერო გამგებელი. ამ ცნობების მიხედვით, ქორეპისკოპოსი ჩვენ თვალწინ წარმოსდგება როგორც ისეთი პირი, რომელიც თავის თავში აერთიანებს მნიშვნელოვან საერო და სასულიერო ფუნქციებს. ასეთად უნდა წარმოვიდგინოთ კახთა ქორეპისკოპოსებიც. ზემოთ ჩამოთვლილი ნიშან-თვისებები ქორეპისკოპოსის სტატუსისა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა კახეთის სამთავროს, როგორც გარკვეული პოლიტიკური ერთეულის მონოლითურობას, მასში ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცეს.

ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი სურათი ქორეპისკოპოსთა აღზევებისა, მათი მთავრად, ე. ი. საერო ხელისუფლად გადაქცევისა, უმთავრესად დამყარებულია წერილობითი ისტორიული წყაროების ანალიზზე. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ შენახულა ისეთი მასალები, რომელნიც საშუალებას მოგვცემდნენ თვალსაჩინოდ წარმოგვედგინა აღნიშნული პროცესის ზოგიერთი, მეტად საყურადღებო მომენტი ცოცხალი ცხოვრების მაგალითზე. მაგრამ აქ ჩვენ გვინდა შევჩერდეთ მხოლოდ ერთ ფრაგმენტულ ხასიათის ცნობაზე, რომელსაც გვაძლევს ძველი ქართული საისტორიო მწერლობის შესანიშნავი ძეგლი „მატიანე ქართლისაჲ“. ეს ცნობა იმითაც უფრო საყურადღებოა, რომ იგი სწორედ კახეთის სამთავროს მეზობელ ალბანეთის ისტორიას შეეხება. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი როდესაც მოგვითარობს ბულათურქის ლაშქრობის ამბავს IX ს. შუა ხანებისათვის, იგი ერთ ადგილას წერს, რომ ბულამ დაიზამთრა ბარდავს, ზოლო ცოტა ქვემოთ იქვე დასძენს, რომ ბულამ „შეიპყრა ხუცისა ვინმე ძე, რომელი გამთავრებულ იყო, და შემუსრა გარდაბანი“⁹⁶. როგორც ჩანს, აქ მოთხრობილი უნდა იყოს რომელიღაც გარდაბანელი მთავრის დატ-

⁹⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 256.



ყვევება. მაგრამ ამჟერად ამ ცნობაში ჩვენთვის ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ ეს მთავარი წარმომადგენელი სახელმწიფო პირის, ხუცის, ძეა. ე. ი. აქ ჩვენ ისევ და ისევ ისეთ მშვენიერებას ვაქვს საქმე, როდესაც საეკლესიო-იერარქიული ტიტულისა თუ ხარისხის მქონე პირი აღზევდება, საერო ხელისუფალი — მთავარი ხდება. მოქმედება, როგორც ჩანს, ალბანეთის გარდაბანში ხდება. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ჩვენს წინაშეა ცოცხალი მაგალითი სასულიერო ხარისხის მქონე პირის — ქორეპისკოპოსის აღზევებისა და მისი საერო ხელისუფლად, მთავრად გადაქცევა. ნიშანდობლივობა ამ ცნობისა იმაში მდგომარეობს, რომ ქორეპისკოპოსის მთავრად გადაქცევის (მეტამორფოზის) პროცესი კახეთის სამთავროს ახლო მეზობლის, ალბანეთის ტერიტორიაზე დასტურდება და ეს მოვლენაც ალბანეთის საზოგადოებრივი განვითარებისათვის არის დამახასიათებელი.

რაც შეეხება კახეთის მთავრის ხელისუფლების თეოკრატიულ ხასიათს, ამასაც, რა თქმა უნდა, თავისი საფუძველი და ახსნა მოეპოვება. კახეთის მთავრის საეკლესიო-იერარქიული ტიტული „ქორეპისკოპოსი“ რაღაც განყენებულ, დამოუკიდებელ შინაარსს კი არ ატარებდა, არამედ იგი გარკვეული სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის რეფლექსი იყო. კახეთის მთავარი თავისი ხელისუფლების საკმაოდ ძლიერ რელიგიურ საკულტო ატრიბუტებს პოლიტიკური ძალაუფლების იდეოლოგიურად დასაბუთების მიზნით იყენებს. კახეთის მთავრის ხელისუფლების თეოკრატიული ხასიათი იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი როგორც კახეთის მიწა-წყლის და მოსახლეობის მესაკუთრე და უზენაესი გამგებელი, ამავე დროს არის ქვეყნის სასულიერო ხელისუფლების მთავარი წარმომადგენელი. კახეთის ქორეპისკოპოსის განსაკუთრებული სიძლიერე აიხსნება არა მარტო ამ ხელისუფლების დიდი ეკონომიური რესურსებით, ან ფართოდ განშტოებული ბიუროკრატიული აპარატის არსებობით, არამედ თვით ქორეპისკოპოსის უმაღლესი მდგომარეობით რელიგიურ-საკულტო იერარქიის თვალსაზრისითაც, სხვანაირად — სარწმუნოებრივი შინაარსით, რომელიც მიცემული ჰქონდა ქვეყნის უზენაესი მეთაურის ხელისუფლებას. რელიგიურ-საკულტო მდგომარეობას არსებითი და განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის ქორეპისკოპოსის სოციალური სტატუსისათვის. რელიგიურ-საკულტო მდგომარეობამ (რომელიც, საბოლოო ანგარიშში, თვით ეკონომიური პირობების შედეგი იყო) გადამწყვეტი როლი შეასრულა კახეთის ქორეპისკოპოსის სოციალურ-პოლიტიკური აღმავლობის პროცესში.

მოვლენის ფესვები ჭერ კიდევ ანტიკურ ხანაში უნდა ვეძებოდეთ. რა-
დესაც რელიგიურ-საკულტო მდგომარეობას დასაერთოდ წერხავთ
თულ ტაძარს დიდი მორგანიზებული როლი ჰქონდა. ქვეყნის მთელი
დასაქვლესიო მოღვაწეობის შერწყმა სწორედ ტაძრების უპირატესი
უფლებით იგულისხმება, ისევე როგორც ეკლესიისა ფეოდალურ ხა-
ნაში. საამისო მასალები შესანიშნავად აქვს გაანალიზებული ი. კიკ-
ვიძეს, რომელიც ზაზგასმით მიუთითებდა ტაძრის განსაკუთრებულ
როლზე კახეთის ისტორიულ სინამდვილეში. მისი აზრით, თეოკრა-
ტიული მმართველობა კახეთში უფრო რელიგიურად ჩანს, ვიდრე
ქართლში, სადაც ხევისუფალნი, შემდგომი ერისთავნი და ერისმთავა-
რნი, თუმცა ტაძარზე დაყრდნობით, საერო ხელისუფალნი ჩანან, შემ-
თხვევითი არ არის, რომ კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებას ქორეპის-
კოპოსნი განაგებენ, ე. ი. მოთავეობენ ის პირნი. რომელნიც საერო
და საეკლესიო მმართველობის შერწყმულ ფუნქციებს ითავსებენ.
როგორც ჩანს, ეკონომიურად და სოციალურად დაწინაურებული სა-
ხლები უმთავრესად კულტის ტაძრის მსახურნი არიან. ტაძარი და
კულტი ყველგან მძლავრი საშუალებაა სოციალური აღზევებისათ-
ვის⁹⁷.

ჩვენს მიერ აღნიშნული თეოკრატიული მომენტი კახეთის მთა-
ვრის ხელისუფლებაში საშუალებას გვაძლევს გავიგოთ მერმინდელი
კახეთის ფეოდალური საზოგადოების ზოგიერთი მოვლენა. შესაძ-
ლებელია, მაგალითად, რომ სწორედ ძველი კახეთის სამთავროს
მფლობელის „ქორეპისკოპოსის“ საეკლესიო-იერარქიული ტიტუ-
ლის ნიადაგზე აიხსნებოდეს ის ფაქტი, რომ გვიანფეოდალურ ხანა-
ში, ახალ კახეთის სამეფოში სამხედრო ოლქების („სადროშოების“) სათავეში საეკლესიო პირები, ეპისკოპოსები დგანან⁹⁸.

⁹⁷ ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ სა-
ქართველოში, თბ., 1976, გვ. 138.

⁹⁸ ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 175.

ЦАРСТВО РАНОВ И КАХОВ (VIII — XI ВВ.)

Резюме

Изучение истории царства ранов и кахов открывает весьма важную страницу всей истории феодальных отношений Восточной Грузии. Кахети периода правления мамасахлисов, Кахетинское эриставство, Кахетинское раннефеодальное княжество, царство «ранов и кахов», затем царство «ранов и кахов», как составная часть «всей Грузии», позднефеодальное Кахетинское царство, объединение Картлийского и Кахетинского царств во второй половине XVIII в. (1762 г.), появление в первой половине XVIII в. на территории восточной Кахети (Каки-Энисели resp. Чар-Белакани) лезгинских «вольных обществ» (возникновение «Саингило») — вот основные этапы развития Кахети (до начала XIX в.) с точки зрения собственно политической, т. е. внешней истории. За этим многообразием политических явлений скрывается сложный единый процесс внутреннего общественного развития, научное осмысление которого и составляет основную задачу резюмируемой работы.

Царство «ранов и кахов» представляет собой важное звено названного общего процесса развития уже потому, что этот этап не может быть обойден в ходе исследования генезиса феодальных отношений в Восточной Грузии. Именно царство «ранов и кахов» и предшествующие ему образования («самамасахлисо» Кахоса, Кахетинское эриставство, Кахетинское раннефеодальное княжество) создают мост, по которому Кахети из древнего мира окончательно перешла в феодальную эпоху.

Однако, насколько интересна структура этого самостоятельного социально-политического организма, насколько важны условия его формирования, настолько сложно его всестороннее исчерпывающее исследование. Частично упомянутые трудности объясняются недостатком и скупостью источников, не дающих возможность достаточно полно осветить ряд вопросов. Вместе с тем, верная постановка проб-

леме, углубленное монографическое исследование, учитывающее различные по характеру показания, несомненно позволяют исторически адекватно описать многие моменты истории интересующего нас региона.

Предлагаемая работа состоит из предисловия и четырех глав: I — «Вопросы этнического состава и исторической географии царства ранов и кахов»; II — «Основные этапы истории царства ранов и кахов в VIII—X вв.»; III — «Царство ранов и кахов в XI в.»; IV — «Институт хорепископов». Рассмотренные в монографии вопросы подчинены одной главной проблеме — выяснению роли царства «ранов и кахов» в сложном процессе исторического развития Грузии.

Подобно другим грузинским провинциям, Кахети сформировалась в результате сложного исторического развития. Территория и хозяйственная жизнь Кахети, естественно, исторически претерпевали значительные изменения, менялся этнический состав населения. Судя по историческим источникам, современную территорию Кахети населяли разные этнические коллективы, исследователь встречает здесь несколько «земель». В частности, собственно Кахети, охватывавшую верхнее течение рек Иори и Алазани, включая горные районы; Кухети — часть бассейна р. Арагви и Гаре Кахети; Эрети — примерно, современная Бузуренная Кахети, заалазанье и горные районы Дагестана; Цукети — примерно, северо-западные районы современного Азербайджана (Санигило), включая горные районы Дагестана; Суджети — левое побережье р. Иори до среднего течения (примерно, современная Гаре Кахети); Камбечани — примерно, современная кахетинская провинция Кизики.

На протяжении веков на территории Кахети протекали интенсивные этнические процессы, формировались и исчезали этнические объединения; в равнинных и горных районах исторической Кахети имели место сложнейшие явления этногенеза и этнической истории. Все это, разумеется, происходило на фоне культурного и социально-экономического развития страны. С древнейших времен население Кахети отличалось четко выраженной этническо-культурной спецификой, оно являлось носителем своих длительных и высоко развитых культурных традиций. Кахи, кухи, гардабаны, нанары, тушины, пховцы (пшавы и хевсуры), дурдзуки и гингвы — вот, приблизительно, этнические единицы, исторической ареной борьбы и сотрудничества, слияния и «скрещивания» которых являлась территория Кахети. Каждое из упомянутых племен внесло свой вклад в становление и историческое развитие царства «ранов и кахов».

С древнейших времен история Кахети тесно связана с



государственным развитием Восточной Грузии (Иберли). Согласно традиции грузинских исторических источников, Этнарх Кахос был потомком Картлоса, а страна, принадлежавшая Кахосу, известна под названием «Кахети». Иначе говоря, Кахети, а следовательно и страна кахов, конечно входили в восточногрузинскую, Картскую (иберийскую) этно-социальную общность, более того, они сыграли активную роль в становлении этой общности.

Этно-социальное единство Картских и Кахских племен основывалось на общем происхождении, совместной исторической жизни и длительных оживленных общественно-политических, экономических и культурно-религиозных связях.

В первой половине VIII в. на территории древней Кахети возникло феодальное Кахетинское княжество. Кахетинское государство, меньше пострадавшее от арабского нашествия, в ту эпоху представляло мощный социально-экономический и политический организм. Создателем Кахетинского княжества является Арчил (30—50 годы VIII в.), который блестяще справился с задачей стабилизации государства и успешно приступил к расширению своих владений. Арчил стал первым правителем Кахетинского государства, отличавшимся неустанной борьбой за упрочение и расширение княжества. В 40—50 гг. VIII в. власть мтавара Арчила, помимо собственно Кахети, распространялась на Кухети, Эрети, Цукети и Шаки. Кроме того, в сфере его влияния оказались и некоторые дагестанские общества, в частности, Хунзах.

После правления Арчила вплоть до конца X в., судя по историческим источникам, Кахетинское государство претерпело значительные территориальные изменения. Выясняясь, что из состава единого государственного организма выделилась Эрети. Вне политических границ Кахетинского государства находятся, видимо, прилегающие горные районы. Такое положение, естественно, оказало определенное влияние на развитие исторического процесса в Кахетинском княжестве, характеризующегося неустанной борьбой за возврат утраченных земель. Кроме того руководители Кахетинского государства ставят перед собой и иные политические цели — они стремятся расширить свои владения за счет западных территорий и преуспевают в этом. В последней четверти VIII в. и к началу IX в. в подчинении Кахетинского княжества находятся районы, расположенные в бассейне рек Арагви и Ксани; власть кахетинских мтаваров распространяется и на область Гардабани (к югу от Тбилиси). На севере в состав Кахетинского княжества входит



провинция Хеви, т. е. собственно страна цанаров, Тушети, Пхови (Пшави и Хевсурети), а также страна дурдаков и глигвов. Эта часть горных провинций Кавказа в древних памятниках называется «горная Кахети».

Как известно, IX — X века отмечены непрерывной острой междоусобной борьбой грузинских царств и княжеств. Почти два века длилась «борьба за объединение», т. е. протекал исторический процесс, направленный на сплочение отдельных провинций Грузии под централизованной феодальной властью, на создание единой феодальной монархии. Разумеется, это был социально-экономический, политический и вместе с тем идеологический процесс, в который активно вовлекалась Кахети.

На рубеже IX — X вв. владельцы Кахетинского княжества преисполнены сознания собственного могущества. Все их внимание обращено на Эрети, отложившуюся после правления Арчила. Здесь интересы Кахетинского княжества приходили в резкое столкновение с замыслами царей объединенной феодальной Грузии, намеревавшихся присоединить Эрети. Кахетинское княжество вело бескомпромиссную борьбу за овладение Эрети и не уступало своих позиций. Результаты не замедлили сказаться. В 1008 г. хорепископ Кахети Давид (976 — 1009 г.) присоединил Эрети к своим владениям. Необходимо подчеркнуть, что «царям абхазов» (т. е. царям Грузии) для распространения своего влияния на Эрети приходилось прибегать к военной силе, а эретские феодалы не признавали ставленника царя «абхазов» Баграта III. С другой стороны, хорепископ Давид довольно легко нашел общий язык с теми же феодалами. Объясняется это, естественно, культурно-этнической общностью и близостью кахов и эров, немаловажной предпосылкой послужило также и объединение церковной организации Кахети и Эрети, имевшее место в середине X в.

При хорепископе кахов Давиде были заложены основы царства «ранов и кахов», создание которого через 10—12 лет завершил Квирике III Великий (1009 — 1037 гг.). Руководители Кахети воспользовались внешнеполитическими осложнениями (длительной войной с Византией), с которыми столкнулся царь объединенной Грузии Георгий I, и с успехом довели до конца процесс присоединения Эрети.

Исторические источники не дают точной даты образования царства «ранов и кахов». Летописец XI в. Сумбат Давитисдзе упоминает об этом событии между воцарением Георгия I (в 1014 г.) и вторжением в Грузию византийского кесаря Василия, имевшим место на седьмой год царствования Георгия I, т. е., по сообщению летописи, царство «ра-



нов и кахов» возникло между 1014 — 1020 гг. С нашей точки зрения, это могло произойти ближе к 1020 году. Царство, созданное Квирике III, по существу было «Кахетинским царством», а заслуга Квирике Великого в том, что он восстановил царство в прежних исторических границах, существовавших еще в VIII в. при Арчиле, когда Эрети являлась неотъемлемой частью Кахетинского княжества. И действительно, на протяжении всего XI в. правителей этого царства источники называют «царями кахов» или «царями Кахети». Качественное различие заключалось в том, что после воссоединения Эрети в 1020 г. изменился их официальный титул. Отныне правители Кахетинского царства величаются царями «ранов и кахов». Титул «царя ранов» носили владельцы Эрети в период самостоятельности, и они в действительности владели некоторыми частями страны Ран. В 20-х годах XI в. при Квирике III, как было сказано, Эрети оказалась в пределах Кахетинского царства, и кахетинские цари вместе со страной добавили к своему титулу титул царей Эрети («царей ран») и стали называться «царями ранов и кахов». Точно также после включения царства «ранов и кахов» в состав «всея Грузии» цари объединенной феодальной Грузии стали носить и титул «царя ранов».

Годы правления Квирике III Великого отмечены мощным подъемом социально-экономической и политической жизни, а также размахом административно-государственного строительства. Успехи правления Квирике III в Кахети были подготовлены всем естественным ходом развития, ростом могущества самой страны.

На протяжении всего XI в. грузинское феодальное государство вело ожесточенную борьбу за присоединение царства «ранов и кахов». Достижению цели во многом препятствовали не только внутренние, но и внешнеполитические факторы. Борьба завершилась к началу XII в. (в 1104 г.) при Давиде Строителе, когда царство «ранов и кахов» окончательно было включено в политические границы объединенной феодальной Грузии. Отныне в истории царства «ранов и кахов» начинается новая эпоха.

Оно стало органической, нераздельной частью «Всея Грузии», активно сотрудничающей в социально-экономической, политической и культурной жизни страны.

შინაარსი

წინასიტყვაობა	3
თავი I. ჩანთა და კახთა სამეფოს ეთნიკური შემადგენლობისა და ისტორი- ული გეოგრაფიის საკითხები	5
თავი II. ჩანთა და კახთა სამეფოს ისტორიის ძირითადი ეტაპები VIII—X სსშო	116
თავი III. ჩანთა და კახთა სამეფო XI სსშო	347
თავი IV. ქორეპისკოპოსის ინსტიტუტი	255

Папуашвили Тенгиз Георгиевич
ЦАРСТВО РАНОВ И КАХОВ
(VIII — XI вв.)
(на грузинском языке)

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი გ. აკოფაშვილი
ისტ. მეცნ. კანდიდატი ბ. ლომინაძე

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 1789

რედაქტორი ა. ბოგვერაძე
გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი
ტექნორედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
მხატვარი ვ. ხიდაშელი
კორექტორი ც. ქიტიაშვილი

გადაეცა წარმოებას 15.2.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.8.1982;
ქაღალდის ზომა 60×90/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბაბი 18.25;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაბი 15.67;
უფ. 00925; ტირაჟი 3000; შეკვეთა № 620;
ფასი 2 ზან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19